

UDC(უბკ) 050(479.22) ISSN 2233-3312
ა-376

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა
მრავალპროფილიანი საერთაშორისო
აკადემია

ათინათი
2015 / 1 / (15)



გამომცემლობა „ენიკურსალი“
თბილისი 2015

უფლის საბალობელი



მოდით, ნინო მთებით მოდიოდ
და მოქონდა სანატრელი ვაზის ჯვარი...
ანა კალანდაძე

ლურჯ ზეციდან შენ
გმფარველობ წმინდა ნინო,
იქნებ შენებრ იანუსზეც
ქება გვეთქვა.
მისი არ გვწამს,
ორპირია არ გვიწყინო,
შენი ხატით „ათინათის“
გული ფეთქავს.


გულნაზ ხარაიშვილი



* * *

უწმინდესი მყავს
რალად დავღონდე,
ერის მხსნელი და
ერის საჩინო.
სიკვდილი უკვე რწმენით
ჩავლობე,
სიცოცხლე უნდა
გადავარჩინო...


უწმინდესი და უნეტარესი
ილია II



* * *

გარდაცვალებას, მეუფისას ვერ შევეჩვევი...
შენმა ლოცვებმა, მომირჩინოს იქნებ იარა...
ღმერთს ცაში მიჰყავს კეთილები, ყველა შერჩევით,
აი, ამიტომ ტკივილებმა არ გამიარა.

მამა გაბრიელი
(ბეგლარ კულუმბეგაშვილი –
მირიან იორამაშვილის მოყვარე)



მეუფე თადეოზი
(მირიან იორამაშვილი)

გადვიხელე ცის მთის იქით

ვაზის ახლოს ვარდი ჰყვავის,
 სურნელებას მტევნებს აფრქვევს...
 ქარი ზმუის სულით ავი,
 ყვავილს მტრად და ნაცრად აქცევს.
 მთვარე სტირის ღამის სახლში,
 მზე დარდების ალით იწვის.
 გლოვა არის ყველგან ხალხში,
 გველეშაპი მიწებს სწიწკნის.
 ღრუბლის კიბეს აყევე მადლა,
 მიღმიეთსაც მივსწვდი ფიქრით.
 არ მიგვრძნია გულის დაღლა,
 გადვიხელე ცის მთის იქით.
 იქ ვიხილე საოცრება,
 დავინახე გარდაცვლილნი.
 ლექსის პური თორნეს ცხვება,
 მსაჯულები იყვნენ ფრთხილნი.
 შოთასთან დგას იქვე ვაჟა,
 მირიანიც იყო მათთან...
 უცო ხმებმა გამაკაჟა,
 ნაავდრალი გულიც გათბა.
 შოთამ ბრძანა: მოუსმინოთ,
 დღეს მეუფე ლექსებს ჰყვება

ია-ვარდი მოუფინეთ,
 აქ სიცოცხლე არ მთავრდება.
 ბედნიერი გავხდი იმ წამს,
 იქ მყოფთ თვალი გადავაკვლე,
 ცრემლი მოწყდა დაღლლ წამწამს,
 ღმერთი ნეტავ რას ავალებს?
 ლექსის ღმერთი იყო შოთა,
 მსახურები დანარჩენნი...
 ამ ხილვებით, ვღელავ, ვშფოთავ,
 აქ დადგინდა განაჩენი.
 პოეტს ვხედავ მშვიდობიანს
 მეუფეა ვალმოხდილი.
 მისი სახლი სიონია,
 შემეგება ხელგაშლილი.
 მას ღვთით ჰქონდა ნიჭი წერის,
 იყო ძალზე გულკეთილი...
 მისი ლექსი აქაც მღერის,
 სიბრძნეა და გაკვეთილი.
 ცის კიბიდან ჩამოვვდი,
 დარღს იმედი შეერია...
 მეუფე ფრენს როგორც მტრედი
 ცაშიც წმინდა ჰაერია.

რედაქტორი



სიონის ეკლესია
სადაც დაიკრძალა,
მეუფე თადეოზი
(მირიან იორამაშვილი)



გულნაზ სარაიშვილი
ჟურნალ „ათინათის“ მთავარი რედაქტორი
ჟუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა
მრავალპროფილიანი საერთაშორისო
აკადემიის პრეზიდენტი

ჩემო სჯართველო

ჩ – ემი მიწის სურნელებით დამათვრე,
ე – კლები კი მომაცილე ღმერთო.
მ – იესტირივარ, ის რაც ძალით წამართვეს,
ღ – ამ გულში ცეცხლი ისეც მენტო.
ს – ევდას მინდა ფიქრის კარი მიუხურო,
ა – რ დავიხრჩო ცრემლის მლაშე ზღვაში...
ქ – არბუქშიდაც სამშობლოს მსურს ვემსახურო,
ა – რ გადავცვლი ერთ გოჯ მიწას განძში.
რ – იროჭრელა მომიმრავლდეს ჩემს ბაღნარში,
თ – ბილ ბუდეში მოვეფერო ჩიტებს...
ვ – იტრიალო ძველებურად ძველ მარანში,
ე – ს იმედი გულში ამიტვირთეთ.
ღ – ომის ხახას ამაცილე გამჩენო,
ო – ლიანდრებს ფერი სევდით ეცვალა,
ჩემო ღმერთო, ცას როს მოვალ მაჩვენო,
დამანახე ის ვინც გარდამეცვალა.


2015 წელი გამოცხადებულია აკაკი წერეთლის
დაბადების 175 და ბარდაცვალების 100 წლის
აღსანიშნავად

საიუბილეოდ დღეებში გამოიცა აკაკის “წმინდა ნინო ანუ ქრისტიანობის შემოღება საქართველოში”, რომელიც მანამდე არც ერთ ტომში არაა შეტანილი, პირველი გამოცემები შესრულებულია 1906 წელს გუტენბერგის სტამბაში, გამომცემელი “ჯვარი ვახისა”, და 1908 წელს აკაკის სამწერლო და საზოგადო მოღვაწეობის 50 წლისთავზე, დიდი ქართველი მეცენატის მიტროფანე ლაღიძის მიერ ქ. ქუთაისში, ივანე კალაძის სტამბაში. გამოცემის ეგზემპლარები ინახება საჯარო, ლენინის საჯარო, სალტიკოვ-შიჩედრინის და აკადემიის ბიბლიოთეკებში. (ქართული წიგნი, ბიბლიოგრაფია, ტ. I, წიგნის პალატის გამოცემა, თბილისი 1941 წ. გვ. 325).

ერთი ეგზემპლარი ამ წიგნისა ინახება აკაკის სახელმწიფო მუზეუმის ფონდში.



ჰოეზია



**მეუფე თადეოზი
(მირიან იორამაშვილი)**

უწმინდესისადმი

*„აღგამაღლო რჩეულო ერისგან ჩემისა“...
88-ე ფსალმუნიდან*

ამ უნდობელ საწუთროში
მძიმე ჯვარი გერგოთ წილად,
არ შეგშლიათ მაინც დროში
და რჩეულთა მადლით ბრწყინავთ.
დიდებული მოციქული
პავლე ბრძანებს: „მე მომბაძეთ“...
გზა წმინდაა, მაგრამ რთული,
რადგან ერის ტვირთი გაწევთ.
თქვენი ნატვრა სულთა ხსნაა
და იმედი გადარჩენის...
სულ გამოხსნა, სულ დახსნაა
და ღვთიური განაჩენი.
არ მოაკლებთ ნუგეშს შვილებს
ლოცვით დამე მით გეთიათ,
სიყვარული იყვავილებს
სიყვარული თვით ღმერთია.
ღვთით იხარეთ... ერს ახარებთ
საზრუნავი თქვენი დიდ არს...
ლოცვით გახსნით ზეცის კარებს
შეგვაწყნარებთ წმინდად წმინდას.
მთავარია სული ვიხსნათ –
წარუვალზე ფიქრი გემართებს,
წმინდა ფიქრით და ცხოვრებით
მივემსგავსოთ არწივთ მართვეს...
ძალა მოგცეთ არსთ გამრიგებ,
შემატოდეთ რჩეულთ რიგებს...
ცით მოგვფინეთ მადლი ღვთისა
ახლისა და ძველ აღთქმისა.

ერი ჟამთა ხსოვნაში...

*ყოველთა ქართველთა
სინანულის, აღსარების,
შერიგებისა და სიყვარულის დღე
დღე უწმინდესის
აღსაყდრებისა 1999 წ. 25 დეკემბერი*

ერი ჟამთა ხსოვნაში
ჩუქურთმებს რომ აქსოვდეს,
თავის თავის პოვნაში
ეს დღე უნდა ახსოვდეს.
...ის, რაც არის მთავარი,
ნურასდროს შეგეშლება,
გლოცავს ერის მთავარი,
გულში ვარდი გეშლება.
ჩაეჭიდე ღვთის კალთას,
იცან დიდი მშობელი,
ამომავალ ცისკართან
აღთქვი საგალობელი.
ვიდრე არ ჩაკეტილა
ცის აღსაყლის კარები,
იღვაწებდე კეთილად
მადლით ნანეტარები.
გულის მწყემსი მზრუნველი,
მას გაუხსენ ეგ გული,
ვინც სიცოცხლე გაჩუქა,
იყავ მისი ერთგული.
ნუ გაცდუნებს ბოროტი,
სულთა მკვლელ-წარმწყმედელი,
ურიცხვ მახის დამგები,
სულ სიავის მჭედელი.
სიყვარული გიყვარდეს,
შუქს ნუ ეტყვი, ბნელი ხარ,
ბინდში მყოფო, ცხოვარო,
ნათლის საპოვნელი ხარ.
...ის სჯობს ყველა საფიცარს:
კაცი მადლით იზომვის...
გელოდება ნათლის ცა
და მზე მარადისობის.

* * *

ისევ გაბრწყინდა საღმრთო ქვეყანა
შვილი სინათლით და შვილი ფერით...
არვის შეხვდება ჯერ პირველ ხანად
აღტაცებათა ტაშით იბერი;
ჟამი გამოსცდის ყველაფერს მართალს
და ჰარმონიად შეჰკრავს ქაოსებს,
შეწყდება ქროლვა სიკვდილის ქართა,
მძლე იმედებად – საიქაოზე.

* * *

ჯვარი ჯვარში – მზის ჩუქურთმა ქართული,
რწმენის მადლი, ცეცხლი ზე აღმართული,
წინაპარნი ნათელ სახით მოჩანან,
წკრიალებენ ზარიანი დროშანი.
ზამთრის სუსხი, ხორშაკი და ქარ-წვიმა...
ქართველის სულმან მაინც გაიყმაწვილა...
საუკუნეთ უცნაური ცვლილება...
მტერი მტერზე... ედემს რომ გვეცილება.
დაგვიფარავს ღმერთი – ყოვლადძლიერი;
მტერსა მტრობა... უფლის წინ მორჩილება...

* * *

გამითენდა დღე ნათელი,
ახლა მოძმით ვარ ძლიერი,
პაპა მყავდა გელათელი
და დიდება ვარძიელი.
ამცდა ტყვია ვერაგული,
რადგან ჩემი წინაპარი
დავითი და თამარია...
დღეს ქართველის ყველა გული
მათი თბილი სამარეა.
უკვდავია ჩვენი ფესვი,
აღარც ვკვნესით, აღარც ვტირით...
სიხარული თუ ატირებს
წყლისკენ კოცნად დახრილ ტირიფს.

ლოცვა შენი

შეხე ზეცას: ოქროსფერი
მზე რარიგად შვენის, –
ეს ნიშნავს, რომ მართალია
კვლავაც ლოცვა შენი.

II

მოქურუშდა უცაბედად
ცა – ღიმილის მხენი, –
ეს ნიშნავს, რომ მოუძღურდა
ქვეყნად ლოცვა შენი.

II

ღმერთმა ნუ ქნას აქ დამთავრდეს
უფლის განაჩენი,
ცოცხალი ხარ? – ჯერ კიდევ გაქვს
ჟამი გადარჩენის.

გაზაფხული

აღმა მივდეგ მაღალ მთებს,
არ მეშინის ქარისა,
სიხარული ამანთებს,
გადამაქცევს ხალისად.
აქ სულ ახლოს ცა მოჩანს,
ღურჯად ჩამომდნარი ცა,
ხევში ნისლი გამოჩნდა
თუ მანდილი ქალისა...
სიხარული ამანთებს,
გადამაქცევს ხალისად.


* * *

ერი იწყებს ახალ მატინანეს,
მატინანეს მშვენიერს და წმინდას,
მოჩვენებითს ჟამი ატილებს,
უკვლავებად რაიც ვერ გაბრწყინდა..
უკეთურნი ვართ უფალო
ტანჯვაა ჩვენი ცხოვრება,
მძიმე და მოსაწყენია,
რაოდენს გული ვატკინე,
რამდენჯერ გული მტკენია...
უკეთურნი ვართ უფალო,
ვით ნაბრძანები შენია,
ბოროტისაგან კეთილი
მიტომ ვერ გაგვირჩევია.
თავი მართალი გვგონია,
ყველაზე მძიმე რაც არი,
დაგვიწყვებია, რომა ვართ
მხოლოდ მიწა და ნაცარი,
მით სასოება ცხოვნების ჩვენში
არის და არც არი,
რადგან ეკლებმა შეაშთვეს
რწმენის ციური მარცვალი.
ღმერთო მაღალო მოგვხედე,
გული აგვივსე ნათლითა,
შენ გაგვიშუქე სამყარო
შენი ბრწყინვალე მადლითა,
რომ არ გვეწიოს წარწყმედა
სიბნელითა და ავდრითა,
ვახაროთ სიყვარულის ხე,
ვილოდეთ მზითა და დღითა.

* * *

მზიური მეფე მიუწვდომელ სამყაროსა,
ყველა ქმნულების, ყველა არსის, ყველა დროისა...

.....
მოვა მაღალთა შინა მყოფი ცეცხლით და რისხვით,
ყოვლთა განკითხვად, მოსყიდულთა საკუთარ სისხლით,
მაშინ გამოჩნდეს აწ ფარული სიბნელის ნისლით,
აღიწონება მთლად სამყარო მისხლით და მისხლით...
ო, ნეტავ მაშინ თავს რომელი, ანდა რით ვიხსნით?



მდაბალი მამა გაბრიელი
(ბეგლარ კულუმბეგაშვილი)

მეუფე თაღოუს

ფეხზე ამდგარი, ტკბილი ღიმილით წახვედი ღმერთთან,
ჩვენ დაგვიტოვე უსაზომოდ მძიმე ნაღველი,
უკვდავებისკენ მიმავალ ამ შორეულ გზაზე,
გზას გინათებდეს შენ მარადჟამს წმინდა სანთელი.
აქ შენს საფიცარს სამშობლოსთვის მარად მლოცველი,
ვიცი, რომ იქაც კვლავ ილოცებ შენ დაუღლედად,
და სიო, ზეცით მონაქროლი, თავისუფლების,
შენს ტკბილ სამშობლოს დადგრება შარავანდედად.
ბევრს ვერას გეტყვი, ვერ გაგაოცებ ჩემის ნაყბედით,
ვერ გამოვდგები ქართულ სიტყვის მე დიდ მეხოტბედ,
ილოცე ჩვენთვის, ქართულ სიტყვის დიდო ოსტატო,
დიდო მეუფე! მოგვიტევე თუ რამ შეგცოდეთ.
08.02.2015წ.

ღამილოცნიხართ

ღამილოცნიხართ! თუ ჩემს ღოცვას
რამე ძალა აქვს,
ღამილოცნიხართ! ვისთანაც გსურთ, ვინაც გინდოდეთ,
დე ეტლი თქვენი ბედნიერების მშვიდად ვილოდეს,
კაცი არ ვიყო, ამის მეტი თუ რამ მინდოდეს,
მე კი ჩემს ტკივილს, გულზეც ნაჭდევს, მშვიდად ავიტან,
ნეტავი იმას! ვინც თავის ლელოს მაინც გაიტანს,
შენთან იქნება საქართველო!
და შენს სიყვარულს არვის გაატანს.
ამას გთხოვთ მხოლოდ, სამუდამოთ ნუ დამივიწყებთ,
მესხიერების ქარს ნუ გაატანთ თქვენ ჩემს ხატებას,
და იმ ქვეყნიდან? თუ ჯოჯოხეთს არ მიკრეს თავი,
მე მაინც გეტყვით: ღამილოცნიხართ!
ღამილოცნიხართ!!
ღამილოცნიხართ!!!
1989წ.

საბადლოჯალი დელაღვთისგოჯალს

შენ უნეტარესო დედაგ! ჩვენის ღვთისა,
გმადლობ! ამქვეყნიურ ყველა მადლისთვისა,
პატარა ვიყავ და ეშმაკ ვერ მითვისა,
დედამ დამტოვა და მამამ გამასხვისა,
შენ სულ გვერდით მყავდი,
რადგან მთვლიდი ღვთისად,
გმადლობ! ამისთვისაც, სიტყვისათვის ღვთისა,
რომელმან ცოდვანი სოფლისა მიითვისა,
ცოდვილნო! ისმინეთ სიტყვა მაცხოვრისა,
„ნუ ისურვებთ სხვისას, ნურც გშურთ ეშმაკისა,
სული არის ღვთისა, თიხა კი სულ სხვისა“,
გესმათ სიტყვა ღვთისა, ჩვენთვის ჯვარცმულისა,
უფალო! შეისმინე ღოცვა ცოდვილისა,
დედაგ! დაიფარე მკვიდრნი ამ მიწისა,
შენწილხვედრილისა, მრავალტანჯულისა,
სისხლით მორწყულისა, შენის მვედრებლისა,
გმადლობ დედაგ ღვთისა!
ყველა მადლისთვისა.
21 სექტემბერი, 1983წ.

* * *

ვიდაცა შთაგონებას მოუცავს,
ვიდაცას სევდა შემოჰყრია,
ვიდაცას დაკარგული მოუვალს,
ვიდაცას თავისიც დაჰკარგვია,
ნეტავს მას, ვისაც უპოვნია,
ვაი მას! ვისაც დაჰკარგვია,
ო, როგორ სანატრელი გაგვხდომია,
ამ ქვეყნად ყველაფერი რაც კარგია,
სიცოცხლეს ნაბოძებს წამიერად,
ფუჭად ნუ გაატარებ ავ-კარგნს,
გოლგოთას აიტანს ჯვარი შენ და,
საყვედურს ნუ ეტყვი ადამიანს,
თორემ უკან რომ მოიხედავ,
ნახავ, რომ ყველაფერი დაგკარგვია.

1985წ.

აპი სიზმარი
(ღმერთმა ნუ ამიხდინოს)

მე არც ღვინო მწყუროდა,
და არც პური მშიოდა,
აქ იმიტომ მოვედი,
სიზმრად ნანახს ვძიობდი,
დედა ნინო ტიროდა,
ცრემლი ჩამოსდიოდა,
ამდენი მკრეხელობის მოწმეს,
გული სტკიოდა
მიშველება მეწადა,
ძალა არ მომდიოდა,
მთაში ლაღი ქორბუდა,
ძველებურს ვერ ჰყოდა.

არაგვი და ღიახვი
მტკვარს აღარ ასდიოდა,
ენგურს იქით სოფლებსაც
ღვარად ცრემლი სდიოდათ.
ოსმალო და ურჯულო
ლაღად მოდიოდა.
თეთრონზე ამხედრებულ
მხედარს ლოცვით ვნატრობდი.
გაჩეხილი მკერდიდან
სისხლი გადმომდიოდა.
1 ივნისი 1983 წ.
(ვაი, რომ ამიხდა!)

ქალვანა ავლანათში დაღუპულ გმირებს

ჩემო ბედკრულო სამშობლოვ!
ჩემო ედემის მხარეო,
რა მისია გაქვს ასეთი,
რომ ვეღარ გაიხარეო,
ლეგიონების გუნდები
მრავალგზის აიტანეო,
შენი რჩეული შვილები,
სხვის მიწას ანაცვალებო,
მათი დედების გოდება,
ზეცად ღმერთს აუტანეო,
მათი ცოლების მოთქმა კი,
ქვესკნელსაც ჩასწვდა მწარეო,
ნურც გაიხაროს დუშმანმან,
აგრემც ადრე და მალეო,
ნუ გაახარებ ვერაგსა,
დედის რძე გაუმწარეო,
შენთვის ავისა მსურველი,

შენს მიწას ასამარეო,
მტერს დაუბნელე თვალები,
მოყვარე გაახარეო,
ობლების პური დააცხვე,
გვიან კი არა მალეო,
დასაკარგავი შვილები
აღარ გყავს გენაცვალებო,
ჩემო ბედკრულო სამშობლოვ!
ჩემო ედემის მხარეო.
P.S. გადაიღალა მამული,
ამდენ იუდას ზიდვითა.
უფალს ვავედროთ ქართველნო!
ვინც ჩვენი ცოდვა იტვირთა.
07.06.2013წ.

* * *

უსიყვარულოდ სიცოხლეს კი ფასს კარგავს მუდამ,
უნდა გიყვარდეს და ვიღაცას უყვარდე უნდა,
არ გიტაცებდეს მაცდურობა ამაოების,
უნდა გიყვარდეს უბრალოდ და ღვთის სასოებით.
თუ გინდა კვალი რომ დასტოვო ამქვეყნიური,
შენ სიყვარული უნდა გახლდეს მუდამ ღვთიური,
და უკვდავებას ეზიარო შენ თუ კი გინდა,
ღვთის სიყვარული გულით ატარე შენ მარად წმინდად.
მუდამ გახსოვდეს, თუ ამქვეყნად რისთვის მოვედით,
რომ სიცოცხლეა ნაბოძები მხოლოდ დროებით,
განვლილ სიცოცხლის რომ არ გქონდეს შენ გულისწყვეტა,
შეუშრობელი ცრემლით ევედრე ღვთისმშობელ დედას.
შესთხოვე უფალს მიტევება შენი ცოდვების,
და იმის, რომ ტარება ჯვრის გესიმძიმება,
იყავი მუდამ მადლიერი შენ შენის ხვედრის,
რომელიც ღმერთმა მხოლოდ შენთვის, შენთვის ინება.
ივერი 24.01.2011.



მაცვალა გონაშვილი

მარჯაეთ მთვარე (პოეტური არითმია)

გზა აბნევია ფუძის ანგელოზს,
ჩამოქცეულა მაღალი ჭერი
და შმორის სუნით მიბნედილ ქალაქს
ავტომატების აღვიძებს ჯერი...
ქალაქი – ბაზარი,
ამბები – საზარი,
რა ფიქრი,
რა ტანჯვა,
რა ცრემლი,
რა ზარი...
ინგრევა თაღები ცის – უზარმაზარი...
შიმშილით სულს დაფავს თუ ვინმე შემოგვრჩა
უმწიკვლო, უმწეო, ნაზი და მწყაზარი.
ქალაქს იცავენ ყაჩაღები,
სახტად დარჩენილან ყოჩაღები.
საკუთარ ჯარზე გულაყრილებს
ლტოლვილებს ენატრებათ ყივჩაღები.
ოდესდაც ამ ქალაქს უმღერდნენ მგოსნები!
კარგია პოეტური აღმაფრენა,
მაგრამ როცა პროზაული დაღმაფრენით
ცხოვრება ყოველწუთს გაფურთხებს სახეში?
როცა შენს საყვარელ ქალაქში
უცხოსავით მიაბიჯებ
და თვითონ მათხოვარი,
მათხოვარს კუპონს ჩუქნი,
როცა მათხოვარიც უკადრისობს კუპონს?
რას შვრება შენი გაფუფუნებული
ეროვნული თავმოყვარეობა?
მათხოვრები, მათხოვრები, მათხოვრები,
უმწეო მათხოვრები,
იარაღიანი მათხოვრები,
ინტელექტუალური მათხოვრები,
დამსხვრეული მუსიკა... რეპი, რეპი...
მჩხიბავნი, ცრუმეტყველნი, მისანნი
გადარჩენა – ცხოვრების მიზანი.
მიზანს აცდენილი ისარი,
საკუთარ სამშობლოში ხიზანი.
გიშრის მძივები, ავგაროზები,
უსახელო გმირები, სახელოვანი ბოზები.
რაიკომის მდივნებივით გასუქდნენ გამგებლები,
ცხოვრების სპნსორია კეთილი გამგე მგელი.
– რას ჭამს ხალხი?
– ერთმანეთს.
– სადაა მთავრობა?
– თათბირობს...
სესია. თათბირი. კრებები.
დაშლილი მიტინგი.
ჩამქრალი ვნებები.
გახლეჩილი გული.
გახლეჩილი ერი,

შებშია ძმა ძმას.
იხილეთ ბოლო რაუნდი!
აკადემიკოსის ერთი თვის ხელფასით
იყიდეთ ბაუნთი!
თვალეში შიში, სულში ღამე.
სიმღერა: იყიდეთ, იყიდეთ რამე!
ჯიხურები, ჯიხურები, ჯიხურები...
გულო, ბოლმით ასე რატომ იხურები?
ქალაქი – ბაზარი, ამბები საზარი...
ოდესღაც ამ ქალაქს მღერდნენ მგოსნები.
პოდა, პოეტო, გაიხედე შენი სარკმლიდან,
დაწერე რამე!
სადამოლობით დამწვარი ნაგვის ალზე
როკავს მთვარე,
რომელიც ოდესღაც პოეტური იყო.
დაწერე ლექსი ცეცხლოვანი, აი, იმ ცეცხლზე,
აიმ მთვარეზე,
დაწერე ლექსი, თუნდაც იმ კაცზე,
პური რომ ჩაუსუტებია გულში
და სახლისკენ მიიჩქარის.
ღიპზე დაცურებული ჯვარი
ჭირის ოფლში იწურება.
(როგორ შემორჩა ნეტავი ღიპი?)
(როგორ შემორჩა ნეტავი რწმენა?)
(როგორ იშოვა ნეტავი პური?)
სადაა მთვარე!
შებოლილი მანუქეთ მთვარე!
ეს არაა პოეზია!
ეს არც პროზაა,
ისე, როგორც თბილისი,
ადარც ქალაქია, ადარც სოფელია,
ადარც ლეგენდაა, ადარც სინამდვილე;
არც ამას ჰქვია თავისუფლება!
ეს არც მონობაა!
არც სიმართლეა, არც სიცრუეა,
ამ ავადმყოფობას სახელი არ ჰქვია
და ამიტომაც ვერ იშოვი საჭირო წამალს.
თუ დაიწყება დიდი წვიმები,
იქნებ უფალმა ერთი კაცი აღარ დაინდოს?
იქნება ერთიც არ აღმოჩნდეს იმ სკივრის ღირსი!
პირი დაუფრენია წარსულს
(გაკვირვებისა თუ წყენისაგან),
რომელიც ასე საოცრად ჰგავს აწმყოს
და მაინც საოცარი გვეგონა.
არ უყვართ ოპტიმისტებს პესიმისტები,
ანუ პირიქით...
ხოლო პირაქეთ პირში წყალი დაგუბებული
გუბურად იქცა, ბაყაყებით საესე გუბურად!
ქალაქი – ბაზარი. ამბები – საზარი.
ჩალით მაინც გადავხურთ ჩვენი ქვეყანა!
მაგრამ სადაა ამდენი ჩალა?
ის ჩალა უკვე გამოგვაფლეს პირში და ახლა
მამა მოგეძახის: – ჩქარა და ჩქარა!

ჩქარა და ჩქარა, ჩავესუტოთ დედაროსიას,
თომა კითხულობს, დედაა თუ დედინაცვალი?
აბა, ურწმუნოს შეაყარეთ თვალში ნაცარი,
მთავარია, რომ გვაწოვოს ძუძუ,
რაც მოკვდა, მოკვდა,
იქნებ შეგვრჩეს ახლა რაც არის.
შენზე ახია, დედა თუკი თვითონ გასწირე,
რატომ არ გინდა, შეიყვარო დედინაცვალი?
დედაროსია! დედაროსია!
ციდან ვარდება და იმსხვრევა ქვებზე სხეული.
– იკაროსია? დედალოსია?
– ცასაცდენილი ანგელოზია.
გზა აბნევია ფუძის ანგელოზს,
ჩამოქცეულა მაღალი ჭერი.
და შმორის სუნით მიბნედილ ქალაქს
ავტომატების აღვიძებს ჯერი.
უჭერო სახლში ქარები ქრიან,
უჭერო სახლში გვაწვიმს და გვათოვს,
რა უნდათ ცაში გაქცეულ ფოთლებს?
ანდა მიწაზე დაქცეულ მნათობს?
უფალო, მათთვის მაინც იუფლე,
ვინც ისევ გნატრობს, ვინც ისევ გელის.
თორემ საკინძეს მიხსნის ეშმაკი,
თორემ კისერზე მეხვევა გველი...
თორემ ეს ფრთები, შენ რომ მიბოძე,
მხოლოდ ტვირთია, სხვა არაფერი.
თუ კაცი დარდით ჭაღარავდება,
მე გამიშავდა სევდისგან ფრთები...
დაწყევლილია სხეული ვნებით,
დაკარგულია ყველა გზაწვრილი,
მე დამეღალა თეთრი ხელები,
სააღსარებოდ ცისკენ გაწვდილი.
გაგვწირა ძმამ და გაგვწირა ბედმა
და თუ შენგანაც გავიწირებით,
დადგება დამე მარადიული,
მიწას ცრემლებად ჩავეწვიმებით.
გამოქცეულნი დედის საშოდან
კვლავ მიწადედას დავუბრუნდებით,
თუ არ გაგვისსენ ზეცის კარიბჭე,
თუ არ შეგვისსენ ზეცის ხუნდები.
ქალაქი – ბაზარი...
ამბები – საზარი...
მაჩუქეთ მთვარე.
შებოლილი მაჩუქეთ მთვარე!



ჯგუფი „ზღვა ზის“ ნოეტი



სერგი ლომაძე

მილიარდაზი

დაიბადება ზეციდან თოვლი,
და მარტოობის ფიქრებით მოვლილს,
ჩემს სიღარიბეს შემოინახავს,
შემოინახავს ცხოვრებას მოვლილს;
იქნება განცდა ფერადი თოვლის,
იქნება განცდა ნათელი თოვლის,
და სადამოთა ვუალებს მოვლის
უსასრულობა ბნელიან გონის
იქნება ბოდვა პოეტურ ფიქრის,
პოეტურ სისხლის, ცად განაგონის,
ციდან დაცემა და კვლავ ზეობა
გენიალურად შეშლილი თოვლის...
მე გამჭირვალე სამყაროს ვხედავ,
და აფეთქებას უსასრულ მოლის,
და კოსმიური ჩურჩული მზედან, –
ო, თოვლი, თოვლი, მარადი თოვლი!..

პოეტურ გრძნობის სივრცე

ვარ მარტო, თითქოს
ირგვლივ არის უდაბნოეთი,
თუმც ისიც მყოფნის,
ჩემივ ფიქრის რომ ვარ მმართველი;
მე ქართველი ვარ,
ესე იგი – მე ვარ პოეტი;
მე პოეტი ვარ,
ესე იგი – მე ვარ ქართველი.
არ არის წამი –
რომ არ იყოს ჯვარცმად ქცეული,
ჩემი სამშობლო
ჩანს კავკასის თეთრი ლანდივით,
და ქართველობა
არასოდეს არის მარტივი,
და სისხლისფერად იღებება
ლექსთა რვეული.


დრო გადის, ეს დრო
უფლის გულზე ითვლის ნაბიჯებს;
ითვლის ნაბიჯებს იქ, გელათში,
დავითის ლოდიც –
თითო ქართველი
მეფის გულზე რომ დააბიჯებს
და სასაფლაო აღივსება
ყვავილთა მოდგმით...
თუმც არ მოგვშორდა
მილიარდ წლის უდაბნოეთი,
გვახსოვსკი მაინც,
რომ გრძნობაა სიტყვა, ნათელი,
ჩვენ ქართველნი ვართ,
ესე იგი – ჩვენ ვართ პოეტნი;
ჩვენ პოეტნი ვართ,
ესე იგი – ჩვენ ვართ ქართველნი...

ჩვენი არაფრობა

*(ბევრი ვეცადე რომ
ამ ლექსისთვის ეს სათაური
არ დამერქმია, მაგრამ,
როგორღაც, სხვანაირად არ გამოვიდა
სათაურის ამბავი...)*

პოეტის სახე – გაბნეული წვიმის ფერებში,
შენი სახე კი – დაღალული, ობოლი ია;
და სიფერადე – წაქცეული იმ სიბნელეში,
რომელსაც ჩვენი მტვრად ქცეული სამშობლო ჰქვია.
ქუნაა, და მე – მონატრული ვარდისფერ ედემს,

გიხსენებ ისე ხმაგაბზარულს, ცრემლების მძალავეს:
თმები – ფერადი სიზმარები ოცნების შემდეგ,
თვალები – მათი სიტყვით შობა არ ძალუძს კალამს...
ქალაქი – გლოვა, და გლოვაში – მისტიკა წვიმის,
უცნობ ლანდებში მეც ლანდივით ხეტიალს ვიწყებ,
ზევით ზეცაა, იქ სამყაროს გუგუნი ისმის,
იქ ვარსკვლავების სითეთრეა – სულების სივრცე.
აქ რარიგ ტყვე ვარ! რა შორსაა ახლა ის მხარე,
ფერადი წვიმით რომ მიგზავნის, მხოლოდ, ბარათებს!
ჩემში რომ ცოცხლობ, ვით სიგიჟე, ისღა მახარებს,
და იაქეზე რომ აგორებს ბედი კამათელს,
უკვე ვიციინი... მერე მოდის ღურჯი სიზმარი:
შენ თრთი, ვით ბავშვი, ცრემლებისგან პეშვებს აივსებ,
და სიყვარულად გადიქცევა გრაალის წყალი,
და შენი სითბო მე გამიყვანს გრძნობის ნაპირზე...
ქალი, რომელიც დამიხატა მოლურჯო წვიმამ
ქალაქის ყველა ფანჯარაზე და ყველა ჯვარზე,
ქალი, რომელიც სიყვარულზე მეტადაც მიყვარს,
ქალი, რომელიც ღვთისმშობელის არყოფნას ავსებს,
ცხოვრობს როგორაც არაფერი, და ისე კვდება,
მხოლოდ ეს ლექსი თუ ახსენებს სიკვდილის შემდეგ,
და ისიც მაშინ, თუ გასცდება ჩემი დიდება
ერთ დაობებულ და პატარა ოთახის კედლებს...
ქალაქი – გლოვა, და გლოვაში – მისტიკა წვიმის,
უცნობ ლანდებში მეც ლანდივით ხეტიალს ვიწყებ,
ზევით ზეცაა, იქ სამყაროს გუგუნი ისმის,
მხოლოდ იქ არის უნამდვილეს პოეტთა სივრცე!..



კახა ბადიკაძე

ზეპისაჲ

აზრი არა აქვს ზამთარზე ჩივილს, –
ცხოვრება მაინც უფრო მხეცია;
და მე არ მესმის ისეთი ჩივის,
ფრთები რომ მუდამ დაუკეცია.
ლექსის მორევში ვარ დაკარგული,
ვქარგავ სტრიქონებს ფერად კონებად,
და მე არა მწამს ისეთი გულის,
გონების კარნახს რომ ემონება.
ცხოვრებისათვის კვლავ არ მცალია,
სული იგუბებს სევდის ნაწვიმრებს,


პოეზია კი ის მწვერვალია,
რომ შეიფარებს გრძნობის არწივებს.
ისევ თან დამაქვს ხმა უწინდელი,
გული ცხოვრებას კვლავ ეურჩება,
და მე არ მესმის ისეთ ფრინველის,
ცას რომ ვარსკვლავად ვერ შემორჩება.
ლექსის მორევში ვარ დაკარგული,
ვქარგავ სტრიქონებს ფერად კონებად;
ვამბობ: არ მესმის ისეთი გულის,
გონების კარნახს რომ ემონება...

მაშ ღარჩეს ასა...

გთხოვ, მაპატიო, გრძობას ვერ ვმაღავე,
სისხლი შენს სახელს გულზე დამიწერს,
ფილტვებს აკლია ჰაერის ძალა,
როცა ვერ გხედავ, როცა არ გიმზერ;
გთხოვ, მაპატიე, რომ ვარ თვითმკვლეელი,
შენზე ფიქრებით ვენებს რომ ვსერავ,
შენი თვალების სხივთა მხილველი,
თუ უღურჯესი ზღვასავით ვღეღავ;
თუ ყოველ დამით ვხატავ შენს თმათა
საოცარ ფერებს, ციდან მონატანს,
და კიდევ უფრო რომ განგიცადო,
ფიქრის დროს რომ ვრთავ „მთვარის სონატას“,
გთხოვ, მაპატიე, რომ გაგაღმერთე,
რომ სიყვარული ასე ვიწამე,
და საუკუნე, ოცდამეერთე,
გადავამსხვრიე დედამიწაზე,
და უსასრულო ლექსად გარდავქმენ
ჩემი სიცოცხლის ტრფობა – შენდამი,
მე ამ სამყაროს შენს სახელს ვარქმევ...
მაშ ღარჩეს ასე მარადის... ამინ!...

მზერა

მზერა ჩაივლის თვალთა ხეივანს,
შენგან სინათლის სხივებს მოელის,
გულის ფეთქვა ხარ, ჩემი, დღეიდან,
ამ სიცოცხლეში შენთან მოვედი.
დაღამებიათ ფიქრებს ბილიკზე,
გული ჩრდილების სევდას განიცდის,
სამყაროს გავცვლი, მე, შენს ღიმილზე,
მაგრამ ძვირფასო, ეს, შენ, არ იცი...
მზერა ჩაივლის თვალთა ხეივანს,
შენგან სინათლის სხივებს მოელის,
თვით სიცოცხლე ხარ, ჩემი, დღეიდან,
ამ სამყაროში შენთან მოვედი...



ბნელა სიღურჯით



გიორგი ზუხბაია

„ცისა ფერს, ლურჯსა ფერს,
პირველად ქმნილსა ფერს...“

ბარათაშვილი

„პოეზიაა სიღურჯე“, – მითხრეს,
და მეც ამ ფერით მსურს დავიფარო,
ლურჯ საღებავში მე ჩავეყოფ თითებს,
რომ სიყვარულში „ამოვითხვარო“.
სიღურჯე მარად ფიქრია, დღეა,
მხოლოდ ეს ფერი ტკივილს მიყუჩებს,
მე ჩემი გრძობის წინაშე ვდგევარ,
და თვალებიდან წვეთავს სიღურჯე.
კვლავაც ამ ლურჯ ფერს, სივრცეთა მხლებელს,
სიცოცხლეს, ჩემსას, დაუფენ ფერხთით,
ლურჯ საღებავში მე ჩავეყოფ ხელებს,
რომ „დავითხვარო“ ხელები ღმერთით...

ის არასოდეს შეწყვიტავს წერას...

იგი კვდებოდა, და სხივთა რიგი
ცოცხლობდა მასში, როგორც სიმბოლო,
ფერმკრთალ ოთახში კვდებოდა იგი,
იწვა, ფანჯარას უმზერდა მხოლოდ.
იყო პოეტი, თუმც ახლა, იმას,
აღარ შეეძლო ეწერა რამე,
მზე კი არ მოკვდა, რაც ჰქონდა წინათ,
კვლავ თრთოდა სულში „მზიანი ღამე“.
აღარ შეეძლო მხოლოდ მის თითებს,
მხოლოდ მის სხუელს შეეძლო აღარ,
სული კი ქმნიდა, და ფიქრთა იქეთ,
რადაც საოცარ სიცოცხლის გაღმა,
კვლავ ანათებდა გრძობა ეული,





რაც აღარ გაქრა და არც მინავლდა...
მაშინ დგებოდა ლანდი სხეულის,
ჯდებოდა იქვე – მის მაგიდასთან...
და ღამეებში, როს ფერთა ფარდი
სამყარო თვითონ გადავა სევდად,
სანთელის შუქზე; პოეტის ლანდი,
წერდა სტრიქონებს, გიჟივით წერდა...

ჰოიბი-ნაჰოლაონი

როდესაც სული მეტია ცაზე,
და ფრთებს ცხოვრებამ გადაუარა,
საკუთარ ლექსებს მიმართავ ასე, –
„ჯარისკაცებო, თქვით, მცნობთ თუ არა?!“
პარიზთან ახლოს ცა უსრულია,
გულის წიაღში ატევ მოლოდინს,
შენ დგახარ მარტო, მარტო სრულიად,
სული სავესე გაქვს ვატერლოოთი.
ღმერთი ყოველთვის იქნება შენსკენ,
აღარ გადარდებს ბედის მუქარა,
და უმეორებ საკუთარ ლექსებს, –
„ჯარისკაცებო, თქვით, მცნობთ თუ არა?!“

რაც იყო, იმას ვერავინ წაშლის,
ვერც დამარცხება, ვერც დროთა ნგრევა...
ტყვიას არავინ გაისვრის მაშინ...
ლექსები შენი ერთგული რჩება.
და როცა ზეცა სადღაც არსებობს,
მიმართავ სიტყვებს, (გავსებს მუდარა), –
„მეხუთე რამიზს ჯარისკაცებო,
ჯარისკაცებო, თქვით, მცნობთ, თუ არა?!“
არავინ გიცნობს, ლექსების გარდა,
გზა არის მძიმე და უსხივებო,
და შენც შედიხარ პარიზში, სადაც
მხოლოდ ასი დღე უნდა იმეფო!...



ვასო ლომიძე

ლურჯი სონატა


ჩემი ფიქრები გაივლიან წვიმიან ცაზე,
ტანჯვას მიწაზე დასტოვებენ, დროის მონატანს,
გადმოხედავენ მიწისაკენ დაშვებულ წვეთებს
და გაჰყვებიან მოშრიალე წვიმის სონატას.
ღმერთო, მიიღე ჩემი ლოცვა, ასე გვიანი,
შენი ნათელი ბილიკებით მინდა ვიარო,
შენ გააჩინე შენს ხატებად ადამიანი,
რომ შენი ტანჯვა, შენი ჯვარცმა გაუზიარო.
ადამიანი ცდილობდა და მუდამ ეცდებოდა,
სუსტი ხელებით აიტაცოს სამყარო სრული,
თუმცა გონება გამოუცნობ საზღვარს ვერ სწვდება,
მაგრამ იღუმად ოკეანეს განიცდის სული.
თეთრ ნიჟარებთან, ლურჯ ტალღებში,
ვარსკვლავთა სხივი
მარჯნის ყვავილებს მოციმციმე შეუქით დანამავს,
ზეცის ვარსკვლავი ზღვის ვარსკვლავებს ესაუბრება,
ზღვის სასახლეში მიეღიან თევზთა ქარავანს...
ჩემი ფიქრები გაივლიან ნაწვიმარ ცაზე,
ტანჯვას მიწაზე დასტოვებენ, დროის მონატანს,
გადმოხედავენ მიწისაკენ დაშვებულ წვეთებს
და გაჰყვებიან მოშრიალე წვიმის სონატას...

თეთრი აფრები

მე უკაცრიელ კუნძულზე ვცხოვრობ,
თქვენთან ვერასდროს ვერ დაგბრუნდები.
როცა თქვენი ხმა მომენატრება,
მაშინ მე ჩემს თავს ვესაუბრები.
მე ყოველ დილით ნაპირთან ვდგევარ,
გავცქერი სივრცეს დაუსაბამოს,
მხოლოდ დრუბლები, დაუზარებლად,
ცას მოხატავენ ყოველ საღამოს.
ნუთუ ბოლომდე ასე დარჩება,
ნუთუ ბოლომდე ასე გავექრები...
მაგრამ იქნება ჩემს ჰორიზონტზე
მეც დავინახო თეთრი აფრები...
მე უკაცრიელ კუნძულზე ვცხოვრობ.

* * *

რა მანძილი გავიარე დღემდე,
მაგრამ ცეცხლი გულში ღვივის ჯერაც,
ხელოვნებას ახლა უფრო ვენდე,
სილამაზის ახლა უფრო მჯერა.
მზე ჩაჯდება ოქროცურვილ ნავში,
გაცურდება ლაჟვარდოვან ტბაზე,
მე განვიცდი ზეციერთან კავშირს,
როგორც ჩემგან ცამდე გაბმულ ხაზებს.
ახლაც მინდა უხილავის ხილვა,
შეუცნობლის სურნელებით ვთვრები,
ფუნჯით ხელში დამათენდა დილა,
ქარს დახატავს ოქროსფერი თმები...
მე ამ ქარებს მოყვებოდი დღემდე,
ამ ქარების ხმა ჩამესმის ჯერაც,
ხელოვნებას ახლა უფრო ვენდე,
სილამაზის ახლა უფრო მჯერა!...





გურამ ლაცაბიძე

წაველი

ჩაება სუნთქვა სექტემბრის მარხილს,
ქარში მუსიკას ქსოვდა კიფარა.
მიწამ ყვითელი ფოთლების თაღხი,
ნელა შრიალით გადაიფარა.
გადაუხვია სულმა გეზიდან,
მთვარე ვარსკვლავებს თავისკენ სწევდა.
წაველი - დარჩა ერთი ლექსი და
ერთი უბრალო პოეტის სევდა.

მსგავსება

რადაცით ჰგვანან ქალები ხეებს,
ხეებიც - ქალებს.
ზოგის წიაღში ბუღბუღი გალობს,
ზოგს - ცადაპერობილს, მაღალს და ტა-
ნადს,
ვერ აწვდენ ხელებს.
რადაცით ჰგვანან ქალები ხეებს.
და ქარში, თანაც,
დაუნდობელ, უღმობელ ქარში,
ერთგვარად იგრძნობ შიშის კანკალს
ხეშიც და ქალშიც.
და ასეც ხდება,
როცა კაცი ყველაფერს კარგავს,
ხე რჩება ერთი,
შენ ის ხე ხარ
და ის ქალი ხარ,
რომლის ტოტების ჩუმი სიმები
შემიმსუბუქებს ბოლო ასახვევს.
გააკეთებენ შენგან სასახლეს
და სამუდამოდ ჩამასვენებენ.

მეცია კაცზე, მეტი პოეტზე

გამკრთალდა მთვარე - მედალიონი-
-ცის
და გავლიე ეს ოცწლეული.
ახლა თენდება და ალიონი
გადაიხლინა ბროწეულივით.
სხეული, სულის ვიწრო სანახი,
ქანაობს ლექსის მსუბუქ რტოებზე.
ნეტავ ვიცოდე, ჩემში რა ნახე,
კაცზე მეტი და მეტი პოეტზე?!
და გახდი ჩემი ფიქრის მეტივე,
ნეტავ დატბორვას თუ გადავრჩები?!
დგანან, ფანჯრებთან ღამეს მითევენ
ჩემი შავტუხა კუკარაჩები,
ოსტატები და მარგარიტები,
ჯულიეტები, რომეოები,
და მაგ თვალებით - მარგალიტებით,
ახლალა ვხვდები რომ მეუბნები:
-გრძნობის მორევში უნდა მოექცე,
შეიხსნა სუნთქვა ყელთან ღილივით,
მეცია კაცზე, მეტი პოეტზე
შეყვარებული კაცის ღიმილი.

არ მსურს მეფობა

არ მსურს მეფობა,
არ მივტირი დიდებულ გვირგვინს,
ანდა მის ირგვლივ
ანგარებას, შურსა და
ტალახს.
არ მსურს მეფობა,
ჩემს სულს ვიცი მცირეც ეყოფა
და ვერც სალი კლდე დაუდგება
გაფრენის სურვილს.
დღეს ძღვევამოსილ ლუდოვიკოებს
ხვალ იმ ვერსაღში გამოამწყვდევს

მძიმე ეპოქა.
არ მსურს მეფობა.
მირჩენია მთელ თქვენს
დიდებას
იმ მიწის სუნი
სადაც ვიცი ჩამასვენებ,
როგორც ტერენტი,
ვით ალან პო
როგორც გოეთე,
ჯანდაბას მერე ყველა წოდება
გარდა პოეტის!



ალექსანდრე გოგინაშვილი

„აუხსნელი სიყვარული“

შენ სიმღერას მოგიძღვნიდი,
ლექსების ზღვას, ლექსთა წყაროვ,
სიყვარულსაც შენ გიძღვნიდი
მშვენიერო პატარძალო.

მე ლახვარი გულში დამცეს
და ჩამიქრეს სიხარული,
მეგობარმა ჩემ პატარძალს
როს აუხსნა სიყვარული.

ვიცი ცოტა დრო დაგკარგე
ვერ გაგიხსენ ჩემი გული,
მეგობარმა ქორწილის დროდ
აირჩია გაზაფხული,

გაზაფხულზე ჯვარს დაიწერთ
გაიშლება ქვეყნად ვარდი,
ჩემს სიყვარულს დარჩენია
მწუხარებით სავსე დარდი,

გვარიშვილობას რადა სთხოვ
ქვეყანაც არ შერჩენია,
მისთვის ხომ სხვაგან სტუმრობა
ნამდვილი განაჩენია.

* * *

კაცს უნდა ქონდეს სახელი,
თუ სისხლი გასაღებია,
ერთი აქ დასარჩენი და
ერთიც თან წასაღებია

2015 წელი

„ჩემი ქვეყანა“

ჩემს სიცოცხლეს რაც ამშვენებს,
ჩემი მიწა და წყალია,
ეს არ ნახული ქვეყანა
ღმერთთანა მოუბარია,

ჩემს ქვეყანას რაც ამშვენებს,
ეს წინაპრების კვალია,
სისხლით და ოფლით მორწყული
ჩვენამდე მოუტანია.

2015 წელი

გულმოკლული გავჩუმდები
მე უფლება არ მაქვს სიტყვის,
მეგობარმა რა იცოდა?!
არა მითქვამს, არა მისთვის.

ერთი დამრჩა სიყვარული
მხოლოდ ლექსში გადავმალე,
სიყვარულისა სათქმელად
ამ ლექსს გიძღვნი პატარძალო.

2015 წელი

„ბოძა“

ჩემი მიწა და მთაბარი
მას სახლად აურჩევია,
თუნდ გავარი მაინც არააქვს
ბოშაა მაგრამ ჩვენია.

2015 წელი

„გმირებს“

ცრემლს ნუ უჩვენებ ბაღსადა
ბაღლისთვის მამა გმირია,
უფროსი ვაჟი დაკარგე
იგი ხომ ომის გმირია.

მიწამ ჩაყლაპა ვაჟკაცი,
ერმა დაკარგა შვილია,
სამშობლოს თავი შესწირა
მისი გზა დალოცვილია.

სამოთხის კართან მისულსა
დახვდება ყველა გმირია,
ცოდეებს შეუნდობს უფალი
მისთვის ხომ ყველა შვილია.

გმირისა სული ცხონდება
ყორნებმა შჭამეს მძორიო,

მისმა გმირობამ სამშობლოს
გადაურჩინა გორიო.

სამშობლომ გმირნი დაკარგა,
მაგრამ მათ დარჩათ ძენიო,
ახლა ხომ მათი ჯერია
გლეხი არის თუ ბრძენიო.

ცრემლს ნუ უჩვენებ ბაღსადა
ბაღლისთვის მამა გმირია,
უფროსი ვაჟი დაკარგე
იგი ხომ ომის გმირია.

უმცროსსა ხმალი გადაეც
არ ამოსვლია კბილია,
აკვანს აბჯარი დაჰფინე
იძინოს სანამ ღხინია.

2015 წელი

„იღია“

ქართველთა დიდო მგოსანო,
წმინდაო დიდო იღია,
შენ რაცკი საქმე აკეთე
ყველასთვის გაკვეთილია.

ლექსითა ენა აღიდე
მტერს შეუკარი კბილია,
ერისთვის კარგი გინდოდა
გაგექრო გასაჭირია.

მამულს იცავდი საქმითა
ეს განა გასაკვირია?!
ვინაცა ეს ვერ გაიგო
ცოცხალიც დასატირია.

რწმენას, რომ თავი შესწირე
ერისთვის გაკვეთილია,
ქართველთა დიდო მგოსანო
წმინდაო დიდო იღია.

2015 წ.

„მამულის დასაცავად“

კრწანისის ველზედ გამოჩნდა
ჯარი ურიცხვი მზაკრული,
გუშაგმა მტერი შენიშნა
ზარებს გაუდის რაკუნი.

ციხეზედ ცეცხლი აინთო
მტრისა ანიშნეს შემოსვლა,
მეფემან ჯარი შეკრიბა
წმინდა გიორგის შელოცა,

სიცოცხლეს მე შენ არაგთხოვ
გმირნი მიმყოფე მყარადა,
რათა დავიცვათ მამული
სამშობლოს ვედგეთ ფარადა.

2015 წელი

"მუხა"

სამასი წლისა შევსრულდი
არ შემიცვლია სახეო,
ტანხედა რკოი მოვისსი
ღორებ დაუგე მახეო.

მესსაცა ტანხედ ვიზიდავ
რათა გადარჩეს სხვა ხეო,
ქერასა სახლი მივეცი,
ბუ ფულუროში ვნახეო.

კაცს შევიფარავ მზისგანა,
რომ არ დაეწვას სახეო,
ჩრდილ მოუგროვებ ფოთლითა,
მადლით ვესება სახეო.

თუმცა არიან ბოროტნი!
ცული გაუღვეთ მხარზედა,
ხეს ჩამოჩეხეს ტოტები
მორი გაუღვეთ განზედა,

ტოტები იქვე დაყარეს
მობრუნდნენ ახლა სხვაზედა,
მინდოდა არ დამენახა
ბინდი მქონოდა თვალზედა.

მოდით ვაჟკაცნო აქავარ!
ათი ხისა მაქვს ტანიო,
მაგათ ნუ განეხთ ბაღლებსა
იცხოვრონ ცოტა ხანიო,

მე მამაჭერით ტოტები
და შეუკეთეთ ცეცხლშია,
უკვე სამასი წლისა ვარ
გული დამეწვა წლებშია

და დაიხსომეთ ყველამა
ხესაცა ტკივა ცულიო,
თუკი შეშათა გინდივართ ?!
მოძებნეთ ხმელი გულიო.

ხმელისა ხისა ადგილას
დაგერგოთ ნერგი ცვრიანი,
ტყე შეუნახეთ შვილებსა
არ გინდათ ცულის ტრიალი.

2014წ.

"კლდენი"

კლდენი ვართ კავკასიონის
ვერასა გვაკლებს დრონია,
ბეჭზე ღრუბელი მოგვისხამს
ყინული გვაღვეს ბროლია,

გადავყურებდეთ ზღვასა
თეთრსა ვხედავდეთ თოლიას,
არწივი ჭყვივის დილით
იგიც ხომ დარდს აჰყოლია.

ჩემთან ვერ მოდის ვერა
ვერც ხოხობი ვერც გნოლია,
აქ განისვენებს ბევრი
მთამსვლელი ვითარც ლომია.

ჯიხენი დაქრიან ლაღად
ვითომცა კლდენი სწორია,
მთამსვლელო ხელი ჩაგვჭიდე
რაც კი ძალი და ღონია.

თუკი ვერ ახველ წვერსა
თუკი დაგიცდა ფეხიო,
თუ მუდამ ჩვენთან დარჩები
დაიჭეკებდეს მეხიო,

მსუბუქსა მიწას ვერ მოგცემთ
არაგვაქვს ეგ მადლიანი,
მაგრამა დიდი დარდითა
ქელი გასდება ქვიანი,

ცრემლებსა დავდვრით ღვარადა
ადიდდეს ნაკადულები,
კლდენიც ვიტირებთ მარადა
გაგვიცივდება გულები.

კლდენი ვართ კავკასიონის
ვერასა გვაკლებს დრონია,
მთამსვლელო ხელი ჩაგვჭიდე
რაც კი ძალი და ღონია.

2015 წელი

"საგურამო"

სოფელო ოხერტიאלო,
გურამიშვილთა მხარეო,
ზედაზნის ძირში გაშლილო
ნახატო არემარეო.

2015 წელი

„მცხეთა“

სვეტიცხოველი დაჰყურებს მცხეთას,
ჯვრის მონასტერთან ქრიან ქარები
და ზედაზენზე ანთებენ სანთელს
მე კი მცხეთისკენ მივექანები.

მარლთმადიდებლად მოვედი ქვეყნად,
ჩემი ვალია დავიცვა ჯვარი,
მუხლმოდრეკილი ვიქნები მარად
თუნდაც სხვა რწმენით იყარონ ჯვარი.

მე წმინდანების საფლავებს ვნახავ,
მაცხოვრის ხატთან დავანთებ სანთელს,
რწმენას დავიცავ, ვიდგები ფარად
თუნდ, რომ ქვეყანა ყირაზე დადგეს.

სვეტიცხოველი დაჰყურებს მცხეთას,
ჯვრის მონასტერთან ქრიან ქარები
და ზედაზენზე ანთებენ სანთელს
მე კი მცხეთისკენ მივექანები.

2014 წელი

„წყარა სიყვარული“

როს ქვეყანას ფრთაგაშლილი
გადაუფრენს თეთრი წერო,
ჩემს პატარა სიყვარულზე
მინდა ლექსი დაგიწერო.

გრძნობის მერცხალს გამოვგზავნი
შენი გულის გასახარად,
შენი სიამაყე ხვდება
ჩემს სიყვარულს კლდეთ და ფარად.

ვით არწივი ვითარც ქორი
თავისუფალ ვქროდი მარად,
სიყვარულმა ჩამოქროლა
და დავეშვი ციდან ბარად,

არა გესმის მიჯნურობის
არად აგდებ ჩემსა ხმასა,
შენ სიყვარულს ტყუილად ვითხოვ
დაუპყრია გული სხვასა,

სიყვარულის ბორკილებმა
თითქოს უნდა დამატყვევოს,
მე ცხელ რკინას გულს ჩავიკრავ
მინდა გული გამიცხელოს.

ეხალა მივხვდი რად არ მწყალობ,
რად დახურე ჩემთვის კარი,
ჩემს ანთებულ სანთელს აქრობ
და ჩემს გულში ჩადგა ქარი.

2015 წელი

„საქართველო“

განა ქვეყნდა ბევრია
მიწა მოფენილ ვარდითა,
მთანი ღრუბლებსა წვედებოდნენ,
მიწა ხარობდეს ვაზითა,


მინდვრად ხარობდეს ხორბალი
ფერი საამო ქარვითა,
ბალახს ხმარობდნენ წამლადა,
დილას იწყებდნენ მამლითა,

ჯიხვნი დარბოდეს მთაზედა,
არწივი ქროდეს მადლითა,
მიწას მდირარე მოქროდეს
კალმახითა და ჭანრითა,

გორებსა ტყენი ფარავდეს,
ჩიტი გალობდეს მადლითა,
დილასა ლოცვას ამბობდნენ
სანთელს ათებდნენ ნატვრითა.

2015 წელი





ვაჟა ეგრისელი

* * *

არც ოქრო,
 არც ვერცხლი,
 არც ფული,
არ გშველის...
 შურში ხარ ჩაფული...
და აღმოგაჩინონ, ვით ტროა,
დროა,
 პოეტო, დროა!
1988

მინა

მზე უგზო-უკვლოდ მიაჭენებს
 სინათლის რაშებს,
მთვარეც ბაძავს და უკან მისდევს
 სიბნელის რაშით
და ჩვენ მოკვდავებს ცოტა გვრჩება გასახარელი.
წევს უღარღელად –
 დრო და ჟამის
 ამღვრეულ ზღვაში
და ჩვენს სიცოცხლეს კვლავ იცოხნის მიწა
 ხარივით.
1977

* * *

ცივია ახლა ეს მოგონება,
 უფრო ცივია სინანულის
 გზა უპირქუბო
და ეს წუხილი შენ მომანიჭე,
გახსოვს?
 როდესაც უნდა შეელო
შენი კეთილი გულის კარიბჭე,
 და სწორედ მაშინ,
სიყვარულს რომ ფეხი დაუსხლტა.
1967

ღელა, ყოფნა რა იქნებოდა

თითქოს სოფელში ვიყავი და...
 უაუქცეული
ბინდი შუკებში უხმოდ ქრებოდა.
მოსხველ,
 ვით წინათ
 შემისწორე თავსასთუმალი.
გამომეღვიძა...
 ღელა,
 ყოფნა რა იქნებოდა,
რომ აღარ იყო ჩემი სიზმრის
 ხშირი სტუმარი.
1984.



და მერე გვიან...

მომწყდება ცრემლი, როგორც ვარსკვლავი,
და ცას მიპყრობილ
 ღია თვალებში –
ჩამეყინება შენი მზე და
 შენი ბორცვები
და...
 საქართველოვ!
 შენ მოგიკვდები,
გაჩენის დღიდან შენზე მლოცველი.
1977



მიმოზა ცანავა

სიყვარულის გზის გვირგვინი
(პოემა)

მე შევეჩვიე უშენობას,
აკვამლებულა სიყვარული და
შეშასავით შიშინებს გული,
რამ შეგაშინა?
მიახლოვდება გზის დასასრული,
შენ კი არ სჩანხარ,
შემომათენდა ფიქრთან ჭიდილში,
გულზე ურდულად დამედო დარდი,
როგორ გაველიე უშენოდ წლები,
როგორ მიყვარდი!
სულს შემოაცვდა გლოვის პერანგი
და გაშიშვლებულს მაცაცხცახებს
ბელურას გულით,
ვერ ამიხსნია, დღემდე ვფიქრობ
ვით გამიმეტე.
რატომ მარგუნე დაცრემილილი
დღის დასასრული.
.....
სევდის ცივ მარცვალს
შავბნელ დამეში შეშინებულ
ჩიტვივით ვკენკავ,
ატმის რტოები დღესაც მაგონებს
შენს გაშლილ მკლავებს
და ლამის არის დარდის ქარით
სუნთქვა შემეკრას,
რად მებრალება ნასათუთარი
დღეების გროვა,
შენ ვერ გაბედე ჩემთან მოსვლა,
მაგრამ მე შენთან უთუოდ მოვალ!
მოვალ, მოგიტან შროშანების
მშვენიერ გროვას,
მერე უშენოდ გატარებულ
დღეთა ჯარზე სულმოუთქმელად
მოგიყვები, ვით დამათოვა.
მერე? მერე მოხდება სასწაული,
გავხდებით ერთნი და ჩვენს ვედრებას
უსათუოდ შეისმენს ღმერთი!
.....
ჩვენი სულები ედემის ბაღს შეერწყმება
წიანკწიარა წყაროდ,
წუთისოფელში დავიტანჯეთ და
იქნებ, იქნებ , იქ გავიხაროთ!
ამ დია ცის ქვეშ ენძელებთან
დავიდეთ ბინა,
დაგვეხურება საბნად ზეცა,

თუ ჩაგვეძინა.
გვირილები კი მოგვიქსოვენ
მზისფერ ხალიჩას,
ოი, იმედის ნაპერწკალი
ხედავ? გამიჩნდა.
ნუ გეშინია, ქარი ყველა
ტკივილს წაიღებს,
გვედრებ, უფალო!
მოწყალება კიდევ გაიდე!
სიყვარულის მზე ჩამისახლე
გულში იმედად,
წამმა გამწირა,
მაგრამ რწმენამ დამამიქდა.
მოწყალე თვალთ გადმომხედე,
ზეცავ ნათელო,
ოცნება მაინც დამიტოვე
და არ გამთელო!
გაპობილ ბაგეს შეაგებე
სიტყვა ვინ მყავხარ,
მთელი სამყაროს გასაგონად
მითხარ მიყვარხარ!
რომ კიდევ ერთხელ აგიზგიზდეს
ბუხარი- გული,
შემომენთე და მაქციე ცეცხლად,
კვლავ მოკრძალებით მომახურე
რწმენის მანტია,
გლოვის პერანგი რამდენი წელი
ვატარე, მეცვა.
.....
მე სიყვარულის ტაძარი ვარ,
შემოდი ჩემში
ნუ გეშინია ,არ ჩამქრალა
სანთელი გულის,
და დამეწაფე, როგორც წყაროს
წყურვილის მერე,
დედამიწაზე უფრო დიდი
საგანძური აღარ მეგულების!
ჰო, სიყვარულო!
ჩემი ყრმობის ყირმიზა ვარდო,
დღესასწაული მაჩუქე ტრფობის,
რომ კიდევ ერთხელ
ცისარტყელად ვაქციო სული,
რომ კიდევ ერთხელ
მომიმრავლდეს დღეები ტკობის.
დაგელოდები, სულწასული

არა ვარ ხვდები, გულის კარები
ლიად დავტოვე, კიდევ დაგიცდი,
კიდევ და კიდევ უუსასრულოდ!
ჩემს სულგრძელობას უმადლოდე,
კიდევ გადროვებ!

.....
შენ გელიმება სიყვარულო!
(რა დროს ეს არის)
და რად გგონია, რომ შესძელი
ჩემი წაქცევა.
ჰო, მართალია მათევეინე თეთრად ღამენი,
ჩემი ვარამიც ხომ ერწყმოდა
თითქოს ცას ცრემლად,
მაგრამ სიბნელეს მზის სინათლე
ცვლიდა ნიადაგ,
და სხივთა კონას მიმზადებდა
მზე თაიგულად,
ველარ წაშალა უნდობლობამ
ნდობის ბარათი
და ახლა ვხვდები,
რად აეფარა მზე- სიყვარულის
ფარად სულს, თუ რად?!

შენ მზე ხარ სულის სიყვარულო,
ამხვევებულო,
დღემდე შემორჩი ჩემს საუფლოს,
ზეცას, ვით გრგვინვა,
შენი თაკარა ქრუნტელად
მივლის და მათობს,
ლამაზ სიყვარულს
მზის სხივები ადგას გვირგვინად!

.....
გფუთე და გფუთე სიყვარულო,
შემოგინახე შემოდგომის მირჩენილ მტევნად,
შენი ბადავით ჩავიტკბარუნე
სული მდუმარე, რად გაჟურსულხარ,
რად მინავლდი, ჩემო კეთილო,
ხანდახან თავი შემახსენე, როგორც სტუმარმა
თორემ გაძარცვულ ზამთრის ბაღებს--
შეცივნულ ხელებს მკედარი ჩიტივით
გაჰყინვით ძარღვები ხედავ?
ეს... სიყვარულო! საბადაგოდ გაძუნწებულხარ,
რად გემეტება ჩემთვის მარტო დარდი და სევდა!
მე ვერასოდეს დაგივიწყებ!
შენი სურნელი დღემდე მომყვება
და ძალას მაძლევს,
რა შეუქმნია მარადისი ნეტავ ბუნებას,
მე რწმენა შემრჩა, ამ რწმენით გავძლებ!
შენ ნალოდინარ თვალეში სხივად
ჩარჩენილხარ და ხანდახან ელავ!
ხან რა უხვი ხარ, ან რა კეთილი,
შენ შეგიძლია სუყველას შეველა,
ეს დედამიწა აქციო ბაღად,
დღესასწაული მოგივიწყო სულის,
თუ ისურვილებ ფრთებსაც შეგვასხამ
და აგვისრულე ფრთებშესხმულ სურვილს.
მაგრამ ჰო, მაგრამ გაჯიუტდები,
თავად არ იცი, თუ რა გახარებს,
მოიქუფრები, ვით ღრუბლის ფთილა,
წყენით წამწამებს დაახამხამებ,
ჩაიკეტები საკუთარ თავში,
არ გსურს ბაასი არავისთან,
ქშინავ და ქშინავ!

მერე ცრემლებად გადმოიდვრები
და უმაღ შეცვლი ხასიათს და
ვერ ვხვდებით ვინ ვართ!
ხანაც უეცრად გამოიდარებ,
დაემსგავსები მოკისკისე ცას,
შენ რაც არ უნდა მიქნო შოლტი,
ველარ წამაქცევ, შენი სხივების
ისევ ისე მწამს!

.....
ჰო, სიყვარულო, სხივთა გვირგვინი
შემოგინახავს,
გვეთამაშები, ხანაც უჩუმრად სხივებს
გააქრობ,
ხანაც სავსე გაქვს სხივით თასები!
შენი სხივები მძივად აკვინძე,
ხან ყვავილების კონად შეგკარი,
ხანაც გვირგვინად დავიდგი თავზე,
გაგულისდი და ხელი შენ მკარი.
ველარ მოგიღბე გული ვერაფრით,
ვქარგე და ვქარგე ჩემთვის სიტყვები,
დრო-ჟამის მიერ დაგროვილ წვიმად,
გადმომეღვარა ცრემლის მდინარედ
შენთვის სათქმელი, ახლა გიყვები,
შენ მიწოლილხარ ატმის რტოებზე,
გვირილებს კრძალვით უსწორებ კაბას,
არც ენძელებთან რჩები ვალში და
წამებს ლოდინით ძაბავ და ძაბავ!
რა ტკბილ-მწარე ხარ შე, დალოცვილო,
აიწყვიტე და მომხვიე ხელი,
მე მზის გვირგვინი შეგარქვი ხედავ?
და მზის გვირგვინად ისევე გელი!
წლები გაშინებს? ნუ გეშინია,
წლებმა ფერებით გფუთა და გფუთა,
სიყვარულს თურმე დრო-ჟამი არ აქვს,
ეს მე კი არა ერთ ბრძენ კაცს უთქვამს.

.....
მე ტაძარი ვარ, დიდი ტაძარი ერთგულების
და შემოდი ჩემში,
ნუ ჩაგაფიქრებს დროებითობა,
თორემ ქარ- წვიმა ყველაფერს შეცვლის.
მოდი, გაბედე შე, ღვთისნიერო,
ხედავ? სამყაროს ცა ბელს მივინდო!
ერთად ვილოცოთ და ერთმანეთი
ავაყვავოთ და ვაბედნიეროთ!
მომწყინდა მარტო, ამიტომაც გამოგიგონე,
ფრთები შეგასხი, ასაფრენად მზადა ხარ უკვე,
მოგიტევე და მაინც გიწამე,
ჩემს უთქმელ სევდას შენ ვერ გაუბე,
როგორც ცუნამმა გამაცამტვერე,
გულ- ღვიძლი ურცხვად ამომაცალე,
და მატრიალე, ვით ქარბორბალა,
წელიწადები მწვი და მაწვალე,
ხან შენი ბრჭყალით მეცი, გამგუდე
მერე ეცადე, სული ჩამბერე
და ასე ნაბიჯ- ნაბიჯ ვიარეთ
გადამათეთრე და დამბერე!
.....
თუმცა სიბერეს ჩემთან რა უნდა,
ხედავ? ვახარე სულში ვარდები,
და გაზაფხულად მექცა სამყარო
კვლავ ავენთები, შემიყვარდები!
ერთი პატრა ასანთის ღეროს

ხელი ჩამოჰკარ, ჩემო პრინცესა,
ვინ მოიგონა, სად გაგონილა
და ან კანონი ვინ დამიწესა.
სიყვარულს თავისუფლება უყვარს,
ბორკილს ვინ ადებს სხივთა ამაღლას,
ვინ მოიმწყვდია მზე ხელის გულში,
ის სულ ასხივებს, ვეღარ დამაღლავ.
რად ამვსებია სულის ფიალა,
დღემდე მთვრალი ვარ,
ნაბარბაცვევი ამტკივდა მხრები,
მაგრამ არაფრით არ ვნებდები უიმედობას,
რა ვქნა მითხარი, სიყვარულო,
მე ხომ ქალი ვარ, ამ სამყაროში
მოცახცახე მწვანე ფოთოლი,
მაინც გენდობი და მიხარია შენთან შეხვედრა,
მეჩურჩულები, ვით ნაზი სიო
გულჩვილ ყვავილებს, ნუ გაოცდები,
სასაღბუნოვ, შენზე აუგი გულს ვერ გავივლე.

.....
მართლა მიყვარხარ სიყვარულო,
შე, მზის გვირგვინო!
იქნებ აყვავდე უცაბედად,
იქნებ აყვავდე და მინდვრის
მწვანე ბალახივით დაიბიბინო.
წელიწადები არ მებეგრება,
უშენოდ მხოლოდ ცივი მიწა მომეფერება.

მოწყენილ სულში მოღალური
ღულავს თვალებს და
უშენოდ შავი, უკუნია
მთელი სამყარო.
მე სულ გეფერე, მზის მანდილი
გიქსოვე თავშლად,
ხომ შეგიძლია შენც გამახარო.

.....
ვხედავ ვინულის დედოფალი გამხდარხარ და
მუშტებს მიღერებ,
უუსაშველო სინუმით მახრჩობ,
მაინც ხომ ხედავ ქალი მქვია,
პეპლის ფრთიანი,
უშენოდ ყოფნას, სიყვარულო,
სიკვდილი არ სჯობს?!
რად ახარხარდი, სიყვარულო,
რა, გამომცადე?
ახლა აპრილის აფეთქებას დამსგავსებხარ,
აყვავებია ეგ ტოტები, დამშვენებულხარ,
ასე მგონია შენი სიმაღლით
ამ ცას სწვდები ხან.
რად დაიმორცხვე, მე მერამდენედ მოგიპატიუე,
ულამაზესი საქორწილო დღენი მოგიწყვე,
შემომბრუნდი, მზევ კეთილო,
შენ თუ ვერ ბედავ, მე გაგებდავ და
კიდევ მოგიწვევ!

.....
მწვავს, სიყვარულო, შენთა სხივთა მხურვალეობა და
შენგან ნატუნარს ამფაკვლია ღოყა ვარდულად,
ჩვენი შემყურე სავსე მთვარე გაღიმებულა,
ყოველი ნაკვთი ავსებია და გაბადრულა.
დამის სინუმე ნაჩურჩულე ღოცვებს მახსენებს,
სტვენენ ჩიტები სიყვარულის ღამაზ სიმღერას,
შემომათენდა, სიყვარულო შენთან ბაასში,
პატარძალივით ყელი მუზამ კვლავ მოიღერა.
არ გაპირქუშდე სიყვარულო, გემუდარები,
გამიდარდი და დამიმშვიდე სული--ეული,
მე პეპელა ვარ სიფრიფანა ფრთებით ქარგულით,
ამ საწუთროში მოვლენილი ნაზი სხეულით,
ჩემი სიჭრელე, უმწეობა, ჩემი ხვედრია,
და შენც ხომ ხედავ წმინდა გრძნობის
მქვია მსახური,
ამოთინათდი, სიყვარულო, შე, დალოცვილო,
შენი სხივების მზის მანტია მხრებს მომახურე.
თუნდ დაგიჩოქო, გამოვდადრო ყელი ვედრებით,
შენ თუ არა გაქვს სურვილი რომ სული გაათბო,
ვერ მოგაბრუნებ ვეღარაფრით, გულს ვერ მოგიღობო,
პეპელასავით დაჰფარფატებ დავით დანათმობს.
რჩეულთ ხვედრია, სიყვარულო, სტუმრობა შენი,
რა გულუხვი ხარ, რა კეთილი, დღე----- სასწაული,
ზოგს სულის მოთქმას აღარ აცლი ქარს ემსგავსები,
გაივლე და უცნობივით გვერდსაც აუვლი.
ნამიწისძვრად სულს აღმაცერად დაუწყებ ცქერას,
ეგ გულცივობაც ცისიერო, შენი ხვედრია,
მაინც მიყვარხარ სიყვარულო, კარგით და ავით,
ყოველი დღისთვის შენი თვალთ შემიხედია.
მთელი სამყაროს გასაგონად ვიყვირო მინდა,
რომ არასოდეს არ ვიქნები უშენოდ მშვიდად.
შენგან მოძღვნილი მზის გვირგვინი თავზე მახურავს,
უფლისმიერო, გთხოვ მიგულე ერთგულ მსახურად!



დადი ხაჩიძე-ნოზაძე

თანაცვლამ
გულნაზი, შენს გულში ვზივარ,
(აკოსტრიქი)

გ - უღმა სევდის კარი გახსნა,
უ - ტრიალა დარდის გორებს,
ღ - ამის სისხლი შემიდევდა
ნ - ეტაკ გავცდე ამ დიდ მორევს.
ა - რ მინდაო, ვიტყვი ხოლმე,
ზ - ოგჯერ ზარმაც ქალად დავრჩი,
ი - მ საშინელ ტრაგედიას
შ - ენს გარშემო, ვეღარ ავცდი.
ე - ხ! რაღა ვქნათ ჩემო გულნაზ,
ნ - ეტარება სადღა არის,
ს - ევდა გულში ჩახლართლა
გ - რიგალია, ძლიერ ქარის.

უ - იღბლოთა იღბალს ვეძებ,
ღ - ამის დღის შუქს ვეღარ ვხედავ,
შ - იშველ ხელებს ვაფათურებ,
ი - ღბალს ხომ არ წავწვდი ნეტავ.
ვ - აი, მგონი ხელთ ამისხლტა,
ზ - ლაზენით მოდის ღრუბლის გროვა,
ი - ქნებ მზის სხივს დაეწიო,
ვ - იმედოვნებ სითბოც მოვა.
ა - რ შეშინდე ჩემო გულნაზ,
რ - ოგორც საღ კლდეს ვერა ერჩის,
შვილიშვილის გზის საკვლევად
იცოცხლეო, ყველა გეტყვის.

15.02.2015წ.

ღელა-შვილობა
(ალეგორია)

წყალში ჩასული წიწილა
თავდასახსნელად წიოდა,
ღელა კრუხმა რომ შენიშნა
ისიც იმასა სჩიოდა.
შენ თუ სიცოცხლე გინდოდა,
რატომ ჩახვედი წყალშიო
რა ხერხს მივმართო, მითხარი
როგორღა გადაგარჩინო?
საწყალმა კრუხმა, ფრთების ქვეშ

შესვლა, კანკალით ამტყდარი,
კრუხმა სისველე ვერ შეძლო
ოჯახს დაუდგა ავდარი.
ხელიდან გამოეცალა.
კრუხსა წიწილა პატარა,
თუ ასე მალე კვდებოდა
კრუხმა მაშ რისთვის ატარა?
(კრუხის სინამდვილე)
ღელა-შვილობაა.



ნოემბრის სევდა



ლამზირა შეყილაძე

სარკმელს მოაწყდა ნოემბრის სევდა,
ჯიქურად ლამობს შემოჭრას გულში.
ოცნებას მიმსხვრევს შეშლილი ელდა
და ვულკანივით აფეთქდა სულში.
მივაყურადე გულს სევდით დაღლილს,
დაჭრილ ჩიტივით ფართხალებს მკერდში.
ეს სევდის გუბე სისხლიდან დამცლის,
ჩავიფერფლები ცხოვრების ცეცხლში.
გულს ენატრება კვლავ გაზაფხული,
ყვავილები და შრიალი ფოთლის.
რატომ გგონია ბევრს ითხოვს გული,
გულს შენი გულის სითბოც კი ყოფნის.

რომ გიღაღაცებს

ურთულესია, ქვეყნად არსობა,
როდესაც ეჭვი გულში იელვებს,
როცა მიხვდები, როცა შეიგრძნობ,
სავსე ცხოვრების სიცარიელეს.
როცა შენს გვერით მეგობარია,
მისი არსობა, მხნეობას გმატებს.
სიკვდილზე მეტად უარესია,
როცა მიხვდები, რომ გიღაღატებს.

ღმერთის სიტყვის მმოსავი და მცველია მეუფე თადეოზს

დადიოდი... კაცი უფლის მსგავსი,
გული გქონდა სიყვარულით სავსე.
მზის ნაჟურით აგივსია თასი,
ჩვენს გულებში მადლს თესავდი ასე...
მოკრძალებით მიიკვლევდი სავალს,
ღმერთის სიტყვის მმოსავი და მცველი.
წრფელ ლოცვებით შეჰხაროდი მთა-ველს,
ღმერთკაცივით მართალი და წრფელი.
თუმც ტკივილით დაგეღალა გული,
დღე და ღამე ლოცულობდი ისევ,
როცა სხეულს ეყრებოდა სული,
თვით უფალი შეგეგება მყისვე.
ახლა მზისებრ ანთებული ცაზე,
ვარსკვლავები ღამეს თეთრად გითევს.
განისვენებ ბრძენ სიონის მკლავზე,
უკვდავება ტკბილ საკმეველს გიკმევს.

ყვავილები ღამაყარე

შემოდგომა მიიღია,
ზამთარს თრთოლვით შევეყურებ.
მოდისხარ და ვერ მოხვედი,
მოგაკვდი შენი შემეყურე.
დღე და ღამე შენზე ვფიქრობ,
ღამე ნერვებს მიწეწავს.
გული შენი მომლოდინე,
ზღვის გულივით მიღელავს.
ღამე ნისლში გახვეულა,
პირველს ათი აკლია...
შენს ბარათებს ვკითხულობ და
გულში ცეცხლი ანთია.
თუ მოდიხარ, მოდი მაღე,
მკერდში მომხვდეს მახვილი...
ყვავილები დამაყარე,
შენი ცრემლით დაღლილი.

შენ ღაგბრადლება

ყველა მდინარე, თავის გზით მიდის,
ყველამ იპოვნა თავშესაფარი.
ჟამსაწუთროში ყოფნა არ მიდირს,
თუ კი შენს ხილვას ნატრულობს თვალი.
გელოდი დიდხანს და ახლაც გელი,
ოცნებით დაღლილ გულს დარდად შევრჩი.
მერე რა, რომ არა ხარ ჩემი,
გზის გასაყართან ხომ მაინც შემხვდი.
შენზე ლოდინით დაღლილი წლები,
სიმარტოვეში ისევ წვალდება.
და თუ განთიადს ვეღარ შევხვდები,
ჩემი სიგიჟე შენ ღაგბრადლება.

რა უიმედოდ გავყურებ შარას,
დარდით ამევსო გულის სავანე.
„გული ნელ-ნელა იღრმავებს დანას,“
მასში სიცოცხლე დავასამარე.

წუთისოფელი მოდის შორიდან,
მასში ტკივილი ჩემზე დიდია.
ვერ მოგიშორებ მშიერ გულიდან,
რადგან უშენოდ არ შემიძლია.

ქამსაწუთროში ჩამოღმერთილო
(ელგუჯა ნოზაძეს)

მოსულხარ, ქვეყნის დასამშვენებლად,
სამშობლოს შვილო, კაცო კეთილო.
შეჭირვებულის გასამხნეებლად,
ქამსაწუთროში ჩამოღმერთილო.
გულში სამშობლო სანთლად გინთია,
მამულს მზესავით ენათელები.
თითქოს ძარღვებში უფლის სისხლია,
სამშობლოს ისე ესაკმეველები.
არ გავიწყდება წინაპრის ღვაწლი,
და კიდევ მოგდგამს მადლი, ზრდილობა,
გაჭირვებულებს საზრდოს, რომ აწვიდ,
მართლაც ესაა დიდი გმირობა.
მუდამ სიკეთე გიდგას თვალებში,
ერისთვის იწვი, ვითარც სანთელი.
ლეგენდასავით დადის მთა-ველში
ოქროკაცობის შენი სახელი.

15.03.2015წ.

„შენ მოხვალ ჩემთან“
ომარ გოხელაშვილი

შენ მოხვალ ჩემთან მოგონებებით,
მონატრებისგან ძლიერ დაღლილი.
სულში მედევრება შენი თვალების,
გამონამზევი შეუქთა არილი.
მოხვალ მომიტან სიცოცხლის წყურვილს,
გაზაფხულივით შემომმენთები.
ამიბრიალებ ჩაფერფლილ სურვილს,
სიმხურვალეში ჩავიფერფლები.
მოხვალ, ოცნებებს ამიწყლიანებ,
ლაწვებზე ცრემლნი ჩამოსხდებიან.
იწვის, ცახცახებს სველი თვალები,
რამდენი ღამე თეთრად ვათიე.
მე გაპატიე ცხელი ცრემლები,
მაგრამ სიშორე ვერ გაპატიე.
და მაინც მოხვალ გულწრფელად მჯერა,
ნელი ნათელით გამიამინდო.
მწამს რომ გიყვარვარ, გიყვარვარ ჯერაც,
ვიცი რომ მოხვალ, მოხვალ ამიტომ.

ცრუ იმელები

რადაც, უხილავ გულის ძაფებით,
შენს გულში ვიყავ სტუმრად ხმობილი.
მოვდივარ, მაგრამ დაღლილი გზები,
დამხვდა სრულიად გადაღობილი.
როდემდის უნდა გიცქირო შორით,
ცრუ იმედები ტკივილებს მისევს.
გული სავსეა წვიმით და თოვლით
და ბეწვის ხიდი გრძნეულობს ისევ.
კვლავაც ვერ მორჩა ფიქრები ყიალს,
გზა და გზა ცხელი ცრემლები ვღვარე.
გულის ძაფები უმზეოდ ყრია,

გულდაწყვეტილი დასცცქერის მთვარე.
ჩამოდნა ღამე განახელები,
მაწვალებს დარდი გაუთავებლად.
და მარტოდ, მარტო დავეხეტები,
მთვრალი ტკვილის გასაქარვებლად.
სნეულობს გული გადარეული,
ხავსით იმედს ვებღაუჭები.
რადგან შენს გულში ვიყავ წვეული,
კვლავ შენს სიყვარულს ვეჭმევინები.
მე ამდენ ლოდინს ვერ გადურჩები.





გაგა გომართელი

ჩემი საფლავის მომვლელ ქალს

ჩემს თვალწინ ქარი ხეს ფოთლებს ახევს
მაინც სიმშვიდით თვლემენ ჩიტები
მე თქვენ პირველად დღეს დაგინახეთ
და აწი უფრო დაგაკვირდებით

დაგაკვირდებით და იქნებ ოდეს
გაგანდოთ გულის ყველა ნალექი
როგორ ძერწავდა ცხოვრება პოეტს
ფიქრებით თავის ქალა დახეთქილს

და მერე იქნებ თქვენც მიაბოთ
ცრემლები ვღვართ ვიტერთ ერთად
თქვენს სულში ვისი სევდა კიაფობს
ვის ერთგულებას შემორჩით კენტად

და სანამ წახვალთ დამშვიდობების
სიტყვას მოვიგლეჯ გულში რომ მახლავს
მადლობელი ვარ ერთი პოეტის
რომ ასე ნაზად უვლიდით საფლავს

გამოხამტრება

მიწას ახურებს ვარდების ეშხი
და სურნელება მრავალ ყვავილის
მე შენი გული მიჭირავს ხელში
ბუდიდან ფრთხილად ამოყვანილი
ყველგან მოისმის შრიალი ხეთა
ნაზამთრალ სივრცის ჩუმი მდგმურების
და იცი ახლა ყველაზე მეტად
მსურს შენს განცდებში დასადგურება
ბობოქარ დროსთან ბრძოლაში დამ-
შვრალს
მსსნელად მიგზავნის განგება ნიავს
შენი სურნელით გაჟღენთილ თავშალს
მოგონებები აღერსით მიაქვს

ფიქრი სხეულის თონეში იწვის
გეძებდი იქნებ დავიგვიანე?
მაშ მიპასუხე გიპოვნე რისთვის?
ნუთუ რომ ლექსში დამეფრთიანე
იქნებს წყალობად ეული სულის
მოსაღბუნებად აღმოგაჩინე
ვით ზამთრის შემდეგ ხმა გაზაფხულის
ათას ბგერაში გამოგარჩიე
სიცოცხლის ქარში, ბულსა და მტვერში
აღარ მადარდებს ტანჯვა განვლილი
მე შენი გული მიჭირავს ხელში
ბუდიდან ფრთხილად ამოყვანილი

ფსიქო

ვიგონებ სულში დაფლულს და დანთქმულს
თავხედურ ხრიკებს, ჟამის ბასრობას
გულით სათქმელის გონებით არ თქმულს
დანაოჭებულ ახალგაზრდობას
და აუტეხავთ ფიქრებს განგაში
ო რა საშიში აზრთა კრებაა
სიცოცხლის ვითომ ვცრელი თამაში
სიკვდილის ცმირე ახირებაა
შესანდობარი და სველი იფქლი
მებრუჟეობა სევდანარევი

ცხედრებს კი არა, მე ცოცხლებს ვითვლი
ცხედრებზე მეტად ნაიარევეებს
და როგორც ტოტი, ტოტი შიშველი
ეუძლებ ტორნადოს, სტიქიას წრიულს
რომ მივაკითხო ვითომ მიშველის
სულგამოფხეკილ ფსიქიატრიულს
ვერა, დავრწმუნდი უკვე ამაში
რომ სული ჩემი უკარებაა
და რომ სიცოცხლის ვრცელი თამაში
სიკვდილის მცირე ახირებაა

გზა ნინონმინდისკენ (თემურ ჩალაბაშვილს)

კორდებს ქოჩორს უწეწავდნენ ქორები
დინჯი სიო ღრუბლის ჩეროს სდევნიდა
გაჰყურებდა გზას ქართველი პოეტი
და ფიქრები ასდიოდა თხემიდან
ადარდებდა საქართველო ბედკრული
დაგლეჯილი ასე ცხადად, აშკარად
მკერდზე ეწვნენ მინდვრები დაბებკული
ცრემლი ლესდა მისი გულის ვაშკარანს
უდიმდამო მზე დასდევდა გადაბმულ
ლურჯი მთების უსასრულო ქარავანს
სისხლის გემო გადაჰკრავდა ნაკადულს
და ძაძებით შესუდრულ ტბა ფარავანს
მაგრამ რწმენას რა გამოლევს ქართველში
ტყვიის ნაცვლად იმედი გვაქვს ლულაში
გაეღიმა პოეტს ლექსით დაგეშილს
რქაწითელით გადაცვარულ ულვაშში
ასე, ასე ჩემო ლექსის დარაჯო
ასე ჩემო სიტყვატკბილო მამილო
საქართველო დაღონდება არასდროს
სანამ სულში პოეზია ყვავილობს

როცა

სულ ცოტა მყოფნის, უკვე შევთვერი
თვალეში ფიქრი დაძრწის დევნილი
ღამეა, მთვარე როგორც ენქერი
ცის კალთახეა გადაფენილი
დასანანია, გრძნობას გაღახულს
ქარი მიათრევს და ფანტავს ფუჭად
ქუჩა ვერ პოვებს მწვანე გაზაფხულს
თუ ზამთრის სუსხთან ზავდება ქუჩა
ძნელია ღუმდე, დაიფსო თვალი
სადაც სიმართლეს ტყუელი როქავს
როცა მცირდება იმედი ხვალის
ტანჯვას გიმატებს წარსული როცა
სულ ცოტა მყოფნის, ფიქრით ვარ ავად
მშთანთქმს ამ ფიქრთა შეძახილებმა
როცა სიყვარულს ირგებენ შხამად
მაშინ სიცოცხლეც მესიკვდილება

სხივგამოცლილი ბინდია ზამთრის
გარინდებული, ობოლი, ჩუმი
ფოთლებს გარდაცვლილს, მიწაზე დაყ-
რილს


ედება ნისლი ვით აბრეშუმი
ეს მერამდენედ გავდივარ ხიდზე
ვინმე იკითხავს? განა ვინ მოთვლის?
სუსხი ცინიზმის ნიღაბით მიმზერს
ჩემი სულიდან ამოყავს ორთქლი

ხეებიც დგანან უიმედონი
დღეებს უთვლიან ზამთრის კალენდარს
სიცარიელე მიმსხვერპლებს მგონი
შიგნიდან უფრო ვიდრე გარედან

სუსხი აწყდება მშიერ შენობებს
ბუნების ავი მარდიორი
მინდა სიცოცხლე ისე მჯეროდეს
ვით უკვდავება გალაკტიონის

სხივგამოცლილი ბინდია ზამთრის
სიცოცხლის სუნი არსად იგრძნობა
ფოთლებს გარდაცვლილს, მიწაზე დაყ-
რილს
მე ვუსამძიმრებ უამინდობას





კახა სამყურაშვილი

ზუცა მომივიღის

სული – სურნელს მიწის,
გული ნატრობს ზეცას,
დაწყებას მითის...
ფერთა დევნა მიდის,
თეთრი სივრცეს კეცავს
ცად მდგმელი ხიდის...

ყვითელი ყვავილნი
მიწვევენ მწვანეში –
სულის სურვილნი...
ხიდს მშვიდად გავივლი
და იქ, სავანეში
ზეცა მომივიღის!

ახლა და შემდეგ

თუ რამ სიკეთე ჩამიდენია,
ამ ქვეყნად მისთვის მრავლად მომეგო,
და რომ მომეგო აქ ამდენია,
ვაი, თუ მოხდეს, იქ აღარ მერგოს?!

და რაც შეცდომა ჩამიდენია,
თითქოს არც ვიცი და ვერც გამეგოს,
მათ გამო ცრემლი არ მიდენია,
ვაი, თუ შემდეგ ცრემლთ დენა მერგოს?!

ვთესოთ სიკეთე – გონს ვერც გაეგოს!
გონზე მოვეგოთ, მახე არ გვეგოს!
ბრძოლა მოგვეგოს, ეგოს წაეგოს!
დე, ორსავე სოფელს სულ მადლი გვეგოს!

რეცეპტი

თუ გორგუნავს, გთანგავს, გიმძიმს გაძლება,
თვალს ვერ უსწორებ დღევანდელობას,
მზერა განივრცე და მას შეხედე
მხნე მომავლიდან, გასჭრის მცდელობა!

ხოლო თუ გიღხინს და გსურს გამძაფრდეს
ღხინი, ნადიმი იყოს მეფური,
მაშ, გაიხსენე მწარე წარსული,
ცეცხლზე მბრუნავი როგორც შამფური,

აი, რეცეპტი! რასაც ეძებდი!
დღევანდელობის ასახვა სრული:
„–გიჭირს? –გახსოვდეს მხნე მომავალი,
გიღხინს? –გახსოვდეს მწარე წარსული!“

ერთან ერთობა

თუ გული არა ერის სხეულის
თმის ერთი ღერი ხომ მაინცა ვართ,
არავინ არის ჩვენთან ეული,
ქართველად ყოფნა ვინც განიცადა.

ოდეს აღსდგება მთელი სხეული,
აღსდგება მასთან ნაწილნიც ყველა –
სუსტი, რჩეული, მხნე თუ სნეული –
ყველას ერგება ერთობით შეველა...

ნუ განვეყოფით ერის მთელ სხეულს,
დიდ ერს განდგომით ნუ ვემცივებით!
ოქროსსხიფენილ და ცითკურთხეულ
მიწას არავინ არ ვემძიმებით!

აქ კლდეს მიჯაჭვა დაღუპვის ნაცვლად
არის წყალობა და არა რისხვა,
თუ არ დანდობა, შენდობას დაცდა
და გადარჩენა – არა არის სხვა!

მამულს არავინ არ ემეტება,
და ყველას ერთად გვეიმედება,
გულს დიდ ნუგეშად, შეებად ედება,
რომ ქართველობით შევალთ ედემად!

უფალს დიდება, მადლობა, ქება!
სამშობლოს ქებაც ჩვენ არ გვწყინდება,
ერი აღსდგება და ამადღდება
და ივერია კვლავ გაბრწყინდება!

* * *

ვიღაცას უნდა სიყვარული მყუდროებისთვის,
ვერ გაუძლია ამ მშფოთვარე ცუდდროებისთვის,
ვიღაცას უნდა სიყვარული მშვიდი ძილისთვის,
ვერ გაუძლია მარტოობის ვრცელ მანძილისთვის.

ვიღაცას უნდა სიყვარული თბილი ჭერისთვის,
ბანალურობის შესაღებად ჭრელი ფერისთვის,
რა დამებდა, სიყვარული მინდა მე რისთვის?!
– მინდა ბრძოლისთვის და შრომისთვის და სიმღერისთვის!

* * *

წარსული დაგეშორდა,
მერმისი ადრეა,
ძნელია, აწმყოა...

ურემი დაგორდა,
წაქცევის არეა,
გაქცევა ამოა.

ამაო რბოლები
ნაცადი ბედია,
გზა თუნდაც სწორია.

ცრუ – როკი, როლები
და ისევ წრედია,
მიზანი შორია.

შესცდა და სცნო ფარსი,
მიადგა ზიანი,
კრახია! ახია!...

და მაინც ძვირფასი,
სულ-ვარსკვლავ-მზიანი,
მთავარი ხალხია!

მიღის...

მიღის ხელების ბანვა,
გამრავლებულა პილატე,
თვალთა „უმანკოდ“ ნაბვა
და აზროვნება პიტალო.

უცხოს მახინჯი ბაძვა,
ჭყელულს ვედარ ხედება მაღამო,
ტვინის, ნერვების ძაბვა
და სამჯერ ჰყივის მამალი.

უნასკვო ბუტკოს მტვერვა,
ცრუ დევ-გმირობის მანერა,
ღია კარების მტვერვა,
სულ ყველგან რიცხვი, ნომერი...

ცრემლი, წუხილი, ოხვრა,
სოლიდარობა ირიბი,
ბნელ ინსტიქტების ხროვა,
წინ მდგომი ვინმე უბირი.

იწყო გროვება ჯავრმაც,
ბნელდება მთვარე-მზიანა,
მიმდინარეობს ჯვარცმა –
ეს სანუკვარი მიზანი...

ფიქრის ფანქარი

როცა თოვს, თითქოს მოგვეტევა
ცოდვა, თეთრდება, ქრება ლაქები,
სიშავე, ჭუჭყი დაგვეტევა,
სოფელი ხარობს და ქალაქები...

თუ ზამთარს არ თოვს, გვიპყრობს წუხილი,
ცოდვა არ გვეტოვებს, ვერ ვსუფთავდებით,
სევდა-ვარამის გულში დუღილი...
უსასოობით, დარღით ვთავდებით...

ფი-ქრის ფან-ქარი, ფიფან, ქრის ქარი...

ქარმა ფიფქები არივ-დარია,
ნოტად ააწყო, ააარია,
დადგა წუხილის მიმომფანტველი
კორიანტელი თეთრი ფანტელის...

მაღლითა ამბებს ფიფქები ცად კრებს,
დაბლა ათეთრებს ჭუჭყიან კადრებს,
თოვლი მოუვლის თავთივა თავლებს,
და გააოცებს სითეთრე თვალებს...

ფიფქებს ჩამოაქვთ ზეცის ამბები,
თრთის ჩვენი გულის და ცის ლამბები,
გულს ათბობს ცივი თოვლის სიკეთე,
გადავრჩით, ბარდნის, გვიხსნის სითეთრე!

ფიი...ქრის ქარი, ფაან...ქრის ქარი...
ფიქრის ფანქარი, ფიქრის ფანქარი.

* * *

რადგან ითქვა, გამოიცეს!
ენახოთ, ღირს თუ არა წერად,
თავში ხელს ჩემს გამო იცემს,
გადმომხედავს ბრაზით, ცერად;

თუ იხარებს ალალ გრძნობით,
ნუგეშს, სითბოს, შვებას ჰპოვებს,
აბდაუბდით, ჩემი ბრძნობით
ჩვეულებრივ ჰპოვებს პოეტს.

ერთგულ ხალხზე მოგახსენებთ,
ჩემთვის არის ის ლაკმუსი,
ვინც არ მაღავეს ლხინს, არც სენებს,
აქვს გონება და ნამუსი.



წუთისოფელი

რა ძალიან მოკლე არის
წუთისოფელი,
თუ დადიხარ და ვერ გამჩნევს
შენი სოფელი.
შენი ყოფნით თუ შენ სოფელს
ვერ არგებ ვერას,
ასეთი კაცი მობეზრდება
სოფელში ყველას.

გაგეჰცევა ყველა წამი,
წუთისოფლის ნაჩუქარი,
სიცოცხლეც კი მოგებზრდება
ღმერთის – უფლის ნაჩუქარი.
ისა ჯობს, ყოველდღიურად
აგურს დაადო აგური
და კაცი შემოირიგო
თუნდაც ავგულზე ავგული.

უშანგ მოსიაშვილი

დიდი წინაწრები

აბა მითხარით კიდევ ვის ჰყავდა,
ან გორგასალი, ანდა დავითი,
განა არ არის ეს საკმარისი,
რომ ვიამაყოთ მარტო ამითი?!
გორგასალი ხომ მიწას, მთებს დრეკდა,
მის დაძახილზე ცა ზარებს რეკდა,
დავითის დროშა ცას ნათელს ჰფენდა,
და მის მომავალს გზას უნათებდა.
მის ნაკვალევზე ხომ ბევრი გაჩნდა
და მათი კვალი ჩვენს მამულს აჩნდა,
მარტო რადა ღირს მეფე თამარი,
რომლის ბადალი ქვეყნად არ არის.
1995წ.

სიწყვა ნაღდი აღარ ფასობს

რომ ვუყურებ ჩვენს ქვეყანას,
არავისი აღარ მჯერა,
დააკვირდით, სათითაოდ
პირველობას ჩემობს ყველა.
სათითაოდ ყველა მართლობს,
დებატებით მნახველთ ათრობს,
ვერ გავიგე ვინ რასა გვთხოვს,
სიტყვა ნაღდი აღარ ფასობს.
ის ჯობია, შეკავშირდნენ,
გაამაგრონ შეკრან ხიდი,
გვერდიდან ჩამოიცილონ
ორგული და კაცი ფლიდი.
ის ჯობია, რომ გაიგონ,
ხალხი ითხოვს სწრაფად შევლას,
მოგიწოდებთ, ერთად დავდგეთ,
მამულის გადასარჩენად!

ღრუხაც კოჭნია იერით ჯრის

რა ხელმა შეგქმნა, შე მაღლიანო,
ძმადნაფიცვივით რომ დგახარ ჯვარის,
თუ ჩვენ სიძველით ვიკვებნით რამეს,
ეს სამთავისის ტაძარიც არის.
მან ხომ გაუძლო მრავალ დინებას,
გადამთიელთა შემორკინებას,
დღესაც კოპწია იერით არის,
არ ეშინია წვიმის, არც ქარის.
ამაყად მდგარს და ცადაწვილი ტაძარს,
ჩანს, რომ უფლიდა ბერიც და ერიც,
მის იერიდან ამოვიკითხავთ,
რომ მას არ აკლდა მზრუნველი ხელი
ასე ამაყად მიტომ დგას დღესაც,
რომ მომავალმაც დაადგა თვალი,
შთამომავლობა მას ფიქრობს მუდამ,
რომ წინაპართა არ დარჩეს ვალი.
თუ ჩვენც მოფუვლით ნაბოძებს ღვთისას,
შთამომავლობას გადავცემთ ჩვენსა,
გავგვისხენებენ ჩვენც მომავალში,
არ დაგვრჩებიან არასდროს ვალში.
1990 წელი.

ქართველი ჯღარ ღარჩეზ

რა ქნას იმან ვინც არ იცის
ინგლისური ენა?
ვინც ფეხით არ მოიარა
ლონდონი და ვენა?..
განა ყველა შტერი არის?
და არა აქვთ გონი?
ცხოვრებას რომ არ აკარებთ
ვერ გაცურა ფონი.
ასე ვარჩევთ დღეს მინისტრებს.
მიტომ არ გვაქვს ფასი,
ერთეული ცხოვრობს კარგად,
მშიერია ასი.
და თუ დიდხანს ასე გასტანს,
ხალხს ვერ დავასაქმებთ,
ქართველი აღარ დარჩება
ჩვენ ქვეყანას ნაქებს.

2008წ.

იქნებ არა ღირს ჩემი სიცოცხლე?

დაღამდა ეს დღეც, მზე ჩაესვენა,
მომაწვა სევდა და თვალზე ცრემლი.
ლამაზმა მთვარემ ამოანათა
სიკაშკაშით და ნათელი ფერით.
გულისტკივილით ვფიქრობ წარსულზე,
ვისხენებ წუთებს ნაკვებსა დარდით,
იქნებ არა ღირს ჩმი სიცოცხლე,
იქნებ ვიარო დღეს უკვე სხვა გზით?
რა ვქნა, ვერ შევძელ შეუძლებელი,
ვერ შევეზუე მე ამ ცხოვრებას.
ეს წლებიც ასე უაზროდ მიდის...
და ვერ მოვარგე ცნობიერებას.
იქნებ არა ღირს ჩემი სიცოცხლე,
რომ ვიყო ქვეყნად არა ვარ ღირსი?
რისთვის მოვედი, ან რად მოვედი,
თითქოს ვიცი და კიდევ არ ვიცი!

ბავშვობა უნდა იყოს ბავშვური

ხარობ იმით, რომ ჯერ შენ ბავშვი ხარ,
გაქვს უღარდელი ცხოვრების დღენი,
იმხიარულე დრო გაატარე,
გაიხანგრძლივე უღარდო წლები.
და სამდურავი აროდეს დაგცდეს,
როს გაიხსენო განვლილი დღენი.
არ თქვა, უკვალოდ და შეუმჩნეველად,
როგორ გაფრინდა ბავშვობის წლები?
დასწყევლი წარსულს, უწყებ ძაგებას,
შენი ბავშვობის უღარდელ დღეებს,
ბავშვობა უნდა ბავშვური იყოს
და კვალში ედგეს თვის გვარს, თვის გენებს.
და როცა უღელს დაიდგამ ქედზე,
შრომისგან ქედი დაგიკოჟრდება,
მოგენატრება შენ ის წუთები,
შენი ბავშვობა მოგენატრება.
მოგენატრება, ძლიერ ინანებ,
ინანებ ძლიერ როს დაფიქრდები
ცრემლიც წაგსკდება და მერე იტყვი,
ნუთუ მართლა ვთქვი მე ეს სიტყვები?!





ნაირა მარშანია

სულის სიმღერა

მინაო, სამშობლოს მინავ წმინდაო,
მინაო დედავ, მინავ ღვთისაო,
მე შენს კალთაში ჩამათაბუნე და
შენთან დამტოვე, არ გამიშვაო!
გულსაც გაჩუქებ და ბოლო სუნთქვას,
ოღონდ მიმიღე, არ გამიშვაო!
სული ზეცაში ინავარდებს და
შენ კი არასდროს, არ გამიშვაო!
ო, რა ტკბილი ხარ, დედა სამშობლოვ,
წმინდაო მინავ, მინავ ღვთისაო!!!

2015

შეიყვარე უფალი!

სულის გადასარჩენად,
მე თავს ვერ მოვერიე.
დიდი ტანჯვა წამებით
ბენვის ხიდზე ვიარე.
და ღმერთს გულით შევსთხოვე:
ღმერთო გადამარჩინე,
შენის რწმენის იმედით
გზები ხსნისა მაჩვენე.
ისევ ძალა მომეცი,
კვლავ სიკეთე დავთესო...
ყველას გული მივცე და...
არ მსურს დანა ავლესო.
2008წ.

ვარდი გათელილი

ძირს დაგდებული, ვარდი ვიპოვე
ფეხით გათელილი...
ვიღაცის განწირული, ის გზაზე ეგდო
დამჭკნარ დაგლეჯილი...
ვარდი შევიცოდე, ხელში ავიტაცე,
გვირგვინ დაცვენილი...
გული ამიჩუყდა, მკერდზე ავიკარი
დავრჩი დაცრემლილი!!!

2011წ

მოლაღატენო გპატიობთ
რადგან...

დავბადებულვარ სიყვარულისთვის
სიძულვიკი კი შორს მოვისროლე...
ცხოვრება წამში ჩავატე და....
წლებით ცხოვრებას გადაუქროლე.
მე მინდა ხალხნო რომ დაგარწმუნოთ
ბევრჯერ ამჩხესს ერთგულებისთვის
მოლაღატენო გპატიობთ რადგან...
მსურს განვიწმინდო აღსარებისთვის.
2014წ.

ჭალარა

სიბერემ არ შეგაშინოთ
და ნუ გაშინებთ ჭალარა...
ჩვენ, ჩვენი ხვედრი ყველას გვაქვს,
გული ფიქრებმა დაღალა.
მერე რაა, რომ ვბერდებით
გული, ხომ ახალგაზრდაა!!!
ეკლებო, ფეხს ნუ ედებით
თორემ სიკვდილი მზადაა.
2010

ბედისწერა

არავინ იცის ბედისწერა,
ვის რას გვიქადის...
მთელი ცხოვრება ბედისწერის
მოლოდინში ვართ.
და ხდება ასე:
ზოგს ააფრენს მაღლა ცაში,
ზოგს ჩაძირავს წყალში.
ზოგს სიმდიდრით აჯილდოვებს,
ზოგს კი ახრჩობს დარდში.
ზოგი ჩინოსანია და
ზოგი მათხოვარი.
ზოგი გენიოსია და
ზოგი გარენარი.
ზოგსაც სილამაზეს ჩუქნის
ზოგიც ყრუ და მუნჯია,
საბოლოოდ რაც რამ ხდება.
ბედისწერის ფუნჯია.

2004წ.

მე მოვალ შენთან


მე მოვალ შენთან,
რომ დარდი გაგანდო
მე მოვალ შენთან
მთვარე განახო.
მე მოვალ შენთან
რომ, გული გაგიტბო
მე მოვალ შენთან,
რომ სანთლად აგენტო.
მე მოვალ შენთან
ქებით აგავსო,
მე მოვალ შენთან,
ალერსით დაგათრო...
ჩაგებუტო და
ტრფობით დაგლალო!
მე მოვალ შენთან...

1964წ.

გარდავიცვლები...

გარდავიცვლები გაზაფხულის მთვარიან ღამეს,
დავიმარხები იქ ვაკეში, ნაძვების მხარეს.
მუხლმოდრეკილი შემომხვდება ღამაში ქალი,
ჩამიკრავს გულში და გამიღებს სამოთხის
კარებს.
ბევრი დამხვდება, საყვარელი ადამიანი,
მონატრებული მელოდება დედა და ქმარი...
სული ნავარდობს, მათთან ერთად ზეცაში ნაზად,
აღვიკვეთები სამყაროდან მე ფიანდაზად.
გარდავიცვლები, მოგონება დარჩება ჩემი...
ალარ ვიქნები... მონატრება დარჩება ჩემი...
იქ საიქაოს ნავიმძღვარებ სიყვარულს თქვენსას,
ზეცის სახლიდან მე დაგლოცავთ თითოეულ
თქვენგანს.

2007წ.



ლევან ფანჩვიძე

მზე გვირილების არის მთოველი

მზე გვირილების არის მთოველი,
ხევს უყვარს ნისლით გადაფითრება...
სანამ იქნება სვეტიცხოველი,
ეს სიყვარულიც მანამ იქნება...
მე ვიცი, ეს გზა უმძაფრესია,
და სიყვარულით კვლავ დაგვაღონებს,
სული ჯვარცმული, როგორც მესია,
ემორჩილება ღვთიურ კანონებს.
ტყვიდან ბინდების ისმის შრაშუნი,
ბილიკს აყვითლებს მიწა ლაგაზი –
და ჩემი სახლის კარს მიჯაჭვული,
ყვეს მარტოობა, როგორც ნაგაზი...

2008

მე დამესიზმრა

წვიმდა და აღარ გადაიდარა,
ძლივს მიადწია სულმა ხატამდის,
მე დამესიზმრა – ვიყავ ნიკალა
და ფუნჯით ქართულ ზეცას ვხატავდი!
როცა სიცოცხლე ასე ტკბილია,
ვინ გაიმეტა ქართლი ესოდენ?
მე დამესიზმრა – ვიყავ ილია
და წიწამურთან ტყვიას მესროდნენ.
ვარ ყველა დროის თანამედროვე,
ფიქრით მივცურდი ნატურის ყურემდის,
მე დამესიზმრა – ვიყავ თევდორე
და ყიზილბაშებს თავგზას ვურევდი.
დაფიქრებული მოდის რიონი,
ცა იმერეთის მხიბლავს ტილოთი,
მესიზმრა – ვიყავ გალაკტიონი
და თვითმკვლელობას ისევ ვცდილობდი!

ვერ გამოვიცან სოფლის იგავი,
ბეთლემის მხრიდან ქრისტეს მოსვლამდის,
მე დამესიზმრა – ბერი ვიყავი
და სინას მთიდან მამულს ვლოცავდი.
მე დამესიზმრა – ვიყავ რუსთველი
და სამშობლოდან ცრემლი მიმქონდა.
არავის პირას ცეცხლი მინთია,
დღე იმზირება ატმის ჩეროდან,
მე დამესიზმრა – ვიყავ მინდია
და ჩემი სიბრძნის არვის სჯეროდა.
ვიდრე შემოვა მწუხრი ღამისა,
ჩემო ხატებავ, ჩემო ლერწამო...
მომეცი თაფლი, მხრებზე წავისვა
და ცოტნესავით შენთვის ვეწამო!..

2004

მსოფლიო პოეტებს

ანით, სისხლით და ჰოეთი,
მე ვარ ქართველი პოეტი!
თუ ჰაინე და რონსარი,
ბნელეთს სამოთხის სხივს ახლის,
ჰეი, რამდენს გყავთ მგოსანი
გალაკტიონის სიმაღლის?!
მწვერვალს წამოდო მზემ ტერფი,
ვცოცხლობ მუსიკით და სიტყვით...
თქვენ თუ გყავთ თქვენი პეტეფი,
ჩემს აკაკიზე რას იტყვით?!
აბა, რას იტყვით ვაჟაზე?..
მთას გაზაფხული უხარის.
მე ქართველი ვარ! მაშ, ასე –

კარის მცველი ვარ უფალის!
ჟღერს ვით მსოფლიო მორალი,
„სტუმარ-მასპინძლის“ პათოსი..
მიყვარს ედგარ-პოს „ყორანი“
მიყვარს „მერანი“ ტატოსი!
მაგრამ, მსოფლიო პოეტებს,
ლექსის ცეცხლი რომ დაანთეს...
ვეტყვი შექსპირს და გოეთეს,
პუშკინს, ბაირონს და დანტეს.
ანით, სისხლით და ჰოეთი,
მე ვარ, ქართველი პოეტი
და რუსთაველით შოთათი,
აღბათ გჯობივართ ცოტათი!

ფეხშიშველა ქარი

ფეხშიშველა გადაირბენს ქარი ანწლებს,
ჩიტი კენკავს ბაირონის სტრიქონებს...
სიო ქსანზედ გაკიდებულ ბორანს არწევს,
ორთაჭალა ბარათაშვილს იგონებს.
პოეტები მოძმედ არვინ დაიგულა,
დღე კოჭლობით აუყვება ქვაფენილს,
სევდის კონა გაატანეს თაიგულად
გალაკტიონს, სარკმელიდან გაფრენილს...
ლისის ტბაში დაიბანა მზემ ხელები,
სიჭაბუკეს დასასრული არ უჩანს!
და ჩემს თბილისს ახლა ისე ვეფერები,
როგორც ბაღში აყვავებულ აღუნას.
მეფეთ-მეფე თამარივით ბაგეთხელი
სიო ველზე ყაყაჩოს ცეცხლს აჩადებს,
კიდევ ვისი აქვთ მიზანში საფეთქელი
წიწამურთან ჩასაფრებულ ყაჩადებს.

2007

რუსთველური სიყვარული

ჭადრებს ნისლის კვლავ ჩაუცვამთ სამოსელი,
ზეცა ტირის, მიწა ვერ გრძნობს სითბოს.
მწუხარებას დაუნისლავს ბაგე სველი,
მისი მზერა სიზმარია თითქოს.
რუსთაველო, დედოფალი ყვავილია,
მზერით ათრობს სიძედ მოსულ მთავარს.
ნუთუ, ქართლში ვაჟკაცები დაილია,
სხვაზე რატომ ათხოვებენ თამარს?!
ეპოქების უღრან ტყეში ჩიტი გალობს,
მზეს ღრუბლებში ედიმება ყალბად.
რუსთაველო, თამარ-ქალი რომ არ გწყალობს,
ღმერთმა ასე გადაწყვიტა, ალბათ.
მეფეთ მეფეს პოეტისთვის სად სცალია,
ვრცელ სასახლეს დასტყობია შფოთვა.
საქართველო დანგრეული ტაძარია,
შენ კი მისი ჩუქურთმა ხარ, შოთა!

იმერული გამაფხული

ამ პატარა ყოჩივარდებს, ამ ღიღილოს,
ალბათ, შერცხვათ, თვალს ვარიდებ დაძაბული...
თითქოს ადრე არასოდეს არ მეხილოს,
როგორ მოდის იმერეთში გაზაფხული.
ჩადგომიათ ატმის კვირტებს თვალში შიში,
ღვთისმშობელო დაგვილოცე ივერია...
ეჰ, რამდენჯერ აქ, ამ მთებში, მუხის ჩრდილში,
აკაკის და ვაჟას ლექსი მიმღერია.
ზოგს სხვიტორის მთები მოსწონს, ზოგს – არგვეთა,
შორს ჭალაში შეჰპარვია ღობეს ქაცვი...
– შვილო, თითო სადღეგრძელო ხომ არ გვეთქვა?! –
კარს გაგიდებს იმერული ბერიკაცი.
ამ პატარა ყოჩივარდებს, ამ ღიღილოს,
ალბათ, შერცხვათ, თვალს ვარიდებ დაძაბული.
თიტქოს ადრე არასოდეს არ მეხილოს,
როგორ მოდის იმერეთში გაზაფხული.

2000





ოთარ ურუშაძე

ცისარცყელა

მოიხატება სარტყელი ცისა.
 ფერადი სხივით, მცხუნვარე მზისა:
 – ფერით წითელით სიხარულისა,
 სილამაზის და სიყვარულისა.
 – ფერით ყითელით წარსულის დღისა,
 მოგონების და განშორებისა.
 – ფერით ცისფერით, ლაჟვარდით ცისა,
 ჩამცხრალ გრძობების საამოდ თქმისა,
 ოცნებისა და ტკბილ სიზმრებისა.
 – მწვანის ხასხასით, ველის და მთისა,
 უსიყვარულ ტევრთა ზღაპრებად თქმისა,
 მარადიული გაზაფხულისა.
 ეს არის სხივი ნათელი მზისა,
 რაც რომ გვიბოძა მეუფემ ცისა.

დეიდა, ორი ნაყინი რა ღირს?

ყრუ დაფდაფების
 ჟინიან ხმაზე,
 გრძობები სწრაფად
 დგებოდნენ ყალყზე
 და მიყვებოდით
 რევოლუციებს,,
 ქუსლის ბაკუნით,
 აღმაც და თავქვეც.
 დღეს კი ერთად ვართ,
 ჩვენ ისე ახლოს,
 რომ ერთმანეთის,
 სხეული გვატობს.
 დაქანცულ ღიმილს,
 ატყვია სევდა...
 ირევა აზრი,
 ოცნება ღღვება,

დაგებადება
 მრავალი კითხვა,
 პასუხი არ მაქვს,
 რა უნდა გითხრა.
 ასე მგონია,
 რომ ახლაც ისე,
 ქუსლის ბაკუნით,
 ჩავიბრუნ თავქვე.
 კუთხეში ისევ
 ყიდიან ნაყინს...
 ხომ გახსოვს, იქ რომ
 ვიწყობდით ნადიმს
 და ჩემი კითხვაც
 ბავშვური კრძალვით,
 – დეიდა,
 ორი ნაყინი რა ღირს?

ესკიმოსავით
 ხომ შევევლიეთ,
 ჩვენი ცხოვრების
 უკეთეს ნაწილს.
 ცხოვრება მიდის,
 დრო ითხოვს თავისს
 და ისე, როგორც
 ჩვენს დროში, მაშინ,
 ყიდულობს ბიჭი
 კუთხეში ნაყინს
 და ისმის კითხვა,
 ნაცნობი ფრაზით,
 – დეიდა,
 ორი ნაყინი რა ღირს? –

ჭია მაია

სისხლის წვეთივით
 დაპკურებულა,
 ყვითელ ფოთოლზე,
 ჭია მაია.
 გაცრეცილ ფერთა
 ეს სიმყუდროვე,
 ჩამცხრალ გრძობების
 საწინდარია.
 ო... ეს ზაფხული,
 ცხელი ზაფხული,

წითელ ფრთიანი
 ჩვენი წარსული.
 გაფრინდა, როგორც
 ჭია მაია,
 ისიც არ უთქვამს
 ხვალ რა დარია.
 ასე დარჩენა საოცარია.
 გაცრეცილ ფერთა
 ეს სიმყუდროვე,
 ცივი ამინდის

საწინდარია.
 ჭია მაია...
 ჭია მაია...
 აქეთ წვიმაა,
 იქით ქარია,
 ისევ აქ დარჩი,
 მყუდრო სიზმრებში.
 დრო გაიღვავა
 წარსულ ფიქრებში.

ქარი

ხან ფრთხილია და ფაქიზი,
 იჩენს სითბოს და სინაზეს,
 ზღაპრებს გვიამბობს შორეულს,
 ფარვანასავით შრიალებს,
 ჩურჩულით გვეაღერებს,
 თითქოს გვიშუშებს იარებს.
 ყვავილებს ესაღბუნება,
 თავს უკრავს მათ სილამაზეს.
 ხან კი ბოროტი სიშმაგით,
 დაჭრილ მხეცივით ღრიალებს.
 უსაზღვრო სივრცის ბატონი,
 მინდორველადა ტრიალებს.
 იქით მთებს შეერკინება,
 ფერღზე დააჩენს იარებს.
 გაავებული სიშმაგით,
 ტრამალებს გააატიალებს.
 ტყეს დაატყდება მეხივით,
 ზღვას ცამდის ააყირავებს,
 ვით ხელოვანი ქებული,
 ხატავს ბარხანთა მთიანეთს.
 შიშის ზარსა სცემს ქარავანს.
 აჰყრის და გაანიავებს.
 ქარო ჩადექი ტიალო,
 ცოდვა შენგანა ტრიალებს.

წარსული

ეს დღე მცხუნვარე ზაფხულის,
 ხვალე იქნება წარსული.
 დაინისლება ბიჭობა,
 თაფლობის თვეც გარდასული.
 რა შორს წასულა ბავშვობა,
 რა შორს წასულა წარსული.
 ემოძარცული ხეები,
 ქარსა ყვებიან ფერსულში.
 დაუფენია ნოემბერს,
 ფოთლები ფერგადასული.
 ქუჩას მიყვება ბორძიკით,
 კაცობა შემომძარცული...
 შემოდგომაა ქალაქში,
 ზნეობს უზნეო ბასხი.
 დაუფენია ნოემბერს,
 ფოთლები ფერგადასული.
 დანისლულია ბიწობა,
 თაფლობის თვეც გარდასული,
 რა შორს წასულა დროება,
 ოცნებით ამოქარგული
 რა შორს წასულა ბავშვობა,
 რა შორს წასულა წარსული...

ღრო

ღრო მიაბიჯებს
 და მის ნაბიჯებს,
 ვითვლით საათის
 წამის ისარით.
 ჩაივლის წავა,
 როგორც მსაჯული,
 როგორც მკურნალი,
 როგორც მისანი...
 არვისა ჰკითხავს
 რატომ იარა,
 რისთვის იარა,
 ვისთვის იარა.
 ლხინი ჰქონდა თუ
 დიდი იარა,
 რა ისურვა და

რას ეზიარა,
 ან რა მიიღო
 ბედის ზიარად;
 ნარეკალი თუ
 ვარდი ხვიარა.
 ჩაივლის წავა
 და მის ნაკვალევს,
 დაეფინება
 მტვერის საფარი.
 დაიფარება
 მისი გზაკვალი.
 აღარ დარჩება:
 არც ნამზეური,
 არც ნასეტყვარი
 და არც ნაქარი.

ჩვენმა ღრომ კვალი
 დატოვა მწყრალი,
 მთვრალმა არეულ
 გზებით იარა.
 რაც დათესა და
 რაც მოიყვანა,
 მის ნაფეხურზე
 რამაც იხარა:
 ნარეკალმა თუ
 ვარდმა ხვიარამ,
 სიძულვილმა თუ
 სიტკბომ ზიარად,
 ჩვენი საკრეფი
 არის მთლიანად.





პეტრე ჯაჯანიძე

კაცხის მაცხოვარი

წამომართულა ახლოს კაცხურის,
 მხრებზე მოსხმული იმერთ ხედებით,
 უღამაზესი ასომთარულით
 დამშვენებული თლილი კედლებით.
 ვარიაციის რთული მოტივით,
 ფოთოლთა წყობის გადამეტებით,
 ჯვართამაღლების კომპოზიციით,
 ორმაგად გრეხილ ორნამენტებით.
 კარნიზები ქმნის სამმაგ ტეხილ ხაზს.
 ჯვრით ყავილები ჯვრებზე სხდებიან.
 ანგელოზები სტუმრად ზეციდან,
 კვლავ გასაფრენად ემზადებიან.
 პლასტიკურ ფონზე ჩრდილი ვარდნილი,
 ორნამენტების ბრწყინავს ნატურა
 ნაკეცები კი ცერად ჩაჭრილი,
 ჭედურ ხატების ჰგვანან ფაქტურას.
 მარადმორწმუნე და დიდებული,
 კელაპტრების წინ ლოცულობს ერი,
 დუმს კონქის თაღებს დაბჯინებული,

თორმეტწახნაგა გუმბათის ყელი.
 მაცხოვრის ტაძარს ხვთის ნაზიარებს,
 ამშვენებს სვეტი ბოლნისურ კვეთით,
 ხელთ ეპყრათ ბაღვაშ-ორბელიანებს,
 საერისთაო დიდი არგვეთის.
 გვყავდნენ მეფენი ჩვენ სასახელო,
 სისხლს რომ ადენდნენ მტერს ნიაღვარად,
 შეუპოვრობით ის საქართველო, -
 ხახადაღებულ ღომს მიაგავდა.
 დიდი ამარის საფლაგზე ფიქრი,
 ყველა ქართველს სომ დღემდე აწვალებს
 იქნება გახდა, არავინ იცის,
 ტაძრის ეკვდერი მისი საძვალე.
 კირითხურო და ჩუქურთმის მჭრელი
 იყვნენ ხელდასხმით ბაგრატ მეფიდან
 და გადმოგვცქერის ათასი წელი
 მორთულ-მოკაზმულ სარკმელებიდან.
 29.09.2014წ.

გრიგოლ აბაშიძეს

დღეობაზე მოძღვნილი,
 დაწერილი ამ დილით,
 ლექსი, როგორც ძმობილი,
 მინდა იყოს ნამდვილი.
 სიტყვებს ბრილიანტივით
 ვარჩევ ფიქრში გართული,
 როგორც დიდი ნათლიის
 ხათრიანი ნათლული.
 ძალუძს შეცვლა გუნების
 თბილ რომანებს არნახულს,

გარდაქმნაში ბუნების
 ესმარებით გაზაფხულს.
 დამეც დილად გიღირდათ
 ტრფობის ქარით გასენილს,
 მცხუნვარე მზის სხივის და
 გორგასალის გაჩენილს.
 შემართებით იბრძოდით
 დარიალის ჭიშკართან,
 შამქორით და დიდგორით
 საქართველო გიყვარდათ.

სიყვარულის ძახილი
 უნიკალურ თარგმანზე,
 ამკობს როგორც მახვილი
 შანდორ პეტეფს საფლაგზე.
 მეტეხით და არმაზით
 საუკუნე გეძახის,
 საქართველო ღამაზი, -
 თქვენი ოქროს ვენახი.

ციცინათელა

გალაღებს სითბოსთან სინათლით თამაში,
პატარა მწერი ხარ ნამცეცი მისხალის,
კომეტის ნათებით აღისფერ კაბაში
შაფ-ბნელი საღამოს ღეგენდა ცისკარის
უდაბურ ადგილზე შემოგოაქვს სიცოცხლე,
ფაქიზად, ლაღად და თანაბრად ანათებ:
ვაზაღვებს, გრანიტებს, გაბროს და ქვის ლოდებს,
ხეივანებს, ჩრდილებს ფანჯრების ალათებს.
აფრქვევ სინათლე პაწაწა პეშვებით,
არასდროს ჩაგიქრეს ნათების წადილი,
გარდაცვლილთ აკეურე მირონის წვეთები,

სიკეთეს ვერ მოშლის ჟამი და მანძილი.
ცოცხელი ელევა ხარ, სიცოცხლის გნიასი
ფუჭ წუთისოფელის სინათლის ჩანჩქერი,
უკუნი, სინათლით აქციე ნათელი.
საკუთარ ნათებით თვითონაც ნათდები,
წარსულთა სავანის ვარდების შრიალში
აანთე ხატებთან ფოსფორის სანთლები.
როდესაც დადგება დრო წუხილ-ვარამის,
თუ შენთვის ოდესმე აცივდა მაისი,
უბოძე მემკვიდრეს სინათლის ალაში,
როდესაც ჩაქრება ნათების ხალისი.

26 ოქტომბერი
2014 წელი

მრავალძედი

გნახე ცეცხლი მომედო,
ხოტბა ვით მოგაძალო,
სასწაულის მოქმედო
მრავალძაღის ტაძარო.
ლაჟვარდებში ასულო
უცქერ ჯრუჭს და ბარაკონს,
ჩუქურთმებში ჩასმულო
წარსულს იგავარაკობ.

იქნებ არც თუ შორსა ხარ,
ყველასათის კეთილო,
ჯვარო ბაჯადლოსაგან
ბექას გამოკვეთილო.
გამშვენებდა ცოდვილი,
სამასი წლის ერთგული,
აბას-მირზას მოძღვნილი,
ხმალი ლალით შემკული.

ქართლ-კახეთის მეფენი
იფიცებდნენ შენს სახელს,
ამაყი და ბებერი
ივერთ მუდამ კვესავდე.
დაგიკოცნე ჭიშკარი,
მომემატა სიდიდე,
შემოგწირე ხვთის ბწკარი, -
მთელი ჩემი სიმდიდრე.

ჯუხა

საშეგარდნოს მთას დიდიდან ხედავ,
საბნებს უსწორებ პატარებს ღამით,
დღით ოთხი შვილი გეძახის დედას,
ამ ცხოვრებაზე რა გეთქმის ავი.
შემომეგებეთ ნათელ ლოჯიდან,
გენში გაქვთ სტუმრის დახვედრის ნიჭი,
ოთხი თვის ჩვილმა, - ბარბის თოჯინამ,
მომიღიმილა სარძევე კიჭით.
როდესაც ვისმენ შენს ნათქვამ სიტყვას,
გაგხარ მემკვიდრეს ცნობილ მონტეგის,
თეფშებით ხელში გადარებ მიმტანს, -
ბრწყინვალე შედევრს ტულუზ-ლოტრეკის.
ბედნიერება უხვად გხვდა წილდ,
ღმერთმა გარგუნა დიდი დედობა,

მათი სისხლის ხარ ომებში ვინაც
გზას ულოცავდა ქართულ მხედრობას.
პიმშენიერი, სიკეთით სავსე,
შენი სანთლით და შენი მირონით,
აკაკის „ჩონგურს“ სიმებით ავსებ,
ქართულ ოჯახის მაჟორ-მინორით.
დიდ სიხარულად ისიც მეყოფა,
კენარ ბუღბუღის ჭიქაზე დასმით,
ტრადიციულად, თუნდაც ექსპრომტად
დავლოცო შენი ჩიტების დასი.
ტკბილი სიტყვები გვაცხე მაღამოდ,
შენი სტუმრები როცა ვიქნებით,
ხაჭაპურს აჩნდეს როგორც მარაო,
ანაბეჭდები გამრჯე თითების.

იშერყოლი ყათის

ჭიათურის რაიონის სოფელ ბერეთისის საჯარო სკოლის დირექტორს ჟურნალი „ათინათი“ შევთავაზე, გავესაუბრე და აღმოჩნდა, რომ ლექსებს სწერდა. საუბრის დროს რამდენიმე ლექსი მითხრა ზეპირად, ჩემგანაც მოისმინა ლექსები. როდესაც ჟურნალი „ათინათის“ მეთოთხმეტე ნომერი გამოვიდა, ასეთი ლექსი დაუწერე სურპრიზად:

მე პოეზიის ცეცხლში ვიწრთობი,
მგონი შენც იწვი ლექსის რითმებში.
თვალზე მდუღარეს ძლივსდა ვიშრობდი,
გამოვიკეტე ლაბირითმებში...
წერე ძმობილო, თუ კი გულის უნდა...
კლდეც კი ლექსია ჭიათურის მხარეს...
მე თუ სტრიქონი გადამისუნდა,
ლექსის ნერგები შენ გაახარე.

ლეო კვიციანიძე

თურმე ხდება ზამთარშიდაც
გულმა ჩანგი აკუნესა...
ეგ, ღიმილი ეფინება
ლოყებსა და მერე მკერდსა.
მარტო შორით რად მიმღერი,
კოსმოსიდან ვით ჩაკრლო
შენი ლექსის მეზღვე ვარ,
გულო, უნდა გიერთგულო.

პასუხი

ჩემთვის უცნობს, მსურს გისურვო,
მთლიანობა ქართველ ერის...
ლექსს ეხვევი როგროც სურო.
ჭურმარანთან ვიცი მღერი...
გატყობ კალამს ბევრჯერ პირავ...
მჯერა წერდი ლექსებს ადრეც...
იებს კრიფავ ბუჩქის ძირას,
ეფერები ღამაზე ვარდებს.
ქარს მოკითხვას თუ აბარებ,
ჩემი ლექსით ნუ ბრუვდები...
თუ გააღებ ცისკრის კარებს
კვლავ მიწაზე დაბრუნდები.

ლეო კვიციანიძე

იქნებ არც ღირდეს ჩემთვის მოცდენა,
თუმც ვინ მოიწყენს მგოსნის შექებით.
ეყოს შენს კალამს ცრემლის მოწმენდა,
შენ სიხარული უფრო შეგშვენის.
დავეშვებოდე ვიდრე მიწაზე,
ალკურ მდელზე დაგიკრეფ შროშნებს...
და ჩვენი ქვეყნის მტრების ჯინაზე,
მთის მწვერვალიდან მოგიძღვნი ღოცვებს.
გულო, კედლები სკდება შექებით,

შემოეტკვლიდა ბროწეულს კანი.
ენდოგენური სიმის შეხებით
შენ გააღვიძე ჩემში ვულკანი.

პასუხი

არა ძმობილო, არ ვარ მგოსანი,
მე პოეტი ვარ, წიგნთა ავტორი,
ჩემი ლექსია ნაზი შროშანი
და ამ სიმდიდრის შენც ხარ პატრონი.
ყვაგილები კი ძალიან მხიბლავს,
განსაკუთრებით ია და ვარდი,
ეკლები შემხვდა მე ბედის იღბლად.
ვიარე ასე ცრელით და ავდრით.
ბედით ღრუბლები მეფინა მხრებზე.
ადარ მსურს სიტყვის სითბომ გამაშროს,
სჯობია დავრჩე თოვლიან გზებზე,
ვიდრე ცის ნამმა წამით დამათროს.
ბროწეულები ჩემში არ ჰყვავის,
არც შიშით შინდებს უსკდებათ გული.
მოულოდნელად ჩამოწვა ზვაავი
და ვარ ძალიან გულდაჩაგრული.
მოვრწყე, დავაღპე მთები და მდელო...
თუძცა გამხსნეგებ ჩემებრ დარდიანს...
თვალით არ ვეძებ არც ალენდელონს
და ჩემი წლები ასე გადიან...

ლეო კვიციანიძე

ვინც უცხო ტომელს არ ერიდება,
რომ დაიბრალოს ქართველ კაცობა.
არა მგონია იყოს სირცხვილი,
შენი ლექსების პლაგიატობა...
თუ დავბრუნდები კიდევ ჰო, კიდევ...
ტყვია ტყვიაში არ გახუნდების,
„ვით ჩვენ გმირ მირზას“ –
მეც მაპატიე,
დანაშაული არ დაბრუნების.
არც მე დავეძებ სოფიო ლორენს,
მსურს დიოგენის – ლამპა მზიანი.
წინ მიუძღვოდეს ჩაბნეულ მხეს,
გვერდით მომღვევდეს ადამიანი.

პასუხი

არც მე არ ვეძებ მზის სხივებით
გარუჯულ ხელებს,
არვარ ნაჩვევი ძალით ვინმეს მივესაფიფო.
ვერც ამატირებ, და ქარივით
ვერ გამახელებ,
ცის ვარსკვავლები, ნიყვებივით
უნდა დავეკრიფო.
ხან ომში ვარ და... ხან სინაზით
ვუმღერი მოვარეს,
სახღვრებს არ სცდება, ჩემი ფიქრის
ლექსის სამანი,
პოეტს, პოეტი „შეგერკინე“ და
ცოტა ფრთხილად...
ჩემი ლექსია გაზაფხულის იასამანი.



მაია ტყემალაძე

ათასწლოვან ცაძარს



კაცხის ტაძარს უბრწყინვალეს ყელსაბამად,
 აემძივა წელიწადი ათასი,
 ცაზე მადლი აფერადდა ცისარტყელად,
 ხნულში გათბა თესლი უხვად ნათესი.
 დიდებული ამბის მაცნედ ექო მთათა,
 სიონსა და სვეტიცხოველს გადასწვდა,
 აღიმილდა ბაგრატი და მოწამეთა,
 ახეიმა მრავალტანჯული ხანძთა.
 აისს აჰყვა ზეციური ხმით გალობა,
 ფოთოლცვენა თითქოს ტაძრის წლებია,
 სასაჩუქრედ გვირგვინსა სწნავს კაცხის სვეტი,
 წუხელ ღამით სულ არ ჩასძინებია.
 ცისკრის ვარსკვლავს კელაპტარი აუნთია,
 მთვარეს წრფელი გული შემოუწირავს,
 თეთრხოხიან მლოცველებს ჰგავს ღურჯი მთები,
 მზეს სხივებით ოქროს ყანწი უჭირავს.
 სუროს ხლართში ჩახვეულა ჟამთა ფიქრი,
 შემოდგომა მანდილს ფენს ფარდაგივით,
 ათასწლოვან ცოდვით გულ-მკერდ დაისრული
 დუმს ტაძარი ბრძენი დედოფალივით.
 სასოებით მუხლმოყრილა ბერი,ერი,
 წარსულიდან ღოცვა ისმის მამათა,
 სამრეკლოდან აგუგუნდა დედოზარი,
 გაიღვიძა საძვალემაც ბაღვაშთა.
 მოსალოცი ბარათები მოაქვთ ფოთლებს,
 ყველა სტუმარს გულს უთბუნებს კანკელი,
 მაცხოვრის ხატს თითქოს ცრემლი ჩამოსდინდა,
 ცახცახებს და მის წინ თრთოლავს კანდელი.
 ...დგას ტაძარი – ათასი წლის დედოფალი,
 ღრუბლის ქულა ფატად ჩამოენისლა,
 მაცხოვარი მკვიდრობს იმის გულ-მკერდში და
 რას დააკლებს „ბჭენი ჯოჯოხეთისა.“

ბოღბე

„ნინოს ხსენება სიხარულისა ღირს არს“

(ნინოს საციხკრო მერვე გალობა)

წმიდა ნინო - სულიწმიდის ქნარი,
 მზის სხივებით ჩამოწული ნაწნავი,
 ამ სხივებში ოქრო-მადლი მცურავი,
 თმა გიშერთ შეკონილი ჯვარი.
 ბოღბე-მშვიდი ნავსაყუდი მრევლის,
 მუხლმოყრილი, შავოსანი დედები,
 ხის ფესვიდან მოწანწკარე წვეთები,
 წმიდა ნინოს უშრობელი ცრემლი.
 მსცოვან მიწას კურნავს წმიდა ცრემლები,
 დიდ გვაღვაში ზოგჯერ მოდის წვიმებად,
 გათოშილ სულს ხან ეღვრება სხივებად,
 ვაზს წამლობს და მსხმოიარობს მტკენები!
 თუმცა რისხვით გვეპაღება მტერი
 და წალკოტის მითვისება კვლავ უნდა,

ბოროტს თესავს და მძვინვარებს იუდა,
 სისხლით ისევ იღებება მტკვარი!
 მაგრამ, ერო, შიშით ნეტავ, რად კრთი?!
 მტერი როგორ მოგერევა როცა,
 ზესკნელიდან წმიდა ნინო გლოცავს,
 სიღონიას შენს მკერდში აქვს კვართი!
 წილხვედრი ხარ თავად ხვთისმშობელის,
 მტერი როგორ მოგერევა როცა,
 შუშანიკი, ქეთევანი გლოცავს,
 შენ უთუოდ გაბრწყინება გელის.
 წმიდა ნინოს შვილობილი დედები...
 ხარობს ბოღბე, გვიხმობს ცისკრის ზარი,
 აქ მრთელდება გულის ყველა ბზარი...
 ბოღბე – რწმენით დახუნძლული ედემი!

ნ ი თ ე ჯ ა ბ ა ც ო ნ ე ბ ი

თუ დედა გეძახის – გაიგონებ, დედის ძახილი
ძალიან, ძალიან შორიდანაც გესმის.

ოტია იოსელიანი

ფანტელები ცვიოდა ციდან,
თოვდა, თეთრ ზღაპარად თოვდა,
სულ პატარა ვიყავი, ციდა,
წითელა ბატონები მქონდა.
ფიფქების ცეროდენა ზღაპარს
საწოლში მიამბობდა დედა,
კეთილ გულს მინათებდა ლამპრად,
თვალებში ჩაგდგომოდა სევდა.
წითელა ბატონების თოვა,
სახეზე მეფრქვეოდა უხვად,
ფიფქები მელოდიას ქსოვდა,
ზღაპარი ბატონებზე წუხდა.
თითქოს მახატავდნენ წინწკლებს,
ფუნჯით მიღებავდნენ სახეს...
ო, რა დამავიწყებს იმ წლებს,
ბავშვობის სამოსში რომ მახვევს.
დედა, არ გეძინა ღამით,

არც ერთი წამი და წუთი,
შუბლზე მეხებოდი ბავით,
ყელში გაწვებოდა ბურთი;
ბავშვი დამეწვაო სიცხით,
შიშით აღვიძებდი მამას,
მაგრილებდი ჩუმ-ჩუმი ცრემლით,
ნაზად მიმდეროდი“ ნანას...“
ო, რა თბილი იყავ, დედა,
ო, რა ტკბილი იყავ, დედა,
ძლიერი იყავი, დედა,
შენ, აბა, ვინ შეგედრება?!
ქვეყნის სიაგაკაცე ახლა,
წითელა ბატონებზე მეტად,
მტკივა, სულ ძალიან მტკივა,
ჰოდა, მომეშველე, დედა!
ჰოდა, დამიფარე, დედა!

ყ ვ ა ვ ი ნ ნ უ ლ ს - უ ბ ა დ ლ ო მ ა მ უ ლ ს

(როგორც უფალი, სამშობლო ერთია ქვეყანაზედა)

წითელ ყაყაჩოებს დაგკრეფ,
ლაგამს მოვაშორებ თეთრ ცხენს,
ცის ცვარს პეშვით ფრთხილად ავკრეფ,
იუდას გაგუბნევე ვერცხლებს.
თეთრ ცხენზე უბადლო მხედარს,
იმედით შევაგლებ მხერას,
მუხლმოყრით შევედრებ მზისდარს
მამულს, მიტოვებულ კერას.
სამასსამოცდახუთ ტაძარს
ფეხდაფეხ მოვივლი კრძალვით,
ლოცვებით დავანთებ ხანძარს,
მტერსაც კი შევუნდობ მალვით.
თავთუხის თავველთა ყანას,
წითელ ყაყაჩოთა სისხლით,
არ დავთმობ ოშკსა თუ ბანას,
ღვარძლში არეული იფქლით.
უბეში ჩავათბობ ფრთხილად,
ბუდეჩამონგრეულ ბარტყებს,

სულს ვიხმარ ჩონგურის სიმაღ,
ტანჯულ ერს შევედრებ ხატებს.
თვალსაც არ მივლულავ ცისკარს,
ცის ნამით გავლუმბავ კაბას,
დავუხშობ მტერს ყველა ჭიშკარს,
ამბორს ვყოფ თეთრ ჩოხის კალთას;
შევედრებ, რომ ყველა ქართველს,
მოეგოს ცოდვებთან ბრძოლა,
დაჭრილი არწივის მართვეს,
ლაღად შეძლებოდეს ქროლვა...
ყვავილწუნულს– უბადლო მამულს,
სამოთხის სადარი მიწით,
ზვარაკად შევწირავ ჩემს გულს
და, მტერს ელდას მოვეგერი სიმწრით...
მიწა–გაპოხილი სისხლი,
დღემუდამ ნაბრძოლი ველი,
მადლი– აწონილი მისხალ...
და ... წმიდა გიორგი–მსხნელი!

ლექის დაწერის წინაპირობა: წარმოსახვით დანახული ნახატი–თეთრი ცხენი წითელი ყაყაჩოების ზღვაში... თეთრი ცხენი ჩემთვის ყოველთვის ასოცირდება მის უბადლო, მძლე-თამძლე მხედართან – წმიდა გიორგისთან. წითელი ყაყაჩო კი–ჭეშმარიტ მამულიშვილთა-გან დაღვრილ ქართულ სისხლთან. წარმოსახვას აემძივა ლექსი, რომელიც გულიდან ერთბაშად გადმოიღვარა...



შალვა ილურიძე

უხილავი ცოდვა

ერთიანად?!
დანმაშავე კაცი ვარ,
ცოდვა დამაქვს
გულში არ საპატიო!
ერთიანად?!

ადგოკატიც ვყოფილვარ,
მინდა ჩემს თავს
ბევრი რამ ვაპატიო...
ერთიანად?!
მოსამართლევც გაემხდარვარ,
ჩადენილი!!!
ცოდვა არ ვიპატიო...

ჩემო სამშობლო

ჩემო სამშობლოვ, ღიმილი გშეენის,
როგორც გაზაფხულის ნუში,
რომელი ტკბილი სიტყვით შეგამკო,
სისხლზე მეტი ხარ გულში...
მე შენ ძველ წარსულს არ შეგახსენებ,
მწარე სევდა გაქვს სულში.
უფლის წილხვედრო უნდა გაბრწყინდე,
სისხლზე მეტი ხარ გულში...
შენს ღამაზ ფლორას, ღამაზ ფაუნას,
მარცვალს ჩავუბდე ხნულში.
მუხლ-მოყრით ტკბილად ჩავგეხუტები,
სისხლზე მეტი ხარ გულში...
ჩემო სამშობლოვ, ჩემო სამკვიდრო,
ჯვარი ჩამასვი შუბლში.

საქრისტიანოვ დედულ-მამულო,
სისხლზე მეტი ხარ გულში.
ხარ ირემივით გადმოვფრინდები,
შენს ბაღ-ვენახის წნულში...
მთაზე ვდგავარ და იქიდან ვკვივი,
სისხლზე მეტი ხარ გულში.
ეს სიყვარულიც შენგან ვისწავლე,
ბავშვს ჩამიწანი სულში,
ახლა თეთრ წვერას უფრო უყვარხარ,
სისხლზე მეტი ხარ გულში...
მიყვარხარ ძლიერ ჩემო სამშობლო,
ვერ გაგცვლი ოქრო, ფულში.
ტკბილო მშობებლო, შენი შვილი ვარ,
სისხლზე მეტი ხარ გულში!!!

უმუხთაღო წუთისოფელო

ხან ტკბილი ხარ და ხან მწარე,
სიცოცხლევე ძვირად მყოფელო.
მაგ ქცევით თავს რად მაძულებ,
მუხთაღო წუთისოფელო?!
ან რატომ გავჩნდი ვიწყველი,
უფლის ნაჩუქარ სულსაო.
ჩემს კერაზე ვერ ეღირსა,
სიბერე ამ ჩემს გულსაო...
ბარს დამიბერა ტკივილმა,
ჯვარიც მიკვეთავს მუხლსაო.
რამდენი ქსნელი დევნილი,
ჩემებრ კვნესის და სწუხსაო...
მაინც ასე რად მიმეტებ,
აეის და კარგის მყოფელო?!
ხან მამღერებ ხან მატირებ,
მუხთაღო წუთისოფელო!..

თავთხის ჭური

ყანაში ვდგავარ, ფიქრთა მთოველი,
ვხედავ თავთუხი, როგორ ღიღილობს,
დამძიმებული პურის თავთავი,
ჩუმად თავისთვის ტკბილად ღიღინობს.
მაგრამ ყაყაჩო შემოპარულა,
უფლის ყანას რომ წითლად ამშვენებს.
ო, ეს ფერები, ეს სიღამაზე
თავთუხის პურს თუ გადააშენებს...
აი უფლისა საბადებელი
მისცა ადამსა სარჩენად მისა,
სიკეკლუცით და მის სიღამაზით
თავთუხსა უთხრის ყაყაჩო ძირსა.
ოხ სიღამაზევე, თვალის მომჭრელო,
როგორ გინდა რომ გაიბატონო,
მაგრამ თავთუხზე თუ მაღლა სდგახარ,
უფალსა ჰკითხე! – წადი ბატონო!!!

როგორ არ მინდა

როგორ არ მინდა!
 ამ საწუთროდან
 შენს უნახავად გარდავიცვალო.
 როგორ არ მინდა!
 სიმწრის დღეები
 დევნილობაში ვთვალო და ვთვალო.
 როგორ არ მინდა!
 ლომისის ხატში
 სანთელს უჩემოდ ანთებდე ქალო.
 როგორ არ მინდა!
 ჩემს სამების მთას,
 წეროვანიდან უცქერდე თვალო...
 როგორ არ მინდა!
 აქ ბარში მოვკვდე
 არ გადაგსერო ჟამურის მთანო.
 როგორ არ მინდა!

ჭურთის კალმასსა
 ზურგზე ვარსკვლავნი ადარ ვუთვალო...
 როგორ არ მინდა!
 წინაპრის საფლავს,
 ეკალ-ბარდები არ მოვაცალო.
 როგორ არ მინდა!
 ჩემსა სამკვიდროს
 ბარიდან მწარედ ვუმღერდე ქალო...
 როგორ არ მინდა!
 წეროვნის ველზე
 სიბერის ტკბილი დღეები ვთვალო,
 როგორ არ მინდა!
 ჩემო სამკვიდროვ!
 პაპის სახლ-კარო!
 ჩემო სიცოცხლე!
 შენ გაგყვარო!!!

მკვლელი ხარ მკვლელი სიკვდილო

კიდევ ერთი მეგობარი
 ხომ წამართვი სიკვდილო,
 როგორ გინდა შე ქოფაკო
 დევნილს გულზე მიკბინო.
 სამლო გამინახევრე და
 ვერა სძღები სისხლითა,
 სუფველას რომ გვემუქრები
 მაგ ბოროტი თითითა.
 ძმების სულის სახსენებლად
 ვდგავარ უფლის კართანა,
 ძაან ადრე ნუ მაყენებ
 მკვლელო, -გლოვის ზართანა!!!

შვილო სიცოცხლის მტევანო

შვილო, შე ჯაგნის მტევანო,
 ჩემი სიცოცხლის საკვებო.
 ცხრა თვე ტკბილ დედის მუცელში,
 ჭიპლარით გამონაკვებო.
 მერე გამჩენის ძუძუ-მკერდს,
 ხსენითამც გამონაკვერო,
 აკვანში ტკბილის გალობით,
 ჩამოქნილ, ჩამონაფერო...
 წამაიზრდები ბოკვერი,
 ჯილაგთა სისხლის ნაფერო,

სახელი მინდა დასტოვო,
 ვეფხის და მოყმის საფერო.
 არ დაგავიწყდეს ვისი ხარ,
 საით მიჰყავხარ ბილიკსა,
 მტრისა მოშურნე ენანი,
 არ მაიშლიან ქილიკსა.
 ქართულად უნდა იცხოვრო,
 ქართულად უნდა იარო,
 ქართულად უნდა ილოცო,
 უფლის გზა გადაიარო...

ბეჟან ხარაიშვილი



ხევსურეთის ხმლისებრ იელვა არაგვმა და მთების უბეს შეასხიპა რუხი ნისლეები. მოგონებები სიმწარემ აღაგმა და რძისფერმა იჭარბა ჩანჩქერებში. გოგოლაურთას შევესწარ ხატობას,

ზამთრის სურათი

შებინდებისას მოცახცახე ხეების სული შემოაპარა ქარმა სარკმელში და მძინარ თვალებს დააცრიცა თეთრი სიზმარი... გამთენიისას აღარ სჩანდა სულის ნაფლეთიც, სიცარიელეს ამოვესო სიცარიელე; იცოხნებოდა ბუხრის ყელი ცისფერი ბოლით, ფანჯრებზე ყინვას გაეცინა ფიროსმანისთვის.

ხაცობაში

ყელში ჩაუკლეს სიცოცხლე ჭკვილებს... – დღეს, რა თქმა, უნდა მომიწვეს დათრობა და საქართველოს სისხლიანი, ავი წარსული, წვეთ-წვეთ, თანდათან გამოჟონავს ჩემს თვალებიდან.

გზახეული

მზესთან იანვარში შენათვალ მიჯნურობას, მწვერვალებზედაც უარყოფს თოვლი და ისე თეთრად და იმგვარი სიწუმით კვდება, რომ შინდის კვირტებს გული უსკდებათ. რა დროს სიკვდილია,

კიდევ ერთგან გაჭრიან მიწას... ჯერ უნდა მომჭრან მარჯვენა და სული მომთხოვონ... მწვანე შექნიშნად ინთებიან გზაზე ხეები, ეს იმას ნიშნავს, გავიარო, – წინ მამულია!

* * *

ხორცის ქვეყანაში ხომ არ დავიბადე?! ამ კითხვას ათასი კითხვა უერთდება – მთას ძარღვი გაუსკდა ცივ მდინარეებად თუ საქართველოს სისხლი უერთდება... თბილისი თვალს ხუჭავს,

მტკვარს გულში იხანჯლავს, დიაცი ძაღლებთან სეირნობს... და ბოლოს: წახდა საქართველო, – ამბობს ქალიშვილი და ამერიკულ სიგარეტს აბოლებს!

შემოღვომით

ფოთლის ცრემლში ტყის ღოცვათა ციმციმი, ცვრიან მთაზე ცხვარის გადათოვლება, ყვავილისკენ გადახრილი ყვავილი და პასუხად კოცნის არ დაყოვნება... მიყვარს ხოლმე ჩემი სოფლის ჭაღაზე სიმინდებში მთვარის ჩანამგალება, კლდის ქვებიდან გადმომდულარ ჩანჩქერის თვალით შესმა და წყურვილის წვალება...

მიყვარს ხოლმე ხევსურული ჩოხისებრ გაშლილ ცაზე გადაწინწველა ვარსკვლავთა, თავთუხებზე ხოხბის ფერთა ფენაში უშენობა დაჭრილივით ჩავა და... ვდგევარ ხოლმე... და ვიხსენებ იმ დამეს მტევნების თვე მიმაწურე ბაგეზე, ფოთოლ-ფოთოლ გადაივლის ყვითლობა შენ კი ისევ სიცოცხლეზე მაქეზებ.

არავს

შენ, ფშავ-ხევსურთა გიჟო ქალწულო, ო, როგორ გშვენის მტკვართან წაწლობა, ვაჟას ჩანგეთში ჩაიტკბე ეგ ხმა, თუ გუდანისჯვრის მოგაქვს წყალობა. სვეტიცხოველთან, ჯვართან... მითხარ, ლაშარგორს რაი ითქმების, კაი ყმათაგან, განა ენებით?! იახსრის ფერდობს თუ კვლავ მიჰყვება

ჭადარა ვეფხვი სვენებ-სვენებით – საქართველოზე ჯვარცმით! მარქვი, ტაღლაა მკერდს რომ გიტოკებს, თუ ბუნების წიგნს იფურცლავ ხელში, მაგ თმებს ჩამოაქვს ლუღ-არყის სუნი, თუ საქართველოს ვბარბაცებ ეშხით – გიჟო ქალწულო, მარქვი!

რომელი ჯობნის

გამოზაფხულზე, მოგიხმობს როცა,
სხვა მაისობის თეთრი ლანდები,
ლეღვივით მწიფე ნაკეთების რხევით
დიდი სარკის წინ შეტრიალდები.
გარეთ კი სიო აღუბლის რტოზე
ღამეულ ცვლათა ცვლილებებს არკვევს,
– რა ღამაზი ვარ – ფიქრობ სარკის წინ,
– რა ღამაზი ხარ! – გიღიმის სარკე.
ოთახში უხმოდ შემოდის ლანდი
და წარმოდგენით ცოცხლდება წამსვე,
რომელი ჯობნის? – გაიფიქრებ და –
შენი მწიფობა იწყება ასე.

ფიქრი კი შორეთს მიჰყვება ისე,
როგორც მწვეარი წვიმიან ნაკვლევეს,
– რა თვალები მაქვს? – იფიქრებ ისევ,
– რა თვალები აქვს? – იფიქრებს სარკეც!
ვეღარ შენიშნავ რა ხდება გარეთ,
სიზმრისეული სიამე გავსებს,
გადაირეკავს გული სადარდელს
როგორც მთის ჩქერი ნაპრაღთა ხავსებს.
ოთახში უხმოდ შემოდის იგი
და ორეულთან მესამე ჩნდება,
– როგორ მიხდები! – დახედავ კაბას,
– შენ კი გამიქრი! – გაპასუხობს დედა!

* * *

სამოცს გადასცდაო, –
თქვა ერთმა დანანებით,
– რას იზამ, ყველანი სიკვდილის შვილები
ვართ, –
თქვა მეორემ და ხელები გაშალა,
ღმერთმა აცხონოს, –
ჩაურთო მესამემ,

– აპა, გეიჭამია ხაშლამა!
.....
წადი, გაასწარი ტყისკენ, გაასწარი
ჩემო სისხლისფერო მოზვერო,
ყელში ჩაგიკლავენ სიცოცხლეს ხანჯლებით
არც შენ დაგინდობენ, ოხერო!

* * *

მომიახლოვდი, როგორც არასდროს,
მომიახლოვდი!
– ვყიდი ვარძიას,
– ვყიდი ხერთვისს,
– ვყიდი არხოტს და
– ვყიდი ხოშარას...
მე აღარ მინდა თქვენი ლიბანი,
ისრაელი და მთელი კამბოჯა,
მე საკუთარი დარდი გამბოჭავს,

მე საკუთარი ბოღმა მომშხამავს,
შენ კი ჯიბეზე ხელებს იფარებ,
მე ამიტორდა მუხრანი... ანა...
მე რომ გავყიდი, იყიდი განა?
მე რომ გავგიუდე მომკლავდი განა?
მე თვალებდათხრილ დიდ ფრესკებს გიცვლი,
მხარჩამოკვეთილ ამ ხერთვისს გიცვლი
იმ პირველადქმნილ საოცრებაზე.

* * *

ყურძენს მიხვეულმა ბავშვმა
ერთხელ შემთხვევით შეჭამა ძახველი,
და მტრისას იყოს, სისხლი მოეწამლა;
ნუკრები უკოცნიდნენ თვალებს გახელილს...
ღედის აწრდილივით აფრთხობდა წყურვილს

და
ტუნებზე მიედო რძისფერი სახელო,
ღმერთმა დაგწყველოს...
ღმერთმა დაგწყველოს!
გათათრებული ქართველის სისხლზე
ხომ არ ამოდიხარ ძახველო?!

ნაცვრს

და როგორც ღოთი, ღუდის ჯიხურთან
ფულით ამოვსილ ძველისძველ ჯიბეს,
ისე ვინატრებ შორენა გერქვას,
ცერზე წითელი მიმინო გეჯდეს.
და ვაშენებდე გაღმა-გამოღმა,
ორივე მკლავის დასაჭრელ კედლებს,

რომ სამოთხეში, გინდ ჯოჯოხეთში
თავთან დაკლული სიკვდილი მეღოს,
ანდა ვაჟაის მთაში ჩამმარხა,
ხმელი წიფლისთვის სანედლო ფესვად,
ო, როგორ მინდა შორენა გერქვას,
ცერზე წითელი მიმინო მესვას!



გვანცა ხარაიშვილი

* * *

შენს სხეულზე დავარწიე
ჩემი ხასიათის ცვლილებები და
ყველა მოგარბე.
რა დღეა დღეს?
რამდენს ხანს ვიგვიანებდით?
ან ახლა თუ ვართ საჭირო დროს
ერთმანეთის სულის სათავეებთან?
წვიმს.
ან ეს წვიმა გამოვიგონეთ.
მე ვეფარები
შენს მარცხენა ნეკნს –
სადაც სახლია.
მაინც, როდის იქნება,
შავი ღამეების უკანონო ნაშიერი,
შენში რომ დავიდებ ბინას?
არ მაქვს ძალები.

ჩემი ფიქრებიც კი ვერ შემოვლობე
მიწაზე რომ დატეულიყვნენ
და ვერც სინუშე გამჯობინე,
ვერც სევდა.
ახლა ვწევარ.
თავში არეული მიზნებით,
დაუსრულებელი და წამოუწყებელი
საქმეებით

და მჯერა,
გესიზმრები.
გარეთ მარტია,
რომელსაც ვერ ვგრძნობ
და ვიცი,
გიყვარვარ
და უფრო მეტიც –
დაუფარავად.

* * *

დამარწიე,
სირინოზებთან პაემანზე წასასვლელი
მიმდერე ოდა.
გიგანტურ ქვებზე გამაწვინე,
უნდა გავაშრო სველი თვალები –
იქნებ, ალოკონ მზის სხივებმა
ტკივილების მარილიანი გუბე.
დამამშვიდე,
სანამ გავხსენი მდინარის სხეულში
სიცოცხლის სუნთქვა.
მიპატრონე,
მე ხომ შეშინებული ბაყაყივით
გადმოვხტი შენი თვალების უსასრულობაში.

* * *

თქვენ ამბობთ,
რომ სიყვარულის სწავლა შეუძლებელია..

...

სირბილის დაწყებამდე უნდა შეჩერდე,
ყური მიუგდო სხეულის სინუმეს
და მერე გაიქცე.
მოგზაურობის დაწყებამდე
უნდა ააშენო სახლი,
წასვლამდე უნდა დარჩე.

როცა თენდება,
როცა ღრუბლებს ძარღვებს აცლიან
მარშრუტს აცდენილი თვითმფრინავები,
როცა დღე დაბადებისთანავე
სიკვდილისთვის იწყებს მზადებას –
უკვე მერამდენედ მიყვარდება არ ვიცი.

მიყვარდება მუშა იმის გამო,
რომ ძირგაცვეთილი „ჯეკსონები“ აცვია,
მიყვარდება გარემოვაჭრე იმის გამო,
რომ მსხალს სხვებზე იაფად ყიდის,
მიყვარდება ჩემი ქუჩის კუთხის მათხოვარი
იმიტომ,
რომ აღარსად ჩანს და იმედი მაქვს მოკვდა,
აორთქლდა,
ან ჯეკპოტი მოიგო –
დაამშვიდა ხალხის სინდისი.
მიყვარდება ქალაქის საცობი,
სადაც ბევრი დრო მაქვს ვიფიქრო
და აღმოვაჩინო კვლავ ვერაფერი
საკუთარი თავის გარდა.

ქალაქებში დაღამებამდე იღევა
ჯანგბადის მარაგი.
ამიტომაც,
სკვერებში მოსეირნე წყვილები
ერთმანეთის ფილტვებით სუნთქავენ.

როდის იყო ბოლოს
ჩემმა თვალებმა რომ გადმოასხა
შენი ხელების ფიალაში
მოტკბო ღვინო?
ვერ ვისვენებ..

შიშები კუბიკებით სწრაფად
და პირამიდებზე უფრო გამძლენი იგებიან.
გადამადე შენი შიშები
გადამისხი შენი ტკივილები,

სანამ დროა.
სანამ დროა.
სანამ დროა.
სანამ სიყვარულს ვისწავლი.

ქარი ანგრევს მარტოობის კედლებს
ამ ღამით.
გადავამრავლე ჩემი სახლის გასაღებები
რომ შემომეშვი.
რომ მომეთმინა კოშმარების
ჩუმი კვილი
შენი სახიდან,
მყარად მიმება უსახელო სურვილების
მთელი კასკადი
მაგ თეთრ მკლავებთან.

სახლებში ყველაფერი სწრაფად ირევა.
სანამ იპოვნი კარადაში მიმალულ კაშნეს,
შესაძლოა,
ყველაფერი თავდაყირა დადგეს.
თუ გასაღებს არასწორად მოარგებ კლიტეს,
კარის გატეხვა მოგიწევს.
არევა მოგიწევს
სახლის,
ნივთების,
ამბების.

მერე,
როცა ეს არეულობა
სიცოცხლესავით ბუნებრივი მომეჩვენება,
შენ მეტყვი რომ
არა!
და ყინულივით სახის ნაკეთები
აბზაცის დაწყებამდე დასვამენ წერტილს.
დასასრულია.

ვათენებ,
დამეებს არა,
მოგონებებს,
რომლებსაც ჩემთან ყველა ძაფი დაუწყდათ.
დავდივარ ყველგან სადაც არ/ვერ ვიყავით.
გიკითხავ ლექსებს პოეზიის იმ სადამოზე,
სადაც არა ხარ
და როცა სიზმრებში მეცხადები
გიმეორებ,
რომ გავიგე შენი შიში,
გავიგე სადა ხარ.

ხელებს მხვევ მხრებზე.

ისევ გინდა აკოცო ეშმას
და გიმეორებ
რომ გავიგე შენი შიში,
თუმცა არ ვიცი სადა ხარ.

მსვავ ნავში
და გადაცურვას მპირდები ზღვისას.
მე გიმეორებ,
რომ დიდი ხანია
გავცდი ნაპირს,
უკვე შორსა ვარ.


პირველყოფილ ემოციებს
სულიდან მაცლის ის სიცივე,
მე რომ დამბადა.
დეკემბრის თვეში იფურჩქნება
მინდვრის გვირილა.
რასაც ვეძებდი თავთან მედო
დიდი ხანია,
გულთან მედო
დიდი ხანია.

ახლა,
როდესაც ხელებს იბან სისხლიანს,
პარაკლისს უხდი სიყვარულის
მომხრჩვალ ემბრიონს,
უთაებოლოდ ებმები გარდაცვლილი
გრძნობების ქსელში,
ილუზიების სამყაროდან გამოაბიჯე –
უკვე დროა,
უკვე დროა,
უკვე დროა,
სიყვარული ვისწავლე.

. . .
სირბილის დაწყებამდე უნდა შეჩერდე,
ყური მიუგდო სხეულის სიჩუმეს
და მერე გაიქცე.
მოგზაურობის დაწყებამდე
უნდა ააშენო სახლი.
წასვლამდე უნდა დარჩე.

* * *

მეგობრებს,
რომლებსთვისაც არ მრჩება მთავარი –
დრო,
სიყვარულს,
რომელსაც ვერ ვპატიობ წასვლას –
უმისამართოდ,
ღმერთს,
რომელიც მოკვალი დილის ლოცვაში,
დღეებს,
რომლებმაც ოცნებები დაასაფლავეს,
ლექსებს,
რომლებმაც გამცეს,
ამბებად დამანაწევრეს:
მე ისევ აქ ვარ.
კვირის მერვე დღეს ვაცხობ
შემის ღუმელში,
რომლის ირგვლივაც შემომსხდარებს
მოგონებების პლუდი გვათბობს,
გვა-სულ-დგმულებს.
მე ისევ აქ ვარ.
მთის ძირში,
მარტო,
რადგანაც ჩემი სიყვარულის სახლი
ზამთარში ხეზე მიტოვებული ბროწეულივით
დასკდა –
მისი სიტკბო სიცივემ წაიღო.
მე ისევ აქ ვარ.
ვანთებ სანთელს,
შობის ღამეა,
და ღმერთს ვთხოვ იშვას
არცერთხელ მისთვის გაღებულ გულში.
მე ისევ აქ ვარ.
ოცნებების მესაფლავე დღეებს
ვუკოცნი წამებს –
ახალი სურვილების ნაყოფს,
მუცლით ვატარებ.
მე ისევ აქ ვარ.
ახლაც გამცემს
ვიცი, ეს ლექსი.
ახლაც გამცემს
ვიცი, ეს ლექსი.



ვერის უბნის ჩანახატი

ერთ სადამოს უცხოეთში
თბილმა სიომ დამიბერა,
ჩამჩურჩულა რაღაც ყურში,
მეაღერსა, მომეფერა.

“ოს ნეტავი დაგაჯერა”,
ჩურჩულებდა თბილი სიო,
“გულთბილ სალამს გიძღვნის
ვერა
და მოკითხვას – თბილისი”-ო.

ურუანტელმა დამიარა,
გულმა იწყო სწრაფად ძგერა,
შენგან ჰქროდა ნაზად სიო,
მხოლოდ შენგან, ჩემო ვერა.

ვერც დიდი დრო და ვერც ხანი
ვერ მავიწყებს, ვერა, ვერა.
შენატრება ეს უბანი,
მშობლიურო ჩემო ვერა.

ჩემი სახლის აივანი
და ზევიდან გადმოცქერა,
თვალწინ ოქროს კიდევანით
ჩახატულა მთელი ვერა...

აი, მონასტერი ლურჯი,
სალოცავი შენი ვერა,
ვერის ბაღის ხე თუ ბუჩქი,
სულ ზეპირად მახსოვს ყველა.

თუ ვერაზე დაიბადე,
თუ დრომ ვერას შეგაბერა,
ცოლიანი, მარტოხელა,
გათხოვილი, შინაბერა.

ჩამოჰყევი ვერის უბანს,
გაგეცლება დარდი ყველა,
მფარველანგელოზად უფალს
მიუჩნია შენთვის ვერა.
თუ ვერაზე დაიბადე,
ან დრომ ვერას შეგაბერა,
მაშინ ჩემი კარგად გესმის,
მხოლოდ მაშინ ჩემი გჯერა.

კარგად ვიცი ვერელებმა
კოლორიტულ უბნის ფასი,
მიმითითეთ ქვეყნად კუთხე
ვერის უბნის ოდნავ მსგავსი.

ნახეთ ვერის გაზაფხული,
მხიარული, ძალზე ლაღი,
ფეთქავს ვერის თბილი გული,
სურნელს აფრქვევს ვერის ბაღი.

აყვავებულ იასამანს
ეფერება ია-ვარდი,
თვით შროშანიც მიძღვნის
სალამს,
ვერის ბაღის დარდიმანდი.

ნარგიზები, გვირილები
და ზამბახთა მთელი ცვენა,
მე ამ ბაღის ყვავილების
ბავშვობიდან მესმის ენა.

მაისია, ვერა ჰყვავის,
ნახეთ რარიგ წარმტაცია,
როცა გაშლის თეთრად ყვავილს
ჩემს ქუჩაზე აკაცია.

ასეთია ვერის უბნის
მეტად მცირე ჩანახატი,
მაგრამ დაჰკრავს მას ვერელის
ცეცხლოვანი ანდამატი.

მშობლიურო ჩემო ვერა,
ნეტავ მართლა დაგაჯერა,
სიომ ნაზად ჩამჩურჩულა,
შენზე ლექსი დამეწერა.

დავით ჩიქნაძე

**ქარმა ღრუბლები ზეცის სახლში მიაგროვა და...
სახლში მიაგროვა და...**



გულნაზი ხარაიშვილი

ქარმა ღრუბლები ზეცის სახლში მიაგროვა და...
ღრუბლები გახდა, ნამიანი, წვიმად დაშლილი...
გააგებულმა ქარბობალამ ამით იდროვა,
ვარდი მოგლიჯა ძირიანად კვირტებგაშლილი.
დავსევდიანდი, შევიმოსე შავი სამოსით...
როგორ მინდოდა, იმ მძიმე უამს ჩემთან მყოლოდი
მერე? გავლილე, მწვანე ფერით ტანისამოსი,
რადგან არ მსურდა ადიდებულ წყალს გავყოლოდი.

ალარ მიხილაძე

დაუნახავო, „აცეტება“ რას მივაწერო,
სითბოს ყოველთვის უშურველად
სულში გაფრქვევდი,
შენ ამის შემდეგ ჩემს სიაში როგორ
ჩაგწერო,
მე ხომ ყოველთვის ულამაზეს სახელს
გარქმევდი.
რას იბუსხები, რას მოითხოვ,
მართლაც ვერ ვხვდები...
ვიცი ღრმად გჯერა, შენს აუგს, რომ
არსად ვიტყვოდი...
ქარაფშუტებთან დროებითაც თუ ჩასახლდები.
აღარ მიგიღებ, არასოდეს, გამოგიტყვები.

სიყვარულის სრემლი

როგორ არ მინდა ჩემნაირი
ცრემლი გცვიოდეს,
არც ის არ მინდა რომ მშველელად
მე გჭირდებოდე...
მინდა გიხილო, ზეცის კიბით
ცას ადიოდე,
ერთგულელებას კი ცრემლიანი,
კვლავ გპირდებოდე.

ალარაჟართი მე და მთვარე უბრაბი

ახლა ისეთ ხასიათზე დავდექი,
ლამისაა ზეცას ჭერი ავხადო...
კვლავ ცხოვრების სამსახურში ჩავდექი
ჩემო გულო, გმირი უნდა გაგხადო.
ფრთა საფრენად ძველებურად გავშალე,
დამდამობით მნათობს ვესაუბრები...
ღრუბლის კვალი, მზის სხივებით წავშალე
გამიშუქა მთვარემ გულის უბნები.

მოლოდინი

მოლოდინით გამიფრინდა სინორჩე,
გამეცრიცა, ცოდვილს ღამის საკინძე...
ძველებურად შემრჩენია სიმორცხვე,
მოგონება ფიქრით ძლივსდა აკინძე.
აღარ მახსოვს ფიცი პირველყოფლისა,
ჩემთვის უკვე ყინულივით გაცივდი.
მეშინია ისევ თოვლის მოსვლისა,
ამიტმაც სამუდამოდ დაგცივდი.

მადლობა უფალს

მაცვალა გონაშვილს

მადლობა უფალს, შეუმკისარ ქალურ ღირსებით,
სიყვარულსა და მარგალიტებს აფრქვევ ბაგიდან,
გაზულუქებულ ღიპუცებზე, ზიზლით ივსები,
ძმებიც, რომ იყოს ასეთები გვერდით არ გინდა.
„მაჩუქეთ მთვარე, შებოლილი მაჩუქეთ მთვარე,“
ამბობ ღუქსით და... ებრძოლები მაღალ ჩინოსანთ,
ღმერთო, პოეტი ქალბატონი შენ დაიფარე,
მტერი ასეთებს, შორიდანვე გუშანით ყნოსავს.
ო, როგორ მინდა მზით ნაბანი გაჩუქო მთვარე,
არა ისეთი, ნისლეები, რომ ტანს გიფარავდეს...
შენ ხომ პოეტო, სამშობლოსთვის ცრემლები ღვარე,
მტერსაც მისდიე კვალდაკვალ და სახლის კარამდე.

შენი გამოსწორება???

შ – ენგან ნაგვემი ტკივილები, როს მახსენდება,
 ე – ღდა დამივლის სხეულში და გული მიკვნესის...
 ნ – აწყენი წუთი ფიქრებიდან გამოსვენდება,
 ი – ს სიუხეშე ღრმა ძილში და სიზმარშიც მესმის.
 გ – ამოსწორდები?.. შეუძლებელს შენგან რად ვითხოვ
 ა – ღბათ ყოველთვის, მოჩვენებით ნიღაბს მოირგებ,
 მ – ეწყენა რამე?.. არასოდეს, არაფრით მკითხო...
 ო – მში ვარ, ვბრძოლობ და ამასაც კი შენ ვერ გაიგებ
 ს – ასწაულია არ იცვლები, უარესდები...
 წ – იწკნი ამ გულს და... შენი სიტვა არ მსურს მესმოდეს...
 ო, – ალბათ შენ გწამს იზაფხულებ... არ დაბერდები,
 რ – ატომ არ გჯერა, არასოდეს განმეორდები.
 ე – რთხელ დაფიქრდი... ეგ ნაბიჯი აწონ-დაწოე,
 ბ – ინდს დაუხურავს შენი გზები სიავექალისა.
 ა – ღბათ საჯიჯგნათ წუთიერად ქარს მოეწონე
 მსურს კარგი გერქვას...
 სული გქონდეს
 ფირუზ-ღალისა.

თუ დაგვიღლები

ქარს შეგეჯიბრე, და გაგხადე ღონემიხდილი,
 ნიაგი გახდი... შენს ჩრდილის ქვეშ ჩამოვისვენე...
 მე შენ სიავეს, სულ სიკეთის ვალით ვიხდიდი
 და თუ დამშვიდდი, წარსულ წყენას არ გავიხსენებ...

აღარ დაგიბრდი

შენ ისევ-ისევ ნისლში მიდიხარ...
 მიხარია, რომ რაც ხარ გაგიცან...
 ეს დაიჯერე აღარ მინდიხარ...
 ზეციდან ღმერთი ყოველთვის მიცაგს.
 ნუ შეიცოდებ სევდიან თვალებს...
 ცურვა ვისწავლე, გავალ ნაპირზე.
 მე ვეღარ ვუძლებ გულის დაღებს და...
 აღარც ვოცნებობ ღამაზ აპრილზე.

ვიფიქრე

ვიფიქრე... მწვადად შევწვავ გულსა და...
 სამეგობროსთან ღამეს გავათევ.
 ნერვს მოვაცოცხლებ წარსულში დარგულს,
 ძალით ერთ თეთრსაც არვის წავართმევ.
 გული მიირთვეს ჩემი შემწვარი,
 ერთმანეთს უთხრეს: ხორციც ავთალოთ
 ეს საქციელი რას მივაწერო,
 აღამიანად ვილა ჩავთვალო?...
 ან ვისლა ვენდო უკვე არ ვიცი,
 უმადურობით დავსევდიანდი...
 მტრისიც მჯეროდა მე დედის ფიცი,
 დღეს ვერ ვიპოვნე ადამიანი.

თუ პოეტი ხარ

თუ პოეტი ხარ, ძილშიც სწერე შენი ვალია,
 გამოიფხიზლე, აივანზე შეეხე რტოებს.
 შეფს და ჩინოსანს, ლექსებისთვის სადა სცალია...
 ლექსის კითხვის დროს ის შეიგრძნობს სრულ
 სიმარტოვეს...

თუ პოეტი ხარ, დღის ფიქრებშიც წერე ლექსები,
 ხან მგზავრობის დროს შეაცურე სტრიქონს თითები...
 ტოტებს დაიზრდის პოეზიის თოთო ფესვები,
 პოეზიაა ნატურმორტი, მთა და მითები.

მალხაზი – ბარო ბაზაძეს

- მ – ადღიერების სიტყვებს ვგზავნი, ლექსის ბარათით...
- ა – ნათებს ზეცის ღამპიონებს შორს... ცათა სული.
- ლ – იჩსა და ჭალოვანს ვარსკვლავები, შუქს ჰფენს ბარაქით,
- ხ – არაიშვილთა მოდგმშია მზე ამოსული.
- ა – მ საუკუნის ღვთის მოვლენას ფერი ეცვალა...
- ზ – ღვა სიხარულით ნორჩმა ნერგმა ისევ იხარა...
- ი – ს ბრვე ვაჟკაცი ხეობას, რომ გარდაეცვალა,
- ბ – ეჟანი აღსდგა, ფენიქსივით, მღერის გიტარა.
- ა – მ სიკეთისთვის ბატონო მალხაზ, მრავალჟამიერ...
- ჩ – უმად კიარა – მთელი ქვეყნის ვარსკვლავი გახდი.
- ო, – შენ გაშიფრე ზეცის დასის უცნობი დისკო,
- ბ – ეჟანი ცაში სიხარულით, ვიცი, ჭერს ახდის..
- ა – ხალწელიწადს მოგილოცავ... გაჩუქებ სიტბოს,
- ზ – არზეიმებით გაგელიოს წლები სიუხვის...
- ა – მ დაღლილ გულში, თუ მიკადრებ, დიდ ადგილს გითმობ,
- ძ – მის სახელს ჩემსას, მაღლი ჰქმენი, ტკივილს მიუხვდი.
- ე – ლაჟვარდება მზე ნისლებს და გაზაფხულდება...
- ს – აღ კლდეებიდან წყალი მოდის, ხარობს ძირულა.
- ამ წელს ჩაუთქვი სურვილები აგისრულდება
- შენით ტკივილი მინავლულა... ძირს ჩაძირულა.

ელგუჯა ნოზაძეს სიკეთე ჰქვია

- ე – რთხელ კიარა მილიონჯერ ღოცვას ადგავლენ,
- ლ – ომისის ხატებს შევავედრებ, შენს თავს ბატონო,
- გ – ულით დაგლოცავ, სადღეგრძელოს ყანწებით დაველე...
- უ – ფლის რჩეულო, ხალხისათვის დიდო პატრონო.
- ჯ – ანმრთელობას კი დაგანათლის ცათა მსაჯული...
- ა – ფრებს გადაშლი და სიკეთის ზღვაში მიცურავ...
- ნ – ექტარს უბოძებ, თუ შენიშნე ვინმე ტანჯული,
- ო – რიათას წელს მსურს იცოცხლო, ხალხის ნატურავ.
- ზ – ოგს ბევრი აქვს და... ნაჭუჭშია გამომწყვედუელი,
- ა – რც თვითონ სჭამს და არც იმეტებს წამლის ერთ აბსაც...
- ძ – მებს გმობს და დადის, სადღაც შორ-შორს როგორც ეული,
- ე – ს ყველამ იცის, ასეთები არ ვარგა კაცად.
- ს – აქართველოში შენნაირი იშვიათია,
- ს – ასწაული ხარ, სიკეთე გაქვს სულის არეში...
- ი – მ მაღლს ბატონო, სიყვარული შენივთებია,
- კ – აიკაცობა დაგიეთესავს ღამაზ მხარეში.
- ე – ნაწყლიანი ლექსით მინდა მოგესათუთო,
- თ – ბილ ქვეყანაში, დახმარების დიდო მედროშევ...
- ე – ხ! უკვე დროა, დიდი დარდი მეც, რომ გავთუთქო,
- ჰ – ოდა ლექსებიც ხშირად ვწერო თანამედროვე.
- ქ – არო, ჩადექი, ჩემს ეზო-კარს რა დაგრჩენია,
- ვ – იცი ელგუჯას ღვთისგან ერგო დიდი სიკეთე.
- ი – სე გავმაგრდი აღარფრის არ მეშინია
- ა – მ დუხჭირ დროში „ათინათში“ ბუდეს მიკეთებს.

ბაბოს სისოსხლავ
(თამარ სხირტლაძეს)

* * *

(თამარის შვილიშვილს)

დროთა სხივებით, ეგ დარდები გაიფანტება,
არ შეუშინდე გულის ღალატს,
წინ-წინ იარე,
მამიკოს წლები ვიცი შვილებს შეგემატებათ,
მამიკოს დარდი, ისეც ბევრი გამოიარეთ.
შენს წინ თავს ხრიან, იები და ოლიანდრები,
სულის ფერიავ, მებრძოლი ხარ თანაც კეთილი...
ცხოვრების აღმართს, ყველას ხვდება
მზეც და ავდრებიც –
აღარ გიხილო, არასოდეს გულგატეხილი.

ასჯერ, რომ მოგკვდე, შენი ბაბო
კვლავ გაცოცხლდება,
შენს გულს მაღამოდ სამკურნალოდ
შემოეცხება,
მშვიდად იარე... ნურასოდეს ნუ
გაცეცხლდები...
უფლით ბებიკო, ობლის
კვერი გამოგიცხება.

საუკუნის სიმღერა
(რეზო მიშველაძეს)

რ – ამდენჯერმე გაგჩენია გულს ხანძარი,
ე – ხ! რას იზამ მტერი უამრავია.
ზ – მუის ქარი, დამშვიდება ჯერ სადარი,
ო – მში სიტყვა, ტყვიის თანაბარია...
მ – ინდა მწერალს, მოგილოცო, იუბილე,
ი – ცოცხლე და ასი წელი ათვალე...
შ – ვილიშვილთან ტკბილ ზღაპრებით იბუღებულე,
ვ – აღმოხდილო, თავი ერს ანაცვალე.
ე – ლფერს მმატებს თაროს შენი ტომეული...
ღ – აღისფერად იმედები შეფერდა.
ა – ხლა ერთად გეფერებით შვიდეული,
ბ – მათა შუღლი დღევანდელ დღეს შეჩერდა.
ე – რის კაცო, მწერალო და რაინდ მეფევე,
ს – აქრთველო დიდ განძს უნდა გიწვდიდეს.
არაგვივით კალმით ისერი მტერთან შხეფებს
სამშობლოსთვის საუკუნის სიმღიდრევ.

შვილიშვილავო, გთხოვთ მაპატიოთ

გთხოვთ მაპატიოთ, თუ თამუნას ლუკმა გაუყო,
ანდა ჩავთვალო, ბრილიანტად და თუნდაც ვერცხლად.
როს დაიბადა, სიხარული დიდი ზღვა იყო,
ასე მეგონა დვთისმშობელი გამომეცხადა!
თქვენ როცა გაჩნდით, ჩემი გული გადანაწილდა,
ხუთი მზის სხივი ჩამოგკრიფე, ცათა ჭერიდან,
გელას დაკარგვით, ჩამოთოვა, სულში გაწვიმდა,
დამჭრა, დამსერა, ბედისწერა არ მომერიდა,
ჩემი თამუნა, შიგ გულში მყავს შეყუყუებული,
ლევან და ვახო, ნანა, თეო სიცოცხლის ფესვნო...
გაზაფხულივით მინდა იყოთ აყვავებულნი,
და გთხოვთ ხუთივეს: შეეცადოთ სიკეთე თესოთ.



სიყვარულის დედოფალი
(მაყვალა გონაშვილს)

ს – ინაზე გშვენის, უფლის მადლით მირონცხებულო,
ო – ის სურნელით გაგიღეწავს ქალური კალო...
ყ – ურძნის მტევანო, ფუტკრის თაფლში ამოწებულო,
ვ – ინ შეგედრება სილამაზით პოეტო ქალო.
ა – ისის ნამო, სიკეთით სავსევე, ვარდო-ბადნარო,
რ – იოშო არა, მარგალიტო და ფირუზ ლალო,
უ – მხურვალესი ცხელზაფხულის შენ ნიავექარო,
ლ – ომისის მადლმა გიფარველოს პოეტო ქალო.
ო – ასამანო, გაზაფხულის ასურნელებავ,
ს – ამშობლოსათვის ერთგულო და დიდის ცვარო.
დ – ელო სულისავ, ნატურმორტო, მშვენიერებავ...
ე – ფაქიზები ერის შვილებს პოეტო ქალო.
დ – ედა ხარ დედა, ეგ ქალობა მისაბაძია,
ო – ლიანდრები გიღიმიან შენ ცისკრისკარო...
ფ – ული?... სხვას მისცემ, თუკი უჭირთ რაც გაბაძია
ა – მიტომ გლოცავ, საყვარელო, პოეტო ქალო.
ლ – ელს კაფავ ბრძოლობ და საქმისთვის ყოველთვის ჩქარობ.
ო – მში ნაჭედო, ნატყვიარო, ფოლადის ნალო,
ლექსის მჭედელო, ბრძოლების დროს სამშობლოს ფარო,
მეამაყები... დედოფალი, პოეტო ქალო.

ელემის ბალი ვინილე შენთან
(ელგუჯა ნოზაძეს)

ე – ს ღვთის განგებამ დაგიფინა ხალიჩა მადლის,
დ – ა მიგანიშნა, ყოფილიყავ უფლის მოსავი.
ე – კლესიაში ცათა ღმერთით იმედი დადის,
მ – ოლზე დაჩოქვით ლექსს დაგიწერს ვიცი მგოსანი.
ო – ქ მოგროვდება, საქართველოს ყველა პოეტი,
ს – ეფეს გაშლიან შენს ნაშენებ ლამაზ ტაძარში,
ბ – ურუსი გაქრა, დღეს დამდგარა წერის მომენტი,
ა – თას ურწმუნო მოილოცებს ნაკურთხ საყდარში.
დ – ამეს ანათებს ცის ვარსკვლავი, მთვარის ნათლული,
ო – ქაა სულის სიმშვიდე და სამოთხის კარი,
ვ – აღმოსდილი ხარ! მადლის შუქში სიღრმით ჩაფლული
ო – ფრქვევა ირგვლივ გარიჟრაჟის ციური ცვარი.
ხ – აღხის გული ხარ! მადლიანი, კაცური-კაცი,
ო – მედი შენი არ მოშლოდეს დიდს და პატარას,
ლ – ომისის მადლმა აგაცილოს ბრძოლის დროს მარცხი,
ე – რიდე ქარბუქს, რადგან დარბის ირგვლივ სატანა,
შ – იშველ ხეებსაც არ შეცივათ, სუსხიან ზამთარს,
ე – ნძელებით და იით მშვენობს ლიჩის ნაძენარი...
ნ – უშის ყვავილი, გაზაფხულის თეთრ ძაფებს ართავს.
თ – ბილი ზაფხული შეციცინებს ვარდებს ნარნარით.
ა – მ ლამაზ დღეს კი მოგილოცავ, სიტყვით, ლექსებით
ნ – ატვრად ესა მაქვს ასი წელი ღმერთმა განუქოს...
გამრავლდებიან შენი გენის საღი ფესვები,
მადლის მოსავო, მზის სხივებით გამონაშუქო...

ბატონ რეზო მიშველაძეს 75 წლის იუბილეზე, სიტყვა ვთხოვეთ. მწერალმა დიდი მადლობა გადაუხადა ღონისძიების მომწეობ ორგანიზატორებს და ბოლოს აღნიშნა: ადამიანები ერთმანეთს უნდა ვუფრთხილებოდეთ, ქალბატონი გულნაზ ხარაიშვილი შვილგარდაცვლილი დედაა და მაინც ცდილობს ვის რა აამოს. მე მახსენდება ჩემი მწუხრის სადამო, როდესაც ჩემი აჩიკო მიშველაძე, ტერიტორიულ მთლიანობას შეეწირა, გაუსაძლისი ტკივილის ჟამს მეგობარი მოვიდა ჩემთან. ის პერიოდი განუკითხაობის პერიოდი იყო. მისი სიცოცხლე უიმედობას იყო ჩაბლაუჭებული, ჩემს ერთ სიტყვას შეეძლო მისი ხსნა, მე დავტოვე ჩემი შვილი და მაღლი გავაკეთე, ვისხენი მეგობარი განსაცდელისაგან.

ამ მოსმენილი ნამდვილი, რეალური ამბის შემდეგ დაიწერა ეს სტრიქონები, რასაც მკითხველს ვთავაზობ.

გმირობას აღემატება ბატონო რეზო შენი მოქმედება

- გ – აუსაძლისი ხვედრი არის, ჯვარცმა ნამდვილი,
- მ – ამა ვერ უძლებს, შვილის სიკვდილს, იმ დიდ განსაცდელს,
- ო – ს ცის საუფლოს ზეცით მოდის თოვლით ბარდნილი,
- რ – თმ არ გამაგრდე, ბედი სწორ გზას ბევრჯერ აგაცდენს,
- ო – მში დაღუპულს შვილის სტიროდი გდიოდა ცრემლი
- ბ – ოდიშის მოხდით მეგობარი შენთან მოსულა,
- ა – მ დროს დაფიქრდი და გამაგრდი, ისე ვით გრდემლი,
- ს – ასწაულს ამბობ, რას მთავაზობ, რას ითხოვ ჩემგან?
- ა – ბა, შემხედე შვილს დავსტირი, და შენ გიშველო?
- დ – მერთთან მივდივარ, ხმამ ჩაგძახა, ჰქმენ ეგ სიკეთე,
- ე – ხლავე წადი, დროს ნუ კარგავ ხალხის მაშველო.
- მ – ამი მაგ მაღლით, ცის სავალი გამომიკაფე.
- ა – ბა, გამაგრდი, არ გაჯობოს დღემ ამ ნაწვიმმა,
- ტ – კბილ სიზმარში ვარ, ნატყვიარი მე აღარ მტკივა...
- ე – ს ბედი მქონდა სამშობლოსთვის თავის განწირვა,
- ბ – ეწვის ხიდზე ხარ! ფრთა მოგტეხა შენმა არწივმა.
- ა – მას შენ შესძლებ, კვლავ ისევე დათესე მაღლი...
- ბ – ნელ დამეშია... სასწორზეა მეგობრის ბედი.
- ა – რ დაიდარდო, ქარბუქით და სუსხიან ავდრით...
- ტ – აღლას გაყევი სოხუმში ვარ, მშვიდობის მტერდი.
- ო – რომტრიალში გზა უფალმა ბევრჯერ გაჩვენა...
- ნ – ატყვიარ გულმაც უნდა შეძლოს სხვათა მიხედვა,
- დ – დაგელოცოს დიდოსტატო, ოქროს მარჯვენა,
- რ – ამდენს გავალებ, მაპატიე სიტყვას გიბედავ.
- ე – ხ! შენ ხარ შვილო?.. წავალ იქნებ შენს სულ ვაამო,
- ზ – ღვარი არააქვს იმ დიდ ტკივილს, რაც შენ მაგემე,
- დ – გამიმწარე შენ აჩიკო ტკბილი სადამო,
- შ – ენ ცას მიფრინავ, ვიცი მაინც ვერ დაგაბრუნებ.
- ე – რის ტკივილებს, ზედ დაერთო გულის ახანჯვლა,
- ნ – ანატრო ბიჭო, შენი რჩევით ვშველი მეგობარს,
- დ – ქ მივალ მათთან, შევეცდები სიტყვის დახარჯვას
- მ – ე კვლავ შემრჩება, უფლის რწმენით, ჩემი მეობა.
- ო – მში ვარ, ომში, სულისა და ხორცის გვემაა...
- ქ – არს შევერკინე, დავამარცხე ბედთან ჭიდილი,
- მ – ეგობრისათვის თავგანწირვა, მაჯის ცემაა...
- ე – ს გმირობაა დაამარცხო მართლაც სიკვდილი.
- დ – ედა ღვთისაო, ჩაგაბარე ჩემი აჩიკო...
- ე – ს დიდი ტანჯვა რითი შეეძლო იქნებ მირჩიო.
- ბ – უხრის ნაცარში, ღველფ-ღადარი უნდა გაუჩხრიკო
- ა – მ ნაკვერჩხლებში კვლავ სინათლეს რომ შევეჩვიო.



მხატვარს

იდუმალების ზმანებებში ჩაიძირები,
მოლბერტზე შეკრებ მისტიური ფერების გამას,
მუზის გენიის საჭრეთელით სულს აჩუქურთმებ,
ამაღლებული იწყებ გრძნობის ხილულად ხატვას.

ყალამით ირჩევ აღმატებულ მანერას ხატვის,
მშვიდ ანგელოზებს მოუვლინებ შეშლილ სამყაროს,
ექსტაზში როკავს ტრფიალება ღვთაებრივ ქალის...
ეგ შედეგები ცის მნათობსაც კდემით განაწყობს.

ნაილი ხარაიშვილი

2015 წლის 7 იანვარი

ბოდერს

სამეფო კარზე დაგიწუნეს შესამოსელი,
ბრაზით აენთე,
შეგიკერეს როდესაც ფრაკი,
წვეულებაზე შენ ჰყვებოდი შემზარავ ამბებს...
გაანაწყენე ამით ლედი, პრინციც და გრაფიც.
შარლ!
ო, რა გრძნობით შეგიტრფობდი
იმ ძველ სმოკინგშიც,
ჯიბეში ჩუმად ჩაგიდებდი ბუმბულს
გედისას.
ვით საკმეველი, დამბანგავდა სუნთქვა
გენიის,
სენის ნაპირთან მიამბობდი ტრფობას
ლედისას.

დამარიგებდი ჭკუას შეშლილს
ამ სიახლოვით,
შემახსენებდი ალბატროსის ფრთებით
დაცემას,
ნაზი ამბორით, როგორც მეფის
ტაკიმასხარას,
მაპატიებდი ლაჟვარდისფერ
ამ გატაცებას.

2014 წლის 9 მაისი

ცანგო

*ნელი ტანგოა ეს ცხოვრება, გურამ...
მურმან ლებანიძე*

ტანგომ, ცხოვრებამ, – გაბრწყინებულ ედემის დარმა,
ვნების კოცონზე ვარსკვლავებად აგვაბრიალა,
დაჰკიდა მზის სხივს ბედნიერი ჩვენი დღეები,
სულს შერჩენილი მოგვიშუშა ყველა იარა.

დღეს კი ვარსკვლავებს უერთდება ყრმობის სიზმარი,
და საცეკვაო მოედნიდან რიტმულად მიდის,
ვარდის სურნელიც სცენის მტვერით გაბრუებულა,
გადაუთელავს დროის დემონს ყვავილიც მინდვრის.

ღმერთი აპურებს ჩვენს დამშეულ სულის ცხონებას,
გვაპატიობს იგი, ნელ ტანგოთი თრობის სილაღეს,
და ნაზი როკვის ჩვენ ვუტოვებთ ზეიმს ცხოვრებას,
ღამის ღუმელთან შეწყვილებას აღარც ვინაღვლებთ.

2014 წლის 25 დეკემბერი

ავმაღლლებით

წერილი ეტლითმოსარგებლე ვაჟკაცს

ჩირად არ მიღირს მეფის პრინცის ავლა-დიდება,
 არც ალაზნთან ჩასაფრებულ რაინდს მოველი,
 ტრფობა მსურს შენი, – უფლისაგან გამორჩეულის,
 მუხის მშობელის და სტრიქონის სიტყვათმპყრობელის.
 მჯერა აისი ამოგვტვიფრავს ფრესკად კაბადონს,
 გალაქტიკაში ვარსკვლავებთან რომ ვიცისკაროთ,
 ავაბიბინებთ გადატკეპნილ კალოებს სულის,
 დაგვეწაფება უკვდავებაც, როგორც მთის წყაროს.
 გიცქერ ეტალონს, – აღმატებულ კაცურ კაცობის,
 არ ჰგავხარ წამში გაელვებულ სიზმარს წარმაგალს,
 მეფისტოფელი ჩემს ძარღვებსაც კონად რომ შეჰკრავს,
 ამ საწუთროდან წამებრივი ღირსებით წავალთ.
 არამიწიერს ავაუღერებთ ჰანგებს, – მართალნი,
 ელიასავით ღრუბლის ზემოთ ეტლში ჩამისვამ,
 თეთრი მტრედები მოხატავენ დაუფარდს ირაოდ,
 და ნეტარება აღგვამაღლებს ვაჟკაცო ღვთისა.
 ჩირად არ მიღირს მეფის პრინცის ავლა-დიდება,
 არც ალაზნთან ჩასაფრებულ რაინდს მოველი,
 შენ შემეყვარდი, – უფლისაგან გამორჩეული,
 მუხის მშობელი და სტრიქონთა სიტყვათმპყრობელი.



2015 წლის 8 თებერვალი

მხეჯაღ

ნისლებმა ჩუმაღ მოგახვიეს ფიქრის მანდილი,
 ჩიღმეღტის გახდი...
 სიღ დაჰქრის შენს გაშლიღ თმებში.
 ქაღაქსწასუღის,
 – „იმ ერთისკენ“ გიჰკირავს თვაღი,
 ვეღარ ეტევი ამ ბუმბერაზ, მაღლიან მთებში.
 დაუღეგარი ბუნება შენი აღარ გასვენებს,
 მღეღრი ჯიხვივით, ქარაფებზე გინღა დაღგომღ,
 არ დაიღარღო!
 სიყვარულს რომ ძღივსღა მიგიხვღა,
 სულ სხგა თვაღებით შემოგხეღავს,
 ვით შემოღღგომღს.
 ძეწნებს გაუმხეღ აღმოღებულ გუღის ხვღაშიაღს,
 გსურს მის ენაზე ესაუბრო ჟღურტულღ ჩიღებს,
 ნეტავი, ქაღაქს შენც გაგხიზნავს ის „ვაუბატონი“,
 თუ აქ არხოტში, მის კერაზე.
 მოუქსოვ ჩითებს?!
 როგორც მათ აღზრდიღს,
 მხარს შეგიღგამს ხევის ბუნება,
 ფთიღღა ღრუბელი ამოგიჩეღვს ქათქათა კაბას,
 უფაღი, ღმერთი, თუ დაუშეღებს თქვენს ჯვარისწერას,
 კოღაღღას გავაფრთხიღებ,
 თვით გვირიღები შეგიმკობენ, –
 ღეღღოფაღს ფატას.

2014 წლის 19 ივნისი

მოხევის სიყვარული

ღარღი არ ვიცოღ, ვიღრემღეღ
 გაღღეყრებოღი ფლატეს,
 ლანღ დამღეღს, ვეღარ ვიშორებ,
 შენი და არჯაკეღის,
 ვიცი შამჭიღებს ღვინოს,
 ლაგამ მიეუშეღებს ცხენებს,
 რაღგან მაბრმავეღს სხივი
 მაგ მარმარიღღოს ყეღის.
 თვაღებ ავუსხვევ არწივ,
 რო არ გიცქიროს ვნებით,
 ქარ დავაოკო უნღა,
 გეაღღერსება მკერღღზეღ,
 არ შეუყორღე ჩემებრ,
 და არ მაგხიბღღას რამით,
 ჯიხვეღ დაეუშღი ხტუნვას
 ქარაფებსღა და კღღღეზეღ.
 რო გაღღავიღან ბრძოღებ,
 და იამაყებ ჩემით,
 სიღს მაჰყეღები ღამით,
 ხეღებ შამამხვევ მხრებზეღ,
 შავბოჭავ, დავამშვიღებ
 აღრიღღებულ თერგსაც,
 აღრიღღებულ თერგსაც,
 კაკუნ შაჰსწყვიტოს ხეზეღ.
 2014 წლის 17 აგვისტო



ნუგ ზარ ხუციშვილი

„რა განსაცდელმაც გადაგვიარა,
რაც დავინახე თვალით აღვწერე,
როცა უფალმა არ მიმატოვა,
მისი წყალობით, ხელით დავწერე.“

ქ. თბილისი, 2015 წელი

ილუსტრაციები შეასრულა მხატვარ-
დიზაინერმა: **ლალი ხუციშვილმა**

9 აწრილი, ცხრა წლის გოგონა

დედას მოსტაცეს ცხრა წლის გოგონა,
იქ ბევრნი იყვნენ, მე არ მეგონა,
გვერდით ვიდექი გაოგნებული,
ვეღარ ვფიქრობდი, ან რა მეღონა.

მიშველე დედა! ეძახდა შვილი,
ხოლო, მისი ხმა არვის ესმოდა,
მე დავედევნე, მოვსტაცე გოგო,
მათი ქმედება, არც მე მესმოდა.


მე მას ვუთხარი, გაიქცეოთქო,
თან დავანახე მტირალი ქალი,
ცხრა წლის არისო, მოსტყვამდა იგი,
ეს რა ვიხილე, დამიდგა თვალი.

მე კი გაქცევა ვინდა მაცალა,
ორმოცი ტყვია თავს დამაცალა,
ცხრაჯერ დამარტყეს ზურგში ნიჩაბი,
ვეღარ ავწიე ზემოთ ნიკაბი.

გონს რომ მოვედი, ძირს ვიწექ,
არ მეცნობოდა ადგილი,
ზემოთ ვეღარა ვდგებოდი,
ზურგში ვიყავი დაჭრილი.

თავისუფლების მოსურნე ხალხი,
ჩუმად, ჩემთან ჩერდებოდა,
ყველა, უფალს ახსენებდა,
ცხრა აპრილი თენდებოდა.

ქ. თბილისი 1989 წელი 9. 04..



9 აპრილი

ყველა თავისას ტიროდა,
წუთებს მისდევდა წამები,
სიონში გადავასვენეთ,
გზაზე დაყრილი გვამები.

მთელი ღამე არ გვეძინა,
ვერ მოვხუჭეთ თვალი,
ერთი მამაკაცი იყო,
უფრო ბევრი, ქალი.

განსაცდელი მოდიოდა,
მოჰქონდა აურ-ზაური,
აქეთ, სროლის ხმა ისმოდა,
იქით, ტანკების ხმაური.

მშვიდობიანად გამოთქვა, ერმა,
თავისუფლების სურვილი,
არ აპატიეს, იქვე მოუკლეს,
წმინდა სიცოცხლის, წყურვილი.

ცხრა აპრილის დილა იყო,
ქუჩას მტვერი ასდიოდა,
საქართველოს შუა გულში,
სიცოცხლის მზე ჩადიოდა.

ღმერთო სული გაუნათლე,
საქართველოს შვილებს,
ბევრი გვარი შეემატა,
სხვა, დაღუპილ გმირებს.

ქ. თბილისი 1989 წელი 9. 04.

ომი სანჯახბლოში

ყველას ერთად გაგვიკვირდა,
გამოცხადდა განგაში,
ბევრი სისხლი დაიღვარა,
ცხინვალსა და ჯავაში.

ბევრი კაცი დაიღუპა,
ბევრიც მანდილოსანი,
იქ, ისეთი რამ ხდებოდა,
ენით, ვერ აღწერს მგოსანი.

იქ, დაჭრილმა ჯარისკაცმა,
ბაგეათა დალია,
სანგარში ვეღარ შეასწრო,
გზაში სული დალია.

არც ქართველებს და არც ოსებს,
არ უნდოდათ ომი,
სეირობას უყურებდა,
რუსი, განზე მდგომი.

1991 წლის 14.01 ცხინვალი.



ჩანაწერი უბის წიგნაკიდან

1991 წლის 22 დეკემბერი იყო. დილით ათის ნახევარზე გამოვცხადდი სამსახურში შეეჩენკოს ქ. №3-ში, მთავრობის სახლის გვერდით შენობაში, მთაწმინდის შ.ს. განყოფილებაში. 10 საათზე რუსთაველის გამზირის მხრიდან ისმოდა სხვადასხვა იარაღიდან გასროლის ხმები. ფანჯრებში თითქმის ყველა მხრიდან ცვიოდა ტყვიები. ასე ვისხედით სამსახურში 10 დღე-ღამის განმავლობაში, როდესაც ჩვენს შენობას პირველი საშუალო სკოლის მხრიდან ცეცხლი მოედო. 1992 წლის 1-ლი იანვარი იყო, თენდებოდა. ღამის 5 საათი იქნებოდა შენობიდან რომ გამოვედით. დილით ჩვენი შენობა დამწვარი იყო უკვე. მე კი უბის წიგნაკში ჩანაწერები გავაკეთე. მე არ მეგონა, რომ რომელიმე ქართველი დარჩა გულგრილი ანდა გულში ტკივილი არ ეგრძნო, ვინც ნახა თბილისის შუა გული ასე განადგურებული და დამწვარი. დროთაგანმავლობაში ალბად ორივე მხარე ნანობდა რაც გააკეთეს.

თ ბ ი ლ ის ის ქ ა ო ს ი

ოცდარი დეკემბერი,
ჩემს თაობას ახსოვს,
ვაუკაცის, კარგი კაცობა,
ყველა დროში ფასობს.

ახალი წლის დამე იყო,
ველარავინ გვშეველოდა,
იძულებული გავხდით,
დაგვეტოვა შენობა.

აქ ქაოსი დასრულდა,
იქ, დაიწყო ქაოსი,
ყველა ომში ჩაერთო,
ჰაოსი და ქართლოსი.

ოცდარი ახალგაზრდა
სამსახურს ვასრულებდით,
ზედა სართულებიდან,
ქვემოთ ომს დავყურებდით.

შორიდან ვუყურებდით,
არვის ჰქონდა შენდობა,
მეორე დღეს მისულებს,
აღარ დაგვხვდა შენობა.


ბოღმა, შუღლი და მტრობა,
ერმა უნდა გადაღახოს,
რომ ასეთი საქციელი,
შვილებს აღარ დაანახოს.

არავინ არ იცოდა,
ვის რა ედო ჭკუაში,
აქეთ -იქით ისროდნენ,
ჩვენ ვიყავით შუაში.

ბევრი ფილმი მინახავს,
კარგი საყურებელი,
ტროტუარზე ხალხი იდგა,
ომის მაყურებელი.

დედაო ღვთისა, მარიამო,
რატომ გაახარე მტერი,
ტყუბი ძმები შეარიგე,
დაიფარე ჩემი ერი.

ქ. თბილისი 1992 წელი 6 იანვარი.



ღ რ ო გ ა დ ი ო ლ ა

ქარი კიოდა, ცოტა გვშიოდა,
სოხუმში ცოტა ციოდა,
არსად ჩანდა,
ხოლო, ბომბები ცვიოდა.

ჯარისკაცი კიბეზე ადიოდა,
მე დავინახე სისხლი სდიოდა,
ჩვენ ყველას ერთად, სანგარში,
სიკვდილის ოფლი გვდიოდა,

მზე ჩადიოდა, დრო გადიოდა,
ომის აჩრდილი დადიოდა,
ამ უსამართლო ბრძოლაში,
დრო მიდიოდა, დრო გადიოდა

სოხუმი 1993 წელი.

1953 წლის 20 თებერვალს ნუგზარ ხუციშვილს დაბადების-თანავე დედამ, მიუძღვნა ლექსი- “გიყვარდეს სამშობლო,” ხოლო 1993 წლის 20 თებერვალს, 40 წლის ასაკში ნუგზარ ხუციშვილმა, იმ ფონზე, რომელიც იმ პერიოდში არსებობდა საქართველოში და რომლის სიცოცხლესაც რამოდენიმეჯერ შეექმნა საფრთხე, დაწერა ლექსი რომელი სიტყვებიც მართლაც იმის პასუხი იყო, რაც სინამდვილეში არა მხოლოდ ნუგზარ ხუციშვილს, არამედ იმ პერიოდისათვის შეეხო, საქართველოს მოსახლეობის უმეტესობას.

გიყვარდეს სამშობლო

შენ დაიბადე საქართველოში,
ჩემო პატარა, ჩემო თავნება,
სახელოვანი კაცი იქნები,
შენი სამშობლო გეთაყვანება.

ნუგზარის. 20. 02. 1953 წელი.
თამარი ყვინოშვილი.

ჯასუხი

მე დავიბადე საქართველოში,
ერთი პატარა ბიჭი თავნება,
ჩემი სიცოცხლე ლექსით დაიწყო,
მაგრამ, არ ვიცი რით დამთავრდება.
დედას 1993 წ. 20. 02. ქ. თბილისი

ვადი

არა მარტოდენ მამულის, ანდა
არა მარტოდენ წინაპრის ვალით,
ჩემს სამშობლოში ათგზის ძნელია,
იყო პოეტი და იყო ქალი.
მაყვალა გონაშვილი

*ლექსის მთლიანი ტექსტიდან
გამომდინარე დაიწერა პასუხი:*

ნუგეშის ლექსი

თქვენ თუ ორჭოფობთ ჭორებზე,
თქვენი მხრივ ხმები მოარულია,
მე განუგეშებ, რომ ეს ჭორები,
ზოგჯერ შური ან სიყვარულია.

ჩვენს სამშობლოში საამაყოა,
რომ გვეყვადეს შენებრ ღამაში ქალი,
ეს სხვამ იკითხოს ჩვენო მაყვალა,
შენ ხარ პოეტი . . . და თანაც ქალი.
ქ. თბილისი 2015 წელი,

ღვინის გზა

ზოგჯერ ისეთი რამ ხდება,
ჩვენ, არ გაგვიკვირდება,
დედა, მაშინ გვახსენდება,
როცა გაგვიჭირდება.
დედას მაშინაც ვიხსენებთ,
როცა, რამე გვეტკინება,
ათასჯერ, რომ გავიხსენოთ,

მაინც არ ეწყინება.
წუხელის სიზმარში ვნახე,
ვერ მოეხუჭე, ვერა თვალი,
დედისნაირ სიყვარულს,
ვერ გაჩუქებს, ვერა ქალი.
გამიჭირდა, დავიდალე,
ჯაფა, დამაწვა მხარზე,

დამაკლდა დედის ნუგეში,
ცრემლი მომადგა თვალზე.
მერე, საფლავზე წავედი,
გაღმა გავედი წყალზე,
დედას, სანთელი აუნთე,
ვილოცე, ღვინის გზაზე.

ქ. თბილისი 2012წ.





* * *

ქართლის ზეცაზე
ჯვარი აღმართე,
მაცხოვრის სიტყვით
ერი გაზარდე,
ხარ ჩვენი სულის მაკურნებელი,
წმინდა სამების მსასოებელი,
მაგ თმების სურნელს
ჯვარი ინახავს,
იები გვათოვს,
დედავ, გვიყვარხარ!

ანა ერისთავი

* * *

ფეხშიშველა ხარ,
ლაზარე გქვია,
სიცოცხლე წყლული
ხომ დაგაჩნია?
შენზე უმეტეს, აბა ვინ უწყის,
რა სამყაროა
ღრუბლების მიღმა,
ხომ შეგიგრძენია უფლის ხელები,
ამა ცხოვრების ავიც და კარგიც,
ხომ კარგად იცი,
რაა ნუგეში
ცად გაკიდებულ მოკვდავისათვის.

* * *

უფლის ნაკურთხია
ვაზის ფესვები,
ტაძრს შემოწვნია
უკვდავია ხელებით,
ღვთის თვალი ტრიალებს,
იღვრება ქარვა,
მზიანი მტევნები
აავსებს მარანს,
ედემი უჭკნობია,
მეზვრე დიადია,
ვაზის გამრავლება
მამადმერთს უხარია.

* * *

უდაბნო არწყულა,
ბალი გააშენა,
სახარების მადლით
ქვეყანა დაამშვენა,
დედად მივიჩნიეთ,
ვაზის ჯვრით გვაკურთხა,
ცოდვისგან დაგვიხსნა,
ხმატკბილმა ქალწულმა.

* * *

უფალო, ნათლით ამავსე,
იების ცრემლში განმბანე,
შემადლებინე შენდობა,
ერთგულებაში დამხარჯე,
ეკლის გზა გამაწაღდვინე,
ხორცი, ცოდვისგან განწმინდე,
ველი სასწაულს შენმიერს,
მოძულეც დამალოცვინე,
შვენობ ანგელოზთ კრებულით,
ჟამი დგეს სიყვარულისა,
ვისა ცარ უხმობს ეგ ზარი,
მკვდარია ორთავ სოფლისა.



უფლისადმი

შენ რომ არა,
მწუხარების დაეჯდებოდი ნანგრევებთან,
ეს ცხოვრება ცცოდვიანი,
ჩმითრევედა, დამახდცობდა,
ვერ ვიგრძობდი ამაღლებას
და სიყვარულს მოყვასისას,
ვერც მოწყალე ვიქნებოდი,
ვერც ვითმენდი ათას ჭირსა,
მთლად უდაბნოს ვიქნებოდი,
დამხრუკავდა ცხელი ქვიშა,
შენითა ვარ ბედნიერი,
ღრუბლის სასთუმალსა მძინავს,
მოციაგე სათლის შუქი,
დანთებულა სულსა შინა,
შენითაა მოწყალეო,
მუხლს რომ ვიყრი ტაძარს წმინდას
ცის გუმბათი მისი ყელი,
მოჭიქული ვარსკვლავითა,
დავინთქმობდი ცრემლის ტბაში
და გოდების ნანგრევებთან,
აღარ აახელდა თვალებს,
ვაზის კვირტი ჩუქურთმაში,
ვინ მასმენდა ლოცვას წმინდას,
შენმიერი სიყვარული მომანიჭე,
სხვა რა მინდა?..

წმინდა მარიაშ

ღვთიურ ნაყოფის გამომღებო,
სიცოცხლის ხეო,
მიუწვდომელო
მადლით მოსილო
მშვიდობის ბჭეო,
მწიფე თავთავო
დამპურებელო
და გადამრჩენო,
სულის და ხორცის
გამკურნებელო
და საფარველო,
საკმეველის ხეო,
სამოთხის ხმავე,
ხმავე მშვენიერო,
მზევე დაუსველელო,
ღვთის საიდუმლოს გადამრჩენელო,
ანგელოზები გიგალობენ
ბნელის გამკვეთო,
გშვენის დიდება
დედათა შორის
უსათნოესო.

წინამართა

ქვეყანა თვალდავსილია,
ედემის ვაზი გაჩეხეს,
მზეზე აგვისტო
კანს იცვლის,
წინასწარმეტყველთ ვიმეტებთ,
ვისა აქვს ცრემლის უფლება,
ვინ, ვის უმზადებს სატანჯველს?
– ის ქრისტეშია მარადჟამს,
ქრისტე კი მასში ისვენებს.

წმინდა ნინოს საბალოჯალი

წარმართთა მიწა ელოდა,
მადლი ზეციდან ებოძა,
ვაზის ჯვარი და სანთელი
მოჰქონდა,
ტანს მზე ემოსა,
მცხეთას ემბაზი აკურთხა,
უფლისგან სიტყვა ნაკურთხმა,
ღვთისმშ ბლის წილხვედრ ქვეყანას,
გულზე მირონი აკურთხა.



საბავშვო განყოფილება



ყამარ ტიელიძე-ბლიაძე (ყამარ ბებო)

ობის კვერი ცხვარ... (ხლავარი)

ერთ სოფელში ცხოვრობდა ღარიბი ცოლ-ქმარი თედია და სოფიო. ჰყავდათ ტყუპი ქალ-ვაჟი... ხარობდა ცოლ-ქმარი ლამაზი შვილებით. მოულოდნელად სოფიოს უკურნებელი სენი შეეყარა და გარდაიცვალა. დარჩნენ ობლად ცისია და გიტო.

თედია დილიდან საღამომდე სარჩოს მოსაპოვებლად იყო გასული. პატარა და-ძმა კი მთელი დღე უმეთვალყურეოდ დატანტალებდა. ბევრი ოხვრისა და ფიქრის შემდეგ თედიამ გადაწყვიტა: რაც იქნება, იქნება, ცოლს შევირთავ, ბავშვებსაც მიმიხედავს და სახლ-კარსაცო.

დედინაცვალმა თავისი პატარა გოგონაც მოიყოლა. ქალი ძალზე აშარი და ანხელი გამოდგა. გერებს ამწარებდა, საჭმელს უმაღავდა, ხშირად თავის გოგოს მონარჩენ კერძს წყალს დაუმატებდა და ცისიას და გიტოს იმ ლუფხით ასადილებდა. ცემასაც არ აკლებდა პატარებს.



დედისგან განებივრებული მახინჯი გოგოც ზემოდან დასცქეროდა ობლებს. ბავშვები თავიანთ გასაჭირს მამას არ უმუღავებდნენ, რადგან იცოდნენ, მრისხანე დედინაცვალი მათ უარეს დღეში ჩაჰყრიდა. ქალი სულ იმის ცდაში იყო, როგორმე თავიდან მოეშორებინა გერები.

– რა მოუხერხო ამ საძაგელ ბავშვებს? – ამაზე ფიქრი მოსვენებას არ აძლევდა ავ დედინაცვალს. და აი, მოიფიქრა კიდევ.

ქალმა ვერაგულ ხერხს მიმართა. ის ლოგინში ჩაწვა და თავი მოიავადმყოფა.

შინ დაბრუნებულ დადლილ თედიას ცოლი ლოგინში დახვდა. ქმრის დანახვაზე ქალმა უმატა კვნესასა და ვიშვიშს.

– რა დაგემართა, რა გაწუხებს ქალო? – გვერდით მიუჯდა თედია.

– რაღა არ მაწუხებს... ცუდად ვარ... მუხლში ვერ ვიმართები. მგონი

სიკვდილი მიახლოვდება. – კენესით შესწივლა ქალმა ქმარს და განაგრძო. – წუხელ დამე-
სიზმრა: ცხრა მთას იქით, რომ ლამაზი ცისფერი ტბაა, ვითომ იმის ნაპირთან ვიდექი.
უეცრად ტბიდან ოქროსფერი თევზი ამოხტა და ადამიანივით დამელაპარაკა: – თუ შენი
ქმარი ამ ტბის წყალს თავისი ხელით არ შეგასმევს – მოკვდებიო.

გულუბრყვილო თედიამ ადვილად დაიჯერა ქალის ნათქვამი, თუმცა წასვლა და ცოლ-
შვილის მიტოვება ეძნელებოდა, მაგრამ მეტი რა გზა ჰქონდა. კეთილი კაცი მათი გულის-
თვის უფრო მეტსაც გააკეთებდა.

წავიდა თედია წყლის მოსატანად.

როგორც კი ქმარი გაისტუმრა, ბოროტმა დედინაცვალმა დრო იხელთა; სწრაფად წა-
მოხტა ლოგინიდან, ჯერ გერების ცემით იჯერა გული, შემდეგ კი ერთი კუტი პური მიუბ-
ღო და სახლიდან გაყარა.

ტირილით მიდიოდნენ ობლები, თვითონაც
არ იცოდნენ საით. გზაში კუტი პურით დანაყ-
რდნენ.

– ახლა რაღა ვქნათ, საგზალი რომ აღარ
გვაქვს? – შესტირა გიტომ დას.

– ნუ გეშინია, გიტო, ღმერთი არ გაგვწი-
რავს. – დააწყნარა გოგონამ.

უზო-უკვლოდ ხეტიალში ბავშვებს შემოა-
დამდათ. დაღლილობისაგან ფეხებს ძლივს მი-
ათრევდნენ... ისინი დაბურული ტყის პირას შე-
ჩერდნენ. პატარები შიშმა აიტანა. იქვე გზის პი-
რას დიდი წიფლის ქვეშ ჩამოსხდნენ, მშვიფრებსა
და დაქანცულებს მალევე ჩაეძინათ.

ტყიდან მონადირე გამოვიდა. წიფელთან
რომ ჩაიარა, ხის ქვეშ რაღაც შენიშნა, სიბნე-
ლეში ვერ გაარჩია; იფიქრა, ალბათ დაჭრილი
ან მკვდარი ნადირია, სხვა რა უნდა იყოსო.

მონადირე ახლოს მივიდა და მის გაოცებას
საზღვარი არ ჰქონდა, როცა სიცივისაგან გათო-
შილი, ერთმანეთს ჩახუტებული გოგო-ბიჭი დაი-
ნახა. სოფლები შორს არის და ნეტავ ეს ბავ-
შვები აქ საიდან გაჩნდნენო, – გაუკვირდა მას; ნამდვილად ღმერთმა მიბოძაო, სიხარულით
ცას ეწია მონადირე. იგი ხომ უშვილო იყო. იცოდა, ცოლსაც ძლიერ გაახარებდა.

მონადირემ ბავშვები ფრთხილად გააღვიძა, გულზე მიიხუტა და შინ წაიყვანა. მარ-
თლაც ძალიან გაიხარა მონადირის ცოლმა. ბავშვებმა მათ უამბეს, თუ რა შავ დღეში იყ-
ვნენ ავი დედინაცვლის ხელში. მონადირის ცოლს ბავშვების მონაყოლმა გული აუწუყა და
სულ უფრო მეტ მზრუნველობას და სიბოძოს იჩენდა მათ მიმართ. ისინიც მალე მიეჩვივნენ
კეთილ ცოლ-ქმარს, თუმცა საკუთარი კერა და მშობელი მამა ყველაფერს ერჩივნათ.

– ნეტავი სად არის ახლა ჩვენი მამიკო? – ჰკითხა ერთხელ გიტომ ცისიას.

– ხომ იცი, რა შორს გაგზავნა ჩვენმა ბოროტმა დედინაცვალმა. ვინ იცის, იქნებ
ცოცხალიც ვერ დაბრუნდეს. – ამოიოხრა გოგონამ.

– მე კი გული მიგრძნობს, რომ მამა ცოცხალია, ის მოგვძებნის, აუცილებლად გვიპო-
ვის. – დაიწემა გიტომ და გამოტყდა, რომ ძალიან ენატრებოდა მამა და სიზმარშიც ხში-
რად ეტიტინებოდა.

ამასობაში თედიამ კითხვა-კითხვით მიაკვლია ცხრა მთას იქით მდებარე ცისფერ
ტბას; გახარებულმა ჭურჭელი წყლით აავსო და უკან დაბრუნდა. ერთი წლის შემდეგ
ძლივს ჩააღწია სახლამდე. ბოროტ ქალს არც კი გახარებია ქმრის დანახვა, იცოდა, რომ
მამა ბავშვებს მოიკითხავდა; თედიამ ცოლი გადააკოცნა, წყალიც დააღვინა და უეცრად
შეშფოთებულმა იკითხა:

– ქალო, ბავშვები სად არიან, რატომ არ ჩანან?

– სახლიდან გამეპარნენ, რაც შენ წახვედი, მას შემდეგ დავეძებ და მათ გზა-კვალს
ვერსად მივაკვლიეო. – იცრუა ქალმა.



ნამგზავრ და მშიერ თედიას არც დაუსვენია, სწრაფად წამოდგა და ბავშვების საძებნელად გაეშურა. ბევრი იარა, შემოიარა ახლო-მახლო მდებარე სოფლები და ქალაქები, მთები და ტყეები, მაგრამ ამოდ. ბავშვების ასავალ-დასავალი არავინ იცოდა.

ერთ საღამოსაც ხელმოცარული, დაღლილი თედია სწორედ იმ წიფლის ქვეშ ჩამოჯდა, სადაც მონადირემ ბავშვები იპოვა. მონადირე იმ დღესაც ტყეში იყო და გზად ისევ იმ წიფლის ხესთან ჩამოიარა. ახალი შეღამებული იყო. ხედავს, წიფლის ქვეშ კაცი ზის, მუხლებში თავი ჩაურგავს და ქვითინებს. მონადირე ახლოს მივიდა, კაცს მხარზე ხელი დაადო და მეგობრულად შეეკითხა:

– რა გაგჭირვებია, ძმობილო, რით შემძლია დაგეხმარო, მითხარი და შენი მწუხარების თანაზიარი გაგხდებიო.



თედიათ თავი ასწია, მის წინ მონადირე იდგა.

– შვილები დაეკარგე, ძმაო, ჩემი გოგო და ბიჭი. – ქვითინს უმატა თედიათ. მონადირე მაშინვე მიხვდა, რომ ეს კაცი ბავშვების მამა იყო და დალონდა. ცოლ-ქმარი ბავშვებს უკვე საკუთარ შვილებად თვლიდნენ და მათთან განშორება ძალიან გაუჭირდებოდათ. მაგრამ მონადირე ვაჟკაცი იყო, რა თქმა უნდა, სიკეთედაც გადასწონა და გულახდილად უამბო თედიას, თუ როგორ იპოვა ერთი წლის წინ სწორედ ამ წიფლის ძირას ბავშვები. გახარებული თედია მონადირემ სახლში წაიყვანა. მამის დანახვაზე პატარებმა სიხარულის ყიჟინა დასცეს, კოცნიდნენ და ესუტებოდნენ დიდი ხნის უნახავ მშობელს და სამივეს ბედნიერების ცრემლი სდიოდა.

ბავშვები მამას გამოუტყდნენ, რომ ისინი დედინაცვალმა სახლიდან გაყარა.

შვილების ნაამბობმა ძალზე დააფიქრა თედია. მონადირეს და მის კეთილ ცოლს ძმობა შეჰფიცა, ბავშვების მზრუნველობისთვის მადლობა გადაუხადა და ცისია და გიტო სახლში წამოიყვანა.

გერების დანახვაზე გულს შემოეყარა დედინაცვალს, მაგრამ თვალთმაქცურად ორივეს თავზე ხელი გადაუსვა, ნაძალადევად მოეფერა. მისმა მახინჯმა გოგომ კი ზედაც არ შეხედა და-ძმას.

თედიათ ავი დედინაცვალი თავისი შვილიანად სახლიდან გააძევა. ბევრს ესევებოდა ბოროტი ქალი

ქმარს, მეტს აღარ ვიზამ, მაპატიეო, მაგრამ ამოდ. თედიათ აშარი და ავი დედაკაცი სახლში აღარ შეუშვა.

დაწყნარდა თედია. გაიხარეს ბავშვებმაც. არც მონადირე და მისი ცოლი დავიწყებიან. კეთილი ცოლ-ქმარი თედიასთან ახლოს დასახლდა. ღვიძლ ძმებსაც კი შეშურდებოდათ მათი მეზობლობა.

უსახლკაროდ დარჩენილი ავი დედინაცვალი კი დაეხეტებოდა კარდაკარ, სოფელ-სოფელ თავის მახინჯ გოგოსთან ერთად და თავშესაფარს ითხოვდა, მაგრამ ბოროტი ქალის ოჯახში შეშვებას აბა ვინ მოისურვებდა?

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.

ხნლახს:

არ აკეთო ავიო, შეიბრანდე თავიო.



კუჩრად

ნუგზარ პაპამ მოგვიყვანა
პატარა ლეკვი ფინია,
ძუძუმთოწვევტილს, წკმუტუნით
არც მას, არც ჩვენგვიძინია.

კუპრა დავარქვით, რადგანაც
კუპრივით არის შავია,
მალე ტანი აიყარა,
დაძაღლდა, გახდა ავია.

ყუყუყვით ეზო აიკლო,
დარბის, დაღლილი ქაქანებს,
კატა კნუტებით გაავლო, ...
ქოჩორა სხვენზე კაკანებს.

კრუს-წიწილა მიმოფანტა,
ბელურებს არ აჭაჭანებს,
წყლიდან იხვი ვერ ამოდის
და საცოდავად ბაბანებს.

დაღრღნა და გაანადგურა
ყვავილები ბაღჩაშია,
ბებოს ჩუსტები მოპარა
და ლუკმა-ლუკმად აქცია.
ბებო ვიშვიშებს, – რად მინდა
ასე ბოროტი მცველიო?
რაც ეგ მოვიდა, ჩემ ეზოს
სულ ადგას განსაცდელიო.

ძაღლი სულაც არ მჭირდება...
მომაშორეთ თავიდანო,
პატრონს უკან დაუბრუნეთ,
მაგ სულელს ვერ ავიტანო.

ბებოსგან ხშირი დატუქსვით
კუპრა გახდა თვინიერი,
ეზოს საძმოს შეეჩვია,
აღარ იყო მათი მტერი...

ერთხელ კნავილი მოესმა,
ყური ცქვიტა, – რა ხდებაო?!
ჩემი შიშით ამ ეზოში
შემოსვლა ვინ გაბედაო?

ბრაზმორეული გაქანდა
„სტუმრისკენ“ თათებაწვდილი...
მაგრამ შედგა... არ დაკბინა...
რაინდი გახლდათ ნამდვილი.

როცა ყველა სულდგმულს კუპრამ
აურია გზა და კვალი,
უმწეო კნუტს შეხედა და
შეიბრადა ის საწყალი.

ყნოსვა და ლოკვა დაუწყო,
მიეფერა... შეიცოდა...
აბუზული ფისო შიშით
საცოდავად კრთოდა... ფრთხილდა...

კნუტი გობთან მიიყვანა...
თავის კერძით დააპურა...
კუპრამ ყველა გაგვაოცა,
რომ მიიღო შინაურად.

შემდეგ ქოხში შეიყვანა,
უპატრონა, როგორც შეიღსა...
მიიხუტა და მალევე
ორივ მიეცა ტკბილ ძილსა.

ყველა კნუტას შენატროდა,
ბევრს გაუჩნდა გულში შური,
ფისო რა ბედს ეწიაო, –
ყიფიყიფებდა ინდოური.

ვარიკები კურკურებდნენ, –
რით მოხიბლა კუპრა ფისომ?
– რით და თავი შეაცოცა,
როგორ ეშმაკი არისო.

საკატეთს კი მოეწონა
კუპრა-კნუტას მეგობრობა,
თქვეს, – იქნება დამთავრდესო
ორ ტომს შორის შუღლი, მტრობა.

ძაღლებმა ბჭობა დაიწყეს, –
კუპრამ შეარცხვინა გვარი,
საძაღლეთში არვის ახსოვს
საქციელი ამდაგვარი.

ახლოს აღარ გავიკაროთ
და მოვკვეთოთ გვარიდანო,
რადგან კატა გვამჯობინა,
მოვიშოროთ თავიდანო.

აინუნშიც არ ჩააგლო
სამმოსაგან კუპრამ გმობა,
ფისუნა არ მიატოვა,
ეყო ამის ვაჟკაცობა.

ერთ დღეს ეზო აჩოქოლდა, –
კუპრა მანქანის ქვეშ მოჰყვა...
კნუტას როცა ეს აუწყეს,
მწუხარებით ლამის მოკვდა.

მთელ უბანს ეცოდებოდა
კუპრა ტრავმისგან ტანჯული...
ცრემლებს ღვრიდა საცოდავი,
ტკივილებით გათანგული...

ახლოს არვინ გაიკარა,
არც ბებია, მამა, დედა...
ყველას ღრენდა... დაწყნარება
მხოლოდ ფისუნამ გაბედა.

მიეფერა... დაამშვიდა...
აულოკა ყველა წყლული...
კუპრას მოვლას ჩააქსოვა
გულითადი სიყვარული.

დღენიადაგ მკურნალობდა,
ფისომ არვინ მიიშველა,
ჭრილობები და ფეხები
ერთ კვირაში გაუმთელა.

ხედავთ? კნუტამაც თავის წილ
დაუმტკიცა ერთგულება,
სიკეთის წილ სიკეთის ქმნა
თურმე ცხოველებშიც ხდება.

* * *

მაგრამ კუპრას კვლავ დაატყდა
თავს ახალი განსაცდელი,
გაიტაცეს... მას შეეხო
ქურდი კაცის მრუდე ხელი.

იფიქრა, – გამოადგება
ჩემ ქონებას, ეზო-კარსო,
ვიცი – ავია, ფხიზელი
და ამომყრის ბევრის ჯავრსო.

მაგრამ მოტყუვდა უგნური,
ძაღლმა არც კი გაიკარა,
არცა ჭამდა, არცა სვამდა,
ყველას ღრენდა დიდ-პატარას.

ჩვენ თუმც ყველგან დავეძებდით,
მაგრამ არსად ჩანდა კვალი...
არავინ იცოდა კუპრას
ასავალი-დასავალი...

ერთხელ ღამით ჭიშკრის კარი
ღარჩენოდათ თურმე ღია,
კუპრამ სასწრაფოდ მოკურცხლა,
ყველა დატოვა პირღია.

კვირის თავზე სახლს მოადგა...
კნუტას უდგას გლოვის ზარი...
თათებით ლოყებს იხოკავს,
სღის თვალიდან ცრემლის ღვარი...

–კუპრა, გენაცვალოს კნუტა,
ჩემო ტკბილო მეგობარო...
ვინ იცის სად იტანჯები,
იქნებ ცოცხალიც არ ხარო...

–კნუტა, აბა, შემომხედე,
მე ვარ, კუპრა უშიშარი,
ტყვეობას გამოვექეცი,
გადმოვლახე მთა და ბარი...

კნუტას სახე გაებადრა...
მეგობარი ჰყავს ცოცხალი...
მიეხუტნენ ერთმანეთს და
ცრემლით დაუსველდათ თვალი.

ჩვენს ოჯახსაც დაუმტკიცა
კუპრამ თავის სიყვარული,
გაგვახარა... ხელმრუდე კაცს
გაუცრუა სიხარული.

დამერწმუნეთ, ერთად ცხოვრობს
დღესაც ორი მეგობარი,
ეს ამბავი მართალია,
თუმც ზოგს ჰგონია ზღაპარი.



დათო მელიქიძის სარუჯარი

დათო მელიქიძე პოეტ ლიანა ოსიაშვილ-მელიქიძის უფროსი ვაჟია, პროფესიით იურისტი, გულთბილი, მშობლებისა და დედამამიშვილების მოსიყვარულე, ბებიის საყვარელი შვილიშვილი, მამიდების ფუჟე-სადირკველი, მეგობრებისა და ახლობლების ჭირში და ღხინში მდგომი ამჟამად ცის ბინადარი გახდა, უფალს დასჭირდა სულით ანგელოზი, სპორტული აღნაგობის ვაჟკაცი ყველასგან გამორჩეული ახალგაზრდა.

ჟურნალ „ათინათის“ გვერდი რვა მარტის დღეს მოუმზადა დედას, უნდოდა პოეტი ქალბატონი გაეხარებინა. ძმამ ჯაბა მელიქიძემ რესტორანში წასვლა შესთავაზა, მან ღიმილით დაულოცა ძმას და საყვარელ რძალს ის ლამაზი დღე და კვლავ საქმეს მიაშურა რათა დედის გული გაეხარებინა. მსუბუქი მანქანა რომელიც თავის კუთვნილება იყო უნდა გაერეცხა, წყლის გამოყვანას შეეცადა და აი ამ მომენტში ჯერ-ჯერობით დაუდგენელ პიროვნების მანქანის მსხვეპრლი გახდა.

ქალბატონი ლიანა როდესაც სახლში ბრუნდებოდა რვა მარტის საღამოს, შვილის ცხედარის პირველი მხილველი გახდა.

ღიმილიან შვილს, ისევ ღიმილი დასთამაშებდა სახეზე, თითქოსდა ეუბნებოდა დედი, ჟურნალი „ათინათის“ გვერდი გაგაკეთე, ჯაბამ გაგზავნოს და ყველას ჩემს მაგივრად მიეფეროსო.

შეხედეთ ღიმილის ბიჭს, სანთელი აუნთეთ, რათა ცის ანგელოზმა თქვენთვის და საქართველოსთვის ილოცოს.



დათო მელიქიძე
(ოსლაიქსნი წლის)

ლიანა ოსიაშვილი-მელიქიძე



* * *
მწარედ დავრწმუნდი,
რომ უშენობით,
ჩემს სიცოცხლეში
არც არა ყრია.
ჩემს გულზე მინდა
გადმოვიყარო
მიწა, რომელიც
გულზე გაყრია.

ისე მიყვარდით, ისე მიყვარხართ რომ ვეღარ ვუძლებ ამ მძიმე წამებს, აქ მარტობას ვერ შევეგუე უთქვენოდ ყოფნა ისე მაწამებს. კვლავ თქვენთან ვიყო ვერ დავედწიე ჩემი საფლავის მძიმე მარწუხებს, თქვენს მონატრებას ღიმილში ვმაღავ უთქვენოდ ყოფნა ისე მაწუხებს. სულ არ მადარდებს ჩემი სიკვდილი და სიმწარისგან სულ არა ვბრუნავ, მე მხოლოდ ერთი ფიქრი მაწამებს, ვეღარაფრით რომ თქვენზე ვერ ვზრუნავ.

ლიანა ოსია შვილი-მელიქიძე




მაყვალა გონაშვილს

თავადა ხარ კრძალული
თუმც მთავართავ თამამად,
ქალთა გრძნობის სუფრაზე,
პოეზიის თამადავ!



ლურა სორლიას

უკვე კარგა ხანია
ამბავი რომ გავიგე,
მეცნიერთა მწვერვალზე
კარავი რომ აიგე.



მეუფე თაღოზს

სულ მაწრიალებს ფიქრები
როდესაც მიზანს ვისახავ,
ამ წუთშიც ასე მგონია
რომ თითქოს პირჯვარს მისახავ.



მარინა სხველიაშვილს

უმშვენიერეს ღიმილით
ჩანხარ პოეტთა სარკიდან,
ზეპირად ვიცით ლექსები
მაგ შენი „სულის სარკმლიდან“.




ალმარ ლომიძეს

სუყველა ერთად გიყვარდეს...
სხვა სიმდიდრე არ გქონია,
ქვეყანას რომ უპატრონო
შენი ვალი რად გგონია?



რევაზ მიხველაძეს

ვერვინ იტყვის ხუმრობით
წერდე რამეს სხვის ჯინით,
ვაჟასავით დადიხარ
ნოველების ხურჯინით.



ვაჟა ებრიხელს (დოლბანიას)

დიდებას და რეგალიებს
რომ თქვენისთანა არ ელის,
გენიოს-სიდარბაისლით
სიამაყე ხართ ქართველის.



სიმონ ზაქარაიას

გვიყვარხართ და თაყვანს გცემთ
რადგან გიცნობთ რაცა ხართ,
ქალბატონ გულნაზის და
„ათინათის“ ძმაცა ხართ.



გულნაზ ხარაიშვილს

პოეტური განცდების
ტკივილი რომ გაგიგეს,
წიგნი „გზა მწვერვალისკენ“
ფიანდაზად დაგიგეს.



ჯემალ კუსალაშვილს

რომ საიდუმლო არაა
ვერ ვიქადნი გამხელით,
სამყაროში ფიგურირებ
საქართველოს სახელით.



ლამზირა შვეილაძეს

წონით მოიაზრები
ცა, ხმელეთად, გამზირად,
სითბო გმოსავს იმხელა
შეყილაძე ლამზირა.



მიროზა სანავას

ტკბილქართულით მოსაუბრევე,
ხმასაამო ნანინავ,
პოეზიის მწვერვალს იპყრობ
ლექსით ცაში დაფრინავ.



ნუნუკა გულარიას

ჩვენს დიდი აკადემიის
ფრთაშესხმული ხარ არაკი,
ოცდახუთ წლისას მოგავხარ
რომ არ გეტყობა ასაკი!



სერგი ლომაძეს

შენი „გზა მწვერვალისკენ“
სილიადეს აშენებს,
რომ ღომურად აზროვნებ
გვარიც ამაღ გამშვენებს.



ქანა ზასიქაძეს

პოეზიის ცის კიბეს
ჯაჭვ-რითმებით აშენებ,
ბრძნულსიტყვება ლექსებით
საქართველოს ამშვენებ.



ბობიტა მელიქიძეს

მასე სულთ სიწმინდე
ერთეულთა ხვედრია,
სამშობლოს მოტრფიალე
შენებრ, არ შემხვედრია.



ზალვა ილურიძეს

ფანდურისა და შენი ხმა
ზარივითაა ნაგები,
„ათინათიდან“ ჩამესმის
შენი ლექსების ჰანგები.



ნანა სხირტლაძეს

როგორ დამავიწყდები ფიქრით მუდამ გატარებ, ერთადერთო მოზარდო დიდებთან რომ გადარებ!




ნანა კახიანი

ვიცი ნაღდად დამიჯერებ და არ უნდა ფიცი, ნათესავის ტოლფასი მეგობრობა იცი.



მანანა ლაშვილს

პოეტობაზე ელვარი არ შეგულება ქონება არა მშურს შენი ვფიცავარ სილამაზე არც გონება.



ბვანსა ხარაიშვილს

გულთან თუ არ მოვიდა ცაში არვინ არ აგყავს, თეოლოგიურ ხედვის ბადალი არვინ არ გყავს.



სულხან მახათაძეს
(ჭიათურის გამგებელს)

დღეს თქვენს მუნიციპალიტეტს რომა აქვს მყარი იერი, ჭეშმარიტება ერთია – გამგებელი ხარ ძლიერი.



ნურზარ მიროტაძეს
(ჭიათურის რესურსცენტრის უფროსს)

ქიმიკოსის ცოდნის და კეთილ გულის პატრონო, ხალხის განათლებაზე ზრუნავ ნურზარ ბატონო!



ნუბზარ ნალარიას

სამოცდაათი წლისთავი
თუმცა არც ისე ბევრია,
მოგესათუთა ქვეყანა
მთელი ერი და ბერია.



ლამარა ბერბელავას

მოსწავლეთა ცოდნისთვის
რომ ანთიხარ ლამპარად,
ყველას მშობელი გქვია
გერგედავა ლამარა.



გიორგი ბაჭიჭაშვილს

ერთი რამ გვაქვს საერთო
უხმაუროდ ვხმაურობთ,
ერთამენტს არ ვხვდებით და
„ათინათით“ ვსაუბრობთ.


მანია ტყემალაძეს
(ჭიათურის კულტურის
განყოფილების უფროსს)

გენიალურ ნახატებით
რომ აამებ ერსა,
თავად რომ ხარ ნახატი
რადა ხატავ სხვებსა?



ნაილი ხარაიშვილს

ქართული დღეს სამწერლობო
უანრი გაქვს ათასნაირი,
სილამაზითაც დედოფლობ
ხარაიშვილო ნაილი!



**გიგა და ნანიკო
ღრუბელაშვილებს**

ღრუბლებამდის ამაღლებულს
უკვე ვხედავ ამ სახელებს,
ხმაბუღბუღა სიმღერებით
საქართველოს ასახელებთ.



ვახტან ბაჩიყიევი

ხალხის ოფთალმოლოგი ხარ
თავს სხივსიტყვაც დაგნათის,
თავადა ხარ თვალის ჩინი
ქურნალი „ათინათის“.



ჯუმბარ ლეჟავას

რომ იყოთ მარად ნათელში
აკადემია ღმერთს ვვედრით,
თუმც ფიზიკურად აქ არ ხართ
ჩემს გონებით ხართ ჩვენს გვერდით.



გიორგი სარაიშვილს

ღღემდის მხოლოდ ხმა ისმოდა...
შენი ლექსების სახებით,
ახლა მიწაზე დადიხარ...
ჭალოვნის სკოლის სახელით.



ჭალოვნის სკოლა



ლაშა სარაიშვილი
გიორგი სარაიშვილის შვილი

ლაშა სარაიშვილი 5 წლის იყო, როდესაც მამა გარდაეცვალა.

პროზა



რევაზ მიშველაძე

ჯოჯობეთი

- როგორაა საქმე?
- ძველებურად ბატონო.
- არც ერთი ცალი?
- არა.
- რაშია ვითომ საქმე?

- არ უნდათ, ბატონო. საჩუქრადაც რომ გაატანონ, არ კიდებს ხელს ის კაცი. გაზეთს, ასე თუ ისე, კიდევ ყიდულობენ, შურნალს სათოფეზეც არ ეკარებიან.

რა ექნა დომენტი ბიბინაძეს. ვიტრინაშიც გამოადებინა თავისი შურნალი მეჯისურეებს. იქნებ უფრო მიაქციონ ყურადღებაო და ქუჩაშიც, ცალკე, ტაბურეტის სკამზეც დააწყო ბინა, მაგრამ ყოველდღე ზუსტად ისეთი საუბარი ჰქონდა პრესის გამყიდველებთან, როგორც ამ ნოველის დასაწყისში წაიკითხა, ძვირფასმა მკითხველმა.

ვერ ვიტყვი, მეჯისურეები არ წუხდნენ-მეთქი, შურნალი „გრდემლი“ რომ არ სადღებოდა. ისინი უთანაგრძობდნენ კიდევ ჭარმაგ რედაქტორს, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარების ამ ეტაპზე ჯიხურში გამომწვევდელ კეთილშობილ მოქალაქეებს თანაგრძობის გვარდა არაფერი შეუძლიათ.

დომენტი ბიბინაძემ ჯიხურებს ჩამოუარა, „გრდემლის“ მკვიდრადგაუსადებელი ტირაჟი თავის ძველთაძველ, ცისფრადმბოლავ „ჯიგულში“ ჩააწყო და გადაწვიტა, ბაზრებში ეცადა ბედი. ბაზარში მიღეთის ხალხი ირევა და, ვინ იცის, იქნებ შურნალის მყიდველიც გამონდესო.

თბილისში, ახლა, ოცდათვრამეტი ლეგალური და თოთხმეტი არალეგალური ბაზარია. ლეგალურ ბაზარში ძირითადად თურქეთის საქონელი, პომიდორი, და ნაგვიანევი აღუწა იყიდება. არალეგალურში თევზი, ხიზილალა, ზეთისხილი და შიგადაშიგ ნარკოტიკებიც.

დომენტი ბიბინაძე თავს წესიერ კაცად თვლიდა და საქმეს მხოლოდ და მხოლოდ ლეგალურ დაწესებულებებთან იჭერდა.

ბაზარ „სარეჯგველას“ დირექტორის კაბინეტში დომინოს ატკაცუნებდნენ. კარი ღია ჰქონდათ. ინტელექტუალური თამაშით გართულებს კარებში დომენტის შესვლა არ გამოპარვიათ, ერთმა გამხდარმა თავისფერპიჯაკიანმა კაცმა საანგარიშოს ჩამოჰკრა და ისეთი

ლიმილი შეაგება სტუმარს, დაგვიანებით მოვლენილ უცხოელ დამკვირვებლებს რომ შეაგებებენ ხოლმე სინდისის პატიმრები.

ორი მოდომინე უკანსვლა – ლიმილით გაუჩინარდა.

– ბოდიშს ვიხდი, მგონი, უდროო დროს შეგაწუხეთ... მე, ისა „გრდემლის“ მთავარი რედაქტორი დომენტი ბიბინაძე ვარ.

– გიცნობთ, ბატონო, მამახემის და ვოროშილოვის არ იყოს. თქვენ არ გვიცნობთ, თორემ ბაბინაძეს ვინ არ იცნობს კაი მწერალი, კაი კაცი.

– მაგდენის პრეტენზია არ მაქვს, მაგრამ რაღაცას ვცდილობთ, ვჩირთიფირთობთ... რაზე შეგაწუხეთ ახლა ჩემო... თქვენი სახელი?

– ბეჟანი, ბატონო.

– რაზე შეგაწუხეთ, ჩემო ბეჟან. ჩვენს ჟურნალს, თუ კითხულობთ, არაა ცუდი ჟურნალი. გულის მოსაფხან სიტყვას მაინც ამბობს ხანდახან.

– მართალი ბრძანებაა.

– მე და ჩემი თანამშრომლები, იმ მკვდარ შეილს ვფიცავ, უხელფასოდ ვმუშაობთ და არც გვინდა კაპიკი აქედან, მაგრამ სტამბის ხარჯი ხომ მაინც უნდა გავისტუმროთ. არა და უსაშველო ხარჯს გვაწერს ამ ბოლო დროს სტამბა, რა ჰქნას იმანაც. ეგებ მოგვეხმაროთ.

– რაში პატივცემულო? ჩვენ ბანკში ერთი კაპიკი არა გვაქვს. გაგვიუქმეს ანგარიში. რომც გვქონდეს, მაინც აკრძალული გვაქვს სპონსორობა. წავიდა ის დრო. ახლა სახელმწიფომ – მარტო მე მაჭამეთო.

– არა, ბატონო, სპონსორობას არ გთხოვთ. სპონსორის ძიება რომ მათხოვრობასთან გააიგივეს ამ ბოლო დროს, კარგად ვიცი, ამიტომ ჩემ თავს არ ვაკადრებ მათხოვრობას. იქნებ ჟურნალის გასაღებში მოგვეხმაროთ-მეთქი. წაიღებს კაცი, წაიკითხავს.

– მიწა გამისკდებოდეს ახლა და ჩამიტანდეს, არ სჯობია? – შეიცხადა ბაზრის დირექტორმა – თქვენისთანა კაცისთვის უარის თქმას სიკვდილი არ მიჩვენია? ჟურნალს უხსენებ შენ, ლექსს და მოთხრობას უხსენებ მთავრობაზე გამწარებულ, ამ, დამშეულ ხალხს?

– მთავრობა სხვაა და ჟურნალი სხვაა, ბატონო ბეჟან, ამათ ერთმანეთთან კავშირი არა აქვთ!

– მე ვიცი, მაგრამ ამათ იციან? ჰგონიათ ლექსი და მოთხრობაც ხელისუფლებიდან მოდის. როგორც ზღარბს. ისე იღებენ წიგნს ხელში.

– ხომ არ გვეცადა მაინც.

– ყოველდღე მაგ საკითხზე არ მაქვს ჩხუბი, ბატონო? თქვენ პირველი კი არ ხართ. არ ამოგითვლით ახლა გვარებს, ვინ არ მომიტანა ლიტერატურა გასასაღებლად. ახლა დატოვებითაც აღარ ვიტოვებ. არ უნდათ, მორჩა და გათავდა. მე თქვენ არ მიცნობთ, თორემ არც მე ვარ მწერლობიდან მთლად შორს მდგომი კაცი ბეჟანი გახლავართ, მე გარაყანია, – ბეჟამა უჯრა გამოსწია და ორი წიგნი დაუდო წინ „გრდემლის“ გაწამებულ რედაქტორს. ერთს, თხელყდიან, მომცრო წიგნს „ბეჟან გარაყანია, ლექსები“ ეწერა და ყდაზე რატომღაც მარტორქა ეხატა.. მეორეს – „ბეჟან გარაყანია, ლექსები და პოემები“. წიგნის ტიტულზე ავტორის თმაშეთხელებული მაგრამ იმედენერგიულად გამომზიარალი სახე შემოგანათებდათ.

– ა, ამ წიგნების ავტორი ვარ მე.

– თქვენ ბრძანებით გარაყანია? – ასე ყალბად ჯერ არაფერი უთქვამს მწერალ დომენტი ბიბინაძეს – მეც არა ვთქვი... მეც არა ვთქვი? როგორ არ გიცნობთ... წამიკითხავს... უბრალოდ აქ არ გელოდით.

– წაიკითხეთ არაფერი გექნებათ ჩემი, წაკითხული, რადგანაც ამ წიგნებამდე სტრიქონი არ დამიბეჭდეს რედაქტორებმა. მაგრამ წყენა რა შუაშია. მწერლები და პოეტები ძმები ვართ ერთმანეთის. მერე რა, მე პოეტი ვარ, თქვენ პროზაიკოსი. ჩემთვის დიდი სხვაობა არ არსებობს. მე პოეტობის გამო ზემოდან არასოდეს დავეუბნებ პროზაიკოსს. პროზაიკოსსაც თავისი ადგილი აქვს.

– ოღონდაც... ოღონდაც... პროზაიკოსიც, ასე ვთქვათ, მწერალია...

დომენტი ახლა მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, რა სიტყვებით დამშვიდობებოდა პოეტ გარაყანიას. „გრდემლის“ გასაღების იმედი ამ ბაზარში მას საბოლოოდ გადაეწურა.

პირველს აღარაფერი აკლდა დომენტი ბაბინაძემ ბაზარ „ოჩხამურის“ ახლოს, დემოკრატიის ჩიხში რომ შეაყენა მანქანა და კიბეს აუყვია.

ცხელოდა ზუსტად ისე, როგორც შეიძლებოდა ცხელოდეს შუაზაფხულის თბილისში დღის პირველ საათზე.

კარგა ხანს იცადა დირექტორის კარებთან, მაგრამ შესვლა ვერ მოახერხა. ერთადერთხელ, მდივანთა ინსტიტუტის შემოღების ასწლოვანი ისტორიის მანძილზე, ბაზრის დირექტორის მდივანი არ ცრუობდა. დაკავებულია, სტუმრები ჰყავსო, უთხრა მან ბიბიაძეს და ბაზრის დირექტორს, მართლაც, სტუმრები ჰყავდა.

– შესვენებაზე ხომ არ წავა? – საათზე დაიხედა „გრდემლის“ რედაქტორმა.

– არა, ბატონო, შესვენებაზე საერთოდ არ მიდის. ახლა... რა ვიცი... შეიძლება სტუმრებს გაჰყვას.

– იქნებ მოახსენოთ, მწერალთა კავშირიდან გელოდებიან-თქო, თუ შეძლებს დღეს მიღებას, თუ არა და სხვა დროს გაახლებით...

მდივანი გოგონა კაბინეტის კართან შეჩერდა და მოიხედა.

– ბოდიშს ვიხდი, რა საქმეზეო რომ მკითხოს?

– ვერლიბრის, – ანგარიშიშეცემილად მიუგო დომენტი, ცნობისმოყვარე ქალს – ვერლიბრის ჟანრულ-სტილურ თავისებურებებზე უნდა ვესაუბრო.

მდივანი შევიდა და ორი მამაკაცი ფეხდაფეხ გამოიყოლა.

ერთს – თეთრპერანგოსანს ხელთ სომბრერო ეჭირა, მეორეს – უსომბრეროს, ზუსტად ისე ეცვა, როგორც საბჭოთა კავშირში ამ ორმოციოდე წლის წინათ ოფიციალური ვიზიტით ჩამოსულ ინდოეთის პრეზიდენტ – ჯავახარლალ ნერუს.

– შებრძანდით – მდივანმა „ვერლიბრის თეორეტიკოსს“ გაუღიმა.

ერთს – თეთრპერანგოსანს ხელთ სომბრერო ეჭირა, მეორეს უსომბრეროს, ზუსტად ისე ეცვა, როგორც საბჭოთა კავშირში ამ ორმოციოდე წლის წინათ ოფიციალური ვიზიტით ჩამოსულ ინდოეთის პრეზიდენტ – ჯავახარლალ ნერუს.

– შებრძანდით – მდივანმა „ვერლიბრის თეორეტიკოსს“ გაუღიმა.

ბიბინაძემ ხერხს მიმართავაი თუ ჩემი მწერლობით დიდად არ ვეპიტნავო ამ პატიოსან დირექტორსო და რესპუბლიკის ხელისუფლების ავტორიტეტს ამოეფარა.

მეო, ხელისუფლების თხოვნა-შუამდგომლობით ვარ თქვენთან მოსულიო, პარლამენტის ერთ-ერთი სპიკეტი გირეკავდათ, მაგრამ ვერ დაგიჭირათო, ჭირს მწერლობას და თოხვანაა ზემოდან – უნდა დაგვეხმაროთ ჟურნალ „გრდემლის“ გასაღებაშიო.

– რად მინდა ბატონო ხელისუფლების ხსენება. ხელისუფლება დღეს არი და ხვალ არ იქნება. ხელისუფლება მინდა მეუ? რომელ ხელისუფლებას არ სჯობიხართ თქვენ ჩემთვის. ხომ ბიბინაძე ბრძანდებით, თვალი ხომ არ მატყუებს? სხვას რომ ეთქვა ერთი კვირის წინ, არ დავიჯერებდი, თუ ბიბინაძეს ჩემს კაბინეტში ვნახავდი და ხელილს ჩამორთმევა მომიწევდა. თქვენ რომ ტელევიზორში დაგინახავთ, იმ საღამოს თქვენ სადღეგრძელოს სვამს მთელი სადარბაზო. ჩვენს სახლში ასეა, და სხვაგან, რა ვიცი. ალბათ, მაგინებელიც ბევრი გეყოლებათ. რად უნდა თხოვნა მაგ საქმეს. თქვენ თუ არ დაგეხმარებით, აბა ვის უნდა დაგეხმაროთ. ბაზარი იმისია, რომ უნდა გავასაღოთ „გრდემლი“, აბა რა უნდა ვქნათ. რამდენი ცალი გაქვთ?

– ჩვენ ხუთასი გვაქვს, მაგრამ თქვენ მხოლოდ ას ცალს შემოგთავაზებთ. მეტი აღარ შეგაწუხებთ.

– თუ შეიძლება სამი ცალი ამოვიღოთ?

ბაბინაძემ ჩანთა გახსნა და ბაზრის დირექტორს სამი ჟურნალი გაუწოდა.

დირექტორს ჟურნალისთვის არც დაუხედავს.

– ა, ბატონო, ჩამოვიართ ერთად. თქვენ შორიახლო მომყევით. მე შევთავაზებ, მე თვითონ ხომ დირექტორი ვარ. თქვენ იმიტომ გთხოვთ გვერდში დადგომას, რომ დარწმუნდეთ, ვისთან მაქვს საქმე.

დომენტი უარის თქმას აპირებდა, მაგრამ ვეღარ მოასწრო. დირექტორმა კაბინეტის კარი გამოიკეტა და ორივენი სკასავით მობზუილმოფუსფუსე ბაზრის პირისპირ დარჩნენ.

მერე რაც მოხდა, ჯოჯოხეთში გათამაშებულ სცენას წააგავდა. ბაზრის დირექტორი ჯიხურს მიუახლოვდებოდა; ჟურნალი მივიღეთ გადასარევიო. მეჯიხურე ჯერ სიცილიდგ-

ძიგს დაიწყო და, მერე რაკი სახეზე შეატყობდა, რომ დირექტორი არ ხუმრობდა, სიცილს მოსხებდა და ამოიხსრებდა:

– ხუმრობთ იოსიპოვიჩ? ჟურნალი უნდა ჩემს მშვიერ ბავშვებს? თავზე არ დამახვეს ჩემი ქმარი სადამოს პურის მაგივრად ჟურნალი რომ მივიტანო სახლში? დილის რვა საათიდან აქ ვარ და ჯერ ერთი „სნიკერსი“ არ გამოვიდია.

– ეს კაცი ფულს კი არ ითხოვს, უფასოდ გირიგებთ ჟურნალს, - ფირფიტას შეცვლიდა დირექტორი, მაგრამ მეჯიხურეები არც ამ ანკესზე ეგებოდნენ. არ გვინდა, დიდი მადლობა, არ გვინდაო, ხელებს ასავსავებდნენ.

მეორე ჯიხურეში შესვლა უაზრობა იყო. ბიბიჩაძემ ჭიშკართან სამივე ჟურნალი გამოართვა მკითხველთა გულგრილობით შეძრწუნებულ დირექტორს და მანქანისკენ გააბიჯა.

კარის გაღებისთანავე ცხელი ოსშივარი ცხვირპირში ეცა.

ორივე კარი გააღო და დაელოდა, სანამ მანქანაში ტემპერატურა იმ დონემდე დაიწვედა, ფალავანთა კლუბის ორთქლის აბანოში რომ არის ხოლმე.

ბაზარ „ჩაიღურის“ დირექტორმა ყურადღებით მოუსმინა, ჰაერმბერი თავისკენ შეატრიალა და ჰკითხა:

– რა წერია თქვენს ჟურნალში პატივცემულო?

– ლექსები, მოთხრობები, წერილები...

– ვისი?

– თანამედროვე პოეტების... წაიკითხავთ, მოგეწონებათ...

– ვის ლექსებს და მოთხრობებს გვთავაზობს თქვენი ჟურნალი, ბატონო, იმ მწერლებისას ხომ არა, ზვიადის გათავისუფლებული საქართველო ისევ იმპერიაში რომ შეათრია? როგორ ფიქრობთ ახლა თქვენ, ამ ხელისუფლების ტაშის კერაში ხელზე სამპირტყავ-გამპირალი მწერლების ნაწერს წავიკითხავთ ჩვენ? ერთი კარგი პოეტი სხვას რომ აფრთხილებდა, არ ჩაუჯდებოდა ხელმწიფეს ნავშიო და თვითონ ისე საიმედოაა ჩამსტარი, რომ გიგანტამწვეითაც ვერ ამოჰყავთ იქედან? ამ ოცი წლის წინ საქართველოს დაქუცმაცების წინააღმდეგ მშვენიერი ლექსი რომ დაწერა და ახლახან საჯაროდ რომ უარჰყო თავისივე ლექსი? ვისი ლექსები და მოთხრობები წავიკითხოთ, ბატონო, ვის გვირჩევთ? ზოგი მწერალი კრინტს რომ არ ძრავს საქართველოს დღევანდელ სატკივარზე და პირგამშრალ ჟურნალისტებს პასუხობს: მე ჩემი დუმილით ვამბობ ჩემს სათქმელსო იმის ნაწერს წავიკითხავ მე?

– თქვენ ერთი კაცი ხართ. იქნებ სხვა ასე არ ფიქრობს.

– ვინ სხვა, პატივცემულო?

– სხვა... მყიდველ-გამყიდველი... ბაზარი დიდია.

– ამ ბაზარში შვიდღარხელფასიანი მომხმარებელი დადის ბატონო და დიდი უმრავლესობა ჩემსავით ფიქრობს. თუ გნებავთ, გავიართო და ახლავე დაგარწმუნებთ. რა შეეხება გამყიდველებს, გეცოდინებათ, ალბათ, ჩვენს ბაზარში ოთხმოცდაათი პროცენტი არაქართველი დგას დახლთან. ვინ იყიდის და ვინ წაიკითხავს ჟურნალ „გრდემლს“, მემწვანილე ბაჯი თუ მწვრილმანე არტაშეს პოლოსიანი?

– კი მაგრამ... რატომ მოხდა ასე?

– მე მეკითხებით ამას ბატონო? დაგავიწყდათ, რას გაჰყვიროდნენ საქართველოს ცუკას პირველი მდივნები? ჩვენი სიძლიერე ჩანს მრავალეროვნულობაშიო! ჯერ არ მომხდარა ისტორიაში ეროვნულად ჭრელი ქვეყანა ბოლომდე ძლიერი ყოფილიყო. ადრე თუ გვიან იგი აუცილებლად იქცევა ეთნოლომების ასპარეზად.

– ეგ მართალია.

– მერე? სწერია თქვენს ჟურნალში საქართველო წასვლადაგვიანებული სტუმრებისაგან უნდა გაიწმიდოსო?

– ეგ... ახლა... მთლად ასე პირდაპირ... ეთიკური არ გამოვა... მსოფლიო ვერ გაიგებს.

– რას ვერ გაიგებს მსოფლიო? დღეს სომხეთში არ ცხოვრობს არც ერთი აზერბაიჯანელი და აზერბაიჯანში არ ცხოვრობს არც ერთი სომეხი, მაგრამ მსოფლიოს თავი არ მოკლავს. სამაგიეროდ, ჩვენ ვართ ინტერნაციონალური ლაბორატორია. დღეს საქართველოში ნახევარზე მეტი არაქართველი ცხოვრობს. ეს იცი რას ნიშნავს? მალე საქართველოში ქართველ პრეზიდენტს ვეღარ ავირჩევთ. ჩვენ 1993 წელს რუსეთთან ომში რომ დავმარ-

ცხდით, ეგ არ იყო ისე დიდი უბედურება, როგორც დემოგრაფიულ ომში ჩვენი დამარცხება გახლავთ. რატომ გაუჩუმდით თქვენ ქართველები ქართულ მიწაზე უცხო ტომის ასე გულუხვად ჩამოთესლებას?

– არ გაგუჩუმდით, მაგრამ...

– ჰოდა მაგ „მაგრამმა“ და პირში წყლის ჩაგუბებამ დაგვეუბა ჩვენ...

* * *

მკითხველის ნერვებს მოვერიდები და დიალოგს აქ ვწყვეტ.

... 1996 წლის 19 ივლისს თბილისში, შუალამისას, თავისი ოროთახიანი ბინის შეუძინავ აივანზე ჟურნალ „გრდემლის“ მთავარმა რედაქტორმა დომენტი ბიბიჩაძემ თავი ჩამოიხრჩო.

ჰუმანიტარული დახმარება

ინტელიგენტი ვარლამ ქესაძე თავისი ოროთახნახევრიანი ბინის გაცივებულ ლოჯიაში პალტომოსურული იჯდა და ძველ გაზეთს კითხულობდა.

ინტელიგენტი ცუდ ხასიათზე იყო.

ყოველდამე ესიზმრებოდა, თითქოს ეთიოპიაში, ათასობით განწირულ ეთიოპიელს შორის ქვიშზე იწვა და შიმშილით კვდებოდა. დილით გაბურბუსალებული იღვიძებდა და უკვირდა, რომ ცოცხალი იყო.

ინტელიგენტმა უმაქრო ჩაი დალია. ფეხზე ნივერსალური წებო „მომენტით“ სამ ადგილას დაწებებული რეზინის ჩექმები ჩაიცვა და ქუჩაში გამოვიდა.

თებერვლის ცივი, გაუსაძლისი დღე იყო.

ვარლამ ქესაძეს ეგონა, რომ ქარი იმის მიხედვით იცვლიდა მიმართულებას, საითკენაც ინტელიგენტი შეატრიალებდა თავს, რათა ცხოვრებისგან ისედაც გაწამებული კაცისთვის ერთმანეთში არეული ნამქერი და მტვერი სახეში შეეყარა.

გამგებლის მისაღები ცარელი იყო.

„ალბათ არ მოსულა, მაგრამ ლოდინითაც რომ არავინ ელოდება? თუმცა რა უნდათ, რომ აკითხონ, მე შენ გეტყვი, მიხვალ ახლანდელ გამგებელთან და სარჩო-საბადებელს გაგიჩენს, ან სამსახურის და ბინის პრობლემას გადაგიწყვეტს“.

მდივანი გოგონაც არსად ჩანდა.

კარი შეაღო.

– შეიძლება?

მაგიდასთან მჯდომმა გამგებელმა წამოუდგომლად დაუქნია ხელი. გამგებელს ყურე-ბიანი კრაველის ქუდი ეხურა და მოლისფერი დრაფის პალტოს საყელოში დათვისფერი „მოხერის“ რიდე ჰქონდა ჩატენილი.

– მე ყოფილი მასწავლებელი გახლავართ, ბატონო, ვარლამ ქესაძე, მათემატიკოსი ვარ. თქვენ, ალბათ, არ გეცოდინებათ, ახალი კაცი ბრძანდებით – დაიწყო ინტელიგენტმა, მოსულ-დამხვდურმა სალამ-სალამი რომ დაამთავრეს და, როგორც იმერეთში საქმიანი საუბრის დაწყებამდე აუცილებლად მიღებულა, – ერთი-ორი სიტყვით ამინდსაც შეეხნენ.

– გიცნობთ ბატონო, რატომ ყოფილი?

– სკოლაში აღარავინ დადის ბატონო და უმოსწავლო მასწავლებელი არ გამიგონია მე.

– დროებითი ამბავია, ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ. რომ არ შეგვეწყვიტა სწავლა, დაგვეყინებოდნენ ბავშვები. დათბება და აპრილიდან განვაახლებთ.

– კი განაახლებთ, თუ დარჩა სკოლა. მერხებს იპარავს გამწარებული ხალხი, ბატონო, და შეშად ჩეხავს.

– შეგნების ამბავია, პატივცემულო. ეს ვართ სუულ? მეტი ვერ უნდა მოვითმინოთ? რომელი სკოლაა თქვენი?

– მეთოთხმეტე.

გამგებელმა შარშანდელი კალნედრის ფურცელს რაღაცა მიაწერა.

– მე სხვა რამის სათქმელად გეახელით, ბატონო. გაქვთ ცოტა დრო რომ მომისმინოთ?

გამგებელმა თავი დააქნია. თუმცა ინტელიგენტმაც უკვე მშვენივრად იცოდა, რომ გამგებელს დრო თავზე საყრელად ჰქონდა.

– რა არის იცი? გუშინ ჩამოიარა ვიღაცამ და; ოცდახუთიდან სოცუზრუნველყოფის განყოფილებაში გამოცხადდით ჰუმანიტარული დახმარების მისაღებად.

– მერე? ოცდახუთია დღეს?

– დღეს ოცდაორია. ქე ვიცი, ნუ გეშინიათ, მთლად მასეც არაა ჩემი საქმე, მარა მე წინასწარ იმიტომ მოვედი, რომ გამოგიცხადოთ; უარს ვამბობ ჩემს წილ ჰუმანიტარულ დახმარებაზე და ეგება, საერთოდაც, მთელმა რაიონმა ვთქვათ უარი.

– იქნებ თქვენ არ გიჭირთ, პატივცემულო, სხვას რას ერჩით, ხალხი შიმშილით კვდება.

– მე რომ მიჭირს, ისე გაუჭირდა შენს დამაწყევლარს, ბატონო, მაგრამ მაინც უარს ვამბობ, ასეა ეს...

– რატომ მაინც? – გამგებელმა პალტოს ჯიბიდან ხელთათმანები ამოიღო და მაგიდაზე დაყარა.

– რატომ და მესამე წილწადია ამ დახმარებაზე ვღალაღებთ და ჩვენამდე პირველად მოვიდა. თუმცა, მოვა თუ არა ნამდვილად, ესეც საკითხავია. მაგრამ, როგორც ხმა იმის, ვიღაცას მაინც ხმარდება ეს დახმარება. მეორეც, ბატონო, დამიჯერეთ მე, სამოცდაშვიდი წლის კაცი ვარ, ამათხოვრებს, აბეჩავენს, ამონავენს კაცს ეს დახმარება. გთრგუნავს, თუ ცოტა ვაუკაცობა და სიამაყე მაინც შეგერჩა, თავმოყვარეობას გიღახავს. ამასაც რომ თავი გაგანებოთ, სხვის ხელში შემეყურეობა აზარმაცებს ადამიანს. დახმარების იმედი რომ აღარ ექნება, ხელს გამოიღებს კაცი. ფრხხილებით მოჩიჩქნის, ცხვირით მოხნავს მიწას და რაღაცას მოიყვანს, რაღაცას დათესავს. ხომ ხედავთ, წელსაც დაუმუშავებელი გვრჩება ყანები. ტრაქტორი და საწვავი არ გვაქვსო, თავს ვიმართლებთ. სად ჰქონდა ჩვენს წინაპარს ტრაქტორი, მარა რავარი ლურჯი პური მოდიოდა საქართველოში. დავანებოთ ამასაც თავი, თუ გინდათ. გადაიხედეთ ფანჯრიდან: ე, ეგერ იყიდება ჯიხურებში ჰუმანიტარული დახმარება. ჩემნაირ საწყალ კაცს არ ხვდება ეგ, ბატონო, მაფიას და სპეკულიანტს ამდიდრებს. ჩვენ ისე გადმოგვიგდებენ, უბრალოდ, ფიცში ჩასაყოლებლად. არ გვინდა არანაირი დახმარება, ხომ შეიძლება რომ არ გვინდოდეს? ერთი მომენტიცაა მანდ. გაგაზარმაცებს, შრომას გადაგაჩვენებს ჰუმანიტარული დახმარებით ის კაცი და ბოლოს, რომ მოსწყინდები, იმნაირ დროს შეგიწყვეტს იმ დახმარებას, რომ უკვე გვიან იქნება, შიმშილით ჭუკივით ამოგძვრება სული.

გამგებელმა მშვიდად მოუსმინა.

რაიონის პირველ კაცს არც მაშინ გაუღია ხმა, როცა ინტელიგენტმა თავისი სათქმელი დაამთავრა და მასპინძელს კითხვის ნიშნიანი სახით მიაჩერდა.

ჩანს, გამგებელმა „იდებობის მატარებელი“, ენააქავებულ მორიგ მთოხვნელად მიიჩნია ქესაძე და კამათი არ გაუმართავს.

გამგებელმა მშვიდად მოუსმინა.

ინტელიგენტმა კარგა ხანს იცადა, ბოლოს ქუდი დაიხაურა და ისე დასტოვა კაბინეტი, რომ დამხვდურს არ დამშვიდობებია.

ბრუნდებოდა შინ მწარე ფიქრებისგან ნერვებდაღრღნილი ინტელიგენტი და სხვათა შორის ისიც უკვირდა, რატომ არ მიიტანა გულთან გამგებელმა მისი ჭკუით, აზრიანი წინადადება.

რა იცოდა ვარლამ ქესაძემ, რომ თვით გამგებელიც მაფიის წევრი იყო.

კლიმენტ კიკალიშვილი

„ფესტოსის დისკოს“ ზუგდიდმა უმასპინძლა


2015 წლის 23 იანვარს საზოგადოება „ზუგდიდელის“, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის, ზუგდიდის მერიისა და საკრებულოს მოწვევით ქალაქ ზუგდიდში ჩამოვიდა მსოფლიოში ცნობილი მკვლევარი, „ფესტოსის დისკოსა“ და სხვა A – ხაზოვანი დამწერლობის გამწვანებელი ბატონი გია კვაშილავა. მან ზუგდიდის ფართო საზოგადოებას გააცნო მისი გენიალური გამოკვლევების შედეგები, უძველესი და უპირველესი დამწერლობების დეშიფრირების შესახებ. ბატონი გია კვაშილავას ჩამობრძანება აღნიშნული საკითხების გარშემო სამეცნიერო სესიის ჩატარების მიზნით ზუგდიდში, წინასწარ გაზიარებული იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს „ფაზისის“ მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელობასთან.

თბილისიდან დელეგაცია ქ. ზუგდიდში ჩამოვიდა 23 იანვარს დილის 10 საათზე, რომლებსაც ქალაქის ცენტრში შეხვდა საზოგადოება „ზუგდიდელის“ თავმჯდომარის მოადგილე ბატონი მურმან ნაჭყებია, წევრები კარლო ვეკუა და თქვენი მონამორჩილი (კ.კ.).

ბატონ გია კვაშილავასთან ერთად დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თბილისის პოლიციის აკადემიის პრორექტორი სასწავლო დარგში ბატონი ალექსანდრე კვაშილავა (გიას ბიძა), სოფლის მერნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ფაზისის აკადემიის ნამდვილი წევრი ბატონი ონერ ძაძუა, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, მწერალი და ჟურნალისტი, ფაზისის აკადემიის პრეზიდენტის წევრი ბატონი სიმონ ზქარაია (დელეგაციის ხელმძღვანელი). სტუმრები მივიპატიჟეთ საზოგადოება „ზუგდიდელის“ კუთვნილ დარბაზში, სადაც ჩამოსულებს უკვე ელოდა საქართველოში ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, საზოგადოება „ზუგდიდელის“ თავმჯდომარე (აღრე საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე) ბატონი ოთარ ფაცაცია. მასპინძელთა შორის იყვნენ „ზუგდიდელის“ წევრები სამეგრელო-ზემო სვანეთის ყოფილი გუბერნატორი ბატონი ბონდო ჯიქია, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის (ქუთაისი) პროფესორი თამაზ ცანავა, ცნობილი მწერალი და ჟურნალისტი დავით (დათო) ქობალია და სხვები. ჩამოსულმა სტუმრებმა მასპინძლებს მოკლედ გააცნეს მოხსენებების ძირითადი არსი, მისი მოცულობა, ჩატარების ტექნიკური და სხვა ორგანიზაციული მხარეები. ბოლოს სტუმრებმა და მასპინძლებმა გადაინაცვლეთ ქალაქის – ალექსანდრე ღურჯაიას სახელობის საბუნებისმეტყველო გიმნაზია „ჯიჯის“ შენობაში, სადაც სესია უნდა ჩატარებულიყო. რადგანაც ძირითადი მოხსენებების დაწყებამდე ორ საათზე მეტი დრო რჩებოდა, ბატონმა გია კვაშილავამ სკოლის ადგილობრივ სპეციალისტებთან ერთად, გადაამოწმა მოხსენების ჩატარების შესაძლებლობის ტექნიკური მხარე და მთლიანად მოიწონა იგი. დარჩენილ დროში სტუმრები მასპინძლებთან ერთად სრულყოფილად გაეცნო სკოლა-ინტერნატის ტექნიკურ აღჭურვილობას, სწავლების საინტერესო პროგრამებს, რომელიც აღიარებულია, როგორც „უმაღლესი ხარისხის სასკოლო განათლება საქართველოში“. გია კვაშილავამ სკოლის ხელმძღვანელობასთან საუბარში აღნიშნა, რომ მსგავსი სკოლა ასეთი დონის აღჭურვილობით ევროპის არც ერთ ქვეყანაში არ შეუნიშნავს. ბატონი გიას ასეთ შეფასებას გამოეხმაურა სკოლის დირექტორი, ბატონი ჯამბულ ნაჭყებია და დაამატა, რომ ეს სკოლა მსოფლიოში მსგავს სასწავლებელთა ოთხეულში შედის და იგი მათ შორის ერთ-ერთი პირველთაგანია, როგორც აღჭურვილობით ასევე სწავლის დონით.

დღის ორი საათია, ბატონმა ოთარ ფაცაციამ „ფესტოსის დისკოსა“ და სხვა A – ხაზოვანი დამწერლობების დეშიფრირების შედეგებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია გახსნილად გამოაცხადა. სასწავლებლის სხდომათა დარბაზში დამსწრე საზოგადოება მქუხარე ოვაციით შეხვდა სახელოვან და აღიარებულ მკვლევარს, ბატონ გია კვაშილავას და დელეგაციის სხვა წევრებს. შემდეგ ბატონმა ოთარ ფაცაციამ ჩვეული დიპლომატიით დამსწრეებს მოუწოდა და გააფრთხილა კიდევ ისინი, რომ მოხსენების მიმდინარეობის პერიოდში, თავი შეეკავებინათ ადგილიდან ხმამაღალი რეპლიკებისაგან, რაც ხელს შეუშლიდა ბატონ გიას, ესოდენ ტყვადი მისაღების გათვალისწინებულ რეგლამენტში განსახორციელებლად.

შემდეგ შესავალი სიტყვა მიეცა დელეგაციის ხელმძღვანელის ბატონ სიმონ ზაქარაიას, რომელმაც სესიის მონაწილეებს გადასცა ფაზისის აკადემიის პრეზიდენტის, ეკ. მეცნიერებათა დოქტორის ბატონ ნუგზარ ნადარაიას მისასალმებელი სიტყვა და წარმატების დიდი სურვილი. ბატონების სიმონ ზაქარაიას და ონერ ძუუას სასახელოდ უნდა აღვნიშნოთ ფაქტი, რომ მათმა წინასწარ სამეცნიერო სესიის ჩატარებამდე რამდენიმე კვირით ადრე, თბილისიდან გამოგვიგზავნეს 30 ეგზემპლარი, 50 გვერდიანი ბროშურა „მსოფლიოს პრეისტორიული ცივილიზაციის გაბწინება“ (ავტორები: ს. ზაქარაია, გ. ფაცაცია, რედაქტორი ონერ ძაძუა), ამასთან ერთად ს. ზაქარაიამ წინასწარ გამოქვეყნა სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გაზეთ „ვერისის მაცნეში“ საკმაოდ ტევადი სტატია – „უძველესი ცივილიზაცია და ქართველური ტომები“, რომლებმაც ნაწილობრივ შეავსო უძველესი დამწერლობების შესახებ ლიტერატურის წყაროების დეფიციტი ქალაქის მაცხოვრებელთათვის.



სცენაზე ონერ ფაცაცია და გია იკვაშილავა

ბატონმა გია იკვაშილავამ დასაწყისშივე ამცნო დამსწრეებს, რომ საბერძნეთის კუნძულ კრეტაზე საარქეოლოგო ქალაქ ფესტოსში, 1908 წლის 3 ივლისს იტალიელმა არქეოლოგმა ლუიჯი პერნიემ მინოსის სასახლის ნანგრევებში გათხრებისას აღმოაჩინა თიხის მრგვალი ფირფიტა, რომლის დიამეტრია 16სმ-ი, ხოლო წონა 380 გრ. დისკის ორივე მხარეზე სპირალურად ამოტვიფრულია ოქროს ყალიბით 244 ნახატ-ნიშანი (დამწერლობა საწყის ეტაპზე იყო სილაბურ-ლოგოგრაფული). მოხსენების ტექსტი დამსწრეთათვის სრულიად გასაგები და მისაწვდომი იყო, რადგან ყოველი ნახატ-ნიშნის გამოსახულება და მათი დამამტკიცებელი არგუმენტები ეკრანზე ფერად ფერებში ნათელს ხდიდა მათ საიდუმლო ვერსიებს. დარგის მეცნიერების მიერ დადგინდა, რომ წარწერებიანი დისკო, ანუ როგორც მას შემდეგში ეწოდა „ფესტოსის დისკო“ (მისი აღმოჩენის ადგილი გახლდათ საარქეოლოგო ქალაქი ფესტოსი) არის პირველი ბეჭდვითი სიტყვის დოკუმენტი მსოფლიოში, რომლის შექმნა კორიბატების (ნახატ-ნიშნების შექმნელების) მიერ დათარიღებულია 1850-1600 წწ. ძვ. წ. ე.ი. 4 ათასი წლის წინათ. დამსწრე საზოგადოების იმ ნაწილისათვის, რომელიც პირველად ისმენდა მოხსენებას უძველეს დამწერლობაზე, ძალაუვნებურად უჩნდებოდა შეკითხვა, ფესტოსის დისკო, რომელიც ქართველურ ენაზე იქნა გაშიფრული, როგორ უნდა მოხვედრილიყო ასე შორს საბერძნეთის ტერიტორიაზე. როგორც გია იკვაშილავამ განაცხადა, ფესტოსის დისკოს აღმოჩენა საბერძნეთის ტერიტორიაზე, სხვადასხვა ქვეყნის მეცნიე-

რების მიერ სხვადასხვანაირად არის ახსნილი, მაგრამ უმთავრესი მაინც ის იყო, რომ იმ ეპოქაში, 4 ათასი წლის წინ ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნების ავოტოქტონური მოსახლეობა და ეგეოსური ცივილიზაციის შემქმნელი იყვნენ ქართველური ტომები, უპირველეს ყოვლისა პელაზგები და ეტრუსკები, მხოლოდ შემდგომ პერიოდში ხდება ბერძნული ტომების შემოსევა და მთელი ეგეოსის ტერიტორიის და მისი მოსახლეობის დაპყრობა, იბერიული ტომების და მათი კულტურის დაცემა. ის რაც მოასწრეს ჩვენმა უძველესმა წინაპრებმა, აღნიშნა გია კვაშილაავამ, არის ის ფაქტი, რომ მათმა ხელი შეუწყვეს როგორც ბერძნულ ასევე სხვა ხალხთა პირველ დამწერლობების ჩამოყალიბებას.



მარცხნიდან (წინა რიგი) ალიოშა კვაშილაავა, თამაზ ცანავა, გია კვაშილაავა, თათარ ფაცაცია, მურმან ნაჭყებია, ვაჟა ფიფია.
დგანან უკანა რიგში: ამბროსი (დევი) ჭყონია, ბონდო ჯიქია, ალექო თოდუა და სიმონ ზაქარაია.

როგორც ცნობილია, თითქმის 100 წელი იკვლევდნენ მეცნიერები ან მეცნიერთა ჯგუფები თუ მოყვარულები დისკის საიდუმლოს ამოკითხვას, მაგრამ მისი ამოხსნა ვერვინ ვერ შეძლო, რადგან ისინი ამ ამოცანის გადასაწყვეტად იყენებდნენ იმ ტრადიციულ არქაულ თუ მოქმედ ენებს, რომლითაც ისინი სხვა წარწერებში წარმატებულები იყვნენ.

მინდა მთელი გულწრფელობით ავღნიშნო ჩემი და ჩემი თანამოქალაქეების სახელით, რომ გია კვაშილაავას მოხსენება, რომელიც მან განახორციელა 23 იანვარს ქ. ზუგდიდში თავისი ფორმითა და შინაარსით იყო ერთ-ერთი საუკეთესო სამეცნიერო სესია, რომელიც დიდხანს დაამახსოვრდება დამსწრე საზოგადოებას. ხოლო ეს განწყობილება იმდენად დიდი და საამაყო გახლდათ, რამდენადაც მსოფლიოში პირველი ბეჭდვითი სიტყვის დოკუმენტის შექმნა ეკუთვნოდა ჩვენს სასიქადულო წინაპრებს, უდიდესი პრეისტორიული ცივილიზაციის შემქმნელებს-იბერიულ ტომებს. დღეს მსოფლიოს მეცნიერებისათვის ცნობილია, რომ „ფესტოსის დისკოსა“ და სხვა A ხაზოვან დამწერლობების (ბერძნამდელი დამწერლობა) გაშიფრვა, რომელიც აღმოჩენიდან 100 წელი ენიგმად რჩებოდა (1908-2000), განხორციელდა მეგრულ-ლაზურ, სვანურ და ძველი ქართული სიტყვების გამოყენებით.

შემდეგ გია კვაშილაავა დამსწრეებს აუწყებს, რომ 2008 წლის პირველ ნოემბერს ლონდონის საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც მიძღვნილი იყო „ფესტოსის დისკოს“ აღმოჩენიდან 100 წლისთავეზე, აკეთებს მოხსენებას – „ფესტოსის დისკო – „კოლხური (პროტოქართული) ოქროდამწერლობის გაშიფრვის შესახებ“.

მისი გამოსვლა 12 მოხსენებიდან იყო ერთადერთი, სრულყოფილი და სარწმუნო, რამაც მონაწილეთა მხარდაჭერა დაიმსახურა, შემდეგში მისი გამოკვლევები აღიარა და პროექტით დაადასტურა ოქსფორდისა და კემბრიჯის უნივერსიტეტებმა.

ბ-ნ გია კვაშილაგას, მოხსენების დამთავრების შემდეგ დამსწრე საზოგადოება დიდი ოვაციებით შეხვდა. ამით სესიამ მუშაობა დასრულა, როგორც მასპინძლები, ასევე სტუმრები სესიის მუშაობით კმაყოფილები დარჩნენ.

სესიის შემდეგ მასპინძლებმა სტუმრების საპატივცემულოდ ვახშამი გამართეს, სადაც ერთხელ კიდევ ისაუბრეს კონფერენციის ძირითად მასალებზე.

იმავე საღამოს დელეგაცია თბილისში დაბრნდა. უსაფრთხო მგზავრობას უზრუნველყოფდა ონერი ძაძუა.



მარჯვნიდან მეორე ლაშა შამუგია, სიმონ ზაქარაია, მურმან ნაჭყებია, გია კვაშილაგა, ჯამბულ ნაჭყებია...




საბუნებისმეტყველო სკოლა-ინტერნატი "ჯიჯი".



მარცხნიდან ონერ ძაძუა, კლიმენ კიკალიშვილი, გია კვაშილაგა, მურმან ნაჭყებია, სიმონ ზაქარაია, ალექსანდრე კვაშილაგა, კარლო ვეკუა, ჯამბულ ნაჭყებია.

კახა სამყურაშვილი



მზის სხივები, აკაკი და საიუბილეო წელი

აკაკი წერეთელი მოგვიწოდებდა, რომ ყოველი საქმის დაწყების წინ დავით წინასწარ-მეტყველის სიტყვები წარმოგვეთქვა: „გული წმინდა დაბადე ჩემთანა ღმერთო და სული წრფელი განმიხსლე გვამსა ჩემსა . მეც სულითა და გულით ვიზიარებ ამ მოწოდებას და ვიდრე ამ წერილის დაწერას შევუდგებოდე, აკაკის რჩევას მივყვები.

ამ ცოტა ხნის წინათ, თბილისი-საჩხერის მიკროავტობუსში ჩაჯდომამდე, მგზავრობის გასახალისებლად ერთ ჩემს ჩვეულებას მივმართე, - შევიძინე კროსვორდების ჟურნალი. სხვადასხვა სახის კროსვორდებთან ერთად ამ ჟურნალში ბევრ საინტერესო ამბავსა და გამოჩენილ ადამიანთა გამონათქვამებს მივაგენი. აქედან ნაწილმა უკვალოდ ჩაიარა, ნაწილი სრულად, ნაწილი ნახევრად, ნაწილი მეოთხედად და ერთი მათგანი მეათასედი სიზუსტით (როგორც შემდგომ გაირკვა) დამამახსოვრდა.

რამდენიმე დღის შემდეგ გონებაში ეს უკანასკნელი ამომიტივტივდა - თურმე მზეს იმხელა სიდიდე აქვს, ისეთი უზარმაზარი სხეულია, რომ მისი ბირთვიდან ზედაპირამდე სხივების ამოსვლას 170 დედამიწისეული წელი სჭირდება, ამის შემდეგ კი ეს სხივები დედამიწამდე 8 წუთში აღწევენ.

რა წარმოუდგენელი ამბავია!

170 წელი... 170... 170.....

ჩემი კუთხის მცხოვრებლების მსგავსად, არა მაინცადამაინც საჩხერლობის, არამედ პირველ რიგში ქართველობის გამო, გონში სულ აკაკი წერეთლის სახელი და მისი საიუბილეო თარიღები (დაბადებიდან 175 და გარდაცვალებიდან 100 წელი) მიტრიალებს და აი, 170-ის, ამ რიცხვის ხშირმა გამეორებამ ჩემს მეხსიერებაში სამუდამოდ აღბეჭდილ აკაკის 170 წლის იუბილემდე მიმიყვანა; და მიუხედავად იმისა, რომ ამ მოვლენის გახსენებისას მუდამ მხნეობა მემატება და საზვიამო განწყობა მეუფლება, ამ ჯერად ჯერ არგანცდილი სიხარული ვიგრძენი, - ამ ხუთი წლის წინ, როცა აკაკი წერეთლის 170 წლის იუბილესთან დაკავშირებით მეუფე დანიელის ძალისხმევით სხვიტორში, აკაკის სახლში ჩვენი

ძვირფასი პატრიარქის, მისი უწმინდესობის სტუმრობა მოეწყო (ამ მოვლენის შესახებ ხალხი ხატონად ამბობდა, რომ ილია და აკაკი კვლავ ერთმანეთს შეხვდნენ), თურმე აკაკის ეზოში სწორედ ის სხივთა გუნდი გვეფინებოდა, რომლებიც მზის გულიდან ზუსტად მაშინ დაიძრნენ, როცა აკაკი საქართველოს შუაგულში დაიბადა!... რა ბედნიერებაა!... აკაკისთან ერთად დაბადებული სხივები!... აკაკის სხივები!... აკაკის ნათელი!... აკაკის „ ანაკა-დულებული ღვთიური მზეობა !...

პატრიარქი აკაკის კაკალთან დგას და გვმოძღვრავს: „აკაკი ის ჩაუმქრალი სანთელია, რომელიც ყველა ქართველს გზას უნათებს სასუფეველისაკენ .

ასეა, „მზეს და გენიოსებს ორი თვისება აქვთ: ორივე საოცრად ნათელია და ორივე სიცოცხლის შემოქმედი (ნ. დუმბაძე)

მოგვიანებით გადამოწმება მოვინდომე... მზე... იტერნეტი... გუგული... ვიკიპედია... და აღმოჩნდა, რომ მთლად ზუსტად ვერ დამიმახსოვრებია! ნაცვლად 170-ისა, 170 ათასი ყოფილა... ეს ხომ შემადრწუნებელია... რა უმასშტაბობაა... უსასრულობა... რა უსაზღვრო მოთმინებაა... მაშინ გამოდის, რომ... როდინდელი სხივები ეფინება ახლა სამყაროს?...

შემდეგ სახელში ის ჟურნალიც მოვიკითხე, მეუღლემ ჩემი ბიჭების, ზვიადისა და აკაკის მიერ მეღნითა და ფლომასტერებით ატრელებული და ალაგ-ალაგ ფურცლებმოხეული ჟურნალი მომიძებნა... ასეა, აქაც 170 ათასი წელი წერია... მეწყინა... ესე იგი აკაკისთან ერთად დაბადებული სხივები ჩვენამდე 170 ათასს გამოვაკლოთ 175 წლის შემდეგ მოაღწევნენ?... ესე იგი ათასჯერ მეტი დრო ყოფილა?! ადარც ვაპირებ წერილის გაგრძელებას!...

არადა დასანანი, მიუხედავად იმისა, რომ ახლად გაგებული საინტერესო ინფორმაცია უკვე ჩავლილ ამბავთან დავაკავშირე, მაინც უზომო სიხარული განვიცადე!...

თუმცა კარგი, დროებით მოვეშვათ ფიზიკასა და ქიმიას, აკაკის სხივები ხომ უკვე კარგა ხანია გვინათებენ, აკაკის სული ანათებს საქართველოს!...

და მაინც, რატომ?! აქ რაა დასადონებელი? - არ ვყრი ფარ-ხმალს!.. სად გავლილი და სად მომავალი ამბავი? მომავალი სასიხარულო ამბის მოლოდინი უფრო მეტი ბედნიერებაა, თუ ვერშემჩნეული უკვე გავლილი სიხარული? პირიქით, ასე უკეთესიცაა! ვიმხნევებ თავს...(მაგრამ მაინც, ის წაკითხული ათასჯერ ზუსტად რომ დამემახსოვრებინა, ხომ აცდებოდი ამ ფიზიკასა და მეტაფიზიკას?... ისევე გაისმის წყრომის ხმა.)

კეთილი, მაგრამ ეს როდის იქნება? 170 ათასს გამოვაკლოთ 175 წლის შემდეგ? ჰმ, ზოგიერთს იქნებ მართლაც სურდეს აკაკის სათანადო დაფასებამ სწორედ ამ უშორეს პერსპექტივაში გადაიწიოს. აკი მას არც თავის თანამედროვეთაგან და არც ახლა აკლია არაკეთილმოსურნეები?! რაღაც ზღაპარს ხომ არა ჰგავს ეს ამბავი, რეალურია?... ეს ამბავი ნამდვილად ჩვენ გვეხება?... რათქმაუნდა, ჩვენ გვეხება, მერე რა... თუ ჩვენ არა, მომავალი შორეული თაობები ხომ დახვდებიან იმ სხივებს?! ჩვენც ხომ ასე გვირჩევნია, ყველაფერი საუკეთესო მათთვის არ გვინდა?... რას გაიხარებენ?... გაბრწყინებული ივერიაა იმ სხივების მიმღები!... თუმცა ნამდვილად მიჭირს ამ ამბის მშვიდად აღქმა, შემადრწუნებელია ამხელა დროის მარტო გონებით გააზრებაც კი! მაგრამ მე მწამს უკვდავების!...

უკვდავებასთან ათასწლეულებიც არაფერია!

ათასი!... ათასი... ათასი... ახლა ეს რიცხვი ამეკვიტა!

და სწორედაც, რომ ათასჯერ მეტი სიზუსტე მმართებს! ათასჯერ მეტი სიზუსტე გემართებს!!!

და აკაკისაც ათასჯერ მეტად უნდა ვიცნობდეთ და ვაფასებდეთ!

ღიას, თუ გვსურს, რომ კარგად გავერკვეთ ჩვენს დღევანდელობასა თუ ჩვენს მომავალში, ჩვენც ათასჯერ მეტად გვმართებს აკაკის ღვაწლის დაფასება, მისი სახელის მოფრთხილება. რამეთუ „აკაკი ქართველობის იდუმალი თანამეტყველი სახეა, ქართლის მომავალი ბედი ამ სახის გამოცნობაშიც სდევს (გ. რობაქიძე).

ესე იგი, აკაკის გაცნობით ჩვენს თავს შევიცნობთ, ჩვენს ბედს ვჭედავთ, ჩვენს მომავალს ვაშენებთ...

და დღეს ძნელად გამოსაცნობი და გასაგები ჩვენ არაფერი გვაქვს!!!

წელს საქართველოს წინ ორი ძვირფასი თარიღი უძევს: აკაკი წერეთლის დაბადებიდან 175 და გარდაცვალებიდან 100 წელი!

21.03.2015წ.

სერგი ლომაძე



ელგუჯა ნოზაძე _ 75

წელს რამდენიმე დიდი იუბილე ერთად გადაიხადა ქართულმა კულტურულმა სამყარომ – რევაზ მიშველაძეს, ნუგზარ ნადარაიასა და მამუკალა გონაშვილს ერთმანეთის მიყოლებით მოვუწყვეთ ფერადი ზეიმები. სწორედ ამ რკალში უნდა განვიხილოთ ცნობილი ბიზნესმენისა და მეცენატის – ელგუჯა ნოზაძის სამოცდათხუთმეტი წლის იუბილეს, საჯარო ბიბლიოთეკის ერთ-ერთ დარბაზში, რომლის ინიციატორი ჩვენი აკადემია გახლდათ, რაღა თქმა უნდა აკადემიის პრეზიდენტის – გულნაზ ხარაიშვილის მეთაურობით, რომელიც თვითვე უძღვებოდა ამ ზეიმს. (სხვათა შორის, ქალბატონი გულნაზის იუბილეს არის დაგეგმილი მაისის თვეში).



თბილისის 147-ე საჯარო სკოლის პედაგოგი ზეინაბ ბეჟაშვილი თავის სადამრიგებლო კლასთან

ღონისძიება კარგად იყო ორგანიზებული, ხოლო ამაში ხელი შეგვიწყო ეროვნული ფორუმის პარტიის რუსთავის განყოფილებამ. მოგეხსენებათ, ეს პარტია თბილისში ჩამოყალიბდა ორიათასიან წლებში. ამ პროცესების სათავეში იდგნენ ნამდვილი გმირის – ჟიული შარტავას შვილი – კახა შარტავა, და დიდებული მწერალი-ისტორიკოსის შვილი – გუბაზ სანიკიძე. სწორედ გუბაზისა და კახას ლიდერობით ჩამოყალიბდა პარტია, რომლის ერთ-



ერთი ყველაზე აქტიური ფრთა – მათი წარმოდგენილი იუბილეზე, როგორც უფროსი, ასევე საშუალო და სულ ახალგაზრდა თაობითაც კი. რუსთაველებმა ჩამოიტანეს შესანიშნავი დადგმაც, პატარა სპექტაკლი, რომლის ნახვამაც აღტაცებაში მოიყვანა იუბილარი.

წამყვანს ღონისძიებისას, – ქალბატონ გულნაზს, ასე ვთქვათ, „პრეზიდენტში“ გვერდს ვუმშვენებდით მე და დავით შუბითიძე – დეპუტატი იმერეთიდან. ჩვენს გვერდით იჯდა აკადემიკოსი კარლო ნადირაძეც. რაც შეეხება იუბილარს, რომელიც ცოტა მოშორე-

ბით დაბრძანებულიყო „პრეზიდენტში“, მას გვერდს უმშვენებდა ბატონი ჯუმბერ ხარაიშვილი და ნოდარ ხარაიშვილი.

ღონისძიებას ნამდვილი საზეიმო ელფერი შემატა მასში 147-ე საჯარო სკოლის ბავშვების მონაწილეობამ, მათმა მრავალფეროვანმა რეპერტუარმა – ცეკვა, სიმღერა, დეკლამაცია და სხვა.

სადამო უხვად იყო გაჯერებული პოეზიითა და სიტყვა-თქმანით. პოეზიაში, იმ დღეს, სწორედ ქალბატონი გულნაზი იყო უბადლო, ხოლო სიტყვათაგან ყველაზე უფრო დამამახსოვრდა ბატონი ჯუმბერის გამოსვლა, მან განიხილა და შეაფასა გზ-მოღვაწეობა დიდი მეცენატის – ელგუჯა ნოზაძისა, რომელიც აგრძელებს ლეგენდარული დავით სარაჯიშვილის და სხვათა და სხვათა გაკვაღულ ბილიკს.

მოგეხსენებათ, დავით სარაჯიშვილი იყო პირველი დამფინანსებელი, ხელისშემწყობი თავისი დროის ქართული კულტურისა, ხოლო ცოტა მოგვიანებით იმავე კულტურის პირველი საოპერო მომღერალი გახლდათ ბატონი დავითის მოგვარე, ასევე ლეგენდარული ვანო სარაჯიშვილი.

მაგრამ ეს წარსულია.

და წარსული თუ არ გაგრძელდა, ისე, რაღა თქმა უნდა, მომავალი არ იქნება.

და აი, დიდი დავით სარაჯიშვილის მასშტაბს მეცენატებმა, ისეთმა მილიონერებმა თუ მილიარდერებმა, როგორც იყო, ვთქვათ, ბადრი პატარკაციშვილი, და არის ვთქვათ ბიძინა ივანიშვილი...

აი სწორედაც რომ ასეთი მეცენატების რიცხვში განიხილება, დღეს, ელგუჯა ნოზაძეც, რომელიც აფინანსებს ქართველ ხელოვანებს, მეცნიერებს, რომელმაც, როგორც ამბობენ ხოლმე, ალაშენა და განამშვენა რამდენიმე ქართულ-მართლმადიდებლური ეკლესია და მთელი საქართველო ამაყობს დღეს სამამულო კულტურის ამ ქომაგით...

არ ვაპირებ იუბილის დეტალურ აღწერას, არ ჩაუუწვრილმანდები მოვლენებს, მაგრამ ის, რომ იმ სადამოს გამშვენებაში კახა ბაციკაძის სამი გამოსვლის როლი არ აღვნიშნო, ყოლად გაუმართლებელი და დაუშვებელია. ყველამ იცის, რომ კახა ჩემი საუკეთესო მეგობარია, მაგრამ მე მას ხშირად ვაქებ არა როგორც მეგობარს, არამედ, როგორც პირველ პოეტსა და პირველ მუსიკოსს, ხოლო არასოდეს მომწყინდება მისი დაუსრულებელი ქება, არასოდეს, რამეთუ იგი არის სუპერპროფესიონალი სუპერფენომენი თავისი საქმისა. ბაციკაძეების



გვარი ბოლო დროს ძალიან ანთო, ამ ადამიანის შემყურე, და ის, რომ, ვთქვათ, რუსთავის ფორმშიც, თუ მის ირგვლივ, ბაციკაძენი მძლავრად არიან წარმოდგენილი, ძალიან მახარებს. ეს უნიჭიერესი გვარი ნელ-ნელა სხვა ადგილებშიც გამოდის წინა პლანზე. მიხარია, რომ ლომადებებმა და ბაციკაძეებმა დაიწყეს თავიანთი დიდი სიტყვის თქმა...

მაგრამ დავუბრუნდეთ თვით იუბილეს, იუბილარს. ელგუჯა ნოზაძის ღვაწლი დაფასდა, ასე ვთქვათ, წარმოდგენა შედგა, გულნაზ ხარაიშვილის კიდევ ერთმა გაბედულმა ნაბიჯმა გაამართლა და იუბილე ჭეშმარიტ ზეიმად იქცა, დაგვირგვინდა რა იგი წმინდა ქალაქ, ღმერთის ქალაქ მცხეთაში, ერთ-ერთ რესტორანში – დიდი პურობით. სუფრას ჩვეულებრივ სახით უძღვებოდა ბატონი კარლო, რომელიც, მეცნიერების გარდა, თამადაობაშიაც აკადემიკოსი აღმოჩნდა.

მერე ის იყო, ქალბატონმა გულნაზიმ რომ იქვე, სუფრაზევე მოითხოვა ლექსის წაკითხვა კახასაგან.

და სუფრის წევრებმა მოისმინეს ბარხატოვანი სტრიქონები ცას ვარსკვლავად შენივთებული ფრინველის შესახებ.

მერე კი თვითონ ქალბატონი გულნაზი გამოვიდა საკუთარი ლექსით...

და, ნელ-ნელა, სუფრა პოეზიად გადაიქცა.

იცის, კარგად იცის ჩვენი ადაკამიის პრეზიდენტმა, რომ ქართული სუფრად აკადემიკოსი, დიას, მართლაც არის იგი თავისებური აკადემია, თუ სწორად წარმართავ, თუ ჯერონად უდირიჟორებ...

მაშ ასე: ბოლოს ყოველივე ზემოთქმულს შევაჯამებდი:

თუკი თბილისი საქართველოს და პოეზიის დედაქალაქია, მაშინ იგი ღმერთის ქალაქი ყოფილა;



თბილისის 147-ე საჯარო სკოლის მოსწავლეები დიდი მეცენატის, ბატონ ელგუჯა ნოზაძის საიუბილეო საღამოზე

ხოლო თუკი მცხეთა სვეტიცხოვლის, მცხეთისჯვრის, სამთავროს ქალაქია, მაშინ იგიც ასევე ყოფილა ღმერთის ქალაქი;

და აი, ორ ასეთ წმინდა ქალაქში, ერთ დღეს, ერთდროულად ვიზიემეთ დიდებული მამულიშვილის – ბატონ ელგუჯა ნოზაძის იუბილე...

თბილისი. 2015. მარტი.

სცუმრად ბატონ ელგუჯა ნოზაძესთან



ელგუჯა ნოზაძის ოჯახი

თებერვლის ერთ ჩვეულებრივ დღეს მუხრანში წავედით, თუმცა იქ სრულიად არაჩვეულებრივ სამყაროში მოვხვდით. ის სამყარო ადამიანის გრძნობა-გონების, ნებისყოფისა და გამოცდილების ურთიერთშერწყმას, ადამიანური შრომის ზეიმს შეექმნა. ეს იყო გარემო, სადაც სწორედამ რომ შრომის კულტი გახლდათ ყველაზე უფრო ზეაწეული, ფეტიშად-ქმნილი: ეს გახლდათ საქვეყნოდ ცნობილი ბიზნესმენისა და ქველმოქმედის – ბატონ ელგუჯა ნოზაძის თავისებური იმპერია, იმპერია შრომისა და მისი შედეგების.

მუქმწვანე „ოპელში“ ოთხნი ვისხედით: მე, ჩემი უერთგულესი და განუყრელი მეგობარი – პოეტი კახა ბაციკაძე, ჩვენი აკადემიის პირველი, უცვლელი პრეზიდენტი – ქალბატონი გულნაზ ხარაიშვილი და ბატონი დავით შუბითიძე – დეპუტატი იმერეთიდან. მოკლედ, რომ ვთქვათ, კარგი კრებული ვიყავით.

თბილისს სწრაფად გავცდით და მიუახლოვდით დაბა მუხრანს. გვინდოდა საკუთარი თვალთ გვენახა ის საკმაოდ ვრცელი იმპერია, რომელიც იქ ბატონმა ელგუჯამ, შექმნა, პირადად მე კი მსურდა გავლაპარაკებოდი ამ ადამიანს, უფრო ახლოს გამეცნო, პოეტირ-ფილოსოფიურად შემესწავლა პირვინება – მსოფლმხედველობა ერთ-ერთი ყველაზე უფრო აღიარებული ქართველი მილიონერისა და მეცენატის (იგი რამდენჯერმე ცნეს წლის საუკეთესო ბიზნესმენად, თანაც რეგულარულად ეწევა ქველმოქმედებას).



დავით შუბითიძე, ექვინა გაჩილაშვილი, ელგუჯა ნოზაძე, გულნაზ ხარაიშვილი და სერგი ლომაძე

ბატონმა ელგუჯამ საკუთარ კაბინეტში მიგვიღო. ესაა საშუალო აღნაგობის, სოლიდურ ასაკში მყოფი ადამიანი, საოცრად ცოცხალი და მეტყველი ლურჯ-ცისფერი თვალებით. ეტყობა, მართლაც ბევრი რამ აქვს ნანახ-გამოვლილი, ცხოვრების ჭაპანს შეჭიდულ ამ გაუტყეხელ კაცს. ჩვენ, ყველანი, პატარა მაგიდას შემოვუსხედით, და იგი ხალისიანად

ამეცა საკმაოდ რთულ, საკმაოდ ფილოსოფიურ საუბარში, რომელიც სხვადასხვა საკითხებს ეხებოდა.

– თქვენი აზრით, რაა მთავარი ადამიანის ცხოვრებაში? – ვეკითხები, – მაინც რისთვის ვცხოვრობთ, რატომ, რისთვის ცხოვრობს ადამიანი?

– მთავარი შრომაა, – მეუბნება იგი გულდინჯად, – ადამიანი ცხოვრობს იმისათვის, რომ იბრძოდეს, რომ იშრომოს. შრომის გარეშე არაფერი შექმნილა, დიდი კი არა, პატარა საქმეც არ გაკეთდება შრომის გარეშე, თუ ის მართლა საქმეა. ნამდვილი შრომაა, სწორედ, ერთ-ერთი უმთავრესი ღირებულება.

ლაპარაკის მანერაზე, აქცენტზე ეტყობა, რომ თბილისელი არაა, მაგრამ ჩანს, – მკვეთრია მისი განათლების დონე და საოცრად ფართო თვალსაწიერი აქვს გონებისა. მოკლედ, მე აღმოვჩნდი თავისებური ფილოსოფოსის წინაშე, რომელსაც მყარად აქვს ჩამოყალიბებული საკუთარი შეხედულებანი, პრინციპები, არსი მთელი ცხოვრებისა.

– მარტო შრომა? რას იტყვით ნიჭის შესახებ?

– ნიჭი და შრომა ერთობლივადაა ჰარმონიული, სრულყოფილი. ნიჭიერი კაცი ყოველთვის დაუზარელი და შრომისმოყვარეა იმ საქმეში, ნამდვილ საქმეში, რომელიც რჩეულია მისთვის, რომელიც მას გულით უყვარს.

მე შეძლებისდაგვარად ვიმახსოვრებდი მის პასუხებს, და ესვამდი ახალ კითხვებს.

– ბატონო ელგუჯა, რას იტყვით საკუთარი პერსონის შესახებ?

– ბევრს არაფერს. თვითრეკლამა არ მიყვარს, მხოლოდ საქმის კაცი ვარ. ისე, ერთი ეგ კია, აგერ, სამოცდათხუთმეტი წლის იუბილე მექნება მალე და, ესე იგი, ბევრი ვიცხოვრე, აქედან გამომდინარე – ბევრი ვნახე. ორი საუკუნე, ორი ეპოქა გამოვცადე, ათწლეულები გადავლახე. გამოვიარე საბჭოეთის დრო, მერე – ცეცხლოვანი, უმძიმესი ოთხმოცდაათიანები, და აი, ახალი საუკუნის ათწლეულებსაც მოვესწარი. ყველგან, ყველა დროში ვცდილობდი საკუთარი ადგილი მეპოვნა, რათა საკუთარი თავისთვისაც, ოჯახისთვისაც და სხვათათვისაც უაღრესად სასარგებლო ვყოფილიყავი. ეს არის და ეს.

– ბატონო ელგუჯა, თქვენისთანა გამოცდილი ადამიანისაგან მინდა გავიგო; ბოლოს და ბოლოს, რა სჭირს ჩვენს ქვეყანას? თითქმის ოცდახუთი წელია უკვე, რაც დამოუკიდებულნი ვართ, და საშველი მაინც არ დაგვადგა. ბოლო-ბოლო, ის მაინც თუა განსაზღვრული, სადაც ჩვენი ადგილი: ევროპასა თუ აზიაში?

– აი, თქვენ წელან ნიჭსა და შრომაზე მკითხეთ, – მეუბნება იგი ღიმილით, მერე კი, უცებ,, ღრმად ჩაფიქრდება და ისე განაგრძობს, – ჩვენს ქვეყანას ერთ-ერთი ყველაზე უფრო საშინელი ავადმყოფობა ჭირდა და ჭირს, - ესაა ნიჭის, შრომის დაუფასებლობა სწორედ. ხოლო როცა შრომა არ ფასდება, იგი აღარც უყვარს ხალხს. თუნდაც შრომის ნიჭის დაკარგვა, არქონა, ასევე – განათლების დეფიციტი, ზოგი სხვა ფაქტორიც, ო, ესენი ურტყამს, ძალიან, ხალხის ბედს, ვთქვათ – მის პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობას... რაც შეეხება ჩვენს ევროპელობას თუ აზიელობას: ევრაზია, ანუ – ორივე ეს კონტინენტი ერთად, – აი ჩვენი ზუსტი ადგილი. ევროპა უმთავრესია, მაგრამ ჩვენში ძალიან ბევრია აზიური ნაკადი, და ამის დაკარგვა არაფრით შეიძლება! „აზიატობა“ არა მგონია ხელწამოსაკრავი ტერმინი იყოს მაშინ, როცა ქართველი კაცი, დიდწილად, აზიის პირშია.

– რას ფიქრობთ, რომელი ორიენტაცია უნდა აირჩიოს ჩვენმა ქვეყანამ, რომელი კურსი: დასავლური თუ აღმოსავლური?

– უფრო, ალბათ, მაინც დასავლური, თუმცა აკი ყველას სჯობია, რომ ქართველთა სახელმწიფომ ქართული კურსი, ქართული ორიენტაცია, ქართული იდეოლოგია აირჩიოს და მიიყვანოს ეს სრულყოფილებამდე.

– გეთანხმებით, აქეთ-იქით ყურებას საკუთარ გულში ყურება სჯობია... ახლა ის მითხარით, რას ფიქრობთ ხელოვნების შესახებ და რამდენადაა აუცილებელი ხელოვნება იმ ადამიანთათვის, რომელნიც სრულიად სხვა საქმით არიან დაკავებულნი. საერთოდ, რას ფიქრობთ, მაინც, ევროპულ ხელოვნებაზე, და ქართულ ხელოვნებაზე? რას ფიქრობთ, ვთქვათ, რუსთაველისა და მისი პოემის შესახებ... და საერთოდ, ვინ მიგაჩნიათ უდიდეს პიროვნებად ყველა დროის საქართველოსა და მსოფლიოში?

– კარგ კითხვებს სვამთ, – მეუბნება ბატონი ელგუჯა, – თუმცა ეს არაა მარტივი კითხვები. ხელოვნების შესახებ ბევრი მიფიქრია, მიუხედავად იმისა, რომ სწორედ მე ვარ ის ადამიანი, რომელიც, ერთი შეხედვით, კარდინალურად სხვა სფეროში მუშაობს. თუმცა,

დამეთანხმებით ალბათ, რომ კარგად რასაც აკეთებ, ყველაფერი ხელოვნებაა, მათ შორის – კარგად ქმნილი ბიზნეს – საქმიანობაც. ასე რომ, რაღაც გაგებით მეც ხელოვანი ვარ. ისე კი, ჭეშმარიტ, დიდ ხელოვნებას, მეტ-ნაკლებად, ყველა უნდა ეზიაროს. აბა თქვენ თუ წარმოგიდგენიათ ნებისმიერი პროფესიის ქართველი კაცი, რომელსაც წარმოადგენა არა აქვს თქვენს მიერ წელან დასახელებულ „ვეფხისტყაოსანზე“?! არა, ეს აბსურდია! შოთას პოემა საქართველოსთან ასოცირდება. რა აზრისა ვარ ევროპულ კულტურაზე? მათ ხელოვნებაზე? ძალზე მაღალი აზრისა! თუმცა იგივე ჩვენი „ვეფხისტყაოსანი“ მოიცავს, საკუთარ თავში, როგორც ევროპულ, ასევე აზიურ კულტურას. ეს წმინდაწყლის ევრაზიული მოვლენაა, ნამდვილი მოვლენა, ღრმა და სრულყოფილი, იდეალური. რაც შეეხება იმას, თუ ვინ არის უდიდესი პიროვნება საკაცობრიო ისტორიაში, ახლა, უცებ, რთულია ამის ზუსტად თქმა. ჩვენში კი, ჩვენს საქართველოში, ასეთებია შოთა რუსთაველი და ილია ჭავჭავაძე. არჩევანს ხომ არ მიწუნებთ? (იცინის).

– არა, რას ბრძანებთ, პირიქით, – ჩემი არჩევანიც იგივეა. ახლა კი ბოლო კითხვა დამრჩა, და, ასე თუ ისე, თემა ამოვწურე (ამ ჯერზე მაინც). რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი, აი, ერთი ფრაზით რომ გადმოსცეთ.

– ადამიანთა შორის სიყვარული, საერთოდ – სიყვარული...

მიგხვდით, რომ ჩემი სახელდახელო ინტერვიუსთვის ეს იყო, სწორედ, გენიალური და სასრული. სიყვარული, მთელს სამყაროში –სიყვარული, უსასრულოდ განფენილი, როგორც ღმერთი, არის უმაღლესი ჭეშმარიტება, ჭეშმარიტება – ერთბაშად ასეთი შეცნობილიც და ასეთი შეუცნობელიც...

ჩემი და ბატონი ელგუჯას საუბარს დიდი გულისყურით უსმენდნენ კახა, დათ და ქალბატონი გულნაზი. ისინი ხანდახან საკუთარ აზრებსაც ურთავდნენ ხოლმე ამ ნახევრად-ფილოსოფიურ მასლაათს, რომელიც გასცდა სიმარტივის საზღვრებს, მაგრამ მაინც კი ვცდილობდით იმას, რომ ბოლომდე არ ჩაგვარგულიყავით სირთულის ზღვაში. პოეტური ფილოსოფია ნაწილობრივ იყო ჩვენს აზრთა თანამდევნი, მაგრამ არ ვიხედებოდით უფრო და უფრო ღრმად, სადღაც რეალობისა და ირეალობის ზღვარზე გავედით, ხოლო ზღვარი აღარ გადაგვიღახავს. პირველსავე გასაუბრებისას ეს არც იყო საჭირო...



ელგუჯა ნოზაძის ბიზნესი სიკეთის სათესადაა შექმნილი

ამის მერე ბატონი ელგუჯას მეურნეობა დავათვალიერეთ. ხუთეულს თან გამოგვყვა რამდენიმე იქაური თანამშრომელი, საინტერესო, მოკრძალებული, დასამახსოვრებელი ადამიანები.

ეს მეურნეობა რამდენიმე ათეულ ჰექტარ მიწაზეა გაშენებული. აქაა სხვადასხვაგვარი ბაღები, ვენახი, და პატარა ხელოვნური ტბა, რომელშიაც თურმე სხვადასხვა ჯიშის თევზი მოუშენებიათ. ვნახეთ იქაური, გან თქმული საფრინველეებიც, ვრცელი შენობებია, რომელშიაც ათასობით წიწილა და ქათამი ბინადრობს. როგორც ამბობენ, იქაური ფრინველის კვერცხი და ხორცი საუკეთესოა და უნიკალური...

ხოლო ყველაზე მეტად რამაც გამაკვირვა, ესაა ბატონი ელგუჯას მესვეურობით აშენებული ეკლესია, თავისი სამრეკლოთი, სატრაპეზოთი და, საერთოდ, ყველაფრით. რაღა თქმა უნდა, ეს პატარა ტაძარი უამბიციოა, არაა ისეთი გრანდიოზური, როგორებიც გახლავთ

მზისფერი სამება, გაფითრებული სვეტიცხოველი, თეთრი ალავერდი ან დავითის გელათი, არც სიძველე აქვს, არც ისე მთის წვერზე, არწივის ბუდედავით, როგორც გენიალურთა შორის მყოფი მცხეთისჯვარი, მაგრამ იქ, იმ ბიზნესურ-სამეურნეო გარემოში, ტაძარს – უმაღლეს სულიერებას არ ველოდი. დიახ, ეს ისეთი მოულოდნელი იყო!.. აქ ჩანს, სწორედ, ბატონი ელგუჯას პიროვნების კიდევ ერთი შტრიხი, – იგი იდეალისტი უფრო ყოფილა, ვიდრე მატერიალისტი ან, თუნდაც, დუალისტი. ამიტომა აფასებს ხელოვნებას, ამიტომაცაა ასეთი მრავალმხრივი პიროვნება, რომ ასე ახლოა სულიერებასთან. მერე გავიგე, რომ მას, თურმე, სულ სხვაგან სხვა ტაძარი აუშენებია. ტაძართმაშენებელი კაცი კი ისტორიულ ფიგურად უნდა განიხილებოდეს ყველგან და ყოველთვის.



კარგად დაგვეხსენებოდა ბატონი ელგუჯას ტაძრის მონახულება: თბილისში რომ დავბრუნდით, სულ მალე, შვიდ თებერვალს, მე და კახას პატივდების სიგელები გადმოგვეცა სამების მეფე-ტაძარში, და ამით კიდევ უფრო გამრავლდა ჩვენს მიღწევათა, აღიარებათა ვრცელი ჩამონათვალი (ეს სიგელი, უფრო ადრე, ქალბატონ გულნაზსაც გადასცეს. საერთოდ კი, აი, მას ხანდახან ვფიქრობ, რომ მე და კახას ღმერთი აშკარად გემფარველობს და ბევრ ცოდვას, ბევრ საჩოროთო საქმეს გეპატიობს. ბოლო თვეებში, მგალითად, რამდენიმე პიროვნება სასტიკად გავაკრიტიკეთ. ახლა ძალან ვნანობთ. არ უნდა გაგვეწყენინებინა ეს პიროვნებანი. კიდევ უფრო ადრე, მახსოვს რომ უნივერსიტეტში შემდგარი იკა ქადაგიძის წიგნის პრეზენტაციაზე სიტყვით გამოვედი და მისი წიგნი, „ძირს ომერტა“, მიწასთან გავასწორე. ეს გამოსვლა იმაზე მეტად განხმაურდა, ვიდრე ჩემივე სტატია ამ წიგნის შესახებ. არ ველოდი ამგვარ ხმაურს. მთელი შემდგომი დღეები მოლოცვებს ვიღებდი გარკვეული პირებისაგან, – ეს რა მაგარი გამოსვლა გქონდაო! მე კი, მართალი გითხრათ, არ მიხაროდა მათი სიტყვები. იკას თავისი ცოდვებიც ეყოფა, და ასე მძიმედ არ უნდა გამემტებინა. ხოლო უფრო ადრე მასზე არანაკლები ლიტერატორებიც გამიმტებია, და დღეს ამას, ყველაფერს, ვნანობ. საერთოდ, მე ბევრი ადამიანისთვის მიტკენია გული. ყველას, ყველას ვთხოვ პატიებას. ეტყობა, უფალი ხედავს, რომ საკმაოდ გულწრფელია ჩემი სინანული, მძიმეა ჯვარი მომნანიებლისა და ეს ასეც უნდა იყოს. იქნებ არ მომწონს ჩემი პიროვნება, მაგრამ ვცდილობ მაინც, რომ უკეთესი ვიყო, არც კი ვიცი, რა გამოდის ამ მცდელობიდან: უამრავი სხვადასხვა ცოდვა მამძიმებს, მაგრამ ტაძარში შუქი არის ამ ყოველივეს უებარი წამალი.

იქ, ბატონი ელგუჯას თაოსნობით აშენებულ ტაძარში ყველამ ვილოცეთ (ქალბატონ გულნაზს ახასიატებს განსაკუთრებული ღვთისნიერება, ღოცვა, და, სხვათა შორის, დაკვირვებული ვარ, რომ მართლაც აქვს ძალა მის ღოცვა-დალოცვას)...

აქ ვასრულებ თხრობას სტუმრებისა და დიდებული მასპინძლის შესახებ.

მე, ერთი სტატიის ფარგლებში, როგორც შემქმნელი ისე დავხატე ელგუჯა ნოზაძის – ამ შთამბეჭდავი ბიზნეს – ბატონისა და მეცენატის ლიტერატურული პორტრეტი, სიტყვიერი პორტრეტი. როგორც შევძელი, ისე გადმოვეცი მისი მსოფლმხედველობა, საერთოდ – მისი პიროვნება. დიახ, ასე ჩანს, ჩემი მზერიდან, ერთი ტაძართმაშენებელი ადამიანი...

თბილისი 2015წ. თებერვალი

ქალბატონ მაცვალა გონაშვილის ცრიუმტი

ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე უფრო ლამაზი საღამო-იუბილე, მე ვიტყვოდი, საღამო-სიზმარი: ყვაველებში ჩაფლული პოეტი ქალი და აპლოდისმენტებით მრავალჯერ აფეთქებული



მაცვალა გონაშვილი და

დარბაზი... მწერალთა სახლი... გაზაფხულის დასაწყისი (ორი მარტი)...

ეს გახლდათ წლის ერთ-ერთი უმთავრესი კულტურული მოვლენა, ბატონ რეზო მიშველაძისა და ბატონ ნუგზარ ნადარაიას იუბილეებთან ერთად, და მე მიხარია, რომ თვითონვე აღმოვჩნდი წამყვანი და ერთი ორგანიზატორთაგანი პოეტი მაცვალა გონაშვილის იუბილისა. თანაწამყვანი და ასევე თანაორგანიზატორი იყო კახა ბაციკაძე, ხოლო მთავარი რეჟისორ-ორგანიზატორი ამ ყველაფერისა, რაღა თქმა უნდა, ჩვენი უძვირფასესი გულნაზ ხარაიშვილი გახლდათ, ლამის ყველას დედად და ყველაფრის ხელმძღვანელორგანიზატორად რომ გადაქცეულა

თანამედროვე ქართულ კულტურაში...

მაინც ვინ არის ქართული პოეზიის მეფე? დედოფალი?

მეფე, (ჩემი აზრით), რუსთაველია.

დედოფლობას კი, ანა კალანდაძესთან ერთად, რამდენიმე სხვა პოეტსაც (პოეტი ქალი) იმშვენებს, ხოლო მათ შორის არის ქალბატონი მაცვალა გონაშვილიც, თავისი ტკბილ-მწარე ცხოვრებით, ძალზედ წარმატებული კარიერითა და ხელოვნებით, შედეგოვრთქმადობით. საბოლოო ჯამში იგი ბედნიერ პიროვნებად აღიქმება (თუკი, საერთოდ, შეიძლება ლაპარაკი პოეტის ბედნიერებაზე). სხვათა შორის, იგი პირველი და დღემდე ერთადერთი ქალია, რომელმაც მწერალთა კავშირის თავჯდომარე გახლავთ. მაგრამ ეს არაა მთავარი: მთავარი, რაღა თქმა უნდა, მისი დიდებული პოეზიაა. როგორც მითხრეს, ქალბატონი მაცვალა პირველ ან ორ მარტს იხდის დაადების დღეს. დარწმუნებული ვარ, რომ წლევეანდელი ორი მარტი მისი ცხოვრების უბედნიერესი დღე იყო.

„სცენაზე“, მაგიდასთან, ერთად ისხდნენ, გვერდიგვერდ, ბატონი რეზო, ქალბატონი მაცვალა და ბატონი ჯანსუღ ჩარკვიანი იქვე იყო ბატონი ენრიკო (რომელმაც ჯანსუღთან ერთად შესრულებული სიმღერით მოხიბლა ხალხი. გაცელები იყო მსმენელი, – ჯანსუღი, აღიარებული პოეტი, მომღერალიც როგორი ყოფილაო. არადა, ირაკლი და მამუკა ჩარკვიანების შემდეგ ამ გვარის წარმომადგენლის სიმღერა როგორ უნდა გაუკვირდეს ვინმეს... ეგ კი არა, ვთქვათ, კანდიდად და გელა ჩარკვიანებსაც კარგი მუსიკალური მონაცემები ჰქონიათ), ასევე მათთან იყო ცეკვის ხელოვნების ერთ-ერთი მეფე (ილიკო სუხიშვილთან და ფრიდონ სულაბერიძესთან ერთად) – ომარ მხეიძე.

დამამახსოვრდა სახეგაცისკროვნებული ქალბატონი მაცვალას სიტყვები: სამი რაინდის გარემოცვაში ვარ, ახლა, მე, და



რეზო აღამია, ქეთი ნათელაძე, გულნაზ ხარაიშვილი, გვანცა ხარაიშვილი

რალა მიჭირსო, – რეზო პროზის რაინდად არის აღიარებულიო, ჯანსუდი – პოეზიის რაინდადო, ხოლო ჩვენი ომარი ხომ ქართულ-ეროვნული ცეკვის რაინდიო!

შემოვიდა თუ არა „სარკეებიან დარბაზში“ იუბილარი, დამსწრენი ყვავილებითა და აპლოდისმენტებით მიეგებნენ მას. ბევრი ხალხი იყო მოსული, სახალხო ზეიმის მსგავსი სახე მიიღო ამ ყელაფერმა. დამსწრეთაგან ბევრი იყო ცობილი ადამიანიც, ამიტომ მათ ჩამოთვლას აღარ დავიწყებ, ვინმე რომ არ გამომგრჩეს. აი, თვითონ ღონისძიების მონაწილეებად კი მოამვალი თაობა შევარჩიეთ: ქეთი ნათელაძე, გვანცა ხარაიშვილი, ნიკა ქვრივიშვილი და პატარა ტატო ხარატიშვილი, რომელთაც ქალბატონი მაყვალას ქმნილებები წაიკითხეს. პროგრამაში ჩავრთეთ 147-ე საშუალო სკოლის ბავშვებიც მათ შემოგვთავაზეს როგორც ღექსები ცნობილი პოეტისა, ასევე ჩვენი ეროვნული ცეკვა-სიმღერები (ომარ მხეიძე განსაკუთრებით მოხიბლა ბავშვების ცეკვამ, რომელთაც რთულ პირობებში, არასაცეკვაო, პიტერატურულ გარემო-სცენაზე, ცეკვისათვის შეზღუდულ სივრცეში, მაინც ბოლომდე და ბრწყინვალედ შეასრულეს თავიანთი ნომრები).



მაყვალა გონაშვილი და ჯანსუდ ჩარკვიანი

„სცენაზე“, რეზოს, მაყვალას, ჯანსუდის გვერდით ვიყავით მე და კახაც, და წარვმართავდით ზეიმის მსვლელობას. კახამ უპირატესობა მე დამითმო, ხოლო ჩვენი აკადემიის პრეზიდენტი – გულნაზ ხარაიშვილი, ერთი ჩვეულებრივი მსმენელივით იჯდა დარბაზში და მხოლოდ რამდენჯერმე ჩაერია დიდებულად ორგანიზებული სადამო-ზეიმის მსვლელობაში. კიდევ ერთხელ კეთილად გაოგნებული დავრჩი მისი თავმდაბლობით. რალა თქმა უნდა, კახას იმდღევანდელი თავმდაბლობაც არის დასანახი და დასაფასებელი.

მუსიკალურ გამფორმებლებად სპეციალურად მოვიწვიეთ ოცდახუთწლოვანი ისტორიის მქონე ანსამბლი „ლომისი“ (მისი პირველი ხელმძღვანელი ნუგზარ ფსუტური იყო, ახლა – შალვა ილურიძეა), მარინა კოლხიდაშვილი და პატარა ანი დოლიძე. სამივემ შესანიშნავად გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას. „ლომისი“ სულაც სამი ნომრით წარსდგა მსმენელთა წინაშე, პირველი ამათგანი იყო ყველაზე ეფექტური, – ქალბატონი გულნაზის ტექსტზე აღმოცენებული სიმღერა „ლომისისა“, რომელიც პირადად მაყვალა გონაშვილს ეძღვნებოდა. მოგეხსენებათ, დღეს მწერალთა კავშირში „ექვსეულის“ მმართველობა სუფევს, ხოლო ამ ექვსიდან სამეული (თავისებური ტრიუმფირატი) გამოირჩევა მაინც თავისი გაგლენით – რეზო, მაყვალა, ჯანსუდი. ისე მოხდა, რომ ყოველმა მათგანმა დააგვირგვინა

იუბილე თავისი გამოსვლით. ჩემგან, როგორც ძირითადი წამყვანისაგან (თუმცა გულნაზიმ და კახამ, სინამდვილეში, გაცილებით მეტი გააკეთეს საღამოს წარმატებისათვის, მათი წვლილი განუზომელია, ჩემს წვლილზე ბევრად მეტი), საბოლოო სიტყვა ბატონ რეზო მიშველაძეს ერგო, რომელმაც, თავისი ორატორული ხელოვნებით, ხოტბა შეასხა, ქებათა-ქება უძღვნა პოეტ ქალს, ასევე სხვანიც შეაქო, და ჩვენც სამივე ორგანიზატორს (აკადემიის თავისებურ ტრიუმვირატს) გვითხრა არაერთი ტკბილი სიტყვა. ჩვენ ქალბატონმა მაყვალამაც გამოგვარჩია, განსაკუთრებით კი იგი მადლიერი იყო ქალბატონი გულნაზისა.

სულ ბოლოს (რევაზ მიშველაძის სიტყვის მერე) „ლომისის“ მრავალჟამიერი აგუგუნ-და, წმინდა ლომისის მადლივით, და ასე დასრულდა ეს გრანდ-ლონისიძეობა.

მოდით, ასეთი კითხვა დავსვათ: მაინც რომელი ქართული იუბილეა ყველაზე ლამაზი?

აღბათ ეს იყო აკაკის იუბილეთა ჯაჭვი ათას ცხრაას რვაში. ისტორიას შემორჩა გრანდიოზულ, სუპერგრანდიოზულ ზეიმთა რიგი, რომლის ცენტრად თბილისი და ქუთაისი იქცა. ის მოვლენა, მაშინ, გასცდა საქართველოს საზღვრებს, ხოლო აკაკის უწოდეს „უგვირგვინო მეფეც“, „სულიერი მეფეც“ და, უბრალოდ, „მეფეც“. ზუსტად ვერ გეტყვით, რამდენჯერ მომხდარა ჩვენს ქვეყანაში პოეზიის მეფის ანუ – უდიადესი პიროვნების დასახელება, მაგრამ „განდევილის“ ავტორის – წმინდა ილიას სიკვდილის შემდეგ რომ ეს წოდება ერთსულოვნად მიაკუთვნეს, თავისივე იუბილეს დღეებში, „თორნიკე ერისთავისა“ და „გამზრდელის“ ავტორს) წმინდა აკაკის, ეგ კი ცნობილია. (ცოტა მოგვიანებით აღიარეს გენი-ალური ვაჟა-ფშაველა).



თბილისის 147-ე საჯარო სკოლის მოსწავლეები

ხოდა აი, სწორედ იმ ყველა დროის იუბილის – აკაკის იუბილის თეთრი ჩრდილი მოვიდა, თითქოს, ამა წლის ორ მარტს, მწერალთა სახლში. რაღა თქმა უნდა, აკაკის დღეებს არა და არ ვუტოლებ ბოლოდროინდელ მოვლენებს, თუნდაც – ორი მარტის ზეიმს, მაგრამ სულისკვეთება კი თითქოს იგივე იყო: აღტაცებული ხალხი პატივს მიაგებდა თავის რჩეულ პოეტს (ამ შემთხვევაში – პოეტ ქალს) ქალბატონ მაყვალა გონაშვილს, რომელმაც თავისი შრომითა და მოღვაწეობით მართლაც დაიმსახურა საყოველთაო აღიარება...

თბილისი. 2015 წელი. გაზაფხული.

P.S. ქალბატონ მაყვალას იუბილის (რომელსაც დაემთხვა ადრე გამოცემული მისი „ასი ლექსის“ პრეზენტაცია) დასაწყისში უჩვეულოდ დელავდა გულნაზ ხარაიშვილი, – აკადემიის პრეზიდენტს ძალიან სურდა, რომ ყველაფერი მაღალ დონეზე ჩატარებულიყო. მე კი შედარებით მშვიდად ვიყავი და მასაც ვამშვიდებდი. რატომ ვდელავდი ნაკლებად? იმიტომ, რომ ორი მარტი დიდებული ფილოსოფოსის – ამირან ლომაძის იუბილედ არის, – მამაჩემიც სწორედ გაზაფხულის დასაწყისში დაიბადა, გასული საუკუნის ოციან წლებში, ხოლო გარდაიცვალა დაახლოებით ერთი წლის წინ, და მე ვგრძნობდი, რომ ორ მარტს ზეციდან დაგვეურებდა მისი სული და გვლოცავდა, ამიტომაც დარწმუნებული ვიყავი: ყველაფერი კარგად ჩაივლიდა. ასედაც მოხდა: შედგა, აღბათ, საუკეთესო ზეიმი-იუბილე მათ შორის, რომელნიც კი, ჩვენს ქვეყანაში, პოეტ ქალთათვის აღუნიშნიათ, – აი, სწორედ ასეთი აღმოჩნდა ქალბატონი მაყვალას დღეობა.

ქაღბაცონ მიმოზა ცანავას ერთი ლექსის შესახებ

მიმოზა ცანავა იმ „შუალედური თაობის“ პოეტია (გასული საუკუნის მეორე ნახევრი-სა) რომელმაც თაობამაც დაასრულა მეოცე საუკუნე და მომავლის ხელოვანებს შეუმზადა ნოყიერი ნიადაგი ახალი დროის დასაწყებად.

ხოლო როცა ოცდამეერთე საუკუნე მოვიდა ქალბატონმა მიმოზამ კალამი კი არ და-ლო, პირიქით, – ერთმანეთზე უკეთესი წიგნები დაწერა და ერთ-ერთი საუკეთესო პოეტი ქალის (პოეტესის) სახელი მოიხვეჭა.

მის ირგვლივ ყოველთვის იყო პოეზია. მაგალითად მეუღლედ დიდებული ხელოვანი ჰყავდა. პოეტია მისი უახლესი მეგობარიც – ნუნუკა გურალიაც, – უამრავი შესანიშნავი სტრიქონის ავტორი.

ვიტყვოდი ასე შუალედური თაობის ქართველ პოეტ ქალთა ყველაზე უფრო დამახასია-თებელი სახე-ხატია დღესაც მოქმედი, აქტიურად მოქმედი ხუთეული – მაყვალა გონაშვი-ლი – გულნაზ ხარაიშვილი – მანანა დანგაძე – მიმოზა ცანავა – ნუნუკა გურალია. ამათ-გან მხოლოდ ნუნუკაა, რომელიც, სამწუხაროდ, ძველებურად აქტიური ვეღარ არის, მაგ-რამ დარწმუნებული ვარ, რომ იგი მალე გამოჯანმრთელდება და ისევ ადრინდელი შემარ-თებით დაუბრუნდება პოეზიას. ნუნუკა და მიმოზა ხომ განუყრელი მეგობრებია, კოლხე-თის დიდებული წარმომადგენელი, და როგორც ერთის, ისე მეორის გარეშე არ წარმო-მიდგენია თანამედროვე პოეტური ხელოვნება.

მსურდა სტატია შემექმნა ქალბატონ მიმოზას წიგნების შესახებ, მაგრამ ასეთ დიდ სირთულეს გავექვეცი და გადავწყვიტე, რომ ოსტატის (ოსტატი ქალის) მხოლოდ ერთი ლექსი განვიხილო-გავაანალიზო კრიტიკოსის, თვალით, და ამ სახით ვაზიარო ჭეშმარიტი პოეზიის ხიბლს მკითხველი. რატომღაც შევარჩიე ქალბატონი მიმოზას (თვითონ სახელიც კი როგორი პოეტური აქვს!) ერთ-ერთი ყველაზე უფრო სევდიანი ოთხკუპლეტა, რომლის საწყისი სტროფები ასეთია:

„ადარ გახარებს ახალი წელი,
რადგან სიკვდილის მირაჟი გაკრთობს,
საწუთრო გაპარავს წამებს და წუთებს,
სასუფეველში მიდიხარ მარტო.
თუ ცვალებადი არის სამყარო,
იქნებ სიკვდილიც შეცვალოს რამემ,
თუ მწუხარებას სიხარული ცვლის,
და დილას – ისევ უკუნი დამე;

ამ ერთი შეხედვით უბრალო სტრიქონებში საკაცობრიო სევდა მოუქცევია პოეტს, სიკვდილ-სიოცხლის მარადი პრობლემა ჩაუტეგვია. ეს იგი პრობლემაა, რომლითაც დაიწყო დიდი პოეტური აზროვნება ევრაზიაში და მსოფლიოში საერთოდ, ხოლო თემა, ესე, „გილ-გამეშიანის“ უცნობმა ავტორმა გახსნა უხსოვარ დროს, ჯერაც ზუსტად ვერდადგენილ დროს.

„სიკვდილის მირაჟი გაკრთობს“ – წერს ქალბატონი მიმოზა და თავისდაუნებურად ქმნის საოცარ პოეტურ სახეს ესაა მაღალი მეტაფორა-სახისმეტყვება, რომელიც აძლიერებს პოეტური გრძნობის ხაზს, ხოლო საწუთროს მუხანათობა და სასუფეველში მარტოდ-მარტო მიმავალი ადამიანის აჩრდილი შლის სივრცეს დიდი, ფერადი მელანქოლიისას, პო-ეტური მელანქოლიის. ესაა ესთეტიკა მარადიულ სევდის. მაგრამ აქვეა შუქიც იმედისა, რამეთუ ცათა სასუფეველი კეთილ ადამიანთა საბოლოო ხვედრია. იქ ბოროტების ადგილი არაა. იქ, იმ ზეციურ საქართველოში, ნათელი სულნი არიან მხოლოდ.

მეორე კუპლეტიდან ლექსში ადგილს იჭერს პოეტური ფილოსოფია, რომელიც, რო-გორც მერე ვნახავთ, შემდეგ სტროფებში უფრო და უფრო მატულობს. ბევრჯერ მითქვამს, რომ რაც კარგია, მშვენიერია, ყველაფერი პოეტურია, რამეთუ მშვენიერება პოეტურობა, ამიტომაც, პოეტურ ფილოსოფიას იმის შესახებ, რომ სიკვდილი არაა სასრული, საბოლოო წერტილი, და რომ სიკვდილ-სიოცხლეს სხვადასხვა, მრავალფეროვანი სახით მხოლოდ მონაცვლეობენ (აღბათ, ერთგვარიცაა და მრავალგვარიც მათი სახეები), დიდი ძალმოსი-ლება გააჩნია. ლექსი უფრო და უფრო საინტერესო, მიმზიდველი ხდება იგი მიისწრაფვის

იმ საზის, იმ ზღვარის გადაკვეთისაკენ, რომლის მერეც ამბობენ დიდ შეფასებით სიტყვას – „შედევრი“. ხოლო მარადცვალებადობის ფერიულ იდეას მოკლედ ასე გადმოსცემს ჩვენი პოეტი:

„ზამთრის სიცივეს – იის სურნელი,
ყვავილთა თოვას – ზაფხული ცხელი...
იქნებ უსაზღვრო საიდუმლოა
ამოუსხნელი ცხოვრება ჭრელი...
იქნებ სამოთხის ნაყოფის გემო
უფაღს არა სურს ცოდვილთ იცოდნენ;
იქნებ სიკვდილი მართლა შეცვალოს
მარადიულმა, ტკბილმა სიცოცხლემ!..“

ია და იასამანი ყველაზე მეტად მიყვარს. ვარდი თუ ყვავილთა დედოფალია (ზოგჯერ მას ყვავილთა მეფესაც კი უწოდებენ), ია არის წმინდა ყვავილი, ანთუ: ყვავილი-წმინდანი. და აი, ქალბატონ მიმოზას მის ლირიკულ ქმნილებაში წამიერად შემოჰყავს სახე იისა, სახე იესოსა და ღვთისმშობელ მარიამის ყვავილისა, სახე მარადიულ სილურჯისა, ანუ – სამუდამო პოეტურობის, ხოლო შემდეგ კი მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ყვავილთა თოვას, ანუ გაზაფხულს, ცხელი ზაფხული ცვლის. უღამაზესი ვრცელი გაზაფხულის ასე მოკლედ, მაგრამ ზუსტად დახატვა – ყვავილთა თოვა.

აქვე ვიტყვოდი, რომ ჩემი პოეტური ჯგუფის – „ზღვარის“ სიმღერათაგან ბევრი მიყვარს, ორი კი, მაინც, განსაკუთრებით. ესენია – „თოლია“ და „ოცნება“. ორივეს ტექსტისა და მუსიკის შექმნაში დიდი ენერჯია ჩავდე პირადად მე. თოლია იღუპება ტალღებში, მაგრამ განა ეს მარადიული სიკვდილია? არა. მარადიული პოეტური სიხლოვეა მხოლოდ.

და აი, ქალბატონი მიმოზას ლექსშიაც მთელი ეს სამყაროსეული ცვალებადობანი საბოლოოდ მიდიან მარადიულ, ტკბილ სიცოცხლესთან, რომელიც თუ რაა, ზუსტად ვერ იტყვის ამას ადამიანის გონება, ვერ ჩასწვდება, რამეთუ შეუცნობელნი არიან ცოდნანი ზეციურნი, ცნობა – ცოდნანი ღვთაებრივნი.

პოეტი (ჭეშმარიტი პოეტი) მიმოზა ცანავა, თავისი გულის კარნახით, გუმანით, გასცდა კიდევ სიკვდილ-სიცოცხლის მხოლოდ მონაცველობითს იდეას და მივიდა მარადიულად მშვენიერი სიცოცხლის იდეამდე, ანუ – ოიეტურ უკვდავებამდე. აი, სწორედ ესაა სფერო იდეალიზმისა, ესაა გულისმიერი სიბრძნე, ესაა სევდაში სიხარული...

მეფე-ღმერთი, ღმერთკაცი იესო სიყვარულის სიბრძნეს ქადაგებდა.

ხოლო მეფე-ერუსთველი ამბოდა, რომ პოეზია სიბრძნის დარგია. აქ მხოლოდ გონების სიბრძნეზე კი არა, გულის სიბრძნეზეც არის ლაპარაკი. მეტიც, – ეს გრძნობიერი სიბრძნეს უფრო!

და ჩვენი მიმოზა, მგონია რომ, სწორედ გრძნობიერმა სიბრძნემ მიიყვანა პოეტური უკვდავების ზოგადსაკაცობრიო იდეამდე, რომელიც ასე ლამაზად ამოქარგა მან თავის მომცრო ქმნილებაში, ლირიკულ ქმნილებაში...

თბილისი. 2015წელი. თებერვალი.

დიდი იუბილე ჰროზის რაინდისა

ამ ბოლო დროს ხშირად მიწევს წერა რევას მიშველადის შესახებ, მაგრამ ეს კანონზომიერია, რადგანაც ბატონი რეზო, ასეთ სოლიდურ ასაკშიაც კი, მეტად აქტიური პერსონაა, ტრიალებს რა ქართული ლიტერატურის ცენტრში. აი, აგერ ახლახანს, მას გრანდიოზული იუბილე მოუწევს საჯარო ბიბლიოთეკის საუკეთესო დარბაზში. ეს ვრცელი დარბაზი ხომ მინითაა გადახურული (ზედა სართულზე) და მაღლა ახედვისას პირდაპირ ცას უმზერ, რაც ეფექტს ზრდის, ადამიანიც იზრდება უსასრულობის განცდით: ცა ხომ, (მთებთან ერთად), ყველაზე დიადი, უდიადესი რამაა, ზეცა ხომ პოეზიითაა სახსე!

საღამო-იუბილე ოთხ საათზე მეტხანს გაგრძელდა. საწყის საათებში დარბაზში საერთოდ ტევა არ იყო, თუმცა ინტერესი, ღონისძიებისადმი, მერეც არ განელებულა. ეს იუბილე, რომელიც იანვარშივე ჩატარდა (აღინიშნებოდა მწერლის სამოცდათხუთმეტი წლისთავი და მისი ოცდახუთმეულის გამოცემა), წლევანდელი წლის ერთ-ერთი მთავარ ლიტე-



პროზის რაინდი, რეზო მიშვეტაძე

რატურულ მოვლენად დარჩება. ეს მითუმეტეს დიდი მიღწევაა მაშინ, როცა წელიწადი გენიოსების – აკაკისა და ვაჟას წლად არის მიჩნეული (ზუსტად საუკუნის წინ გარდაიცვალნენ სამამულო და მსოფლიო ლიტერატურას ეს მზეგები).

საღამოს ინიციატორობა თავიანთ თავზე აიღეს აკადემიებმა, რომელნიც, ბოლო წლებში აღზევებულნი, თითქოს მთავარ ძალად იქნენ ჩვენი ხელოვნება-მეცნიერებისა. შვიდი სხვადასხვა აკადემია მესვეურობდა იუბილეს, ხოლო მერვე (მთავარი, ძირითადი) აკადემიიდანაც იყვნენ ცალკეული წარმომადგენელნი. შესანიშვნავმა შვიდეულმა იმ დღეს დაამტკიცა, რომ ეთანაბრებიან მერვეს და უმაღლესი რანგის ორგანიზაციებად მიიჩნევენ თავს. რაც შეეხება ბატონ ნუგზარ ნადარაიასა და ვაჟა ეგრი-სელს, ისინი, ორი სხვადასხვა აკადემია-ორგანიზაციის პრეზიდენტები, უმთავრესი ინიციატორები იყვნენ ამ გრანდიოზული, დამაგვირგვინებელი იუბილესი. ერთი ეგ კია, – ბატონმა ნუგზარმა და ვაჟა ეგრი-სელმა ჯენტლმენურად დაუთმეს საღამოს წამყვანობა ქალბატონ გულნაზის, და ამით თავისიანი დიდბუნებოვანობას კიდევ ერთხელ გაუსვეს ხაზი.

ღონისძიებაში მრავალი ადამიანი მონაწილეობდა, რომელთა სრული ჩამოთვლა ძნელია. დიდი მწერლის, ნოველის დიდოსტატის პატივსაცემად, თავისთავად ცხადია, მრავალფეროვნება აირჩიეს, და საღამოც ასე დაგეგმეს. აქ იყვნენ სიტყვით გამომსვლელები, მომღერლები, მოცეკვავენი. მაგალითად – მომღერალთაგან, თბილისში, სპეციალურად ამ დღისთვის, მთელი შემადგენლობით ჩამოვიდა საკმაოდ ვრცელი ფოლკ-ანსამბლი „ლომისი“, ოცდახუთწლიანი ისტორიისა, რომელსაც ადრე – ნუგზარ ფსუტური, ახლა კი – შალვა ილურიძე ხელმძღვანელობს. რაღა თქმა უნდა, იყვნენ სხვა მომღერალ-შემსრულებელნიც, ხოლო ყოველივე ამას ცეკვის ოსტატებიც ემატებოდნენ. ასე რომ, ეს სრულიადაც არ გახლდათ მხოლოდ ლიტერატურული ხასიათის იუბილე, პირიქით, – ერთი სამეჯლისო მოცეკვავეც კი წარსდგა მაყურებელთა წინაშე, და თუმცა ეს სრულიად განსხვავებული ჟანრია, იმ გოგონამ მაინც დიდი მოწონება დაიმსახურა.

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ლაგოდების ფოლკლორის წრის წევრებმა: ხელმძღვანელი თენგიზ გოგოლაძე.

რაც შეეხება ღონისძიების მეცნიერულ მხარეს, ეს სივრცე შეავსეს ისეთმა პროფესორებმა, პროფესიონალებმა, როგორებიც არიან ტიტე მოსია, ლუარა სორდია და სხვები. ხოლო ხელოვნების მხარეს პოეტები და მწერლები ამაგრებდნენ, რომელნიც მეტად ვრცლად იყვნენ წარმოდგენილნი, ამიტომაც მათს სრულ ჩამოთვლას ამითაც არ დავიწყებ, უბრალოდ რამოდენიმე მათგანი კი მაინც მინდა გამოვარჩიო: აკადემია ქალდეას სახე და სიმბოლო ვაჟა ეგრი-სელი თავისი ცნობილი ლექსით – „შავლეგოთი“ წარსდგა მსმენელის წინაშე, და აპლოდისმენტებიც აართვა დარბაზს; მას არც თანამედროვე კახეთის კოლორიტი – დავით (დათო) ტიგინაშვილი ჩამორჩა პოეტურ ცეცხლის დანთებაში; ამათ კოლხი ქალბატონი – მიმოზა ცანავა შეემატა თავი-



რეზო მიშვეტაძე და ზურაბ ტომთათიძე აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი

სი ლექსით... მოკლედ, ფრთიანმა სიტყვამ დარბაზი სულ სხვანაირად გაანათა. ქალბატონმა გულნაზიმ ახალგაზრდებსაც დაუთმო ასპარეზი და აი, ბატონი რეზოს წინაშე პოეტი ქეთი ნათელაძე წარსდგა, მისთვის დამახასიათებელი შთამბეჭდავი გამოსვლით...

მე და კახას რაც შეგვეხება, გასულ წლებში აკადემიებმა ჩვენი შემოქმედებითი ჯგუფი „ზღვარი“ საუკეთესოდ აღიარეს პოეზიაში. (ლიტერატურაში, საერთოდ – ხელოვანებაში), და წელს თითქოს აღარ ვაპირებდით ზედმეტ აქტიურობას, მაგრამ უკვე იანვარშივე მოგვიწია რამოდენიმე გამოსვლა საღამოებზე, დიდ იუბილემშიც ორივემ მივიღეთ მონაწილეობა. მე პატარა სიტყვა ვთქვი, ხოლო კახამ ჩემი ლექსი წაიკითხა – „პოეტურ გრძნობის სივრცე“.



ზაალ ლომსიანიძე – ბიბლიის მეცნიერული კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი, გულნაზ ხარაიშვილი – ლექსავას სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტი, ნუგზარ ნადარაია – ფაზისის საერო, სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტი, თემურ გაბელიშვილი – ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, მაყვალა გონაშვილი – მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარე, ზურაბ ლომთათიძე – აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის

„მე ქართველი ვარ,
ეს იგი – მე ვარ პოეტი;
მე პოეტი ვარ,
ესე იგი – მე ვარ ქართველი“.

ეს ლექსი რამდენჯერმე წავიკითხეთ საღამოებზე და ყველგან, აღტაცებასთან ერთად, კამათიც გამოიწვია. – როგორ, პოეტობა მაინცდამაინც ქართველობას ნიშნავს? – მეკითხებოდა ზოგი, – რა, ვთქვათ, პოეტი გოეთე, დიდებული პოეტი, ქართველი იყო? ჩემი მშვიდი პასუხი კი ასეთი გახლდათ: დიახ, გარკვეული გაგებით, (პოეტური გაგებით), გოეთეც ქართველი იყო და თვით იესო ქრისტეც კი... ოღონდაც, ჩემს სიტყვებს კარგი გააზრება-ჩაწვდომა ესაჭიროება მეთქი.

რაც შეეხება იუბილეს, იქ ჩემს ლექსს, კახას მიერ წაკითხულს, მხოლოდ აღტაცებით შეხვდნენ. წინა რიგში მსხდომმა ლიტერატორმა – თამაზ ჩადუნელმა პირადადაც მოგვილოცა წარმატება...

არ შეიძლება ბატონი რეზოს იუბილეზე ვისაუბროთ და არ აღვნიშნოთ მისი ორი უერთგულესი თანმებრძოლი – ბატონი სოსო სიგუა და ქალბატონი მაყვალა გონაშვილი. რაღა თქმა უნდა, ამათ გარეშე იუბილეს არ ჩაუვლია, ასეც უნდა ყოფილიყო, რამეთუ ამ სამეუღლეს (რეზო-მაყვალა-სოსო) ამოშენებული თანამედროვე მწერალთა კავშირი, რომელიც, ადრე თუ გვიან, ალბათ ისევ მოიკრებს ძალებს, მითუმეტეს, თუ მასში ახალგაზრდების ინტენსიური თავმოყრა დაიწყება, თუ ამ, ერთ დროს ძღვევამოსილი ორგანიზაციით, ისევ მკვეთრად დაინტერესდება მთავარი ძალა – ახალგაზრდობა, მომავალი თაობები...

დიდი იუბილის სრულად, დეტალურად აღწერა შეუძლებელია. ვიტყვი კი იმას, შეჯამების სახით, რომ აკადემიებმა მართლაც შეუდარებელი საჩუქარი მიართვეს, ამ დღესასწა-

ულის სახით, პროზის რაინდს – რეზო მიშველაძეს, რომელიც თვითონვე გამოვიდა მეტად შთამბეჭდავი დამამთავრებელი სიტყვით, ხოლო სიტყვა დააბოლოვა დიდი ოთარ ჭილაძის – ამ განსაცვიფრებელი პოეტი-პროზაიკოსის გულშიამწვდომი სტრიქონებით...



ელიზბარ შათირიშვილი – იყალთოს აკადემიის პრეზიდენტი, ვაჟა ეგრისელი – აკადემია „ქალდეას“ პრეზიდენტი, ზაალ ლომსიანიძე – ბიბლიის მეცნიერული კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი, რეზო მიშველაძე – მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, ნუგზარ ნადარაია – ფაზისის საერო, სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტი, თემურ გაბელიშვილი – ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, მაცყალა გონაშვილი – მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარე, ვაჟა აზარაშვილი – კომპოზიტორი, გულნაზ ხარაიშვილი – ლეჟავას სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტი

სხვათა შორის, იმ დღეს დიდი ბიბლიოთეკის შენობაში ბევრ ადამიანს პირადად გავესაუბრე, მათ შორის – ირინა თურქიას, ნიკო ხერკელაძესა და გელა ლარიაშვილს, ლევან ბაბუხაიას, მარინა სხირტლაძეს, ნაირა მარშანიას, ლამპირა შეყილაძესა და სხვებს კიდევ, ყველა აღნიშნავდა, რომ დიდებული იუბილეაო, ოღონდაც... იყო ერთი მძიმე ამბავი, რომელმაც ლაქა დაატყო დღესასწაულს. არა, საერთოდ, ჩვენს ქვეყანაში მძიმე ამბებს რა დალევს, მაგრამ ერთი ისეთი იყო, სწორედ ლიტერატურა რომ სასტიკად დააზიანა, – იანვარშივე, ნათლისღება დღეს, დილით, გარდაიცვალა უპირველესი რელიგიური პოეტი ყველა დროისა – მეუფე თადეოზი (მირიან იორამაშვილი). ეს ლეგენდა-ადამიანი, ჩვენი აკადემიის დიდი მეგობარი, პოეტებს წმინდანებად აღიქვამდა, ასეც უწოდებდა მათ, ამიტომაც, როგორც თავიდან ბოლომდე სასულიერო პირი, მკვეთრი რელიგიოზი, თავს მაინცდამაინც არ ადრიდა პოეტთ (წმინდანებად აღქმულთ), და თუმცა პოეტობა ყველაფერს ერჩია, პროფესიონალ ხელოვნად თავს თითქოს მაინც არ მიიჩნევდა და ნახევრად-პროფესიონალად აღიქმებოდა. მე კი ასე ვიტყვოდი: იგი იყო უპირველესი ოსტატი მოყვარულთა შორის, ხოლო ერთ-ერთი საუკეთესოთაგანი – პროფესიონალ, ნამდვილ ოსტატთა შორისაც. მეუფესთან ჩვენ, „ზღვარის“ წევრები, ძალიან ვახლოდობდით, ისიც მეტად გვათამამებდა, მითუმეტეს კახას, რომელიც მეუფის დღეს – თორმეტ ოქტომბერს არის დაბადებული, და დიდი თადეოზი მის გამორჩევით აფასებდა, როგორც ადამიანს, პოეტს. ხოლო რადგანაც მეუფე გარდაიცვალა, ეს წმინდა კაცი რადგანაც წავიდა ჩვენგან, კახამ ვეღარ შეასრულა ცნობილი სიმღერები პროზის რაინდის იუბილეზე. მიუხედავად ამისა, როგორც უკვე ვთქვი, მან მაინც მიიღო მონაწილეობა წლის ერთ-ერთ უმთავრეს ლიტერატურულ და საერთოდ – სახელოვნებო, კულტურულ მოვლენაში...

ბატონი რეზო მიშველაძის იუბილე შედგა, შედგა ისე, როგორც ეკუთვნოდა რჩეულ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, ხოლო შვიდი აკადემიის მესვეურობით ჩატარებულმა ამ დაუვიწყარმა ღონისძიებამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ რაც არ უნდა მოხდეს, რა არ უნდა შეიცვალოს ამ დუღჭირი ცხოვრების გამო ჩვენს ქვეყანაში, სიტყვის ოსტატი, (სიტყვის დიდი ოსტატი) აქ ყოველთვის განსაკუთრებულ ადამიანად დარჩება. საქართველო ლიტერატურის ქვეყანაა, ზოგადად – ხელოვნების ქვეყანაა, ქვეყანა კულტურისა, მაღალი კულტურისა, და თუმცა ბოლო ათწლეულებში ხელოვნებასაც კი ვეღარ ვაფასებთ აქ სათანადოდ მათ მაინც რჩებათ განსაკუთრებული ავტორიტეტი, რომელსაც ვერაფერი გაახუნებს, ვერაფერი წაშლის.

თბილისი, 2015 წელი, იანვარი.

თამარ ჯაჭვავაძე



მცველი

მათი სახლი ტყის განაპირას იდგა, სოფლის ბოლოს, ერთ განმარტოებულ ფერდობზე. სოფელს დასავლეთით რუსავით პატარა მდინარე ჩაუდიოდა. იმ რუ-მდინარის გადაღმა იწყებოდა ტყე – სოფლის სასიცოცხლო ძარღვი. გოგონას მამა ტყეში დადიოდა; შინდზე, ასკილზე, მაყვალზე, ზღმარტლზე, პანტაზე, სოკოზე, ღანძილზე... შეშაზე. ტყე კვებავდა სოფელს.

სამხრეთით, იმ პატარა ფერდობის ქვემოთ, სადაც მათი პაწია სახლი იდგა, სოფლის ვენახები ჩაფენილიყო. გოგონას დედა ვენახში იყო, დიდიდან დაღამებამდე. ზოგჯერ მამაც ტყის ნაცვლად ვენახში მიდიოდა. ფერდობზე მოთამაშე გოგონას დედა ამოსძახებდა ვენახიდან: – წყალი ჩამოგვიტანე-ო! ცივცივება წყაროც იქვე იყო, მათი სახლის აღმოსავლეთით, პატარა ხევს გადაღმა.

ასე, საოცრებათა კუნძულივით მდგარა პატარა სახლი იმ პატარა გორაკზე, სოფლის ბოლოს, რუ-მდინარისა და პატარა, ხევი რომ არც ერქვა, იმ ხევს შორის. ხევიდან, გოგონას “მიკრო” სამყარომდე, ასიოდე მეტრი იქნებოდა და იქ მუდამ მწვანე ბალახი ბიბინებდა, წყაროს მადლით და ძალით.

მამინ 5-6 წლის იქნებოდა გოგონა. რუ-მდინარის გადაღმა ჭყუმპალაობდა პაწაწინა, ერთკაციან სანაპიროზე, თან დედის დაძახებას ელოდა, რომ სახლის მეორე მხარეს, წყალზე გაქცეულიყო. ზოგჯერ რუ-მდინარიდან ამოდიოდა და მოშორებით ბალახებში კოტრიალობდა, ამურივით ტიტლიკანა.

გოგონა გრძნობდა, რომ იმ დღეს, ტყე ცნობისმოყვარე თვალებით უყურებდა, ეს ცნობისმოყვარე თვალები ზოგჯერ ძალიან ახლოვდებოდა.

უმოწყალოდ ცხელოდა.

ქორფა ბალახებში მოკოტრიალეს წამოადგა თავს. ის მოდიოდა ნელი სრიალით თუ ზოზინით. ჩუმად, უხმაუროდ მოიპარებოდა ბალახების ძირში, არც კი მოჩანდა ორიოდე მტკაველი სიმაღლის ბალახიდან.

– გველი! – გაიჟრიალა გოგონას შუბლს მიღმა შიშმა, მერე მთელ სხეულს დაუარა.

შავ-თეთრი იყო, თუ მოთეთრო-მონაცრისფრო, გველი კი არა, ბუნჩულა ბუთხუზა, საყვარელი ლეკვი!

გოგონას ჯერ შეეშინდა, უცხო იყო ცხოველი, არც მეზობლებს და არც ზემოუბნელებს ასეთი ძაღლები არ ჰყოლიათ, ამსოფლიური არ იყო ის უცნაური არსება, მაგრამ ლეკვი სამტროდ არ მოსულიყო, გაეთამაშა გოგონას... მერე მთელი დღე დაჭერობანას თამაშობდნენ პატარა ხევში, წყაროს მხარეს. “– ლეკო, ლეკო დამიჭირე!” – დაუძახებდა გოგონა და გარბოდა. რბილი და თბილი იყო ლეკვი. გოგონას ეგონა, სულ ეჩვენებოდა, იცინისო, თამაშისას. ზეცის შუაგულზე შეყოვნებული და დედამიწას ჩამოშტერებული მზეც იცინოდა დედიშობილა პატარების შემყურე, იცინოდა ვიდრე ჩავიდოდა... მერე კი, როცა მზე ჩავიდა, დედა ამოვიდა ფერდობიდან. ამოვიდა მზესავით ყვითელი ღიმილით კი არა, მუქი საყვედურებით:

– სადა ხარ! მთელი დღეა გეძახი! მთელი დღე მწყურვალი მამუშავე-ო. ო. ო. ო! დატუქსა დედამ გოგონა. მწარედ ატირდა პატარა. იმიტომ კი არა დედამ რომ დატუქსა, არა! რაღაც ძალიან დიდი რომ დააშავა, იმიტომ. რაღაც გამორჩა, რაღაც ვერ გააკეთა სწორად. დედის საყვედური კი არ ეწყინა, გული ეტკინა, დედა რომ დაურჩა მწყურვალი.

ლეკვი შეშინდა, მანაც იგრძნო, რომ გოგონამ რაღაც დააშავა, მისი მიზეზით... და იმ დღის მერე აღარ გამოჩენილა, მაგრამ გრძნობდა გოგონა, ტყე მოსჩერებოდა მოდარაჯე თვალებით...

იზრდებოდა გოგონა. იზრდებოდა ლეკვი.

მამა სულ უფრო და უფრო გატყვიურდა, დედა გავენახიურდა. დედას და მამას თითქოს სხვადასხვა სამყარო გაუჩნდათ. სამაგიეროდ ტყის ნობათებს ხორციც შეერია. და ერთ მშვენიერ, მშვენიერს კი არა, საშინელ დღეს, მამა მარხილზე მიძინებულნი ჩამოატა-

რეს სოფელზე, მარადიული ძილით მიძინებული. მთელი სოფელი შეიყარა გოგონას ეზოში.

უკვირდა ტყიდან მომზირალ, სველ თვალებს, სოფლის ადათ-წესები, ადამიანური ცხოვრება და ყოფა უკვირდა...

იზრდებოდა აქეთ გოგონა, იქით, რუ-მდინარის გადაღმა, იზრდებოდა ლეკვი. ლეკვი აღარ გადმოდიოდა გოგონას მხარეს. ის გრძნობდა, რომ სხვა სამყაროდან იყო, რაღაც ცხოველური ინსტიქტით გრძნობდა. ამ უცხო სოფელში მისი მსგავსი ცხოველებიც იყვნენ, მაგრამ მას არ შეეძლო იმ, მისი მსგავსებისნაირად ყეფა და ღრენა. ცდილობდა მიებაძა, ცდილობდა ესწავლა, ცდილობდა გაეგო თვითონ ვინ იყო და საიდან მოვიდა, ცდილობდა და დაეხეტებოდა ტყე-ღრეში.

იზრდებოდა გოგონა, იზრდებოდა ლეკვი.

გოგონას გარშემო ჩნდებოდნენ მეგობრები, მერე მიდიოდნენ... გოგონები, ვაჟები... განსაკუთრებით ერთი ახმახი ვაჟი არ მოსწონდა ტყიდან მომზირალ, მოდარაჯე თვალებს. ახმახი სულ უფრო და უფრო ხშირად დაბორიანობდა გოგონას ეზოს გადაღმა.

იზრდებოდა გოგონა, ბერდებოდა ლეკვი.

ზოგჯერ ვაჟაკობა წამოუვლიდა ხოლმე ძარღვებში, ამბობდა და ბრძოლის ქინი. თავს ებრძოდა დიდი ხნის წინ დავაჟაკებული და უკვე გადავაჟაკებული ლეკვი... უკვე დიდი, გარეული ცხოველი.

ერთ დღეს ტყის მოდარაჯე თვალებს მტანჯველი ეჭვი შეერია. უფრო წამოეძალა ძარღვებში ამბობების ქინი. ის ახმახი ჩამოვიდა რუ-მდინარის პირას მარტო მჯდომ გოგონასთან. გარშემო არავინ იყო. ახმახი ზუსტად ისე ეთამაშებოდა გოგონას, თვითონ რომ ეთამაშა, სულ პირველად, დაჭერობანა. გოგონა არ გაურბოდა ახმახს, პირიქით დაეჭერინა და თითქოს მიეწება, გაისუსა ახმახის მკლავებში.

გაბრაზდა ბებერი ლეკვი, ძალიან, ძალიან გაბრაზდა. მერე, როცა გოგონა სახლში წავიდა, გადმოვიდა რუ-მდინარეზე, როგორც სულ პირველად, გოგონასთან სათამაშოდ. გადმოვიდა და წინ გადაუდგა თავისი სახლისაკენ მიმავალ ახმახს. წინ გადაუდგა და დაიღრინა. ყეფა არ გამოუვიდა, ყელიდან მარტო უგემოვნო ბგერები ამოსკდა და ღოჯები გამოაჩინა. ახმახმა რაღაც უცხო სახელი დაიყვირა და თავქუდმოგლეჯილი გაიქცა.

უკვე დიდ ცხოველად ქცეული ლეკვი დაუბრუნდა თავის ადგილს, ტყეში, სადაც ყოველ საღამოს წვებოდა და უყურებდა გოგონას. საიდანაც კარგად ხედავდა, როგორ იზრდებოდა გოგონა. თვითონ კი... მარტობაში ბერდებოდა ლეკვი...

ერთ დღეს ისევ მთელი სოფელი შეიყარა გოგონას ეზოში. უყურებდა უკვე დიდი ლეკვი ეზოს და ეძებდა გოგონას, ან მარხილს. მერე ისიც გამოვიდა, ახმახთან ერთად. ძალიან უფერო კაბა ეცვა და ავადმყოფს გავდა თოვლისფერი გოგონა, უმზეო დღესავით გაცრეცილი ქალი. მთელი საღამო აუტანელი ხმაური და ჭყვიტინი ისმოდა.

უყურებდა მოდარაჯე თვალები ტყიდან და უკვირდა ადამიანების ცხოვრება და წესი...

დღისით საშოვარზე დაწანწალებდა და სხვა ჯურის ცხოველებზე ანთხევდა ყელში მოწოლილ ბოლმას. მაინც ვეღარ იოკებდა ძარღვებში აღუღებულ ამბობების ქინს. საღამოს, უკვე დიდი გოგონას ეზოს შეჭყურებდა, სადაც სულ ის ახმახი დაბორიანობდა. დამით კი, ძილში, პატარა, ტიტლიკანა გოგონა ესიზმრებოდა, თვითონაც პატარა იყო, იმ სიზმარში, ბალახებში ეთამაშებოდა, დასდევდა და... სულ გაურბოდა ქორფა გოგონა...

ერთ ღამეს, დიდი გოგონას სახლიდან, პატარა ლეკვის კნავილის მაგვარი ხმა გაისმა. სახლი მთელი ღამე განათებული და მოფუსფუსე გახდა. მეორე დილით გოგონას დედა აყმუვლდა. როცა გული ძალიან ეტკინებოდა და მთელი სხეულით ტიროდა, ისე ატირდა უკვე გაზრდილი გოგონას მოკუნტული, დაპატარავებული დედა.

მერე ისევ შეიყარა სოფელი გოგონას ეზოში... და ისევ მარხილი თუ რაღაც სხვა...

გოგონა მართლა გაზრდილიყო, როცა ფეხზე იდგა და დადიოდა, ასე დიდი არ ჩანდა. ახლა კი, როცა იწვა, ახმახივით გრძელი და დიდი ქალი გამხდარიყო.

კიდევ ერთხელ დაუარა ბებერ ძვლებში ამბობების ქინმა, მაგრამ არ იცოდა რა უნდა ექნა, როგორ დაეოკებინა ეს, სულ სხვანაირი ამბობება... ეღმუვლა, მიწა ეფხოჭა თუ ბეწვი შემოეფლითა ტანზე... იქნებ მისჭროდა იქ შეკრებილ ხალხს და თავის ეშვებზე აეგო ვიღაცა...

დაწვა. თავი დაკბენილ თათებზე დაიდო და თვალებიდან წვიმა წამოუვიდა...

რუმდინარის აქეთ, ტყის ნაპირას, თითქმის მის ფეხებთან, გაჭრეს მიწა და მარხილი-ანად შიგ ჩადეს უკვე დიდი გოგონა.

გაუჩინარებული გოგონას დედას ეზოში გამოეყვანა პატარა, მკნავალა არსება. მას გოგონას კაბის ფერი ჭინჭი ეხვია მთელ სხეულზე. იმ კაბის ფერი, რომელიც იმ დღეს ეგლო ბაღახებში, სულ პირველად და უკანასკნელად რომ ეთამაშა გოგონას. გული დასწყდა. ამ პატარა არსებას ვეღარ გაეთამაშებოდა ისე, როგორც გოგონას გაეთამაშა ერთხელ, პატარა ლეკვობისას.

დაბერებულიყო ლეკვი.

ტყიურმა სულმა, იმ პაწაწინა ბორცვზე გადაინაცვლა, რომლის ქვეშაც უკვე გაზრდილი ქალის სხეულში ჩამწყვდეული, მისი სანატრელი პატარა გოგონა ჩამალეს ადამიანებმა. სხეულში ბრძოლის ჟინი გაქრა, ამბოხებაც გაქრა, დაიცალა სხეული და დადუმდა. აღარც სანადიროდ წასულა, სულერთია, ამ ბოღმას სხეულიდან ვერაფრით ვეღარ ამოაგდებდა. იწვა მიწაში ჩაფლული გოგონას ბორცვის თავთან და დადუმებულ და დადუნებულ სხეულში რაღაც სტკიოდა, სტკიოდა გაუსაძლისი და ყრუ ტკივილით, რომელიც აღარ ჩერდებოდა და აღარ ასვენებდა...

გოგონას საფლავს გვერდით მისწოლოდა და იქ მომკვდარიყო ბებერი, თათებდაკბენილი მგელი.

შორენა ზაქუტაშვილი



გადავარჩინოთ ქართული სული!!!

საქართველოში ამაზე ფიქრი ნაკლებად აწუხებთ, რადგან იქ ფართო არჩევანია იმისთვის თუ მშობლებმა რომელ სკოლაში მიადებინონ განათლება შვილებს, და ან მრევლმა რომელ ეკლესიაში ილოცოს. აქ კი მადრიში განსხვავებული პირობებია ამისათვის. მინდა ავიღწეროთ და გაგაცნოთ ცოტაოდენი რამ მადრიდში არსებულ ქართულ წმ.გიორგის სახელობის ეკლესიასა და საკვირაო სკოლაზე. ორივეს ერთად წარმოგიდგინოთ რადგან სკოლა ასრესობს ეკლესიასთან შეთანხმებით.

ეკლესია დაარსდა 2011 წ. ხალხის მოთხოვნის საფუძველზე, ქართული დიასპორის დახმარებით. დაარსებიდან მისი ხელმძღვანელი არის არქიმანდრიტი პიროს გოცირიძე. წირვა-ლოცვა ტარდება ყოველ შაბათ-კვირას და ასევე კვირის სხვა დღეებშიც. ეკლესიას ჰყავს მგალობლები. ეკლესია არსებობს ხალხის შემოწირულობით. აქ მრევლი მხოლოდ დიდ ქრისტიანულ დრესასწაულებზე თუ იგრძნობა, დანარჩენ დღეებში მრევლი ძალზედ ცოტაა, შესაბამისად შემოწირულობაც ცოტაა. მაგრამ როგორც მამა პიროსიმ აღნიშნა ჩემთან საუბარში „ვარსებობთ ღვთის წყალობით“ და ეკლესიაც განაგრძობს არსებობას. ეკლესიის სხენებაზე აღბად ბევრმა თქვენგანმა წარმოიდგინა გუმბათებიანი, მოხატული და მოჩუქურთმებული ეკლესია. არა! ეს არის საკმაოდ მოზრდილი ფართობის ოთახი რომელიც მოწყობილია ხატებით, სასანთლებით და ზოგადი აუცილებელი ეკლესიური აღჭურვილობით, რაც შეძლო ეკლესიამ რომ შეეძინა ხალხის შემოწირულობით, რაც აქამდე ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა ეს ლეგალიზაციაა.

მინდა ავღნიშნო რომ, ქართველების გარკვეული რაოდენობა დადის სხვა ორთოდოქსულ მაგრამ არა ქართულ ეკლესიაში. ზოგს ქართული ლოცვა ურჩევნია, ქართული გალობა, ზოგი კი შემორჩა ბერძნულ და რუსულ ეკლესიებს, რადგან ეს მრევლი წლების განმავლობაში აქ ლოცულობდა და ახლა მათთვის ამ გარემოს გამოცვლა არც თუ ადვილი აღმოჩნდა. მე პირადად ბერძნულშიც მილოცია, რუსულშიც და ქართულშიც. ამ ეკლესიებიდან ხშირად დადის მრევლი სხვადასხვა წმინდა ადგილების მოსანახულებლად. ერთხელ მეც გავყევი უკრაინელების ჯგუფს პორტუგალიაში წმ. ფატიმას ადგილების მოსანახულებლად და სალოცავად. რამაც დიდი სიამოვნება მომანიჭა, სამწუხაროა რომ ჩვენ ეკლესიამ ამ პირობებს ჯერ ვერ მიადწია.

აქ ხშირად მოხვედებით მსგავს სიტუაციაში მაგალითად;ბავშვი მოვნათლევ; მამით ეს პანელი-კათოლიკი,დედით ქართველი-ორთოდოქსი,ბერძნულ ეკლესიაში,უკრაინელი მამაოს რუსულ-ესპანური წირვა-ლოცვით.ეს უფრო იმიტომ ავლნიშნერომ მინდოდა ამეღნიშნა ამ ქართველი დედის ბრძოლა და მიღწევა რომ მისი შვილები მართლმადიდებლები ყოფილიყვნენ.მაგრამ არც ფართობს,არც ადგილს და არც ქვეყანას მნიშვნელობა არ აქვს თუ სად ილოცვებ,მთავარია გულით და რწმენით ილოცო,ღმერთი ხომ ყველგანაა „ჩვენთან არსს ღმერთი! არსს და იყოს!!!“

მათთვის ქართული სკოლის ზარი მხოლოდ კვირა დღეს ირეკება, როგორ ეუფლებიან ქართულ წერა-კითხვას და განათლებას მადრიდში მცხოვრები პატარა ქართველები? საკვირაო სკოლა „აისი“ დაარსდა ეკლესიის დაარსებიდან რამდენიმე თვეში, ეკლესიის დახმარებით და ქალბატონ თამარ მეტრეველი-ჩადუნელის ხელმძღვანელობით,რომელიც ამჟამად გახლავთ სკოლის დირექტორი.სკოლა არის ეკლესიის ერთ ძალზედ პატარა ოთახში.სკოლას სულ 15 მოსწავლე ჰყავს,3 წლიდან 12 წლამდე.ბავშვები ორ ჯგუფად იყოფიან,დიდები და პატარები. შეისწავლება ქართული ენა და ლიტერატურა,საქართველოს ისტორია და გეოგრაფია, და რელიგიის ისტორიის საფუძვლები. სკოლას სულ 3 პედაგოგი ჰყავს,თავად ქალბატონი თამარი,ცირა მეღქაძე და თეა ქურხული.

აღბად გაგიკვირდებათ რატომ არის ასე ცოტა მოსწავლე-გაკვეთილები ტარდება მხოლოდ კვირა დღეს რამოდენიმე საათით.ბავშვების მოყვანა მშობლებისთვის რთულია,ზოგი შორს ცხოვრობს,ზოგი მუშაობს,ზოგს ეს კვირა დღე დასვენება უნდა და ათასი სხვა მიზეზი,იმ თხუთმეტი ბავშვიდანაც ყოველთვის ყველა ვერ დადის.სკოლის დირექტორის თქმით ბავშვებს ძალიან უჭირდათ და უჭირთ ქართული მოთხრობების თუ ლექსების აღქმა,რადგან მათთვის ბევრი უცხო სიტყვაა.ამიტომ საქართველოში მათთვის სპეციალურად დაიწერა შემოკლებული და გამარტივებული ფორმით წიგნები,რომლებიც გადაეცა სკოლას.სკოლას ასევე საჩუქრად გამოუგზავნეს მწერლებმა საკუთარი შემოქმედებები; ბატონმა გია ჯიჭონიამ პოეზიის ხუთტომეული „ოქროს ხანა“, საბავშვო მწერალმა და აკადემიკოსმა ქ. ყამარ ბლიაძე-ტიელიძემ ორი ტომი „ყამარ ბებოს ნობათი“ და საბავშვო მწერალმა ქ.მანანა ტონიამ თემატური ლექსების და მოთხრობების კრებული „სოფოს ბებო“.რაზეც დიდ მადლობას უხდის სკოლა.

სკოლაში ტარდება საშემოდგომო,სახალწლო და წლის დასკვნითი ზეიმები. ქართული ცეკვით,სიმღერით და ტრადიციული მხარეების წარმოჩენით.ბავშვებისთვის მაინც ყველაზე საყვარელი საშემოდგომო ზეიმიარადგან ამ დროს ყველაზე გემრიელი პროცესია „ჩურჩხელების დაკვება“ ეს პროცესი ხომ ყველა ასაკში სასიამოვნო და მოუბზრებელია,როცა მოთმინებით ელოდებიან რიგს რათა გემრიელად ამოავლონ და ჯოხზე მოკონწიალე სხვა ჩურჩხელებს შეუერთონ.წარმოიდგინეთ ეს პატარები სიხარულთან ერთად სიამაყესაც რომ განიცდიან,რადგან ეს ტრადიცია ხომ მხოლოდ ჩვენს პატარა საქართველოშია და მეტი არსად.

ქალბატონმა თამარმა ცოტა დანანებით აღნიშნა რომ ბავშვები გასცდებიან თუ არა საკლასო ოთახს მაშინვე ესპანურად იწყებენ ლაპარაკს,მაგრამ ის იმ შედეგითაც კმაყოფილია რასაც მან მიღწია,რომ არსებობს ქართული სკოლა.ბედნიერია იმ შრომით და ღვაწლით რასაც ის გასცემს ამ ბავშვებისათვის.

მინდა ვითხრათ რომ ამ მასწავლებლებს არც ხელფასი აქვთ და ფაქტიურად არც დასვენების დღე.სკოლა არსებობს მშობლების და ეკლესიის დახმარებით.მაგრამ, ისტორიკოსმა ქალბატონმა ცირა მეღქაძემ აღნიშნა რომ კვირა დღე მისთვის დასვენების დღეცაა და დიდი სიამოვნების მომტანიც,როცა კვირა დღით მიეშურება სკოლისაკენ რათა ქართველ პატარებს ქართული სული შეუნარჩუნოს და გადაარჩინოს.ბავშვებს რომლებსაც ზოგს საქართველო მხოლოდ რუკაზე უნახავთ. ის ამბობს რომ ამ შრომით მან პირველ რიგში საკუთარი სული გადაარჩინა,რადგან მანამდე მოწყვეტილი იყო თავის საყვარელ პროფესიას.მისი და მისი ვაჟის აღექსანდრეს დამსახურებაა სკოლის ზეიმების ორგანიზაცია.ქალბატონი ცირა მშობლების დახმარებით თავად უკერავს პატარებს საზეიმო კოსტიუმებს.


მაგრამ უფრო რთული წარმოსადგენია თუ რატომ ტოვებს ქალბატონი თეა ქურხული 4 თვის პატარას სახლში დასთან და ახლობლებთან და რატომ მიიქარის კვირა დღეს სკოლისაკენ, მიზანი ერთია,მას უნდა თავის პატარას მომავალი შეუნარჩუნოს.მას უნდა

თავის შრომით გააძლიეროს ქართული სკოლის არსებობა და როცა მისი შვილი წამოიზრდება მის შვილმაც გაიაროს „ანი-ბანი“-ს გზა.

გაკვეთილები წირვა-ლოცვის დროს მიმდინარეობს, და ზოგჯერ პატარები ხელს უშლიან მამას ლოცვების მშვიდად წაკითხვაში, მაგრამ მამას გულს უხარებს მათი იქ ჯღურტული და მშობლებიც ორმაგად მადლობლები არიან ამ ორმაგი წყალობით, რადგან კვირა დღეს მათ შვილებს საშვალეა აქვთ მიიღონ ქართული სწავლა-განათლება, ასევე დაესწრონ წირვა-ლოცვას და ეზიარონ, ეს მართლაც დიდი წყალობაა ამ უცხო ქვეყანაში. ეკლესიის ამ პატარა ოთახში რომელშიც ოთხიოდე პატარა მერხი დგას, კედელზე არის საქართველოს რუკა, გენიოსი მწერლების სურათები და ფრაზები როგორცაა; „მე პატარა ქართველი ვარ“ „ცა ფირუზ ხმელეთ ზურმუხტო“. და რამოდენიმე სხვა. მე როცა ამ ოთახში შევედი, ვიგრძენი რომ ამ პატარა ოთახში მთელი საქართველო იყო მოქცეული!!!

მინდა მადლობა მოვუხადო ქალბატონ გულნაზი ხარაიშვილს ამ ჟურნალის მთავარ რედაქტორს, რომელმაც თავის მხრივ წვლილი შეიტანა ჩემი, როგორც ერთ-ერთი დაკარგული ქართველი შვილის ფართო საზოგადოებაზე წარდგენისათვის, და მე ჩემის მხრით მოგიყვებ და დაგანახოთ აქაური ის პატარ-პატარა რეალობები რომლებიც საქართველოში არსებულ რეალობებიდან განსხვავდება.

**საზღვარგარეთაც არ ივიწყებენ ქართველები ქართველობას.
ეს სურათები მსკანეთშია გადაღებული**



ციალა ხაუალია-ანდრიაძე

27 სექტემბერი – დაუვინყარი ცკვილი



ბატონი ქიული შარტავა, რომელთა მსგავსი არც თუ ისე ხშირად შეგხვდება.

იგი თავდაჭერილი, განათლებული ინჟინერი, გამოჩენილი პარტიული მუშაკი, სამშობლოსათვის თავდადებული პასუხისმგებლობით სავსე, შესანიშნავი ოჯახის ღირსეული თავკაცი, კარგი შვილი, კარგი მამა, კარგი დედმამიშვილი, ნათესავი, მეგობარი, ახლობელი და ა.შ. მეზობელი (სამწუხაროდ უნდა ვთქვა, რომ) იყო.

ბატონო ქიული!

უზომოდ გვიყვარდით თქვენც და თქვენი დარბაისელი ოჯახის თითოეული წევრიც გვიყვარს.

მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ამ წერილის დაწერისაკენ ღირსეულმა ადამიანმა, დიდმა პოეტმა და მამულიშვილმა – ბატონმა რეზო ამაშუკელმა მიბიძგა.

ერთ დილას უჩვეულოდ ადრე გამეღვიძა. ფიქრებმა სად არ წამიღეს, ავფოქრიაქდი ავანთე ღამის ნათურა და გადავშალე წიგნი – „რაც მესსიერებას შემორჩა“.

ამჯერად, იმ წიგნიდან ხელში ბატონი რეზოს წერილი შემხვდა, რომლის სათაურია „ჩემი მეგობარი – ბატონი ირაკლი ანდრიაძე“.

აქვე წერილიდან ამონარიდსაც გაახლებთ:

„ქვიშის საათივით მალე იცლება ცხოვრება. ამიტომაც რამდენიმე სიტყვით მინდა მოვასწრო იმ სიყვარულის და პატივისცემის დადასტურება, რომელიც მე ყოველთვის გამაჩნდა მის მიმართ, როგორც ქვეყნისა და ქართველების ერთგული ოჯახისშვილის დღენიადაგ მშრომელისა და თავდადებული პიროვნების, ირაკლი ანდრიაძისადმი.

მახსოვს, ბევრი რამ მახსოვს სიყვარულითა და თანადგომით ბეჭედდასმული. რისი ჩამოთვლაც ბევრ დროს მოითხოვს...

მახსოვს, ბევრი რამ მახსოვს!

მახსოვს კედლისკენ მიბრუნებული, ატირებული ირაკლი ანდრიაძე, რომელიც ბავშვივით ზღუქუნებდა! – იმ დღეს დაეცა სოხუმი!...

ის ცრემლი დღესაც არ მოშორებია საქართველოს!..

ბატონო ირაკლი!

ჩემო ჭაღარა, ლამაზო მეგობარო!..

ცხოვრება ალბათ ასეთია: ჩვენ, ქართველები ადამიანებს ხშირად პატივს გარდაცვალების შემდეგ მივაგებთ.

ბატონო რეზო!

კიდევ და კიდევ ჩვენი ოჯახისგან უღმესი მადლობა. წერილის წაკითხა ირაკლიმ გარდაცვალებამდე მოასწრო. დიდი სიყვარულით ბევრი რამ მოიგონა თქვენთან, ბატონ ზაურ გომართლეთან და სხვებთან დაკავშირებითაც...

ნეტავ იმ დროს. ირაკლიც ცოცხალი მყავდა და ბევრიც ვიცინეთ.

ამჯერად მიუბრუნდები ჩემს სათქმელს...

მაინც რა მოხდა?

დაეცა სოხუმი. ქიული შარტავა და მასთან ერთად უამრავი საჯიშე სამშობლოსათვის თავდადებული ვაჟკაცი. ორ მოძმე ხალხს შორის სიყვარულის ხიდი (დროებით მაინც) ჩატყდა... აფხაზეთი გადაიწვა, ჭუბერზე მშიდლობიანი ადამიანები ჩაიხოცნენ.

რუსეთთან ქართველები ომით რომ ვერაფერს გავხდებოდით (მითუმეტეს მავანთ გაგვაფრთხილეს კიდევც).. უნდა გვცდოდნოდა. არაა ახალი ისიც, რომ რუსები საუკუნეების მანძილზე ოცნებობდნენ ულამაზესი და რეგიონალურად მათთვის მეტად საჭირო აფხაზეთის ტერიტორია ჩვენთვის წაეგლიჯათ...

ამას კარგად ვგრძნობდით და ყოველივე კარგად ვიცოდით...

მაგრამ...

ძნელია ჭიდაობა, როდესაც მოწინააღმდეგეთა შორის ძალთა თანაფარდობა განუზომლად დიდია.

დაახლოებით 20-25 წელია ჩვენში შინააშლილობამ ძალიან იმძლავრა. ურთიერთ უნდობლობა, მტრობა სიძულვილი, დაპირისპირება ცხოვრების ნორმა გახდა და გადავდგილთ ისეთი ნაბიჯები რომელთა ღრმად გაანალიზება ჯერ კიდევ სამომავლო საქმეა ... (თანაც თუ ობიექტურნი ვიქნებით, ძალიან სერიოზული და უმნიშვნელოვანესი ამბავიც გახლავთ.)

ჩვენ რუსებს ომით მოვუგებდით? კჰ, იმთავითვე ხომ განწირული ვიყავით?

წინაპრები გვასწავლიდნენ: „ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა“.

ისტორიამ იცის მსოფლიოში რამდენი დიდი და კულტურული ქვეყანა შთანთქა დროთა ქარტეხილებმა.

მაგრამ ჩვენს შემთხევაში, ალბათ, მუდამ „ორ ზღვას შუა საომარი ლელო“ – საქართველო, – „ედემი მიწაზე გადმოსული“, უთანაბრო მტრებთან გამუდმებული და გააფთრებული ომებისას, სამშობლოს დაცვის დიდმა ჟინმა, ბრძოლის უნარიანობამ, ქვეყნისთის თავდადების შეგრძნებამ, სამშობლოსადმი დიდმა სიყვარულმა და უთუოდ გონივრულმა ხერხიანობამაც – უამრავი მომხდურისაგან იხსნა.

ჩვენმა წინაპრებმა შეჭველია ძალიან კარგად იცოდნენ თავის დროს და ადგილზე ნათქვამი დადებული სიტყვის ფასი. ზოგჯერ ტკბილი, ზოგჯერ უკან დასახვევი, თუ ზოგჯერ მომთხოვნი და გარდუვალი მნიშვნელობა, ამდენად, ხშირად კარგად გამოსდიოდათ დიპლომატიური ურთიერთობები დაპირისპირებულ მხარეებს შორის.

ამგვარი მაგალითები საქართველოს ისტორიაში მრავლად მოიპოვება. ამჯერად რა ხდება?

დიდი მოთმინებით, განჭვრეტით, უდიდესი დიპლომატიური ნაბიჯების გადადგმით რუსეთს საქართველოდან ჯარი გაჰყავდა... მაგრამ მჩვენ რა ვქენით? რა ვთქვით ისეთი, რომ ისინი უკან დაგაბრუნეთ? ეს როგორ მოვახერხეთ?

ხომ შეიძლებოდა, რომ ისე არ მოვქცეულიყავით როგორც მოვიქცით, საქმე ჩვენთის სასარგებლოდ წარგვემართა?

განა შეიძლება რუსეთს, დიახაც, დამპყრობელი და აგრესორი ქვეყნის თაკაცისთის ამოდენა ქვეყნის ხელმძღვანელისთვის, - პუტინის ნაცვლად, გალიზიანებულად ლილიპუტინი ეძახა?

რისი იმედით ა...?

ან პუშკინის, ლერმონტოვის, ლომონოსოის, ტოლსტოის, ბელინსკის, დორბოლიუბოვის, ახმადულინას, ევტუშენკოს და ა.შ. ბევრ სხვათა მშობელ ხალხმა ღვინის ემბარგოსთან კავშირში ის სიტყვები უთხრა, რომელიც შენსავე თავს, თავად არ უნდა ჰკადრო? (მათ უფრო თუ თანამდებობის პირი ხარ?)

ეს დიპლომატიაა?

ღმერთო დიდებულო!!!

დაგვიფარე ასეთი დიპლომატიისაგან...

მართალია (და არც ახალია) ქართველებს თვალი ყოველთვის ევროპისკენ გვეჭირა...

მაგრამ, ყველა ვისაც ჩვენ მეგობრებად მივიჩნევთ, ხომ გვეუბნებიან და გვირჩევენ კიდევ, რუსეთთან საქმე თავად მოავგარეთ?..

მართალია ჩვენც და სხვა ქვეყნებმაც კარგად იციან, რომ რუსეთთან საუბარი ძნელია...

მაგრამ რა ვქნათ?!

ერთმანეთისკენ დიპლომატიური ნაბიჯები არ გადავდგათ? ან კეთილმეზობლობა არ ვცადოთ? ჩენ ხომ ისედაც მოსაზღვრე და მეზობელები ქვეყნები ვართ?

თანაც, ხომ მომსწრე ვართ მსოფლიო მასშტაბის უდიდესი რყევებისა, რამაც საბჭოთა ქვეყანასთან ერთად უდიდესი გავლენა მოახდინა საქართველოზედაც.

მაგრამ არსებობს ცივილიზებული დიალოგი, რაც უპირველესად დაპირისპირებულ მხარეებს შორის გადაწყვეტილებათა გონივრული გამოსავლის საშუალებაა...

მადლობა უფალს!

რთულად, მაგრამ XX საუკუნის 80-იანი წლების შემდეგ მაინც მოვიპოვეთ დამოუკიდებლობა... ასე რომ, რაც მივიღეთ ამდენი ძალმომრეობისი მერე ვფიქრობ მაინც დიდი მიღწევაა...

შემდეგ, შემდეგ როგორ ვიქცევით?

საუკუნეების მანძილზე ხალხის ნაოფლარი და სისხლით მორწყული მიწა-წყალი გაასხვისეთ. ყველაფერი (სხვათაშორის ძალიან ბევრი რამ გვქონია და ვერ ვაცნობიერებდით), რისთვისაც დღემდე თავდაუზოგავად ვშრომობდით და ვქმნიდით, მაგრამ შემდეგ საკუთარი ნაღვართი შექმნილი დანაზოგი დავანგრეთ, დავლეწეთ, მოვშალეთ სოფლები, ქალაქები...

კჰ... დანგრევა ადვილი ყოფილა... აშენება კი? ძნელი...

მით უფრო, რომ ყოველი მთავრობა თუ პარტია ცალ-ცალკე გუნდებს ქმნის. პარტიებიც უამრავი გვეყვას ხილული თუ უხილავი მტრებიც ქვეყნის შიგნით, თუ მის გარეთ ბევრზე ბევრი. ჩვენ კი გათით კაცებულად ყველას გვგონია ჭკვიანები და მართალი ქვეყნის წინაშე მთლად ჩვენ ვართ. ამ დროს საქართველო ერთადერთია. იგი თითოეული ჩვენგანის გათითოკაცებულად კი არა სწორედ რომ გაერთიანებულად და ერთ მუშტად შეკრული ღირსეული და სამშობლოსათვის თავდადებული მუხლჩაუხრელი შრომითა და უდიდესი ერთგულებით მოსაპატრონებელია...

ვფიქრობ ჯერ შიგნით ჩვენივე უნდა შევიყვაროთ, დავინდოთ და მივეთბოთ ერთმანეთს... შემდეგ ვნახოთ რა იქნება მაგრამ ის კი ცხადზე ცხადია, რომ გათითოკაცება არ ვაგრბა. ჩვენთვის ჩვენი ქვეყანა ერთადერთია და ჩვენივე უნდა ვიბრძოლოთ. მისი სიკეთისათვის. მისი გაერთიანებისათვის წართმეული მიწების დაბრუნებისათვის დიახადაც ერთ დიდ კონა წკნელთან შეკრულებმა.

ამ მთავრობამ მემკვიდრეობით უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდნილი სათაყვანო სამშენებლო მიიღო. თან გასაგებად გვითხრა, – პირველი წელი რთული იქნება, მერე და მერე თანდათანობით დიდი შრომით უკეთესი შედეგები გვექნება... მაგრამ?... როგორც ჩანს (ვფიქრობ) მეტი სამართლიანობა და მეტი ტემპია საჭირო, რომ ამ უკიდურეს მდგომარეობაში ჩავარდნილ თანამემამულეებს ეშველოთ რამე.

ძვირფასო მკითხველო!

მინდა ვთქვა, რომ ჟიული შარტავა ჩვენივე თანამედროვე იყო. თითოეულ ჩვენთაგანთან ერთად იღწვოდა. მისი ნაშრომით, ნაოფლარით და დანაზოგითაც აქმენებინა ეს ჩვენი სათაყვანო ქვეყანა...

აღბათ, ამიტომც გამექცა კალამი...

ყველას ბოდიშს გიხდით!

და გთხოვთ მომიტევეთ!

მაშ ასე, 27 სექტემბერს, როგორც წესი დაღუპული გმირის პატივსაცემად მის საფლავზე უამრავი ადამიანი მოდის... მეც სასაფლაოზე წავედი და ყვაილებს თაიგულს ვარჩევდი. ამ დროს – ბატონები ჯემალ ბერიძე და გრიშა შონია მოადგნენ მანქანას.

ძალიან გამიხარდა მათი ნახვა (მართალი გითხრათ ბევრი სიკეთე ახსოვს ჩვენს ოჯახს ამ ადამიანებისგან). მივიკითხ-მოვიკითხეთ ერთურთი. ამასობაში ბატონმა გრიშა შონიამ ფული გადაიხადა და ყაიღების ჩემს მიერ შეერჩეული თიაგული მომაწოდა...

ბევრი მონატრებული ნაცნობი შემხვდა ქალბატონ ლიასთან მისვლამდე... გადავეხვიე ჭირისუფლებს. ერთხანს შევჩერდი...

შემდეგ კი, მე და ჩემი გელა სიბაშვილი ირაკლის საფლავზე წავედით...

ემოციები მომეძალნენ და დავიწყე ბუტბუტი:

ჩემო ირა! შენ საქართველოში ძალიან ბევრი საყვარელი და კეთილისმყოფელი ადამიანები დაგრჩნენ (დმერთმა ყველა დალოცვილი გიმყოფოს) რომელნიც წუთისოფელში ცხოვრებას გილამაზებდნენ. ძალიანაც გიყვარდათ ერთმანეთი...

მანდ კი, ჩემო ძვირფასო ბატონები – ჟიული, ნუგზარ ენდელაძე, გივი ლეჟავა, დიმიტრი ქართველიშვილი, პეტრე იოსელიანი. – ქალბატონი ნინო ჟვანია და ბევრი სხვა ჩვენთვის საყვარელი ადამიანებიც ახლოს ხართ დაკრძალულნი, რომელთათვისაც თქვენგან გაწეული დეაწლის გამო, ალალია ქართული მიწა...

აქედან კი, მინდა უფალმა წყალობა მოიღოს ჩენზე და სულ მალე ჩამოგდახოთ: – ქართველებმა დაიბრუნეთ ჩენი სათაყვანო აფხაზეთი, კოდორის ხეობა, ოსეთი და ახალგორითქო.

ამინ!

მამაზეციერო გვისმინე ვედრება და მალე ასე მოხდეს...

9 ოქტომბერი 2014 წ.

გ. არაქსიანი

აი, ეს უჩვეულო და ჩვეულებრივი
რატო ალაჯანია...

- მართალი გითხრათ, თქვენთან საუბრისას, უპრიანი იქნება, გავჩუმდე და თქვენ გისმინოთ, მაგრამ რაკი ჩვენ ადამიანები ვართ და არა ტელეპატები, იძულებული გახლავართ, კითხვა მაინც დაგისვათ. მხოლოდ და მხოლოდ მოსმენას რატომ ვირჩევდი ამასაც ახლავე მოგახსენებთ. საუბრისას თქვენ იმდენ საინტერესო ციტატებს ჩაურთავთ ხოლმე ცალკეულ კლასიკოს მწერლებზე კონკრეტულად, თუ ზოგადად მწერლობაზე... ანდა როცა სომხურ თუ ქართულ სიმღერებს ისმენთ თითოეული სიმღერის სიტყვებისა თუ მუსიკის ავტორებზე იმდენ კომენტარს ურთავთ, რომ... განვაგრძო?

- არა, საჭირო არ არის. რაიმე უჩვეულოს ამაში ვერ ვხედავ. საამისოდ საშუალო განათლებაც კი საკმარისზე მეტია, რომ არაფერი ვთქვათ უმაღლესი განათლების მქონე ადამიანზე... ამაში გასაკვირი არაფერია. თუმცადა თქმა ერთია და „დუმილის ფილოსოფიაც“ ხომ მნიშვნელოვანია?... როცა იცი, რომ თქმით რაღაც შესაძლოა წახდინო კიდევ...

- თუ ასეა, მოდით ისევ თქვენ ბრძანეთ თქვენი უარყოფითი თუ დადებითი თვისებების შესახებ რაიმე, რათა ჩვენმა მკითხველმა ცოტა უფრო ახლოს გაგიცნოთ თქვენ, ვისაც ასე კარგად ვიცნობთ თბილისელები და, რათა თქმა უნდა, მთელი საქართველოს სომხური სათვისტომო...

მაინც, რა გაინტერესებთ?

- აი, თუნდაც ის, რომ ... ვინ არის რაფიკ ალაჯანიანი?

- ადამიანი თავის თავზე, არ უნდა ლაპარაკობდეს... მაგრამ თუკი ეს ასე ძალიან გაინტერესებთ, გეტყვი. უპირველესად იგი კეთილი ადამიანია. მაგრამ ამასთანავე შეურიგებელი მტერი უსამართლობისა. კიდევ ერთიც - სიყვარულის საწყაულის სიმწირესაც არასოდეს ვუჩივი... აბა, მეტი რა მოგახსენოთ?... ცხადია, არის ისეთი რამეებიც, რაც მე კმაყოფილებას მგერის, მაგრამ ამის შესახებ ახლა და აქ საუბარი ჯერ არ მსურს... თვითნაღიზის გარეშე საქმის კეთება არასწორად მიმაჩნია, თუ ყოველივე არ ავწონ-დავწონე, ვცდილობ, არაფერი ისე არ წამოვიწყო. საკუთარი თავის წარმოჩენა სასაცილოდ მიმაჩნია, ნარცისობისგან ღმერთმა დამიფაროს... ვინც მე მიცნობს, მიცნობს მხოლოდ ასეთს, ეს არის და ეს!..



- საიდან იღებს სათავეს, გარშემო მყოფთათვის ცნობილი, თბილისელის, რაფიკ ალაჯანიანის ფესვები?..

- პაპაჩემების გადმოცემით ჩვენ ერზრუმელი სომხები ვართ; 1829-1830-იან წლებში რუს გენერალ პასკევიჩს ჩვენები გაუფრთხილებია, რუსობა აქედან გადის და ამიერიდან თქვენი აქ დარჩენა სახიფათო იქნებაო... აი, ამის მერე მოხდა მათი გადმოსახლება ჯერ ახალციხეში, შემდგომში ახალქალაქსა და წალკაში და ბოლოს - ტფილისში... ასე და ამგვარად, თბილისში მე უკვე ჩვენი მეოთხე თაობის წარმომადგენელი ვარ...

- სკოლაში რაზე ოცნებობდით, ვინ ვინდოდათ გამოსულიყავით?..

- მართალი გითხრათ, განსაკუთრებით კარგად არ ვსწავლობდი (მამაჩემს საამისო სურვილსაც კი ვერ ვამჩნევდი, მაგრამ მაჩანჩალაც არ ვიყავი, არც სამოსანი... დამამთავრებულ კლასშიც კი წარმოდგენა არ მქონდა, სკოლის დამთავრების შემდეგ რა უნდა მეკეთებინა... არ ვიცოდი რა გზა ამერჩია; ჩამებარებინა სადმე თუ ქარხანაში წავსულიყავი... არაფერი ვიცოდი, მაგრამ... კითხვა რომ მიყვარდა, ეს კარგად ვიცოდი... ბევრს ვკითხულობდი სომხური ლიტერატურის კლასიკოსებს, აგრეთვე ქართული ლიტერატურის კლასიკას... არც მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსებს ვიკლებდი - ტოლსტოის, შექსპირს, ბოდლერს... პე-

რიოდის კითხვაც მიყვარდა. რაც მთავარია, სკოლაშიც ძლიერი პედაგოგები გვყავდა. წარმატებული თანაკლასელებიც არაერთი გვყავდა. ცნობილი მწერლები ანაიდა ბოსტანჯიანი და გურგენ ხანჯიანიც ჩემი კლასელები იყვნენ. ოვანეს თუმანიანის სახელობის 34-ე საშუალო სომხური სკოლაც ცნობილი იყო თბილისში. იგი საბჭოს (ყოფილ) ქუჩაზე მდებარეობდა, საყოველთაოდ ცნობილი ნერსისიანის სკოლის სიახლოვეს. ვცხოვრობდით კალინინის (ახლანდელი ჯავახიშვილის) ქუჩაზე. სკოლის დამთავრების ზეიმზე ჩვენი დირექტორი მახსოვს, თითქმის ყველას ეკითხებოდა, ვინ სად აპირებდა ჩაბარებას, ერთადერთი, მგონი მე „დავაიწყდი“ - ალბათ იფიქრა, ეს ისედაც არსად ჩამბარებელი არ არისო... მაგრამ მე იმედი „გაუცრუე“: ავდექი და მოსკოვში იურიდიულ ფაკულტეტზე ჩავაბარე და სწავლების დამთავრების შემდეგ მშობლიურ ქალაქს იურისტად დავუბრუნდი. ერთი სიტყვით, ისეთი დარგი ავირჩიე, რაც ნებისმიერ სახელმწიფო სისტემას მოერგებოდა... ხოლო მერე, როცა ბიზნესში ჩემი ძალების მოსინჯვა დავაპირე, უპირველესად ეკონომიკის სიღრმეებში რომ უნდა გავრკვეულიყავი, აუცილებლობად მექცა... და ცდა არ დამიკლია, შეძლებისდაგვარად... აი, ესეც ჩემი უნივერსიტეტები...

- **ადამიანის ცხოვრებაში მნიშვნელოვნად რა მიგაჩნიათ?**

- თქვენც კარგად მოგეხსენებათ, რომ „ცხოვრების წიგნი“ ჩემთვის გადაშლილი არავის დაუხვედრებია და არ უთქვამს - რა არის კარგი და რა ცუდი... ამას ცხოვრება მასწავლიდა თანდათანობით, ჩემეული ბუნება, ოჯახი... ჩვენს ოჯახში ჩემთვის უპირველესი შთამაგონებელი ბიბლიური, უფრო სწორად, სახარებისეული ათი მცნება იყო - არა იცრუო... არა იმრუშო... არა კაც ჰკლა... და ა.შ. რაღა თქმა უნდა, ცოტანი არიან ისეთები, რომლებიც მთელი ცხოვრება ინარჩუნებენ ამ სიწმინდეებს, მაგრამ... ხომ ცდილობენ! პირადად მე, ამგვარი წესით ცხოვრების ხელმყოფთა სასტიკი წინააღმდეგი ვარ... და მადლობა ღმერთს, რომ მსგავსი არაფერი მახასიათებს.

- **საინტერესოა, ვინ არიან თქვენი მეგობარ-ახლობლები?..**

- უმეგობრო-უახლობლო ჩვენი მტერი იყოს! ჩემი ახლობლების წრე ძირითადად ორ გუნდად შეიძლება ვიგულისხმო. დავიწყებ ჩემი სამსახურით, რომლებთანაც საქმიანი ურთიერთობები მაქვს. თანაც, უნდა გითხრა, რომ საქმეს თავად ვირჩევ და იძულებით არაფერს ვაკეთებ, ასე რომ, არავინ მყავს გარშემო ისეთი, ვინც თვალში არ მომდის და ამდენად, არც არავის მიმართ გულგრილი არა ვარ... რაც შეეხება „მეორე გუნდს“, ისინი ყოველთვის მაოცებდნენ თავისი წარმატებულობით - მწერლები, ხელოვნების მუშაკები, მეცნიერები, საზოგადო მოღვაწეები, პოლიტიკოსები და, რა თქმა უნდა, ჩემი სკოლის მეგობრები, ნებისმიერნი...

- **მორწმუნე ბრძანდებით, ეკლესიაში ხშირად ჩნდებით ხოლმე...**

- დიას, ასეა... ღმერთი და რწმენა გვანიჭებს უზენაესი ხმების მოსმენის უნარს. საეკლესიო დღესასწაულებსაც ვესწრები და საკვირაო ლიტურგიებსაც... ღმერთი არსებობს და მე მწამს მისი. მაგრამ სახიერად როგორია იგი, ამას ვერავინ ამბობს... მორწმუნე ფანატიკოსი არა ვარ... არც ღრმად განსწავლული ეკლესიური. მე უბრალოდ სამართლიანობისა მწამს, წინაც მოგახსენეთ, უფლის ათი მცნებისა... ეს რწმენა მამაჩემისგან, ჩვენი ოჯახიდან მოდის... გაჭირვებულთა, უმწეოთა, უპოვართა დახმარება განა არ არის ღვთიური საქმე?... „ხელის გამართვა, დახმარება გადაწყვეტილებით კი არ უნდა ხდებოდეს, არამედ გულის კარნახით“-ო, ასე გვასწავლიდა მამაჩემი... არც ბებიაჩემის სიტყვები მავიწყდება, რომელიც თითქოს მაინცდამაინც შეილიშვილებს კი არ მოგვმართავდა, მაგრამ ჩვენს გასაგონად ხშირად ამბობდა, რომ დიდია სიკეთე და წყალობა უფლისა, თუ უზენაესს რამეს გულის შესთხოვ, გაჭირვებაში არ მიგვატოვებს. ერთი სიტყვით, რწმენის გარეშე არასოდეს მიცხოვრია, თუმცაღა უფლის რწმენა მე ჩემებურად მესმის...

- ეტყობა, ამიტომაც არის, რომ დახმარებისთვის ხელის გამართვა თქვენთვის უცხო რამ არ არის.

- შეძლებისდაგვარად, კი...

- **რას ნიშნავს თქვენთვის სომხურ-ქართული ურთიერთობები?..**

- უადრესად საჭიროს, უადრესად აუცილებელს - ყოველთვის განახლებად სულიერ საზრდოს... ყველა ჩვენგანისათვის - ქართველებისა და საქართველოსთვის, სომხებისა და სომხეთისათვის, საქართველოს სომხური თემისთვის, ერთი სიტყვით, ყოველად სასიცოცხლო საზრდოს... დღევანდელ ურთულეს სამყაროში, კოსმოპოლიტიზმის გამძაფრებულ ვი-

თარებაში გზაჯვარედინებზე ჩვენი ურთიერთობების განვითარების თამასის აწვევა დიდად მნიშვნელოვანია... რასაც ყოველდღიურად ვგრძნობთ... საუკუნეების მანძილზე საქართველო-სა და სომხეთს არ დაჰკლებია საერთო მტრები, რომელთაგან დამაგრეველ ომებს არაერთგზის გადაუვლია, მაგრამ უთანასწორო ბრძოლებით იავარქმნილებს ერთად დგომის წყალობით გაგვიძლია და ცხოვრება გაგვიგრძელებია, ჩვენი მტრების ჯიბრზე ეს ყოველთვის ასე ხდებოდა. აი, რატომ არის აუცილებელი, რომ ჩვენს მეგობრობას თვალის ჩინივით უნდა ვუფრთხილდებოდეთ.

- ბოლო ხანებში თბილისში ორი ქართველი ისტორიკოსის, მეცნირებათა ორი დოქტორის გიორგი ბეჟიტაშვილის და მამუკა გოგიტიძის ერთობლივი წიგნი - „სომხეთის სამხედრო ელიტა“ (საქართველოდან წარმომავლობით სომეხი გენერლები), რაც სომხურ-ქართული ურთიერთობების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წვლილია, რომელიც თქვენი დაფინანსებით გამოიცა.

- დიას, და ამგვარი რამ ბოლო 25 წლის მანძილზე საქართველოში პირველად მოხდა. წიგნმა ფართო გამოხმაურება ჰპოვა როგორც საქართველოში, ისევე სომხეთში. ტექსტები ორ ენაზეა დასტამბული - ქართულად და რუსულად.

- და თქვენ გახდით, საერთაშორისო მრავალპროფილიანი აკადემიის აკადემიკოსი.

- არა, ეს აკადემიის სამეცნიერო წოდებათა მიმნიჭებელი კომისიის აკადემიკოსთა გადაწყვეტილებაა.

- მაგრამ თქვენ ხომ იურისტი ეკონომისტი ხართ?

- რამდენადაც მე ვიცი, მე, როგორც ჩანს, ანგარიში გამიწიეს როგორც სომხურ-ქართულ ურთიერთობებში გაწეული წვლილისათვის.

- საქართველოში რეგისტრირებულია დაახლოებით 150 სომხური არასამთავრობო საზოგადოებრივი ორგანიზაცია. თქვენ ხშირად ჩნდებით ხოლმე რამოდენიმე ასეთი ორგანიზაციის ღონისძიებებზე...

- ძირითადად მათ მიერ გამართულ კონცერტებს ვესწრები, წიგნების პრეზენტაციებს, მწერლებთან, საზოგადოებრივ მოღვაწეებთან შეხვედრებს... ამას რა სჯობია... მე ვფიქრობ, ეს საზოგადოებრივი ორგანიზაციების უპირველესი საზრუნავიც უნდა იყოს, რათა კომპაქტურად დასახლებულთა ინტეგრაცია ქართულ საზოგადოებებთან უფრო წარმატებული იყოს...

- ეს როგორ უნდა მოხდეს?..

- თბილისში, ალბათ, რთული სულაც არ არის, მაგრამ რაიონებში ამ საქმის - გამოცოცხლება ხომ აუცილებელია... საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა უნდა უხელმძღვანელონ ამას - რაც შეიძლება ხშირად უნდა ეწვიონ ადგილობრივი სომხობა თეატრებს, ოპერას, საკონცერტო დარბაზებს, მუზეუმებს და ა.შ. სკოლის სომხური მოსწავლე-ახალგაზრდობის ქართველ თანატოლებთან ურთიერთობებმა არ შეიძლება დადებითი შედეგი არ გამოიღოს. მათ მეგობრულ ურთიერთკავშირს თუნდაც ერთობლივად ჩატარებული კონცერტები, საერთო ოლიმპიადები, სპორტული შეჯიბრებები, ცხადია, განამტკიცებს. ქართველი ბავშვები მათი მეგობრებით ისტორიულ სამშობლოს, სომხეთს უნდა ეწვიონ, საპასუხო ვიზიტით ისინიც უნდა მოიპატიჟონ და ათასი რამ, სასიკეთო მოსწავლეობის პერიოდში, მაგალითისათვის, ამ საშური საქმეების თავის მომხმელები ჩვენი სკოლის პედაგოგები და ჩემი მშობლები იყვნენ ძირითადად. ახლა კი „სხვა“ დროა და ეს როლი საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმაც უნდა შეასრულონ...

- რამოდენიმე დღეში თქვენი დაბადების დღეა. რომელ რესტორანში აპირებთ გადახდას?..

- თქვენ წარმოიდგინეთ, ეს დღე რესტორანში არასოდეს გადამიხდია. ყოველთვის შინ, დედასთან, შინაურებთან და მეგობრების ვიწრო წრეში ხდება ეს... თანაც ყოველგვარი ხმაურის გარეშე... ახალ წელსაც სწორედ ასე ვხვდებით. ამ ძველთუძველეს ტრადიციას მამაჩემიც აგრძელებდა და დღემდეც ასე მოვიდივართ.

- ამბობენ, ყველა მეწარმეს უძილობა სჭირს... მსგავსი პრობლემს თქვენც თუ გაქვთ?

- ცუდად სძინავთ მათ, ვინც გადასახადების დაფარვებს ვერ ეგუება... ამ ძირითადი აუცილებლობის შეუსრულებლობა ადრეც არასოდეს მახასიათებდა. კარგად მძინავს. მშვენიერ სიზმრებსაც ვხედავ. ნათქვამია - „გადაიხადე გადასახადები და იძინე მშვიდად“-ო...

რაფიკ ალაჯანიანი ქველმოქმედია. მკითხველო, იხილეთ წიგნები, რომლებიც მან დააფინანსა:



ღალი კახიძე



პირველი ლექსი 20 წლის ასაკში დავეწერე. შემდეგ ისეთი დატვირთული ცხოვრების რეჟიმი მქონდა, არც მიფიქრია წერაზე.

როცა 50 წლის გავხდი, გამთენიისას 5სთ-ზე გონება გამინათდებოდა, ისეთი ლექსების კორიანტელი მოდიოდა თავში, მე თვითონ მიკვირდა. თუ არ დამეზარებოდა წამოვხტებოდი თბილი ღოგინიდან და ფურცელზე გადავიტანდი ჩემს ლამაზ ლექსებს და თუ დამეზარებოდა ძილს გავაგრძელებდი მაშინ დილით უკვე ჩემს მესხიერებაზე ისე წაიშლებოდნენ ეს ლამაზი ლექსები, რომ მე თვითონ მრცხვენოდა ჩემი თავის. ნუთუ შეიძლებოდა ის

დაუშვა, რომ ეს ულამაზესი ლექსები ქარს გავატანო? უფრო სწორედ სიზარმაცეს. ვწერდი და ვწერდი, ძალიან მიხაროდა. 60 წელი რომ შემისრულდა ისევ გამთენიას მუზა მოვიდა, უკვე ზღაპრების. 5 წელია ვწერ ზღაპრებს, რომლებიც მე ძალიან მიყვარს. ასე გავხდი ღალი კახიძე მეზღაპრე. ვარ 60 ზღაპრის ავტორი. ვგეგმავ ზღაპრების კრებული გამოცემა ჩემი პირველი ზღაპარია „ურძლები შვილის ზღაპარი“. რომელიც მიუძღვენი ჩემს უფროს ქალიშვილს, მაკას. ამ ზღაპარმა კანადაში გაიმარჯვა პირველ ტურში. მე-2 ტური გადაიდო მაისის თვეში. თუ ბედის ბორბალი საჩემოდ დატრიალდ და მე გავიმარჯვე, მაშინ კანადაში გადაიდებენ მულტ-ფილმს წინასწარ არ მინდა ამაზე ლაპარაკი, დაველოდოთ. ჩემი ზღაპრების უმრავლესობა რეალურ თემებზეა აგებული.

კიდევ ერთი ეპიზოდი ჩემი ცხოვრებიდან: 50 წლის რომ გავხდი სულ ვფიქრობდი: უკვე მოვიდა სიბერის წლები, რა მეშველება? – ვერ ვგუუბოდი ამ აზრს. გამოსავალი მოვიძებნე. 50 წლიდან 60 წლამდე ვიძახდი – 50 წლის ვარ. როგორ მიხაროდა, რომ არავის ეჭვი არ შეპარვია ჩემს ხრიკებში? – თუმცა მე ხომ მეზღაპრე ვარ?

ესლა 65 წლის ვარ და მივხვდი, ჩემს თავს ვუთხარი: – უფალმა ნეტა დამაბეროს ეს ხომ დიდი საჩუქარია? მეც გადავწყვიტე სიბერეს ფართოდ გავუღო კარები.

არ შეგვეშინდეს – მოვედით ამ ქვეყანაზე. ხომ ვიყავით ახალგაზრდები? უნდა დავბერდეთ და როცა უფლის ნება იქნება დავტოვებთ ამ ქვეყანას. უნდა ვეცადოთ, რომ დავტოვოთ ღირსეულად.

მტრელები
ზღაპარი

ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო და ხვთის უკეთეი რა იქნებოდა იყო ერთი მეტად უცნაური ოჯახი. უცნაურობა იმაში გამოიხატებოდა, დავტრიალებ მე მეზღაპრე ამ ოჯახს და ვერ ამოვსსენი ვინ არიან ეს ორი შესანიშნავი ცოლ-ქმარი. მოხუცებს ვერ დავარქმევ. მათ პირობითად ვუწოდოთ ასაკოვნები ბებია კატო და ბაბუა კაკო.



ესენი ცხოვრობენ ჩვენი საყვარელი ქალაქის პრესტიჟულ უბანში. შვილები, შვილიშვილები ცალკე ცხოვრობენ და იშვიათად სტუმრობენ, ვინაიდან 21-ე საუკუნეა და დრო ელვის სისწრაფით გარბის, უკან მოხედვასაც ვერ მოასწრებ, მეორე დღე თენდება სულ ეს არის იმის მიზეზი, რომ ხშირად ვერ სტუმრობენ ბებია-ბაბუას. ე. ი. დრო ...

8 წელია ბებია კატო თავის დიდ აივანზე ყოველ დილით 50-მდე მტრედს აპურებს.

ისე მიეჩვიენ მტრედები ამ საკვების რიტუალს, რომ ერთი და იმავე დროს დილის 8 საათზე მოეფინებიან აივანს და ნეტა მოგასმენიათ რა ჟღერტულით და ღუღუნით ელოდებიან თუ როდის ანთებს შუქს კატო ბებო და საკვებით დაანაყრებს ამ ღვთისგან მოვლენილ ულამაზეს არსებებს მტრედებს. სასწაული იცით რა არის? რომ მიირთმევენ საკვებს,

მერე მადლიერების გრძნობას ეტყობა ღულუნით გამოხატავენ. მწკრივში ჩადგებიან ღულუნებენ, შემდეგ ერთდროულად აფრინდებიან და..

კიდევ იცით რა არის სასწაული, სადამოს შემოივლიან ამ უზარმაზარ აივანს თუ კი რამ არის დარჩენილი აკენკავენ, გაასუფთავენ იქაურობას და შემდეგი დილისთვის გაამზადებენ.

გადავინაცვლოთ ბაბუა კაკოსკენ. ერთ დროს ძალიან მდიდარი ბაბუა კაკო ეხლა ძალიან დანაგრულად გრძნობს თავს. დაკარგა ყველაფერი უზარმაზარი ქონებები. ხელიდან გამოგლიჯა ავაზაკია ბრბომ და ეხლა ელოდება იქნებ რაიმე შეიცვალოს და დამიბრუნონ ყველაფერი აქ დავსვათ დიდი კითხვის ნიშანი?

დაელოდოს ბაბუა, იქნებ შემოტრიალეს ბედის ბორბალი? 8 წლის განმავლობაში ყოველ დილით ანთებს სანთელს, ევედრება უფალს. უფალი თუ საჭიროდ ჩათვლის მის ცხოვრებაშიც შემოანათებს დიდებული მზის სხივი და შემოსძახებს!

– გაიხარე კაკო ბაბუ სამართალმა იხეიმა. ჩვენც დაველოდოთ.

ვუსურვოთ კარგი სიბერე და დიდხანს სიცოცხლე ამ მოლოდინში მყოფ ადამიანებს.

კაცუსი (ზღაპარი)

ზღაპარ იყო ზღაპარ იყო და იყო ულამაზესი მხარე, საოცარი ადგილ-მდებარეობით გამოირჩეოდა ამ მხარეში სულ ცხელოდა. აქეთ ტყე, იქით ოკეანე. ძირითადად მოსახლეობა დაკავებული იყო მეთევზეობით.

ერთ-ერთ ოჯახს შეეუღლოთ კარი. ოჯახის მამა ნიკოლა შესანიშნავი მეთევზე იყო. დედა ნატაშას შესანიშნავი დიასახლისი, არაჩვეულებრივ ღვეზელებს აცხობდა, ქარგავდა. შვილები იგორი და კაცია. ბავშვები მუსიკალური ნიჭით იყვნენ დაჯილდოვებულები, არაჩვეულებრივად მღეროდნენ.


ტყეში ცხოვრობდა ჯადოქარი, რომელიც ღიზიანდებოდა წარმატებული ადამიანებით. გადაწყვიტა ბავშვები თავისთან წაეყვანა, რათა მათი სიმღერა მყუდროებას ურღვევდა.

მოსადამოვდა... ბავშვები ეზოს გარეთ ტყის პირას თამაშობდნენ ჩამობნეღდა, მაშინ მთვარემ თვალი გააპარა მზისკენ და... მოხდა სასწაული – გამოჩნდა ჯადოქარი, მან ბავშვები წაიყვანა ტყისკენ. ღრმად შევიდა ტყეში გაშალა ფრთები, ცხრა მთა გადაიარა ბავშვებთან ერთად გაუჩინარდა სამუდამოდ.

ჯადოქარს მოეწონა ბავშვები და მათი შესრულებული სიმღერაც. ფრინველთა ორკესტრი მოიწვია და ისეთი კონცერტები იმართებოდა გულს უხაროდა. ჯადოქარი სიმღერამ და მუსიკამ კეთილშობილ ფერიად აქცია, რომელიც ძალიან ზრუნავდა ბავშვებზე. ბავშვებიც ისე დაკავდნენ თავიანთი ვოკალით დრო არ ქონდათ დარდის.

ეხლა გადავხედოთ იმ ოჯახს, სადაც დიდი წუხილი იყო მშობლებისა. ძალიან განიცდიდნენ შვილების დაკარგვას. დედა სულ ლოცვაში იყო. უფალს ევედრებოდა შვილები ჯანმრთელები და ცოცხლები ყოფილიყვნენ. ნიშანი მომეცი დილო უფალო, რომ კარგად არიან.

გავიდა დრო – ერთ მშვენიერ დილას დედამ თვალები გაახილა და რას ხედავს – თეთრ ქოთანში, კაკტუსი – რომელშიც ორი ყვავილი გაშლილიყო: ვარდისფერი და თეთრი. კაკტუსი დედას ეძახდა: ძვირფასო დედა – ჩვენ ცოცხლები ვართ, კარგად ვართ. დიდი გრძნობაა დედა-შვილობა ძილი ნებისა ჩემო პატარებო.



სიმონ ზაქარაია

ონერ ძაძუა - 60

დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდა საქართველოს სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს შორის კარგად ცნობილ მეცნიერს, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორს, 40-მდე სამეცნიერო შრომისა და რამდენიმე გამოგონების ავტორს, სოხუმის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის პროფესორს, უდაოდ მისაბაძი და უდალატო მეგობარს ბატონ ონერ ლეონტის-ძე ძაძუას.

ბატონი ო. ძაძუა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ტრაგიკული კუთხიდან – აფხაზეთიდანაა. იგი დაიბადა 1955 წელს გალის რაიონის სოფელ ოტობაიაში. ისტორიული და არქეოლოგიური მასალების სიმრავლე უდაოს ხდის, რომ ოტობაია სხვა ზღვის სანაპირო სოფლებთან ერთად, როგორცაა ანაკლია, ფიხორი, გაგიდა, გუდავა (ზიგანეოსი) და სხვა წარმოადგენს უძველეს იმ კოლხური ცივილიზაციის ორგანულ ნაწილს, რომელსაც ბერძნული და რომაული მეცნიერული თუ მითოლოგიური წყაროები უხვად და დიდი სიამაყით იხსენებენ თავის ერისა და ქვეყნის ისტორიასთან ერთად.

სოფელი ოტობაია განთავსებულია საკმაოდ დიდ სივრცეზე, იგი მდებარეობს ენგურის დინების მარჯვენა სანაპიროზე, რაც ქმნის მეტად მშვენიერს, რბილ სუბტროპიკულ კლიმატს. აქ უძველესი დროიდან ხარობს ციტრუსოვნები, ფეიხოა, იაპონური ზღმარტლი და სხვა ზომიერი კლიმატის ხეხილოვნები და ბოსტნეული. ოტობაია მაინც გამორჩეულად თხილის ქვეყანაა, რომლის ხარისხი მსოფლიო სტანდარტისაა.

პეტერბურგის (მაშინდელი ლენინგრადი) ვაგილოვის სახელობის მემცენარეობის საკავშირო ინსტიტუტში ასპირანტურის დამთავრების შემდეგ 3 წლის განმავლობაში მუშაობამ მომიწია ოტობაიას ახალჩამოყალიბებულ ეთერზეთოვანი კულტურების საბჭოთა მეურნეობის ჯერ დირექტორის მოადგილედ, შემდეგ კი დირექტორად. ეს იყო გასული საუკუნის 70-იანი წლები, მაშინ ონერი და –მისი და-ძმა სკოლის მოსწავლეები იყვნენ. ბატონმა ლეონტი ძაძუამ და ქალბატონმა თინა ბენდელიანმა, როგორც სოფელ ოტობაიის მოსახლეობის მტკიცე ტრადიციის მქონე ოჯახმა ხუთი შვილი აღუზარდეს სამშობლოს (იყო 7-8 და 10 შვილიანი ოჯახებიც). ბატონი ლეონტი დიდებული ვაჟკაცი, ჩვენთან აგრონომად მუშაობდა, იყო უნაკლო, სპეტაკი და საქმის მცოდნე მეგობარი, ამიტომაც ვმეგობრობდი კიდევაც მასთან.

ლეონტი ძაძუამ აბსუა, ურდო ტომების მიერ სოფლის ოკუპაციას მის აოხრებას, ათასობით მოსახლეობის და ახლობლების გაუღებვის, გადარჩენილი ოჯახების გახიზვნას ვერ გაუძლო და დაიღუპა. ქალბატონი თინა დღესაც ოკუპირებულ ოტობაიაშია და თავის ორ ვაჟკაცთან – გურამსა და რაულთან ერთად ყურადღებას არ აკლებს ღირსეული მეუღლის საფლავსა და გადარჩენილ ოჯახის სხვა წევრებს.

სოფელი ოტობაია, სადაც 1000 (ათასი) კომლზე მეტი ცხოვრობდა, მუდამ ორი საშუალო სკოლა ფუნქციონირებდა, ამიტომ მოსწავლე ახალგაზრდობის სიმრავლით გამოირჩეოდა.

სწორედ ამ მშობლიურ სოფელში დაამთავრეს საშუალო სკოლა ონერიმ და მისმა და-ძმებმა.



ონერ ძაძუა

1973-77 წწ. ო. ძაძუა სწავლობდა და წარმატებით დაამთავრა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის სუბტროპიკული მეურნეობის ფაკულტეტი..

მან, როგორც მოწესრიგებულმა ახალგაზრდამ, ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ 1978-1979 წწ. სამხედრო სავალდებულო სამსახურ გაიარა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

1979-84 წ.წ. ო. ძაძუა ჩაის, ციტრუსებისა და სხვა სუბტროპიკული კულტურების სრულიად საკავშირო კვლევითი ინსტიტუტის სოხუმის ფილიალის თანამშრომელია, ხოლო 1984-89 წწ. იყო ამავე ინსტიტუტის ასპირანტი.

1991 წელს მან დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და იმდროინდელმა მოსკოვის უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ მიანიჭა მას სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. ონერი ძაძუა მონაწილეა მრავალი საკავშირო გამოფენისა მოსკოვში, მისი ერთ-ერთი გამოგონება დაჯილდოვდა ოქროს მედლით.

1979-1991 წლებში იყო ზემოხსენებული საკავშირო კვლევითი ინსტიტუტის სხვადასხვა თანამდებობებზე, ხოლო 1992 წლიდან, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელია.

1994-96 წლებში ო. ძაძუას ნიშნავენ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში, ჩაის, ციტრუსებისა და სხვა სუბტროპიკული კულტურების განყოფილების უფროსად.

2008-2010 წ.წ. ონერ ძაძუა გადაჰყავთ სააქციო საზოგადოება „ქართლი გაზი“-ს გენერალურ დირექტორად.

2010 წლიდან ონერი ძაძუა, საქართველოში მოქმედი შპს „საქართველოს ნერგები“-ს ჯერ კონსულტანტი, ხოლო შემდგომ მთავარი სპეციალისტია.

დიდი სიამოვნებით მინდა ავღნიშნო ის ჭეშმარიტი ფაქტი, რომ ბ-ნ ონერი ძაძუა არის დაუზარელი, კვალიფიციური და მაღალი პასუხისმგებლობის მქონე პიროვნება, როელიც მუდამ მოწოდების სიმაღლეზეა.

2014 წლიდან იგი არჩეულია „ფაზისის“ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად - აკადემიკოსად.

ჰყავს მეუღლე - ლირა პატარაია, იგი მედიცინის მუშაკია, აფხაზეთის ომის მონაწილე, ვეტერანი, ქალიშვილი სოფიკო ძაძუა, პროფესიით იურისტია, სიძე გიორგი ივანიშვილი თბილისის პოლიტექნიკური უნივერსიტეტის მე-4 კურსის სტუდენტი, საქართველოს ფრენბურთის ეროვნული ნაკრების წევრი, რამდენიმე საჯარო სკოლისა და თბილისის სახელმწიფო პოლიტექნიკური უნივერსიტეტის ფრენბურთელთა გუნდის მწვრთნელია. ოჯახის გამახარებელი – ონერის შვილიშვილი დაჩი ივანიშვილი, მალე 2 წლის გახდება.

ონერ ძაძუას, მისი მეგობრები და თანამოაზრენი ვუსურვებთ ჯანმრთელობას და დღეგრძელობას, როგორც მეცნიერებაში ასევე საზოგადოებრივ ასპარეზზე აქტიურად მუშაობას და რაც მთავარია თავისი კუთხე- მამულში აფხაზეთში ღირსეულად დაბრუნებას.

გაზეთ „მამულის“ რედაქტორი და გამომცემელი (კანადა)

ალექსანდრე (ალეკო) ჩაჩანიძე

მასალა ჟურნალ ათინათისათვის მოამზადა მეცნიერებათა დოქტორმა

პროფესორმა **ონერ ძაძუამ**

**ღვთიური სიყვარულის ძარღვ, ანუ შორეულ კანადაში
ქართველი ემიგრანტების მართლმადიდებლური
მრწამსის აღზევება....**

გასული წლის იანვრის თვეში ბატონ სიმონ ზაქარაიამ გადმოცა კანადის ქ. ტორონტოს ქართველთა ყოველთვიური გაზეთი „მამულის“ რამდენიმე ნონემერი (ვანკუვერის ბიუროს ხელმძღვანელი და გამომცემელი დავით ხუფენია, გაზეთის მთავარი რედაქტორი ალექო ჩაჩანიძე), სადაც მოთავსებულია საინტერესო სტატიები ჩვენი თანამემამულე ემიგრანტების ცხოვრებაზე, მათ პრობლემებზე თუ უკვე დასტაბილურებულ ყოველდღიურობაზე.

რა თქმა უნდა გაზეთი „მამულის“ თითქმის ყოველ ნომერში გამოქვეყნებულია ბ-ნ სიმონ ზაქარაიას კვალიფიციური და სინტერესო სტატიები ჩვენი უძველესი წინაპრების (პელაგები, ეტრუსკები, იბერები, ტროელები, შუმერები, საკუთრივ კოლხები) მიერ შექმნილი მაღალი კულტურის ცივილიზაციის შესახებ, რაც უდაოდ პაერივით სჭირდება შორეულ კონტინენტზე მცხოვრებ ჩვენი თანამემამულეების ფსიქოლოგიურ განწყობილებას.

მაგრამ მე ამ სტატიაში მკითხველების განსაკუთრებული ყურადღება მინდა გავამახვილო მთავარზე – გაზეთ „მამულის“ თითქმის ყოველ ნომერში კანადაში მართლმადიდებელი ერთადერთი ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის დამაარსებლისა და მისი წინამძღვრის მამა პავლეს (მოქალაქეობში პაატა ზაქარაია) ღვთიური სიყვარულით აღსავსე მიმართებზე იქ მცხოვრები ჩვენი თანამემამულეებისადმი. წინამძღვრის მიმართვის მიზანია სამშობლოს, ახლობლებს და ოჯახებს მოშორებული ქართველი კაცი გაამხნევოს, გააძლიეროს და დაარწმუნოს, იმაში რომ ის იქ მარტოდ არ არის, ამ შორეულ ქვეყანაშიც მათზე ლოცულობენ, ღმერთს შესთხოვენ მათ ბედნიერ მომავალზე.

მე აქვე მოვიტან გაზეთ „მამულიდან“ ერთ-ერთ სტატიას, რომელიც მამა პავლეს ახლახან კანადიდან სამშობლოში გამომგზავრებსთან არის დაკავშირებული.

ეს ის სტატიაა, რომელიც მოგვითხრობს კეთილშობილობაზე, ღვთიურ სიყვარულზე, რაზედაც მკითხველს თავად შეექმნება წარმოდგენა.

გზა მშვილობისა მოძღვარო!

აგერ უკვე 23 წელი ხდება, რაც სამშობლოდან წამოვედი, რა არ გადამხდარა თავს, რამდენი საინტერესო და საოცარი ადამიანი შემახვედრა ცხოვრების გზაზე ღმერთმა, ბევრმა მათგანმა წარუშლელი კვალი დაატყო ჩემს ცხოვრებას. დღეს სიამოვნებით და სიამაყით მინდა გესაუბროთ ერთ-ერთ გამორჩეულ პიროვნებაზე, ვინც არა მარტო ჩემს, არამედ მრავალი ემიგრანტის ცხოვრებასა და მოღვაწეობას განსაკუთრებული აზრი მიანიჭა. სიამოვნებით იმიტომ, რომ არ შეიძლება მიანიჭო ადამიანს იმაზე მეტი სიამოვნება, რაც მისთვის სულიერი საზრდოს გაზიარებაა და სიამაყით, რადგან სხვებთან ერთად ასეთი ადამიანის სიახლოვეს რამდენიმე წელი მომიწია არსებობა. ეს პიროვნება კანადაში პირველი და ერთადერთი, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის დამაარსებელი და მოამაგე, ქართველ ემიგრანტთა დიდი ნაწილის სულიერი მამა და მეგობარი – დეკანოზი პავლეა (პაატა ზაქარაია).

იშვიათად შევხვედრივარ ადამიანს, რომელიც ასეთი რუდუნებითა და საქმის ერთგულებით ასრულებს თავის მოვალეობას, სამშობლოდან გადმოსხვეწილი ათასი მსოფლმხედველობის, პოლიტიკური შეხედულებების, აღზრდის, მრწამსისა თუ ყველაფერი ამის უქონელთა სულიერ მწყემსად მოგვევლინა მამა პავლე ტორონტოში. როგორც ყოველი საქმე, რასაც საფუძველი ახლად ეყრება, კანადის ქართველთა რჯულზე მოყვანა და ეკლესიური ცხოვრების გაზიარებაც იმდენად ძნელი და შრომატევადი მიაჩნდა ყველას, რომ დასაწყისში მრავალი ჩვენგანი სკეპტიკურად უყურებდა საქართველოდან მოვლინებული დეკანოზის გულმოდგინე მცდელობას. ამ პერიოდში მე კანადაში არ ვიმყოფებოდი და გადმოცემით ვიცოდი, რომ მამა პავლე კარდაკარ, ქუჩა-ქუჩა აგროვებდა ქართველ ქრისტიანებს, ნათლაგდა მათ შვილებს, ქადაგებდა ჭეშმარიტი რელიგიის უზენაესობას და ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწვედა აქაურთა გულებისაკენ.



ჩემი პირველი შეხვედრა მამა პავლესთან, მისი ძალისხმევით გახსნილ მცირე ეკლესიაში მოხდა, მანამდე ასეთი რუდუნებით და სითბოთი განმსჭვალული წირვ-ლოცვა მე არ მინახავს. შესანიშნავი ქართული საგალობლები, რომელსაც რამდენიმე ადამიანი ასრულებდა ისე ორგანულად ჯდებოდა ლოცვაში თავი სამოთხეში გეგონებოდათ მამაოს წირვას მედავითნის ლოცვა ენაც

ვლებოდა, მერე ისევ საგალობლები და...სულგანაბული ვუსმენდი და მიხაროდა, რომ მეც ამ ამაღლებული ზეიმის ნაწილი ვიყავი, წირვის შემდეგ ვიკითხე რომელი ქრისტიანული დღესასწაულია მეთქი დღეს და ახალგაზრდა სტიქაროსანმა მორიდებული ღიმილით მიპასუხა კვირაო. აღმოჩნდა, რომ ღვთისმშობლის სახელობის ქართული ეკლესია ტორონტოში მისი წინამძღვრის თაოსნობით ყოველკვირეულად აღასრულებს წირვას, ყოველ შაბათს ღოცვებს, ყოველ ოთხშაბათსა და პარასკევს საეკლესიო მსახურებას. აღარაფერს ვამბობ ქრისტიანული დღესასწაულების დროს ჩატარებულ მსახურებაზე. ბევრად უფრო დიდი ქართული დიასპორის მქონე ქვეყანაში ვერ ნახავთ ქართველ ბავშვებს, რომლებიც საქართველოს ფარგლებს გარეთ დაიბადნენ და ასეთი გულმოდგინებით ღებულობენ ზიარებას, გალობენ ქართულ საგალობლებს და რაც მთავარია სწავლობენ ისევ და ისევ მამაო პავლეს თაოსნობით შექმნილ საკვირაო სკოლაში. დიდი მადლობა ამ ადამიანს იმ უსაზღვრო სიყვარულისათვის, რაც მან კანადის ქართველებს გვაჩუქა, რითაც გაგვაერთიანა და ერთ მუშტად შეგვკრა დაქსაქსული და ერთმანეთზე დამდურებული ემიგრანტები. მადლობა იმისათვის, რომ თავისი წვრილშვილი და მეუღლე საქართველოში ყავდა და ჩვენ აქ გვიწვედა სულიერ მამობას და მეგობრობას.

ყველაფერს თავისი დრო აქვს, ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასასრული, სულ ცოტა ხანში საქართველოს საპატრიარქოს გადაწყვეტილებით მამაო პავლე საქართველოში მიემგზავრება, ალბათ უფრო საჭირო და საპატიო მისიის შესასრულებლად, აქაც გამოჩნდა მისი ჩვენდამი სიყვარული და მზრუნველობა, მრევლს თავის მაგივრად ადგილზე აღუზარდა სულიერი მწყემსი, რომელიც იმედია კარგად გაართმევს თავს დაკისრებულ ვალდებულებას.

დასაწყისი და დასასრული მეთქი ვწერდი, არა, დეკანოზი პავლეს საქართველოში გამგზავრება ნამდვილად არაა მისი აქაური საქმეების დასასრული, რადგან კელაპტარი მისგან დანთებული, უკვე ნამდვილად აღარ ჩაქრება, ვიდრე კანადაში ერთი ქართველი, მართლმადიდებელი ქრისტიანი მაინც დარჩება.

მშვიდობით გატაროთ ღმერთმა მოძღვარო!”



ცარილები



ტიტე მოსია



ბიბლიური პერსონაჟები და აპოლოგიური კაპიოგრაფიაში

ქართველ ჰაგიოგრაფებს თავიანთ თხზულებებში მიზანმიმართულად შემოჰყავთ ბიბლიური პერსონაჟები. ასევე, როგორც ზემოთაც ვახევენთ, საღმრთო წერილის ტექსტებიდან ციტირებისას უმეტეს შემთხვევაში ასახელებენ ბიბლიურ წიგნთა ავტორებს. ამიტომ ისინიც „თანაპერსონაჟებად ვიგუფვით. ჯერ სახელდობრ გავეცნოთ ბიბლიურ პერსონაჟებს, რომლებიც ქართულ ჰაგიოგრაფიაში დამკვიდრებულან: აბელი, აბრაამი, ადამი, ანა, არონი, ებერი, იაკობი, ისაკი, იოსები, ისმაილი,

იეზაბელი, ნოე... ახლა კი დავასახელოთ ბიბლიურ წიგნთა ავტორ-წინასწარმეტყველნი, რომელთა ანრდილები ჰაგიოგრაფებს გამოუხმიათ: ბარუქი, დავითი, დანიელი, ეზეკიელი, ესაია, ზაქარია, ზირაქი, იერემია, იობი, ისუ ნავე, იუდა, მოსე; სოლომონი, მათე, მარკოზი, ლუკა, იოანე, იონა, პავლე, პეტრე.

ბუნებრივია, ბიბლიურ პერსონაჟთა და ავტორთა გამოჩენა ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში სტიქიურად არ ხდება. მათ თავიანთი ფუნქცია აკისრიათ. ამასთანავე, ნებისმიერ ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებს ეს ყოველივე ღირსებას მატებს და ბიბლიურ სამყაროში აბრუნებს, ხელს უმართავს ჰაგიოგრაფიულ მწერალთა თვალსაზრისს განმტკიცებას, მათივე იდეოლოგიურ-მსოფლმხედველობრივ პოზიციას. ასევე მკითხველში აღძრავს მძაფრ წადილს ბიბლიით უფრო დაინტერესებისა.

„ევსტათის წამების“ ავტორი ჰყვება რა ბიბლიის მოკლე შინაარსს, შეგვასხენებს: „და ესვა ბრაჰამს ისაკი და ისაკს – იაკობი, და იაკობს ესხნეს ათორმეტნი ძენი“. „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ გიორგის დის თეკლას გარდაცვალების შემდეგ ავტორს მკითხველის ყუარდლება გადააქვს მის შვილებზე და შესაღარებელ საგნად იყენებს ბიბლიურ აბრაამსა და იაკობს: „საშთეს სამნივე იგი ძენი მისნი და წარემართა უფლებად მათი, და იკურთხა თესლი მათი, ვითარცა აბრაჰამი და იაკობისი“. ამ შედარებით ბასილ ზარზმელი სამივე ძის მომავალზე გვიქმნის სრულ წარმოდგენას. ან კიდევ: „კურთხევითა საღმრთოთა აკურთხნა სამნივე იგი ყრმანი მსგავსად სამთა ყრმათა აბრაამიანთა“. აბრაამის სახეს ვხვდებით „იოანე ზედაზნელის ცხოვრებაშიც: „რომელმან-იგი ოდესმე აბრაამს უწოდა და ჰრქუა“...

აბრაამის პიროვნება „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ პოპულარობით სარგებლობს. წმ. გრიგოლს ეპისკოპოსობა ხორციელ დიდებად მიაჩნდა და გადაწყვიტა, გაცლოდა ფიზიკურად მათ, ვინც მის გაეპისკოპოსება მოისურვა: „ხოლო ნეტარმან გრიგოლ, ვითარცა იხილია თავი თვისი ჳორციელად დიდებასა შინა, ფრიად წუხდა გული მისი და განიზრახა ფარულად სივლტოლად თვისით ქუეყანით საღმრთოთა წოდებითა“... სწორედ ამ მომენტში დასჭირდა გიორგი მერჩულეს აბრაამის ანრდილის გამოწვევა ბიბლიის ფურცლებიდან, რათა უფრო შთამბეჭდავად ნათელი მოჰფიონოს სათქმელს: რომელიცა (ღმერთი – ტ.მ.) უძლოდა მას მამამთავრისა აბრაჰამისა სახედ, და ვითარცა ისრაელი უდაბნოდ, არამედ აბრაჰამ ქუეყანისა მისგან ურწმუნოთა ნათესავთადას განაშორა ღმერთმან“. გრიგოლ ხანძთელი ღმერთს შესთხოვს, აკურთხოს გრიგოლ დაფანხული და მისი ოჯახი, ისე როგორც აკურთხა აბრამ მამათმთავრის და ნოე მართლის სახლი: „ვითარცა აკურთხე სახლი ნოე მართლისა და ბრაჰამ მამათმთავრისა“. ამავე ნაწარმოებში აბრაამის სახე ისევ შედარების ობიექტადაა გამოყენებული: „მსგავსად აბრაჰამისა, მეცა, გლახაკსა, მწადლოდა ხილვად და თაყუანის-ცემად თქუენი“. ან კიდევ: „და ვითარცა-იგი აბრაჰამისთვის უფალი იტყვის: „აბრაჰამსა სწადოდა ხილვად ნათლისა ჩემისა, იხილა და განიხარა“. მწერლის მიერ ეს ციტატა ამოღებულია იოანეს სახარებიდან (8,36). გიორგი მერჩულე შესაღარებელ საგნად სხვაგანაც მიმართავს ამ ბიბლიურ პერსონაჟს: „გულისხმა-ყავთ, ვითარცა იგი ბრაჰამ მამათ მთავარმან“...

„იოანე ზედაზნელის ცხოვრების“ ავტორი ორ ადამს უპირისპირებს ერთმანეთს. ცოდვილ პირველ ადამს და ამ ცოდვების ჯვარცმით გამომსყიდველ მეორე ადამს, ანუ იესო ქრისტეს: „მოსვლითა ქრისტეს ღმრთისა ჩუენისაჲ, რომელი იგი იშუა ქალწულისაგან, მეორე ადამ, ბუნებითა მით პირველისა მის ადამისითა თვინიერ ხოლო ცოდვისა“. „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების“ მიხედვით, მიქელ პარეხელმა ნეტარ სერაპიონს მისცა „რტომ ბადადსაჲ“ და მოუწოდა მისი დარგვისკენ ეკლესიის მახლობლად. მისი განდევლება მომასწავებელი იყო იქაური მიწის ნოყიერებისა. სერაპიონი ასეც მოიქცა. „ხოლო შემდგომად მცირედისა განედლდა და რტო-გარდაფენით ქადაგებდა დიდებულისა მას საწაულსა“. აქვე ჩართულია ბიბლიური არონის კვერთხის სასწაული, რომლის ანალოგიით იმოქმედა მიქელ პარეხელმა: „რომელმან-იგი რტომ ბადადსაჲ განკმელი ფურცის-მშობლად გამოაჩინა მსგავსად განკმელისა მას ჳელისა, რომელი იგი განკურნა უფალმან, და აპრონისა მიერ განედლებულისა მის კვერთხისა, და კუალად ხისა მის“...

არონის საკვირველ კვერთხს ბიბლიაში ვეცნობით (რიცხ. 17,7-10). მოსე იყო უდაბნოში მოხეტიალე ებრაელთა წინამძღოლი, ხოლო არონი მღვთელმთავარი. კორეს, დათანს და აბირონს შურდათ მათი და აუხირდნენ კიდევ. არონი უფლისმიერ ამორჩეული მღვდელმთავარი იყო, რაც მოსემ მოქიშპეებს ასე დაუსაბუთა: ღვთის კარნახით მოსემ ებრაელთა თორმეტივე ტომის წარმომადგენელს მოატანინა 12 კვერთხი (თითო კვერთხი თითოეული ტომიდან), ზედ წარწერილი მათივე სახელებით. ეს ჯოხები და არონის ჯოხი დააწყო „კარავსა მას შინა საწამებლისასა“. კვერთხის მომტანნი წინასწარ გააფრთხილა მოსემ: თქვენი და არონის კვერთხთაგან, რომელიც განედლება, ის იქნება უფლის მიერ ამორჩეული პიროვნება. „და აჰა ესერა, კვერთხი იგი აპრონისი განედლებული იყო სახლისა და ზედა ლევისსა და მოედო ფურცელი და გამოედო ყოუავილი და გამოსცა ნიგოზი“ (რიცხ. 17,8).

ფებრონია წმ. გრიგოლის დედას ანა წინასწარმეტყველს ადარებს: „რამეთუ გხედავ, ვითარცა ანნა წინასწარმეტყველსა, რომელი არა განეშორებოდა ტაძრისაგან უფლისა დღე და ღამე ლოცვითა და მარხვითა. ეგრეც შენ მცნებათა ღმრთისათა დამტკიცებული ჰგიე მარადის და „ნაყოფისაგან საცნაურ არს სიკეთე ხისაჲ“.

ბიბლიური დავით წინასწარმეტყველი, ანუ ფსალმუნთა წიგნის ავტორი, ქართული ჰაგიოგრაფიის ყველაზე პოპულარული სახეა. მისი ხატება გაიელვებს ჯერ კიდევ „შუშანიკის წამებაში“ ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში იმდენი ციტატა, პასაჟი, გამონათქვამი არის მოხმობილი ფსალმუნთა წიგნიდან, ყველა მათგანის ამოწერა ან მასზე მსჯელობა შორს წავიყვანდა. ჰაგიოგრაფები იქ იმოწმებენ მას, სადაც ყველაზე მეტად სჭირდებათ სათქმელის გასაგრძელებლად ან დასავგირგვინებლად. მითუმეტეს ჩვენს ამ მოკრძალებულ ნაშრომს აქამდეც არაერთხელ იქნა დამოწმებული „დავითიანიდან“ ურიცხვი საილუსტრაციო მასალა. კონკრეტულ შემთხვევასი მხოლოდ რამდენიმე ნიმუშის ჩვენებით შემოვიფარგლებით. „იოანე ზედაზნელის ცხოვრების“ ავტორი ღმერთის მგმობელ თავხედებს აფრთხილებს და შთააგონებს დავით წინასწარმეტყველის ენით: „სიტყვითა უფლისაჲთა ცანი დაემტკიცნეს და სულითა პირისა მისისაჲთა ყოველი ძალი მათი“ (ფს. 32,6). დავით გარეჯელი ბოროტ-მოქმედ ვეშაპს კვერთხით მუცლის გამოფატრვით დაემუქრა და უდაბნოდან მისი აგძეგება მოიწადინა. უდაბნოდან შორს წასვლას დათანხმებულმა ვეშაპმა თხოვა დავითს წინ გაძლოლოდა („ადმომყევ თავადვე ამის მთისა“...): „წმიდაჲ დავით წინა უძლოდა და იტყოდა ფსალმუნსა: „რომელ დამკვიდრებულ არს შეწევნითა მადლისაჲთა საფარველსა ღმრთისა-სა, ზეცას განისუენოს“ (ფს. 90,1).

გიორგი მერჩულეს აღმზრდელთა და დედის მხრიდან წმ. გრიგოლის მღვდლად კურთხევის განზრახვის ჩვენებისას მოუხდა ბიბლიიდან დავით ფსალმუნთმგალობლის გამოხმობა: „აჰა, მოიწია უამი წინასწარმეტყველის დავითის თქმულისაჲ, რომელსა იტყვიოთ: „ვინ აღვიდეს მთასა უფლისასა, ანუ ვინ დადგეს ადგილსა წმიდასა მისსა, არამედ უბრალოდ ჳელითა და წმიდაჲ გულითა“ (ფს. 23,3-4). საბა იშხნელის, თევდორეს, ქრისტეფორეს და გრიგოლის საღმრთო სიყვარულით შეკავშირება-შემტკიცებისას გახარებული წმ. გრიგოლი დავითის ენით იტყვის: „მაშინ ნეტარმან გრიგოლ თქუა სიტყუად იგი დავითისი, ვითარმედ: „რაჲ-მე კეთილ ანუ რაჲ-მე შუენიერ, არამედ დამკვიდრებაჲ ძმათაჲ ერთად“ (ფს. 132,1). ასევე „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ ერთგან ვკითხულობთ: „რომელთათვისცა თქუა ნეტარმან გრიგოლ სიტყუად იგი დავითისი, ვითარმედ: „განცხადებით ღმრთისა სიტყუათაჲ

განმანათლებელ არს და გონიერ ჰყოფს ჩნვლთა“ (იხ. ფს. 118,130). მხოლოდ ერთი ნიმუში „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებიდან“: „და კუალად მამად ღმრთისად დავით იტყვის: „ამისათვის განიხარა გულმან ჩემმან და გალობდა ენად ჩემი“ (შდრ. ფს. 15,9).

მკითხველს კიდევ ერთხელ შევახსენებთ, რომ ქართულ ჰაგიოგრაფიაში ბიბლიის ავტორთა და ბიბლიურ პერსონაჟთა ჩვენებას მივმართავთ ანბანის რიგის მიხედვით და ვაფიქსირებთ თითო-ორი ნიმუშს, რათა ციტატებით ისედაც გადატვირთული ნაშრომი კიდევ უფრო არ გადაიტვირთოს. დავითის შემდეგ „ვესტუმროთ“ დანიელ წინასწარმეტყველს. წმ. გრიგოლის დახასიათებისას გიორგი მერჩულე იტყვის: „რამეთუ არა იყო, ვითარცა ჭაბუკი, მზუაობარ და ჭამადთა გულის-სათქუმელთა მოყუარე, არამედ თავით თვისით სანიელ წინასწარმეტყველისა სიტყუასა იტყვიან, ვითარმედ: „პური გულის სათქუმელი არა ვჭამო“ (იხ. დან. 10,3). წმ. გრიგოლს აშოტ კურაპალატის მოკვლის გაგებისას უმაღლესი იუდა ისკარიუდელის სახით დაუდგა თვალწინ. იგი გლოვით ამბობდა: „მეფეო ჩემო, ძლიერო და დიდებულო, სიმტკიცეო ეკლესიათაო და ზღუდეო ქრისტიანეთაო... აწ ვითარმე მიეცი ჳელსა შეურაცხთა უმჯულოთა და უნდოთა კაცთასა, რომელნი-იგი იუდაის მსგავსად შენ უფლისა თვისისა მკვლელ იქმნეს მოსაკუდინებლად ჩუენ“... მეფის აზნაური გაბრიელი შესთხოვს ნეტარ გრიგოლს, აკურთხის მისი შვილები, როგორც ისრაელმა ბიბლიური იოსების ძენი აკურთხაო: „და ჰრქუა ნეტარსა გრიგოლს: „წმიდაო ღმრთისაო, აკურთხენ ესენი წმიდათა ჳელთა შენთა დასხმითა; ვითარცა ისრაელ იოსების ძენი აკურთხნა, ვგრეთვე შენ ყოველნი შვილნი ჩუენნი აკურთხენ ჩუენ, მშობელთა მათთა თანა“.

როგორც ვხედავთ, ხშირ შემთხვევაში ჰაგიოგრაფები ბიბლიურ პერსონაჟებს თუ ბიბლიის ავტორებს შედარების ობიექტად მიმართავენ. „წმ. ნინოს ცხოვრებაში“ ვკითხულობთ: „ჩუენებად შენი არს მსგავს ჩუენებისა იაკობისსა, რამეთუ ადგილი ესე შენ მიერ იქმნეს სამოთხე უკუნისამდე“. ბასილ ზარზმელი სათქმელს ასრულებს იაკობ მოციქულის სიტყვებით: „არამედ სიტყვისაებრ იაკობ მოციქულისა: „თანა-გუაც ძმათმოყუარებით, რადთა ყოველთა ულოცოთ, და უფალმან ყოს ღმრთისად ამის“ (შდრ. კათ. ეპ. იაკობ. 5,14-15). გიორგი მერჩულე დუმილის მნიშვნელობაზე იაკობ მოციქულს იმოწმებს: „უმჯობეს დუმილი არს, ვითარცა თქუა იაკობ მოციქულმან, ვითარმედ: „ნუ მრავალნი ჰმოდღურთ, ძმანო“ (იაკობ. 3,1).

ბასილ ზარზმელის სამცხის მავრის (გამგებლის) დახასიათებისას შედარებისთვის ბიბლიურ იობს იგონებს, ანუ იმ სიტყვებს შეაცევეს, რაც იობზეა ნათქვამი: „ვითარცა იობისთვის წერილს არს: „ჳეშმარიტად მადალ და უბრალო“ (იხ. იობი, 1,1). წმ. სერაპიონი თავის ძმასთან (ოვანე) საუბრისას იხსენებს მოსეს მიერ ებრაელთა წინამძღოლობას ეგვიპტელთა ტყვეობიდან თავდახსნის შემდეგ, რომელსაც თანაშემწეებად მოუვლინა ბესელიელი და ელიაბი: „ვინადგან ახალსა ამას მოსეს ებრძანა ახლოსა ისრაელის წინამძღურობად, ამისთვის უწმედეს თანა-შემწედ საქმესა მის კარვისა ახალნი ბესელიელ და ელიაბ (იხ. გამოს. 36,1)... რომელი მასევე მოსეს, ნაპრალსა კლდისასა დაფარულსა ეტყოდა: „მე ვარ, რომელი იგი ვარ“ (შდრ. I კორპ. 15,10) და მთასა ზედა თაბორსა მოსეს და ელიას თანა ზრახვიდა, თავთა მათ თანა მოწაფეთასა“.

„წმ. ნინოს ცხოვრებაში“ მოწოდებისათვის გაისმის: „ადვასრულოთ მცნებად ღმრთისა და მოსესი“. აქვე ვკითხულობთ: „ისწავლეთ ერთი სიტყუად მოსესი, რომელი თქუა: „რომელმან ქუეყანასა ზედა თქუას ღმრთად თავი თვისი, ძელსა დამოეკიდოს“ (II შჯ. 21,23). „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ იმოწმებს მოსეს ნათქვამს: „ვითარცა მოსე იტყვის: „რასა ითხოვს ღმერთი შენგან, ჳ ისრაელ, არამედ რადთა გაშინოდის მისა“ (II შჯ. 10,12). იქვე დართულია სოლომონის იგავიდან: „რამეთუ შიშმან უფლისამან შეწინის დღეთა“ (იგ. 10,27). აქვე ვეცნობით კიდევ ერთ ამონარიდს: „ვითარცა იტყვის სოლომონ, რამეთუ: „სიბერისა პატიოსნებად არა მრავალი ჟამი არს, და არცა რიცხვი დღესად აღრიცხულ, ხოლო მჯცოვანებად არს გონიერებად კაცისად“... ამავე ნაწარმოებში კიდევ ერთ აფორიზმს სოლომონ ბრძენის ნააზრევიდან: „მათ ვერ გულისგმა-ყვეს, ვითარმედ: „ბრძნად მეტყუელებად ვერცხლი არს წმიდად, ხოლო დუმილი ოქროდ რჩეულ“, ვითარცა თქუა სოლომონ“.

როგორც ითქვა, ფსალმუნთა წიგნთან ერთად, სხვა ბიბლიურ წიგნებთან შედარებით, გულუხვად არის გამოყენებული პარაგრაფში სათანადო ნაწყვეტები პავლე მოციქულის ეპისტოლეებიდან (თითქმის ყველა – 14-ვე ეპისტოლედან). ასე რომ, სხვა ბიბლიურ

ავტორებთან ერთად ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში პავლე მოციქული თავისი ციტატებითურთ ერთ-ერთ გამჭოლ პერსონაჟად შემოდის, იმდენად უწევს შეხვედრა მკითხველს მის სახელთან. აქ, ცხადია, მხოლოდ რამდენიმე ნიმუშზე გავამახვილებთ ყურადღებას: „ხოლო ოქროდაედონი ეკლესიისად პავლე ჳმობს: „გიხაროდენ მარადის უფლისა მიერ და კუალად გეტყვი: გიხაროდენ მარადის უფლისა მიერ და კუალად გეტყვი: გიხაროდენ“ (იხ. ფილიპ. 4,4); ეს ციტატა დამოწმებულია ბასილ ზარზმელის მიერ. იმავე „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ შეხვედებით ასეთ პასაჟს: „ვითარცა იგი პავლე, პირი ქრისტესი, იტყვის: „რამეთუ არს სარწმუნოებად მოსავთა მისთა ძალ საქმეთა მამხილებელ არა ხილულთა, რამეთუ ამას შინა იწამნეს მოხუცებულნი“ (ებრ. 11,1-2). ან კიდევ: „მოუხსენა სიტყუად იგი პავლესი, რომელ იტყვის, ვითარმედ: „ზიერთა უძღურნი იტყვისთენით“ („იოანე ზედაზნელის ცხოვრება“, შდრ. რომ. 15,1). ჰაგიოგრაფს არც პეტრე ავიწყდება: „ხოლო რომელმან ავლინა პეტრე ზღუასა ზედა, ვითარცა ჳმელსა ქუეყანასა“ („შო მღვიმელის ცხოვრება“. შდრ. მათე, 14,29).

ახლა გავეცნოთ ბიბლიური სიუჟეტებისა თუ ეპიზოდების ჩვენებას ჰაგიოგრაფიაში. ჩვენი ავტორები ბიბლიურ სიუჟეტებს გამიზნულად მიმართავენ, რაა მკითხველს ღრმად და ნათლად გააახრებინონ ჩანაფიქრი, მოარგონ ისინი სათქმელს. პირველ რიგში ჩაუკვირდეთ სტეფანე მტბევარის მიერ „გობრონის წამებაში“ მოხმობილ ბიბლიური წარღვნის ღეგენდის არსს. თხზულებაში ვეცნობით არაბთა სარდლის აბულკასიმის ამოხრებელ შემოსევებს ჯერ სომხეთში, შემდეგ კი ქართლში. ავტორის მრწამსით. თურმე ღვთის რისხვა სამართლიანად დასტყდომია თავს სომეხ ხალხს: „მიწად იგი სომიხითისად ამპარატავან, და მკვიდრნი მისნი ცუდად მზუაობარ, ანგაპარ, ლად და ცოდვის-მოყუარე, უწყალო, უყუარულ და ყოვლითა უკეთურებითა სავსე, რომელსა შინა არა იპოვა თავისა მისადრეკელი ქრისტესი, რომელთათვის ქრისტე ცუდად მოკუდა“. ამ ნაწყვეტზე კ. კეკელიძე მიუთითებდა, რომ ავტორის თვალსაზრისი საეკლესიო პროვიდენციალურია, რადგან გარეშე მტრის შემოსევა, ომიანობა და ქვეყნის აწიოკება ღვთის რისხვაა და შურისძიება ადამიანთა უკეთურების გამო. თხზულებიდან ზემოთ საილუსტრაციოდ ამოწერილი პასაჟი აშკარა გამოძახილია 609 წლის ქართველთა და სომეხთა საეკლესიო განხეთქილებისა, რაც გამოიწვია ქართველთა გადიოფიზიტებამ, ხოლო სომეხმა დარჩენამ მონოფიზიტობაზე. დამოწმებულ ფრაზაში სომეხთა უარყოფითად დახასიათებამდე სტეფანე მტბევარი ბიბლიური ციტატების საფუძველზე ერთგვარ „წანამძღვარს“ აკეთებს მკითხველის შესამზადებლად. არსში კარგად გარკვევის მიზნით. შერჩეულია ისეთი ციტატანი, რომელიც ზედმიწევნით მორგებულია ავტორის ჩანაფიქრისთვის. სათანადო ნიმუშები მოტანილია იობის წიგნიდან („ნეტარ არს კაცი, რომელსა ამხილა უფალმან და სწავლასა ყოვლისა მპრყობელისასა ნუ განიშორებ, რამეთუ მან აღმის და კუალად იცის“). სოლომონის, დავით წინასწარმეტყველის, დაბადების, ზირაქის წიგნებიდან, პავლე მოციქულის ეპისტოლეებიდან, მეფეთა წიგნიდან და ა.შ. სწორედ აქ იხსენებს „წამების“ ავტორი წარღვნის ღეგენდას შეადრების მიზნით. როდესაც გამრგაღდა „უსჯულოებანი კაცთა ქუეყანასა ზედა“, ღმერთმა ინანა („შ იგონა“) ადამიანის გაჩენა და გადაწყვიტა სამაგიეროს გადახდა, ანუ კაცობრიობის „მოსპოლვა“, მისი აღგვა პირისაგან მიწისა: „ხოლო მე მოვჰხადო რღუნა წყლისა ქუეყანასა ზედა“ განხრწნად ყოვლისა ხორციელისა (დაბ. 6,17).

სტეფანე მტბევარის მიხედვით, გაბოროტებისათვის, მწვალებლობისათვის სომხეთის ქვეყანას ბიბლიური წარღვნის დარი რისხვა დაატყდა თავს, რაც აღიქმება ჩადენილი უკეთურების წილ უფლისაგან საწყაულის მოწყვად: „უშუერთა ცოდვითა განარისხეს ღემრთი და შეანანეს კაცი. არა ეუფლა დათმენად მიუწლომელი მოწყალება“, რომლისათვის განახუნა საქანელნი წყალთანი და წარწყმიდნა ყოველნი წყლით რღუნითა, ხო. ო ნეტარი-სა ნოეს მიერ დაუშთა თესლი მკვიდრობისად სოფელსა“...

აფოც ეპისკოპოსს და იაკობ ხუცესს დიაკონმა ამცნო ვარსქენის სპარსეთიდან დაბრუნების და შუშანიკის მიერ სასახლის დატოვების ამბავი ქმრის გადარჯულების გამო. სასულიერო პირები მწუხარებამ შეიპყრო: „ხოლო ჩუენ აღვივსენით მწუხარებითა და დითა ტირილითა გტროდეთ განმწარებულნი ცოდვათა ჩუენტა წარმოჩინებისათვის“. აქ ჩვენს ყურადღებას იქცევს, თუ რა ცოდვაზე ლაპარაკობს ვარსქენის კარის მღვდელი. ცხადია, მასში პირადული ცოდვა არ იგულისხმება, თანაც ერთი ქართველის ცოდვა. ავტორი

სათქმელს განაზოგადებს მრავლობითობის გამომხატველი ნაცვალსახელით – „ჩუნთა“ და მასში ქართველობას მოიაზრებს.

დამოწმებულ ციტატაში ჩადებულია აზრი, რომ ვარსკენის უკეთური და უმსგავსო ქმედებით გამოვლინდა ადამიანის ცოდვილი ბუნება. ბუნებრივია, აქ საუბარია ბიბლიურ მემკვიდრეობით ცოდვაზე. ადამისა და ევას შეცოდება ღვთის წინაშე გადამწყვეტი აღმოჩნდა მათი სამოთხიდან განდევნისა, ანუ ღვთიურ ბუნებასთან დაშორებისა. ეს ცოდვა იმემკვიდრევა შთამომავლობამ. სწორედ ამ ცოდვამ იჩინა თავი ვარსკენში, როცა ის გაბოროტდა, უარყო მამაპაპეული სარწმუნოება და მაზღეიზმს ეზიარა. ეს საგანგაშოდ მიიჩნის სასულიერო პირებმა და ტირილით, მწუხარებით გამარდნენ. ეშმაკის მიერ ადამის ცდუნების მომენტს ვეცნობით „იოანე ზედაზნელის ცხოვრებაში: „მ მასმენელო, არა შენ ხარა (მიემართება ეშმაკს), რომელმან ადგილი იგი მიმიღე სამოთხე ფუფუნებისა, რამეთუ ჩემი იყო და შენ ღოინისძიებად ესევიარი მოირ-ვე ადამისათვის და გამოჰადე იგი მიერ“. იქვე ვკითხულობთ: „და მოიხუნა ჩუნენი ესე ჳორცნი თვინიერ ცოდვისა, განწმენდილნი პირველისა ადამის ცთომისა“...

„შუშანიკის წამების“ ერთ-ერთი ეპიზოდის მიხედვით, ვარსკენი თავის ძუძუმტეს მიაგზავნის შუშანიკთან, რათა სასახლეში დააბრუნოს იგი. ძუძუმტე ემუდარება მას: დაბრუნდი სასახლეში, ნუ ააოხრებ თქვენს სახლს. შუშანიკი უპასუხებს: უღვთო ვარსკენი დამემუქრა, ცხიდან ცოცხალი ვერ გამოხვალ და ახლა სწადია ჩემი მისვლა სახლშიო? თუ მკვდრის გაცოცხლება ძალუძს, პირველ რიგში ურდოში დამარხული დედამისი გააცოცხლოს. აქედან თრევით გაყვანაც რომ მოინდომოს, ვერ შეძლებს ამას. ძუძუმტემ ეს ამბავი ვარსკენს მოუტანა. მანაც დაუდასტურა: ნამდვილად ვუთხარიო – „ცოცხალია ფერხითა არა გამოხვიდე შენ მაგიერ ცხით“.

მეორე დღეს შუშანიკთან ვინმე ადამიანი შევიდა და მოუწონა მას საქციელი: „კეთილად მოუგე მას სიტყუად იგი, რამეთუ მაგით სახით ეგულებოდა შეტყუილი შენი და მას სხუად ზრახვად მოეხადა სიბოროტისა შენთვის“. ამას მოსდევს შუშანიკის ჩვენთვის საინტერესო პასუხი: „და შენ ღმერთი ძილსა შინა ნუ გვონიეს, რომელმან განუმზადის სიტყუანი პირსა კაცისასა, რამეთუ იტყვის თვით უფალი: მე მიუგო სიტყუად თქვენ წილ“. დამოწმებულ პასაჟში შუშანიკი ლაპარაკობს ბიბლიის ენით. მასში მოისმის გამოძახილი ფსალმუნითა და ლუკას სახარებისა.

დავიწყოთ იმით, რომ დავით წინასწარმეტყველი უფალს ზოგჯერ მბრძანებლური კილოთი მიმართავს: „ადღეგ, უფალო, მაცხოვრე მე, ღმერთო ჩემო“ (ფს. 1,3; შდრ. ფს. 10,12; 9,25); „ადღეგ ჳური (ჯავშანი – ტ.მ.) და ფარი და ადღეგ მწედ ჩემდა“ (ფს. 34,2). ამასთანავე, დავით ფსალმუნთმგალობელი ღმერთს მის დასახმარებლად გამოიდციძებისკენ მოუწოდებს. დავითს, როგორც ღვთის მადლით ცხებულს, ღვთისგან ამორჩეულს და სამოელის მემკვიდრეობით მისთვის ზეთის წამცხებელს, ჰქონდა შინაგანი სითამამე ამგვარი მოწოდებისათვის: „ადღეგ, უფალო, რისხვითა შენითა, ამაღლდი მოსრულებად მტერთა შენთა და განიღვიძე, უფალო ღმერთო ჩემო, ბრძანებითა მით, რომელ ამცენ“ (ფს. 7,7); „განიღვიძე, უფალო და მოხედენ განკითხვასა ჩემსა, ღმერთო ჩემო“ (ფს. 34,23); „განიღვიძე, რად გძინავს, უფალო? ადღეგ და განმაგდე ჩუნ სრულად“ (ფს. 43,23).

როგორც დავინახეთ დავით წინასწარმეტყველი ღმერთს მოუწოდებს, როგორც მსხნელ ადამიანს. დამოწმებულ ნიმუშებში უთუოდ შეიმჩნევა ღმერთის გაადამიანების იდეა, ღვთისთვის ადამიანური თვისებების მინიჭება. წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოუდგენელია უფლის დაძინებაც და გამოღვიძებაც. ასევე წარმოუდგენელია ღმერთს ადგომისკენ და გამოღვიძებისკენ მოუწოდო. დავითის ამ საზგასმულ სიტყვებში ადვილი შესაძლებელია ორბუნებოვანი მაცხოვრის აჩრდილი დავლანდლო. ქრისტეს ადამიანური ბუნების ნაწილში შეეძლო დაძინებაც და გაღვიძებაც.

ამასთანავე, ფსალმუნში (120,4) ვკითხულობთ: „აჰა, არ წათვლემს და არ დაიძინებს მცველი ისრაელისა“ („მცველში“ ღმერთი იგულისხმება კონტექსტის მიხედვით). ბიბლიის შეწევნით შუშანიკის პასუხში ნათლად იკვეთება მისივე სულიერი განწყობა და სასოება, რომ უფალს არ სძინავს მასზე მზრუნველობაში, მის მფარველობაში. სწორედ სულიწმიდა ასწავლის რა ჟამს რა უნდა ილაპარაკოს (შდრ. ლუკა, 12,12).

„წმ. ნინოს ცხოვრების“ მიხედვით, ადგილი, სადაც ედიოზმა თავისი და ქრისტეს კვართითურთ დამარხა, შედარებულია ბიბლიურ იაკობის მიერ ხილულ ცად აწვილი კი-

ბის ადგილთან: „მის ზედა არს ადგილი იგი, ვითარცა ადგილი იაკობისი კიბედ ხილული და ზეცად აღწეული“. იაკობის კიბე „შიო მღვიმელის ცხოვრებაშიც“ შეგვახსენებს თავს: „ხოლო კიბე იგი იაკობისი აქაც იხილვებოდა და ანგელოზნი ღმრთისანი გარდამოვიდოდეს, ხოლო უფალი დამკვიდრებულ იყო თავსა ზედა კიბისასა, რომელმან ჰრქუა მას: „მე ვარ ღმერთი აბრაჰამისა, მამისა შენისა“. მივმართოთ საღმრთო წერილს. „დაბადების“ ერთ-ერთი ეპიზოდის მიხედვით, გზად მიმავალ იაკობს ღამემ მოუსწრო. მან ერთ ადგილს განერება და დასვენება არჩია, სასთუმლად ლოდი დაიდო. ძილში მყოფმა სიზმარი ნახა („ჩუენებასა იხილვიდა“): „აჰა ესერა, კიბენი აღმართებულნი ქუეყანით, რომლისა თავი მიწდომილ იყო ცად“ (დაბ. 28,12-13). ღვთის ანგელოზნი კიბეზე მიმოდოდნენ.

ჰაგიოგრაფიიდან დამოწმებულ ნაწყვეტებში კიბე დაცლილია სიმბოლური გაგებისაგან. უშუალოდ დაფიქსირებულია ბიბლიიდან იაკობის კიბე. საღვთისმეტყველო მწერლობასი (განსაკუთრებით ჰიმნოგრაფიაში) მან სიმბოლურ-ალეგორიული დატვირთვა შეიძინა. მოვუსმინოთ ნესტორ ყუბანეიშვილს: „კიბე, რომელიც იაკობს იხილია, მოასწავებდა ღვტის მშობელს, რომლისგანაც იშვე იესო ქრისტე და მან შეაერთა ცა და ქვეყანა. ე.ი. ცოდვით განშორებული კაცი შეარიგა ღმერთთან. ანგელოზების ასედა და ჩამოსვლა კიბეზე მოასწავებდა ღვთის განგებულობას, ღვტის მზრუნველობას ქვეყანაზე“.

წმ. ნინო სალომე უკამელს უყვება ღმერთის უკვდავებაზე, რომელმაც ებრაელები გამოიყვანა ქუეყანით ეგვიპტიდან: „რომელი მოსრულ იყო ერისა მისთვის, რომელი გამოიყვანა ქუეყანით ეგვიპტიდან“... „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ მოთხრობილი სასწაულები შედარებულია ბიბლიურ მოსეს სასწაულებთან: კვერთხით ზღვის გაპობა, კლდეზე კვერთხის დარტყმით წყლის აღმოცენება: „ესე სასწაულნი თანამოდგამ არიან მოსეს მიერ ქმნილთა მათ განპებასა ზღვისასა და კლდისაგან აღმოცენებასა წყლისასა“... იმავე ნაწარმოებში ვკითხულობთ: „ღმერთმან, რომელმან უბრძანა მოსეს კვერთხითა განპებად ზღვისა და კუალად უდაბნოს კლიდადგან უდაღის აღმოცენებად წყალი, და მიღებასა საზრდელისასა უწვიმა მანანად ერსა“.

ამასთან დაკავშირებით საჭიროა გავიხსენოთ ეს ეპიზოდები ბიბლიიდან. ებრაელები ეგვიპტიდან გარბიან ტყვეობიდან თავის დასაღწევად. ეგვიპტელები ცდილობენ მათ უკან დაბრუნებას. ფარაონი მთელი ჯარის ძალისხმევით, ეტლებით, მხედრებით გამოეკიდა ლტოლვილებს. ღვთის შემწობით მოსემ ზღვას დაჰკრა ჯოხი, რითაც ზღვა შუაში გაყო ორად. გვერდებზე კედლებად აღიმართა წყალი. ებრაელები ზღვაში ისე შევიდნენ, როგორც ხმელეთზე. ეგვიპტელები მისდევნენ უკან. უფლის შემწობით მოსემ განმეორებით დაჰკრა ზღვას კვერთხი. ორად გაყოფილი წყალი შეერთდა და მღვერნი ეგვიპტელნი ზღვაში დაიხრჩუნენ. ებრაელები კი სიმშვიდობის გავიდნენ. ამ ბიბლიური ეპიზოდის ანალოგიით შიო მღვიმელი ევაგრეს აძლევს ასეთ დავალებას: „წარვედ და კუერთხი ესე ჩემი ჩაყავ მტკუარსა, ხოლო იგი გზა-გვცემს და განვედ ჳმელად და წარვედ სახედ შენდა“ („შიო მღვიმელის ცხოვრ.“).

საერთოდ, „გამოსვლათა“ წიგნში მკითხველი ეცნობა სასწაულმოქმედ კვერთხს. ერთ შემთხვევაში კვერთხი იქცევა გველად (გამოს. 4,3), მეორე შემთხვევაში ვეშაპად (გამოს. 7,9); კვერთხის შემწობით მდინარე იქცევა სისხლად (გამოს. 7,17), მდინარე კვერთხის დარტყმით ბაყაყმა დაფარა მთელი ეგვიპტე (გამოს. 8,3-6). კვერთხის მიწაზე ცემით „გამოსდეს მიერ მუმლი“ (გამოს. 8,16). ღვთის შთაგონებით მოსემ კვერთხი „სცა კლდესა“, საიდანაც გამოვიდა წყალი და უდაბნოში მოხეტიალე მწყურვალი ებრაელები წყლით დაკმაყოფილდნენ (გამოს. 17,6). შევნიშნავთ, რომ ჰაგიოგრაფიიდან დამოწმებულ მასალებში კვერთხის ალგორიულობა გამოირიცხება, რასაც ვერ ვიტყვით ქართულ ჰაგიოგრაფიაზე, სადაც მან სიმბოლური შინაარსი შეიძინა.

ახლა კი ბიბლიური გედეონის საწმისის ეპიზოდზე. „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების“ მიხედვით, ღმრთის მსახურმა გიორგიმ ზარზმის მიდამოებში წმ. სერაპიონს და მის თანმხლებ ბერებს ნება დართო ეკლესიის ასაშენებლად, „მისცა საჭმარნი უხუებით“. სერაპიონს უნდა ტაძრის აგება მაღალ ბორცვზე, რაც დაუშაღეს ძმამ იოვანემ და თანმხლებმა ბერებმა. ცილობის მომენტში თხზულების ავტორს მოაგონდა ბიბლიიდან: „ვითარცა-იგი გედეონ საწმისის დადვა გამოცდად საქმეთა“. „კუალად დიდმა თევდორისი ნაწმირითა მიერ მოიძია ადგილი, სადა აღაშენოს მონასტერი“. გედეონის საწმისის ბიბლიური ეპიზოდის ანალოგიით, „ამათ ნეტართა ყვეს, რამეთუ ადავსნეს ორნი კანდელნი სწო-

რითა ზეთითა და დადგნეს ადგილთა მათ ცილობისათა“. გამთენიისას აღმოჩნდა, რომ ნეტარი სერაპიონის სანთელი ჩამქრალი იყო, „ხოლო კანდელი იგი იოვანესი ბრწყინვიდა, ვიდრე შუა სამხრამდე, რამეთუ ესე განგებულებად იყო საღმრთოდ“... გადაწყდა ეკლესიის აშენება იქ, სადაც ბრწყინავდა იოვანეს კანდელი.

ამასთან დაკავშირებით, ცხადია, შესახსენებელია მსაჯულთა წიგნის (6,36-40) შემდეგი ეპიზოდი. გედეონი მიმართავს უფალს: „უკეთუ იხსნა ხელითა ჩემითა ისრაელი, ვითარცა-იგი იტყოდე“. ღმერთმა მოახსენა: ერთი მატყლის საწმისს დავდებ კალოზე. თუ საწმისზე აღმოჩნდება ცვარი და „ყოველი ქვეყანა ხმელი იყოს, უწყოდი, რამეთუ ხელითა ჩემითა იხსნე შენ ისრაელი“. განთიადისას გედეონმა „გამოწურა საწმისი იგი და გამოხდა ცვარი საწმისისა მისგან და ადავსო წყლითა მით“. ეს პასაჟი გამხდარა დავით წინასწარმეტყველის შთამაგონებელი: „გარადამოკდეს, ვითარცა წვიმა საწმისსა ზედა და ვითარცა ცუარი რად ცუარის ქვეყანასა ზედა“ (ფს. 71,6). „გარადამოკდეს“ ნათქვამია უფალზე. იგი გარდამოხდება ციდან და იხსნის ქვეყანას, როგორც ცვარი და წვიმა გამხმარ და მშრალ მიწას სიცოცხლის ძალას ჩაუყენებს. „მსაჯულთა“ და „ფსალმუნთა“ წიგნებიდან დამოწმებულ საილუსტრაციო მასალაში დაფარული აზრი დევს. ალექსანდრიულად აქ „საწმისი“ ღვთისმშობელია, ხოლო „წვიმა“ და „ცვარი“ მაცხოვარია. სასულიერო პოეზიაში ახსნილია კიდევ ეს „იგავი“; „წვიმად საწმისად გარდამოსული პირველ რაჟამს იხილა გედეონ, გუაუწყა ჩუენ შობისა შენისა, სძალო“ (მიემართება წმ. მარიამს). არანაკლებ საყუარდებოა სხვა წყაროც: „საწმისსა მას სავსესა ცუართა ჰდხედვიდა გედეონ გამოჰსახვისა ქრისტეს ნათლისღებასა“. ღვთისმშობელს მიმართავს: „შენ ზეცისა წვიმისა წმიდისა საწმისი“.

„დავით გარეჯის ცხოვრების“ მიხედვით, მონადირეებმა იხილეს ირემთა მწველაჳი წმ. ლუკიანე. გაკვირვებით ჰკითხეს: როგორ მოხდა, რომ ვეილს ნადირნი ირემნი „ესრეთ დამშვიდებულ აირან“, როგორც სახლის ეზოში გაზრდილნი. წმ. ლუკიანემ მონადირეებს მოაგონა ბიბლიური დანიელის მიერ ღომთა მოთვინიერება, დამშვიდება და სამი ყრმის ცეცხლისაგან უვნებლად დაცვა.

შიოს და ევაგრეს „ცხოვრებაში“ ევაგრე გამოქვებულში დამკვიდრებულ წმ. შიოს ქმედებისას იხსენებს ბიბლიური დანიელის ჩაგდებას ღომებით სავსე მღვიმეში მისდა უნებურად. ამით მან ღვთისაგან სამარადისო პატივი მიიღო. ეს ბიბლიური ეპიზოდი ავტორს სჭირდება წმ. შიოს მოქმედებასთან შესადარებლად. შიო ნებით ჩადის გამოქვაბულში უხილავ მტერთან ანუ სატანასთან საბრძოლველად, რომელიც შემუსრა კიდევ: „დანიელ უნებლიადთ შთააგდეს მღვიმესა მას შინა ღომთასა და ღმრთისაგან სამარადისოდ პატივი მიიღო. ხოლო შენ ნეფსით თვისით შთახედ მღვიმესა ბნელსა ბრძოლად უხილავისა მის მტერისა, რომელიც დაეც და შეჰმუსრე ქუეშე ფერკთა შენთა“...

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ ჩართულია ეპიზოდი, სადაც ვეცნობით მირიანის მიერ სამღვდელოების დაუკითხავად თავისი შვილის არსენის კათალიკოსად დადგენას. ნეტარი არქიმანდრიტი გრიგოლი ეპისკოპოს ეფრემს შთააგონებს: „ნუ უშლი სულიერად ზმასა შენსა არსენის“. წმ. გრიგოლი არსენის მხარეს იჭერს, თუმცა იგი ამხელს მირიანის მიერ ნაჩქარევად გადაგზულ ნაბიჯს და ამ მომენტში მოაგონებს წმ. ეფრემს ადამის მიერ აკრძალული ხილის გემოს ხილვის ბიბლიურ ეპიზოდს: „არამედ მირეან, მამამან მისმან, აუგინა ყო უჟამოდ შესწრაფებითა, ვითარცა ადამ ჭამა ხილი იგი, რომელ არღა მწიფე იყო“.

კიდევ შეიძლებოდა მსჯელობის გაგრძელება ჰაგიოგრაფიის მხრიდან ბიბლიური ეპიზოდების მიზნობრივად გამოყენების თაობაზე, მაგრამ აქ ვსვამთ წერტილს. წარმოჩენილი მაგალითები ნათელყოფს თუ რა ინტენსივობით სარგებლობდნენ ჩვენი სასულიერო მწერლები ბიბლიური სიუჟეტებით, ეპიზოდებით, პასაჟებით მათივე სულიერ-სარწმუნოებრივი პოზიციის და მრწამსის გამოსაკვლევად.



ლუარა სორდია



აპოკალიფსი და ბრიზოლ რობაქიძე

გრიგოლ რობაქიძე იყო თავისი თანამედროვე ათეისტური ეპოქის ოპოზიცია, გამოირჩეოდა რელიგიურობით, საქვეყნო ინტერესების მსახურებით. სულით მოგზაურობდა უძველესი, დასაბამიერი სიბრძნის სამყაროში, ნაზიარები იყო შესაქმისეულ და წინასწარმეტყველთა სიბრძნეს, კაცობრიული გონის უკანასკნელ მიღწევებს. სულიწმინდის მადლით გაბრძნობილი, კოსმიურ განზომილებაში გაღწეული, კარგად აცნობიერებდა მშობელი ერის მისიას, გამუდმებით ეძებდა ჩვენი ქვეყნის ადგილს პლანეტაზე და მთელი ძალისხმევით ცდილობდა თავისი მხატვრული სიტყვით საკაცობრიო არენაზე გაეტანა საქართველოს სახელი.

მაღალი და მაღლად მხედი, ერთდროულად ხედავდა „მიწის პლაზმას“, „მიწის აურას“ და ზეცის სილაჟვარდეს, ესწრაფვოდა „ყოველის არსის ფარული სახის“ შეცნობას, ამ მაღალი სამყაროდან მასზე უფრო მაღალში მისტიკურ ზეადსვლას, „სულის მისტიური ნაპერწკლის“ ანთებას (1,228). ნათელხილვისა და ნათელსმენის ფენომენებით მომადლებულს, მომავალში გადახედვა, მოვლენების წინასწარი განჭვრეტა ხელეწიფებოდა.

განგებისგან იყო მოვლინებული რწმენის განმტკიცების მისიით, გრაალის მცველად, გრაალი კი არის სიმბოლო კოსმიური სიბრძნის, სულიწმინდისა, ღვთისმშობლისა და გრაალის მფლობელი არის სულიწმინდით გამსჭვალული ადამიანი(2,38).

გრიგოლ რობაქიძემ იცხოვრა სამი რევოლუციის, პირველი და მეორე მსოფლიო ომების ეპოქებში, როცა აპოკალიფსის მეშვიდე ბეჭდის მოხსნის შიშით ძრწოდა კაცობრიობა.

ქართველი მწერლის პუბლიცისტიკა, ესსეები, პროზა თუ პოეზია გაჯერებულია აპოკალიფსით შთაგონებული სახეებით და მოტივებით.

გრიგოლ რობაქიძეს აწვალებდა აპოკალიფსი და დიონისო(გიორგი ჯიბლაძე, მოგონება მემორიალი(3,397).

მწერალს უნდოდა „აპოკალიფსურ შიშს წინ აღდგომოდა დიონისური ღხენით, სიხარულით, დღესასწაულით და მოყვასის ქრისტიანული სიყვარულით“ ((აკაკი ბაქრაძე) (4,230).

სამყაროს განახლების, „ახალი მიწის და ახალი ცის“ მომლოდინე ავტორთა შემოქმედებაში განსაკუთრებული ინტერესი ვლინდება იოანე მოციქულის აპოკალიფსისადმი, რომელიც მომავლის წინასწარმეტყველებაა. პატმოსის კუნძულზე ეუწყა ღმერთისგან წმინდა იოანეს უღმერთო იმპერიის შექმნა, წითელი გველეშაპის მიერ ხელდასხმული ორი მხეცის ზღვისა და მიწის მხეცების მეუფება, შუბლზე და ხელზე მხეცის ნიშნის მიძლეობა პარპაში, მორწმუნეთა დევნა-დახოცვა (იოანე მოციქულის გამოცხადება, თ. 13, 1-18) (5, 506-507).

საბოლოოდ, სატანური ძალები დამარცხდნენ, გაცოცხლდნენ უფლისათვის დახოცილები, ზებუნებრივი ნათლით გაბრწყინდნენ, სპეტაკი სამოსელით შეიმოსნენ, ხოლო ცოდვილნი, მტარვალნი გოგირდისა და ცეცხლის ტბაში ამოწყდნენ(იოანე მოციქულის გამოცხადება, 20, 1-5) (5, 516-517).

აპოკალიფსის საიდუმლოებისადმი განსაკუთრებულ ინტერესს ავლენდნენ სიტყვის ოსტატები.

აპოკალიფსის ცხენი დაჰქროდა შარლ ბოდლერის პოეზიაში.

უმბერტო ეკოს ევლინებოდა „აპოკალიფსის აჩრდილი (ვარდის სახელი).

აპოკალიფსური ეპილეფსიით, აპოკალიფსური ცხენების თარეშით გამოირჩა რუსული მწერლობა.

აპოკალიფსური ცხენის სახით, აპოკალიფსური მოტივებით ყურადღებას იქცევს ტიცინან ტაბიძის პოეზია (ცხენი ანგელოზით, დროშა ქიმერიელთა).

მიხეილ ჯავახიშვილმა სოციალიზმის თეორია, ბოლშევიზმი გაიაზრა, როგორც პიროვნული ინდივიდუალობის, რელიგიურობის, სახელმწიფოებრიობის საფრთხე, რაც რომან „ქალის ტვირთში“ სიმბოლიზებულია, როგორც ბიბლიური გველეშაპი, ურჩხული, რომელიც ანგრევს კოშკს (სახელმწიფოებრიობას), ღუპავს თეთრ გედს (პიროვნებას) (6,225),

”ჯაყოს ხიზნებში“ კი რევოლუცია შედარებულია მხეცთან, ვეფხვთან, ამასთან მწერალი იმთავითვე ჭკვეტიდა საბჭოთა „სამოთხის“ ეფემერულობას (7, 189).

კონსტანტინე გამსახურდია მოუხმობდა აპოკალიფსურ მხედრებს, ამავე დროს, სიკვდილის მომტანი მწვანე ცხენის ვარიაციას ქმნიდა „მთვარის მოტაცებაში“ და ამით მიგვანიშნებდა რომანის მთავარი პერსონაჟების თარაშ ემხვარის და თამარ შერვაშიძის ტრაგიკულ აღსასრულზე. ამხელდა ბოლშევიზმის სატანურ ხასიათს, მიგვანიშნებდა მის გადაშენებაზე (8).

გალაკტიონ ტაბიძე რევოლუციას აღიქვამდა, როგორც ცოცხალ წარდენას, შურისძიებას, აპოკალიფსის სიკვდილის მომტანი ცხენის თარეშს (გუბე) (9, 41).

პოეტების მეფე მუდმივად ეძებდა ღმერთს, ეიმედებოდა ქრისტიანული ჯვარი, მაგრამ აშკარა იყო „ზეცის ნგრევა“, მატერიის, მტერის გაფეტიშება, ურწმუნო თაობის ღუმილი „აპოკალიფსის მძაფრ მხედარზე“ (გუბედი ყველგან) (9, 64).

თვალშისაცემია გრიგოლ რობაქიძის „აპოკალიფსური ტემპერამენტი“, დაინტერესება ომის დროს „აპოკალიფსური ორომტრიალით“, „აპოკალიფსური ურჩხულით“ (10, 430, 485).

ფუტურისტთა პაექრობაზე გრიგოლ რობაქიძის გამოსვლა აკრწინიონისმა აღიქვა, როგორც „აპოკალიფსის ორკესტრი“, გლობალური კატასტროფის მოლოდინი, ხოლო მწერალი მონათლა, როგორც „специалист по апокалипсу и безумию“ (4, 63-64).

„გველის პერანგის“ ავტორს განსაკუთრებით იზიდავდა აპოკალიფსური წინასწარმეტყველებით დაინტერესებული მწერლები.

„აპოკალიფსის ცხენს აუბამ ლექსის ავშარას, შენს სონეტებში გადარევა შეკრული როკავს“, მიმართავდა შარლ ბოდლერს (ფრანგ პოეტს) (11, 69).

ქართველ მწერალს აფიქრებდა „რუსეთის აპოკალიფსური ეპილეფსია“ (საქანელა და სახრჩობელა) (12, 450-451).

გრიგოლ რობაქიძე საჭიროდ მიიჩნევდა „თანამედროვე ომის აპოკალიფსურ საშინელებათა დღეებში“ ტოლსტოის-ამ „ქურუმის წინასწარმეტყველური ძახილის“ შესახებ დაფიქრებას (ლევ ტოლსტოი) (13, 77).

1919წელს რუსულ ენაზე გამოცემულ გრიგოლ რობაქიძის ესეების წიგნში „პორტრეტები“ ნათქვამია, რომ რუსეთი არის ის ქვეყანა, რომლის თვალუწვდენელ სტეპებში აპოკალიფსის ცხენების ფლოქვთა თქარათქური ისმის (14, 2). ”დოსტოევსკი-აპოკალიფსის მძლავრი სტიქიაა... პირდაპირ ორკესტრია პატმოსის კუნძულის აპოკალიფსი ეს არის სიგიჟე დოსტოევსკის მთავარი მისი ხაზი აპოკალიფსურია... აპოკალიფსური ეპილეფსია, აპოკალიფსური ხილვა“ (დოსტოევსკი) (14, 499).

ქართველი მწერლის აზრით, მერეჟკოვსკი აპოკალიფსური კონველსიების მისტიკური არქიტექტორია (14, 57).

აპოკალიფსური რიტმის სულის პოეტები სამყაროს განახლებას, „ახალ ცას და ახალ მიწას“ ნატრობენ... სამყაროს სხეულის მძვინვარე დაფეფრვლის მეშვეობით (14, 58).

ფსევდონიმი „ბელი“ აპოკალიფსური ხატია... სულის თეთრ ქვაზე ამოტვიფრული... მან გაამართლა თავისი ფსევდონიმი (14, 58).

გოგოლისგან განსხვავებით, ბელს დედამიწის აპოკალიფსური მშობიარობა სწადია, მისი ბოლომდე დაფერფელის საშინელი წყევლით. ბელი იგივე გოგოლია, მაგრამ მარტოოდენ აპოკალიფსის ცეცხლოვანი მხერით... შეიგრძნობ, რომ მისი ცნობიერებისთვის სადაცაა დრო გაჩერდება და „წითელი დრაკონი“ მტვერში გაქრება. წერს ბელი თუ საუბრობს ბელი, ყოველთვის გრძნობ, რომ სადაცაა წაბორძიკდება, ენა დაებმება, მეტყველება შეუწყდება, წაილულლუდება, შეშლილის სიცილით გადაიხარხარებს და უკანმოუხედავად ქაოსის წყვდიადს მიაშურებს. წერს ბელი თუ საუბრობს ბელი, ყოველთვის გრძნობ „წმინდა სიგიჟის“ იმ მაღლს, (სულიწმინდის გარდამოსვლის მაღლს), ხან „უსამართლო სიგიჟის“ წყევლას...

ანდრეი ბელი აპოკალიფსის ნამდვილი ეპილეპტიკია. ტყუილად კი არ გადმოსცა დოსტოევსკიმ ასე გენიალურად ეპილეფსია, ვითარცა წმინდა ავადმყოფობა, რომელიც „სხვა სამყაროთა შეხების“ საშუალებას იძლევა, თავად მიშკინის-ქრისტიანული-დიონისური სახისა და კირილოვის მსხვერპლისებური შეშლილობის მეშვეობით... გეჩვენება, რომ ანდრეი ბელი-მთლად თავად მიშკინს ჰგავს, რომელიც კირილოვის სიტყვებით გიჟობს. ამიტომ ის, აპოკალიფსური ეპილეპტიკი, ასე გატაცებით ეძლევა ბნელსახიანი ქაოსის შეშლილ სიტყვებს (14, 61).

რუსეთის ნამდვილმა წინასწარმეტყველმა ანდრეი ბელიმ პეტერბურგის ხატში მიწის აპოკალიფსური (და, ამასთან, დაფერფვლის) გზით უარყოფა მოგვცა (15,72).

რომან „პეტერბურგში“ დრაკონი ნიჰილიზმის დახმარებით მოკაფავს გზას და ქრისტეს შეებრძოლება (15,77). ნაწარმოები მესიანისტური მისტიკის ნაწილია, რაც გულისხმობს სამოთხის აღდგენას, კოსმიურ განახლებას, „ახალ ცას და ახალ მიწას“.

ტიციან ტაბიძემ „პეტერბურგში“ თმის წინასწარმეტყველებას, მომავლის სისხლის ოკეანეების ხილვას გაუსვა ხაზი (ტიციან ტაბიძე, „პეტერბურგი“, რომანი ანდრეი ბელის) (15,4).

გრიგოლ რობაქიძე ეძებდა „ჩვენი ეპოქის თვალს მიფარებულ შრეებს“ და სურდა პოეტური ესეისტიკის შექმნა „ჭადრაკის დაფის“ სახელწოდებით, რომელშიც იქნებოდა ასეთი თავი: „ატომური ბომბი და ტექნიკური აპოკალიფსი“ (11,524).

მწერალი სამშობლოს ბედს მსოფლიო კატასტროფების ფონზე განიხილავდა, მის ხილვას არ სცილდებოდა „რუსეთის აპოკალიფსური ეპილეფსია“, „ჭინკების ფერხული“ და „კუდიანების არული“, მამულის ყოფნა-არყოფნის დილემა, არამყარი არსებობის სიმბოლო-საქანელა და მოსალოდნელი სახრჩობელა, ჯვარცმა, თავისუფლებისათვის მებრძოლთათვის გამზადებული მტარვალის ყუფი.

ამ საშიშროებითაა გაჯერებული 1920წელს დაწერილი „საქანელა და სახრჩობელა“.

„ნგრევა კოსმიური და...სოციალური საქანელის, სახრჩობელის, უფსკრულის, ჯვარცმის, დაღუპვის საშიშროებას ქმნის: „საქართველო ქანაობს სახრჩობელაზე, მაგრამ საქანელა უფსკრულებზეა გამართული და ადვილი შესაძლოა საქანელა სახრჩობელად გადაიქცეს. იხსნებიან უფსკრულები...ან თავისი თავის მონახვა უკანასკნელი: ან სრული დაღუპვა თავისი თავისა. გზა ხსნილი არ არის სხვა. ხანდახან აქ სახრჩობელა სისხლიან ჯვარცმად იქცევა... ჯვარცმა უცდის საქართველოს... ვიცით: იქნება გამართლებული საქართველო. ვიცით: იქნება ათავადებული ქართული სიტყვა“ (11,450-451).

„საქართველო სისხლშერეული სხეულია... საქართველოს გაქანება საქანელაა და ქართველი ქანაობს კიდევ, არც არის და კიდევ არის...“

„ქვეყანა ინგრევა და საქართველო კი ქანაობს. ქანაობს, როგორც ყვითელი ჭინკა საქანელაზე. ეს არის მისი რიტმი: სანახაობა ეფემერული ძალზედ... ერთვიან ერთმანეთს ჭინკების ფერხული და კუდიანების არული“ (11,451).

ტრაგიკულ განწყობილებას ამძაფრებს გიორგი სააკაძის მოლანდება და „რუსეთის აპოკალიფსური ეპილეფსია“.

გრიგოლ რობაქიძე წმინდა წერილის ზედმიწევნით კარგად მცოდნე მწერალი იყო და გამუდმებით ახსოვდა წითელი გველეშაპის მიერ მოვლინებული ორი მხეცის, ზღვისა და მიწის მხეცების ანტიადამიანური საქმეები, ძალაუფლების მპყრობელ ურჩხულთა მიერ დაღდასმული ადამიანები, რომელთაც „ყიდვა-გაყიდვის უფლება“ ამ მხეცების მიერ შუბლზე და ხელზე მიღებული ნიშნით (ანუ პარტიულობით) მოიპოვეს.

სხვაგან გრიგოლ რობაქიძე ლევიათანის რკინისებური კანონების სამყაროს ხედავს, სადაც „ქოსა და ყვითელი ჰომუნკულები“ (კაცუნები) ქმნიან მომავალს: „ქალაქი ფენომენი ელექტროს ელფებით როგორც ლევიათანი მთვლემარე იღველფება. რკინების გმინვა და რვალების გრაგანი. და კანტი ემანუილი ასტრალის ტვინანთება სამყაროს ეჭრება პოლიპის ძირებით. ლოგოს იცინება და ქოსა და ყვითელი ჰომუნკულები მომავალს ფარგლავენ გრძელი ცირკულებით“...

მწერლის წინასწარი და უტყუარი ჭკრეტიტ-გაქრება რომანტიკა, დაისადგურებს ნიჰილიზმი, სიცრუე: „მთვარეს ელოდება მმარხველი ბიურო. ცრუ ანონიმი. ნიჰილის ფაზები“. მიწა არა ლოგოსის, სულის სამკვიდროდ, არამედ უგონო მატერიად იქცევა.

იმტარი, დემეტრა, მელიტა, სემელა, იზიდა, კვიბელა აპროტესტებენ დედამიწის განსაცდელს, მუხნარის გადათელვას: „...დედამიწა ვინ გადაიზიდა და ჯანყი? მუხნარი ვინ გადაგვითელა?“ (ქალაქი ფენომენი) (12,23).

მუხა ერის სულია.

ვახების, მუხების გახმობას ასეთივე გაგებით მრავალგზის აფიქსირებდა გალაკტიონი.

1921წლის თებერვალში დაიწერა გრიგოლ რობაქიძის სონეტი „ორღობის ეშაფოტი“, რომელშიც მრავლისმეტყველი სახეებია ორღობე, ჩამოხრჩობილი ვიოლინო, ეპილეფსია, მავნე თვალეები, ქვეყანა მრუდე, დაღრენილი სახის სიგიჟის ქაფი, მეღამურა, ობობა, სპლი-

ნის ბადე, გახეთქილი შუბლი, საშინელი ამბავი, ანუ ავტორმა 1921 წლის 25 თებერვალი აღიქვა ქვეყნის უბედურების პრელუდიად: “ჩამოსრჩობილი ვიოლინო ორღობის სარზე (ეპილეფსია, გადარევა და ბედისწერა). მავნე თვალების აქ ცივდება სასტიკი მზერა. ბოლო ედება ყოველ ნდობას აქ მარტო მხარზე. უყვარს ცხენის თავს დაჟინებით ქვეყანა მრუდე, საოცარია გაბზარული უცხვირო ხაპი. დაღრენილ ხახას კიდევ ახსოვს სივივის ქაფი-ბნე-დამორეულ მელამურას ესხნება ბუდეთ. ზრქელი ობობა სპლინის ბადეს სკელეტზე ლამ-ბავს, (დროს გუდადამპალს თუ მოსწეინდა უმიზნო ფანდი). გახეთქილ შუბლზე გადაირ-ბენს ასტრალის ლანდი. უცხო გამვლელი წაიკითხავს საშინელ ამბავს“.

ორღობეში (გადატანით, მტარვალთა მიერ პროვინციად მიჩნეულ ქვეყანაში) გვზარავს სარზე წამოცმული თავის ქალები, ის უბედურება, რაც აპოკალიფსის მწვანე ცხენს მოჰქონდა ჩრდილოეთიდან: “თავის ორალის ჭიხვინს იგი მოელის მარად (ძნელია მეტად, ხსოვნისათვის კუნძული პატმოს). შიშობს სიკვდილმა არავინ დათმოს, მთელი სამყარო ესურვება დაიქცეს არად“. და როგორც მიწა გადაყვება ძეობას ავი (მზე მაშინ ალბათ, გადატყდება გადახრის ტარზე). დაიჭიხვინებს ბოლო წყევით ორღობის სარზე გატიტვლებული ძვალდახრული გამხმარი თავი“ (11,621).

ეს ლექსი გრიგოლ რობაქიძემ გაუგზავნა გიორგი გამყრელიძეს 1955 წელს შემდეგი მინაწერით: გიგზავნი „ორღობის ეშაფოტს“. დააკვირდი, როდის არის დაწერილი: ვიგრძენ წინასწარ ბოლშევიკების შემოსევა?! პირველად წავუკითხე საწყალ მიწიშვილს: ...შეირხა! (ძალიან გონიერი და ნიჭიერი იყო საცოდავი! მართლა მიწიშვილი).

შაირში „მელამურას“ მაგიერ იყო „გველის წიწილებს“, შევცვალე. ადვილი მისახვედ-რია: რატომ (11,621).

P.S. მკითხველს: „კუნძული პატმოს: იქ დაიწერა აპოკალიფსი. „ორალი“ (ორეული): აპოკალიფსის ცხენი“.

აპოკალიფსური მხეცის სახე გვხვდება წერილში „სტალინი, ვითარცა არიმანული ძალმოსილება“: „...დამბლის დაცემის შემდეგ ლენინის გვერდით... მხეცის ინსტინქტით გაძ-ლიერდა: დაცემული მარტორქა ახლა თავისი პატარა და ამღვრეული თვალებით უკვე ხე-დავდა, მდუმარე და შეუმჩნეველი კატა-სტალინი ვეფხვში როგორ გადაიზარდა. ის ცდი-ლობდა ...შურისძიების მუქარით ვეფხვი ისევ თავის კატის ტყავში გამოემწყვდია“ (დემონი და მითოსი) (16,88).

დაცემულ მარტორქაში ნაგულისხმევია ტროცკი.

მრავალგზის უბრუნდება გრიგოლ რობაქიძე ბოლშევიზმის და მისი ბელადების თე-მას: “ბოლშევიზმი გავაკრიტიკე ჩემს წიგნში „ნესუს პერანგი“, სტალინის გარდაცვალებამ-დე დიდი ხნით აღრე-გამოქვეყნდა ჩემი წიგნის ორი ნაკვეთი.“

„სტალინს აღმერთებდნენ, არსებითად ეს გაღმერთება შეიძლებოდა მიკუთვნებოდა იმ ურჩხულს, რომელშიც შენიღბული იყო სტალინი: მადმერთებლები ვერც კი ამჩნევდნენ მის ზურგსუკან ურჩხულს“ (16,382).

ნესუს არის კენტავრი, იგულისხმება ნესუსის სისხლით მონათლული პერანგი.

ამ ურჩხულის ნაირსახეობაა სატანური ბოლშევიზმის ბრმა მსახური ველსკი: „...ასპი-ტის თავიანი ტიბეტელი ჯადოქარით ყრუ და მომწუსხველი ხმის მქონე ურჩხული“, რო-მელიც სიზმარში გრაალის მცველ ლევან ორბელს ყელის გამოჭრას უპირებდა“ (1,9).

რომანში „მცველნი გრაალისა“ საუბარია „აპოკალიფსურ მონატრებაზე“, “აპოკალიფ-სურ პერსონაჟებზე“ და დაზუსტებულია: “აპოკალიფსური სუნთქვით განმსჭვალული ადა-მიანები მხოლოდ უკანასკნელი მოვლენებისადმი იჩენენ სულსწრაფობას, ყოველდღიურ ყო-ფაში კი, პირიქით, მყარად და ურყევად დგანან“ (1,70).

ლევან ორბელი წიგნის პერსონაჟების მიერ დასახულია, როგორც „ღვთაებრივი შემ-ლილობის ზღვარზე მყოფი“, რომელსაც „სიშორის მონატრება ტანჯავს... მისი მონატრება აპოკალიფსურია. ლევანი ყოველთვის ყოფიერების ზღვარზე დგას. იმითაა ანთებული, რაც მიუწვდომელ სიშორეში ძევს, მაგრამ მიუწვდომელს გზებით უახლოვდება და სუნთქვით თითქოს სწვდება კიდევ“ (1,20).

მერე კი სათქმელი უფრო ზუსტდება: “აპოკალიფსური ყოფიერების აღსასრულს წი-ნასწარ ჭვრეტს და მთელი არსებით ესწრაფვის ახალ ქვეყნიერებას (1,20). ის გარდაუვა-ლისა და მარადიულის სულიერ სივრცეში სულდგმულობს: წარმავალს მაინც აჩრდილად აღიქვამს“ (1,22).

რომანში ასევე იგრძნობა მანქანების აპოკალიფსური სიჩქარით ქროლვა.

გრიგოლ რობაქიძე მრავალგზის ახსენებს პატმოსის კუნძულს, სადაც იოანე ღვთისმეტყველს ღმერთი გამოეცხადა და მომავლის მოვლენები აუწყა. მწერალს აწუხებდა სამშობლოს ბედი, „ტფილისის ხერხემალი“, ქვესკნელის გუგუნის, პატმოსის კუნძულის მრავლისმეტყველი ცხენის სახე: „ჩემს მაღალ თავლაში ჯერ კიდევ დაბმულია დამცხრალი ცხენი პატმოსის კუნძულიდან. მისი ნესტოები ხეისმოგრაფია ყველა მიწისძვრების. უცდის დოსტოვესკის და უსმენს მხოლოდ ქვესკნელის გუგუნს. ერთხელ აიწვიტა და გაიჭიხვინა. დიონისოს სიტყვა: ტფილისის ხერხემალი“ (სტამბები ვერ სტამბავენ, ალბათ ეშინიათ დაზგების ავარდნის).

ლექსში პოეტური ძლევა მოსილვების, შთაგონების სიმბოლოა მარტორქა: „...იქვე მაგას ანგრევს კიდევ სხვა ნადირი: „კარდუს“ მონოლიტი რისხვარი მარტორქა. მე არა მგონია რომ ვინმემ დაიურვოს: მასთან ახლოს მისვლა მე თვითონ მეშინია-თუ ხელში არ მიჭირავს ნინოს ნაწნავები (მხოლოდ ეს ანელვებს). უცდის მზის მოვარდნას-გავარდეს საბუღრაოდ: (მითხარით კიდევ სხვა სანახაობა!)... ჯერ კი მისი სუნთქვა მოდის, როგორც „მალშტრემ“ (თქვენ იცით: რომელზედაც რემბომ მიუშვა ულაცი პიპოპოტამ). მისი ავი სუნთქვა მოდულს, როგორც „მალშტრემ“.

ლექსის ავტორმა იწინასწარმეტყველა თავისი შემოქმედების ქარიშხლისებური ძალით შესვლა ევროპულ სივრცეში: „ზვავების ურაგანი შეანგრევს ევროპას(სიტყვაც ხომ მაგარია: ირრუბაქიძე)“.

ნაწარმოები დაიწერა 1924წელს.

ჩრდილოელი მონსტრის მიერ დაპყრობილი ქვეყნის შეიღმა მაინც გაარღვია მოჯადოებული წრე, გადალახა ჩვეულებრივ მოკვდავთათვის დაწესებული საზღვრები და ქართული გონის სასწაულებით გააოცა მრავლისმნახველი ევროპა.

ლიტერატურა:

1. გრიგოლ რობაქიძე, მცველნი გრაალისა, თარგმანი გერმანულიდან თამარ კოტრიკაძის, თბ., 2012.
2. ზვიად გამსახურდია, საქართველოს სულიერი მისია, თბ., 1990
3. გრიგოლ რობაქიძე, ტ. 3, თბ., 2012
4. აკაკი ბაქრაძე, კარდუ ანუ გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და ღვაწლი, თბ., 2003
5. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992
6. მიხეილ ჯავახიშვილი, თხზულებანი 6 ტომად, ტ.2, თბ., 1960
7. მიხეილ ჯავახიშვილი, თხზულებანი 6 ტომად, ტ.5, თბ., 1961
8. კონსტანტინე გამსახურდია, თხზულებანი 6 ტომად, ტ.2, თბ., 2012
9. გალაკტიონ ტაბიძე 2 ტომად, ტ. 1, თბ., 1988
10. გრიგოლ რობაქიძე, ჩემთვის სიმართლე ყველაფერია, თბ., 1996
11. გრიგოლ რობაქიძე, ხუთტომეული, ტ. 4, თბ., 2012
12. გრიგოლ რობაქიძე, ხუთტომეული, ტ. 1, თბ., 2012
13. გრიგოლ რობაქიძე, ლევ ტოლსტოი, რუსულიდან თარგმნა მანანა კვატარიაძე, ჟ.“ათინათი“, 2013, 3.
14. გრიგოლ რობაქიძე, პორტრეტები, რუსულიდან თარგმნა მანანა კვატარიაძე, თბ., 2012
15. გაზ. „საქართველო“, 1917წ. 222 შობათვე
16. გრიგოლ რობაქიძე, დემონი და მითოსი, რუსულიდან თარგმნა მანანა კვატარიაძე, თბ., 2012
17. გრიგოლ რობაქიძე, ხუთტომეული, ტ.3, თბ., 2012
18. ვახტანგ გოგუაძე, ორი მხეცი (ლენინი და სტალინი), სტალინი და საშინელი სამსჯავრო, თბ., 2006]
19. იოანე-იონა, რა უნდა ვაკეთოთ, თბ., 1994

მანანა კვატია

ბრიტოლ რობაქიძის ევროპული რეჟლანსიანი

1928 წელს იენაში ოიგენ დიდერისის გამომცემლობამ გერმანულ ენაზე გოთური შრიფტით დაბეჭდა გრიგოლ რობაქიძის “გველის პერანგი”, რომლის ქვესათაურია “რომანი ქართველი ხალხისა”, შტეფან ცვაიგის შესავალი წერილით. “გველის პერანგი” ორიგინალში 22 თავისა და ეპილოგისაგან შედგება, მისი გერმანული თარგმანი კი – 8 თავისა და ეპილოგისაგან.

საკუთარ თხზულებათა ევროპაში პუბლიკაციის მიზნით გრიგოლ რობაქიძე 1927 წელს რამდენიმე თვით გერმანიაში გამგზავრებულა. ამ ვიზიტისა და “გველის პერანგის” გერმანიაში გამოცემის დეტალები იკვეთება მწერლის პირადი წერილებიდან სხვადასხვა პირისადმი.

1927 წლის 17 თებერვალს ბერლინიდან გრიგოლ რობაქიძე აუწყებს აკაკი პაპავას: “ამჟამად ბერლინში ვარ. მინდა, ზოგიერთი ჩემი ნაწარმოები გამოვცე ევროპულ ენებზე. თარგმანები მზადაა. ეს გადავწყვიტე მას შემდეგ, რაც რომენ როლანისაგან (მან წაიკითხა “ლონდა” და “მალშტრემი”) დიდათ წამახალისებელი ორი ბარათი მივიღე” (რობაქიძე 2012, 4: 404). იმავე ადრესატისადმი 21 თებერვალს მიწერილი ეპისტოლედან ირკვევა, რომ ფრანგულად ნათარგმნი ეს ორი პიესა გრიგოლ რობაქიძეს რომენ როლანისათვის ორი წლის წინ გაუგზავნია. მათში ფრანგ მწერალს “მაგიური ჯადოსნობა” დაუნახავს, განსაკუთრებით კი სხენებულ ნაწარმოებთა მუსიკალური არქიტექტონიკით განცვიფრებულა. “ეს იყო მთავარი მიზეზი ჩემი აქ წამოსვლისა”, - სწერს გრიგოლ რობაქიძე აკაკი პაპავას და დასძენს: “ახლა “ლამარა” მაქვს ინგლისურად. ჩემი ფიქრით, ეს ყველაზე უფრო სრული ნაწარმოებია. “გველის პერანგი” – გერმანულად” (იქვე).

“გველის პერანგის” გერმანულ ენაზე პუბლიკაციის ისტორიის დეტალები შტეფან ცვაიგისადმი 1927 წლის აპრილის დასაწყისით დათარიღებული წერილიდან ხდება ცნობილი. ავსტრიელ მწერალს რომანზე გამოხმაურება დაუწერია, სადაც, რობაქიძის თქმით, კარგადაა გააზრებული ნაწარმოების შინაგანი არსი. ამავე დროს, შტეფან ცვაიგს ქართველი მწერლისათვის ურჩევია, გერმანული გამოცემისათვის რომანი მნიშვნელოვნად შეემოკლებინა. “რა მტანჯველია – მხატვრულ ნაწარმოებს “ოპერაცია გაუკეთო!” (რობაქიძე 2012, V: 677), - სწერს გრ. რობაქიძე შტეფან ცვაიგს.

თავის მხრივ, ცვაიგს “გველის პერანგის” გერმანული გამოცემისათვის დაუწერია ”შესავალი” (“Beleitungswort”), რომელიც წინ უძღვის რომანის გერმანულ ტექსტს (გვ. I-III). აქ ავსტრიელი მწერალი გულისტკივილს გამოთქვამს იმის გამო, რომ გათანაბრების სტადიაში მყოფ ევროპულ და, საერთოდ, ცივილიზებულ მსოფლიოში იკარგება ზნეჩვეულებები, ხალხური ტრადიციები, ეროვნული ცეკვები და სხვ. მისი სიტყვით, ევროპის ნაციონალიზაციის პროცესში ადამიანი თავის თავს ვეღარ პოულობს. შტეფან ცვაიგი მიესალმება ჰორიზონტზე ახალი ერის – ქართველთა გამოჩენას. იგი მოხიბლულია “გველის პერანგით”, ამ არაჩვეულებრივი, ლიტერატურის არცერთ კატეგორიას მიკუთვნებელი წიგნით, “რომელიც წარმატებით ადასტურებს მითოსის შემოქმედებით სიცოცხლისუნარიანობას”.

პირადი წერილებიდან იკვეთება თვით გრიგოლ რობაქიძის დამოკიდებულება “გველის პერანგისადმი”: “თუმცა წელიწად ნახევარია, რაც იგი დავსწერე, მაგრამ გაზომვისათვის მაინც მაკლია მანძილი. ხან მეჩვენება გრანდიოზულ რამედ, რომელსაც შეუძლია გაეტოლოს ევროპის უპირველეს ქმნილებებს, ხან კი – არაფრად, სუსტად ძალზე”, - სწერს რობაქიძე აკაკი პაპავას. აქვე ის იმოწმებს რამდენიმე ენის მცოდნე პროფესორ დუბროვსკის, რომელსაც ქართულად წაუკითხავს “გველის პერანგი” (მას დედა ქართველი ჰყოლია): “ახრისა და ხატის განსხეულებას სიტყვაში – უწოდებს გენიალურს.. “მსოფლიო ლიტერატურის პროდუქციაში ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავსო”, - უთქვამს დუბროვსკის.

აკაკი პაპავასადმი 1927 წლის 21 თებერვალს გაგზავნილ წერილში ჩართულია “გველის პერანგის” არსის ავტორისეული ინტერპრეტაცია: მისი “თემა ისე დიდია, რომ.. არ ვიცი – ვის აუღია ასეთი: იდეა “მამის” (მითოლოგიური გაგებით), რომელმაც უნდა გადმოშალოს მთელი “ადმოსავლეთი..” ოცი თავი დაწერილია უკანასკნელი თავისათვის, რომელსაც ჰქვია “მამა”. ირკვევა, რომ ევროპაში გამზავრებისას საზღვარზე ჩსრეკის შიშით რო-

ბაქიძეს რომანის მხოლოდ 3 ეგზემპლარი წაუღია თან, რომელთაგან ორი გერმანიაშივე დაუტაცებიათ.

1927 წელს გრიგოლ რობაქიძის გერმანიაში ვიზიტს შემოქმედებითი თვალსაზრისით სხვა საინტერესო შედეგიც მოჰყოლია. უცხოეთიდან მწერალი საქართველოში რეგულარულად აგზავნიდა რუსულენოვან კორესპონდენციებს, რომლებიც 1927 წელს გაზეთ “ზარია ვოსტოკაში” იბეჭდებოდა საერთო სათაურით “ფოთლები ევროპიდან”. სულ 10 პუბლიკაციაა, მათგან პირველი 1927 წლის 24 მარტით თარიღდება, ბოლო – 7 აგვისტოთი. “ფოთლები ევროპიდან” გადმოსცემს გრიგოლ რობაქიძის მოგზაურობის შთაბეჭდილებებს, მის სულიერ მდგომარეობას, ორიგინალურად აანალიზებს იმდროინდელ ვითარებას. საბჭოეთის რკინის ფარდის მიღმა დარჩენილ თანამემამულეებს მწერალი აცნობს ევროპული ცხოვრების რიტმს და ლიტერატურის, ხელოვნების, მეცნიერების სიახლეებს. ამ კორესპონდენციათა წყალობით ევროპულ კულტურას ჩამოშორებული ქართველი მკითხველი მისი თანამედროვე მსოფლიოს საზღვრებს გარეთ ტენდენციებსა და სიახლეებს ეზიარებოდა. გვინდა შევნიშნოთ, რომ ეს ტექსტები დღესაც არ ჰკარგავს აქტუალობას და თანამედროვე მკითხველსაც საყურადღებო ინფორმაციას აწვდის.

ქვემოთ გთავაზობთ გრიგოლ რობაქიძის ერთ მცირე ესეს 1927 წლის ციკლიდან “ფოთლები ევროპიდან”, რომელიც რუსულიდან ჩვენ ვთარგმნეთ.

გრიგოლ რობაქიძე ევრაზიულობა

ახლა ევროპაში, განსაკუთრებით, ემიგრანტულ წრეებში, “ევრაზიულობის” საკითხით არიან დაკავებულნი. პარიზში დაარსებულია “ევრაზიული სემინარები”, არის ევრაზიული ჟურნალები და გამოცემები, ვენაში არსებობს გერმანული გამომცემლობა “ევრაზია”, ევროპის ყველა ქალაქში კითხულობენ მოსხენებებს “ევრაზიულობაზე” და ამგვარნი. მაგრამ მაინც რა არის ევრაზიულობა?

ეს – სწავლებაა რუსეთზე. რუსეთი არც ევროპა არის და არც აზია, ის – რაღაც საშუალოა ევროპასა და აზიას შორის, ის – ევრაზიაა. არსებობს გერმანული სამყარო, ლათინური სამყარო. ზუსტად ამგვარივე სახით არსებობს ევრაზიული სამყარო.

რუსული ისტორია თურქული სტეპებიდან წამოვიდა და არა კიევიდან. მოსკოვი – ჩინგიზის მემკვიდრეობაა, და არა კიევისა. კრემლი, “მოსკოვური ულუსი” – ეს ხანის ბანაკია, მოსკოვში გადმომთაბარებული. რუსეთის განვითარების ადგილი – “მონგოლოსფეროა”.

სლავეური, ან ვარიაგულ-სლავეური რუსეთი – რუსეთი არ არის. “ნამდვილი რუსეთი” – რუსეთ-თურანული რუსეთია. რუსეთისაგან დასავლეთის ოლქების ჩამოშორება – წყალობაა რუსეთისათვის: ისინი დიადი ჩინგიზის მონარქიაში არ შედიოდნენ.

რუსეთის სულიერი საფუძველი – მართლმადიდებლობისა და მუსულმანობის რაღაც “ყოფითი აღმსარებლობა”.

ევრაზიელთა პოლიტიკური იდეალი საკმარისად აღრეულია: ეს გახლავთ რაღაც სუბბურული შეთავსება მართლმადიდებლობისა საბჭოებთან. მრავალნი ციტირებენ კანცლერ პაკიეს, რომელიც ადასტურებს, რომ “ნაპოლეონის წარმოსახვას ჩინგიზი უფრო მეტად მოსწონდა, ვიდრე კეისარი”. მოჰყავთ რიშლენის განცხადება ლექსების კრებულში, რომლის სათაურია “ღვთის გმობა”:

“მე არა ვარ ფრანგი, არამედ თურანელი. დიახ. ეს ჩემი წინაპრებია. თუმცა მე საფრანგეთში ვცხოვრობ, მაგრამ არც ლათინი ვარ, არც გალი. მაქვს: წვრილი ძვლები, ყვითელი კანი, სპილენძის თვალები, მხედრის ბარძაყები და კანონების სიძულვილი. დიახ, მე მათი ნაჯვარი ვარ. მათი სისხლი ჩემს ძარღვებში ჩქეფს, მათმა სისხლმა მომცა ზიზღი იდეალისადმი და სიცარიელის წყურვილი”.

ევრაზიულობით მეტად გატაცებულია ახალგაზრდობა. გაშმაგებული პოლემიკა მიდის. ევრაზიულობის მოწინააღმდეგენი ამტკიცებენ, რომ ის ახალი არ არის, რომ იგი მცდარია, რომ ის რუსეთისათვის დამღუპველია. განსაკუთრებით აღნიშნავენ უკანასკნელ მოსაზრებას. რუსეთის მტრები, ამბობენ ისინი, ყოველთვის წამოაყენებენ ხოლმე თეორიებს, ევრაზიულობის მსგავსს. პოლონელი ემიგრანტი დუხინსკი ამტკიცებდა, რომ “მოსკა-

ლები” “რუსებიც” კი არ გახლავან: ისინი უბრალოდ “თურანელები” არიან. გასული საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს საფრანგეთში რუსეთის შემოსევისა ეშინოდათ. მოჰყავთ ციტატა რენანისა, რუსეთში “თათარშინას” რომ ხედავს.

- ფრანგის სიკვდილი – ეს მოვლენაა მორალურ სამყაროში; კაზაკის სიკვდილი კი – ეს მხოლოდ ფიზიოლოგიური მოვლენა გახლავთ.

ახლა ევროპაში პროპაგანდას უწევენ ევრაზიული შტატების იდეას – “პანევროპას”. “პანევროპიდან” გამორიცხავენ რუსეთს, რადგან ის ევროპა არ არის, არამედ აზია, უკეთეს შემთხვევაში, ევრაზია.

ამგვარად, ასკენიან ევრაზიულობის მოწინააღმდეგენი, ევრაზიული ცდები მხოლოდ რუსეთის მტრებისთვის არის სასარგებლო. პოლემიკის ხანძარში საკითხი თეორიულ სფეროებს სცდება და ურთიერთლანძღვის პლანში იხსნება. რასაკვირველია, საკითხი ამით მხოლოდ აგებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. რობაქიძე 2012, 4: რობაქიძე გრ. ნაწერები, წ.4. თბილისი: “ლიტერატურის მუზეუმი”, 2012
2. რობაქიძე 2012, 5: რობაქიძე გრ. ნაწერები, წ.5. თბილისი: “ლიტერატურის მუზეუმი”, 2012.

Ratiani Lali

Professor Doctor an der Staatlichen Universität Suchumi



STRUKTURELL-SEMANTISCHE MODELLE IM SATZGEFÜGE MIT DEM OBLEKTSATZ

Die Besonderheiten der Satzgefüge die, die Realisierung der syntaktischen Funktionen des Objekts durch die Nebensätze bedingen, können als zahlreiche strukturell-semantische Modelle dargestellt werden.

Ziel der vorliegenden Arbeit ist die charakteristischen Züge der Objekt- oder Ergänzungssätze sichtbar zu machen, ihre Spezifik festzustellen, durch die Beschreibung eigentümlicher charakteristischen Merkmale die Sätze dieser Art zu ergänzen, die Besonderheiten der Satzmodelle und –Strukturen, ihre bestimmte syntaktische Funktionen darzustellen, durch die den bekannten deutschen

Schriftstellern entnommene Objektsätze gefestigte Übungen kennenzulernen und die Notwendigkeit ihrer Erfüllung hervorzuheben, beim Erlernen der deutschen Sprache die für das georgische Auditorium geeignete Fehler zu berücksichtigen, Ausnahmefälle an den Tag zu legen.

Der Objektsatz erfüllt im Satzgefüge die Funktion des Objekts, das durch einen reinen oder präpositionalen Kasus dargestellt wird und vom Prädikat des Hauptsatzes abhängt. Der Objektsatz antwortet auf die Fragen: wen? was? wein? wessen? woran? wonach? womit? wodurch? worum? u.a.z.B.

Er fühlte, dass er dieses Wortes wegen hier stand. (H. Mann). -Was fühlte er?

Wenn im Hauptsatz das Prädikat durch ein transitives Verb ausgedrückt wird, hat der Objektsatz die Funktion des Akkusativobjekts.z.B.

Die Lage zeigte, dass die Mutter des Mädchens seinen Freund verraten hat. (H. Mann).

Wenn der Hauptsatz ein intransitives Verb enthält, so fungiert der Objektsatz als ein indirektes Objekt. Ob der Nebensatz ein Dativ - oder Genitivobjekt vertritt, ist durch die Rektion des Verbs im Nebensatz bedingt.z.B.

Wer sich zum Esel macht, dem will jeder seine Säcke auflegen. (Sprichwort).

Die Objektsätze, die dem Genitivobjekt entsprechen, kommen in der Sprache nicht oft vor.**Nach der Stellung** im Satzgefüge sind die Objektsätze Nachsätze, seltener Vordersätze, wenig vorkommend - Zwischensätze.z.B.

Sie wünschte, dass ich mit meiner Frau fern von hier lebe. (H. Mann).

Nach der Art der Verbindung mit dem Hauptsatz sind zu unterscheiden: konjunktionale, relative und konjunktionslose Objektsätze. Die konjunktionale Nebensätze werden durch die Konjunktionen: **dass, ob, wie**, eingeleitet.z.B.

Wie der nächste Ort heißt, weiß er überhaupt nicht. (Chr. Hirte).

Im Hauptsatz kann fakultativ ein Korrelat gebraucht werden. Bei den konjunkionalen Sätzen dienen als Korrelate die Demonstrativpronomen: **das, die** Pronominaladverbien: **damit, dafür, danach, davon, darauf** u.a.z.B.

Ich vergesse **das**, wie du Nacht für Nacht auf mich wartest. (H. Fallada).

Die konjunkionalen Objektsätze werden dem Hauptsatz untergeordnet, in dem das Prädikat durch folgende Verben ausgedrückt wird: **Verben des Sagens und Mitteilens**: sagen, berichten, antworten, erwidern, erzählen, melden, mitteilen, beschwören, glauben, versichern, zustimmen, zurufen, feststellen, bejahen, verneinen, beweisen, behaupten, versprechen, vorwerfen, gestehen, flüstern u.a. **Verben des Wissens und Denkens**: begreifen, wissen, erfahren, verstehen, denken, träumen, sich vorstellen, vermuten, erkennen, sich erinnern, mahnen, sich besinnen, sich bedenken, nachdenken u.a. **Verben der Wahrnehmungen**: sehen, blicken, hören, vernehmen, fühlen, spüren, erblicken, bemerken, beobachten, wahrnehmen u.a. **Verben der Willensäußerung**: bitten, beten, ersuchen, verlangen, fordern, wünschen, befehlen, verbieten u.a. **Verben des Fühlens**: ahnen, fühlen, hoffen, spüren, zweifeln, lieben, hassen, leiden, bereuen, bedauern, sich freuen, sich ärgern, sich wundem u.a. Nach den Hauptsätzen mit oben genannten Verben stehen die durch die Konjunktion „dass“ eingeleiteten Nebensätze. Enthält der Hauptsatz die Verben des Sagens, Wissens, Denkens, Fühlens, so dient der Nebensatz zum Ausdruck der indirekten Rede.z.B.

Die tückische Göttin hatte ihr heimlich ins Ohr **geraunt**, dass die Trojaner sich zur Abfahrt rüsteten. (R. Carstensen).

Beide **wussten**, dass es jetzt um die Entscheidung gehe. (R. Carstensen).

Er **merkt**, dass er bloß noch einen einzigen Zettel in der Tasche hat. (Chr. Hirte)

Wenn das Prädikat im Hauptsatz durch das Verb des Fragens bzw. der Ungewissheit repräsentiert wird, so werden ins Satzgefüge die „**ob**“-Sätze eingeordnet. Sie beinhalten: **die Indirekte Frage**, die durch die Verben des Fragens und der Ungewissheit ausgedrückt wird: fragen, prüfen, sich interessieren, bezweifeln, sich erkundigen, nachfragen, testen, sich fürchten, erforschen, abfragen u.a.z.B.

Darauf **fragte** der selige König dich, **ob** du dann sein Schwiegersohn werden wolltest. (H. Mann)

Der „**ob**“ – Satz tritt auch dann auf, wenn dem Verb im Hauptsatz die Bedeutung der Ungewissheit durch Hinzufügung der Negation „nicht“ oder eines anderen negierenden Elements verliehen wird.z.B.

Ich weiß **nicht, ob** draußen etwas zu hören ist.

In Einzelfällen wird die Realisierung der Semantik. „Ungewissheit“ durch Wortverbindungen mit **wollen** und **werden** im Hauptsatz bedingt – **wollen+Infinitiv** weist daraufhin, dass der Sprecher die Richtigkeit des im Nebensatz Ausgesagten für fraglich hält, es bezweifelt.z.B.

Zwei Tränen sind mir schon über das Gesicht gelaufen, wir **wollen ja sehen**, ob die Schminke das aushält. (H. Mann).

Die Verbindung **werden + Infinitiv** bezeichnet ein vermutetes gegenwärtiges oder zukünftiges Geschehen.z.B.

Man wird ihn im Auge behalten, ob sein kindliches Vertrauen noch währte. (H. Mann).

Das im Infinitiv stehende Verb gehört meistens zu den Verben der Wahrnehmungen, überwiegend kommen die Verben des Sehens vor. Die **dass**-Objektsätze haben noch eine Funktion – sie werden zum Ausdruck einer indirekten Aufforderung gebraucht. z.B.

Dann befahl er ihnen, dass sie die Herzen vom Hof erschlagen. (H. Mann).

Die Semantik der Aufforderung wird in den **dass**-Objektsätzen durch die Verben der Willensäußerung **befehlen, fordern, beauftragen, befehligen, verlangen, verpflichten** u.a. realisiert.

In den konjunkionalen **dass**- und **ob**-Sätzen, die eine indirekte Rede, Frage oder Aufforderung enthalten, werden vorwiegend präsentische Zeitformen des Konjunktivs gebraucht. z.B.

Er redete sie in der alten Sprache an und fragte, ob sie schon verlobt sei mit einem Prinzen. (H. Mann).

Der Gebrauch des Indikativs ist auch zulässig.z.B.

Man behauptet, dass er von den Göttern abstammt. (R. Carstensen)

Zu den konjunkionalen Objektsätzen gehören außerdem die Nebensätze, die durch die Konjunktion „wie“ eingeleitet werden:z.B.

Jetzt erst erkannte Dido, wie unabänderlich der Wille des Schicksals war. (R. Carstensen).

Die Hauptsätze, von denen „**dass**“- , „**ob**“- und „**wie**“-Objektsätze abhängen, haben gleiche Strukturen - obligatorische Satzglieder sind: das durch das Substantiv oder das Pronomen dargestellte Subjekt und das durch das Verb ausgedrückte Prädikat. Fakultativ werden Objekte und Korrelate gebraucht. Im Hauptsatz mit einem **dass**-Objektsatz treten in der Funktion des Prädikats die Verben des Sagens, Mitteilens, Wissens, Denkens, Wahrnehmens, Fühlens, der Willensäußerung auf.

Im Hauptsatz mit einem **ob**-Objektsatz wird das Prädikat durch die Verben des Fragens und der Ungewissheit dargestellt.

Die relativen Objektsätze, die so genannten „**W**-Sätze“ werden durch Relativpronomen: **wer, was, welcher** und Relativadverbien: **womit, wofür, wo, worüber, wodurch** u.a. eingeleitet. Die Kasusform des Relativpronomens und der Gebrauch des konkreten Relativadverbs werden durch die Rektion des Verbs im Nebensatz bedingt.z.B.

Sogar seine Familienangehörigen können nicht begreifen, **wonach** er sein Leben lang gestrebt hat. (Chr. Hirte).

Im Hauptsatz wird oft ein Korrelat gebraucht. Das Korrelat ist obligatorisch, wenn es mit dem Relativpronomen im Nebensatz im Kasus nicht übereinstimmt.z.B.

Er stand dabei und freute sich aus unschuldigem Herzen **dessen, was** er angerichtet hatte. (H. Mann).

Wenn der Nebensatz etwas berichtet, tritt das durch ein Relativadverb ausgedrückte Korrelat oft in der Form auf – **Präposition + Demonstrativpronomen.z.B.**

Nicht viele haben ein feines Gefühl **für das**, was richtig ist. (Chr. Hirte).

Wenn aber der Nebensatz eine Frage enthält, so ist das Korrelat durch ein Pronominaladverb ausgedrückt.z.B.

Soll ich wirklich **davon** berichten, wie Troja unter dem erbarmungslosen Ansturm der Feinde in den Staub sank? (R. Carstensen)

Im Hauptsatz steht kein Korrelat, falls der Nebensatz durch ein Relativadverb eingeleitet wird.z.B.

Ich konnte nur erraten, wohin er jetzt ging. (Chr. Hirte).

Obligatorische Glieder des Hauptsatzes, dem ein Relativsatz untergeordnet ist, sind das Subjekt und das durch ein objektbezogenes Verb ausgedrückte Prädikat.Die Objektsätze, die dem Hauptsatz ohne irgendwelche Bindemittel angefügt werden, enthalten eine indirekte Rede und haben die Wortfolge des selbstständigen Aussagesatzes. In den konjunktionslosen/ asyndetischen Nebensätzen werden die Zeitformen des Konjunktivs gebraucht.z.B.

Er schwur und fluchte, nur er allein sei der König. (H. Mann).

Die konjunktivischen Formen haben in den Objektsätzen auch die Verben, die eine subjektive Bewertung der Geschehnisse, eine indirekte Aufforderung oder Bitte ausdrücken. Die Semantik der Aufforderung wird durch das Modalverb **sollen**, die Semantik der Bitte - durch das Modalverb **mögen** realisiert.z.B.

Der Vater beharrt darauf, das Kind **solle** bei ihm bleiben. (Chr. Hirte).

Die Objektsätze können durch einige synonymische Strukturen ersetzt werden. Als solche gelten: --

Infinitivgruppen z.B.

Er behauptet, dass er alles erledigen kann. = Er behauptet, alles erledigen zu können.

Die Vorbedingung für die Austauschbarkeit dieser Art ist die Identität der Subjekte im Haupt – und im Nebensatz.

– Die Struktur: **Akkusativ + Infinitiv** von den Verben: **sehen, hören, fühlen.z.B.**

Die Mutter sah, dass ihr Sohn im Hof spielte. = Die Mutter sah ihren Sohn im Hof spielen.

Wir hören, wie die Gäste im Nebenzimmer laut sprechen. = Wir hören im Nebenzimmer die Gäste laut sprechen.

Diesen Strukturen sind die Verbindungen: **Partizip I + Substantiv** synonym: z.B.

Die Mutter sah ihren im Hof spielenden Sohn.

Wir hören die im Nebenzimmer laut sprechenden Gäste.

– Ein einfaches Objekt, das durch die substantivierte Form des Prädikats im Nebensatz dargestellt wird. z.B.

Der Alte bereut, dass er an dieser Arbeit teilnimmt.= Der Alte bereut seine Teilnahme an dieser Arbeit.

– Die Präpositionalgruppe, die den Hauptsatz ersetzt und dadurch das Satzgefüge in einen einfachen Satz verwandelt.z.B.

Er behauptet, dass er in die schlimmste Zeit seines Lebens eingetreten sei. = Nach seiner Behauptung sei er in die schlimmste Zeit seines Lebens eingetreten.

Die strukturell-semantischen Besonderheiten der Satzgefüge, die die Realisierung der syntaktischen Funktion des Objekts durch einen Nebensatz bedingen, können als strukturell-semantische Modelle dargestellt werden.

1. HS- Subjekt (Subst. Pron, Pers. Ding,Erscheinung)+ Prädikat(Verb-Sagen, mitteilen,

denken, wissen, wahrnehmen, vermuten) + (Korrelat) (Demonstpron. Pronominaladverb) + dass-NS.

z.B. Keiner zweifelte (daran), dass er sein Wort halten würde (R. Klappenbach)

II. HS-Subjekt (Subst. Pron. Person) + Prädikat (Verb-tr.refl. Sagen, Mitteilen, denken, Wissen, Vermuten, Fragen, sich erkundige) + Korrelat (Demonst.pron. Pronominaladverb) + Relativ.-NS

z.B. Er erkundigte sich (danach), wie dieser junge Mann in so kurzer Zeit alles fertig gebracht hat.

III. HS- Subjekt (Subst. Pron. Person) + Prädikat (Verb-tr.refl, Fragen, s. erkundigen + Korrelat (Demonst.pron. Pronominal. Adverb+ ob-NS

z.B. Niemand von den Anwesenden interessiert sich dafür, ob die Forschungsergebnisse dem Land gewissen ökonomischen Nutzen bringen können.

IV. HS- Subjekt (Subst. Pron. Person) + Prädikat (Verb-tr.refl Fragen, sich erkundigen) + Korrelat (Demonstr.pron. Pronominaladverb) + ob -NS

z.B. Man überzeugt uns, seine letzte Rede habe ihm außerordentliche Popularität eingetragen.

Fragen zur Selbstkontrolle

1. Welche syntaktische Funktion erfüllen die Objektsätze im Satzgefüge?
2. Wodurch wird die syntaktische Funktion die Objektsatzes bedingt?
3. Auf welche Fragen antworten die Objektsätze?
4. Wie sind die Objektsätze nach ihrer Stellung im Satzgefüge?
5. Welche Arten der Objektsätze unterscheidet man nach der Art ihrer Verbindung mit dem Hauptsatz?
6. Durch welche Konjunktionen werden die Objektsätze eingeleitet?
7. Wodurch werden die relativen Objektsätze eingeleitet? u.a.

Übungen

1. Stellen Sie die Fragen zu den Nebensätzen.

1. Jeanne verzieh es sich nicht, dass sie in eine Falle geraten war. (H. Mann).
2. Was die Flut bringt, nimmt die Ebbe wieder. (Sprichwort).
3. Er durfte vor unberufenen Ohren nicht aussprechen, wie ihm zumute war. (H. Mann).
4. Was du heute kannst besorgen, das verschiebe nicht auf morgen. (Sprichwort).

2. Suchen Sie Objektsätze in den folgenden Satzgefügen.

1. Wer tauschen will, will betrügen. (Sprichwort).
2. Wer Glück hat, dem kalbt der Ochs. (Sprichwort).
3. Was er erzählt, versteht sie lange nicht alles. (H. Fallada).
4. Wer schnell und gewand ist, kann sie überlisten. (H. Mann).

3. Bestimmen Sie die Objektsätze nach ihrer Stellung im Satzgefüge und der Art ihrer Verbindung mit dem Hauptsatz.

1. Von ihrem dicken Sohn hat sie nur gesagt, er wäre toll. (H. Mann). 2. Was die bei den Lieferanten Schmu macht, klaut sie an Seidenstrümpfen und Seidenwäsche. (H. Fallada). 3. Ich kann Ihnen offen sagen, warum ich Ihnen meine Tochter geben will. (H. Mann). 4. Dieses trotzige Kopfrucken sei ihr übrigens von ihrem Vater her nicht unbekannt, sagte Annemarie. (Chr. Hirte)..

4. Ergänzen Sie die Lücken durch passende Relativadverbien

Muster: Der Vater interessiert sich, ... sein Kind träumt.

Der Vater interessiert sich, wovon sein Kind träumt.

1. Ich muss wissen, ... ich rechnen kann. 2. Alle begreifen gut, ... er eine panische Angst hat. 3. Er interessiert sich gar nicht, ... der Sinn seines Lebens besteht. 4. Der Reiseführer vermutet, sich die Reisenden über alle Massen wundem.

5. Schließen Sie die angegebenen Nebensätze dem Hauptsatz ohne „dass“-Konjunktion an. Beachten Sie den Modus und die Wortfolge im Nebensatz.

Muster: Der Student behauptet, dass er an der Konferenz teilgenommen hat, - Der Student behauptet, er habe an der Konferenz teilgenommen.

1. Der Vater warf dem Sohn immer vor, dass er viel Geld ausgibt. 2. Dadurch hat er ihm bewiesen, dass er Unrecht hat. 3. Überall flüstern die Kollegen eifrig, dass der Professor die Studenten ungerecht behandelt. 4. Der Lehrer war überzeugt, dass der Schüler den Sinn des Satzes nicht begriffen hat.

6. Ergänzen Sie möglichenfalls die Lücken in den Hauptsätzen durch entsprechende Korrelate.

1. Der Chefindenieur erkundigt sich nie, woran seine jungen Kollegen so eifrig arbeiten. 2. Die Studenten gratulieren ihrem Lehrer, dass er so glänzend mit seiner Arbeit promoviert hat. 3. Der Reisende erzählt viel, was er in fremden Ländern gesehen hat. 4. Er ist nicht überzeugt, ob seine Handlungsweise immer richtig ist.

7. Verwenden Sie die direkte Rede in die indirekte.

Muster: Er sagte: „Ich besuche dich heute“ – Er sagte, dass er mich heute besuche.

1. Die Witwe sagte leise: „Ich hoffe dich noch einmal zu sehen.“ 2. Der Abgeordnete versicherte, er habe den Verbrecher nur von weitem her gesehen. 3. Die Teilnehmer der Protestaktion behaupten: „Die Regierung beachtet ihre Aufforderung zur Zahlung des Arbeitslohns nicht.“ 4. Der Lehrer äußerte sich vorsichtig: „Der Junge benimmt sich wie ein kleines Kind.“

8. Verwenden Sie die direkte Aufforderung bzw. Bitte in die indirekte.

Muster: Der Hausherr befahl dem Unbekannten: „Verlasse den Raum, sofort, ohne Zögern!“ - Der Hausherr befahl den Unbekannte, er solle den Raum sofort, ohne Zögern verlassen.

Das Kind bittet die Mutter: „Lies mir ein Märchen vor!“ - Das Kind bittet die Mutter, sie möge ihm ein Märchen vorlesen.

1. Der Oberst fordert den Soldaten auf; „Photographiere schnellen Aufzug der Wache!“ 2. Der Maler bittet den Freund: „Betrachte das Bild aus der Nähe!“ 3. Der Betriebsleiter spricht seinen Ingenieur flehend an: „Übe eine Weile zwei Berufe gleichzeitig aus!“ 4. Der Kranke verlangt von seiner Pflegerin „Schließe die Vorhänge dicht!“

9. Ergänzen Sie die Lücken in den unten angeführten Sätzen durch passende Korrelate oder durch die Verbindung: Präposition + Demonstrativpronomen!

Muster: Sie denkt....., was er dir gesagt hat. – Sie denkt daran / an das, was er ihr gesagt hat.

1. Wir sind zufrieden, was unser Nachwuchs errungen hat. 2. Willst du dich erkundigen, was ich für richtig halte? 3. Das Kind fürchtet sich, was er nicht gut kennt. 4. Die Studenten interessieren sich was der Dekan ihnen mitteilen werde.

10. Welches Genitiv-, Dativ-, Akkusativ- oder Präpositionalobjekt wird durch den Nebensatz ersetzt? Stellen Sie die Frage zum Nebensatz.

1. Bist du ganz sicher, dass er es nicht böse gemacht hat? 2. Der Gefangene kann nicht verstehen, wie er aus der schweren Lage den Ausweg findet. 3. Die Einwohner der kleinen Stadt interessieren sich dafür, ob dieser berühmte Meister des Fußballspielers in ihrer Mannschaft spielen werde. 4. Man muss nur dem vertrauen, wen man gut kennt.

11. Stellen Sie die Fragen zu den fettgedruckten Satzgliedern. Bedienen Sie sich dabei eines Satzgefüges mit dem Objektsatz.

Muster: Er dankt ihm für die Hilfe. Sag mal bitte, wofür dankt er ihm?

1. Der junge Mann interessiert sich für **Pferderennen**. 2. Unsere Lehrerin war **zu ihren Zöglingen** immer freundlich. 3. Der alte Meister erinnert sich an **jede Einzelheit** auf seinem letzten Bilde. 4. Man wickelt ihn **in eine peinliche Angelegenheit**.

12. Ersetzen Sie die Objektsätze durch Infinitivgruppen. Beachten Sie die Zeitform des Verbs im Nebensatz.

Muster: Er meint, dass er die Stadt bald verlässt. Er meint die Stadt bald zu verlassen.

1. Wir zweifeln, dass wir diese schwere Zeit ohne Fehler durchleben können. 2. Ich habe beschlossen, dass ich alle Schwierigkeiten überwinden werde. 3. Der Alte hofft, dass du unseren kranken Freund Ende des Monats besuchst. 4. Versprich mir, dass du unseren kranken Freund Ende des Monats besuchst.

13. Ersetzen Sie die Objektsätze durch die Struktur „Akkusativ + Infinitiv“.

Mein älterer Bruder schickt mich, dass ich ihm frische Zeitungen kaufe. 2. Die Frau fühlt, dass sie diese Arbeit allein nicht bezwingen kann. 3. Die Eltern lehren ihre Kinder, dass jede Schwierigkeit zeitig zu überwinden sei. 4. Alle bemerken, dass sich unser neuer Kollege nicht besonders korrekt benimmt.

14. Übersetzen Sie ins Georgische

1. Wer über sich haut, dem springen Späne ins Gesicht. (Sprichwort). 2. Neptun wusste sogleich, dass seine Schwester hier ihre Hand im Spiel hatte. (R. Carstensen). 3. Er fragte dich, ob du sein Sohn sein wolltest. (H. Mann). 4. Wer einmal lügt, dem glaubt man nicht, und wenn er auch die Wahrheit spricht. (Sprichwort)..

15.Übersetzen Sie ins Deutsche

1. ჩვენ გვწამს, რომ ჩვენს ქვეყანას საფრთხე არ ემუქრება, რომ მას ღმერთი მფარველობს. 2. არ გაინტერესებს, რატომ აქვს ბარტყს ყვითელი ნისკარტი? 3. ხომ არ იცით, რომელ აუდიტორიში ტარდება დღეს პროფესორ გროსეს ლექცია? 4. ავადმყოფმა მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ იგრძნო, რომ მას ძალა დაუბრუნდა.

16. Analysieren Sie syntaktisch und morphologisch die Sätze.

1. Daher forderte der kleine Knabe den größeren heraus, wer das Mädchen durch den Bach tragen könnte. (H. Mann). 2. Ein Herr beugte sich hinaus und wollte sehen, wo man wäre. (L. Feuchtwanger). 3. Die konnte nicht vergessen, dass Paris ihr einst der Preis der Schönheit versagt und der Venus den Vorzug gegeben hatte. (R. Carstensen). 4. Aber Dido spürte nicht, wie nahe ihr das Verhängnis war. (R. Carstensen).

ლალი რატიანი

**სტრუქტურულ-სემანტიკური მოდელები
დამატებით დამოკიდებულ წინადადებებში**

რეზიუმე

ქვეწვობილი წინადადებების თავისებურებები, რომლებიც სინტაქსური ფუნქციების რეალიზაციას დამოკიდებული წინადადებები განაპირობებენ, სქემატურად შესაძლებელია წარმოდგენილ იქნენ მრავალრიცხოვანი სტრუქტურულ-სემანტიკური მოდელების სახით.

ნაშრომის მიზანია რთული ქვეწვობილი წინადადებების, კერძოდ დამატებით დამოკიდებული წინადადებების დაწვრილებითი დახასიათება, მათი თავისებურებებისა და სპეციფიკის დადგენა, წინადადებების მოდელებისა და სტრუქტურების თავისებურებებისა და განსაზღვრული სინტაქსური ფუნქციების აღწერა, ცნობილი გერმანელი მწერლების ნაწარმოებებიდან ამოკრეფილი დამატებითი დამოკიდებული წინადადებების სახეებით გამყარებული სავარჯიშოების გაცნობა და მათი შესრულების აუცილებლობა, გერმანული ენის შესწავლისას ქართული აუდიტორიისათვის დამახასიათებელი სინელების გათვალისწინება, გამონაკლისი შემთხვევების გამოვლენა.

ილუსტრირებული ენობრივი მასალა გერმანული წინადადების არა მხოლოდ სტრუქტურული თავისებურებების გაცნობის, არამედ ენის შემსწავლელთათვის ენის ჩვევების გაუმჯობესებისა და შესაძლო შეცდომების არიდების გარანტიაა.

Lali Ratiani Structural - SEMANTIC MODELS IN THE OBJEKT CLAUS

Summary

The features of complex sentences which condition the realization of syntactic function by subordinate clauses, schematically they can be presented as numerous structural - semantic models.

The purpose of the paper is to characterize in detail a complex sentence, privately a Objekt clause, determine their features and specifics, describe models and peculiarities of sentence structures and also present examples on Objekt clause taken from famous German authors' works and necessity of doing them. It should be considered difficulties characterized for the Georgian audience during learning German and reveal exceptional cases.

The illustrated language material for language learners is the guarantee not only acquaintance of structural features of German sentences but development of language skills and avoiding of errors.

ამალია საზანდრიშვილი



მეტყველების კულტურის ზოგიერთი საკითხი

აკად. ნ. მარი მიუთითებდა, რომ ქართული ენა იმდენად მდიდარია, რომ თავისი შინაგანი თვისებებით იგი მსოფლიო მნიშვნელობის ენაა.“

ღრმა ცოდნის ნათლად და მარტივად გადმოცემის ოსტატობა, მშობლიური ენის კანონების სწორად გააზრება, მისი ყველა ნიუანსის, აზრისა და გრძობების უფაქიზესი ელფერის გაგება, ლოგიკური მსჯელობის წესები უნდა ვისწავლოთ.

მათი ყოველი მოხსენება, ყოველი შრომა, რა საკითხსაც უნდა ეხებოდეს, იქნება ეს პოლიტიკა თუ ისტორია, ხელოვნება თუ ბუნებისმეტყველება, ფილოსოფოსია თუ ენათმეცნიერება ან რომელიმე სხვა დარგი, – რთული შინაარსის სადა, სწორი, მკაფიო, ზუსტი.

ცნობილია, რომ მხოლოდ სიტყვის საშუალებით იღებს აზრი ობიექტურ მნიშვნელობას, სოციალურ ფუნქციას. ასევე მეტყველებაც: ადამიანთა ურთიერთობის საშუალების როლს ის მხოლოდ მაშინ შეასრულებს, თუ ობიექტურ სინამდვილეზე მიუთითებს და რაიმე აზრს გამოხატავს. ამიტომ კარგად ლაპარაკი, სწორად და ნათლად მსჯელობა შეიძლება მხოლოდ საფუძვლიანად შემსწავლელ თემაზე, კარგად გაცნობილ საგანსა და მოვლენაზე. თუ ცნება მეტყველის მიერ არ არის კარგად გააზრებული და შეთვისებული, მისი ლაპარაკი, მსჯელობა ამ საგანზე არ შეიძლება ზუსტი, გამართული, დამაჯერებელი, ნათელი და სხვებისათვის გასაგება იყოს.

მეტყველების კულტურა საბოლოო ანგარიშით აზროვნების კულტურაა. კარგად წერა და მეტყველება მხოლოდ სწორი აზროვნების შედეგია. ნ.გ. ჩერნიშევსკი მართებულად მიუთითებდა:

„რასაც ბუნდოვნად წარმოიდგენ, მას ბუნდოვნადვე გამოხატავ. გამოთქმის უზუსტობა და ბუნდოვნება მოწმობს მხოლოდ აზროვნების ბუნდოვნებას.“

ამ უკანასკნელ პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მეტყველების კულტურის თეორიული და პრაქტიკული საკითხების დამუშავებას. სპეციალისტები ამას მიიჩნევენ თანამედროვე ენათმეცნიერების ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემად. მეტი, ზოგი მკვლევარი აუცილებლად თვლის შეიქმნას ახალი ლინგვისტური დისციპლინა („ორთოლოგია“), რომელიც ზემოაღნიშნულ საკითხებს შეისწავლის.

მეტყველების კულტურა – ეს არის ცხოვრებისეული საუბრის კულტურა, მხატვრული ლიტერატურის კითხვის კულტურა, პროპაგანდისტულ წრეებსა და კათედრებზე გამოსვლის კულტურა. მეტყველების კულტურა – ეს არის ადამიანების მიერ ეროვნული ხელოვნების დაუფლების საზომი, ცოდნის მარაგი, მშობლიური ენისადმი სიყვარულის გამოვლინება, ყოველივე იმის დაუფლება, რაც დედაენის მხატვრულ გენიას შეუქმნია.

ენის სიწმინდის დავა მეტყველების კულტურის ნაწილია. ენის სიწმინდის დაცვა – ესაა დამკვიდრებული ლიტერატურული ენის ნორმების დაცვა, მისი დამახასიათებელი წესების, მართებული სიტყვებისა და გამოთქმების შესაბამისად ხმარება, ბუნებრივი წარმოთქმის გამოყენება. ენის სიწმინდის დავა მეტყველების კულტურის თანმხლებია. სიწმინდის დავა შეიძლება ლიტერატურულ ენაშიც და ცოცხალ, კუთხურ მეტყველებაშიც“ (ვ. თოფურია).

მეტყველების კულტურის ცნება თავისთავად გულისხმობს როგორც ზეპირ, ისე წერით მეტყველებას. მისი თეორიული საფუძველია ლიტერატურული ნორმა. ზოგიერთი ავტორი ამ ორ ცნებას შორის („მეტყველების კულტურა“ და „ლიტერატურული ნორმა“) ტოლობის ნიშანს სვამს, რაც სპეციალურ ლიტერატურაში სადავოდ ითვლება.

ქართული სალიტერატურო ენის შესაბამისად მეტყველებას სწორმეტყველებასაც ეძახიან. ეს იგივე ლიტერატურული მეტყველებაა, რომლის მთავარი დანიშნულებაა აზრების სწორად, მოკლედ, გასაგებად ჩამოსხმა-ჩამოყალიბება შესაბამის სიტყვიერ ფორმებში; მაგრამ „სწორმეტყველებას მეორე მხარეც აქვს: ესაა მკაფიო წარმოთქმა, რაც გაგონებისა და

გაგებინების უმთავრესი საშუალებაა. მკაფიო წარმოთქმა გულისხმობს უკვე მოფიქრებული, სიტყვებად და წინადადებად ჩამოყალიბებული სათქმელის ისე წარმოსთქმას, რომ მსმენელმა კარგად გაიგონოს ან გაიგოს სიტყვებში ჩაქსოვილი აზრი“ (ი. მაისურაძე).

ენობრივ პროცესს ორი მხარე აქვს: აზრების გადმოცემის ხელოვნება და ენის ფონეტიკური მხარე. პირველს სამეტყველო სტილს ეძახიან, ხოლო მეორეს – დიქციას. ძველი ბერძნები ხმარობდნენ ტერმინ ორთოეპიას, რაც ქართულად მართლმეტყველებას ნიშნავს. ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში ორთოეპიის შესატყვისად გვხვდება „სწორი წარმოთქმა“, „მართლწარმოთქმა“, „მართლუბნობა“ (ანტონ კათალიკოსი), „სწორენა“ (ს. ხუნდაძე). ერთი სიტყვით, „მეტყველების კულტურა“ თავისთავად გულისხმობს როგორც ორთოგრაფიას, ისე ორთოეპიასაც.

როგორც ცნობილია, ლიტერატურულ ენას აქვს განსაზღვრული ლექსიკური, გრამატიკული, ორთოგრაფიული და წარმოთქმითი ანუ ფონეტიკური ნორმები. წერითი მეტყველებისათვის დამახასიათებელია სპეციფიკური ნორმა, ხოლო ზეპირი მეტყველებისათვის – ორთოეპიული ნორმა, რომელშიც ძირითადად შედის წარმოთქმისა და მახვილის სისწორე, რაც მთელი სისრულით არ აისახება წერაში.

კულტურულმა ადამიანმა უნდა იცოდეს, რომ წარმოთქმა განეკუთვნება ენის ფონეტიკურ სისტემას.

ცნობილია, რომ ფონეტიკა შეისწავლის ენის ბგერითს შემადგენლობას, ენის ბგერით წყობას და ბგერით ცვლილებებს ენაში, ბგერებს, რომლებიც წარმოიქმნებიან ფიზიოლოგიურად, აღიქმებიან აკუსტიკურად და გამოიყენებიან სოციალურად.

ფრიად საყურადღებოა მეტყველების კულტურის ისეთი მნიშვნელოვანი მხარე, როგორცაა დიქცია, ე.ი. მკაფიო, გარკვევით წარმოთქმა სიტყვებისა თუ სიტყვის მარცვლებისა, წარმოთქმის მანერა (ლაპარაკის, დეკლამაციის დროს). შეიძლება ადამიანს ცუდი დიქცია ჰქონდეს და ამავე დროს კარგი ლიტერატურული წარმოთქმა და, პირიქით, შეიძლება მშვენიერ დიქციას ფლობდეს და არ იცოდეს ლიტერატურული წარმოთქმის ნორმები.

კულტურული მეტყველება გულისხმობს ქართული მახვილის ბუნების ცოდნასაც. ცნობილია, რომ მახვილი ქართულში სუსტია. მახვილიანი ხმოვანი მკვეთრად არ გამოირჩევა უმახვილოსაგან, ის საძებარია სიტყვაში.

ორ-და სამმარცვლიან სიტყვებში მახვილი დასაწყისიდან პირველ მარცვალზე მოდის, ოთხსა და მეტმარცვლიანებში ორი მარცვალი ჩანს მახვილიანი: თავიდან პირველი და ბოლოდან მესამე: წიგნი... კედელი... მეგობარი... სასწავლებელი... დაწესებულება. (არნ ჩიქობავა).

მეტყველების ელემენტთა გამოყოფას ან მათს ერთმანეთთან დაპირისპირებას სიძლიერე-სიმაღლით და მათი მოდულაციით ეწოდება მახვილი.

სიძლიერით გამოყოფას ან მის მოდულაციას ეძახიან სიძლიერის ანუ დინამიკურ მახვილს, ხოლო სიმაღლით გამოყოფას ან მის მოდულაციას – მუსიკალურ ანუ ტონურ მახვილს.

ცნობილია, რომ დინამიკური მახვილის მეორე სახელწოდებაა ექსპირატორული (ან ექსპირაციული) მახვილი. მაგალითად, ავილოთ კითხვითი წინადადება. კულტურული მეტყველება გულისხმობს ასეთი წინადადების მართებულად წარმოთქმას. ამისათვის საჭიროა ვიცოდეთ შემდეგი: თუ კითხვით წინადადებაში ურევია კითხვის გამომხატველი სიტყვა (ნაცვალსახელი, ზმნიზედა, ნაწილაკი), მაშინ კითხვის მახვილი ასეთ სიტყვაზე მოდის; მაგალითად: რა ამბავია ქალაქში? ვინ გელაპარაკებოდა წელან? რატომ ამდენ ხანს არაფერი მითხარი?

თუ წინადადებაში არ ურევია კითხვის გამომხატველი სიტყვა, მაშინ კითხვა ჩვეულებრივ ზმნაზე მოდის, რომლის უკანასკნელი ხმოვანი გრძელდება; თუ წინადადებას აკლია ზმნა, უკანასკნელი ხმოვანი გაუგრძელდება კითხვის ქვეშ დაყენებულ სიტყვას. მაგალითად:

„მაშ მღალატობ? მაშ ჩემი ოჯახის დაღუპვა გინდა? მაშ ჩემი საწყალი ქალი არ გებრალება?“ (ი. ჭავჭავაძე).

აქედან რომ უკანასკნელი წინადადება ავილოთ და სიტყვები გადავსვათ, კითხვის მახვილი მაინც ზმნას შერჩება. „მაშ არ გებრალება ჩემი საწყალი ქალი?“ მაგრამ შეიძლება მახვილი სულ ბოლოსაც იქნეს გადატანილი: „მაშ არ გებრალება ჩემი საწყალი ქალი“.

ერთი სიტყვით, ამ ტიპის წინადადებაში ტონის მოძრაობა განსხვავებულია იმის მიხედვით, მონაწილეობს თუ არა წინადადებაში კითხვითი სიტყვა. წინადადებაში ყველაზე უფრო მაღალი ტონაციით წარმოითქმის ის სიტყვა, რომელზედაც კითხვის სიმძიმის ცენტრია. დანარჩენი სიტყვები წარმოითქმის დაბალი ტონით (ა.შანიძე, ს. ჟრენტი).

არავისთვის სადავო არ არის, რომ ერთი და იმავე სიტყვის სხვადასხვა დაწერილობა ხელს უშლის ერთნაირი ორთოგრაფიული რეჟიმის დამკვიდრებას, აფერხებს წაკითხულის გაგებას. ასევე – ორთოეპიული ნორმებიდან ყოველგვარი გადახვევა აბრკოლებს გაგებინებას. ეს იმით აიხსნება, რომ ზეპირი მეტყველების აღქმისას ჩვენ ყურადღებას ბგერითს მხარეს კი არ ვაქცევთ, არამედ უშუალოდ აღვიქვამთ აზრს. ამასთან არასწორი წარმოთქმა მსმენელის ყურადღებას ახშირებს, აცილებს გამოთქმულ აზრს და აიძულებს მას ყურადღება გაამახვილოს მეტყველების გარეგან, ბგერითს მხარეზე. ეს კი აბრკოლებს აზრის გაგებას.

ორთოეპია ლიტერატურული ენის განუყოფელი ნაწილია. მისი მიზანია, აქციოს ენა ადამიანთა რაც შეიძლება უფრო ფართო ურთიერთობისა და გაგებინების მძლავრ საშუალებად. მაშასადამე, ორთ ეპიას წმინდა პრაქტიკული დანიშნულება აქვს. იგი წარმოადგენს მეტყველების კულტურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მხარეს, ხელს უწყობს ქართული წარმოთქმის კულტურის ამაღლებას, ზრდას, განვითარებას.

ლიტერატურული ენა ნორმატიული ენაა. მისი ნორმები ვრცელდება წარმოთქმაზე, გრამატიკაზე, ლექსიკა-ფრაზეოლოგიაზე, სტილისტიკაზე. ამ ნორმების დარღვევას მივყავართ არალიტერატურულ მეტყველებამდე.

სიტყვის კულტურას ჩვენში დიდი ხნის ისტორია აქვს, მაგრამ მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციამ მისცა ადამიანს სიტყვის თავისუფლად წარმოთქმის საშუალება. სიტყვა ბრძოლისა და მუშაობის იარაღია. მაშინდელ ვითარებაში ამ იარაღის ბრწყინვალეობაზე ფიქრიც კი შეუძლებელი იყო. მაგრამ დღეს საკმარისი აღარაა სიტყვის მხოლოდ შინაარსი, დღის წესრიგში დგას შინაარსის გადაცემის ფორმის დაუფლება, – შენიშნავენ სპეციალისტები.

წარმოთქმის ნორმები აუცილებლად დაცულ უნდა იქნეს კერძო საუბარშიც. უნდა გვახსოვდეს, რომ ზეპირი მეტყველების სტილს საგრძნობლად აქვეითებს ქართული ენისათვის არაბუნებრივი მახვილები ფრაზაში, ხმის არაბუნებრივი ტემბრი, თხრობის არაზუსტი ტემპი. ყოველივე ეს ქართულ ბუნებრივ მეტყველებას უკარგავს მისთვის დამახასიათებელ იერს, ეშხს.

კულტურული ადამიანის მეტყველებაში ძალიან იშვიათად ჩანს პირის ნაცვალსახელი „მე“, უკულტურო, არათავაზიანი ადამიანის მეტყველებაში კი, პირიქით, „მე“ ყოველთვის წინა პლანზეა წამოწეული. ამის შესახებ დიდი რუსი პედაგოგი კ.უშინსკი თავის დროზე მიუთითებდა:

„არ ილაპარაკო შენს თავზე უკიდურესი აუცილებლობის გარეშე არც ერთი სიტყვა; არასოდეს თავი არ მოიწონო იმით, რაც იყო, არც იმით, რაც არის, და არც იმით, რაც იქნება“.

გამოჩენილი პედაგოგის ეს სიტყვები ყოველთვის უნდა გვახსოვდეს.

ზოგჯერ მეტყველებაში ააშკარავებს ადამიანი საკუთარ თავს: როდესაც არჩილ ფორია (ლ. ქიაელის „გვადი ბიგვა“) გვადის მიმართავს: „ყურუმსალო“, „მამაძაღლო“, „შე პირძაღლო“, „სულელო“, „ოსერო“, „შე უბედურო“, „ყახახო“, და ა.შ. ამით იგი ამჟღავნებს თავის უკულტურობას, არაადამიანობას.

არსებობს ე.წ. სარეველა სიტყვები. ასეთ სახელს არქმევენ იმ ლექსიკურ ერთეულებს, რომლებიც შნოსა და სილამაზეს უკარგავენ მეტყველებას, ამძიმებენ ჩვენს მიმზიდველ სალიტერატურო ენას. პროფ. ზ. ჭუმბურიძეს მოჰყავს საინტერესო მაგალითები. აი, უყურეთ სკოლიდან მომავალ გოგონებსა და ბიჭუნებს, რომელთა ხელში მოსწავლის ჩანთები უჭირავთ. შეხედავთ და გესიამოვნებათ მათი დანახვა, მაგრამ ზოგიერთის ლაპარაკს ყური რომ დაუგდოთ, განცვიფრდებით.

– მაიცა, ტო, რას გარბიხარ! – ეგეთი ხოში მაქ! ვა, ტო, დღეს რა მაგარი ორიანი მთხლიშეს! – ბითური ხარ, რადა! ვენნათ ორებს იღებ. მე ხომ გავირტყი სამიანი! – სამიანი – თორე შენც მხეცივით სწავლობ, აი! ან კიდევ შეიძლება ყური მოჰკრა ასეთ „მარგალიტებს“: – გამარჯობა, ჯიგარო! – რას მაჭმევ, ჯიგარო! ჯიგარს გაჭმევ, ჯიგარო! – შენ

იმ ნაშას რატომ აეკიდე? – რაზე თომარობდით? – ატანდა, კუსონიკი მოდის! – მარკოზოვ-
ნა, მოდი აქ. ის ჩემი პაკლონიკია. – ლოთიანად, თავი დამანებე, – ვოტ ტებე ი ნა, ოტპუს-
კითაა ჩამოსული და სხვა.

პოეტ-აკადემიკოსი იოსებ გრიშაშვილი ლექს „ონავარში“ ასე კიცხავს ამგვარი სიტ-
ყვების მოტრფიალე ახალგაზრდებს:

„იშვილები“, „ხოში მაქვს“,
„ბითურია“, „არა რო!“
აი, შენი სიტყვების
საუნჯე და საღარო!
მითხარ, სად გაზარდე.
რომელ დედის უბეში,
რომ გამოხველ ასეთი
უქნარა და უხეში?

ეს სიტყვები ვულგარიზმების ნიმუშებია. მათი ხმარება ლიტერატურული მეტყველები-
სათვის მიუღებელია, მაგრამ ზოგიერთი მწერალი მათ აყენებს პერსონაჟთა მეტყველებაში
მოქმედი. ასეთი რამ დასტურდება ი. ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქერივში“, ნ. დუმბაძის ნაწარ-
მოებებში და სხვა.

მიზიდველი საუბარი ზრდილობის ერთ-ერთი ნიშანია, ქართველი მწერლები ყოველ-
თვის იდგნენ ერეკლეს ჯარისკაცებივით. ილია, აკაკი, ვაჟა და სხვები ყველაფერს აკეთებ-
დნენ, რათა გზა გადაეღობათ ბარბარიზმებისათვის, დაეცვათ დედაენის ლექსიკა ჩვენი
ენისათვის უცხო სიტყვა-გამოთქმების ტალღისაგან. ეს ჯანსაღი ტრადიცია მე-20 საუკუნის
მწერლებმა შემდგომ განავითარეს.

ყურს ეხამუშება ერთფეროვანი და პრიმიტიული მეტყველება. ჩვენს გულისწყრომას
იწვევს ზოგიერთის მიერ უწმაწური და უხეში სიტყვების, არალიტერატურული გამოთქმე-
ბისა და ქარგონების გამოყენება.

ყოველთვის ცნობილია ის ფაქტი, რომ ქართველები მეტყველებას კულტურას უძვე-
ლესი დროიდანვე აქებდნენ განსაკუთრებულ ყურადღებას. ამის ნათელი დადასტურებაა IV
საუკუნის ბრძენი ფილოსოფოსისა და ორატორის თემისტოსის ცნობა იმის შესახებ, რომ
IV საუკუნის შუა წლებში კოლხეთში, დღევანდელი ფოთის მახლობლად, არსებობდა რი-
ტორიკული განათლების ცენტრი, სადაც ფილოსოფიასა და მჭევრმეტყველებას სწავლობ-
დნენ ჩვენში საგანგებოდ მოვლინებული ბერძენი ახალგაზრდები. ამ სკოლაში მიიღეს გა-
ნათლება თვით თემის ტიოსმა და მისმა მამამ ევგენიოსმა. სპეციალისტების აზრით, აქ
ბერძენ ახალგაზრდებთან ერთად ქართველებიც სწავლობდნენ, რა ნათლად დასტურდება
მომდევნო პერიოდის ქართული ორატორული ხელოვნების დიდი წარმატებით. საგნები ის-
წავლებოდა ქართულად და ბერძნულად. რიტორიკული განათლების ეს ცენტრი დღეს
კოლხეთის აკადემიის სახელით არის ცნობილი.

შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ მრავალი მაგალითია იმისა, თუ როგორი ფორ-
მით უნდა მიმართოს უფროსმა უმცროსს ანდა სხვას. აკად. ა. შანიძე მიუთითებს:

„თუ როგორი სიტყვიერი მასალა იყო საჭირო უფროს-უმცროსობის ან ტოლობის გა-
მოსახატავად, ეს მშვენივრად ჩანს „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკის ანალიზზე: აქ უფროსი
უმცროსს „უბრძანებს“, უმცროსი უფროსს „მოახსენებს“ ან „კადრებს“, ხოლო სწორი სწორს
„ეიტყვის“, ორიოდე მაგალითი:

მეფემან იხმნა ვაზირნი, თვით ზის ღალი და წყნარია,
გვერდსა დაისხნა, დაუწყო მათ ამო საუბნარია.
უბრძანა: გკითხავ საქმესა, ერთგან სასაუბროსა.
ვაზირთა ჰკადრეს: მეფეო, რად ბრძანეთ თქვენი ბერობა?..
ქალმან ჰკადრა: ხელმწიფეო, დადრეჯილსა ვინ გნობდეს...
უთხრა: ძმაო, არ გიტყუე, გიყავ, რაა შემოგფიე...
ჩვენ მივართვით, მათ გვიბოძეს, ავაგსენით, ავიგსენით...

იგივე მკვლევარი დასძენს: „ზრდილობიანი საუბარი ეხლაც საკმაოდ გავრცელებუ-
ლია: მას ვხვდებით საჯარო გამოსვლებსა და კერძო საუბარში, მისაღმებ-გამოსაღმების
დროს, შინ თუ გარეთ, ლიტერატურასა თუ ხალხში; როგორც მასობრივი მოვლენა, ის უფ-
რო დასავლურ კილოებს ახასიათებს. ცნობილია, მაგ., გოჩას ნათქვამი ლექსი, სადაც

იკითხება: „არიან ზრდილნი იმერნი, მტერთა მიმცემნი რისხვისა“. იგივე აზრია გატარებული გრ. ორბელიანის „სადღეგრძელოში“:

კულტურული ადამიანი ცდილობს აზრი ჩამოაყალიბოს ნათლად, გასაგებად, მოკლედ, ამავე დროს ხატოვნად და ლამაზად, სურს ცოტა სიტყვებით ბევრი თქვას, მისდევს შოთას აფორიზმს:

„გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის“. ზოგიერთი ადამიანი არ უფრთხილდება ჩვენი ერის ბურჯის, დედაბობის, საშვილიშვილო საგანძურის – ქართული ენის სიწმინდისა და სიფაქიზის დავას. ამ ენის წმინდად დაცვა და შენახვა ჩვენთვის წინაპართ უანდერძებიათ და მასზე ზრუნვას ყოველი ჩვენგანი თავის ღვიძლს საქმედ უნდა მიღვედეს, რადგან უამისოდ თანამედროვე ქართული კულტურის ვერცერთი დარგი ვერ განვითარდა. სამწუხაროდ, ამ ჭეშმარიტებას არცთუ იშვიათად ივიწყებენ ხოლმე, – შენიშნავს აკად. ვ. თოფურია.

დიდი ილია გვასწავლის: „არსებითი ნიშანი ეროვნებისა, მისი გული და სული ენაა“, ხოლო აკაკი იმ შავბნელ ეპოქაში გოდებდა: „მხოლოდ ერთადერთი ასპარეზი დაგვრჩენია – თეატრი, საიდანაც შეგვიძლია გავიგოთ ჩვენი დედა-ენა: ის ენა, რომელზედა მუსიკობდა რუსთაველი, ბრძანებლობდნენ თამარები, რომელზედა ჰქადაგებდნენ ნინოები და რომელზედაც სიმდაბლით ღმერთს აღიდებდნენ ქეთევანები და მათი მსგავსები“.

„დედა ენისა“ და „ბუნების კარის“ ავტორი კი პუბლიცისტური სიმახვილით წერდა: „დედაენა არის ძვირფასი საღარო, დაუსრულებელი რვეული, რომელშიაც დაცულია მთელი სიმდიდრე ხალხი გონებისა, ფანტაზიისა და გულისა, ნაფიქრისა, ნაგრძნობისა და ნამოქმედარისა.“ სწორედ დედაენაზე შექმნა ქართველმა ხალხმა მთელი თავისი ძვირფასი სულიერი საუნჯე, რომელიც გადაურჩა ჟამთა სიავეს და გახდა ხალხთა კუთვნილება. ყოველი ადამიანი თვალისწინებით უნდა უფრთხილდებოდეს დედაენის ყოველ ასოს, ყოველ სიტყვას, იცავდეს მის სისწორესა და სიფაქიზიეს. ეს იმიტომ, რომ, პოეტ-აკადემიკოს გ. ლეონიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, დედაენა – ეს არის „დედის ძუძუ მეორე, სიყვარული პირველი“. სწორად მიუთითებს პოეტი:

„ჩვენი წიგნი, ჩვენი დედა,
ჩვენი ენა ქართული,
ოქროსხმიან სიმებად
გულში ამოხლართული!“

ჩვენ ვაშენებთ საზოგადოებას, რომლისთვისაც საჭიროა მაღალწიგნიერი ადამიანები, ყოველმხრივ განათლებულნი, აზროვნების მაღალი კულტურა მეტყველების მაღალი კულტურით ვლინდება. თუ ადამიანს უძნელდება ლოგიკური აზროვნება და ნაფიქრ-ნააზრევის დახვეწილი ლიტერატურული ენით გადმოცემა, იგი დაბალწიგნიერად ითვლება.

აზრი, ცოდნა მეტყველებით გადმოიცემა. აზრი, რომლის გამოხატვა მართებულ სიტყვიერ ფორმაში არ ხერხდება, ნამდვილი აზრი არცაა. სულ სხვა ვითარებაა, როცა ადამიანს აზრის გამოხატვა წერილობით უფრო ემარჯვება, ვიდრე ზეპირად, ანდა პირიქით, აქ გარკვეულ ფსიქოლოგიურ ტიპებთან გვაქვს საქმე: თუმცა მეტყველების ამ ორი სახის ასპექტთან გვაქვს საქმე; თუმცა მეტყველების ამ ორი სახის არათანაბარზომიერ განვითარებას ზოგ შემთხვევაში სათანადო ჩვევებზე მუშაობის უგულუბელყოფითაც ხსნიან.

ჩვენს მეტყველებას უნდა ამკობდეს და მის აქტიურ ლექსიკურ მარაგს ამშვენებდეს აფორიზმები, ხატოვანი ფრაზები, ფიგურალური სიტყვა-თქმები, ფრაზეოლოგიური ერთეულები, სენტენციები, რომელთაც დიდი შემეცნებითი მნიშვნელობა აქვთ. ხშირ შემთხვევაში გონიერი რჩევა, ჩაგონება, მოფერება, მუქარა, მკაცრი სასჯელის ზომებიც კი ვერ ახდენს ადამიანზე ისეთ ძლიერ გავლენას, როგორსაც ხატოვანი, ფრთიანი გამონათქვამები.

ბრძნული სიტყვები უძლიერესი იარაღია ამა თუ იმ აზრის დასამტკიცებლად.

ხალხში გავრცელებული ხატოვანი სიტყვა-გამოთქმების, იდიომების, ფრაზეოლოგიის მომარჯვება ზეპირსა და წერიტს მეტყველებას უფრო შთამბეჭდავს ხდის.

ყოველი თანამედროვე განათლებული ადამიანი უნდა იცნობდეს საერთაშორისო ხმარებაში მიღებულ ფიგურალურ გამოთქმებს, ერკვეოდეს მათს შინაარსში და სწორად იყენებდეს საკუთარ მეტყველებაში; მაგ., აქილევსის ქუსლი, ბაბილონის გოდოლი, გედის სიმღერა, დამოკლეს მახვილი, დიოგენის ფარანი, ეზოპეს ენა, ლინჩის სამართალი, მაინც ბრუნავს!, ნიანგის ცრემლები, წყლის ნაყვა, ჰანიბალის ფიცი, ჰეროსტრატეს დიდება და მსგავსი სხვა გამოთქმები ხშირად უნდა იხმარებოდეს ყოველი ჩვენგანის საუბარში; უნდა

ვიცნობდეთ იესეთ წიგნებს, როგორცაა: „მახვილსიტყვაობა“ (1939), რ. ქორქიას „სხარტულა“ (1960), „დამაკვირდი“ (1985), „ბრძნული აზრების სამყაროში“ (1967), „სიბრძნის საუნჯე“ (1987) და სხვა.

საუბარში, მეტყველებაში მონაწილე პირთა მიხედვით გამოყოფდენ დიალოგურ და მონოლოგურ მეტყველებას. ზეპირი მეტყველების ყველაზე გავცელებული სახეა დიალოგი. იგი მეტყველებითი ურთიერთობის ყველაზე ბუნებრივი ფორმაა.

დიალოგი ბერძნული სიტყვაა და აღნიშნავს აზრთა გაცვლა-გამოცვლას ორ ან ორზე მეტ პირს შორის. სასაუბრო მეტყველება თავისი ბუნებით დიალოგურია. დიალოგის მეტყველებითი ორგანიზაციის თანმხლება რეპლიკა, რომელიც მოკლე შეპასუხებაა, შეკამათებაა ორატორისათვის კრებაზე, სიმპოზიუმზე, კონფერენციაზე, ყრილობაზე, ადგილიდან მიცემული მოკლე შენიშვნაა. რეპლიკა – ეს არის თანამოსაუბრის სიტყვაზე პასუხი, უარყოფა, შენიშვნა. ეს ერთ-ერთი იმ ენობრივ საშუალებათაგანია, რომელიც ასახავს დიალოგის სპეციფიკას, რადგან სწორედ იგი ხსნის დიალოგური მეტყველების არსს.

(გაგრძელება იქნება.)

ქეთევან ცაბაძე



იაპონიის სკოლამდელი და დაწყებითი განათლების სისტემა

ყველასთვის კარგადაა ცნობილი იაპონიის წარმატებები ინოვაციის სფეროში. ამდენად ვფიქრობთ საინტერესო იქნება მოკლედ დავახასიათოთ იაპონიის დაწყებითი განათლების სისტემა, რომელიც თავისთავად მთელი განათლების სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სეგმენტია. იაპონიის განათლების სისტემამ ცენტრალური როლი ითამაშა ქვეყანაში ახალი ეპოქის გამოწვევების დასაძლევად, რაც მოიცავდა: მეიჯის პერიოდში (1868-1912 წ.წ.) იაპონელების მიერ დასავლური იდეების სწრაფ გათავისებას, მეცნიერებისა და ტექნოლოგიის განვითარებას. განათლება მეორე მსოფლიო ომის დასასრულიდან მოყოლებული ათწლეულების მანძილზე მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო იაპონიის აღორძინებასა და სწრაფ ეკონომიკურ განვითარებაში. ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში კი იაპონური საზოგადოება კულტურული ნორმების შეცვლით, მეცნიერებასა და ტექნოლოგიაში წინსვლით, ეკონომიკის გლობალიზაციითა და რთული ბიზნეს გარემოს შექმნით ბევრი ახალი გამოწვევის წინაშე დადგა.

იაპონური განათლების გადამწყვეტი დანიშნულება გახდა ახალგაძრდების აღზრდა, რომლებიც თავს გაართმევენ ამ გამოწვევებს. დღეს იაპონიის მთავრობაში, საგანმანათლებლო წრეებსა თუ საზოგადოებაში დიდ განსჯის თემად რჩება თუ რა მიმართულება უნდა იქნეს არჩეული ამ დასახული მიზნის მისაღწევად. წერა-კითხვის ცოდნა იაპონიაში გარკვეული ფორმით არსებობდა ჯერ კიდევ ჩინური დამწერლობის შემოღებისა და ბუდიზმის შემოსვლისას მეექვსე საუკუნეში. 701 წელს ტაიჰოს კოდექსზე დაყრდნობით დაარსებულ იქნა დიდგვაროვანთა შვილების სასწავლებლები, როგორც დედაქალაქში, ასევე პროვინციებში.

კამაკურას პერიოდის დასაწყისისთვის (1185-1333 წ.წ.), სამურაების შვილების მზარდმა რაოდენობამ მიიღო ოფიციალური განათლება, მაგრამ მხოლოდ ედოს პერიოდში (1603-1868 წ.წ.) დამყარებულ 265-წლიან მშვიდობისას მოხერხდა განათლების თანაბრად გავრცელება ელიტასა და ჩვეულებრივ ხალხში. განათლება ედოს პერიოდში ძირითადად ეყრდნობოდა კონფუციუსულ წარმოდგენებს, რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ჩინელ კლასიკოსთა შრომების დახეპირებასა და ცოდნას.

განვითარდა ორი ძირითადი სკოლა პირველი იყო ე.წ. სამფლობელოების სკოლები (ჰანკო), რომლის სრულმა რაოდენობამ 270-ს მიაღწია და თავდაპირველად განათლებას აძლევდა მხოლოდ სამურაის კლასის ბავშვებს. მეორე ტიპი გახლდათ ტერაკოია სკოლები, რაც განათლებას აძლევდა როგორც სამურაების, ასევე ჩვეულებრივ მოქალაქეთა შვილებს. აქ მოსწავლეები გადიოდნენ მორალურ წვრთნას, სწავლობდნენ კითხვას, წერასა

და არითმეტიკას. ტერაკოიებს მართავდა ერთი მასწავლებელი ან ცოლ-ქმარი და ედოს პერიოდის მიწურულისთვის უკვე ათიათასობით ამგვარი სასწავლებელი არსებობდა. იაპონიის წერა-კითხვის მცოდნეთა მხგენებელი 1868 წელს, ტოკუგავას შიოგიუნატის დამხობის დროისთვის, აღემატებოდა იმდროინდელი ეპოქის ევროპული ქვეყნების პროცენტულ მხგენებელს. ამ საგანმანათლებლო საძირკველის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ის სწრაფი მოდერნიზაცია, რასაც იაპონიამ მოგვიანებით მიაღწია. მეიჯის ლიდერები სწრაფად მოქმედებდნენ, რათა ახალი საგანმანათლებლო სისტემა შეექმნათ, რადგანაც ის წარმოადგენდა მათი მცდელობების უმინიმუმენლოვანეს ნაწილს - დაწეოდნენ დასავლეთს და წინ წამოეწიათ ეროვნული მთლიანობა. შემოიღეს სამსაფეხურიანი განათლების სისტემა დაწეებითი სკოლა, საშუალო სკოლა და უნივერსიტეტი. ამასთან დაწეებითი განათლების მიღება ქალ-ვაჟთათვის თანაბრად სავალდებულო გახდა. მეორე მსოფლიო ომის დასასრულიდან მოყოლებული, 1947 წელს, საოკუპაციო ძალების ხელმძღვანელობით დადგენილ იქნა განათლების შესახებ ძირითადი კანონი და სასკოლო განათლების კანონი.

ამ უკანასკნელის მიხედვით განსაზღვრული სასკოლო სისტემა - ექვსწლიანი დაწეებითი განათლება, სამწლიანი უმაღლესი სკოლის ჯუნიორთა პროგრამა, სამწლიანი უმაღლესი სკოლის პროგრამა და ორ ან ოთხწლიანი საუნივერსიტეტო განათლება - დღესაც გამოიყენება. ამასთან, დაწეებითსა და ჯუნიორთა უმაღლეს სკოლაში დასწრება სავალდებულოა.

იაპონიაში არის საბავშვო ბაღები (დასწრება შესაძლებელია ერთიდან სამ წლამდე), ხუთწლიანი ტექნიკური კოლეჯები ჯუნიორთა უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებულთათვის, სპეციალური სატრენინგო სკოლები ჯუნიორთა უმაღლესი და უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებულთათვის და ასევე სპეციალური სკოლები ფიზიკური ნაკლის მქონე პირებისთვის. უნივერსიტეტები მოიცავენ საბაკალავრო კოლეჯებს, ჯუნიორთა კოლეჯებსა და ბაკალავრიატის კურსდამთავრებულთა სკოლებს.

სასკოლო კალენდარი: იაპონიაში დაწეებითი, ჯუნიორთა უმაღლესი და უმაღლესი სკოლების უმეტესობისთვის სასწავლო წელი იწყება პირველ აპრილს და იყოფა სამ ნაწილად: აპრილიდან ივლისამდე, სექტემბრიდან დეკემბრამდე და იანვრიდან მარტამდე. ზოგიერთ სკოლას აქვს ორსემესტრიანი გრაფიკი. 2002 წელს დასრულდა ექვსწლიანი სასწავლო კვირის ხუთდღიანზე თანდათანობით გადასვლა. ბევრი კერძო სკოლა კი განაგრძობს შაბათის გაკვეთილების ჩატარებას და ბოლო დროს, ზოგიერთმა საჯარო სკოლამ მოიპოვა განსაკუთრებული უფლება კვლავ შემოიღოს შაბათის გაკვეთილები, რათა მეტი დრო დარჩეს საჭირო საგნების გავლისთვის.

ძირითადი სასკოლო პროგრამები: განათლების, კულტურის, მეცნიერების, სპორტისა და ტექნოლოგიის სამინისტრო ამზადებს ძირითად სასწავლო პროგრამებს, რომელიც მოიცავს იაპონურ სკოლაში შესასწავლი ნებისმიერი საგნის ძირითად სქემასა და თითოეულ საგანმანათლებლო საფეხურზე სწავლების მიზნებსა თუ სასწავლო მასალას. დაახლოებით ყოველ ათ წელიწადში ერთხელ ეს პროგრამები ექვემდებარება გადახედვას და გამოიყენება მთელი ქვეყნის სკოლებში.

სასკოლო სახელმძღვანელოები: ყველა დაწეებითი, ჯუნიორთა უმაღლესი თუ უმაღლესი სკოლა ვალდებულია გამოიყენოს განათლების, კულტურის, სპორტის, მეცნიერებისა და ტექნოლოგიის სამინისტროს მიერ შეფასებული სახელმძღვანელოები. ამ ოფიციალური ავტორიზაციის სისტემის (შექმნა 1886 წელს) მიზანია განათლების სტანდარტიზაცია და რელიგიურ და პოლიტიკურ საკითხებზე სამართლიანობისა და ნეიტრალიტეტის შენარჩუნება.

1963 წელს შეიქმნა სავალდებულო განათლებისთვის აუცილებელი სახელმძღვანელოების უფასოდ გავრცელების სისტემა. სახელმძღვანელოები, რომელიც გამოიყენება იმ ცალკეულ რაიონში, სადაც მდებარეობს ესა თუ ის საჯარო სკოლა, შერჩეულია განათლების პრეფექტურული საბჭოს რეცენზიაზე დაყრდნობით მთავრობის მიერ სახელმძღვანელო კანდიდატების მიერ, რომლებიც შედიან განათლების ადგილობრივ საბჭოში. კერძო სასწავლებლებში კი სკოლის დირექტორს აქვს უშუალო პასუხისმგებლობა გააკეთოს არჩევანი.

სკოლამდელი განათლება. დაწეებით სკოლებამდე განათლებას გასცემს: საბავშვო ბაღები (იოჩიენ) და ბავშვთა მოვლის დაწესებულებები (ჰოიკუენ). საჯარო თუ კერძო დაწესებულებებში მიიღებიან ერთი წლიდან ხუთ წლამდე ასაკის ბავშვები. მათი პროგრამები სამიდან ხუთ წლამდე ბავშვებისთვის იგივეა, რაც საბავშვო ბაღებში. ამ დაწესებულებე-

ბის დაახლოებით 60% კერძოა. ხუთი წლის ბავშვებიდან საბავშვო ბაღებსა თუ დღის ბავშვთა მოვლის დაწესებულებებში იაპონიის ბავშვების 95 %-ი დადის. საგანმანათლებლო მიდგომა ბავშვებისადმი საგრძობლად განსხვავდება ერთმანეთისგან საბავშვო ბაღებში: არის დაწესებულებები, რომელთა სასწავლო გარემო მოკლებულია სტრუქტურას და არ გამოირჩევა ფორმალური სწავლებით და ისეთიც, სადაც გარემო უმაღლეს დონეზე მოწესრიგებული და კონცენტრირებული არიან ბავშვის გონებრივ ვარჯიშზე.

დაწყებითი სკოლები. ექვსწლიან დაწყებით სკოლაში დასწრება სავალდებულოა. ასეთი სკოლების 99% წარმოადგენს საყოველთაო საჯარო დაწესებულებას. თითოეულ კლასისთვის დანიშნულია ერთი მასწავლებელი, რომელიც ასწავლის ყველა საგანს, როგორც წესი, მუსიკისა და ხელოვნების გამოკლებით. 2011 წლისთვის პირველ კლასში მოსწავლეების დასაშვები მაქსიმალური რაოდენობა იყო 35 და დანარჩენი კლასებისთვის - 40 ბავშვი. ძირითადად, კლასები არ იყოფა მოსწავლეთა ინტელექტუალური შესაძლებლობების შესაბამისად, კლასების დაყოფა განპირობებულია ამა თუ იმ საგნის სირთულესთან, როდესაც მოსწავლეებმა უნდა მიაღწიონ წარმატებას მისი შესწავლისას. სასწავლო პროგრამა მოიცავს შემდეგ საგნებს: იაპონური ენა, სოციალური მეცნიერებები, მუსიკა, კულტურა და ხელოვნება, ფიზიკური განათლება და საოჯახო მეურნეობა.

სასწავლო მეთოდებში შედის ექსტრაკურსული აქტივობები, მორალური განათლების კურსი, ინტეგრირებული განათლება, რაც თავის მხრივ შეიძლება მოიცავდეს თემათა მთელ რიგ სპექტრს (საერთაშორისო ურთიერთგაგება, გარემო, ნებაყოფილობითი სამუშაო და სხვ.) კითხვა და წერა არის სასწავლო კურიკულუმის ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი, ორი იაპონური მარცვლოვანი დამწერლობის მხარდამხარ, მოსწავლეებს მოეთხოვებათ სულ მცირე 1006 იეროგლიფის შესწავლა მეექვსე კლასის დამთავრებამდე.

განათლების, კულტურის, სპორტის, მეცნიერებისა და ტექნოლოგიის სამინისტროს 2008 წლის ფისკალური მონაცემებით, აკადემიურ გაკუშიუჯუკუ სკოლებს ესწრება საჯარო დაწყებითი სკოლების მოსწავლეთა 25.9% და საჯარო უმაღლესი სკოლების 53.5%. იაპონიის საგანმანათლებლო სისტემა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ურთიერთთანამშრომლობას, ჯგუფურ დისციპლინასა და სტანდარტების

შესაბამისობას. ის პირნათლად ემსახურება ქვეყანას კვალიფიცირებული ინდუსტრიული სამუშაო ძალის მიწოდებაში, რამაც იაპონია გლობალურ ეკონომიკურ ხელისუფლად აქცია XX საუკუნეში. ამ სისტემის წარმატება იმაშიც აისახება, რომ იაპონელი ხალხის უმრავლესობა საშუალო კლასის წარმომადგენლად მოიაზრებს საკუთარ თავს და განათლებას მიიჩნევს როგორც გზას საკუთარი შვილების კეთილდღეობისკენ.

2006 წელს იაპონიის მთავრობამ მიიღო პირველი შესწორება 1947 წლის ძირითად განათლების კანონში. ეს შესწორება მოიცავდა პირობებს, რომელიც მოუწოდებდა განათლებას გაეღვივებინა სახალხო სულიერება, ტრადიციებისა და კულტურის პატივისცემა და სამშობლოს სიყვარული. სასწავლო გეგმის სახელმძღვანელო მითითები გადაიხედა და დაემატა ცვლილებები 2008 წელს საფუძვლიანი განათლების გასაუმჯობესებლად, ბაზისური ცოდნისა და სპეციალობების წახალისებითა და საკლასო საათების გაფართოებით. სასწავლო გეგმის ახალი სახელმძღვანელო გამოვიდა დაწყებითი სკოლებისთვის 2012 წელს და ჯუნიორთა უმაღლესი სკოლებისთვის - 2013 აკადემიურ წელს.

1949 წელს იუკავა პიდეკი გახდა პირველი იაპონელი ნობელის პრემიის ლაურეატი, რომელმაც მიიღო ჯილდო ფიზიკაში მეზოტრონების არსებობის წინასწარ განჭვრეტისთვის. მას მოჰყვა ესაკი რეონა, 1973 წლის ასევე ფიზიკის ჯილდოს მფლობელი, შემდეგ ტონეგავა სუსუმუ პრემიით ფიზიოლოგიასა და მედიცინაში 1987 წელს, ოე კენზაბურო პრემიით ლიტერატურაში 1994 წელს. უფრო მოგვიანებით, იაპონელებმა ერთმანეთის მიყოლებით მიიღეს ნობელის პრემია საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში. 2002 წელს, კომიბა მასატომიმ ტოკიოს უნივერსიტეტიდან მიიღო ნობელის პრემია ფიზიკაში, სუძუკი აკირამ პოკაიდოს უნივერსიტეტიდან და ნეგიში ეიჩიმ ტოკიოს უნივერსიტეტიდან მიიღეს ჯილდოები ქიმიაში 2010 წელს. ასევე, იამანაკა შინიამ კიოტოს უნივერსიტეტიდან მიიღო პრემია ფიზიოლოგია/მედიცინაში 2012 წელს, iPS უჯრედის განვითარებისთვის. მარტო 2008 - 2010 წლებში სულ ექვს იაპონელს მიენიჭა ნობელის პრემია ფიზიკასა და ქიმიაში, საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში მიღებული უმაღლესი ჯილდო.

ანა ბოდბელი

იისფარფრთიან აპრილის ქარში
IN VIOLET WINGED WIND OF APRIL

მზე ჰგავს წიქარას – ცალრქა მოტეხილს
და მეც მწყურია კივილი ხარის,
წიქარასავით შენთვის მოგვედები,
მიწავ და ცაო მშობელო მხარის!

მთებო, მე თქვენთვის ვარ დანაბადი... მე თქვენთვის ვცოცხლობ, თქვენით ვარ მთვრალი – ამბობს პოეტი შალვა მჭედლიშვილი ერთ-ერთ ლექსში და „ცისფერ ციაგით ტყვედ-ქმნილი ყოვლის“ თითქოს უსიტყვოდ სვამს ადამიანის დაბადების, მზის სხივების და ღვთაებრივი ქალის ხატების სადღეგრძელოს.

მე პირადად არასდროს შევხვედრივარ ბატონ შალვას. მხოლოდ ლექსებით და პრესაში გამოქვეყნებული ინტერვიუებით შემოვიდა ჩემში „სიყვარულის ჰანგით სავსე, იადონის პატარა გულის გულა“ ადამიანი, რომლის სულშიც მამისეული სალამურის „ტკბილი ენა ნარნარებს მარად“.

შალვა მჭედლიშვილი ლექსების რამდენიმე კრებულის ავტორია. ერთ-ერთ მათგანს ასეთი სათაური აქვს „მეზავრო იჩქარე“ (1986წ.).

მეზავრო იჩქარე...
და თან წაიღე კეთილი ტვირთი,
თორემ ჩაგძირავს
მივიწყების წყეული ზვირთი.

როგორ ჰგავს პოეტის ეს სტრიქონები უფლის მცნებიდან გამომდინარე რჩეულ მამათა ბრძნულ დარიგებას, – რომ დრო და ჟამი კეთილ საქმეს უნდა მოვახმაროთ. დრო მირბის, მიფრინავს „თითქოს ვიღაცა უჩინარი გვაჩქარებს ყველას“... ღვთისა და კაცის წინაშე ვალის აღსრულებაა.

ოდეს გიჭირდეს ჭირთა თმენა,
გაიხსენე ის წინაპარი,
ვინაც კლდის ქიმზე –
ამ საზარელი უფსკრულის პირად,
სისხლიან ხელით
უხარმაზარ ღოდს მიათრევედა
დიდებულ ტაძარს აღსაშენებლად.

ალაზნის ველი, მამის საფლავი, პაწია ქოხი ვენახის ბოლოს, მზე ოცნებისა „ბროილს თითება“, თბილისის ქუჩის, „ტალღა და თქორი“ დიდი ზღვაურის პატარა ტალღასავით მოსვენებას უკარგავს პოეტს, ქარიშხალივით აწვალებს და ხანდახან მარტო დარჩენის სურვილს უჩენს. ასეთ წამებშიც კი – სიმშვიდის და სიმყუდროვის გადათეთრებულ არემარეში, სისპეტაკის და სინაზის შორეული მიუწვდომელი ლანდი გვერდიდან არ შორდება შემოქმედს მუდმივი მოლოდინი, განშორების ჟამს დაღვრილი ცრემლის მარადიული ათინათი არ ნებდება „ბნელ მივიწყებას“.

წავიდნენ წელნი
.....
.....

შევიყვარებდი მეგონა ვინმეს,
შმაგმა შენს ღიმილს ისევ ქედს ვუხერი.

2001 წელს ქ. სიღნაღის საქალაქო ბიბლიოთეკაში (მენეჯერი ლ. ხატიაშვილი) შეხვედრა მოუწვეს ბატონ შალვა მჭედლიშვილს. ეს დღე სასიამოვნო მოგონებად დარჩა ბიბლიოთეკის თანამშრომელთა და მკითხველთა მეხსიერებაში. ბევრ საჭირობოროტო საკითხზე ისაუბრეს, უამრავი შეკითხვა დაუსვეს, ლექსები მოისმინეს.

– ბევრგან მოუწყვიათ ჩემთვის თბილი შეხვედრა – აღნიშნავდა მაშინ ბატონი შალვა, მაგრამ ეს დღე ჩემთვის რაღაც განსაკუთრებულია. მშობლიური ქიზიყი, ნაცნობი ადა-

მიანები.. ასეთი სითამამე და სილადე არსად მიგრძენია. მიყვარს კავკასიონი, სიღნაღი, ალაზნის ველი, „ეს მთები ჩემი ფრთები მგონია“, ბედნიერი ვარ – სიამაყით და სიხარულით გულწრფელად ამბობდა პოეტი და კვლავ თავისი მეგობრების, ოჯახის, (მეუღლის, შვილების და ახლობლების) შესახებ საუბრობდა. (შალვას დიდი მეგობრული გრძნობა აკავშირებდა პოეტ ქალ მერი ბარნაბიშვილთან, პოეტ ლერი ბეგიაშვილთან, ქიზიყის მცხოვრებლებთან. იგი გარკვეულ დროის განმავლობაში ხირსის საექიმო უბნის თერაპევტად მსახურობდა.

დამასამარეთ სიღნაღის ბჭესთან
ქონგურებად რომ მადლდება ცადა,
სადაც პირველად გრიგალთა კვნესა
სულმა შეიგრძნო და განიცადა.

პოეტმა ბიბლიოთეკის მკითხველებს აცნობა, რომ სულ მალე საზოგადოება მიიღება და მის რომანს „კვიპაროსები“, (სადაც პირადი ცხოვრებიდან ბევრი რამაა აღებული) და აღუთქვა, რომ რომანის რამდენიმე ეგზემპლარს საჩუქრად გამოგზავნიდა. ჩამობნელდა. არავის სურდა პოეტთან განშორება. „როდესაც მან ლექსი „სალამური“ წაიკითხა უდიდესი სურვილი დამებადა, ხელმეორედ მოწვევის დროს, სალამური გადამეცა საჩუქრად ბიბლიოთეკის მკითხველთა სახელით“, – აღნიშნავს ლ. ხატიაშვილი.

მამისეულო სალამურო,
ეგ ტკბილი ენა,
თითქოს სულია, შენი სული
და მუდამ მჯერა,
სული შენი
არ დადუმდება!

არაფერი უკითხავთ... ბატონ შალვას თვითონ დაუწყო ქალბატონ ანა კალანდაძეზე საუბარი. პოეზიისათვის იყო დაბადებული, მიუწვდომელი, შეუცნობელი, მდინარესავით ანკარა და სიოსავით დაუდგომელი. სიყვარულით საუბრობდა, ფრთხილად, კრძალვით, თითქოს ძვირფასი ბროილს ხატთან იდგა ახლოს.

გიხმობ, გეძახი, უდვთო ღვთაებაგ,
მუხლს ვიხრი შენი ხატის წინ ახლაც,
ლხენად ვრაცხ ახლაც ამ მწუხარებას,
ამ სულის მსახურელ, უხილავ ღაზვარს.

მას არ უთქვამს თუ ვის უძღვნა ზღვის პირას, გაზაფხულის წვიმის დროს დაწერილი ეს ლექსი. არც არვის უკითხავს! ძნელია ჩასწვდეს იადონის ბუდედ ქცეულ გულის სიმღერას. ცხოვრებას თავისი კანონები აქვს. ყოველგვარ მდგომარეობაში თავისი ხვედრი ჭირი და მწუხარება ადგას ადამიანს. ეს ჩვენი განსაკითხი არ არის. ერთი კი ცხადია – ღვთის მადლში მყოფ ადამიანს ყველა საქმე უადვილდება. ბოროტების მძღვევებს და სიკეთეში გამარჯვებულს „უფალმან მასთანჯდომა აღუთქვა მისი დიდების საყდარზედ“. სიკეთისა და ბოროტების განსჯა უფლის საქმეა. ამ ქვეყნის ყოველი სიკეთე ჩვენ სესხად მოგვცემია. „ვინც სისრულის გზას დასდგომია და ამისათვის რაღაც მოუპოვებია, ის ყოველს გუშინდელს და ხვალინდელს შუა ისეთ უსფერულს დაინახავს, რომ გუშინდელის ნაკლულოვანების მარტო მოგონებაც კი შიშის ზარს დასცემს.“

ბატონო შალვა, სიღნაღში (ბუღვარი) თქვენი ცხოვრების ღამაზ სიზმარში“ დგას თქვენი ბიუსტი.

ხშირად მივდივარ იქ. ვფიქრობ დღევანდელი საქართველოს ხვალინდელ დღეზე.

მიყვარს თქვენი ცისკრის „ფრთანათქორი მერცხალი“, გაზაფხულის გრიგალი“, იისფერფრთება აპრილის ქარი.“

ბიუსტთან ხშირად ჩემი თქვენდამი ადამიანური სიყვარულის სურნელის ყვავილები აწყვია.

ლიანა ოსიაშვილი-მელიქიძე



ჯადოსნური საჩუქრები

ამ ქვეყნად მილიარდობითი საჩუქარი არსებობს, მაგრამ არ არსებობს ფიზიკური თუ გონებრივი, ხილული თუ უხილავი ისეთი ბარომეტრ-ინდიკატორული საწყაო, რომელიც მის ზომა წონა, სიმყარე-სიძვირფასესს, მისხალ-მისხალ თუარა, თუნდაც მიახლოებით მაინც რომ გაზომავს და დააკონკრეტებს.

აღამიანს შეიძლება იის კონა, საპალნე ოქრო, სასახლე, სახელმწიფო აჩუქო და ამ პარადოქსულთაგანაც ვერ განისაზღვროს, ის ალაღვულზე მირთმეული იის კონა უფრო მეტი ძვირფასია თუ ის სასახლე ან სახელმწიფო, რომელიც ათიმიდენის უკან დაბრუნებას, ანუ აღამიანის პოტენციურ ყოფნა-არყოფნას ითვალისწინებს კიდევ.

სწორედ, ამ ერთშეხედვით რიგითსასმენ, ყურმიჩვეულ, ვითომდა ერთმნიშვნელოვან სიტყვა საჩუქარმა, რამდენი საშინელ-კოშმარული შეგრძნება ან პირიქით გულში საღბუნ საღვრელი განცდა შეიძლება გამოიწვიოს და რომელმაც აღმასაფრენი ანუ საარსებო მნიშვნელობაც შემატოს აღამიანს. მას ერთი უბოროტო ატრიბუტ-იარლიყიც გააჩნია: - „კეთილი გულით მიძღვნილი“.

უპრიანი იქნება აქვე განსაზღვრება-განზოგადებაც, თუ რამდენ ხანს შეიძლება საჩუქრის მისტიურ ძალა-აურამ გასტანოს კიდევ შემეცნებაში.

წამიერად გაუფერულდება, თუ გვერდიდან არ მოცილდება იგი მთელი ცხოვრების განმავლობაში.

არმოსაცილებელში ჩაითვლება თუნდაც თითოთ სატარებელი ბეჭედიც, რომლის სიძვირფასის დამდგენი, სწორედ, მხოლოდ მისი სილამაზე და პომპეზურობაცაა, თუმცა კია, იგი უტყვია გარდა გატანებული ერთდაიგივე საფიქრისა, რომელიც ზოგჯერ ნელ-ნელა ფერმერთაღდება ან იცვლება შემდგომი დადებით-უარყოფითი მოქმედების მიხედვით მჩუქნებლისაგან. მითუმეტეს ნებისმიერი საჩუქრები დათვლადია, რომელიც ყოველწამს შეიძლება დაიკარგოს ანუ მოიპარონ კიდევ. რის ანალოგიც შეიძლება ითქვას ყელსაბამზე, კულონზე, სამაჯურებზე და ა.შ. და ა.შ. გარდა ამგვარ ნიშანდობლიობისა ადრესატს იგი რა საფიქრს უჩენს ეს უკვე სხვა პრიზმაში დასანახ-განსახსჯელია.

მსჯელობა-შედარებანი ლიტონ, შაბლონურად რომ არ იხედებოდეს, იმ კონკრეტულ საჩუქრებს დავასახელებ, რომელიც უტყვითაგან განსხვავებულია, მეტყველ-მორუკრუკა, უკვდავ-საამურია და რომელიც მიუძღვნეს დღევანდელ უნივერსალ, მოსიარულე ლეგენდას, დიდ ქალბატონს, პოეტს გულნაზ ხარაიშვილს. („სხანს შენს გზაზე შენი ნიჭი, სხივნათელ გზებსა ფენდა და კიდევაც ამ ლექსებით ქალი იქვე ლეგენდად“, ტარიელ მუმლაძე). („ღამაში ქალბატონი ხარ, გულუხვი საფერებელი, ყველას უყვარხარ ლექსს გიწერს, საჩხერელი თუ ლებელი“. მანანა ზაზიკაშვილი).

ეს საჩუქრები იმ ვესტიკულაციის მსგავსადაა მირთმეული, მრავალი საუკუნის უკან განუმეორებელ ფენომენს, დედოფალ თამარს რომ მიართვეს.

თუმცა, ვფიქრობ მაინცდამაინც გულით მიძღვნილსაც აქვს თავისი ნიუანს-მისია, თორემ, მაშ რა უნდა ეთქვას იმ უდიდეს და უწრფელეს საჩუქარს, რომელიც დღევანდლობის მემატიაზე მწერალმა სერგი ლომაძემ სტროფად კიარა, საპირისპირო ამპლუთ, უწმინდესი სიყვარულის ამსახველ უვრცელეს წიგნად მიუძღვნა ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილს, რასაც მოფიქრებული უბრძენეს-უჭკვიანესი სათაური უწოდა: „გზა მწვერვალისკენ“?

როგორ იქცა პოეტი ქალბატონი ავტორთა კოლორიტ-ფავორიტად? ეს ვრცელი, უძირო ისტორიაა, რასაც საუურნალო ლიმიტი კიარა ტომეული არ ეყოფა. ან ის ხომ არაა თავი მიზეზი, ვინმეთაგან ენის ძვლის უქონლობისას რომ უუბნებია: - „რაც უნდა ისარი მესროლონ მე სიკეთით გადავიხდიო? („სიძულვილი რომ სიყვარულით უნდა ალაგმო, ეს შენებრ წმინდა და გულნაზი ქალის ხვედრია“, თინათინ ხაბურზანია) როგორ უნდა იარსე-

ბოს ან მოისვენოს ვინმემ ასეთ წმინდანზე ისრის მსროლელმა? ამით ხომ ყველა იმ ადამიანის გულს ესვრიან ვისაც ამ უდიდესი, ღვთიური, შეილმკედარი დედის საერო საქმიანობა სწამს?

საჩუქრებს ხშირად განსაკუთრებულ პერიოდებში ჩუქნიან; ახალ წელს, დაბადების, ქორწინების თუ რაიმე საყოველთაო ზეიმ-დღესასწაულებზე, ლექსს თუ თბილსიტყვიან პროზით მიძღვნილ მისაფერებელ, ასამაღლებელ სიტყვებს კი პერიოდი და განზოგადება არ სჭირდება. იგი იქმნება დღისით,

დამით ყოველ წუთს, წოველ წამს. სიფრთხილით, მეცნიერულ შემეცნებით,

რიგითი ცოდნით, სიყვარულით. მეტადრე როცა იგი ცივი და უტყვი კიარა ცოცხალი, მეტყველი, შეფასებული და თანაც საუკუნოა. (გნებათ ადრესატისთვის)...

„ყოველი კაცი მისი საქმეების მიხედვით უნდა განვსაჯოთ“, უბრძანებია სერვანტეს. სწორედაც, ქალბატონი გულნაზისადმი მიძღვნილ უმშვენიერეს სიტყვა-საჩუქრებშია აღწერილი მისი დიდი საერო საქმიანობანი, ცოდნის ორგანიზებულად, სახალხოდ გავრცელება, მისი ეროვნული არაერთი საქმის იდეის ავტორობა. („ქალბატონ გულნაზს როგორც საზოგადო მოღვაწეს, ძნელად რომ დღევანდელ საქართველოში, რომელიმე ქალი შეეადაროს“. „გარდა ხელოვნებისა (პოეტი და პროზაიკოსი) იგი არის ასევე მეცნიერიც (თავისებური ფილოსოფოსი) ბიბლიოგრაფიც და ჟურნალისტიც“. „იგი როგორც ლიდერი და როგორც მმართველი თავისთავადი ფენომენია“. „იგი თითქმის თავადის ქალად არის დაბადებულ-აღზრდილი“. „ქალბატონი გულნაზი ფრთხილად მიჰყვება ქართველთა დიდი მასწავლებლის გზას, - მამული და სარწმუნოება, მასაც უმთავრესად უწამებია“, „როგორ საოცარი მსგავსებაა ორ სიტყვას – გულნაზისა და გულს შორის“, „პირადად მე გულნაზ ხარაიშვილი მაგონებს ქართველ მანდილოსნებს ნიკოლოზ ბარათაშვილი რომ უმღეროდა, იმავე საუკუნეში ილია ხატავდა დაახლოებით ამგვარ პერსონაჟებს, თუნდაც ოთარაანთ ქვრივი, თუნდაც აკაკის მიერ შექმნილი ქართველის დედის ტიპური პორტრეტები. ეს იყო ამაღლებული ხატებანი, რომლებიც ხანდახან გაკრთებოდა ფიროსამანის ნახატებშიც“, „მგონია, რომ ქალბატონი გულნაზი მეთვრამეტე, მეცხრამეტე საუკუნიდან მოგვევლინა და ამიტომ გვიჭირს ბოლომდის მისი შეცნობა ჩვენ“. გულნაზ „ხარაიშვილს ვერაფერს ასწრებს სხვათა დადებით მხარების შემჩნევას, ბევრი ადამიანი პირადად მისი აღმოჩენილია ლიტერატურაში“. „იგი ზრუნავს თვითეულ ჩვენთაგანზე“, ამდაგვარი აზრები ბრძანა სერგი ლომაძემ სწორედ ხსენებულ წიგნში „გზა მწვერვალისკენ“).

რთულია იმ შედარებათა მიმართულების ანუ დაჯგუფების ანალიზი, თუ ვის რას აგონებს გულნაზ ხარაიშვილი. ზოგი დედას ადარებს (მათ შორის ასაკით უფროსნიც), ზოგი დას, ზოგი ღმერთკაცს, ზოგი ღმერთქალს, ზოგი ძმას უწოდებს, ბევრი თამარს ადარებს. ერთი პოეტი უწერს: „დითსულოვანო ქალღმერთო ვინა შენი სადარი“. „თყვანს სწორედ ამადა გცემთ პირადზე რომ არ ზრუნავ, რომ ყველაზე წინ აყენებ საზოგადო საზრუნავს“. ამდაგვარ გადასახედიდან ვგრძნობ იმპულსურად, რომ მას აქვს ისეთი ანდამატი რითაც ათასობით ადამიანს აწერინებს აზრებს თავის ბრწყინვალეობაზე. ერთ-ერთი ასეთი სტრიქონიცაა აქროსტიკით მისაღამი მიძღვნილ ლექსში: „ლ-ამაზ რითმის ლექსთა ბაირადებით, საქართველოს დიდ ჩირადღნათ ანთისარ“. ზოგი კი უბრალოდ, თანაც პირდაპირ, მეფედ აღიარებს. პოეტი იამზე ჭელიძე წერს: „იარე დიდხანს შენ ლექსის მეფედ, დაგლოცავ ისევ, ასი წლის შემდეგ“. იგივე ავტორი მის შორსმჭვრეტელობაზეც საუბრობს: „მხატვრული სულით აშენებ ყველგან, შორეული გაქვს ეგ ბრძნული ხედვა“. აქვე აღვნიშნავ თუ სერგი ლომაძე გულნაზის გზას მწვერვალისკენ უფრო შემდგომ პერიოდისთვის ხედავს, იამზე ჭელიძე რამდენიმე წლის წინ საპირისპირო ამპლუაში წერს ამ თემაზე: „მწვერვალი დაიპყარ და ლაშქარს მთებისკენ წაუძებს, შესძახე გენიას, სიკეთის კარები ვგრძნობ უფრო ღიაა შენთვის და გალობით გელიან“. „მწვერვალისკენ შორეთის... სული ხატავს ქონგურებს“...

სულშემძვრელი სტრიქონ-აზრები, რომლებიც ქალბატონ გულნაზის მიუძღვნეს, სულ სხვადასხვა დროითაა დათარიღებული. ქალთაგან, კაცთაგან. ცოცხალთაგან, გარდაცვლილთაგან. პოეტი გიზო ჭელიძე (აწ გარდაცვლილი) წერს: „მადლობას გუთვლი იმ შენს ნათლიას, ვინაც დაგარქვა სწორედ გულნაზი“, „ცდილობ ზეცაში ვარსკვლავთა კრებას“, „წმინდაა შენი ქალის მანდილი“, „გულში გიხუტებ ქალს გულმადლიანს, შენ და კიარა ძმაი ხარ ჩემი“.

პოეტი დარეჯან მიმინოშვილი საქვეყნოდ ამბობს: „დედაკაცობის ეტალონი ხარ, სულით ნაზი და გულით მდიდარი, კდემამოსილი სასწაული ხარ, დედა ქართველისა დასაფიცარი“.

თითქმის ერთ-ერთი ძირეული ლაიტმოტივია, რომ მასში დედის სახეს ხედავენ. ახალგაზრდა პოეტი ვაჟა ყოჩიაშვილი ამბობს: „დააფარე დედის თბილი კალთა, დააფარე ჯერ არ არის გვიან“.

საზოგადოებრივი აზრის ხელოვნურად გაერთიანებაც ხომ შეუძლებელია, მაგრამ ამ ფონზე ისაა საინტერესო თუ რას ამბობენ ის შინაურნიც, ვინც თვალთ ხედავენ მის ცხოვრებას. მაშინ, როცა ვიცით უამრავი ფაქტები, რომ წერენ ერთს და უკეთებით მეორე. (ამის მაგალითია თავად დიდი ჯეკ ლონდონი,) აი სწორედ რას ამბობს პოეტი ელგუჯა სხირტლაძე: „თვალწინ მიდგია ჩემი ბავშვობა, აურაცხელი შენი ამაგი, მეგობარივით მედექი გვერდში, ხან დედა იყავ, ხანაც დაქალი. შენგან ვისწავლე მე ანი-ბანი, პირველმა წიგნი შენ შემაყვარე, შენი სამშობლოს სიყვარულისა, შენი ლექსებით ბევრს შეაყვარე“, „ბევრმა თუარა მე მაინც ვიცი, ქვეყნად რამდენი ნორჩი აღზარდე“.

სწორედაც, რამდენი ნორჩი „ათინათელი“ გააერთიანა უდიდეს პოეტებთან ერთად თავის პირმშო ჟურნალ „ათინათში“?

ზღვასავით მოდის ამ უდიდეს ქალბატონზე ყველას სათქმელი. არ მინდა მის შინაურთაგან ნათქვამებს გადავუხვიო. მწერალი, კრიტიკოსი ნაილი ხარაიშვილი, რომელიც სწორედაც ერთ-ერთი მათგანია, მიძღვნილ ლექსში „რედაქტორს“ ამბობს: „მწერალი თავის ნაფერებ ფიქრს შენ ჩაგაბარებს, ცისკარზე ერთი კარგი ლექსიც თუკი შობილა, უნდა მონათლო, ლექსს ჩააცვა მადლის პერანგი, სულის სამოსი რომ არ დარჩეს დედიშობილა“. ვერ ჩაეწვდები ყველა მკითხველის აზრს, მაგრამ აღნიშნული ლექსები ძირითადად ჩემი გულის ძირამდის დადის. „ყოველი ბჭკარის, თუ აბზაცის დგახარ დარაჯად, რომ არა ევნოს დასაფიცარს მამულს, ქვეყანას, თავად შემოქმედს ჯარისკაცის გმოსავს ფარაჯა“, „რადგან გავბედე, რაკი გთხოვე ეგ მზრუნველობა ისე ვით დედას, შენს სითბოსაც ვერ შეველევი, სიყვარულის და დედობრივი გრძნობის მედროშეს“, „ეახლოები უკვდავებას ორთავ სოფელში, რამე თუ სიტყვას მეუფენი გწირვენ მადლობას“. გავმეორდები: - უახლოვდები უკვდავებას ორთავ სოფელში, ეს შინაურის სიტყვებია (პოეტის)...

ხოლო სწორედაც, მისი აღმოჩენილი ჩემს თვალსაწიერში მეტეორივით გაელვებული და შემდეგ გაუჩინარებული პოეტი ვაჟა აქიმიშვილი, რომელსაც პირველი ლექსები თავის-სავე ჟურნალში გამოუქვეყნა, ერთ-ერთ მართალეც უბრწყინვალეს ვრცელ ლექსში „ცოდნის მოძღვარი,“ რომელიც სწორედაც თავად გულნაზს მიუძღვნა დასასრულ ამბობს: „იგრძნო, გამანდო სად მიდიოდა ჩემი ლექსების სიბრძნე და ზღავრი, ჩვენ მას ქალბატონ გულნაზს ვუწოდებთ ცხადად კი არის ცოდნის მოძღვარი“.

პოეტი რუსუდან-ანასტასია კალანდაძე ლექსში „უმშვენიერეს ქალბატონს გულნაზ ხარაიშვილს“ ამბობს: „ქართული სულის დიდო დარბაზო, სულ სიყვარულით მოგიძღვნი ვარდებს, მასაც შენსავით ახლავს ეკლები, შენსავით ებრძვის ტკივილს და დარდებს“, „ვით იაღბუზი ვაცქერი ნათელს“.

პოეტი ნაზი კაპანაძე კი ლექსის დასასრულ „ჟურნალისტი“ ამბობს: „გამოიარე შრომის ქარცეცხლი, აი ამიტომ ქალღმერთს მაგონებ“...

სწორედ, ვისაც არ უნდა ეწყინოს, თუ ეამოს, მრავალმა იგი სწორედ ქალღმერთს და თან თამარს შეადარეს, მოხეტიალი პოეტური გრძნობებით და არა რაიმეგვარ ანგარებით... გამორჩენით... პოეტი ლევან გვიჩიანი „თამარის ენით“, ლექსის ბოლოს წერს: „თამარის ენით ლოცულობ, გგლოცავ, ვით დედოფალი სათნო გულნაზი“. ვიცით სულ სხვა დატვირთვისაა კაცის და თანაც პოეტის ლოცვა...

ორიათასხუთ წელს პოეტი გიული შალიკაშვილი გულნაზისადმი მიძღვნილ ლექსს ამთავრებს: „შეკონილი ფიქრით აზრით, დღიდან ჩემი დაი გქვია“!!!

ზრდასრულნიც, თანაც მეგობრებიც, ცხოვრების გზის მასწავლებლად აღიქვამენ გულნაზს, ამაღაა ორიათასრვა წელს პოეტი ქალბატონი თინათინ ხაბურზანია მიმართავს ლექსში: „მეგონა სწორი გზით დავდიოდი,

რა დაგრეხილი გზებით მივლია“.

იგივე ორიათასხუთ წელში დაწერილ, აკადემიკოს გარი ჩაფიძის უვრცელეს უსათაურო ლექსში, ერთ-ერთი სტრიქონია: „სიყვარული ბღუჯა-ბღუჯა არიგე“.

სამოცი წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ელისო ფინხაია ვრცელი ლექსის ბოლოს სიცოცხლის გალამაზებისთვის მადლობას უხდის იუბილარს: „და მადლობა თქვენ პოეტო ქალბატონო, სიცოცხლეს რომ გვილამაზებ ყველას“.

ამ თარიღთან, ანუ სულის საზეიმო საღამოსთან დაკავშირებით პოეტი ეთერ ფირცხალავა ხალხურ მოტივზე დაწერილ ლექსში დაღაღებს: „ხუთ მაისს დაბადებულხარ დაულოცნიხარ ღმერთსაო“.

ასაკით დაუღვინებელი და პოეტად დაღვინებული თოჯინისფერი ქეთი ნათელაძე ქალბატონი გულნაზის დაბადების დღეზე მიძღვნილ ლექსში „ხუთი მაისია“ ღუღუნებს: „და თქვენ სულ სხვას უმხერთ ღამაზ სამყაროებს, თავად უფალთან და ლექსთან თანაბრდებით“. „თქვენ არ დაეცემით რადგან პოეტობა, მხოლოდ პოეტობა გიხსნით ავისაგან და თუ პოეტობა არის განაჩენი, და თუ პოეტობაც არის სასჯელივით“.

ეს კი უცილო უტკბილესი სიტყვებია, როცა ასაკით უფროსი ქალბატონი ლექსში უწერს: „ ჩემს ცხოვრებაში პირველად მხოლოდ მის ხმაში ჩემი დედის ხმა მესმის“.

მოკლედ, სიტყვა დედა უამრავჯერ უღერს ამ ლექსსაჩუქრებში. დარეჯან მიმინოშვილი თავის შემოქმედებაში მის დედურ გრძნობას უსვამს ხაზს. „კდემამოსილი სასწაული ხარ, დედა - ქართველის დასაფიცარი“.

ლექსთა ბუმ-საჩუქრები მღერიან, მეტყველებენ, სმენას აამებენ. არ მსმენია არცერთ ბელადზეც კი ამდენი მიძღვნილი ლექსები თუ მოთხრობები ლიტერატურის ისტორიაში...

ყველა ამ აღნიშნული თუ ჯერ აღსანიშნავ ლექსებს პოეტ ქალბატონს იმ ცხოვრების პარალელურად ჩუქნიან საღებუნად, რომელი ცხოვრება მას დიდ სეტყვას თავს აფრქვევს. უახლოესი გულშემატკივარმეგობარი პოეტი ქალბატონი („ყვავილების დედოფალი“) მიმოხა ცანაჟა სწორედ ამიტომ წერს ლექსში „გვედრებ უფალო“, შემდეგს: „ასე დასეტყვილს, გაგიტაცებს ცხოვრების ტალღა, იბლის მიმე ჯვარს ეზიდები დაღლილი ახლა“. ხოლო აგტორი, რომელიც მას „ღმერთს და კაცსუა მავალს“ უწოდებს ვრცელ მშვენიერი სტატიის ერთ-ერთ აბზაცში უწერს: „დიდ ადამიანთა თანადგომამ, უფლის ნებამ შეაძლებინა ქალბატონ გულნაზის ის შეუძლებელი, რასაც შვილის ცხედრის გვერდით ჟურნალის ნომერის არჩავარდნა ჰქვია. (ხოლო მისი პრეზენტაციის ჟამს ეს უდრეკი ქალბატონი თავს მაგიდაზე დებდა უცაბედად წამსკდარი ცრემლის დასაფარად, ასწევდა სადედოფლო სახეს და ხალხს არავითარ ცრემლს არ ანახებდა). აი რატომ შეადარა სერგი ლომაძემ იგი ილიას ოთარაანთ ქერივს. და გარკვეულ მომენტებში მეტსაც.“

აღიარებული, დღევანდელი უბრწყინვალესი პოეტი ქალბატონი თამარ ჯაჭვაძე, რომლის არამხოლოდ პოეტურობაზე, არამედ ბრწყინვალე სილამაზეზეც საუბრობენ, ერთ-ერთ გულის ამაჩუყებელ ლექსში ასე უგალობს „დასეტყვილ“ ქალბატონს: „იცი, რადგან ხარობენ სხვები, თუმც შენი დარდი გიდევეს უბეში, რაღაცას იტყვი, რაღაცას ყვები, თვით უნუგეშო, სხვათა ნუგეში“. ერთ-ერთი, მგრძნობიარე პოეტი კი თავის ტკივილიან და ცრემლიან ლექსში „მომენატრე დედა“, ქვის გულიანიც რომ ატირდება ისეთ სტრიქონებს უწერს მისივე შვილის ენით: „ის დრო მენატრება იცი, რომ ლექსს მიკითხავდი დედა“.

თითქოს შეიძლება იფიქრო: - ასეთ ლექსებს აღარ უნდა შეასვენებდე ამ ტკივილით და უსაშველო ბოღმით გაჯერებულ დედასო, მაგრამ იმას რასაც ყოველ წამს მის თვალებში ისეც ამოიკითხავ შესვენება აღარც ქვია.

ვისაც კალამთან ჭიდილი მოუსინჯია, ყველამ კარგად იცის, აქროსტიქთან შერკინება რა გემოსია. ეს არის რამოდენიმეჯერ ლექსის წერის იღეთის გართულება. სწორედ ასეთ აქროსტიკის მოყვარული პოეტი ცინარი-მარიამ ხმიადაშვილი უსურვებს მიძღვნილი ლექსის ბოლოს „გულნაზ ხარაიშვილს“: „ლ-ოცვით უფალს ვთხოვ მოგმადლოს, ს-იცოცხლე მრავალ წლობითა“.

ამდაგავრ ლექსთა ზომა-წონა, ისევე ვერ აიწონება და გაიზომება, ეს დასწყისში საჩუქრებზე საერთოდ როგორც ვახსენე, მაგრამ არსებობენ უმარავი, აურაცხელი, იმდაგვარნი, რომლთა თუნდაც სტრიქონად ამონარიდნი შორს წაგვიყვანს. ამ სიტყვებში ზუსტად რა იგულისხმება ვერც განგსაზღვრი, მაგრამ ის ვიცი ყველა ისინი საოცარი, ერთნაირი სიწრფელით, რუდუნებით, სიყვარულითაა დაწერილნი, წრფელნი, პატიოსანნი. აი ერთ-ერთი მათგანი: „გაგიცანი, სიყვარული გამიხნდა, შეხვედრისას ოცნებები ამიხდა“. „მინდა ვიქცე წამლად გულზე დაგედო“. „გითხრა რა ხარ? ხატად გარდასახული, ბრილიანტი, ბა-

ჯადლოში ჩასმული”. ეს წმინდა სიტყვები მამაკაცს პოეტისა არ გეგონოთ. იგი ეკუთვნის პოეტ ქალბატონს ნელი გიუნაშვილს. აფერუმ.

და საერთოდ, ეს აკვიტება არაა, ეს ხლახის აზრებია, ხალხისა, რომელთაც ელიტა-ლური სამყარო ჰქვია, სამყარო, რომელიც მარტო მთლიან საქართველოს კიარა, მსოფლიოს მოიცავს. მის მიერ გამოცემული ჟურნალი „ათინათი” უკვე მრავალ ენაზე ითარგმნა, მათ შორის ესპანურადაც. ჟურნალს, რომლის გამოცემა არცერთი დღით, არცერთი წუთით თუ წამით არ დარღვეულა. ჟურნალი, რომელიც დაუფინანსებლად არსებობს შემოწირულობით თუ რედაქტორისგან უდიდესი სიყვარულის ხარჯით. იმ სიყვარულისა, რომელიც შეუმჩნეველი ბოლო-ბოლო ვერ დარჩებოდა. რომელთა პარალელურად ეს შეუდარებელი რედაქტორი გამოსცემდა ასევე ანთოლოგიასაც.

პოეტი, ცნობილი მომღერალი, უმგრძობიარესი შალვა იღურიძე ასე უმღერის თავისი საყვარელი ლექსებით, საყვარელ რედაქტორს გულნაზის: „ - გული! - გულნაზო, ეს ორი სიტყვა, გული და ნაზი ჩავიწან სულში, დიდი პოეტი და დიდი ქალი, რომ ჩავიტიე პატარა გულში”, და რადგან სიფრთხილეს თავი არ სტკივაო, მოქნილკალმიანი ავტორი აკონკრეტებს სიყვარულის მიზანს: „შენს ძმას უყვარხარ ჩემო დაია, დღეს ამიყვავდა ჩემს ბაღში ნუში”, „დიდი პოეტი და დიდი ქალი, რომ ჩავიტიე პატარა გულში”.

ქალბატონი გულნაზის ერის ტიპილით გამოწვეულ ვარამს ვინ დაინახავს იმაზე უფრო, რამდენადაც ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი ლუარა სორდია, რომელიც ამად გულნაზზე ბრძანებს: „ - მწერალი ისტორიიდან გამოიხმობს გმირ წინაპართა სულს, (დავით აღმაშენებელი, თამარი, ზვიად გამსახურდია), ამხნეებს მესიანისტური იდეა ჩვენი ქვეყნის მარიამ ღვთისმშობლის წილხვდომილობისა და იმედს უტოვებს, რომ ასეთი რჩეული ერი არ შეიძლება გადაშენდეს”.

სახხერე-ჭიათურის გაზეთ „საშევარდნოს” რედაქტორი მაია ტყემალაძე ამბობს გულნაზზე: „რაა სიცოცხლე?! - ხშირად უსვამს ამ კითხავს საკუთარ თავს და უკვე პასუხობს, რომ ამქვეყნიური ყოფა წამია, ერთი გაელვებაა და სწორედ ამ გაელვებისას უნდა დაშვრე სიკეთედ, მოყვასსა და ხალხის სამსახურად”... აკი მისი ჟურნალის ერთ-ერთი საუკეთესო სლოგანია: „ჟურნალი მოიცავს ყველა დარგს, თესავს: სიტბოს, სიყვარულს, სიკეთეს...”

პროფესორმა ვახტანგ თორაძემ კარგათდ იცის მარტო ბეჭდვითი სიტყვის ფასი კი არა, რიგითი სიტყვის იურიდიული პასუხისმგებლობაც კი, როცა სათქმელის დასასრულ ამბობს: „დასასრულ მინდა აღვნიშნო, რომ პოეტ გულნაზ ხარაიშვილის პოეზია მართლაც ახალი სიტყვაა XXI საუკუნის ქართულ ლიტერატურაში”.

ფილოლოგი, ჟურნალისტი, ჟურნალ „რაჭველების” რედაქტორი ნინო რეხვიაშვილი გულნაზის პოეტურობას პოეზიის კარიბჭის შეღებად აფასებს: „ქალბატონო გულნაზ, თქვენ მახვილი კალმითა და სპეტაკი მანდილით ფართოდ შეაღეთ XXI საუკუნის პოეზიის კარიბჭე”, „კვლავაც მრავალი წელი ეღვაწოს თქვენს მადლიან კალამს, მრავალი შეგექმნათ, გეთქვათ და გეწეროთ, მუდამ მრავალჯამიერი ყოფილიყოს თქვენთვის”!

ფაზისის საერო აკადემიის წევრი კუკური ფიფია, ვერ ვიტყვი მოლოდინს აჭარბებს მეთქი, მაგრამ აღარც უამისობაა, როცა ბრძანებს: „წავიკითხე თქვენი „მზის ათინათი” (წიგნი) და ვიგრძენი, რომ თქვენში ღმერთია განსახიერებული, თქვენისთანა მაშტაბური სიყვარული მხოლოდ ღმერთს შეუძლია.” (ასე, რომ გაზვიადებულად არ მიხსენებია, როცა ზემოთ აღვნიშნე მრავალი ღმერთს აღარებს მეთქი).

არც პოეტ ანა ქველიძეს ეშლება სათქმელი: „ქალბატონო გულნაზი! სიხარული და სიკეთე, რაც ისე უხვად არის შენში არ დაგკლებოდეს”...

კონკრეტულად ამბობს ვრცელი სათქმელის დასასრულს მწერალი გულნარა შოთაშვილი მასზე: „მისი ლექსებია მისი გულის სარკე და სულის გასაღები...”

ვის გულ-ემოციას რა ხვდება... დამსახურებულ დასკვნას დებს დამსახურებული ფილოლოგი ნათია მოსიძე პოეტის რამდენიმე ნაშრომზე: „უდაოდ ჭეშმარიტებაა... ვაჟა ვერისელისადმი მიძღვნილი პოემა და ჯემალ ხარებავას ვაჟიშვილის აწ გარდაცვლილი ბათუ ხარებავაზე დაწერილი პოემა „მღუღარე ცრემლი”.

სანთელ-საკმეველის ჭეშმარიტების ძალაში დარწმუნებული, მსახიობი ლარისა ხაჭაპურიძის კალამი მეტყველებს: „რაც შეეხება თქვენს მიერ გაკეთებულ სიკეთებს, გახსოვდეთ! სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს”.

დარიკო ონიანი მიმზიდველურიან გულნაზზე ამბობს: „ქალბატონო გულნაზ? თქვენ ყოველგან სიტბოს თესავთ, მხარში უდგახართ პედკოლექტივს და იბრძვით სწავლა აღზრდის მაღალი მაჩვენებლებისათვის“.

2011 წელს გულნაზისადმი მიძღვნილ ვრცელ სტატიას „ღმერთს და კაცშუა მავალი“, ავტორი ამთავრებს: „დედისმიერი ნასწავლი ანთებული სანთლით, პირჯვრისსახვით ვლოცულობ, რომ კვლავ მრავალგზის შესძლებოდეს ქალბატონ გულნაზის კაცისა და ღმერთის, მკითხველისა და ავტორის რედაქტორ-დედისმიერი შუამავლობა. კვლავ მრავალი „ათინათით“ დაემშვენებინოს ჩვენი დიადი, წმინდა ნინოს მიერ ქრისტიანული ჯვრით დამოძღვრილი, სრულიად ნეტარი, ღვთის წილხვედრ-სათაყვანებელი, მსოფლიოს პატარა ღამაზი გულისცემა, მარადიული თაიგული... საქართველო“!

როგორც ლომადის ცნობილი წიგნი „გზა მწვერვალისკენ“, თითქმის ასევე უვრცელესი წერილი „ბეწვის ხიდზე“ რეზიუმეა გულნაზ ხარაიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობისა, რომლის დასასრულ ვკითხულობთ: „ისღა დარჩენილა კვლავაც დედისმიერი ნასწავლი ანთებული წმინდა სანთლით და პირჯვრისსახვით ამ შუბლნათელ გულ-კალთა-წმინდა ქალბატონს ღმერთს და კაცს შუამავალ, ოქროს შანდალზე სიბრძნით ანთებულ წმინდა ნინოს ჯვრით დამოძღვრილ ენძელისფერ „ათინათით“, თანამედროვე, მაღალი გემოვნების მკითხველის საამებელ თუ თავის სათნო სათაყვანებელ ავტორთა ათგზის და ასგზის ღვთის საუფლემდე (თავად ქრისტეც ხომ შემომქმედი, პოეტი იყო) საქვეყნოდ აღზევებულ წარმოსახენად ვუსურვო - მუხლჩაუხრელად (ოქროსქალამანგაუცვეთლად), გონიერთა მანტიით დამშვენებულს, კვლავ შემართებით ვვლოს თავისსავე არჩეულ, ერის, ისტორიის წინ პასუხსაგებ, ღვთისკურთხეულ - ბ ე წ ვ ი ს ხ ი დ ზ ე... ამინ! რაც აქროსტიკული ლექსით მთავრდება: „გულნაზ ხარაიშვილს“ გულთით დაგაქვს საქართველოს დიდება, უნდა შენი... დავიღალთ ფერებით, ღამაზ ჰანგით რომ უგალობ ქვეყანას ნაზ გრძნობით და მინდვრის ყვავიღვერებით. ა-ზარფემა პოეტისა ღვთით გერგო, ზ-არებს რეკენ შენგულა რითმები, ხ-არ სამშობლოს ქალი - ლექსით მეხოტბე ა-ნას შემდეგ - პირველად რომ ითქმები. რ-არიგ გშვენის მასე წმინდა მანდილი, ა-ქროსტიკის ფერ-მადღშიც არ იჭრები... ი-სევე ლექსის თბილი ფრთების კამარით შენი სტროფის ბწკარით ღმერთთან იჭრები. ვ-იამაყებ, რადგან დღეისდღეობით ი-ვერიის წმინდა „ათინათი“ ხარ? ღ-ამაზ რითმის, ლექსთა ბაირადებით, ს-აქართველოს დიდ ჩირადღნათ ანთიხარ“.

(რადგან „ღმერთს და კაც შუამავლის“ და „ბეწვის ხიდის“ ავტორი ერთი და იგივე პიროვნებაა მათი დასასრული თითქმის მონათესავეა, მაგრამ ისინი უკვე ისტორიაა და კორექტურა უსუსურია).

ქართველებს გენში მოგვდგამს დობილ-ძმობილობა. სხვა ერის იმდენად არ ვიცი, მაგრამ ჩვენში ეს ისე მტკიცე, უღალატო და წრფელია, აქ დადებული ფიცის გატეხვის თითქმის მინიმალური შანსიც ნაკლებია.

ასეთ შეძენილ გრძნობით ნაამები ჟურნალისტი სიმონ ზაქარაია გულნაზზე ამბობს: „ნამდვილად პროფესიონალი ხელოვანია, ჩამოყალიბებული ქართველი პოეტი ქალი, რომელმაც ახალი ლექსებით ღირსეული ადგილი დაიკავა ქართველ პოეტთა შორის“.

ქალბატონ გულნაზის სულიერი ყავარჯნის, პოეტ ლამზირა შეყილაძის ვერცერთ ლექსს, ვერცერთ სიტყვას სხვათა მაგალითად, აქ ვერ მოვიყვან, ხოლო ჭეშმარიტ, ყველაზე მეტს, მის თვალეში ამოკითხულ, დიდ უძირო ფილოსოფიურ სიყვარულს კი, ჩემი უსუსური კალმით კიარა, ვერა სამეცნიერო მეთოდით, აქ ვერ გადმოვაკოპირებ...

„რასაც წამისავმ ხელზეო, იმას მოგისვამ წვერზეო“, არავინ არაფერს გაჩუქებს თუ არა გაქვს გაცემული. გაცემული აქვს გულნაზის ხალხის უანგარო სიყვარული, რასაც სწორედ იმის კიდევ. გაცემული აქვს მიძღვნილი (აქროსტიკული) ლექსები. რის გამოც გამონათქვამისა მაკვირვებს: „ადამინის თვალი დაუნახავიაო“, არ ყოფილა ასე თურმე. დაინახეს ზომიერ, შეაფასეს გულნაზის გული, აამეს ამად, სიყვარულზე სიყვარულით სიცოცხლეშივე უპასუხეს, დაუდგეს ლექს-ჯადოსან-საჩუქართა ძეგლები.

ასე, რომ თურმე სასწაულ შესაძლოა გულნაზისადმი მიძღვნილ ჯადოსან საჩუქართა აზომვაც და აწონაც. რისთვისაც საკუთარ გულ-ბარომეტრ-ინდიკატორად, საკუთარ ნაზ, ტკივილიან გულს იყენებს. გული, რომელიც თავად მართლაც აუწონავი აქვს. რომელსაც თავად სიყვარული და პოეზია ჰქვია და რომლის გზა მწვერვალისკენ მიმავალი კი არაა, იქიდან იცქირება უკვე.

სამშობლოს თუ თვითი ადამიანისადმი სიყვარულით გაჯერებული ლექსებიდან, რატომღაც მისი ერთსტროფა შევარჩიე, რომელზეც არ მყოფნის ფილოსოფია მართლაც ვთქვა ერთის თუ ყველას პასუხად აქვს ამოკენესებული პოეტს სანუკვარი სათქმელი, მაგრამ იგი მაინც ჩემი დოკუმენტია:

წითელი ვაშლი რომ მოგქონდა ჩემთვის მალულად
დღე აღარ გავა არ მახსოვდეს სულის არაკო!
ჰოდა ფიქრები მაინც შენთან გამოპარულა
ხომ არ დამიშლი ლექსებით რომ გელაპარაკო!

P.S.

ნაამბობი, 2015 წლის 8 მარტამდის მქონდა დაწერილი. ეს მაშინ, როცა ბედნიერი ვიყავი.

ქვეყნდება, როცა გულნაზივით განადგურებული დავრჩი, რაზეც ჯაჭვადის მისდამი ნათქვამი მახსენდება: „გული ღრიალებს, შენ რჩები ჩუმი, და ცოცხალ-მკვდარი დაიარები”.

შვილმკვდარი დედა ცოცხალ-მკვდარია თურმე.

ამ ტკივილის გარეშე რამხელა სიძლიერის იქნებოდა ამ ზენიტში, გულნაზისნაირი მოსიყვარულე, ტიტანი გულის პატრონი, ეს მხოლოდ ღმერთმა იცის...

კვლავ ჯაჭვადის სიტყვები: „იცინი რადგან ხარობენ სხვები”...

სხვა რა გზაა, თუ არა სხვისი სიხარულით სიცილი, რითაც იოტი შვება იპოვება თურმე...

თურმე უნდა ბავშვობისილღით ბედნიერებას, რომელსაც ვერ ვბრძნობთ, ბედნიერებას, რომელსაც არ ვიცნობთ როგორც ბავშვობისილღით. თანაც იმად, რომ ახალი, ვმღარავინ მიიჯაჭვოს, იმ სასაფლაოზე, რომელიც საიძიოსა და სააქაოს შორის ოდესღაც ცოცხალ ჩვენსაირ აღამიანთა ჩონჩხით ნაბეზი, კვლისფერი შუახილია...

თინათინ ხოხობაშვილი



ანთროპოგენური ფაქტორების გავლენა მდ.ილტოს პროდუქტიულობაზე

მდ. ილტო მოედინება აღმოსავლეთ საქართველოში, ქ. ახმეტის მუნიციპალიტეტის ჩრდილოეთ ნაწილში. მდ. ილტო სათავეს იღებს ილტოს სახელმწიფო აღკვეთილიში ზღვის დონიდან 20120 მ. სიმაღლეზე. აუზის ფართობი 337 კმ². წყლის საშუალო ხარჯი 6,5 მ³/წმ. [1] (მდ. ილტოს სახელწოდება დაკავშირებულია ილტოს სახელმწიფო აღკვეთილთან). მასში ნალექების შედეგად წარმოქმნილი უამრავი წყალმენხერი და წყალუხვი ხევი ჩაედინება. აღსანიშნავია კიტრასხევი და ბიბოსხევი, რომელიც მდინარე ილტოს მარჯვენა შენაკებაა. ასევე წყალუხვი მარცხენა შენაკადებია: საკანაფოსხევი, ჭალამბრისხევი, ჭირისხევი, ასურისხევი და საყვავისხევი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მდ. ილტოს 50% შენაკადებითაა წარმდგენილი. მდ. ილტოს სიგრძე 40კმ. იგი მიედინება სამხრეთ – აღმოსავლეთით ბახტრიონისა და ხორბალოს ტყესთან მარჯვენა შენაკადით ჩაედინება მდ. ალაზანში.

ჩვენ მიზანს შეადგენდა გამოგვეკვლივნა ანთროპოგენული ფაქტორების გავლენა მდ. ილტოს პროდუქტიულობაზე.

კვლევა მოიცავდა ორ ეტაპს, პირველ ეტაპზე შევისწავლეთ მდ. ილტოს ანთროპოგენული (ანუ ბუნებრივი) დამაბინძურებლები. მეორე ეტაპზე განვსაზღვრეთ დამაბინძურებელი ფაქტორების გავლენა მდ.ილტოს პროდუქტიულობაზე (ანუ წყლის ბიოლოგიაზე).

პირველ ეტაპზე დაკვირვება მოვახდინეთ მდ. ილტოს ანთროპოგენულ დამაბინძურებლებზე. მეორე ეტაპზე გამოვიკვლიეთ მდ. ილტოს პროდუქტიულობის ცვალებადობა, რადგან მდინარის გაჭუჭყიანება მნიშვნელოვნად აზიანებს, როგორც ბიოლოგიურ ისე ეკოლოგიურ წონასწორობას. გაჭუჭყიანებული ნივთიერებების ეკოლოგიური მოქმედება კი ვლინ-

დება ორგანიზმების პოპულაციებისა და ეკოსისტემების დონეზე [2]. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ასეთი გაჭუჭყიანება ქმნის საფრთხეს ადამიანებისათვის, რომლებიც საკვების სახით დებულობენ ისეთ ორგანიზმებს, რომლებიც შეიცავენ მძიმე მეტალებს, პესტიციდებს რადიოაქტიულ ნივთიერებებს და სხვა. [3].

კვლევა განხორციელეთ საკვლევი მდინარის სამ წერტილში. პირველი წერტილი ზღვის დონიდან 950 მ. სიმაღლეზე. (ილტოს სახელმწიფო აღვეთილის ტერიტორიაზე) . მეორე – ზღვის დონიდან 600 მ. სიმაღლეზე. (ქ. ახმეტისა და სოფ: მატნის მიმდებარე ტერიტორიაზე. მესამე – კი ზღვის დონიდან 550 მ. სიმაღლეზე. მდ. ალაზნის მარჯვენა შენაკადთან. (ბახტრიონისა და ხორბალოს ტყესთან.

ჩვენსმიერ ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლენილია, რომ მდ. ილტოს ანთროპოგენული დაბინძურება საკვლევი მდინარის II და III წერტილში შეინიშნება. II – წერტილის ძირითად დამაბინძურებელს ამჟამად წარმოადგენს: საქონლის ბოინიდან ჩამდინარე წყლები, ბლოკის ცეხი და ყოფილი ბიოქიმიური ქარხანიდან გამავალი არხი, რომელითაც ამჟამად ატმოსფერული ნალექებით წარმოქმნილი წყალი ჩაედინება. III – წერტილის კი გუდრონის ქარხანა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აღნიშნული ანთროპოგენული დამაბინძურებლები მნიშვნელოან გავლენას ახდენენ მდ. ილტოს პროდუქტიულობაზე. საკვლევი მდინარის I – წერტილში კი (ილტოს სახელმწიფო აღვეთილში). მდ. ილტოს ნაპირებში განხორციელებულია, ტყის ჰიგიენური გასუფთავება, რაც უზრუნველყოფს მდ. ილტოს დაბინძურებისაგან და დაშრეტისაგან დაცვას. ასევე მდ. ილტოს ტყის სამეურნეო რეუიმი მიმართულია წყლის ბუნებრივი თვისებების შესანარჩუნებლად, რათა არმოხდეს ქიმიური ნივთიერებების აკუმულირება მდ. ილტოში. აქედან გამომდინარე მდინარე ილტოში შესაძლებელია მხოლოდ მშრალი კალაპოტის ჩარეცხვა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მდ. ილტოში არ ჩაირეცხება ისეთი წყლები, რომლებიც აძლიერებს ევტროპიკაციას და საშიშია ეკოსისტემებისათვის. აქედან გამომდინარე მდ. ილტოში საკვლევი ტერიტორიის I – წერტილში არ გვხვდება არც ანთროპოგენული და არც ქიმიური დაბინძურების გავლენა პროდუქტიულობაზე.

მდ. ილტოს ანთროპოგენული დამაბინძურებლები


ცხრილი: 1

საკვლევი მდ. I – წერტილი	საკვლევი მდ. II – წერტილი	საკვლევი მდ. III – წერტილი
სახმელეთო ნაპირებიდან ჩამდინარე წყლები	1. საქონლის ბოინი 2. ბლოკის ცეხი 3. ყოფილი ბიოქიმიური ქარხანა	გუდრონის ქარხანა

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თინათინ ხოსობაშვილი. ბაწარის, ბაბანეურის, ილტოს აღვეთილისა და თუშეთის დაცული ტერიტორიები. უნივერსალი. გვ., 32. თბ., 2012.
2. ჯ. ონიანი. ზოგადი ჰიდრობიოლოგია. თსუ. გვ., 336. თბ., 2000.
3. ხ. კერესელიძე. ზღვისა და მტკნარი წყლების ბიოლოგია. თსუ. გვ., 119. თბ., 2003.

ისტორია



ვაჟა შუბითიძე



გლობალიზაცია და მისი რეჟორმირების აუსილვბლოჯა

გლობალიზაციის თავგადაკლული მომხრეები და საბაზრო ეკონომიკის ბოლშევიკები (ჯოზეფ სტიგლიციის – მსოფლიოში ცნობილი ეკონომისტის – ტერმინია და გულისხმობს ბენდუქიძის მსგავს ლიბერასტებს, რომლებიც თვლიან, რომ თურმე მთავრობა ბიზნესში და საბაზრო ეკონომიკაში საერთოდ არ უნდა ჩაერიოს) გლობალიზაციის პროცესს ისე წარმოაჩენენ, თითქოს სე იყოს ობიექტური, ლამის დმერთის ნების განმხორციელებელი მოვლენა,

რომელშიც ადამიანს პაიკის როლი აქვს მიკუთვნებული და არაფრის შეცვლა არ შეუძლია. სინამდვილეში ეს ასე არ არის. გლობალიზაცია მართლაც უზარმაზარი ძალაა, რომელმაც ადამიანთა ნაწილის ცხოვრება მნიშვნელოვნად შეცვალა. ამასთან ადამიანთა მხოლოდ მცირე ნაწილის და 25–30 ქვეყნის ცხოვრება შეიცვალა უკეთესობისაკენ. იმის გამო, რომ ეს პროცესი არასწორად (ან შეგნებულად არასწორად) იყო მართული, ათეულ მილიონობით ადამიანისთვის მან ვერ მოიტანა დადებითი შედეგი, ასეულ მილიონობით ადამიანისათვის კი ცხოვრება უარესობისაკენ შეიცვალა.

გლობალიზაცია ამ სახით გარდაუვალი აუცილებლობა სულაც არ არის და მისი შეცვლა შეიძლება, თუ განვითარებული ქვეყნები ამის სურვილს და ნებას გამოამჟღავნებენ. უნდა მოხდეს მისი იმ სახით რეფორმირება (გლობალიზაცია ადამიანური სახით), რმ მან სიკეთე მოუტანოს არა მარტო მდიდარ ადამიანებსა და განვითარებულ ქვეყნებს, არამედ ღარიბ და განვითარებად ქვეყნებსაც (150–მდე ქვეყანა, რომელთა რიცხვს მიეკუთვნება საქართველოც). ამრიგად, გლობალიზაცია, როგორც ასეთი, არც კარგია და არც ძალიან ცუდი. სწორად და სამართლიანად წარმართვის შემთხვევაში მას სიკეთის და პროგრესის დიდი პოტენციალი გააჩნია. ქვეყნებს, რომლებმაც გლობალიზაცია საკუთარი წესებით, საკუთარი ტემპით განვლეს (ჩინეთი, სამხრეთ კორეა, პოლონეთი და სხვ.) ძალიან სერიოზული შედეგები აქონდათ (მიუხედავად კრიზისებისა), ვიდრე ქვეყნების აბსოლუტურ უმრავლესობას.

რატომ ვერ იქცა გლობალიზაცია პროგრესისა და სიკეთის მომტან ძალად ქვეყნების აბსოლუტურ უმრავლესობაში და ვინ წარმართავს ამ პროცესს?

როგორც ჯოზეფ სტიგლიცი წერს თავის ცნობილ წიგნში („გლობალიზაცია და მისი თანმდევი უკმაყოფილება“, თბ. 2012), გლობალიზაციის პროცესში „პირველადი ჩანაფიქრის მიხედვით, უნდა მომხდარიყო ხალხებისა და ქვეყნების დაახლოება, რაც ტრანსპორტირებისა და კომუნიკაციების ხარჯის შემცირებას და ხელოვნურად შექმნილი ბარიერების მოშლას უნა მოჰყოლოდა. ამის შემდეგ საქონლის, სერვისის, კაპიტალის, ცოდნისა და ადამიანების (შედარებით ნაკლებად) მოძრაობაც გაადვილდებოდა“ [1.15] გლობალიზაციის პროცესს ძირითადად მართავენ საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი (შექმნენ 1944 წელს ბრეტონ ვუდსში, ნიუ-ჰემფშირში) და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (ჩამოყალიბდა 1944 წელს) და მათ უკან მდგომი მსხვილი ტრანსნაციონალური კომპანიები და განვითარებული ქვეყნების შვიდეული.

ამ ორგანიზაციის შექმნა იმის აღიარებასაც ნიშნავდა, რომ ბაზარი, საბაზრო ეკონომიკა ხშირად წარუმატებლად მუშაობს, რომ მან შესაძლოა, წარმოშვას დიდი კრიზისები, უმუშევრობის დიდი ტალღები და ხშირად არ შეუძლია, საჭიროების დროს ქვეყნები იმ დახმარებით უზრუნველყოს, რომელიც ეკონომიკის აღორძინებას შეუწყობს ხელს. ამ ორგანიზაციის შექმნის იდეა ეფუძნებოდა რწმენას, რომ ეკონომიკური სტაბილურობისათვის აუცილებელია კოლექტიური ქმედება გლობალურ დონეზე, ისევე, როგორც გაეროს შექმნა დაეფუძნა რწმენას, რომ პოლიტიკური სტაბილურობისათვის აუცილებელია ერთობლივი

ქმედება (თუმცა ბოლო ხანებში აშშ-მა და რუსეთმა გაეროს გვერდის ავლით განახორციელეს სამხედრო ქმედებანი სხვადასხვა ქვეყანაში).

დროთა განმავლობაში საერთაშორისო სავალუტო ფონდი მნიშვნელოვნად შეიცვალა. თავიდან ის მოქმედებდა პრინციპით, რომ საბაზრო ეკონომიკა ხშირად წარუმატებლად მუშაობს, თუმცა კი 1980-იანი წლებიდან იგი საბაზრო ეკონომიკის ერთპიროვნულ უპირატესობას ქადაგებს.

არიან სხვა გლობალური ორგანიზაციებიც, რომლებიც სავალუტო ფონდს არ ემხრობიან ამ მიმართულებით, მაგალითად, შრომის მსოფლიო ორგანიზაცია თვლის, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდი სათანადო ყურადღებას არ უთმობს მომუშავეთა უფლებებს, აზიის განვითარების ბანკი, სავსებით მართებულად, „კონკურენტულ პლურალიზმს“ ქადაგებს, რომლის მიხედვითაც განვითარებად ქვეყნებს უნდა ჰქონდეთ ინფორმაცია განვითარების სხვადასხვა სტრატეგიის შესახებ. მათ შორისაა „აზიის მოდელი“ – ეს არის საბაზრო ეკონომიკის სისტემა, როდესაც ბაზრის ჩამოყალიბების, ფორმირებისა და ზედამხედველობის პროცესში მთვარ როლს მთავრობა თამაშობს (სუბურო ოკიტა), რაც გულისხმობს, მაგალითად, ახალი ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობას. ამ პროცესში საკუთარი თანამშრომლების სოციალურ კეთილდღეობაზე კომპანიებს სერიოზული პასუხისმგებლობა ეკისრებათ – ეს ყველაფერი კი ძალიან განსხვავდება ამერიკული, ვაშინგტონში მომუშავე ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებული მოდელისაგან. ამრიგად, თავიდან სავალუტო ფონდის მიერ აღიარებული კენისური ორიენტაცია – საბაზრო ეკონომიკის წარუმატებლობის შემთხვევაში ახალი სამუშაო ადგილების წარმოშობის პროცესში მთავრობის როლის მნიშვნელობა – 1980 წელს თავისუფალი ბაზრის ერთპიროვნული უპირატესობის იდეამ ჩაანაცვლა – ეს იყო ე. წ. „ვაშინგტონის კონსენსუსის“ ნაწილი. შეთანხმება საერთაშორისო სავალუტო ფონდს, მსოფლიო ბანკსა და აშშ-ს ხაზინას შორის მოხდა განვითარებადი ქვეყნებისათვის „სათანადო“ პოლიტიკის შემუშავების შესახებ – ეს იყო ახალი, რადიკალურად განსხვავებული მიდგომა ეკონომიკური განვითარების და სტაბილურობის საკითხისადმი, რამაც არ გამართლა უმრავლეს ქვეყანაში. თავის დროზე ლათინური ამერიკის ქვეყნებისათვის განკუთვნილი ეს მოდელი და პოლიტიკა წინასწარი აპრობირების და შესწავლის გარეშე გაატარეს აზიის, აფრიკის და პოსტსოციალისტურ ქვეყნებში, რამაც უმძიმესი შედეგები მოიტანა. ზოგ შემთხვევაში ვაშინგტონის კონსენსუსის პოლიტიკა, რომელიც ტარდებოდა განვითარებად ქვეყნებში, შეუფერებელი იყო იმათთვის, ვინც განვითარების ადრეულ სტადიაზე იმყოფებოდა ან სადაც გარდამავალი პერიოდი ახალი დაწყებული იყო (როგორც მაგალითად, საქართველოში) ასევე არა გამართლა ბაზრების და ვაჭრობის ლიბერალიზაციამ. განვითარებადი ქვეყნები აიძულეს, იმპორტისათვის გაეხსნათ თავისი ბაზრები. შემოტანილი პროდუქცია კი დიდ კონკურენციას უწევდა ადგილობრივ ნაწარმს (საქართველოში ახლაც ასეა), ძირადად ადგილობრივ პროდუქციას და კატასტროფული შედეგები მოჰქონდა და მოაქვს.

სისტემატურად მცირდებოდა სამუშაო ადგილები, ღარიბი ფერმერები კონკურენციას ვერ უწევდნენ აშშ-დან და ევროპიდან (თურქეთიდან და ირანიდანაც კი) შემოტანილ, საკუთარი მთავრობის მიერ სუბსიდირებულ საქონელს. უფრო მეტიც, სავალუტო ფონდის მოთხოვნას – განვითარებად ქვეყნებს შეენარჩუნებინათ მკაცრი მონეტარული პოლიტიკა – მაღალი საპროცენტო განაკვეთის შენარჩუნებას იწვევდა (და იწვევს), რაც საუკეთესო პირობებშიც კი ახალი სამუშაო ადგილების წარმოქმნას შეუძლებელს ხდიდა. იმის გამო, რომ ვაჭრობის ლიბერალიზაცია მანამდე მოხდა, ვიდრე უსაფრთხოების სისტემა ამოქმედდებოდა, ისინი, რომლებმაც სამუშაო დაკარგეს, სიღარიბისათვის იყვნენ განწირულნი (არადა, როცა დასავლეთის ქვეყნებმა ღარიბ ქვეყნებს სავაჭრო ბარიერების გაუქმებისაკენ უბიძგეს (აიძულეს), შეინარჩუნეს ბარიერები საკუთარ ქვეყნებში. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ განვითარებად ქვეყნებს არ შეეძლო და დღემდე არ შეუძლიათ საკუთარი პროდუქციის ექსპორტი აშშ-სა და ევროკავშირში, რისთვისაც ძალზე რთული ბარიერები იყო დაწესებული.

ამგვარად, ლიბერალიზაციამ ბევრ შემთხვევაში დაპირებული ზრდის ნაცვლად, გაჭირვების მატება გამოიწვია და გააუარესა მდგომარეობა.

1970-იან წლებამდე ევროპული ქვეყნები კრძალავდნენ კაპიტალის თავისუფალ მოძრაობას. დიდი უსამართლობაა, აიძულო განვითარებადი ქვეყნები ცუდად განვითარებული

საბანკო სისტემით, ბაზრის გახსნის რისკზე წავიდნენ. „ცხელი ფული“ (ესაა ფული, რომელიც ქვეყანაში შედის და გადის ზოგჯერ ერთ დღე-ღამეში. ხშირად გაურკვეველია ვალუტა მყარდება თუ გაუფასურდება) უკონტროლო შემოდინება და გადინება ქვეყნიდან, რაც ხშირად ბაზრის ლიბერალიზაციას მოსდევს, როგორც წესი, ეკონომიკისათვის გამანადგურებელია.

სწორედ ჯოზეფ სტიგლიცი, რომ „განვითარებადი ქვეყნები პატარა ნავეს გვანან. ბაზრის სწრაფმა ლიბერალიზაციამ, რომელსაც საერთაშორისო სავალუტო ფონდი წარმართავდა, ისინი ზღვაზე საცურაოდ მანამდე გაუშვა, სანამ კორპუსში ხერელები ამოივსებოდა, კაპიტანი სწავლებას გაივლიდა და მაშველ ჟილეტებს მოიმარაგებდა. საუკეთესო სიტუაციაშიც კი მაღალია ალბათობა, რომ ნავი გადაბრუნდება, როცა დიდი ტალღა დაეჯახება [1,26–27].

სავალუტო ფონდის (რომელშიც მხოლოდ აშშ-ს აქვს ვეტოს უფლება) მიერ განვითარებადი ქვეყნებისათვის წაყენებული „პირობითობები“ – სინამდვილეში ეს იყო მკაცრი და მბრძანებლური მოთხოვნები, რომლებიც სერიოზულად ლახავდნენ და ხელყოფდნენ ამ ქვეყნების ეროვნულ სუვერენიტეტს და რომლებსაც მათ თავს ახვევდნენ განვითარებული ქვეყნები ამ ფონდის მუშაკთა („ეკონომიკური მკვლევლები“, როგორც მათ უწოდებდა ჯონ პერკინსი) მეშვეობით.

საბჭოთა კავშირის და სოციალისტური სისტემის კოლაფსმა სავალუტო ფონდს და მსოფლიო ბანკს ახალი ასპარეზი გაუხსნა. თავიდან სავალუტო ფონდი წარმართავდა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესს ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებსა და ევროპის პოსტკომუნისტურ ქვეყნებში (გვახსოვს მისი წარმომადგენელი შადმან ვალავი, რომელიც ქართველ მეწარმეებს ურჩევდა ვენახის აჩეხვას და ღვინის და ღვინის წარმოებაზე უარის თქმას). როცა ფონდის ფინანსები საკმარისი აღარ იყო, საჭირო გახდა ამ საქმეში მსოფლიო ბანკის ჩარევაც, რომელსაც დაეკისრა უმცროსი პარტნიორის როლი. სავალუტო ფონდის ფუნქციებში შედიოდა მაკროეკონომიკური საკითხები, საბიუჯეტო დეფიციტი, სავალუტო პოლიტიკა, ინფლაცია, სავაჭრო დეფიციტი, საზღვარგარეთიდან სესხის აღების პროცესი.

როგორც ჯოზეფ სტიგლიცი მიუთითებს: „საერთაშორისო სავალუტო ფონდმა იმპერიალისტური მიდგომა აირჩია; იმის გამო, რომ ნებისმიერ სტრუქტურულ საკითხს გავლენის მოხდენა შეეძლო ეკონომიკის საერთო მდგომარეობაზე, ან ბიუჯეტსა და დეფიციტზე, ორგანიზაციაში ჩათვალეს, რომ ნებისმიერი საკითხი (მათ შორის საკადრო – ვ. შ.) მათი კომპეტენციის სფეროში ექცეოდა“ [1,22]. სავალუტო ფონდსაც და მსოფლიო ბანკსაც შეეძლო განვითარებადი, მოვალე ქვეყნებისათვის სხვა, ალტერნატიული გზებიც შეეთავაზებინა, იმ სირთულეების შესახებ გაეფრთხილებინა, რაც განვითარებასა და გარდამავალ პერიოდს ახლავს თან. ეს დემოკრატიული პროცესების განვითარებას შეუწყობდა ხელს, მაგრამ დიდმა შვიდეულმა და, განსაკუთრებით აშშ-მა, სავალუტო ფონდის მეშვეობით მათ თავს მოხვია ე. წ. „შოკური თერაპია“, რამაც სოციალური კოლაფსი გამოიწვია ამ ქვეყნებში.

დაარსებიდან 70 წლის შემდეგ ცხადი გახდა, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდმა თავისი მისია ვერ(არ) შეასრულა – არ გაკეთდა ის, რაც უნდა გაეკეთებინა – ფული გამოეყო ქვეყნებისათვის, რომლებიც ძალზე მძიმე ეკონომიკურ სირთულეებს განიცდიდნენ. ბევრი მათგანის მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა, 120-მდე ქვეყანამ კრიზისი განიცადა.

ფონდის მიერ ინიცირებულმა კაპიტალის ბაზრის ლიბერალიზაციამ გლობალურ არასტაბილურობას შეუწყო ხელი და მსოფლიო ფინანსური კრიზისი გამოიწვია, რომელიც 2007 წლიდან დღემდე გრძელდება. მიუხედავად მუდმივი დაპირებისა, რომ სიღარიბე შემცირდებოდა, სიღარიბეში მცხოვრები ადამიანების რიცხვი 300 მილიონით გაიზარდა. გაიზარდა ცხოვრების და შემოსავლის დონის სხვაობა მდიდრებსა და ღარიბებს შორის არამარტო ღარიბ, არამედ მდიდარ ქვეყნებშიც კი – ანუ გაღრმავდა სოციალური უთანასწორობა. ბუენოსაისის მონაცემებით, თუ „1990 წელს აშშ-ში საწარმოთა ღირებუტორების ხელფასები 70-ჯერ მეტი იყო საშუალო ამერიკელის ხელფასზე, 2013 წლისათვის ეს განსხვავება 325-ჯერაა გაზრდილი. ამით საზოგადოებაში სამართლიანობა გაითედა, ეს კი სტაბილური სახელმწიფოს ფუნდამენტია“ [2,15]. გლობალიზაციამ და საბაზრო ეკონომიკამ ვერ მოიტანა დაპირებული შედეგები რუსეთსა და უკრაინაში, საქართველოსა და სხვა ქვეყნებ-

ში, რომლებიც კომუნიზმიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადადიოდნენ. ამ ქვეყნებს დასავლეთი დაპირდა, რომ ახალი ეკონომიკური სისტემა მათ უპრეცედენტო კეთილდღეობას მოუტანდა, ამის ნაცვლად მათ უპრეცედენტო სიღარიბე იხილეს.

უზარმაზარი განსხვავება არსებობდა რუსეთსა (რომლის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ იყო მართული) და ჩინეთს შორის, რომელმაც ეს პროცესი დამოუკიდებლად წარმართა. 1990 წელს ჩინეთის მთლიანი შიდა პროდუქტი რუსეთის შიდა პროდუქტის 60% შეადგენდა. ათი წლის შემდეგ სურათი რადიკალურად შეიცვალა. რუსეთში მოხდა სიღარიბის დონის არნახული ზრდა, ჩინეთში კი – არნახული შემცირება.

სავალუტო ფონდი ამ ქვეყნებში მაკროეკონომიკის ნაცვლად ისეთი სტრუქტურული საკითხებითაც დაინტერესდა, როგორცაა პრივატიზაცია, დასაქმების ბაზარი, საპენსიო რეფორმა. ფონდის წარმომადგენლები ამბობენ, რომ ისინი არ კარნახობენ სესხის პირობებს მსესხებელ ქვეყანას და ყველაფერი მოლაპარაკების გზით ხდება. მაგრამ ეს ცალმხრივი მოლაპარაკებაა, რადგან ყველა ბერკეტი ფონდის ხელშია ძირითადად იმის გამო, რომ მსესხებელი ქვეყნები ძალიან გაჭირვებაში იმყოფებიან.

ქვეყნებს მკაცრად გაწერილი გეგმა ჰქონდათ – კონკრეტული მიზნებისთვის 30, 60 ან 90 დღეში უნდა მიეღწიათ. ზოგჯერ ხელშეკრულებები იმასაც კი განსაზღვრავდა, რა კანონები უნდა მიეღო ამ ქვეყნის პარლამენტს ფონდის დავალების დროულად შესასრულებლად.

ვაშინგტონის კონსესუსის სამმა ძირითადმა მიმართულებამ – მკაცრმა ფისკალურმა პოლიტიკამ, პრივატიზაციამ და ბაზრების ლიბერალიზაციამ სხვა ქვეყნების მსგავსად საქართველოშიც მკვეთრად უარყოფითი შედეგი მოიტანა.

ფონდს აინტერესებდა სტაბილიზაციის საკითხი, მაგრამ სამუშაო ადგილების წარმოქმნის საკითხი – არა, აინტერესებს გადასახადების დაწესება და ამის უარყოფითი შედეგები, მაგრამ არა – მიწის რეფორმა. ფონდი ფულს გამოყოფს დასახმარებლად, მაგრამ კრძალავს ფულის დახარჯვას განათლებასა და ჯანდაცვაზე, დაზარალებულთა კომპენსაციაზე და ა. შ.

ვაშინგტონის კონსესუსის რეფორმებმა ქვეყნები რისკის წინაშე დააყენა და შედეგად ყველაზე დაუცველი ადამიანები დაზარალდნენ. ცუდად დაგეგმილმა რეფორმებმა სამუშაო ადგილების გაუქმება გამოიწვია მანამდე, სანამ ახალი სამუშაო ადგილები შეიქმნებოდა. ზედმეტი ოპტიმიზმის გამო ასევე არ მოხდა საჭირო ინსტიტუციების, მათ შორის დახდევების ქსელის და სხვა შექმნა. ამ ქვეყნების სამომავლო პერსპექტივაც არაა იმედისმომცემი. ფაქტიურად განადგურდა საშუალო ფენაც, გამეფდა ელიტარული კორუფცია საქართველოში (2003–2012) და ტოტალური კორუფცია – სხვა ქვეყნებში.

დღეისათვის აშკარაა, რომ საბაზრო ეკონომიკაზე რეალურ გადასვლას გაცილებით მეტი დრო სჭირდება, ვიდრე ეს სავალუტო ფონდს ან ჩვენ წარმოგვედგინა.

საჭირო იყო არა „შოკური თერაპიის“ გატარება, არამედ გრადუალისტური (ანუ ეტაპობრივი) მიდგომა ზომიერი ტემპებით და გარკვეული შემზადების მერე. რუსეთმა, სადაც რეფორმებს ამერიკელი ექსპერტები წარმართავდნენ სავალუტო ფონდიდან, უფრო დიდი დანაკარგი განიცადა, ვიდრე მეორე მსოფლიო ომის დროს – 1940–45 წლებში საბჭოთა კავშირში წარმოებამ 24%-ით იკლო, 1990–99 წლებში კი 60%-ით შემცირდა, მთლიანმა შიდა პროდუქტმა კი 54%-ით დაიკლო.

ამით ისარგებლეს ოლიგარქებმა და ასეულ მილიარდობით ფული გაიტანეს უცხოეთში. მაშინ, როცა სიცოცხლის ხანგრძლივობამ თითქმის მთელ მსოფლიოში მოიმატა, რუსეთში, უკრაინაში, საქართველოში და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში 3–5 წლით შემცირდა. არასწორად და ნაჩქარევად განხორციელებულმა პრივატიზაციამ წარმოების ზრდის ნაცვლად ქონების განიავება და ეკონომიკის დაღმასვლა გამოიწვია ბევრ ქვეყანაში. კაპიტალის ბაზრის ლიბერალიზაციამ სწრაფი და უზარმაზარი ინფლაცია გამოიწვია. წარმატებულმა ქვეყნებმა: მაგალითად, პოლონეთმა, სამხრეთ კორეამ და სხვ. იგნორირება გაუკეთეს სავალუტო ფონდის რჩევას და გარდამავალ პერიოდში პოლონეთმა ინფლაციის დონე 20%-ზე შეინარჩუნა. ფონდის სანიმუშო მოწაფეებმა (ჩვენსავით) ჩეხეთმა ინფლაცია 2 %-მდე დაწია, რის შედეგადაც ეკონომიკური სტაგნაცია მიიღო. ძალიან ცუდად და უსამართლოს, კორუფციულად ჩატარდა პრივატიზაცია პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც. ცუდი პრივატიზაციის ყველაზე ნათელი მაგალითი მოგვცეს რუსებმა

ელცინის და მისი გარემოცვის სახით. ელცინის მთავრობამ შეიმუშავა პროგრამა „სესხები ყველასათვის“. 1995 წელს რუსეთის მთავრობამ ცენტრალური ბანკის ნაცვლად კერძო ბანკებს მიმართა. ამ ბანკების მფლობელები ძირითადად მთავრობის წევრების მეგობრები იყვნენ. ეს ბანკები სესხებს საკუთარ თავს, საკუთარ მეგობრებს ან მთავრობის წევრებს აძლევდნენ. სესხის პირობად მთავრობა საკუთარი საწარმოს წილს დებდა გირაოს სახით. შემდეგ მთავრობამ საკუთარ სესხებზე დეფოლტი გამოაცხადა (ერთადერთმა ივანიშვილმა არ იკადრა ეს რუსეთში მაშინ), კერძო ბანკებმა კომპანიები სიმბოლურ ფასად ჩაიგდეს ხელში (თუმცა მთავრობამ ფორმალურად აუქციონიც ჩაატარა), რამდენიმე ოლიგარქი ერთ ღამეში მილიარდელი გახდა. ამ პრივატიზაციას ლეგიტიმაცია არ ჰქონდა. ამის გამო ოლიგარქები ცდილობდნენ, დაუყოვნებლივ გაეტანათ ფული ქვეყნიდან, სანამ ახალი მთავრობა (პუტინი) მოვიდოდა და მათი ძალაუფლება ეჭვქვეშ დადგებოდა (ჯ. სტიგლიცი). ამიტომაც აარჩევინეს 1996 წელს ხალხს ხელახლა ელცინი. საბაზრო ეკონომიკის ნაცვლად რუსეთსა და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში (მათ შორის საქართველოში) ველური აღმოსავლეთი მივიდეთ. „მოკურ თერაპიაში“ შოკი უფრო მეტი აღმოჩნდა და თერაპია – ბევრად ნაკლები. კლინტონის მთავრობა, რომლის შეხედულებები ხშირად ემთხვეოდა სოციალ-დემოკრატების პოზიციებს გარდამავალი სისტემის ქვეყნებში, მოკავშირეებად იმ ხალხს ირჩევდა, რომლებიც მარჯვნივ იხრებოდნენ (მილტონ ფრიდმანის და რადიკალური საბაზრო რეფორმების მომხრეები) და ძალზე მცირე ყურადღებას უთმობდნენ სოციალურ პრობლემებს. თუ ჩინეთის ეკონომიკა ყოველწლიურად 10%-ით იზრდებოდა, რუსეთის ეკონომიკა ყოველწლიურად 5,6%-ით იკლებდა. შედეგად ჩინეთში სიღარიბის უპრეცედენტო შემცირება მოხდა, რუსეთში კი – მისი უპრეცედენტო ზრდა. პოლონეთმა, ჩინეთის მსგავსად, უარი თქვა პრივატიზაციის ნაჩქარევად განხორციელებაზე და არც ინფლაციის დონის დაწვევა არ დააყენა სხვა მაკროეკონომიკურ პრობლემებზე წინ. სამაგიეროდ ყურადღება დაეთმო ისეთ საკითხებს, რომლებსაც საგალუტო ფონდი უმნიშვნელოდ მიიჩნევდა, როგორც იყო რეფორმების განხორციელებისათვის საჭირო დემოკრატიული მხარდაჭერის უზრუნველყოფა, რაც უმუშევრობის დაბალი მაჩვენებლის შენარჩუნებას, უმუშევრებისათვის დახმარების გამოყოფასა და პენსიების ინფლაციის შესაბამისად გაზრდას გულისხმობდა. მთავრობამ ასევე იზრუნა იზრუნა საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ინსტიტუტების ჩამოყალიბებაზეც. ჩინეთმა რეფორმების განხორციელება სოფლის მეურნეობიდან დაიწყო. განახორციელა კოლმეურნეობების სისტემიდან „ინდივიდუალური პასუხისმგებლობის“ სისტემაზე გადასვლა და შესაბამისად, ნაწილობრივი პრივატიზაცია ჩატარდა. ადამიანებს არ შეეძლოთ, მიწა თავისუფლად ეყიდათ ან გაეყიდათ. სწორად მიუთითებს ჯოზეფ სტიგლიცი, რომ ამ ქვეყნების წარმატების მიზეზი ისიც არის, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი „შინაურების“ მიერ იყო დაგეგმილი, ანუ იმ ადამიანების მიერ, ვინც ამ ქვეყანაში ცხოვრობდა და კარგად ესმოდა ქვეყნის პრობლემები და საჭიროებანი (ნიკო ნიკოლაძე 120 წლის წინ ამბობდა ამას, რომ „ჩვენი ქვეყნის გონებრივი განვითარებისათვის უდიდესი უბედურებაა ის გარემოება, რომ დედის ძუძუთი კი არ ვიკვებებით, არამედ ცხრა მთას იქიდან ჩამოყვანილ ძიძას ვაბარებართ და ისიც თხის რძეს გვაწოვებს და არა ადამიანისას“). ჩინეთში, პოლონეთსა და უნგრეთში არ მიმართავთ მზა რეცეპტებისათვის. ეს ქვეყნები პრაგმატულად უდგებოდნენ საკითხს, მათ პოლიტიკას არ განსაზღვრავდა იდეოლოგია და სახელმძღვანელოებში ამოკითხული წესები. მიუხედავად იმისა, განვითარების რომელ ეტაპზეა ქვეყანა, მთავრობის როლი ძალზე მნიშვნელოვანია. ზედმეტად სუსტმა ან ზედმეტად აქტიურმა მთავრობამ შეიძლება სერიოზული საფრთხე შეუქმნას სტაბილურობას და განვითარება შეაფერხოს.

საერთაშორისო საგალუტო ფონდში დღესაც სჯერათ, რომ მათი „რეკომენდაციები“ სწორია და შეცდომებს არასოდეს უშვებენ. ფონდი რომ უფრო პატიოსანი, გამჭვირვალე, გულახდილი და თავშეკავებული ყოფილიყო, დღეს განვითარებად ქვეყნებში უკეთესი მდგომარეობა იქნებოდა. მაგრამ ფონდი ემსახურება ყველაზე განვითარებული ქვეყნების, პირველ რიგში აშშ-ის, ინტერესებს და ეს ყველამ იცის. უკვე დღეს ბევრი ფიქრობს, რომ საგალუტო ფონდს ქვეყნების მთავრობები მიზანმიმართულად შეჰყავს შეცდომაში და რომ ფონდს პასუხი უნდა მოეთხოვოს აუცილებლად. მართალია, გლობალიზაცია ცვლის სოფლის და ქალაქის ყოფას და იერს, მაგრამ მის წარმმართველებს შეგნებულად და შეუგნებლად (ეს სულერთია) ერების ტრადიციების, კულტურული იდენტობის და ღირებულებების

შეცვლის საფრთხისათვის ყურადღება არ მიუქცევიათ, რამაც ქვეყნები ეროვნული იდენტობის დაკარგვის წინაშე დააყენა. ყველა ქვეყანას არ სურს ამერიკელი ან რუსული ცხოვრების წესით ცხოვრება, არ უნდა გაქრენ ცაზე პატარა ვარსკვლავები და მათ ადგილას ერთი დიდი, მახინჯი ვარსკვლავი ჩამოყალიბდეს, არ უნდა გაქრეს პატარა ენები და მხოლოდ ინგლისურად ილაპარაკოს ყველამ, ისევე როგორც ერთსქესიანთა ქორწინებები არ უნდა უმრავლეს ქვეყნებს. აშშ განვითარებად ქვეყნებს აქტიურად უქადაგებს „ქამრის შემოჭერის“ პოლიტიკას, თუმცა ამას თავად არ აკეთებს. თუ მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ქვეყანა თვლის, რომ სამუშაო ადგილების დაცვის მიზნით პროტექციონიზმს უნდა მიმართოს, მაშინ ასეთი პროტექციონიზმის დაწესებისათვის უფრო სერიოზული მიზეზი აქვს საქართველოს, სადაც უმუშევრობის დონე ძალზე მაღალია და სოციალური დაცვის სისტემა ძალზე სუსტი.

თუ პროცესები ასე განვითარდა, მოსალოდნელია მსოფლიოს აჯანყება განვითარებული ქვეყნების წინააღმდეგ, რადგან ასეთი ფორმით გლობალიზაცია არა მარტო განვითარებას ვერ უზრუნველყოფს, არამედ კიდევ უფრო მეტ სიღარიბესა და უბედურებას მოიტანს. საჭიროა გლობალიზაციის პროცესის რეფორმირება და პატარა ქვეყნების ინტერესების გათვალისწინება.

მომავალშიც წარმატებას მიაღწევენ ის ქვეყნები, რომლებიც თავად განაგებენ თავის ბედს და ყოველთვის სხვის ჭკუაზე არ დადიან, ბაზარს თვითრეგულაციაზე არ უშვებენ.

საჭიროა შესაბამისი პოლიტიკის შემუშავება გრძელვადიანი, სამართლიანი და დემოკრატიული ზრდისათვის მთავრობის მხრიდან. ეს არის განვითარების წინაპირობა. განვითარება კი სულაც არ ნიშნავს რამდენიმე ათეული ადამიანის გამდიდრებას და რამდენიმე უსარგებლო ბიზნესის გაჩენას, რომლის შემოსავლითაც საექვოდ გამდიდრებული ელიტა სარგებლობს, განვითარება არ ნიშნავს „პრადას“ ან „ბენეტონის“ შემოსვლას ქვეყანაში, ან „მერსედესებისა“ და „ტოიოტა ლენდ კრუიზერის“ გაყიდვას ქვეყანაში.

ის, რომ ვაკეში შესაძლებელი გახდა „გუჩის“ ჩანთის ყიდვა, სულაც არ ნიშნავს, რომ საქართველოს საბაზრო ეკონომიკა გააჩნია. განვითარება საზოგადოების ტრანსფორმირებას, გაჭირვებული ადამიანების ცხოვრების გაუმჯობესებას, ჯანდაცვის და განათების ხელმისაწვდომობას ნიშნავს ყველასათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჯოზეფ სტიგლიცი. გლობალიზაცია და მისი თანმდევი უკმაყოფილება, თბ. 2012
2. ზ. ბზეუინსკი. ამერიკამ საგარეო პოლიტიკაში ზომიერების გრძნობა დაკარგა. გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“, თბ. 22–28 თებერვალი, 2012 წ., №7
3. ჯონ პერკინსი. ეკონომიკური მკვლელის აღსარება, თბ. 2007
4. გოგი თოფაძე. საქართველოს ნეოკოლონიალიზმის ყულფში, თბ. 2003 წ.

მორისონ ქობულია



ლიალქატიკური სამეზისა და ისტორიული პერიოდიზაციის თეორიული და პრაქტიკული ღირებულებანი

XX საუკუნის 50-ინი წლებიდან დაწყებული და XXI საუკუნის დასაწყისში განვი- თარებული მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევების საფუძველზე ადამიანებმა გააცნობიერეს, რომ ადამიანთა საზოგადოების განვითარების ისტორიაში დადგა ისეთი გარდატეხის ეპოქა, როდესაც მსოფლიო ცივილიზაციის არსებობას რეალური საფრთხე შეექმნა. 1. ატომური ომის დაწყება; 2. ადამიანების გამრავლება. ეს ორი გლობალური პრობლემა ისეა ერთმანეთში დასხვა არანაკლებ მნიშვნელოვან პრობლემებში მჭიდროდ გადახლართული, რომ ძნელია მათი დადებითად გადაწყვეტის ეფექტური გზის პოვნა.

გეოსტრატეგიული პოლიტიკის მესვეურები, გამოჩენილი მეცნიერები და მოაზროვნე ადამიანები შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე ეძებენ გამოსავალს, მაგრამ ჯერ- ჯერო-

ბით სასურველ შედეგს ვერ მიაღწიეს, პირიქით, სიტუაცია სულ უფრო იძაბება და არავინ იცის რა მოხდება. ჩვენ ვიცით, რომ უმიზეზოდ არაფერი ხდება, ამიტომ ჩვენს აზროვნებაში ბუნებრივად იბადება კითხვები: რამ გამოიწვია ის, რომ ადამიანთა საზოგადოების განვითარების პერსპექტივა დედამიწაზე კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა? ნუთუ ამოიწურა სამყაროში ადამიანური სიცოცხლის არსებობის რესურსები და მისი მისია ამითი დამთავრდა? იქნებ გააჩნია მას სხვა უფრო დიდი მისია, რომელიც სცილდება დედამიწის ფარგლებს და ვრცელდება კოსმოსში?

ამ კითხვებს სწორი და მეცნიერულად არგუმენტირებული პასუხი რომ გავცეთ, ჩვენი აზრით, აუცილებელია, კიდევ ერთხელ მივუბრუნდეთ და განვიხილოთ უძველესი დროიდან ფილოსოფოსების მიერ წამოჭრილი პრობლემები. კერძოდ, რა არის სამყარო, როგორ და რისგან არის აგებული იგი, სამყაროში რა ადგილი უჭირავს ადამიანს და როგორ ხდება ადამიანის მიერ სამყაროს შემეცნება აზროვნების პროცესში?

ფილოსოფიურ მეცნიერებაში, როგორც ცნობილია, სამყაროს შემეცნების ორი ძირითადი მეთოდი არსებობს: იდეალისტური და მატერიალისტური. დუალისტური და სხვა მეთოდები, როგორც წესი, საბოლოო ჯამში ან იდეალისტურისკენ, ან მატერიალისტურისაკენ გადაიხრებიან ხოლმე. იდეალისტური მეთოდი აღიარებს, რომ სამყაროს საწყისი და საფუძველი არის იდეა, გონი, ღმერთი, ხოლო მატერიალისტური მეთოდი აღიარებს, რომ სამყაროს საწყისი არის მატერია და მისგან წარმოიშვა ყველაფერი და მათ შორის აზროვნება, იდეა და სხვა.

წამოჭრილი ურთულესი და უმწვავესი პრობლემების სწორად და მეცნიერული არგუმენტებით გააზრების მიზნით, ჩვენ წინათ გამოქვეყნებულ სტსტიებში დავაყენეთ საკითხი შემეცნების ახალი მეთოდის შემუშავების აუცილებლობის შესახებ. ჩვენი ლოგიკური მსჯელობით მივედით იმ დასკვნამდე, რომ იდეალისტური, მატერიალისტური, თუ დუალისტური და სხვა მსოფლმხედველობები ვერ აკმაყოფილებდნენ თანამედროვე მეცნიერულ ლაბორატორიებში ჩატარებული კვლევების შედეგად გაკეთებული ღრმა და ფუნდამენტური აღმოჩენებით დაგროვებული ფაქტების სწორ ახსნას. ამიტომ დავაყენეთ საკითხი ასე: თუ კი მატერიალისტურად მოაზროვნესთვის მისაღები არის ის, რომ მატერია ყველაფრის საწყისი და შეუქმნადია, ხოლო იდეალისტურად მოაზროვნესთვის მისაღებია ის, რომ იდეა არის პირველადი და შეუქმნადი, მაშინ ჩვენს მიერ მოპოვებულ უამრავ არგუმენტებზე დაყრდნობით ჩვენს თავს მივეციტ იმისი უფლება, რომ სამყაროს პირველსაწყის და შეუქმნად ელემენტად მატერიისა და იდეის გვერდით დაგვეყენებინა ენერგია, ანუ ბუნების ძალები, რომელიც ფიზიკის მეცნიერების მტკიცებით მატერიის განუყოფელ ნაწილად და მის ნაირსახეობად არის წარმოდგენილი. თუ ეს ასეა, მაშინ მივიღვართ იმ ფუნდამენტურ და ურყვე დასკვნამდე, რომ სამყაროს დასაბამი არის სამ ერთიანი საწყისი: 1. მატერია, 2. ენერგია (ბუნების ძალები), 3. ცნობიერება. თვით სამყაროს ცნება იშფურება, როგორც “სამ-ი წყარო”, სადაც სიტყვის განვითარების კანონების საფუძველზე ასო “ი” და “წ” ამოვარდა და მივიღეთ სიტყვა – სამყარო.

ეს სამერთიანი საწყისი – მატერია, ენერგია, ცნობიერება – არის შეუქმნადი და მუდამ არსებულ ელემენტთა ურღვევი კავშირი, სადაც თითოეულ მათგანს გააჩნია თავისი გამორჩეული და განსაკუთრებული ფუნქცია. მატერიის უსასრულოდ მცირე ნაწილაკი (შემოკლებით “უმცნაკი”) ინერტული და უძრავია; ფიზიკის კანონების თანახმად არცერთი სხეული არ შეიცვლის თავის მდგომარეობას მანამ, სანამ მასზე არ იმოქმედებს რაიმე სახის ძალა. ამიტომ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბუნების ძალის ძირითადი ფუნქცია არის ის, რომ მოძრაობაში მოიყვანოს მატერიის ნაწილაკი, ნივთი თუ მატერიალური საგანი; ბუნების ძალის მიერ მოძრაობაში მოყვანილი ნაწილაკების ურთიერთკავშირის მოწერილების ფუნქცია აკისრია ცნობიერებას.

ამდენად, სამერთიან ნწილაკში – “უმცნაკი” - შემავალ თითოეულ ელემენტს თავისი გამორჩეული ფუნქცია და ადგილი უკავია სამყაროს მშენებლობის საქმეში: მატერია ვლინდება ფიზიკურ, ქიმიურ და ბიოლოგიურ ელემენტებში. აგრეთვე, საგნებში, ნივთებში, პლანეტებში, ვარსკვლავებში, გალაქტიკებში და სხვა ციურ სხეულებში; ენერგია ვლინდება ინერციულ ძალებში, მზისა და ცეცხლის სითბურ ძალებში, ჭექა – ქუხილში, მიწისძვრისა და ვულკანური ამოფრქვევების მეშვეობით, ქარისა და წყლის დინების სახით და ა.შ; ცნობიერება ვლინდება ადამიანისა და სხვა ცოცხალი არსებების ქმედებებში, აგრეთვე, იმ ობიექტურ კანონებში, რომლის აღმოჩენისა და სწორად გამოყენების გარეშე წარმოუდგენელია

სამყაროსა და ადამიანთა საზოგადოების განვითარება. როდესაც ემსჯელობთ სამყაროს პირველი საწყისის – მატერია, ენერჯია, ცნობიერების – შეუქმნადობაზე და მათ დროსა და სივრცეში მარადიულ არსებობაზე, ჩვენ არ ვეხებით მათ წარმომავლობას დროსა და სივრცეში, არც ცალ-ცალკე ვახასიათებთ მათ, არამედ უმცნაკი ჩვენს მსჯელობაში შემოგვაქვს როგორც ერთიანი მთელი, რომლის სტრუქტურული შემადგენლობა მატერია, ენერჯია და ცნობიერებაა. ლოგიკური მსჯელობის პრინციპებიდან გამომდინარე ეს სამეული – მატერია, ენერჯია, ცნობიერება – არის სამყაროს არსებობისა და დიალექტიკური განვითარების ფუნდამენტური საფუძველი და ჩვენი მსჯელობის ჭეშმარიტი, რეალურად არსებული წინამძღვრები. ამ ელემენტთა ერთობლიობას ჩვენ ვუწოდებთ “უმცნაკი”, ანუ უსასრულოდ მცირე ნაწილაკი. რატომ “უმცნაკი”? იმიტომ, რომ ფიზიკის მეცნიერების მიერ თეორიულად ნაწინასწარმეტყველი ელემენტარული ნაწილაკები – ტახიონი, გრავიტონი და ბნელი მატერია ჯერ კიდევ არ არის აღმოჩენილი და შესწავლილი, ხოლო ახლახან აღმოჩენილი “ბოზონ ხიგსი”, ანუ “ღვთიური ნაპერწკალის”, როგორც მას უწოდეს ფიზიკის მეცნიერებმა, სტრუქტურული შემადგენლობა ჯერ კიდევ უცნობია. ღვთიური ნაპერწკალი იმიტომ უწოდეს, რომ მის მოქმედებაში დაინახეს ცნობიერების ელემენტი. მათ რომის პაპს მისწერეს წერილი და აღიარეს ღმერთის არსებობა. ეს კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ფიზიკის მეცნიერების კორიფეებმა რეალურად აღიარეს ჩვენს მიერ ლოგიკურ მსჯელობაში შემოტანილი სამერთიანი წინამძღვრების – მატერია, ენერჯია, ცნობიერების, როგორც რეალურად არსებულის ჭეშმარიტება. აქვე შევნიშნავთ, რომ ზოგი მეცნიერი ემხრობა იმ აზრს, რომ ეს ელემენტი მხოლოდ ენერჯიაა, ხოლო მეორე ნაწილი ამტკიცებს, რომ მას გააჩნია მატერიის ნაწილაკი და წარმოადგენს მატერიისა და ენერჯიის ერთობლიობას. აქვე თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ მათ აღიარეს ამ ნაწილაკის გონივრული ქმედებები, მაშინ სახეზე გვაქვს სამერთიანი ელემენტარული ნაწილაკი, რომელსაც გააჩნია სტრუქტურა. ეს არის: მატერია, ენერჯია და ცნობიერება. მეცნიერებისთვის ჯერჯერობით ცნობილია მხოლოდ ორი ტიპის “ბოზონ ხიგსი”, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი სტრუქტურა უფრო რთულია ვიდრე სამერთიანი “უმცნაკის” სტრუქტურა, ამიტომ თეორიული ხედვით წმინდა სამერთიანი ნაწილაკი შეიძლება სტანდარტული მოდელის – ანუ ელემენტარული ნაწილაკების აღნაგობისა და ურთიერთქმედების ახალი თეორიით ნაწინასწარმეტყველი ტახიონი, გრავიტონი, ბნელი მატერია ან რომელიმე სხვა ჯერ კიდევ უცნობი ნაწილაკი აღმოჩნდეს.

ჩვენთვის საინტერესო წმინდა სამერთიანი ნაწილაკი, რომელსაც ჩვენ პირობითად “უმცნაკს” (უსასრულოდ მცირე ნაწილაკი) ვუწოდებთ, არ შეიძლება განსხვავებული სახეობის იყოს, მისი სტრუქტურა, მთელ სამყაროში ყველა მიმართულებით დროსა სივრცეში განფენილი, ყველა ნაწილაკისთვის ერთნაირი უნდა იყოს. კერძოდ, მატერია, ენერჯია და ცნობიერება. ჯერ-ჯერობით უსტრუქტურო ნაწილაკი არ არის აღმოჩენილი და თეორიული გააზრებითაც ყველაფრის ერთზე დაყვანა შეუძლებელია, რადგანაც ის ერთი მთელიც მუდამ რაღაც ნაწილებისაგან შედგება. ჩვენი მსჯელობის მთავარი მტკიცებულებაა თვით სამყაროს აგებულება, რომლის ყოველი ახალი ფაზის დაწყება სამელემენტარული წინამძღვრებით არის წარმოდგენილი. შემთხვევითი არ შეიძლება იყოს ის ფაქტი, რომ სამყარო სამების პრინციპით არის აგებული და ადამიანთა ცნობიერებაში წმინდა სამების ცნებას ცენტრალური ადგილი უკავია, ხოლო როგორც სამყაროს, ასევე ადამიანთა საზოგადოების ისტორიის განვითარების ყოველ ახალ საფეხურზე სამი ელემენტი, ანუ სამერთიანი საწყისი ყოველთვის სახეზეა.

ამდენად, ჩვენს მიერ გამოკვლეული და აბსტრაგირებული სამება სრულებითაც არ არის შემთხვევითი და ჩვენი ფანტაზიით შექმნილი, არამედ იგი არის რეალურად არსებული და ფუნდამენტური საფუძველი სამყაროსა და ადამიანთა საზოგადოების არსებობისა და დიალექტიკური განვითარებისათვის. იგი ასევე, ადამიანის აზროვნებისა და სამყაროს სწორად შემეცნების აუცილებელი პირობაა.

სამყაროს არსებობის ზოგადი კანონზომიერებანი

ახალი მსოფლმხედველობის ძირითადი არგუმენტების გამოყენებითა და პრაქტიკული მაგალითების მეშვეობით, სამყაროს ახალი მოდელის აღწერას დავიწყებთ ატომებიდან. ფიზიკისა და ქიმიის მეცნიერებიდან ცნობილია, რომ ბუნებაში არსებული ატომების რაოდენობა 94-ს არ აღემატება, მაგრამ მეცნიერების მიერ ახალი ტექნოლოგიების გამოყენების

შედგება მათი რაოდენობა 117-დე ავიდა. დ. მენდელევის პერიოდული სისტემაში წყალბადის ატომს პირველი ადგილი უკავია, რომლის ატომური წონა ერთის ტოლია, ანუ ამ ატომის ბირთვი შეიცავს ერთ პროტონს, ხოლო მის გარე შრეზე ბრუნავს ერთი ელექტრონი. ეს არის ერთადერთი ატომი, რომელიც ორი ელემენტისაგან შედგება, დანარჩენი ატომები სამი ელემენტისაგან შედგება. ეს ნიშნავს იმას, რომ სამყაროს განვითარების ახალი ეტაპი წყალბადის ორელემენტის ატომის ჩამოყალიბებით იწყება. მანამდე კი მიკროსამყაროში მომწიფდა ყველა პირობა იმისა, რომ ეს ახალი პროცესი დაწყებულიყო, რადგანაც ფიზიკის მეცნიერების მტკიცებით, სამყაროში ჩამოყალიბდა მკვრივი ბირთვულ – ელექტრონული პლაზმა, რაც ატომის გაჩენის წინა პირობად არის შეფასებული. ასეთი კონფიგურაცია ატომში წარმოიქმნება ნეიტრონის პროტონად და ელექტრონად დაშლის შედეგად. ასეთი გარდაქმნები თერმობირთვული რეაქციების დროს მიმდინარეობს. ამ პროცესების ბუნებრივი ლაბორატორია არის მზე. ამით იწყება ბნელი კოსმოსის განათება და სმყაროს შენება. სამყარო როდესაც მომწიფებულია განვითარების ახალ ეტაპზე გადასასვლელად, ასეთი “მზე ლაბორატორიები” უამრავ ადგილებში შეიძლება აღმოცენდეს, მაგრამ არა ქაოტურად და შემთხვევით, არამედ მიზანშეწონილი, კანონზომიერი არქიტექტურული წყობით. ასეთი რამ კი ცნობიერი ქმედების გარეშე არ ხდება. იმ ცნობიერებით, რომელიც საწყისში არის ჩადებული და ჩვენს მიერ შემოთავაზებული წანამდგრების ძირითადი ელემენტია. მიკრო და მაკრო სამყაროს შორის საზღვარი არის ატომი. მაკრო სამყაროში, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, ყველაფერი ატომებით არის აგებული. ჩვენთან მოქმედებს ისაკნიუტონის მიერ აღმოჩენილი ბუნებრივი კანონები, ხოლო მიკრო სამყაროში – ალბერტ აინშტაინის მიერ აღმოჩენილი კანონები. თვით მზე და მზის წიაღში მიმდინარე თერმობირთვული პროცესები ამის საუკეთესო დასტურია.

ცნობილია, რომ მზე და მზის სისტემაში შემავალი სხვა დანარჩენი პლანეტები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან იმითი, რომ მზეები პლაზმურ მდგომარეობაში არიან, ხოლო ფიზიკის მეცნიერების მტკიცებით, პირველი ატომის გაჩენამდე სამყარო მკვრივ ბირთვულ – ელექტრონული პლაზმის მდგომარეობაში იმყოფებოდა, ეს კი ნიშნავს იმას, რომ მიკრო სამყაროს განვითარების ზედა საფეხური არის ნეიტრონი, რომლის დაშლა გარდაუვალია, ხოლო ახალი სივრცის, ანუ ბნელი კოსმოსის ათვისება და იქ ახალი პროცესების დაწყება – შესაძლებელი. ნეიტრონის დაშლა პროტონად და ელექტრონად, ეს უკვე არის თერმობირთვული რეაქციის დაწყება და პირველი ატომის დაბადება. ბირთვში დაწყებული პროტონი და ნეიტრონი პირველი შრის ორბიტაზე აგზავნის ორ ელექტრონს და ატომის ახალი სახეობა-ჰელიუმში იბადება. იგი უკვე ინერტული და მდგრადია. როგორც ჩანს, ჰელიუმში სხვა ატომების წარმოების ბაზისად გვევლინება მზის ბირთვულ რეაქციებში. ატომის ბირთვში თანაბარზომიერად იზრდება პროტონისა და ნეიტრონის რიცხვი, ორელემენტის ატომი ვერ იქნებოდა მდგრადი ახალ სისტემაში, თუ მას არ ექნებოდა მყარი საფუძველი და საყრდენი მიკრო სამყაროსთან კავშირის შესანარჩუნებლად. ნეიტრონი პროტონთან ერთად დაწყებულა ატომის ბირთვში. მის ირგვლივ შეიქმნა შრეები, სადაც მკაცრი განსაზღვრულობით განლაგებულია ელექტრონების სხვადასხვა ჯგუფები. პირველ შრეზე ორი ელექტრონი, ხოლო მეორეზე და შემდგომ შრეზე, ანუ ორბიტაზე, ასევე მათემატიკური სიზუსტით გათვლილი არის ელექტრონების ზუსტი თანაფარდობა.

ამდენად, ყველა ატომი სამ-სამი ელემენტისაგან შედგება: პროტონის, ნეიტრონისა და ელექტრონებისაგან. ჩვენი აზრით, სამყაროს არქიტექტურის ძირითადი სამშენებლო პრიციპი სამებაა, როგორც მაკრო, ასევე მიკრო სამყაროს და ადამიანთა საზოგადოების ისტორიისათვის. ეს რომ ასეა, ნათლად გამოჩნდება მიკროსამყაროს ელემენტების სტრუქტურული აგებულების განხილვის დროს.

ცნობილია, რომ ჩვენი პლანეტა მზე პლაზმურ მდგომარეობაშია. მზის მასაში წყალბადი 73,46 %-ია, ხოლო ჰელიუმი 24,85 %-ი. დანარჩენი ნივთიერებები კი, უანგბადი, ნახშირბადი, რკინა, ნეონი, აზოტი, სილიციუმი, მაგნიუმი, გოგირდი ყველანი ერთად მხოლოდ 1,69 %-ს შეადგენს. მზეში თერმობირთვული რეაქცია რამოდენიმე მილიარდი წელია გრძელდება. საიდან მოდის ენერჯის ეს უღვევი წყარო? რა თქმა უნდა მიკრო სამყაროდან. რატომ? იმიტომ, რომ სწორედ მზის გულში იწყება თერმობირთვული რეაქცია, სადაც პროტონები, ნეიტრონები და ელექტრონები ლაგდებიან ერთნაირი კანონზომიერებით. ფიზიკის მეცნიერების მიერ დადგენილია, რომ პირველი “ატომის გაჩენამდე სამყარო მკვრივ ბირთვულ –

ელექტრონულ პლაზმას წარმოადგენდა. ატომის ბირთვებში ელექტრონების მყარი დაჭერის შემდეგ სტაბილური ატომები წარმოიქმნენ”. (ინტერნეტი. ატომის სტრუქტურა). ატომთა წყობა და ატომთა წარმოშობის ისტორიული თანმიმდევრობა სამყაროს განვითარების მწკობრად დალაგებულ ეპოქებს გვაძლევს, რაც ადამიანთა საზოგადოების განვითარების ისტორიის, იგივეობრივ სურათს ემსგავსება და რაღაც დიდსა და ფუნდამენტურ ერთიანობაზე მიგვანიშნებს. იქნებ კაცობრიობის წინსვლა - განვითარების გზის ძირითადი ვექტორიც ეს არის.

ფიზიკის მეცნიერების მიერ შექმნილია ახალი თეორია-სტანდარტული მოდელი, რომლის მიხედვით მოცემულია ელემენტარული ნაწილაკების ოცი სახეობა. აქ არის როგორც უკვე აღმოჩენილი და კარგად შესწავლილი ნაწილაკები, ასევე ამ თეორიით ნაგარაუდები ელემენტები. უკვე კარგად შესწავლილი ნაწილაკები ატომის ბირთვში დალაგებულია სამსამ ჯგუფებად, რომელიც ქმნის ახალ მთელს, ეს მთელი კვლავ სამ ჯგუფად და როდესაც ატომის ახალი სტრუქტურა მიიღებს თავის დასრულებულ სახეს, უკვე თვითონ ყველა ატომი, გარდა წყალბადისა, მხოლოდ სამი ელემენტისაგან შედგება: პროტონი, ნეიტრონი და ელექტრონი. ყველა ატომი ერთმანეთისაგან მხოლოდ ამ ელემენტების რაოდენობრივი შემადგენლობით განსხვავდება, რაც დიალექტიკური და ისტორიული სამების: მატერიის, ენერჯისა და ცნობიერების, ჭეშმარიტებას, მის ნამდვილობას ადასტურებს. ჩვენ ლოგიკური მსჯელობით მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ დიდი აფეთქების თეორია, ვერ იძლევა პლანეტებისა და გალაქტიკების განფენის, მისი კოსმოსში განლაგებისა და განვითარების დამაკმაყოფილებელ სურათს.

თუ გავითვალისწინებთ იმ ჭეშმარიტებას, რომ პირველი ატომის განენამდე სამყარო წარმოადგენდა ბირთვულ - ელექტრონულ პლაზმისაგან შემდგარ სტიქიას, რომლის ძირითადი შემადგენელი ელემენტი იყო ნეიტრონი, ხოლო მისი შინაგანი სტრუქტურული წყობა ისეთივე იყო, როგორიც ატომების ბირთვში შემავალი შიდა ელემენტების სტრუქტურაა, მაშინ გამოდის, რომ ჩვენი სამყაროს მთელი მასა დიდი აფეთქების მომენტისათვის ერთ წერტილში კი არ იყო შეკუმშული, არამედ ეს მასა ფორმირებული იყო მიკროსამყაროს ელემენტარული ნაწილაკების სტრუქტურებში და გაბნეული იყო დროსა და სივრცეში. აფეთქება დაიწყო არა ერთ რომელიმე კონკრეტულ წერტილში, არამედ კოსმოსის იმ წერტილებში, სადაც მზის სისტემებია ჩამოყალიბებული. რაღაც პერიოდში პლაზმურ - ელექტრონულ სივრცეში მოხდა ნეიტრონის დაშლა პროტონად და ელექტრონად და დაიწყო მზის ბირთვული რეაქცია. ასე დაიწყო ატომის სტრუქტურის ჩამოყალიბებაც. მზის თერმობირთვულ რეაქციაში წარმოშობილი ახალ-ახალი ატომები გაედინება მზის მასიდან და განიბნევა კოსმოსში. იქ კი სხვადასხვა წერტილებში გროვდებოდა მტვრის ღრუბლებად, საიდანაც ყალიბდებოდა პლანეტები.

ახალი მსოფლმხედველობის მიხედვით, იგივე პროცესები, რომელიც ჩვენი მზის წიაღში მიმდინარეობს, მეორდებოდა მილიარდობით არსებულ სხვა მზეების წიაღში ერთნაირი კანონზომიერებით. მზეებიდან ამოფრქვეული ახალ- ახალი ატომები ერეკებიან ადრე ამოფრქვეულ ატომებს და გიგანტური მასშტაბით იწვევენ სამყაროს გაფართოვებას. თერმობირთვული რეაქციებს მაკროსამყაროს საწყისად განვიხილავთ, ხოლო ატომებს მის სამშენებლო აგურებად. სამყაროს დასასრულად უნდა ვივარაუდოთ შავი ხვრელები და ბნელი ნაწილაკები. ჩვენი აზრით, ეს არის ის წრებრუნვა, რომლითაც მიკრო და მაკრო სამყაროები ერთმანეთის არსებობას აწონასწორებენ. XIX საუკუნის დასაწყისში გერმანელმა მეცნიერმა იოჰან დობერეინერმა აღმოაჩინა, რომ პერიოდულ სისტემაში ატომები დალაგებული არის სამსამ ჯგუფებად, ანუ წმინდა სამების პრინციპით. საინტერესო ის არის, რომ მსგავსი თვისების მქონე ატომთა სამეულში შუა ელემენტის ატომური მასა დანარჩენი ორი ელემენტის ატომური მასის საშუალო არითმეტიკულის ტოლი აღმოჩნდა.

წმინდა სამების ზოგადი კანონზომიერებანი უჯრედების გენეტიკორ კოდშიც იჩენს თავს. უჯრედის გენეტიკური კოდი შედგება სამასოიანი “სიტყვებისაგან”, მათ ეწოდებათ კოდონები და შედგება სამი ნუკლეოტიდისაგან. წმინდა სამების კანონების მოქმედება ასევე თავს იჩენს ადამიანთა საზოგადოების განვითარების ისტორიის თითქმის ყველა საკანდო ეპოქაში.

**მიკრო სამყარო და ელემენტარული
ნაწილაკების წყობის ძირითადი პრინციპები**

“სტანდარტული მოდელი – ეს არის ელემენტარული ნაწილაკების აღნაგობისა და ურთირტქმედების თანამედროვე თეორია, მრავალჯერ გადამოწმებული ექსპერიმენტებით. ეს თეორია მცირე რაოდენობის პოსტულატებს ეფუძნება და ელემენტარული ნაწილაკების სამყაროში მიმდინარე პროცესების თვისებათა თეორიული წინასწარმეტყველების საშუალებას იძლევა. ხშირ შემთხვევაში ეს წინასწარმეტყველებანი ექსპერიმენტულად მტკიცდება, ზოგჯერ უკიდურესად მაღალი სიზუსტითაც, თუ პრაქტიკა თეორიას არ დაემთხვა, სტანდარტული მოდელი გააფრთხილებს კამათის თემად იქცევა ხოლმე. სტანდარტული მოდელი – ეს არის საზღვარი, რომელიც ელემენტარული ნაწილაკების სამყაროში ერთმანეთისაგან ყოფს სინამდვილესა და ჰიპოთეზას.

სტანდარტული მოდელი 20 ნაწილაკს მოიცავს და ხუთ ჯგუფად და სამ-სამ თაობებად იყოფა: 1) კვარკები, 2) ლეპტონები, 3) ურთირტქმედების გადამტანები (ფოტონები, გლუონები, გრავიტონები და W-Z ბოზონები), 4) ნუკლეონები, 5) თეორიულები”. (წყარო: ინტერნეტი, იანდექსი, გუგლი. “ატომის აგებულება”, “ატომის სტრუქტურა”, “ქიმიის პერიოდული სისტემა”).

ჩვენი თეორიული გათვლები ეფუძნება ფიზიკის მეცნიერების მიერ მაღალი სიზუსტით ჩატარებულ ექსპერიმენტულ მონაცემებს. ნეიტრონები, ვიდრე ისინი ატომის ბირთვის სტრუქტურის შემადგენელ ნაწილაკებად იქცევიან, მკვრივი ბირთვულ-ელექტრონული პლაზმის მდგომარეობაში იმყოფებიან. ნეიტრონის დაშლის შედეგად მიიღება პროტონი და ელექტრონი. ეს ის მომენტი, როდესაც ნეიტრონი იქცევა ატომის ბირთვის ნაწილაკად და თერმობირთვული რეაქციის პროცესში იწყება მიკრო ნაწილაკების ატომებად ფორმირება. მოვლენების განვითარების შემდეგ ფაზაში ნეიტრონი აღარ იშლება და საწყისი ფორმით შედის ბირთვის შემადგენლობაში, მათი ერთიანობით ეს ორი ელემენტი გარდაიქმნება ნუკლეონებად. ორ ელემენტიანი ბირთვი ინარჩუნებს მიკროსამყაროში ელემენტარული ნაწილაკების მყარად ჩამოყალიბებულ ბუნებრივ წყობას, ხოლო ბირთვის ირგვლივ ორბიტაზე ორი ელექტრონის მოძრაობამ სათავე დაუდო მატერიის, ენერჯისა და ცნონიერების ახლებურ განლაგებას დროსა და სივრცეში, ანუ ატომებად ჩამოყალიბებას. ამდენად, მაკროსამყაროს სამშენებლო პირველ აგურებად გვევლინება ბუნებაში არსებული ატომები.

მზის გულში მიმდინარე თერმობირთვული რეაქციის პროცესში იქმნება თავიდან წყალბადი, შემდეგი საფეხურია ჰელიუმი, რომელთა ბაზაზე მიმდინარეობს სხვა სახის ატომების – ჟანგბადის, ნახშირბადის, რკინის, ნეონის, აზოტის, სილიციუმისა და გოგირდის, - წრმოქმნა და ჩამოყალიბება, რომელიც შემდეგ გაედინება კოსმოსში და მილიარდობით წლის მანძილზე ყალიბდება სხვადასხვა ტიპის პლანეტებად. ფიზიკისა და სხვა მეცნიერებების (ასტრონომების, ასტრონავტების და სხვა) გამოკვლევების შედეგად დაგროვილ ფაქტებს თუ შედარებითი მეთოდით გავაანალიზებთ, მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ მზის გულში შედარებით სწრაფად ხდება გარკვეული სახეობის ატომების ფორმირება და მათი კოსმოსში გაბნევა, ხოლო ამ ატომების გროვებისაგან, ნისლეულებისა და პლანეტების ჩამოყალიბება, მათში ახალი ატომების ფორმირება, რაშიც უდაოდ დიდ როლს ასრულებს ის ელემენტარული ნაწილაკები (ფოტონები, პოზიტრონები, რადიაციული სხივები და სხვა), რომლებიც ინტენსურად ამოიფრქვევა მზის გულიდან და განიბნევა კოსმოსში ყველა მიმართულებით. მზეში დაბადებული ატომები მტვრის სახით დღესაც ეფინება პლანეტების ზედაპირზე, მათ შორის დედამიწაზეც და გარკვეულ შრეებს ქმნის, რადგანაც მათი რაოდენობა დღე-ღამეში ასეულობით ტონას შეადგენს. მეცნიერებმა ამ შრეების მიხედვით შეიმუშავეს ნამარხი არქეოლოგიური ნივთების მიახლოებითი ასაკის დადგენის მეთოდი C-14-ისა და სხვა ქიმიური ანალიზების საფუძველზე. დედამიწის ატმოსფეროში და მიწის ფენებში ატომთა გარდაქმნებით, მათი შეერთება-დაშლით იქმნება არაცოცხალი და ცოცხალი ორგანიზმები. ამდენად, ნებისმიერი ნივთიერება წყალი, რკინა, უჯრედი, წყალმცენარე, მცენარე, ცხოველთა სხვადასხვა სახეობები, მათ შორის ადამიანიც უჯრედებისაგან შედგებიან, უჯრედები კი მოლეკულებისაგან, მოლეკულები ატომებისაგან, ატომები პროტონების, ნეიტრონისა და ელექტრონებისაგან. ბირთვში შემავალი პროტონები და ნეიტრონები (ერთად ნუკლეონები) შედგება სამ-სამი კვარკისაგან. კვარკები ექვსი სახის არი-

ან. ლეპტონებში შედის ელექტრონებიც და ისინიც ექვსი სახის არიან, როგორც კვარკები. ფიზიკის მეცნიერებს ვერაფრით ვერ აუხსნიათ, თუ რატომ არიან კვარკები და ლეპტონები ექვს-ექვსი სახის, ისინი რატომ ლაგდებიან სამ-სამად? რატომ არიან სამი ფერისა და სამი თაობის? თითოეულ კვარკის ნაწილაკს აქვს თავისი მუხტი. კვარკები ყოველთვის ერთად არიან და ქმნიან ანდრონებს. მუხტები კი ისეა გადანაწილებული, რომ ნებისმიერი სამი მუხტი ქმნის მთელი რიცხვის ტოლ მუხტს, ან დადებით პროტონს, ან ნეიტრონს. (იმტერნეტი. გუგლი და იანდექსი. “ატომის სტრუქტურა”, “ატომის აგებულება”, “ქიმიის პერიოდული სისტემა”). ლეპტონებიც სამი თაობაა, ისინიც კვარკებთან ერთად წარმოადგენენ ფუნდამენტური ნაწილაკების კლასს. დღეისათვის ცნობილია, რომ მათაც გააჩნიათ შინაგანი სტრუქტურა. შედარებითი ანალიზი და ლოგიკა გვაძლევს საწინააღმდეგო მოსაზრების გამოთქმის უფლებას. რაკი მათი ექვს-ექვსი სახეობა არსებობს და სამ-სამ თაობას მოიცავს, ლოგიკურად მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ ისინი არ შეიძლება უსტრუქტურო ნაწილაკები იყვნენ. სავარაუდო ნაწილაკებს მეცნიერებმა პრეონები უწოდეს. ნეიტრონის დაშლის შედეგად არ ირღვევა ენერჯისა და მუხტის შენახვის მუდმივობის კანონი, არ ირღვევა ბარიონული და ლეპტონური კვანტური რიცხვი. ნეიტრონის ზედა დაშლა იძლევა პროტონს, ელექტრონს და ელექტრონულ ანტინეიტრონს. ელექტრონული ნაწილაკი ბარიონიც შედგება სამი კვარკისაგან.

ამდენად, სტანდარტული მოდელის მიხედვით მეცნიერების მიერ შესწავლილი 20 ფუნდამენტური ელემენტარული ნაწილაკებით დალაგებულ მიკროსამყაროს წყობაში ყველაგან და ყველა დონეზე თვალსაჩინო ადგილი უკავია სამ-სამ ელემენტებიან არქიტექტურულ წყობას. ჩვენი აზრით, სამყაროს შენების ეს პრინციპი წმინდა სამების სამერთიანი ელემენტითა და დიალექტიკური კავშირებით არის განსაზღვრული.

ლიალექტიკური სამების ძირითადი პრინციპების გამოვლინება სამებისა საზოგადოების ისტორიაში

გასაოცარი სიზუსტითა და ლოგიკური თანმიმდევრობით არის მიკროსამყაროს ელემენტარული ნაწილაკები დალაგებული დროსა და სივრცეში. მიკროელემენტთა გარდაქმნა და დალაგება მკაცრად განსაზღვრული კანონებით მიმდინარეობს ისე, რომ არ იკარგება მემკვიდრეობა და წმინდა სამების დიალექტიკური პრინციპი. ახალი მთელი ელემენტის სტრუქტურულ წყობაში ყოველთვის არის სამი უფრო მცირე, მაგრამ არანაკლებ რთული ელემენტი. მაგალითად, სამი კვარკი ქმნის პროტონსა და ნეიტრონს. ასევე სამი კვარკი ქმნის ანდრონებს. ესენიც სამ-სამად არიან გაერთიანებული. ასევე ლეპტონები სამ-სამი კვარკისაგან არიან შექმნილი, ხოლო თვითონ ლეპტონები სამ-სამად არიან დალაგებული. ლეპტონები და კვარკები ექვს-ექვსი სახეობისაა, მაგრამ სამ-სამ ჯგუფებად არიან დალაგებული. ისინი სამი ფერის და სამი თაობის არიან, რომლის ახსნა ფიზიკის მეცნიერებს არა აქვთ. კვარკებს ასევე გააჩნია მუხტები. ეს მუხტები ისეა გადანაწილებული, რომ ნებისმიერი სამი მუხტი ქმნის მთელი რიცხვის ტოლ მუხტს.

ატომი თვითონ შედგება სამი ელემენტისაგან – პროტონის, ნეიტრონისა და ელექტრონისაგან. მედეღვის ქიმიური ელემენტების პერიოდულ სისტემაში ატომები სამ-სამ მსგავს და მონათესავე ჯგუფებად არის განლაგებული, ხოლო უჯრედის გენეტიკურ კოდში მთელი ინფორმაცია სამი ასოთი, ანუ სამი კოდონით არის ჩაწერილი. მითოლოგიაში, ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში და რელიგიაში სამებას წმინდა და ღვთაებრივი მნიშვნელობა აქვს. იქნებ ადამიანის შემეცნებაში მყარად დამკვიდრებული წმინდა სამებისადმი ღვთაებრივი გაგება მიკრო სამყაროს წილში მოქმედი სამელემენტებიანი წყობის ანარეკლი და ქვეცნობიერიდან მოწოდებული ინფორმაცია იყოს. თუ ეს ასეა, მაშინ ადამიანთა საზოგადოების ისტორიაში მსგავსი მომენტი სადღაც უნდა იყოს ასახული. ჩვენი კვლევის შედეგებმა იმედი არ გაგვიცრუა და გვიჩვენა, რომ ადამიანთა საზოგადოების არსებობის, ჩამოყალიბებისა და განვითარების ფუნდამენტური საფუძველი და რეალური წანამძღვარი არის სამი პოსტულატი: 1. გეოგრაფიული გარემო, 2. თვითონ ადამიანი, 3. ბუნების ძალები.

თავის არსებობის პირველ ეტაპზე ადამიანმა, როგორც დამკვირვებელმა, გონივრულად დაიწყო გეოგრაფიული გარემოსა და ბუნების ძალების გამოყენება. დასაწყისში იგი ბუნების საჩუქარს იყენებდა ისე, როგორც ცხოველი, ბიოლოგიური არსება, მაგრამ საკმა-

რისი გამოცდილების დაგროვების შემდეგ, მან დაიწყო მისთვის აუცილებელ საარსებო სივრცეში – ბუნებრივად შექმნილ გეოგრაფიულ გარემოში – საგნებისა და მოვლენების თავის სასარგებლოდ გამოყენება. მან დაიწყო შრომა. ადამიანის მიზანმიმართული შრომა გამოიხატა იმაში, რომ დაიწყო ქვის იარაღების დამზადება. სწორედ ქვის ქვაზე დარტყმით შეძლო მან პირველად საკუთარი ნების გამოხატვა იმითი, რომ ქვას შეუცვალა ბუნებრივი ფორმა და მას მისცა მისთვის სასურველი ფორმა.

ამ შემთხვევაში ადამიანმა გაუცნობიერებლად, არა საკუთარი ადამიანური გააზრებით, არამედ დიალექტიკური სამებიდან (უმცნაკიდან) მომდინარე ცნობიერებით, ანუ პირველსაწყისის ცნობიერების კარნახით, გამოიყენა ბუნების ძალა და დაიწყო შრომის იარაღების დამზადება, წარმოება. ბუნების ამ ძალას ფიზიკის მეცნიერები უწოდებენ ინერციის ძალას (სიმძიმის, დარტყმის ძალას). ეს მომენტი არის სრულიად ახალი პროცესი, რომელმაც სათავე დაუდო ადამიანთა საზოგადოების არსებობას და განვითარებას. მიკრო სამყაროში მომდინარე პროცესებს თუ შევადარებთ, ადამიანის ამ მოქმედებით ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი მოვლენა გაერთიანდა: გეოგრაფიული გარემო, თვით ადამიანი და ბუნების ძალა. დაიწყო სამყაროში სრულიად ახალი პროცესები, რამაც განსაზღვრა ადამიანთა საზოგადოების ჩასახვა-განვითარების მთელი ისტორია, ჩვენი წარსული, აწმომ და მომავალი.

ახალი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების მცდელობა და ძალისხმევა, არ არის თვითმიზანი და ამბიცი, არამედ დიდი შემეცნებითი და პრაქტიკული ღირებულებები გააჩნია მას, რადგანაც ადამიანი თვითონ არის მოწოდებული მიღწეულზე არ განერდეს და გააგრძელოს განვითარება, გავიდეს ახალ სივრცეში, კოსმოსში და იქ დაიდოს ბინა. ამისი ულავი რესურსები გააჩნია თანამედროვე მსოფლიო ცივილიზაციას. არქეოლოგიური მასალების საფუძვლიანი შესწავლისა და სხვა მეცნიერული დარგების მიერ მოპოვებული გრანდიოზული აღმოჩენების გამოყენებით ჩავატარებთ თეორიული კვლევები და მივიღებთ მნიშვნელოვანი დასკვნები. კერძოდ, აღმოვაჩინეთ, რომ ადამიანთა საზოგადოების განვითარების მთელი ისტორიის მანძილზე, ადამიანის მიერ გამოყენებულ იქნა ბუნების სხვადასხვა ძალები მკაცრად განსაზღვრული თანმიმდევრობითა და კანონზომიერებით. კონკრეტული ბუნების ძალის ეფექტიანად გამოყენების მიზნით, ადამიანი გამოიგონებდა ხოლმე მათ დასამორჩილებლად სათანადო ტექნიკურ საშუალებებს. პირველად მან გამოიყენა ინერციული ძალები, რომლის დასამორჩილებელი ტექნიკური საშუალებები თვით ბუნებაში იპოვა უკვე მზამზარეული სახით. ეს იყო ქვა. ადამიანმა ერთი ქვა გამოიყენა იარაღის მასალად, ხოლო მის დასამუშავებელ უხეშ იარაღად - მეორე ქვა, რომლის მიზანმიმართული დარტყმებით ქვის მასალისაგან გამოჩორკნა მისთვის სასურველი ფორმის ქვის იარაღი. ასეთი რამ არც მანამდე არც შემდეგ არცერთ სხვა ცხოველს არ გაუკეთებია.

ქვის შრომის იარაღების წარმოების განვითარების პროცესებში ადამიანი იძენდა ახალ ცოდნას, აგროვებდა გამოცდილებას, აფართოვებდა აზროვნებას და თვითონაც ვითარდებოდა. ეს ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ ადამიანი თავისი საქმიანობით ქმნის ადამიანთა საზოგადოებაში მოქმედ ობიექტურ კანონებს, რომელიც ბუნებაში მოქმედი ამათუ იმ კანონის ტრანსფორმირებულ სახედ შემოდის საზოგადოებრივ სივრცეში. ამდენად, ადამიანი ბუნების კანონების გააზრებულად გამოყენებით ქმნის ახალ-ახალ კანონებს, ხოლო ცხოველები მოკლებულნი არიან ამ შესაძლებლობებს. აი, რატომ და როგორ ამაღლდა ადამიანი სხვა ცხოველებზე და საერთოდ ბუნებაზე. თვით ადამიანის მიერ გეოგრაფიული გარემოსა და ბუნების ძალების მიზანმიმართულად გამოყენების გარეშე წარმოუდგენელია ადამიანთა საზოგადოება, მისი ისტორია და თანამედროვე ცივილიზაცია. აქ დევს ცივილიზაციის შემდგომი განვითარების შესაძლებლობაც.

ამდენად, მიკრო სამყაროს, მაკრო სამყაროსა და ადამიანთა საზოგადოების წიაღში მომდინარე მოვლენებიდან ნათლად ჩანს წმინდა სამების-მატერიის, ენერჯისა და ცნობიერების, რეალურად არსებობისა და განვითარების კანონები.

საოცარია, მაგრამ ფაქტია ის, რომ ადამიანთა საზოგადოების განვითარების მთელი ისტორიის მანძილზე, ადამიანმა გამოიყენა ექვსი სახის ბუნების ძალა და მათ დასამორჩილებლად გამოიგონა ექვსი სხვადასხვა ტიპის ტექნიკური საშუალებები. (იხილეთ: ჯუშბერ ლეჟავას სახელობის მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის ანთოლოგია. ტომი III გვ. 362-379.).

საზოგადოების განვითარებამ სამი ისტორიული პერიოდი მოგვცა ინერციული ძალების, სითბური ძალების (ცეცხლის) და მოჭიმვის ანუ დრეკადობის ძალების გამოყენებით, რომლის დასამორჩილებელი ტექნიკური საშუალებებია შესაბამისად-ქვის იარაღები, ცეცხლის დასანთები კერია და მშვილდ-ისარი. ეს სამი ისტორიული პერიოდი კაცობრიობამ გაიარა უკლასო საზოგადოებრივი წყობილებით, სადაც არ იყო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია. ადამიანები კოლექტიურად იცავდნენ თავს ბუნების სტიქიური მოვლენებისაგან.


მეორე, სამი ისტორიული პერიოდი შეიქმნა ბიოლოგიური ძალების, წყლისა და ქარის დინების ძალებისა და ატომური ძალების გამოყენების შედეგად, რომლის დასამორჩილებელი საშუალებებია უღელი, გუთანის და ურემი; წყლისა და ქარის წისკვილები (წყლისა და ქარის ბორბალი), აგრეთვე ორთქლისა და შიდა წვის ძრავები, მასთან დაკავშირებული ინდუსტრიული ტექნიკა; ატომური რეაქტორი და თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკა.

ეს სამი ისტორიული პერიოდი კაცობრიობამ გაიარა კლასობრივი წყობილებით, რომლის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი არის ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია. ატომური ძალის გამოყენების შემდეგ, განვითარების ახალმა ეპოქამ აჩვენა, რომ ადამიანთა საზოგადოებას დაემუქრა თვითგანადგურების საშიშროება, ამიტომ განვითარების ლოგიკა ადამიანებისაგან მოითხოვს, რომ გაერთიანებული ძალებით იბრძოდნენ ბუნების სტიქიური მოვლენების წინააღმდეგ და გამოძებნონ უკლასო საზოგადოებრივი წყობილებისაკენ მიმავალი ჭეშმარიტი გზა. ეს გზა კი მიდის შრომის ახალი საზოგადოებრივი დარგის განვითარება-დანაწილების მიმართულებით. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკური საშუალებების შემდგომი განვითარებისა და ახალი ტექნიკის გამოგონება-განვითარებით.

ჩვენ ზემოთ ავღნიშნეთ, რომ ფიზიკის მეცნიერებს ვერაფრით ვერ აუხსნიათ ის ფაქტი, თუ რატომ არიან კვარკები და ლეპტონები ექვს-ექვსი სახეობის და რატომ ლაგდებიან ისინი სამ-სამად, ან რატომ არიან ისინი სამი ფერისა და სამი თაობის? ბუნებრივად იბადება კითხვა: რა კავშირი შეიძლება იყოს მიკრო სამყაროში აღმოჩენილ ამ უცნაურ მოვლენასა და ადამიანთა საზოგადოების ისტორიაში ჩვენს მიერ აღმოჩენილ ექვსი სახის ბუნების ძალებს, მათ დასამორჩილებელ ექვსი სახის ტექნიკურ საშუალებებს შორის. კვარკები და ლეპტონებიც ხომ ექვს-ექვსი სახის არიან სამ-სამ ჯგუფებად და სამ თაობად ლაგდებიან. ადამიანთა საზოგადოების ისტორიაში სამი პერიოდი გვაქვს უკლასო საზოგადოება, ხოლო სამი პერიოდი კლასობრივი საზოგადოებრივი წყობილება, რომელიც აუცილებლად უნდა შეიცვალოს უკლასო საზოგადოებრივი წყობილებით. ნათლად ჩანს, რომ კლასობრივმა საზოგადოებრივმა წყობილებამ უკვე ამოწურა ყველა რესურსი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ადამიანთა საზოგადოების ისტორიამაც ამოწურა თავისი თავი. პირიქით, თანამედროვე საზოგადოებას, მსოფლიო ცივილიზაციას გააჩნია ამოუწურავი რესურსები, როგორც ინტელექტუალური, ასევე მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მაგრამ არის ერთი მაგრამ... შეუძლია კი ადამიანს, დაძლიოს და ამაღლდეს იმ ბოროტ სურვილებზე, რომელსაც სხვა ადამიანებზე ბატონობა და ექსპლოატაცია ჰქვია, სხვა ადამიანების ფიზიკურად მოსპობის სურვილი ჰქვია. ადამიანის შემოქმედებითი გენიის სრულყოფის ძირითადი პირობაა, ადამიანების უსასრულოდ გამრავლება დროსა და სივრცეში.

20 მარტი, 2015 წელი.

ხელოვნება



მხატვარი დიზაინერი
თორნიკე გოგინაშვილი



ხარდინალი ჯონ ჰენრი ნიუმენი

1801 წლის 21 თებერვალს დაბადებული ჯონ ჰენრი ნიუმენი ინათლება ანგლიკანური წესით. 15 წლის ასაკში ღვთის მადლით დარწმუნდა, რომ უფალს სურს მისი საქმის საკეთებლად უარი თქვას ოჯახზე. 1817 წელს იწყებს სწავლას ოქსფორდის უნივერსიტეტის ტრინიტის კოლეჯში. 1822 წლიდან 1832 წლამდე ასწავლის ორაიელ კოლეჯში. 1825 წელს ეკურთხა ანგლიკანელ მღვდლად, ხოლო 1828 პასტორია ოქსფორდის უნივერსიტეტში. 1831 წლიდან უნივერსიტეტის მთავარი მოძღვარი და მქადაგებელი.

ამ დროიდან ჯონ ჰენრი იწყებს ინტენსიურ შესწავლას ეკლესიის მამების და წმიდა წერილის ახლებურად გაგებას. 1833 წლიდან იწყებს “თაიმსში” რეგულარული სერიის “90 ტრაქტატის” გამოყვეყნებას. ასე ყალიბდება ინგლისში ერთ-ერთი გავლენიანი თეოლოგიური “ოქსფორდის მოძრაობა” (ეძახიან ტრაქტატიანელებსაც), რომელიც ებრძოდა ლიბერალურ თეოლოგიას. ჯონ ჰენრი მოძრაობის წამყვანი ფიგურაა და ითვლება გამორჩეულ თეოლოგად მთელს ანგლიკანურ სამყაროში. 1841 წლიდან 1846 წლამდე მიდის ლითლმორში და მისდევს განმარტოებულ ცხოვრებას და იქვე, უკვე 1845 წლის 9 ოქტომბერს ლითლმორის ეკლესიაში იღებს კათოლიკობას. ნიუმენის, როგორც მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის გაკათოლიკებამ ღრმა კვალი დააშინია ოქსფორდის მოძრაობას, არაერთი მისი თანამოაზრე თეოლოგი გაყვა მის მაგალითს.

თავად ნიუმენი კი, მიდის რა რომში, 1847 წელს იგი ეკურთხა მღვდლად და ბრუნდება ინგლისში რამდენიმე მღველთან ერთად, სადაც მერივეილში, ლონდონში და ბირმინგემში აარსებს ორდენს “წმინდა ფილიპე ნერის ორატორიუმს”. პარალელურად არის დუბლინის კათოლიკური უნივერსიტეტის პირველი რექტორი. 1877 წელს აბრუნებენ ოქსფორდის უნივერსიტეტის ტრინიტის კოლეჯში საპატიო დოცენტად, ხოლო 1879 წლის 14 მარტს პაპი ლეო XIII ანიჭებს მას კარდინლის წოდებას.

კარდინალი ჯონ ჰენრი ნიუმენი გარდაიცვალა 1890 წელს ბირმინგემის ორატორიუმში. გარდა მრავალი თეოლოგიური ნაშრომისა თუ ქადაგებისა ნიუმენმა ასევე დაწერა ცნობილი წიგნი მისი მოგონებების შესახებ “Apologia pro Vita Sua”.



რეზო აღამია მხატვარი-პროზაიკოსი

ტოლერანტობა – შემწყნარებლობა

ყოველი სრულყოფილი რელიგია ატარებს კოსიურ უხილავსა და მაღალ ზნეობრივ წმიდათა წმიდა სულიერ სიმდიდრეს, რათა მათი სამყაროს უმთავრესი უფლისმიერი ჭეშმარიტებაა ჩაქსოვილი, რომელიც ზეცის შორეული საგანძურდანაა გადმოსული. დროთა ჯამში კაცობრიობის რელიგიებმა თუ რამე ცვილებები მიიღეს ისევ სამყაროს უმდიდრესი წესრიგიდან იქნება მოწოდებული და არა ადამიანებისაგან. ამრიგად ქვეყნიერების ნებისმიერი რელიგია კაცობრიობას მოძღვრავს ზეციურის საერთო სიკეთეს და სიყვარულს აქედან გამომდინარე ჩვენ-ჩვენი კანონიკური ალაღმართალი სარწმუნოებანი უნდა შევისის-ხლხორცოთ უნაკლოდ...


უსასრულო კოსმოსის მმართველმა ძალამ უფალმა, ადამის მოდგმის გაჩენის დღიდან ადამიანებს თანდათანობით შეაგნებინა რწმენა ღმერთისა და წარმოშვა რელიგიური აზროვნებათა მარადიული სივრცე, რომელიც სიკეთის სიყვარულის ურთიერთ დანდობის უფლისმიერი სულიერი და გონებრივი აზროვნების ზეინტელექტ ჭეშმარიტების სრული შეგნების წყაროა.

ეშმაკი დროის უსარულობიდან მოდევნებული უკიდვანოდ ბოროტებას თესს და მის მიერ გადაბირებული ადამიანების უსუსრი გონებით და სასტიკი ხელით უთვალავჯერ სისხლის მორევში აცურავა პლანეტა ჩვენი, ოსპო მრავალი ცივილიზაცია და უნიჭიერესი ერნი. ის ისევ განაგრძობს ჩვენ უწყინარ პლანეტაზე ტანჯვის მომგვრელ ქმედებებს...

ამით კოსმიური უკეთილშობილესი სივრცე უთუოდ გააკვირვებული და შეწუხებულია...

ზეციურმა კეთილმა ძალამ ყოველი ერის და სარწმუნოების აღმასარებელი, ნათესაურად შეგვაკავშიროს და ურთიერთ დნდობის, თანადგომის, ღვთიური გაგების, სიყვარულისა და მიტევების გზით გაგვაერთიანოს ნებისმიერი რელიგიური ინდივიდუალობის შენარჩუნებით.

საკუთარი რელიგიურს სიყვარულისა და მორჩილობითი ტოლ ფასოვნობით, პატივი მივაგოთ ყველა სხვა სარწმუნოებას და ავიციდინოთ საშინელი ეშმაკისეული ბოროტების ქვეყნიერების დამღუპველი გზა რათა ზეციურად ვაღდებულნი ვართ, სამყაროს ზნეობიდან გამომდინარე დავასვენოთ დედამიწა ადმიანთა სისხლის უწყვეტი ნაკადებისაგან. მომავალი საუკუნეები უახლესი მესამე ათასწლეულის ჩათვლით ჩამოვაცალიბოთ ღვთიურ-კოსმიურ ჭეშმარიტებათა ნათელ ეპოქებად. დაახოლებით ამ ფორმის ზნეობისაკენ მიგვითითებს ჩვენი ჭეშმარიტებისაკენ მავალი შეხსენებისა და მოწოდების სურათი „ტოლერანტობა“ (შემწყნარებლობა) რათა თანაბრად პატივი ვცეთ სამყაროს წესრიგ კანონისაგან ბოძებულ ადმიანთა მსხნელ რელიგიებს...



სურათზე მარჯვნიდან საუკუნის უდიდესი ბალერინა ნინო ანანიაშვილი და მხატვარ-პროზაიკოსი, რეზო ემელიანე აღამია.



2015 წელი 12 თებერვალი, პაატა ბურჭულაძის საიუბილეო დღეებში ჩამოსული იყო დიდი ფრანგი მსახიობი ალენ დელონი. იუბილარმა გენიალურ მსახიობს საჩუქრად გადასცა რეზო აღამიას მიერ 2014 წელს შესრულებული თეთრი მთავარანგელოზის „მიქაელის“ ხატი. ალენ დელონის მაღალი აღფრთოვანება და სიხარული ფოტოზეა აღბეჭდილი.



ნინო ბერბერაშვილი

მხატვართა კავშირის წევრი,
მწერელთა კავშირის წევრი,
ვაჟა-ფშაველას პრემიის
ღაურსაყი.



„ღალო საღაღაქოში“. 2003 წ.



„თამარ მეფის ვარძია“. 2010 წ.

სოფიკო ხარაქაძე




დაიბადა 1984 წლის 4 აგვისტოს. ქადაქ თბილისში მხატვრების ოჯახში.
2001 წელს დაამთავრა 192-ე საშუალო სკოლა.
1997 წლიდან, 2001 წლამდის სწავლობდა სამხატვრო ლიცეუმში.
2001 წელს „თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მისაღებ გამოცდაზე ჩაირიცხა უმაღლესი ქულებით.
2002 წელს მოაწოვა მხატვარ ლავით ციციშვილის სახელობის სტუდენტისა.
2005 წელს გახდა, საქართველოს პრეზიდენტის სახელობის სტუდენტისა.
2007 წელს, წარჩინებით, წითელ დიპლომზე დაასრულა სწავლა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში. მისი სადიპლომო ნამუშევრის თემა იყო „ცანსაცმელის ფორმისა და ფერის ჰარმონიულობა ადამიანის სხეულზე“.

- 2007 წელს, მონაწილეობა მიიღო შოთა რუსთაველის სახელობის გადერეკ „მუხა“-ში, გამართულ გამოფენაში. ცანსაცმელის ჩვენება, როგორც ქართული ბრენდი.
 - 2008 წელს გახდა, თბილისში იყადიის საელჩოს სტუდენტისა
 - 2009 წელს, სამაგისტრო მისაღები გამოცდაები ჩაატარა იყადიის ქადაქ მიღანის, ბრერას სამხატვრო აკადემიაში.
 - 2012 წლიდან არჩეულია ჯუმბერ ლევას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსად.
 - 2013 წელს დაამთავრა და დიპლომი დაიცვა ქადაქ მიღანის ბრერას სამხატვრო აკადემიაში. მისი სადიპლომო თემა იყო „გეომეტრიული ფორმების განვითარება მოლის სამყაროში“.
- ბრერას სამხატვრო აკადემიის, კომისიის წევრების აკადემიური შეფასებით, სოფიკო ხერკუდაძის სადიპლომო ნამუშევარმა მიიღო 110 უმაღლესი ქულა, ანუ (დოლე) კომისიის წევრები
- 1 - დიბერაფორე - ფრანჩესკა - პროფესორი
 - 2 - მაურიციო - კაეცალე - პროფესორი
 - 3 - დივიო - კრისპოლეტი - პროფესორი
 - 3 - ნანიე - სერასდა - პროფესორი
- 2013 წელს სოფიკო ხერკუდაძემ ქადაქ მიღანში დიხანერთა გამართულ კონკურსში მიიღო მონაწილეობა, სადაც I ადგილი მოაწოვა.



„მშვილობა მსოფლიოს“. 2013

ქანა ხვინია



მე ისევ მარტო ვარ...


ირგვლივ ხმაურია, ქაოსი, ზმანება, ზმანება ცივი და სიკვდილის ტოლფასი, მე ისევ მარტო ვარ და როგორც თავნება, უშუალო კაცივით, გავწირე მოყვასი. ხავსიან გაზაფხულს, რა გაღვეს ნეტა რა, როდისღა ჩადგება გრიგალი სულეთის, დავღუმი, აღარ ვარ თუმცაღა ნეტარად, დავღუმი, ყოველი გამიხდა სულერთი. მე ხომ პირველ კაცის, ნეკნი ვარ ნაკლული, მაგრამ არა მწირი არამედ წყვდიადი, ქრისტეს ტარიგი ვარ, მისივე ნათლული, ღმერთო შთამიბერე, სული ზედიადი. მე ისევ მარტო ვარ და როგორც თავნება, უშუალო კაცივით, გავწირე მოყვასი. ირგვლივ ხმაურია, ქაოსი, ზმანება, ზმანება ცივი და სიკვდილის ტოლფასი.

რა მექცა ჩვევად... რა მექცა ჩვევად? შეყვარება ცრემლების, დარდის, რაღა შეჩვევა, ყველაფერთან რაც კი არ მინდა, ჩამოფარება, რაც კი მსურის, უმაღვე ფარდის, რომ შავზე თეთრი უნდა ვთქვა და გაეხადო წმინდა. რომ ჩემად მინდა, რაც ვიცი რომ, ჩემი არ არის, რომ, სიყვარული უფრო მხიბლავს, სიბნელის იქით, ოდეს დარია მენატრება ტირილი ქარის, და ოდეს ქარი მეძალეობა, უკვე პირიქით. რა მექცა ჩვევად? შენი ქუჩის კიდისკენ ცქერა, რაღა წვიმაში ხეტიალი, გაზონებს შორის, შემი თვალებს მონატრების ჩვეული მხერა, შეკამათება ქუჩის მიღმა ლანდების, ორის. რა მექცა ჩვევად? შეყვარება ცრემლების, დარდის, ჩამოფარება, რაც კი მსურის, უმაღვე ფარდის.

სული ფერადი... შენი ნიღაბი უფრო ბაცია, ტყუილი უფრო მარტივია შენში ჟღერადი, შენზე ამბობენ: შავი კაცია, მე კი რამდენი, ფერი ვნახე შენში ფერადი. ყველაფერს ბედავს, შენზე ამბობენ: არ უყვარსო განმარტობა, მე დარდებს ვხედავ, ადვილებულს სულის მიღმა შენში, რტოებად. მე სევდას ვხედავ, ტკივილისგან ცრემლმომორეულს, ოცნებას ვხედავ, დამსხვრეულს და თითქოს შორეულს. სიყვარულს ვხედავ, ლაჟვარდოვან ფერთა გამაში, სიცოცხლეს ვხედავ, და რა არის ცუდი ამაში. რადგან ნიღაბი უფრო ბაცია, ტყუილი უფრო მარტივია შენში ჟღერადი, შენზე ამბობენ: შავი კაცია, მე კი რამდენი, ფერი ვნახე შენში ფერადი. ავტორი: ქანა ხვინია...

ო, იცი როგორ მსურის, განმარტობა ბედთან, ცოდვით აღვსილი სულის, მსხვერპლად შეწირვა ღმერთთან. მინდა გავაქრო გესლი, რაც კი მქონია ოდეს, წმინდა მონასტრის, თესლი, ადვილებული, მქონდეს. მინდა ღვთისმშობლის კალთას, ცრემლი ვაპკურო ბევრი, მოვესათუთო სხალთას, და გაეხდე მისი წვერი. დღეს მარტოობა მწადის, დღეს სინანულის, მჯერა, ღმერთო ნუ მეტყევი წადის, არ მომარიდო მხერა. რომ პეტრეს ცრემლი მქონდეს, თუნდაც პატარა წვეთი, რომ ბედნიერ ჟამს ოდეს, არ დამავიწყდეს ღმერთი. დღეს მხოლოდ მინდა ფუნჯი, დავხატავ, „სევდის დედას“, მერე გავხდები მუნჯი, სიტყვას თუ გამიბედავს. დღეს მინდა ვიყო წმინდა, ახალშობილის მსგავსი, ო, იცი როგორ მინდა, ცოდვებს, მოვფინო ხავსი.

ეკონომიკა



ვალერი მოსიაშვილი
ეკონომიკის დოქტორი. სტუ



საერთაშორისო ანგარიშსწორების ძირითადი ფორმები

მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის შეუქცევადმა ტენდენციამ, საქონელწარმოების, საქონელმიმოქცევისა და მომსახურების ინტერნაციონალიზაციამ გამოიწვია საერთაშორისო ანგარიშსწორების აუცილებლობა. საერთაშორისო პრაქტიკაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია კონტრაგენტებს შორის ანგარიშსწორების ფორმების, ვადებისა და გარანტიების ზუსტად განსაზღვრა.

საერთაშორისო ანგარიშსწორება არის ფულად მოთხოვნილებებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული გადასახადების მოწესრიგება, რომელიც წარმოიშობა სახელმწიფოებს, იურიდიულ და ფიზიკური პირებს, აგრეთვე საოჯახო მეურნეობებს შორის ჩამოყალიბებული ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობების ბაზარზე.

საერთაშორისო ანგარიშსწორებაში გარიგებათა სავალუტო-საგადასახადო ურთიერთობები და პირობები ითვალისწინებს შემდეგი ელემენტების გამოყენებას: გადახდის ფორმები, ფასების დასადგენად გამოყენებული ვალუტა, საგადასახადო ვალუტა, ანგარიშსწორების ფორმები (წინამდებარე სტატიაში ყურადღებას გავამახვილებთ ანგარიშსწორების ფორმებზე).

ანგარიშსწორების ფორმები – ეს არის საერთაშორისო პრაქტიკაში ისტორიულად ჩამოყალიბებული საგადასახადო და საქონელგანკარგულებითი დოკუმენტების გაფორმების, გადაცემის, დამუშავებისა და გადახდათა განხორციელების ხერხები.

კონკრეტული ფორმის არჩევა, რომლითაც განხორციელდება ანგარიშსწორება სავაზრო-სავაჭრო კონტრაქტის მიხედვით, განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით.

საერთაშორისო ანგარიშსწორებაში ძირითადად გამოყენებულია შემდეგი ფორმები: საბანკო გზავნილები (გადარიცხვა), ჩეკი, ინკასო, აკრედიტივი, ღია ანგარიში, თამასუქი.

საერთაშორისო ანგარიშსწორება რეგულირდება ნაციონალური საკანონმდებლო ნორმატიული აქტებით, აგრეთვე საქმიანი ბრუნვის წესებითა და ჩვეულებებით. საერთაშორისო ანგარიშსწორების უნიფიკაციის აუცილებლობა განპირობებულია საბანკო ოპერაციების უნივერსალურობით. ამიტომ, საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ (პარიზი XX საუკუნის დასაწყისი) შემუშავებულია უნიფიცირებული წესები და ჩვეულებანი დოკუმენტალური აკრედიტივებისათვის და ინკასოს მიხედვით. მსოფლიო ბანკების უმეტესობა მიუერთდა ამ წესებს. საერთაშორისო ანგარიშსწორებაში სათამასუქო და საჩეკო მიმოქცევის უნიფიკაცია რეგლამენტირებულია წესებით (ჟენევის კონვენცია, 1930-31 წწ.). ყველაფერი ეს წარმოადგენს ბაზას ქვეყნების უმრავლესობის ნაციონალური კანონმდებლობისათვის.

საბანკო გზავნილები (გადარიცხვა) – წარმოადგენს ერთი ბანკის დავალებას მეორესადმი, გადაუხადოს გადარიცხვია მიმღებს განსაზღვრული თანხა. საბანკო გზავნილების ეკონომიკური დასაბუთებულობა იმაზეა დამოკიდებული, თუ რა გზით ხდება საქონლის (მომსახურების) გადახდა: მათ მიწოდებამდე (საავანსო გადასახდელები), თუ იმპორტიორის მიერ მათი მიღების შემდეგ (ღია ანგარიშის ფორმით ანგარიშსწორება).

ანგარიშსწორების მონაწილეებს წარმოადგენენ: გადარიცხვის გამცემი (მოვალე); გადარიცხვის გამცემის ბანკი, რომელმაც მიიღო დავალება; ბანკი, რომელიც ახორციელებს გადარიცხვის თანხის ჩარიცხვას გადარიცხვის მიმღებისათვის; გადარიცხვის მიმღები.

განვიხილოთ საბანკო გზავნილების სქემა:

1. კლიენტი – გადარიცხვის გამცემი აფორმებს განცხადებას გადარიცხვაზე სამ ეგზემპლარად (მხოლოდ პირველ ეგზემპლარს ეწერება ხელი უფლებამოსილი პირის მიერ);
2. განცხადებაში მითითებული მონაცემების შესაბამისად ბანკი ადგენს საგადასახადო დავალებას საზღვარგარეთელი ბანკი-კორესპოდენტისადმი;

3. იმპორტიორის ბანკი აგზავნის თავისი სახელით საგადასახდელო დავალიანებას ექსპორტიორის ბანკში;

4. ექსპორტიორის ბანკი რიცხავს ფულად თანხას მიმწოდებლის ანგარიშსწორების ანგარიშზე.

ბანკი ახორციელებს კლიენტურ გადარიცხვებს გადარიცხვის გამცემის ხარჯზე უცხოელი მიმცემისათვის (ბენეფიციარისათვის), ბანკი – გადამხდელისათვის მის მიერ გადახდილი თანხის ანაზღაურების ხერხის მითითებით. გადარიცხვის მიმღების ბანკი ხელმძღვანელობს კონკრეტული მითითებებით, რომლებსაც მოიცავს საგადასახდელო დავალება. საგადასახდელო დავალებები გადაიცემა ბანკებს შორის საბანკო ინფორმაციის გადაცემის ტელესაკომუნიკაციო საშუალებების გზით (სვიფტი, სპრინტი, ტელექსი).

საიმპორტო ოპერაციებისას გადარიცხვაზე განცხადებაში მიეთითება შემდეგი მონაცემები: გადარიცხვაზე განცხადების ნომერი და თარიღი; უცხოური ვალუტის გადარიცხვის თანხა (ციფრებითა და სიტყვიერად) და გადახდის ვალუტა; შეტყობინების გადაცემის ხერხი (ფოსტა, ტელეგრაფი, ელექტრონული საშუალებები); გადარიცხვის მიმღების სრული დასახელება, მისი რეკვიზიტები; გადარიცხვის მიმღების ბანკის რეკვიზიტები; გადახდის დანიშნულება (კონტრაქტის ნომერი და თარიღი); გადახდის სასწრაფოობა (რაზე დამოკიდებულებითაც ბანკი იღებს საკომისიოს გადარიცხვისათვის).

საბანკო გზავნილების ჩატარებისას, საკომისიო, როგორც წესი, გადაიხდებიან იმპორტიორის ბანკის მიერ. ის დაკავდება გადარიცხვის გამცემთან ამ უკანასკნელის მიერ ბანკში გადარიცხვებზე განცხადების წარდგენისას. კლიენტი-იმპორტიორისაგან განცხადების მიღების შემდეგ, ბანკი თავისი სახელით გადაგზავნის საგადასახდელო განცხადებას ექსპორტიორის ბანკში. შემდგომ ექსპორტიორის ბანკი ჩარიცხავს ფულად სახსრებს ექსპორტიორის ანგარიშზე.

საბანკო გზავნილებით ანგარიშსწორების შესახებ დასკვნის გაკეთებისას, აუცილებელია ავღნიშნოთ ანგარიშსწორების მოცემული ფორმის დადებითი და უარყოფითი მხარეები. დადებით მომენტს მიეკუთვნება ოპერაციათა განხორციელების სისწრაფე, სიმარტივე და სიიარაღე, მაგრამ ამასთან გასათვალისწინებელია გადახდის გარანტიის არარსებობა და შესაბამისად, ანგარიშსწორების მოცემული ფორმის არასაიმედობა.

ჩეკი. საერთაშორისო ანგარიშსწორებაში ფართოდ გამოიყენება ჩეკები. იმ შემთხვევაში, როცა მყიდველი იხდის ჩეკის დახმარებით, მას შეუძლია გააკეთოს შემდეგი არჩევანი:

- დამოუკიდებლად წამოაყენოს ჩეკი (კლიენტის ჩეკი);
- დაავალოს ჩეკის გამოწერა ბანკს (საბანკო ჩეკი);

წარმოადგენს რა საბრუნავ დოკუმენტს, ჩეკი გადადის ხელიდან ხელში, ერთი მფლობელიდან მეორესთან და ასეთნაირად ყველაზე ხანმოკლე ვადაში იძლევა შესაძლებლობას, დაიფაროს რამდენიმე მფლობელის საგადასახდელო ვალდებულებები, ცვლის რა საბანკო გადარიცხვას და აგრეთვე ნაღდ ფულს.

საერთაშორისო დონეზე საჩეკო მიმოქცევაში გამოსაყენებლად ჩეკის რეკვიზიტები და საჩეკო ნომრები უნიფიცირებულია ერთგვაროვან საჩეკო კანონში, რომელიც 1934 წ. იქნა დამტკიცებული ჟენევის კონვენციით. სხვადასხვა ქვეყნებში მოქმედი სამართლებრივი ნორმებისა და საქმიანი ბრუნვის ჩვეულებებზე დამოკიდებულებებით საჩეკო კანონმდებლობის ცალკეული დებულებები შესაძლოა განსხვავდებოდეს.

საჩეკო ხელშეკრულების მონაწილეთა უფლებები და მოვალეობები:

ჩეკის გამცემი – ასრულებს საჩეკო წიგნაკის შენახვის წესებს, აწოდებს გადამხდელ ბანკს თავისდროულად, ანუ გადახდის მომენტისათვის, დაფარავს, თავისდროულად, აცნობებს ბანკს ჩეკების დაკარგვისა და გაყალბების მისთვის ცნობილი შემთხვევების შესახებ, რათა თავისდროულად შეეწინააღმდეგონ ასეთი ჩეკების განაღდებას და ა.შ.

ბანკი – გამყიდველი – ანაღდებს მასზე წაყენებულ ჩეკებს დაფარვის ხარჯზე ან კრედიტში (ოვერდრაფტი ჩეკის გამცემის ანგარიშის მიხედვით) ჩეკის სათანადო მფლობელისათვის. ამასთან, უნდა გვახსოვდეს, რომ საბოლოო ანგარიშით ჩეკის განაღდებისათვის პასუხისმგებლობას ატარებს არა გადამხდელი ბანკი, არამედ – ჩეკის გამცემი.

ჩეკების სახეობები. წარმოადგენს რა გადახდის ინსტრუმენტს, ჩეკი უპირატესად უნდა იყოს ქაღალდი წარმომდგენზე. მაგრამ პრაქტიკა სხვა გზით მიდის: ჩეკების უმეტესობა გა-

მოიწერება განსაზღვრულ პირზე, რაც ამცირებს ჩეკის მიხედვით სახსრების არაკეთილ-სინდისიერი მფლობელის მიერ მიღების რისკს.

სახსრების მიმღების მითითების ხერხის მიხედვით განასხვავებენ შემდეგ ჩეკებს:

- სახელობითი – გამოწერილი განსაზღვრულ პირზე (მაგალითად, „გადაუხადეთ მხოლოდ ხარაიშვილს“). ამ დათქმით იკრძალება ჩეკის შემდგომი გადაცემა ინდოსამენტიტ სხვა პირისათვის;

- ორდერული – გამოწერილი განსაზღვრულ პირზე, სხვისთვის გადაცემის უფლებით;

- წარმომდგენისა – ჩეკები, რომლებიც შეიცავენ ნიშანს „გადაუხადეთ ამ ჩეკის წარმომდგენელს;“ აგრეთვე გამოწერილი საერთოდ მიმღების მითითების გარეშე. მაგრამ უნდა ავღნიშნოთ, რომ ზოგიერთ ქვეყანაში ჩეკი მიმღების მითითების გარეშე ბათილად ითვლება.

გადახდის ხერხის მიხედვით განასხვავებენ საანგარიშსწორებო და კროსირებულ ჩეკებს.

საანგარიშსწორებო ჩეკი. გადახდა ასეთი ჩეკის მიხედვით შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ჩეკის თანხის ჩარიცხვის გზით მიმღების ანგარიშზე ბანკში (ნებისმიერში ან იმაში, რომელიც მითითებულია ჩეკზე). ასეთ ჩეკს აქვს შეზღუდული ბრუნვალობა, რამეთუ ის შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ პირებთან ანგარიშსწორებისათვის, რომლებსაც აქვთ ანგარიში გადახდელ ბანკში, ანგარიშსწორებისათვის თავად გადახდელთან.

კროსირებული ჩეკი. (ინგლ. Cross - გადახაზვა) – ჩეკი, რომლის პირის მხარე გადახაზულია ორი პარალელური ან განივი ხაზით. კროსირების მიზანია – შემცირდეს რისკი, დაკავშირებული შეცდომით იმ პირისათვის გადახდის შესაძლებლობასთან ჩეკის მიხედვით, ვხლდავთ რა ჩეკის შესაძლო მფლობელთა წრეს, რომელთაც უფლება აქვთ წარადგინონ ის გასანადგებლად, მხოლოდ საბანკო დაწესებულებებით. ასეთნაირად, კროსირებულ ჩეკის მიხედვით ბანკი ვალდებულია განახორციელოს გადახდა მხოლოდ ბანკისათვის ან თავისი კლიენტის ანგარიშზე.

ინკასო. ოპერაცია ინკასო შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც ექსპორტიორის (კრედიტორის) დავალება თავისი ბანკისადმი, მიიღოს იმპორტიორისაგან (გადახდელისაგან, მოვალისაგან) უშუალოდ ან სხვა ბანკის საშუალებით გარკვეული თანხა ან იმის დასტური, რომ ეს თანხა გადახდილი იქნება დადგენილ ვადაში. ძირითადი დოკუმენტი, რომელიც ახდენს ოპერაციების მოცემული სახეობის რეგლამენტირებას, არის „ინკასოს უნიფიცირებული წესები,“ შემუშავებული საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ (უკანასკნელი რედაქცია 1993 წ.), რომლის შესაბამისადაც, საინკასო ოპერაციები ხორციელდება ბანკების მიერ იმპორტიორისაგან მიღებული ინსტრუქციების საფუძველზე.

განასხვავებენ მარტივ (წმინდა) და დოკუმენტალურ ინკასოს. ინკასოს ცნებიდან გამომდინარეობს, რომ ორივე შემთხვევაში ეს არის გადასახდელის გადახდევინების ოპერაცია: წმინდა ინკასოს დროს – მხოლოდ ფინანსური დოკუმენტების მიხედვით, დოკუმენტალური ინკასოს დროს – ფინანსური დოკუმენტების ინკასო, რომელსაც ახლავს კომერციული დოკუმენტები, ან მხოლოდ კომერციული დოკუმენტების ინკასო. ამასთან, ბანკები არ ატარებენ რაიმე ვალდებულებას დოკუმენტების განადგობის მიხედვით, რამეთუ ისინი მოცემულ ოპერაციებში შუამავლის როლში გამოდიან. წარმოქმნილი უთანხმოება საქონლის რაოდენობასა და ხარისხთან მიმართებაში ან ანგარიშსწორების მოცემული ფორმისას წყდება უშუალოდ იმპორტიორსა და ექსპორტიორს შორის.

ინკასოს დროს გამოიყენება ტრატა. ტრატა ეს არის დოკუმენტი, რომელიც მოიცავს კრედიტორის (ტრასანტის) უდავო ბრძანებას მსესხებელისადმი (ტრასანტისადმი), მითითებულ ვადაში ფულის განსაზღვრული თანხის გადახდის შესახებ თამასუქში დასახელებული მესამე პირისათვის (რემიტენტისათვის) ან წარმომადგენლისათვის.

საინკასო დავალება, რომელსაც იძლევა ექსპორტიორი, უნდა მოიცავდეს სრულ და ზუსტ ინსტრუქციებს (ბანკები, რომლებიც მონაწილეობენ გარიგებაში, მოქმედებენ მხოლოდ მათთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში). აუცილებელ ინფორმაციას, რომელიც უნდა იყოს საინკასო დავალებაში, მიეკუთვნება: ინკასოს თარიღი და ნომერი; გადასახდელის და/ან აქცეპტის თანხა (გადახდის და/ან აქცეპტის ვალუტის მითითებით); გადახდის ვადა; ტრასანტი; ტრასანტის ბანკი; ინფორმაცია აუცილებელი დოკუმენტების შესავსებად; საქონლის აღწერა; გადაზიდვის მეთოდი; გაგზავნის ადგილი; გაგზავნის თარიღი; დანიშნულების ადგილი.

ანგარიშსწორების საინკასო ფორმის განხილვა საშუალებას გვაძლევს, ავლნიშნოთ, რომ ის გაცილებით უფრო საიმედოა, ვიდრე ანგარისსწორება საბანკო გზავნილებით. მაგრამ ის საკმაოდ ძვირია (ბანკებში გამოიყენება ფიქსირებული ტარიფები მოცემული ოპერაციების მიხედვით; როგორც წესი ეს არის ფიქსირებული პროცენტი 8-10 %, კომერციული ბანკის სატარიფო პოლიტიკაზე დამოკიდებულებით) და საკმაოდ რთული საანგარიშგებო ფორმაა.

აკრედიტივი არის ბანკის ვალდებულება მყიდველი-იმპორტიორის მითითებით განახორციელოს მისი ანგარიშიდან მიწოდებული საქონლის ღირებულების ექსპორტიორზე გადახდა ამ უკანასკნელის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით.

საერთაშორისო ანგარიშსწორებისას ფულადი აკრედიტივის განაღდება წარმოებს მასში მითითებული ვალუტის მიხედვით, ან ქვეყნის ვალუტით, სადაც აკრედიტივი წარედგინება.

არსებობს *სასაქონლო აკრედიტივიც*. იგი უპირატესად გამოიყენება საგარეო ვაჭრობაში საქონლის გამყიდველ-მყიდველებს შორის ანგარიშსწორებისას. მყიდველი თავის ბანკს აძლევს დავალებას სასაქონლო აკრედიტივის გახსნის თაობაზე, სადაც მითითებული უნდა იყოს: მომწოდებლის დასახელება, მისამართი, თანხა, აკრედიტივის მოქმედების ვადა, განაღდებადებული საქონლის (მომსახურების) სახე, მომწოდებლის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტები და სხვა.

ანგარიშსწორების სააკრედიტივო ფორმას საფუძვლად უდევს იმისი აუცილებლობა, რომ მომწოდებელი მყიდველისაგან დროულად მიიღებს რეალიზებული საქონლის ღირებულებას. როგორც წესი, სავაჭრო ხელშეკრულების შესაბამისად, ანგარიშსწორების სააკრედიტივო ფორმის პირობებში მყიდველი მოვალეა საქონლის მიწოდებამდე გადაიტანოს განსაზღვრული თანხა ექსპორტიორის მიერ მითითებულ ბანკში. საქონლის დროულად გაგზავნის შემდეგ ექსპორტიორს შეუძლია მიიღოს გახსნილი აკრედიტივიდან კუთვნილი თანხები.

მსოფლიო პრაქტიკაში საერთაშორისო სააკრედიტივო ანგარიშების ორი ფორმა არსებობს; გამოთხოვილი და გამოთხოვის გარეშე.

გამოთხოვილ აკრედიტივთან მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც ნებისმიერ დროს შეიძლება აკრედიტივის თანხისა და პირობების შეცვლა ან აკრედიტივის ანუღირება.

გამოთხოვის გარეშე აკრედიტივი არის ემიტენტის მტკიცე ვალდებულება იმის შესახებ, რომ აკრედიტივის თანხა არ უნდა შეიცვალოს და გაუქმება არ მოახდინოს დაინტერესებული მხარეების გარეშე. საერთაშორისო ანგარიშსწორების პრაქტიკაში აკრედიტივის ეს ფორმა ფართოდ არის გავრცელებული.

საერთაშორისო ეკონომიკური ურთერთობების პრაქტიკაში ფართოდაა გავრცელებული ანგარიშსწორება ღია ანგარიშით. ამ შემთხვევაში საქონლის ექსპორტიორი (გამყიდველი) იმპორტიორს (მყიდველს) სასაქონლო დოკუმენტებს აწვდის უშუალოდ, ბანკის გარეშე, ხოლო მყიდველი გამყიდველს ღია ანგარიშზე შესაბამისი თანხის ჩარიცხვას ახორციელებს შეთანხმების მიხედვით დადგენილ ვადებში საქონლის მიწოდების პერიოდულად.

ანგარიშსწორება ღია ანგარიშით საბანკო კრედიტის გამოყენების ფორმაა. ამ ფორმას ექსპორტიორები ნაკლებად ეტანებიან, იგი არ იძლევა იმის გარანტიას, რომ საექსპორტო ამონაგები დროულად იქნეს მიღებული. თანაც ექსპორტიორის კაპიტალის ბრუნვადობის შენელებას აქვს ადგილი, რის გამოც ეს უკანასკნელი იძულებულია გამოიყენოს ბანკის კრედიტი. ექსპორტიორებისათვის ანგარიშსწორება ღია ანგარიშით ყოველთვის როდია არახელსაყრელი. მაშინ, როდესაც კონტრაქტები მონაცვლეობით გამოდიან მყიდველ-გამყიდველის როლში, იმპორტიორის მიერ ვალდებულებათა შეუსრულებლობა ექსპორტიორის მხრივ, სხვა თანაბარ პირობებში საქონლის მიწოდების შეჩერებას იწვევს.

აღნიშნული სახის ანგარიშსწორებისას საქონლის რეალიზაციის შემდეგ, ექსპორტიორი მისი ღირებულების თანხას დავალიანებაში გაატარებს, ხოლო იმპორტიორი აღებულ კრედიტს ექსპორტიორის ანგარიშზე გაატარებს, საქონლის გადახდის შემდეგ უნაღდო საბანკო გზავნილების ფორმით.

ანგარიშსწორების ღია ანგარიშით დავალიანების დაფარვის წესს განსაზღვრავს კონტრაგენტებს შორის შეთანხმება. ამ ანგარიშით დავალიანებათა საბოლოო მოწესრიგება

წარმოებს ბანკების მეშვეობით ანგარიშთა სხვა ფორმების გამოყენებით (საბანკო გზავნილების, ჩეკებისა და თამასუქების წარდგენის გზით).

ღია ანგარიშით ანგარიშსწორება ფართოდ ვითარდება მაშინ, როდესაც მყიდველსა და გამყიდველს შორის ნდობის ატმოსფეროა. ეს უპირატესად ხორციელდება საქონლის რეგულარული მიწოდების პირობებში. ანგარიშსწორების ამ ფორმის სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ აქ საქონლის მოძრაობა ფულის მოძრაობას წინ უსწრებს. ეს ფორმა ფაქტობრივად გამოიყენება იმპორტიორის დაკრედიტების მიზნით, რაც საბოლოო ჯამში, ექსპორტიორთან ნდობის გამომხატველია.

საერთაშორისო ანგარიშსწორებაში ფართოდ გამოიყენება თამასუქი.

თამასუქი არის დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს იურიდიული ან ფიზიკური პირის წერილობით უპირობო ვალდებულებას, გადაუხადოს თამასუქის მფლობელს ვადის დადგომისას განსაზღვრული თანხა, რომელიც მითითებულია თამასუქში. საერთაშორისო ანგარიშსწორების განხორციელებისას იყენებენ გადასაგზავნ და კომერციულ თამასუქს.

გადასაგზავნი თამასუქი ისეთი თამასუქია, რომელიც წარმოდგენილია ექსპორტიორის მიერ იმპორტიორზე. თანამედროვე პირობებში მრავალი გარიგება ხორციელდება თამასუქების მეშვეობით. მსოფლიო პრაქტიკიდან ცნობილია, რომ ეკონომიკური კრიზისების დროს ფართო განვითარებას პოულობს კომერციული კრედიტი. მას ხელს უწყობს ის, რომ ასეთი კრედიტების ორმხრივი ვალდებულება არ ცხადდება და გარეშე პირთაგან დაფარულია.

თამასუქის გამოყენება ეკონომიკურ ცხოვრებაში ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს. 1930 წ. სახელმწიფოთა შორის შეთანხმების საფუძველზე მიღებული იქნა ერთიანი, უნიფიცირებული კანონმდებლობა თამასუქის შესახებ, მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ცალკეულ ქვეყნებს არ გააჩნდეთ განსხვავებული საკანონმდებლო აქტები.

მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში ფართოდ იყო გავრცელებული კომერციული თამასუქი, შემდგომ პერიოდში მან დაკარგა თავისი მნიშვნელობა და გზა გაუხსნა საბანკო თამასუქს, რომელთაგან მნიშვნელოვანია საბანკო ტრატა. ტრატა ისეთი სახის თამასუქია, რომელსაც იურიდიული პირი გამოწერს ბანკის სახელზე და ეს უკანასკნელი აქცეპტს.

ვანო შუშტაკაშვილი



ოფშორული ზონების შექმნის მიზნები და ზოგადი მახასიათებლები

ზოგადად უნდა ითქვას, რომ ერთიანი განმარტება ოფშორული ზონების შესახებ არ არსებობს. შეიძლება ითქვას, რომ ოფშორის განმარტება დამოკიდებულია იმ პიროვნებაზე ვის მიმართაც ეს კითხვაა მიმართული, უფრო ზუსტად მის დამოკიდებულებაზე ამ ფენომენის მიმართ.

საერთოდ ტერმინი „ოფშორი“ (ოფფ სპორე - ნაპირებს მიღმა) პირველად ერთ-ერთ ამერიკულ გაზეთში გამოიყენეს, ისეთი ორგანიზაციის მიმართ, რომელმაც სახელმწიფოებრივი კონტროლისგან თავის არიდების მიზნით საქმიანობა საგადასახადო იურისდიქციის საზღვრებს გარეთ გადაიტანა. თანამედროვე პირობებში კი ეს ტერმინი უფრო ფართო გაგებით გამოიყენება და მოიცავს როგორც ფირმებს, რომლებიც

იყენებენ სხვა ქვეყნებს თავიანთი საფინანსო საქმიანობის დაგეგმვისას, ასევე ზონებს (სახელმწიფო ან ტერიტორია), სადაც უცხოური კომპანიებისთვის სპეციალური სავალუტო, საგადასახადო და ორგანიზაციული შეღავათები მოქმედებს.

უნდა აღინიშნოს, რომ თავისუფალი ეკონომიკური ზონა (თეზ) – ოფშორული ზონის ეკონომიკური ცნებაა, რომელიც მოიცავს განსაზღვრულ ტერიტორიას განსაკუთრებული იურიდიული სტატუსით დანარჩენ ტერიტორიებთან შედარებით და ლგოტურ ეკონომიკურ პირობებს ადგილობრივი თუ უცხოელი მეწარმეებისთვის. ასეთი ზონების შექმნის მთავარი

მიზანი სახელმწიფოს ან ცალკეული ტერიტორიების განვითარების გზაზე სტრატეგიული ამოცანების გადაწყვეტა და ასევე საგარეო ვაჭრობის, ზოგადეკონომიკური, სოციალური, რეგიონული და სამეცნიერო-ტექნიკური საკითხების მოგვარებაა. ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია თავისუფალ ეკონომიკურ ზონად გამოაცხადოს თავისი ტერიტორიის ცალკეული ნაწილები, რომელთა ფარგლებშიც სამეურნეო და სამეწარმეო საქმიანობისთვის საბაჟო, სავალუტო, საგადასახადო და სხვა ლგოტური პირობები დაწესდება.

გასული საუკუნის ოცდაათიანი წლების დასაწყისში, გერმანიიდან დიდი ოდენობით კაპიტალი გაედინებოდა და ფულის დიდი ნაწილი მეზობელ შვეიცარიაში იღებოდა. გერმანიის ხელისუფლება ცდილობდა ამ პროექტისთვის ხელის შეშლას, მაგრამ კანონდამრღვევებს რეგულაციები არ აშინებდათ. ხელისუფლებაში ჰიტლერის მოსვლის შემდეგ რაიხსტაგმა მიიღო კანონი გერმანიის ეკონომიკის დაღატაკის შესახებ. ის ყველა გერმანელსა და გერმანიაში მცხოვრებ უცხოელს ავალდებულებდა უცხოეთის ბანკებში ფულადი ანგარიშების დეკლარირებასა და რეგისტრაციას. კანონის შეუსრულებლობა მკაცრად - პატიმრობით ისჯებოდა. რა თქმა უნდა, შვეიცარიელ ბანკირებს ეს ხელს არ აძლევდათ და 1934 წელს შვეიცარიაში მიიღეს კანონი საბანკო საიდუმლოების შესახებ - ბანკებს არ ჰქონდათ უფლება, მათი კლიენტების ვინაობა და შენატანის მოცულობა გაემხილათ. ბანკის თანამშრომლები ვალდებული იყვნენ, საიდუმლო კლიენტების შესახებ სამსახურიდან წასვლის შემდეგაც შეენახათ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ციხე ემუქრებოდათ. ასე გაჩნდა პირველი ლეგალური მექანიზმი, რომლითაც შესაძლებელი იყო საგულდაგულოდ დაგეგმულა ფული, მისი წარმომავლობის მიუხედავად. იმავდროულად იქმნებოდა ამ ფულის სარფიანად განკარგვის მექანიზმიც - ცნობილი, როგორც "საგადასახადო სავანე".

ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, რომელიც დაბალი გადასახადებით იზიდავდა ქვეყანაში კაპიტალს, კვლავაც შვეიცარია იყო. 1930 წელს ბერმუდის კუნძულებზე მიიღეს კანონი უცხოური კომპანიების რეგისტრაციის გამარტივების შესახებ. 50-იანი წლების ბოლოს უკვე ოფშორის ცნება გაჩნდა, 60-იან წლებში კი მსოფლიოში ე.წ. ოფშორული იურისდიქციების მთელი ქსელი განვითარდა. ლუქსემბურგი, კაიმანის კუნძულები, სინგაპური, მენის კუნძული, კონფიდენციალურ საბანკო მომსახურებასთან ერთად, უცხო ქვეყნის მოქალაქეებს მნიშვნელოვან საგადასახადო შეღავათებსაც სთავაზობდნენ.

მოკლედ, გაჩნდა მთელი ინფრასტრუქტურა, რომელიც მარტივად გაძლევდა შესაძლებლობას, ოფშორულ ბანკებში დიდძალი ფული შეგენახა, მიუხედავად მისი წარმომავლობისა. აქვე ამ ფულით შეიძლებოდა კომპანიის ან კომპანიების დაფუძნება და მათი მეშვეობით უკვე "პატიოსნად" ბიზნესის კეთება ნებისმიერ ქვეყანაში. კანონდარღვევისა და მომხვეჭელობისკენ მიდრეკილ ადამიანებს ეს დიდ პერსპექტივებს უქადდა. ისტორია ცხადყოფს, რომ ასეთი სქემით ძირითადად კორუმპირებული ხელისუფალნი მოქმედებდნენ.

ბოლო პერიოდში მიმდინარე საერთაშორისო საფინანსო ბაზრისა და კაპიტალის მობილობის მნიშვნელოვანმა ზრდამ, ფინანსური ნაკადების და სამეწარმეო რესურსების გადაანაწილება არა მარტო ცალკეულ ქვეყნებს შორის გამოიწვია, არამედ გარკვეულ ქვეყნის ჯგუფებს შორისაც. კაპიტალის საერთაშორისო მიგრაცია უკვე დიდი ხანია ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. ასევე შეიძლება ითქვას ისიც, რომ მსოფლიო ეკონომიკის ინტერნაციონალიზაცია და გლობალიზაცია ბუნებრივ მოვლენას წარმოადგენს, რომლის განვითარებაც დროის საკითხია და შეუძლებელია მისი კონკრეტულ ჩარჩოებში მოქცევა, ან უფრო მეტიც, მისი შეჩერება.

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია აიძულებს ქვეყნებს შეძლონ საკუთარი ინტერესების დაცვა და შენარჩუნება მთელი ამ პროცესის განმავლობაში. თვითდამკვიდრების ამ ბრძოლაში, ერთ-ერთ მეტნაკლებად ეფექტურ საშუალებად ითვლება საგადასახადო შეღავათების არსებობაც. ერთი ქვეყნის მხრიდან ამ მექანიზმის ამოქმედება თავისთავად იწვევს საპასუხო ქმედებას მეორე სახელმწიფოსგან. რასაც საბოლოოდ საგასადასადო გლობალიზაციის გაღრმავებამდე მივყავართ.

ორგანიზაციული და ფუნქციონალური ნიშნით კლასიფიკაციის გარდა, თავისუფალი ეკონომიკური ზონები მათი შექმნის მიზეზისა და ქვეყნის ეკონომიკისათვის მნიშვნელობის დონის თვალსაზრისითაც ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან. მაგალითად, განვითარებული და ამასთან დიდი ტერიტორიის მქონე ქვეყნები თავისუფალ ზონებს რეგიონალური პოლიტიკის რეალიზების მიზნით ქმნიან. ამის ნათელ გამოვლინებას წარმო-

ადგენს თუნდაც დიდი ბრიტანეთის მიერ შექმნილი ზონები, რომლებიც ამ ქვეყნის ძირითადი ტერიტორიიდან მოშორებითაა (მაგალითად, ვირჯინიის კუნძულები) განლაგებული და რუსეთის ფედერაციის პერიფერიებზე შექმნილი ზონები, სადაც ცენტრალურ მთავრობას ზოგადად მარეგულირებელი და მაკოორდინირებელი ფუნქციების განხორციელება უჭირს.

რაც შეეხება განვითარებად და პოსტ-კომუნისტურ ქვეყნებს, მათთვის თავისუფალი ეკონომიკური ზონები ღია ეკონომიკის პრინციპების დანერგვის პოლიგონებს წარმოადგენენ. ასეთ ქვეყნებს უცხოური კაპიტალის ნაკადებისათვის თავისი ეკონომიკის სრული გახსნა, განსაკუთრებული სავაჭრო, თუ საინვესტიციო პოლიტიკის გატარებამთელი ტერიტორიისა და ეროვნული ეკონომიკის მასშტაბით ხშირად არ სურთ, ან არ შეუძლიათ. ამიტომ ისინი ეკონომიკის ლოკალურ "გახსნას" ზონების ჩამოყალიბების მეშვეობით ახორციელებენ. ამას თუნდაც ჩინეთის მაგალითი ადასტურებს, სადაც ზონების შექმნის პროცესი ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში დაიწყო და პრაქტიკულად საბაზრო ურთიერთობების გამოყენების ექსპერიმენტს წარმოადგენს.

უნდა აღინიშნოს, რომ თავისუფალი ეკონომიკური ზონების მნიშვნელობის განხილვის დროს არ შეიძლება ყურადღება ისეთ საკითხზე არ გამახვილდეს, როგორცაა ზონების გაგლენა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე. ამასთან საყურადღებოა, რომ განვითარებად ქვეყნებში ზონების ზეგავლენის დონე ეროვნულ ეკონომიკაზე საკმაოდ შეზღუდულია, ხოლო განვითარებულ ქვეყნებში ასეთი გავლენის საკითხი პრაქტიკულად არც კი განიხილება.

დღეისათვის სერიოზული უცხოელი ინვესტორებისათვის საგადასახადო და ადმინისტრაციული შეღავათები სულაც არ წარმოადგენს ინვესტიციების ჩადების მიმზიდველობის ერთადერთ ფაქტორს. მათთვის თავისუფალ ზონაში განვითარებული ინფრასტრუქტურის (ტრანსპორტი, წარმოებრივი და სასაწყობო შენობა-ნაგებობები, წყალმომარაგება, ენერგომომარაგება და სხვ.), ხოლო მის გარშემო დიდი მასშტაბის მქონე გასადების ბაზრის არსებობა გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია. უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობის წარმართვა ყოველთვის დამატებით ხარჯებთანაა დაკავშირებული, ამდენად, შეღავათებისა და მუშახელის სიიაფის მიუხედავად, ზონების ფორმირების საწყის ეტაპზე იქ წარმოებული პროდუქცია საკმაოდ მაღალი დანახარჯებით გამოირჩევა და უცხოელი ინვესტორების დაინტერესებისათვის აუცილებელია სხვადასხვა ფაქტორის ერთდროული და ურთიერთ დაკავშირებული არსებობა.

ამის მიღწევა, ერთი შეხედვით, რაც არ უნდა პარადოქსულად მოგვეჩვენოს გაცილებით უფრო ადვილია ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ეკონომიკური პოლიტიკის სწორიმიმართულებებისა და პრიორიტეტების განსაზღვრის, და მათი თანმიმდევრულირეალიზაციის მეშვეობით, ვიდრე ლოკალურად.

სპეციალური ეკონომიკური ზონები ექსპორტზე ორიენტირებულ ერთერთ ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტს წარმოადგენს, რომელიც იქმნება ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების მოზიდვის, ექსპორტის გაფართოების, სავალუტო მოგების ზრდის, ქვეყანაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვის და რა თქმა უნდა ეროვნული ეკონომიკის განვითარების მიზნით.

იმ ქვეყნების მიზანი, რომელთა ტერიტორიაზეც იქმნება ოფშორული ზონა, შეიძლება სხვადასხვა იყოს, რაც დამოკიდებულია მისი ეკონომიკური განვითარების დონეზე, სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობასა და ქვეყნის სხვა მახასიათებლებზე. მაგალითად განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნებისთვის, თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნისას აქტუალურია მკვიდრი მოსახლეობისთვის ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, მაშინ როდესაც განვითარებადი ქვეყნებისთვის პრიორიტეტს წარმოადგენს მაღალი ტექნოლოგიების მოზიდვა, ასევე ინფრასტრუქტურის, ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის განვითარება და კვალიფიციური მუშა ძალის რაოდენობის გაზრდა.

ასევე ნიშანდობლივია ისიც, რომ ოფშორული ზონები, როგორც წესი გარკვეულ ტერიტორიებზე იქმნება, რომელიც ძირითადად კუნძულზეა განთავსებული და ბუნებრივი გზით არის იზოლირებული. ეს ზონები ძირითადად ღარიბია ბუნებრივი რესურსებით და ნაკლებად გამოსაყენებელია სოფლის მეურნეობის საწარმოებლად. სწორედ ამის გამო, ამ

ტერიტორიებისთვის განსაკუთრებული სტატუსის და შეღავათების მინიჭება წარმოადგენენ მათი ეკონომიკური განვითარების წყაროს.

დღეს გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები დიდ ყურადღებას უთმობენ თეზ-ებს, რაც ეჭვ გარეშეა სავალუტო კონტროლის არ არსებობითაა გამოწვეული. თეზ-ების შექმნით სახელმწიფოები სხვა ქვეყნის რეზიდენტებისგან იღებენ დამატებით ფინანსურ შემოსავლებს, ანვითარებენ ინფრასტრუქტურას, ქმნიან სამუშაო ადგილებს და ა.შ. ძირითადად სახელმწიფოს მხრიდან მსგავსი ინვესტიციები ეყრდნობა შემდეგ სტრატეგიულ მიზნებს:

1. ეკონომიკური მიზნები (უცხოური ინვესტიციების მოზიდვა; ეკონომიკაში სავალუტო შენატანების ზრდა სავალუტო შენატანების ხარჯზე და ა.შ.);

2. სოციალური მიზნები (რეგიონული ერთეულების განვითარების დაჩქარება; მოსახლეობის დასაქმებისა და შემოსავლების დონის ზრდა; მაღალკვალიფიციური კადრების აღზრდა მსოფლიო მოთხოვნებისა შესაბამისად და ა.შ.);

3. სამეცნიერო-ტექნიკური მიზნები (მაღალი ტექნოლოგიების დანერგვა).

თანამედროვე ეტაპზე მსოფლიო ეკონომიკის სისტემაში გაძლიერდა ინტეგრაციის პროცესები, რომლებიც მოითხოვენ ეროვნული ეკონომიკების ლიბერალიზაციას, შრომის საერთაშორისო დანაწილებაში ქვეყნების აქტიურ მონაწილეობას, ექსპორტზე ორიენტირებული სტრატეგიების შემუშავებასა და განხორციელებას და ა.შ. სადაც მნიშვნელოვან ელემენტად მიჩნეულია თეზ-ები.

თეზ-ი ეს არის ტერიტორიის ის ნაწილი, სადაც საქონელი ეროვნული ეკონომიკის გარეთ არსებული ობიექტია.

თანამედროვე პრაქტიკაში თეზ-ების ორი მიდგომა არსებობს: ტერიტორიული და რეჟიმული. ტერიტორიული მიდგომის დროს განსაზღვრულ ტერიტორიაზე შეღავათები ვრცელდება საქმიანობის ყველა სახეობაზე, ხოლო რეჟიმული მიდგომის დროს შეღავათები გამოიყენება მხოლოდ გარკვეული სახეობის სამეწარმეო საქმიანობის მიმართ.

თავისუფალი ზონების დიდი ნაწილი განლაგებული კუნძულებზე და დაშორებულნი არიან განვითარებული ქვეყნების მთავარი ფინანსური ცენტრებისაგან.

ამავდროულად, სახელმწიფოები თეზ-ების შექმნით ხელს უწყობენ ინვესტორების მხრიდან გადასახადებისგან თავის არიდებას და ხშირ შემთხვევაში "შავი ფულის" გათეთრებას, რითაც ზარალდება მრავალი სახელმწიფო და ზოგადად, მსოფლიო ეკონომიკა. მსოფლიოს წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემებით მსგავსი ზონების გამო განვითარებადი ქვეყნები ვერ იღებენ დაახლოებით 50 მლრდ დოლარისგან გადასახადებს. ეს არის არაღელვარად მოპოვებული ფულის მასა - "შავი ფული", რომელიც ნაღდი სახით არსებობს ეკონომიკის ლეგალურ სექტორში, მისი წარმოშობის წყაროს გაუხსნელად. ის დოკუმენტებით არ აღირიცხება, ამიტომ იგი თითქოს საერთოდ

არ არსებობს, თუმცა იგი რეალურად არსებობს და თავის ფუნქციებსაც ასრულებს. თავისი არსიდან გამომდინარე, შავი ფული სერიოზულ საფრთხეს უქმნის ქვეყნების პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობას. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით, შავი ფული მსოფლიოს მთლიან შიდა პროდუქტში 2-5%-ს შორის მერყეობს.

ფულის გათეთრების სქემაში ძირითადად მონაწილეობენ ინვესტორი, შემსრულებელი და საკრედიტო ორგანიზაციები, რომელთა მეშვეობით ხორციელდება ნაღდი და უნაღდო

ანგარიშსწორებები. მისი ყველაზე გავრცელებული ფორმა კი ფიქციური ხელშეკრულებებია, რომლებიც ფორმდება სამუშაოთა განხორციელებასა დამომსახურების გაწევისას. ამ დროს ფულის გათეთრების სქემაში მონაწილე შემკვეთი თავის ანგარიშზე არსებულ უნაღდო ფულად სახსრებს აქცევს ნაღდ ფულად და მის ჩამოწერას ახერხებს, რაც ხორციელდება სხვადასხვა აქტივების შექმნითა და მომსახურებების გაწევით.

წარმოდგენილი სქემა ნათლად გვიჩვენებს იმ პრობლემას, თუ რა მარტივი ხერხით არის შესაძლებელი საკმაოდ მძიმე დანაშაულის ჩადენის განხორციელება. ასეთი შემთხვევებს კი ძირითადად ისეთ ქვეყნებში აქვს ადგილი, სადაც არასრულყოფილი კანონმდებლობის პრობლემა არსებობს.



სულხან მახათაძე



კაპიტალის ნაკადების მიმართულიაბი
მსოფლიო მასშტაბით

უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნებისა და რეგიონების ეკონომიკური ზრდის ტემპების მნიშვნელოვანი ცვალებადობა შეიმჩნეოდა სამოცდაათიან და ოთხმოციან წლებში. ეკონომიკური ზრდის ტემპები განსაკუთრებით ისეთ ფორმებზე ახდენენ მნიშვნელოვან ზემოქმედებას, რომლებშიც საერთაშორისო ვაჭრობაში და ინვესტიციებში სხვადასხვა ქვეყნები მონაწილეობენ. როგორც წესი, ზრდის მაღალი ტემპები საქონელისა და მომსახურების იმპორტის გადადებას იწვევს. აღნიშნულ ცვლილებებს თან შეიძლება სხვა ქვეყნიდან სესხების მიღებაში მზარდი საჭიროება გაუჩნდეს და პირიქით, ზრდის უფრო დაბალი ტემპები სესხების საჭიროებას ამცირებენ. მიუხედავად ამისა, ზრდის ტემპები – არის მსოფლიო ერთი ფაქტორი, რომელიც კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობაზე ზემოქმედებს. დანარჩენი ფაქტორები მოიცავენ: სავაჭრო პოლიტიკას, სახელმწიფოს ჩარევის მოცულობის შემცირებას ფინანსური ბაზრების ფუნქციონირებაში და ფინანსური ოპერაციების ჩატარებაში, საინვესტიციო შესაძლებლობების ცვლილებაში. ყველა აღნიშნული ფაქტორები ხელს უწყობდა კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის ზრდას 1978 წლიდან.

80-იანი წლიდან განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნები ყოველწლიური ზრდის ტემპების დიდ მერყეობას განიცდიდნენ. აღნიშნულ ქვეყნებში მშპ-ს ზრდა იცვლებოდა 4.3%-იდან 1981-1988 წ.წ. 3,3%-მდე 1989 წელს და 2,4% 1990 წელს. ზრდის ტემპები შემცირდა 1,4%-მდე 1991წ, მაგრამ გაიზარდა 3.0%-მდე 1992 წელს.

აღნიშნული ტენდენციები კიდევ უფრო ნათლად გამოვლინდა განვითარებად ქვეყნებში, სადაც ზრდის ტემპები 80-იან წლებში 70-იანი წლების მაჩვენებლებთან მიმართებაში 3/4-ით შემცირდა. ზრდის ტემპები განსაკუთრებით დაბალი იყო დასავლეთის ნახევარსფეროს განვითარებადი ქვეყნებისათვის. სამხრეთ-აღმოსავლეთის ქვეყნებმა, განსაკუთრებით სინგაპურმა, ჰონკონგმა, ტაივანმა და სამხრეთ კორეამ, პირიქით 1981-1992 წლების ზრდის ტემპების 5.5-8.7%-ის დონეზე შენარჩუნება შეძლეს.

ცენტრალიზებულ გეგმიური ეკონომიკიანი ყოფილი ქვეყნები აღმოსავლეთ ევროპაში ბოლო წლებში ზრდის ტემპების შემცირება გადაიტანეს. საკუთარი შიდა ეკონომიკური პრობლემების გარდა, განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების ეკონომიკური ზრდის შემცირებამ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების დასავლეთზე ექსპორტის დაცემამდე მიგვიყვანა. აღნიშნულმა ფაქტორებმა ისეთი სიტუაციების წარმოშობა გამოიწვიეს, როდესაც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ეკონომიკური ზრდა 1981-1988წწ. (საშუალოდ 3.7%) შეიცვალა დაცემით 1990-1992 წ.წ. პერიოდში.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის (ჩსრ) მიღწევები მკვეთრად კონტრასტულია აღმოსავლეთ ევროპის გამოცდილებასთან მიმართებაში. საბაზრო ეკონომიკის ყოველწლიური დანერგვისა და ცენტრალიზებული დაგეგმვის შესუსტების გზით ჩინეთმა ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპები შეინარჩუნა, რამაც საშუალოდ 11,3%-ი 1981-1988 წწ. და 6,0%-ი 1988-1992წწ. შეადგინა.

მშპ-ის ზრდის ტემპების შემცირების ტენდენციის გამოხატვით, 80-იანი წლების დასაწყისში მსოფლიო ვაჭრობის მოცულობამ უფრო დაბალი ტემპებით დაიწყო ზრდა. მსფის მონაცემების მიხედვით, საერთაშორისო ვაჭრობის ზრდის ტემპები შემცირდა 5%-იდან 70-იან წლებში საშუალოდ 2,7%-მდე 80-იანი წლების დასაწყისისათვის, მაგრამ გაიზარდა საშუალოდ 5,8%-მდე 1984-1991 წლებში. აღნიშნული ვარდნის პირობებში, შეიცვალა მსოფლიო ვაჭრობის სტრუქტურა: სანედლეულო პროდუქტმა მასში ადგილი მზა ნაკეთობებს დაუთმო. აღნიშნული სტრუქტურული ცვლილებების შედეგად აშშ-მ თავისი წილი მსოფლიო ეკონომიკაში გაზარდა 12%-დან 1981 წ 15,5%-მდე 1991 წელს. ასევე მსოფლიო ვაჭრობის მიმართულებებიც შეიცვალა. 1988 წელს აზიაზე მოდიოდა აშშ-ის ვაჭრობის 31%, მაშინ როდესაც ევროპის წილი 23%-ს შეადგენდა. იაპონიამ და სხვა აზიურმა ქვეყნებმა პროტექციონალისტური ღონისძიებების დანერგვის საშიშროებაზე პასუხად ევროპასთან

ვაჭრობა გაზარდეს. 1984 წლიდან საკუთარი შიდა დანაზოგებისა და სავაჭრო ბალანსის აქტიური საღივლი ხარჯზე და როგორც კაპიტალის მსხვილმა მსოფლიო ექსპორტიორმა, ნავთობის ქვეყანა-ექსპორტიორების ორგანიზაცია (ОПЕК) –ა შეცვალა.

კაპიტალის მსოფლიო ნაკადები: თეორიულად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საერთაშორისო კაპიტალი მიისწრაფის იქეთკენ, სადაც შემოსავლები და წარმადობა საკმაოდ მაღალია. უფრო მეტიც ჩვენთვის სამართლიანია ველოდოთ, რომ საწარმოო ფონდებიდან შემოსვლების სტრუქტურა სტაბილური უნდა იყოს, რამდენადაც ისინი მის საფუძველში ჩადებულ წარმადობასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. აღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენ არ გვექნებოდა საფუძველი კაპიტალის საერთაშორისო ნაკადებში სერიოზული ცვლილებები მიგველო. თუმცა ასეთ ცვლილებებს ბოლო 20 წლის განმავლობაში ნამდვილად ჰქონდა ადგილი. ერთ-ერთი ასეთი ცვლილება აშშ-ს ეხება.

1983 წლიდან კრედიტების საერთაშორისო ნაკადები აშშ-ში უწყვეტად იზრდებოდა. 1983-1990 წლებში კაპიტალის მსოფლიო ნაკადებმა აშშ-ში 879 მლრდ დოლარი შეადგინა, მათ შორის იაპონიაზე მოდიოდა 327 მლრდ დოლარი, ანუ 37%, ევროპულ კავშირზე 16% და ოფშორულ ცენტრებზე და განვითარებად ქვეყნებზე – 47%. აშშ-ში შემოსული უცხოური კაპიტალის დიდი ნაწილი იყო ინვესტირებული ამერიკულ სახელმწიფო ობლიგაციებში, სამრეწველო ობლიგაციებში, აქციებში და ასევე განხორციელებული იქნა პირდაპირი ინვესტიციები ზოგიერთ დარგებში. უცხოური კაპიტალის მნიშვნელოვანი ნაკადი აშშ-ს მთავრობის ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსებისათვის იყო გამოყენებული. რთული ურთიერთკავშირები აღნიშნულ „ორჯერად დეფიციტებს“ შორის ცალკე იქნება განხილული, თუმცა ასეთი სახის კონიუნქტურისას საკმარისია მითითებული იქნას, რომ „ორმაგ დეფიციტს“ არასტაბილურობის გაძლიერება ისევე შეუძლია, როგორც სავალუტო ბაზარზე აშშ-ის დოლარზე შემამცირებელ ზეწოლას. აღნიშნული არასტაბილურობა შეიძლება გამწვავდეს, თუკი უცხოელი ინვესტორები აშშ-ში ადრე დაბანდებული სახსრების გაწვევის გადაწყვეტილებას მიიღებენ.

ფინანსური ბაზრის გლობალიზაცია: 1980 წლიდან ფინანსური ბაზრების სისტემაში გლობალურ დონეზე დაიწყო ფუნქციონირება. წარმოიშვა ისეთი მსოფლიო ფინანსური ქსელი, რომელიც სხვადასხვა ქვეყნების წამყვანი ფინანსური ცენტრები შემადგენელია წარმოადგენს. მან ნიუ-იორკის და სხვა წამყვანი, ლონდონის, ტოკიოს და ციურხის ფინანსური ცენტრების ჩათვლით ერთმანეთს დაუკავშირა. ლონდონი – არის ევროვალუტის წამყვანი ცენტრი. ფასიანი ობლიგაციების ტოკიოს ბაზარი – ბოლო წლებში იაპონიაშია დანაზოგების დიდი მოცულობისა და კაპიტალის სიჭარბიდან გამომდინარე, უფრო პოპულარული გახდა. ციურხიც – ასევე ძირითადად უცხოური დეპოზიტების ანონიმურობის შედეგად, უცხოეთის ობლიგაციების წამყვან ბაზარს წარმოადგენს. სხვა საერთაშორისო ფინანსური ცენტრები, ისეთები, როგორცაა ფრანკფურტი, ამსტერდამი, პარიზი, ჰონკონგი, ბაგამის კუნძულები, კამაის კუნძულები, კაპიტალის მსოფლიო ნაკადებთან დაკავშირებულ სხვადასხვა ფუნქციებს ასრულებდნენ, რაც უფრო დეტალურად სხვა თავებში იქნება განხილული.

აღნიშნულ ცენტრებს შორის კავშირების განმტკიცებამ ფინანსური რეგულაცია გამოიწვია, რომელსაც გააჩნია სამი საკვანძო ასპექტი: საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების გლობალური მონაწილეობა, საერთაშორისო ფინანსური ინტეგრაცია და ფინანსური ინოვაციების სწრაფი განვითარება.

საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების გლობალური მონაწილეობა: პირველი ასპექტია ფინანსური რეგულაცია. იგი მსოფლიო კაპიტალის მზარდი ნაკადების ქვეყნებს შორის ფინანსური კონკურენციის გაძლიერებასთან არის დაკავშირებული. აღნიშნული ტენდენცია, სახელმწიფოს მხრიდან შიდა ბაზარზე საქმიანობაში ჩარევის მოცულობის შემცირებისა და კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის ლიბერალიზაციის ხელშეწყობის შედეგად, ცალკეული ქვეყნების მთავრობებზე ახდენენ ზემოქმედებას. აშშ-ი ფასიანი ქაღალდების წარმატებული და მზარდი ბაზარი 80-იან წლებში უცხოეთის ბანკებისა და ბროკერებისათვის მიმზიდველი იყო. იაპონიამ 1980 იანი წლების დასაწყისიდან უცხოური ვალუტის ბაზრისა და შიდა ფინანსური ბაზრის ლიბერალიზაცია დაიწყო. ანალოგიური გამოცდილება დიდმა ბრიტანეთმაც გამოიყენა კაპიტალზე 1979 წელს კონტროლის გაუქმებისა და აქციების ბაზრის რეფორმის („დიდი შოკის“) 1986 წლის ოქტომბერში განხორციე-

ლებით. შედეგად დიდი ბრიტანეთის ფინანსური ბაზრები ევროობლიგაციების საერთაშორისო ბაზრისა და აქციების ბაზრის საქმიანობის გაფართოების ხარჯზე მეტად მნიშვნელოვნად გაიზარდა.

საერთაშორისო ფინანსური ინტეგრაცია: ფინანსური რეგულაციის მეორე ასპექტი – შიდა და საერთაშორისო ფინანსურ ბაზრებს შორის ბარიერების აღმოფხვრასთან და ბაზრის აღნიშნულ სექტორებს შორის მრავალი კავშირები განვითარებასთან არის დაკავშირებული. თავისუფალ კაპიტალს შეუძლია თავისუფალ კაპიტალს შეუძლია თავისუფლად, შეზღუდვების გარეშე შიდა ბაზრიდან მსოფლიო ფინანსურ ბაზარზე და პირიქით გადანაწილდეს. იმდენად, რამდენადაც მიმდინარეობს ფინანსური ინტეგრაციის პროცესი, ფინანსური ინსტიტუტები აფუძნებენ ურთიერთგაცესების, დაკრედიტების, ინვესტირებისა და ფინანსური მომსახურების განხორციელების მიზნით აფუძნებენ ფილიალებს წამყვან ფინანსური ცენტრებში. საერთაშორისო ფინანსური ინტეგრაციას ტოლი ხარისხის სარგებლის მოტანა შეუძლია როგორც მსესხებლებისათვის ასევე კრედიტორებისათვისაც. მაგრამ მსესხებლები და კრედიტორები სხვადასხვა ხარისხის რისკის ზემოქმედებას განიცდიან საბაზრო რისკის, საპროცენტო რისკის, სავალუტო რისკისა და პოლიტიკური რისკის ჩათვლით. აღნიშნულის შემცირების მიზნით მისაღები რისკები და ზომები ქვემოთ ცალკე იქნება განხილული.

საერთაშორისო ფინანსური ინტეგრაცია ფინანსური ინსტიტუტების და ბაზრის სხვა მონაწილეების წინაშე მრავალ პრობლემას წარმოქმნის. პირველ რიგში, ინვესტირებისათვის შეიძლება რთული იყოს კაპიტალის საერთაშორისო ბაზარზე საქმიანობასთან მიმართებაში საიმედო მონაცემების მიღება, მაგალითად, მრავალი ფინანსური ოპერაცია, ისეთები როგორცაა, პროცენტული სვოპები, გარე საბალანსო მუხლებს მიეკუთვნებიან და ანგარიშების ჩვეულებრივი არხების მეშვეობით არ ფიქსირდებიან. სხვა პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ კაპიტალის ბაზრების ინტეგრაციამ კაპიტალის გადაღინების საწყისი პროცედურების გამარტივებამ მიგვიყვანა. ფულად-საკრედიტო დაწესებულებების ხელმძღვანელებისათვის ძნელია სახსრების მადესტაბილიზირებელი ნაკადების თავისდროულად პროგნოზირება ან აღმოჩენა იმისათვის, რომ მაკორექტირებელი სტრატეგიის ფორმირება იქნას განხორციელებული. დასასრულს, საბაზრო ინტეგრაციას ფინანსური ბაზრის ყველაზე სუსტი ადგილების გაძლიერება და მის საქმიანობაზე კონტროლის პრობლემის გართულება შეუძლია.

ფინანსური რეგულაციის მესამე ასპექტს – ფინანსური ინოვაციები, ანუ ახალი ფინანსური ინსტრუმენტებისა და ტექნოლოგიების შექმნა წარმოადგენს. ფინანსური ინსტიტუტები, ისეთები, როგორცაა ევროდოლარის დეპოზიტური სერთიფიკატები, ევროობლიგაციები ნულოვანი კუპონით, სინდიცირებული კრედიტები ევროვალუტაში, პროცენტული განაკვეთი, სავალუტო სვოპები და მოკლევადიანი ვალდებულებები ცვალებადი პროცენტით, საერთაშორისო ფინანსური ბაზრებზე, მეტად პოპულარული გახდნენ. ისინი ქვემოთ უფრო დეტალურად იქნება განხილული. ევროვალუტაში სინდიცირებული კრედიტების მოცულობების შემცირებას 1982 წლის შემდეგ, რომელიც თან განვითარება ქვეყნების დავალიანებების კრიზისი მოყვა, დააჩქარა სეკიურიტიზაციის პროცესი ანუ ფინანსურ ბაზრებზე კრედიტის საზიანოდ ფასიანი ქაღალდების როლის გაზრდის პროცესი. აღნიშნული პროცესის გამოყენებით, მსესხებელს შეუძლია შეამციროს დამოკიდებულება პირდაპირი საბანკო დაკრედიტებისაგან და მის ნაცვლად გამოუშვას მოკლევადიანი კომერციული თამასუქები ან მოკლევადიანი ობლიგაციები, რომელთა განთავსება კომერციული ან საინვესტიციო ბანკების მიერ არის გარანტირებული. აღნიშნული ინსტრუმენტები შეიძლება პერიოდულად იქნას გამოშვებული და გრძელვადიანი ფასიანი ქაღალდების მსგავსად მეორედ ბაზარზე გაყიდული. ევრონოტების გამოშვების პროგრამა წარმოადგენს ასეთი სეკიურიტიზაციის პროგრამას. ფასიანი ქაღალდების გამოშვება გაიზარდა 10 მლრდ დოლარიდან 1983 წელს 26 მლრდ დოლარზე უფრო მეტად 1985 წელს.

ტექნოლოგიურმა ინოვაციებმა გლობალიზაციის პროცესი დააჩქარეს და გააძლიერეს. კერძოდ, კავშირის საშუალებებმა საერთაშორისო ოპერაციების ჩატარების სიჩქარე და მათი მოცულობა გაზარდეს. აღნიშნულის შედეგად ინფორმაციებისა და კაპიტალის ნაკადები უფრო სწრაფად ხორციელდება. ტელეკომუნიკაციები ეხმარება ბანკებს დანაზოგები მთლიანი მსოფლიოს დეპოზიტური პულებიდან მოიხიდონ და სახსრები მსესხებლებისაკენ

ყველაზე მაღალი შემოსავლისა და ყველაზე დაბალი დანახარჯების პირობებზე მიმართონ. საინვესტიციო ბანკებს გარიგებები ობლიგაციებში და უცხოურ ვალუტაში შეუძლიათ СВИФТ-ის მეშვეობით გააფორმონ. კომერციულ ბანკებს შეუძლიათ აკრედიტივები გადახდების ელექტრონული სისტემების მეშვეობით უცხოეთში მათ წარმომადგენლობაში საკუთარი შტაბ-ბინებიდან განახორციელონ; ადგილობრივ ექსპორტიორებთან და იმპორტიორებთან აღნიშნული კავშირის უზრუნველყოფა კომპიუტერის მეშვეობით ხორციელდება.

ჯუმბერ ხარაიშვილი



მსოფლიო ეკონომიკურ ბარემოში მიმდინარე გლობალური ფინანსური ვლილებები

მეოცე საუკუნის ორმოცდაათიანი წლების შემდეგ ათწლეულების განმავლობაში მსოფლიო ეკონომიკურ გარემოში მნიშვნელოვანი ცვლილებები მიმდინარეობდა. 1950-იან წლებში სამრეწველო კორპორაციები შიდა ბაზრების აღორძინებით იყვნენ დაკავებული. 1960-იან წლებში წარმოებისა და ვაჭრობის სფეროში დასაქმებულმა ფირმებმა სწრაფად მზარდი საერთაშორისო ვაჭრობისა და უცხოური ბაზრების ზემოქმედების ქვეშ დაიწყეს გაფართოება. 1970-იან წლებში სხვადასხვა ფორმის ბიზნეს ორგანიზაციის საწარმოები, სახსრების საწარმოო სიმძლავრეებში და უცხოეთის გამანაწილებელ ცენტრებში ჩადებით, მრავალეროვნულები გახდნენ.

მსოფლიო ვაჭრობა და კაპიტალის საერთაშორისო ნაკადები 1980 წლიდან სწრაფი ზრდის შედეგად გახდა მიზეზი იმისა, რომ მრავალმა მსხვილმა ფინანსურმა

ფირმებმა, აგრეთვე წარმოებაში და ვაჭრობაში დასაქმებულმა ფირმებმა, საკუთარი განვითარების პერსპექტივების მსოფლიო მასშტაბამდე გაფართოებასთან დაკავშირება დაიწყეს. „გლობალური სტრატეგიები მოგების მისაღებად“ - ასეთი იყო იმ პერიოდის ტიპური ლოზუნგი. ბიზნესისა და ფინანსების აღნიშნულ გლობალიზაციას საფუძველში ჩადებული ჰქონდა შემდეგი: ტექნიკური პროგრესის მიღწევა, ისეთების, როგორიცაა კომპიუტერები და ტელეკომუნიკაციები; ეკონომიკაში და ფინანსებში სახელმწიფოს ჩარევის მოცულობის შემცირება მრეწველობა განვითარებულ ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა აშშ, დიდი ბრიტანეთი და იაპონია; კაპიტალის საერთაშორისო ნაკადების ზრდა, ანუ ისეთების, როგორიცაა საბანკო სესხები, საერთაშორისო ობლიგაციებისა და ღია ტიპის საინვესტიციო ფონდების პორტფელური კაპიტალდაბანდების გამოშვება.

აღნიშნული ტენდენციები, რომლებიც საქონელის, მომსახურების, კაპიტალისა და ადამიანის მოძრაობას ითვალისწინებენ მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციული პროცესების ხელშემწყობებს წარმოადგენენ. ბიზნესის გლობალიზაცია და მსოფლიო ფინანსებში მზარდი მოთხოვნილება 1980-იანი და 1990-იანი წლებისათვის დამახასიათებელი განმასხვავებელი ნიშან-თვისება გახდა და აღნიშნულმა ტენდენციებმა თავიანთი მნიშვნელობა XXI საუკუნის დასაწყისშიც შეინარჩუნეს.

მსოფლიო ფინანსების მასშტაბით, ჩვენ საქმე შემდეგ ოთხ მნიშვნელოვან ასპექტთან ვვაქვს:

პირველ რიგში, მსოფლიო ფინანსები გარემოს, საერთაშორისო ფინანსური ბაზრების, საერთაშორისო საბანკო საქმიანობის, კორპორაციების საერთაშორისო ფინანსების, ფასიანი ქაღალდების პორტფელის მართვისა და მათ შორის კავშირების მოცვით, ფინანსური სფეროს მსოფლიო მასშტაბით ანალიზის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა.

მეორე მხრივ, მსოფლიო ფინანსები მსოფლიო დონეზე ფინანსური ოპერაციების ურთიერთქმედების ახსნას ახორციელებენ, დამოუკიდებლად იმისა, თუ სად ხორციელდება იგი: მსხვილ ინდუსტრიულ ქვეყნებში, ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებში, განვითარებად ქვეყ-

ნებში თუ საბაზრო განვითარების გზაზე არც ისე დიდი ხნის წინ გადასული გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, ისეთები, როგორცაა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები თუ ჩინეთი.

მესამე, მსოფლიო ფინანსები მაკრო და მიკრო დონეზე ფინანსური საქმიანობის სრულ ანალიზს იძლევა. მიკროდონეზე კორპორაციების ფინანსების, ფინანსური ბაზრების, საბანკო ოპერაციების, პორტფელური ფასიანი ქაღალდების მართვის დეტალურ შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ამავე დროს ფინანსური საქმიანობა ყურადღებით შეისწავლება მაკროდონეზე, რამდენადაც მსოფლიო ფინანსური საქმიანობისა და ფინანსური ბაზრების მართვის არსის გაგებისათვის უფრო საერთო წარმოდგენის შედგენას არის საჭირო.

მეოთხე, მსოფლიო ფინანსები საერთაშორისო ფინანსური ოპერაციებისა და მისი მუდმივი ცვლილების პროცესის უწყვეტადობას ითვალისწინებს. ბოლო წლებში საერთაშორისო ფინანსური ოპერაციები გახდა დინამიური ძალა, რომელიც ცალკეული ქვეყნების ფინანსური სისტემისა და ამ ქვეყნების ფინანსურ სისტემებს შორის კავშირების გარდაქმნას ახორციელებენ. მსოფლიო ფინანსების სფერო ახალი ფინანსური მეთოდების შემუშავების მნიშვნელოვანი წყარო გახდა. თავის მხრივ, აღნიშნულმა რეგიონულ ფინანსურ სისტემაზე მოახდინა ზემოქმედება და რეგიონული ფინანსური ბაზრების ინტეგრაციას შეუწყო ხელი. მაგალითად, ევრობლიგაციის ბაზრის განვითარებამ ზემოქმედება იქონია არა მარტო ფასიანი ქაღალდების ევროპულ ბაზარზე, არამედ აშშ-ისა და იაპონიის შიდა ფინანსურ ბაზრებზეც.

მოცემული თავის შემდეგი ნაწილები წარმოდგენას იძლევა მსოფლიო ეკონომიკური გარემოსა და მსოფლიო ფინანსებს შორის ურთიერთკავშირების შესახებ. მსოფლიო ეკონომიკური გარემოს ცვლილებებმა მთავრობების, საქმიანი წრეებისა და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების წინაშე სერიოზული ამოცანები წამოაყენეს.

1930-იან წლებში და მეორე მსოფლიო ომის „დიდი დეპრესიის“ მტკივნეული გაკვეთილების შემდეგ აშშ-მა თავისთავზე ომის შემდეგ დახგრეული ეკონომიკის აღდგენის საქმეში დასავლეთ ევროპისა და აზიის ქვეყნებისათვის დახმარების გაწევის ლიდერის როლი აიღეს. ამერიკული მთავრობის აღნიშნულმა ძალისხმევამ ევროპაში მარშალის გეგმის და აზიაში განსაკუთრებით იაპონიაში და ჩინეთში დახმარების სხვადასხვა პროგრამების ფორმა მიიღეს. გარდა ამისა, საერთაშორისო თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების მიზნით, რამდენიმე მნიშვნელოვანი საერთაშორისო ორგანიზაციები იქნა ჩამოყალიბებული, მათ შორის: საერთაშორისო სავალუტო ფონდი (სსფ) 1944 წელს, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (რგსბ) 1945 წელს, გენერალური შეთანხმება ტარიფებთან და ვაჭრობასთან მიმართებაში (გშტვ) 1945 წელს და გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო) 1949 წელს.

ომის შემდგომ წლებში 1950 წლიდან 1990 წლის პერიოდში, მსოფლიო გარემომ და ეკონომიკურმა სტრუქტურამ უდიდესი ცვლილებები განიცადეს. საერთაშორისო ვაჭრობის მნიშვნელოვანმა ზრდამ და საერთაშორისო კაპიტალის სწრაფმა მოდინებამ, სამეცნიერო-ტექნიკური პროცესის მზარდმა ტემპმა და კომუნისტური სისტემიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ აღმოსავლეთ ევროპაში რეგიონალური თანამშრომლობა და მსოფლიო ინტეგრაცია დააჩქარეს. აღნიშნული მიღწევების შედეგად ბანკების, კორპორაციებისა და ინვესტორების წინაშე მრავალი ამოცანა იქნა დასახული და სხვადასხვა პერსპექტივები წარმოჩნდა.

ცვლილებები მსოფლიო ეკონომიკური გარემოში: – ზემოთ აღნიშნულმა ომისშემდგომმა ცვლილებებმა მსოფლიო გარემოს ფორმირების ახალი ეტაპი განსაზღვრეს, რომელიც დღესაც გრძელდება. საერთაშორისო ფულადი სისტემის ევოლუციის შესახებ წარმოდგენას თავი 3-ში განვიხილავთ, ამ თავში კი მოკლე ისტორიული ექსკურსი გვაქვს შემოთავაზებული იმისათვის, რომ ბოლო 35 წლის განმავლობაში მსოფლიო ეკონომიკური გარემოს მომცველი ცვლილებების შეფასება იყოს შესაძლებელი. გარემოებებს შორის, რომლებმაც მსოფლიო ეკონომიკაში და ფინანსურ გარემოში სერიოზული ცვლილებები გამოიწვიეს, იყო შემდეგი¹:

¹ გ. ცაავა, ფინანსური ინჟინერია. თბ., 2013.

1) ევროდოლარების ბაზრის წარმოშობა 1957 წელს ლონდონში ბრიტანული მთავრობის მხრიდან ფუნტი სტერლინგზე კონტროლის განხორციელების საპასუხოდ;

2) ევროპული ეკონომიკური თანამეგობრობის (EЭC) ჩამოყალიბება 1958 წელს, რომელიც დასაწყისში როგორც საერთო ბაზარი, იყო ცნობილი, დღეს კი მას ჩვეულებრივად ევროპულ კავშირს (EC) უწოდებენ;

3) ამერიკული კორპორაციების მხრიდან უცხოეთში საქმიანობის გაფართოების სურვილი (50-იანი წლების შუა პერიოდიდან). იაპონური და ევროპული კორპორაციების მიერ მსოფლიო ბაზარზე, აგრეთვე ამერიკულ და უცხოეთის მრავალეროვნულ კორპორაციებს შორის როგორც საერთაშორისო არენაზე, ასევე აშშ-ში მზარდი კონკურენციის შედეგად საქმიანობასთან მიმართებაში მზარდი მნიშვნელობის მინიჭება;

4) შორეულ აღმოსავლეთში ბიზნესისათვის ახალი საქმიანი შესაძლებლობების გამოჩენა, რაც 60-იანი წლებიდან დაწყებული იაპონიის სწრაფი ეკონომიკური ზრდით იყო გამოწვეული;

5) მსოფლიო ფინანსური კრიზისი 1971 და 1973წ., რომელმაც ბრეტონ-ვუდსის სისტემის კრაზი და ფიქსირებული სავალუტო კურსების სისტემიდან მცურავ სავალუტო კურსებზე ფორმალური გადასვლა გამოიწვია.

6) მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაზე 1974 წლისა და 1979 წლის ნავთობის პირველმა და მეორე კრიზისებმა სერიოზული ზეწოლა მოახდინეს; ამ პერიოდში ნავთობის ქვეყანა-ექსპორტიორების ორგანიზაციამ (OПEK) მნიშვნელოვნად გაზარდა ფასები ნავთობზე;

7) მსოფლიო სავალ კრიზისის დასაწყისი 1982 წელს და ვალების მომსახურების პრობლემების გამო, რომლის წინაშე განვითარებადი ქვეყნები აღმოჩნდნენ.

8) იაპონიის წამყვან საერთაშორისო ფინანსური ძალად და მსოფლიო კაპიტალის წყაროდ გარდაქმნა 1980-იან წლებში?

9) 1987 წლის თებერვალში 7 ქვეყანამ („დიდი შვიდეული“) პარიზში ლუვრსკის შეთანხმებას მიაღწიეს. მათ მერყეობის ვიწრო ჩარჩოებში აშშ-ის შესუსტებული დოლარის მხარდაჭერა დაგეგმეს დოლართან მიმართებაში თავიანთი ვალუტების გაცვლითი კურსის ხელშეწყობად მხარდაჭერის განხორციელების გზით. მათ ასევე საკუთარ ქვეყნებში შეთანხმებული ეკონომიკური პოლიტიკის გატარებასაც ჰქონდათ განზრახული;

10) 1987 წელს ევროპულმა ეკონომიკურმა თანამეგობრობამ (EЭC) უნიფიცირებული ევროპული ბაზრი შექმნა, რომელიც დასავლეთ ევროპის ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობის მნიშვნელოვნად შეცვლას ითვალისწინებდა.

11) 1989-1992 წლებში აღმოსავლეთ ევროპულმა კომუნისტურმა ქვეყნებმა, კომუნისტურიდან მრავალპარტიულ მთავრობებზე, ეკონომიკის ცენტრალიზებული მართვიდან თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლით, საკუთარი პოლიტიკური სისტემა შეცვალეს. აღნიშნულმა ცვლილებებმა მსოფლიო პოლიტიკაზე, ეკონომიკაზე და ფინანსებზე ღრმა ზემოქმედება მოახდინეს;

12) 1992 წლის შემდეგ უნიფიცირებული ევროპული ბაზრის წარმოქმნისა და 1993 წლის ნოემბერში თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ჩრდილოამერიკული შეთანხმების ძალაში შესვლის შედეგად, აგრეთვე 1993 წელს აშშ-ში აზიურ-წყნაროკეანური ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ კონფერენციამ 90-იან წლებში რეგიონალური განვითარება დააჩქარეს.

მსოფლიო ეკონომიკური სტრუქტურის ცვლილებები: გამომდინარე იქიდან თუ როგორ ხორციელდება საქონლის წარმოება და გასაღება (გაყიდვა) იგი მსოფლიო ეკონომიკური სტრუქტურაზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს. უნდა აღინიშნოს, რომ საერთო სახით, მსოფლიო წარმოებაში და ვაჭრობაში ბუნება და მიმართულებები წლიდან წლამდე არსებითად არ იცვლება. მაგრამ გრძელვადიანი პერსპექტივების გათვალისწინებით აღნიშნული მიმართულებების ცვლილებებმა მსოფლიო ფინანსური ნაკადების სიდიდეზე და სტრუქტურაზე სათანადო ზემოქმედება მოახდინეს.

ორი უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში აღნიშნული იქნა 4 ძირითადი სტრუქტურული ტენდენციები:

- სანედლეულო და მრეწველობა განვითარებად ქვეყნებს შორის ურთიერთობებში ცვლილებები;

- მრეწველობა განვითარებული ქვეყნების შრომატევადიდან მეცნიერებატევად წარმოებაზე გადასვლა;

- მსოფლიო ვაჭრობაში კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის მნიშვნელობის ამაღლება;

- მრავალფეროვანი კორპორაციების საქმიანობის, მათ შორის ერთობლივ საწარმოებში საერთაშორისო ინვესტირების დივერსიფიკაციის ხარისხის ამაღლება და შეთანხმებები პარტნიორობის შესახებ.

ტრადიციულად სანეღლეულო და მრეწველობა განვითარებულ ქვეყნებს შორის მჭიდრო კავშირები არსებობდა. ურთიერთდამოკიდებულების მოდელი იყო შემდეგი: სანეღლეულო ქვეყნები საკუთარი პროდუქციის ექსპორტირებას ახორციელებენ მრეწველობა განვითარებულ ქვეყნებში და ექსპორტიდან შემოსავლებს მზა ნაკეთობების იმპორტისათვის იყენებენ. აღნიშნული ტენდენციები შეიცვალა სანეღლეულო საქონელზე ფასების მკვეთრად შემცირების შედეგად ნავთობპროდუქტების გამოკლებით. 70-იანი წლების შუა პერიოდში დასავლეთევროპული ინტელექტუალების ჯგუფმა, რომლებიც რომის კლუბის სახელწოდებით არის ცნობილი, 1987 წლისათვის მსოფლიო მასშტაბით ბუნებრივი რესურსების უმეტესობის გლობალური დეფიციტი იწინასწარმეტყველეს. აღნიშნულ მოსაზრებებზე დაფუძნებით, მრავალმა სანეღლეულო ქვეყნებმა საკუთარი სავალუტო შემონატანების გადიდების მიზნით ნეღლეულის ძირითადი სახეობების მიწოდებასთან დაკავშირებით კარტელების შექმნა მოიახრეს, თუმცა ОПЕК-ის მაგალითის დანერგვის აღნიშნული მცდელობა ვერ განხორციელდა. 1986 წელს გაერომ, 1971-1981 წლების პერიოდში ნეღლეულის ძირითად სახეობებზე ფასების საშუალო ინდექსის საწყისი სიდიდის სახით (100%) ადებით, მოცემული მაჩვენებელი საწყისისაგან 50%-ის დონეზე განსაზღვრა. ნეღლეულის ძირითად სახეობებზე ფასებში ხანგრძლივი შემცირება შეიძლება მოთხოვნისა და მიწოდების ცვლილებების ხარჯზე იქნას გადატანილი. 70-იან წლებში ფასების გადიდების მოლოდინმა, განსაკუთრებით მსოფლიო მეტალურგიულ მრეწველობაში, ინვესტიციებისა და საწარმოო სიმძლავრეების ზრდამდე მიგვიყვანა. ცვლილებებმა ტექნოლოგიებში ასევე უარყოფითად იმოქმედა მოთხოვნაზე. მაგალითად, სატელეკომუნიკაციო კომპანიები ამჟამად კაბელის დასამზადებლად ოპტიკურ ბოჭკოებს იყენებენ, მაშინ როდესაც ადრე მხოლოდ სპილენძის მავთული გამოიყენებოდა. ტექნოლოგიების განვითარებამ ასევე ბევრ ქვეყანაში მარცვლეულისა და კვების პროდუქტების შიდა წარმოების გადიდებას შეუწყო ხელი, რამაც კვებით პროდუქტებით საერთაშორისო ვაჭრობის მოცულობის შემცირებამდე მიგვიყვანა.

მეორე ცვლილება მსოფლიო ეკონომიკური სტრუქტურაში გახდა ნაკლებად კვალიფიცირებული მუშაკების ხარჯზე (ანუ შრომატევადიდან მეცნიერებატევად წარმოებაზე გადასვლა) დასაქმების სტრუქტურაში მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების წილის გადიდება. მრეწველობა განვითარებულ ქვეყნებში ავტომატიზაციის, კომპიუტერიზაციისა და რობოტიზაციის ზრდამ „თეთრი საყელოიანების“ დასაქმების უფრო მაღალი დასაქმება გამოიწვია „ლურჯი საყელოებისაგან“ განსხვავებით. ინფორმაციების გაცვლის სიმარტივე ასტიმულირებს სამწარმოო საქმიანობას, მცირე ბიზნესს და პირად ინიციატივას. სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევების გამოყენებისათვის მაღალკვალიფიციური და განათლებული მუშაკებია საჭირო. შედეგად მუშახელზე დანახარჯები (პროდუქციის თვითღირებულების სტრუქტურაში) ნაკლებად მნიშვნელოვანი გახდა, ვიდრე იყო ადრე. აღნიშნულის ნაცვლად, მთლიანობაში წარმადობისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის, ადამიანურ კაპიტალში ინვესტიციები (შესაძლებლობები და შრომითი გამოცდილება, დამატებით შემოსავლის მომტანია) უფრო მნიშვნელოვანი გახდა.

მესამე და უმნიშვნელოვანესი ცვლილება გახდა ის, რომ მსოფლიოში კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის უფრო მეტი ზრდა განხორციელდა, ვიდრე საერთაშორისო ვაჭრობაში. მსფ-ის საერთაშორისო ფინანსური სტატისტიკის მონაცემების შესაბამისად მსოფლიო ექსპორტმა 1981 წელს 2000 მლრდ დოლარის დონეს მიაღწია, იგი 1982-1983 წწ. მცირედით შემცირდა, მაგრამ 1991 წელს მისი მოცულობა კვლავ მნიშვნელოვნად 3447 მლრდ დოლარამდე გაიზარდა. სხვადასხვა ქვეყნების ხვედრითი წილის ცვლილების გარდა მსოფლიო ექსპორტის სტრუქტურაში არსებითი ცვლილებები არ განხორციელებულა. მაგრამ აღნიშნულ პერიოდებში კაპიტალის საერთაშორისო ნაკადები მნიშვნელოვნად გაიზარდა. აღნიშნული გადიდება ევროვალუტების, საერთაშორისო ობლიგაციების ბაზრებზე და უც-

ხოური ვალუტების ბაზარზე აისახა. ევროვალუტის ბაზრის სიდიდე 1155 მლრდ დოლარი-დან 1981 წელს გაიზარდა 3660 მლრდ დოლარამდე გაიზარდა. გარდა ამისა, უცხოური ვალუტის ყოველდღიური ბრუნვა სამ წამყვან საერთაშორისო ფინანსური ბაზრებზე მნიშვნელოვნად გაიზარდა. 1986-1992 წწ. საშუალო ყოველდღიური უცხოური ვალუტის ბრუნვა ლონდონში 90-დან 303 მლრდ დოლარამდე, ნიუ-იორკში – 50-და 192 მლრდ დოლარამდე, ხოლო ტოკიოში 48-დან 128 მლრდ დოლარამდე გაიზარდა.

მეოთხე მნიშვნელოვანი ცვლილება ეკონომიკურ სტრუქტურაში გახდა მრავალეროვნული კორპორაციებისა და სხვადასხვა ქვეყნების MNC-ს ერთიანი საწარმოების მზარდი მნიშვნელობა. თავისი არსით, მრავალეროვნულმა კორპორაციებმა საკუთარი ორგანიზაციული, საწარმოო და მარკეტინგული სტრუქტურები უცხოეთის ქვეყნებზე გაავრცელეს, და ამით ქვეყნებს შორის საქონელის, მომსახურების, კაპიტალისა და ტექნოლოგიების მოძრაობას შეუწყვეს ხელი. ერთობლივი საწარმოების მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს კორპორაცია GM-Toyota-ს ინვესტიციები ავტომობილების წარმოებისათვის აშშ-ში ამერიკელმა მეწარმეებმა კომპიუტერების წარმოებასთან დაკავშირებით ერთობლივი საწარმოების შექმნით მნიშვნელოვნად გაზარდეს დასავლეთ ევროპის ბაზრებზე შეღწევალობის კოეფიციენტი.

ნოდარ ხარაიშვილი



მსოფლიო ბანკის ჯგუფის სამიანოზის ძირითადი მიმართულებები

ბრეტონ-ვუდსის კონფერენციაზე (ნიუ-ჰემფშირი, აშშ) 28 სახელმწიფოს მიერ ხელმოწერის შედეგად შეიქმნა მსოფლიო ბანკი. მისი მთავარი მიზანი იყო მსოფლიოს მასშტაბით უღარიბესი ქვეყნების ეკონომიკის განვითარების გზით, სიღარიბესთან ბრძოლა და ეკონომიკური ზრდის წახალისებისა და მხარდაჭერის მეშვეობით ადამიანების ცხოვრების პირობების გაუმჯობესება. თუ გაითვალისწინებთ, რომ იმ 4.7 მილიარდი ადამიანი-დან, რომელსაც მსოფლიო ბანკის პროგრამები დღეს ემსახურება, სამი მილიარდის ხელფასი დღეში 2 დოლარზე, ხოლო 1.3 მილიარდისა კი - 1 დოლარზე ნაკლებია, ცხადი ხდება, რომ

მსოფლიოში სიღარიბის აღმოფხვრამდე ჯერ კიდევ დიდი გზაა გასავლელი. ფაქტია ისიც, რომ ყოველწლიურად მსოფლიოში 40 მილიონამდე ბავშვი იღუპება ისეთი დაავადებებისგან, რომელთა მორჩენაც შესაძლებელია.

ბრეტონ-ვუდსში ჩამოყალიბებულ მიზნებს დღეს მსოფლიო ბანკის ჯგუფი ემსახურება, რომელშიც შედის²:

1. რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (IBRD);
2. განვითარების საერთაშორისო ასოციაცია (IDA, შეიქმნა 1960 წ.);
3. საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC, შეიქმნა 1956 წ.);
4. მრავალმხრივი საინვესტიციო გარანტიების სააგენტო (MIGA, შეიქმნა 1988 წ.).

განვიხილოთ, თუ როგორ ნაწილდება ფუნქციები თითოეულ მათგანს შორის.

რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) უმთავრესი მიზანი კაპიტალის საერთაშორისო დინების ხელშეწყობა და ომისგან განადგურებული სახელმწიფოების აღდგენაში დახმარების გაწევა იყო. დღეს ეს ორგანიზაცია იმ განვითარებად ქვეყნებზე გასცემს სესხებს, რომელთა მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით შედარებით მაღალია. ბანკის სესხების 90% საერთაშორისო საფინანსო ბაზრებიდან ფინანსდება. 2007 წელს ბანკისგან სესხი 42 ქვეყანამ 141 პროექტზე მიიღო, რაც ფინანსურად 14.5 მლრდ აშშ დოლარში გამოიხატა. ბანკის საფინანსო ვალდებულებების 26% კი გრძელვადიანი ეკონომიკური რეფორმების პროექტების დაფინანსებას უკავშირდებოდა. ბანკის სესხები განთავსებული იყო ისეთ დარგებში, როგორებიცაა ნავთობისა და

² www.una.org.ge

გაზის მრეწველობა, ინდუსტრია და მადნეულის მოპოვება, ტრანსპორტი, სასმელი წყლითა და სანიტარული პირობებით უზრუნველყოფა, საფინანსო სექტორი.

თანამედროვე ეტაპზე რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (რგსბ) საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- განვითარებადი ქვეყნებისთვის გრძელვადიანი სესხების და კრედიტების მიცემა საწარმოო მიზნით, სოფლის მეურნეობის და სასოფლო რეგიონების, ენერჯეტიკის განვითარებისთვის; შესაბამისი მთავრობების დავალიანებათა დაფარვაზე გარანტიების გაცემა, სესხების გაცემა კონკრეტული პროექტებისთვის;

- სესხების გაცემა განვითარებადი ქვეყნებში ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის, გზატკეცილების და რკინიგზების, ელექტროკავშირის, ქალაქის პორტების, ენერჯეტიკული დანადგარების შესაქმნელად, ასევე განათლების, ჯანდაცვის განვითარებისთვის კადრების მოსამზადებლად.

- განვითარებადი ქვეყნებისთვის ტექნიკური დახმარების გაწევა, რომელიც იყოფა შემდეგ სახეობად: ა) ტექნიკური დახმარება, რომელიც ფინანსდება როგორც სესხების და კრედიტების შემადგენელი ნაწილი - უვადო სესხები და კრედიტები ტექნიკურ დახმარებაზე; ტექნიკური დახმარება, რომელიც ფინანსდება ფონდის მეშვეობით პროექტების მომზადებისას; ბ) ტექნიკური დახმარება, რომელსაც უწევს რგსბ, მაგრამ არ აფინანსებს – იგი ასრულებს ადმინისტრაციული ორგანოს როლს. აქ ჩართულია რგსბ-ის ხელმძღვანელობით განხორციელებული პროექტები; გ) ტექნიკური დახმარება ადმინისტრაციული ბიუჯეტის ხარჯზე.

განვითარების საერთაშორისო ასოციაცია (IDA) ფორმალურად რგსბ-სგან დამოუკიდებელია, ამასთან რგსბ-ის პრეზიდენტი განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (გსა) პრეზიდენტი, ე.ი. ფაქტობრივად რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი აკონტროლებს განვითარების საერთაშორისო ასოციაციას. გსა-ის შემადგენლობაში შედის 159 ქვეყანა, რომელთაგან 26 განვითარებადია. გსა ფინანსურ დახმარებას შელავათიანი პირობებით მსოფლიოს უღარიბეს ქვეყნებზე გასცემს, რომელთაც სესხების მომსახურება თავად არ შეუძლიათ. ასოციაციის სესხები, რომელთაც „კრედიტებს“ უწოდებენ, იმ ქვეყნებისთვისაა განკუთვნილი, რომელთა მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე 925 აშშ დოლარზე ნაკლებია. შერჩევასას ასევე გამოიყენება შემდეგი კრიტერიუმები: ა) ქვეყანაში დამაკმაყოფილებელი ეკონომიკური, ფინანსური და პოლიტიკური სტაბილურობა უნდა იყოს, რომ განვითარების მიზნით გაცემულმა გრძელვადიანმა კრედიტებმა გაამართლოს; ბ) ქვეყანა სერიოზულ სიძნელეებს უნდა განიცდიდეს საგადასახდლო ბალანსთან დაკავშირებით; გ) ქვეყნის პოლიტიკა მიზანმიმართული უნდა იყოს ეკონომიკურ განვითარებაზე. ეს კრედიტები 35-40 წლით გაიცემა და მათზე საბანკო პროცენტი არ დაერიცხება³, მეტად მცირე მომსახურების ხარჯების გარდა. კრედიტის დაბრუნება მისი გაცემიდან 10 წლის შემდეგ იწყება.

ფინანსური რესურსების უდიდეს ნაწილს გსა დონორი ქვეყნებისგან იღებს. ყოველ მესამე წელს ფონდების შევსება ხდება. 2007 წელს ასოციაციამ 50 ქვეყანაზე 6 მლრდ აშშ დოლარზე ოდნავ ნაკლები გასცა ისეთ სფეროებისთვის, როგორებიცაა სოფლის მეურნეობა, ჯანდაცვა, საწყისი განათლება, საკმაოდ სერიოზული ინვესტიციები განხორციელდა გარემოს დაცვით და ქალთა უფლებებთან დაკავშირებულ პროექტებში.

საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) როლი განვითარებადი ქვეყნების კერძო ბიზნესის დახმარებასა და მის განვითარებაში მდგომარეობს. საერთოდ კორპორაცია რამდენიმე როლში გვევლინება. ერთის მხრივ, ის ცდილობს მოახდინოს კერძო ინვესტორების მობილიზაცია კონკრეტული პროექტებისთვის და ამ პროექტების დაფინანსებაში მცირე როლი თავადაც იტვირთოს. ამავე დროს, კორპორაცია მოქმედებს, როგორც ბიზნეს-ორგანიზაცია და ამ ინვესტორებთან ერთად მომგებიანი წარმოების დაარსებისას რისკს იწვევს. რაც შეეხება პირდაპირ ინვესტიციებს, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (სსკ) მათ მხოლოდ იმ შემთხვევაში ასორციელებს, თუკი ის რაღაც განსაკუთრებულ მიზანს ემსახურება. ასეთ შემთხვევად შეიძლება ჩაითვალოს, მაგალითად, ქვეყანაში საწყისი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა.

³ www.una.org.ge

სსკ ფონდებს ძირითადად საფინანსო ბაზრებიდან სესხების აღების გზით აყალიბებს, რაც მისი ფინანსური სიძლიერისა და საერთაშორისო რეპუტაციის გამო გაადვილებულია. სტრუქტურულად სსკ მსოფლიო ბანკის ჯგუფში ცალკე ფუნქციონირებს. 2007 წელს კორპორაციის ღირებულება საბჭომ 6.7 მლრდ აშშ დოლარის ღირებულების 276 პროექტი დაამტკიცა.

მრავალმხრივი საინვესტიციო გარანტიების სააგენტოს (MIGA) მიზანი განვითარებად ქვეყნებში უცხოური კერძო კაპიტალის მოდინების ხელშეწყობაა. უპირველესი საფრთხე, რაც კერძო ინვესტორებს აშინებთ - პოლიტიკური რისკია, ანუ მათ არ აქვთ გარანტია, რომ მმართველი რეჟიმის შეცვლა ან სხვა მსგავსი მოვლენა ინვესტიციებს არ დააკარგვინებს. მრავალმხრივი საინვესტიციო გარანტიების სააგენტო (მსგს) კერძო ბიზნესის ინვესტიციებს არაკომერციული (ანუ პოლიტიკური) რისკისგან აზღვევს. მსგს-ს კაპიტალი 1 მლრდ აშშ დოლარს უახლოვდება და 145 წევრი ქვეყნის შენატანებისგან შედგება, და კიდევ 19 ქვეყანა სააგენტოში გაწევრიანებას ელოდება. თუ გავითვალისწინებთ, რომ სააგენტოს საქმიანობამ 40 განვითარებად ქვეყანაში 40 მლრდ აშშ დოლარის ექვივალენტური კერძო უცხოური ინვესტიცია მიიზიდა, მისი საქმიანობა საკმაოდ წარმატებულად უნდა ჩათვალოს.


დასკვნის სახით, *მსოფლიო ბანკის* საქმიანობა შეიძლება მოკლედ შემდეგი სახით ჩამოვყალიბოთ:

- მსოფლიო ბანკის მიზანი, ახალი საერთაშორისო ბაზრების გახსნისა და ეკონომიკის განვითარების გზით, ცხოვრების ხარისხის ზრდა და ადამიანთა კეთილდღეობის განვითარებაა, განსაკუთრებით მსოფლიოს უღარიბეს ქვეყნებში;

- მსოფლიო ბანკის საქმიანობა ემყარება რწმენას, რომ სოციალური განვითარების წინაპირობას ეკონომიკური სტაბილურობა წარმოადგენს. შესაბამისად, ბანკი ცდილობს საერთაშორისო საფინანსო ბაზრებზე მოიპოვოს სახსრები ყველაზე დაბალი შესაძლო საპროცენტო განაკვეთით და ეს სახსრები, სესხების სახით, წევრ-ქვეყნებზე გასცეს;

- მსოფლიო ბანკი სესხებს გასცემს განვითარებადი ქვეყნების მთავრობებზე ინვესტიციებისა და ეკონომიკური ზრდის წასახალისებლად. სესხები ინფრასტრუქტურის განვითარებას, პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამებსა და სახელმწიფოების ეკონომიკური სტრუქტურის მოდერნიზაციას ხმარდება.

მათემატიკა



იოსებ ფიჩხუა

რამდენიმე თეორემა ფურიეს ტრიგონომეტრიული მწკრივების განშლადობის შესახებ

ვთქვათ, R არის ნამდვილ რიცხვთა სიმრავლე, რომელზეც განსაზღვრულია 2π პერიოდული ფუნქცია $f: R \rightarrow R$. დავუშვათ $f \in L[-\pi; \pi]$, მაშინ f ფუნქციის ფურიეს ტრიგონომეტრიულ მწკრივს აქვს სახე:

$$f \sim \frac{a_0}{2} + \sum_{n=1}^{\infty} (a_n \cos nt + b_n \sin nt).$$

ხოლო მის შეუღლებულ ტრიგონომეტრიულ მწკრივს ექნება სახე:

$$f \sim \sum_{n=1}^{\infty} (-b_n \cos nt + a_n \sin nt).$$

სადაც,

$$a_k = \frac{1}{\pi} \int_{-\pi}^{\pi} f(t) \cos kt dt, \quad b_k = \frac{1}{\pi} \int_{-\pi}^{\pi} f(t) \sin kt dt, \quad k \in N.$$

მაშინ ფურიეს ტრიგონომეტრიულ მწკრივის კერძო ჯამს ექნება სახე:

$$S_m(t; f) = \frac{1}{\pi} \int_{-\pi}^{\pi} f(y+t) D_m(y) dy,$$

სადაც

$$D_m(y) = \frac{1}{2} + \cos y + \dots + \cos my = \frac{\sin(m + \frac{1}{2})y}{2 \sin \frac{y}{2}},$$

რომელსაც დირეხლეს ბირთვი ეწოდება.

$\{\chi_m(t)\}_{m=1}^{\infty}$ -ით ავლნიშნოთ ორთონორმირებული ჰაარის სისტემა, სადაც $t \in [0; 1]$.

ჰაარმა დაამტკიცა, რომ თუ $f(t) \in L[0; 1]$, მაშინ ფურიე-ჰაარის მწკრივი

$$\sum_{m=1}^{\infty} a_m(f) \chi_m(t),$$

კრებადია თითქმის ყველგან $[0; 1]$ შუალედზე $f(t)$ ფუნქციისკენ, სადაც

$$a_m(f) = \int_0^1 f(y) \chi_m(y) dy$$

მტკიცდება შემდეგი

ლემა 1. არსებობს 2π -პერიოდული $\{\varphi_n(t)\}_{n=1}^{\infty}$ ფუნქციათა მიმდევრობა, რომელიც აკმაყოფილებს პირობებს:

1. ფუნქცია $\varphi_n(t) \geq 0$, როცა $t \in [0; 2\pi]$, ხოლო ინტეგრალი

$$\int_0^{2\pi} \varphi_n(t) dt = 2 \quad (n = 1, 2, \dots)$$

2. $\varphi_n(t)$ ფუნქცია $[0; 2\pi]$ შუალედში გააჩნია შემოსაზღვრული ვარიაცია.

3. ყოველ $\varphi_n(t)$ ფუნქციისთვის შეიძლება შერჩეულ იქნას ისეთი დადებითი რიცხვი M_n , სიმრავლე $E_n \subset [0; 2\pi]$ და q_n მთელი რიცხვი ისეთი, რომ

$$\lim_{n \rightarrow \infty} M_n = \infty; \quad \lim_{n \rightarrow \infty} \text{mes } E_n = 2\pi$$

ყოველი t წერტილისთვის E_n სიმრავლეში არსებობს $p_n(t)$ ნომერი ისეთი, რომ

$$p_n(t) \leq p_n \quad \text{და} \quad \left| S_{p_n}(t; \varphi_n) \right| > M_n \quad (n = 1, 2, \dots),$$

სადაც $S_p(t; \varphi_n)$ - ფურიეს ტრიგონომეტრიული მწკრივის კერძო ჯამია.

ამ ლემის საფუძველზე მტკიცდება

თეორემა 1. (აკოლომოგოროვ) არსებობს $\Phi(t) \in L(0; 2\pi)$ ფუნქცია ისეთი, რომ მისი ფურიეს ტრიგონომეტრიული მწკრივი განშლადია თითქმის ყველგან.

თეორემა 2. არსებობს

$$\sum_{m=1}^{\infty} a_m \chi_m(t), \quad \text{სადაც} \quad \sum_{m=1}^{\infty} a_m^2 < \infty$$

მწკრივი, რომლის შემოსაზღვრული წევრთა შესაბამისი გადაადგილების შემდეგ განშლადია თითქმის ყველგან $[0; 1]$ -ზე.

თეორემა 3. $L^2(0,1)$ სივრცეში, ნებისმიერი $\{f_k\}_{k=1}^{\infty}$ ბაზისისთვის არსებობს $F \in L^2(0,1)$ ფუნქცია ისეთი, რომ მისი ფურიეს მწკრივი

$$F(t) = \sum_{k=1}^{\infty} \alpha_k f_k(t) \quad (\alpha_k = (F, \psi_k))$$

რომლის შემოსაზღვრული წევრთა შესაბამისი გადაადგილების შემდეგ განშლადია თითქმის ყველგან $[0; 1]$ -ზე. სადაც $\{\psi_k\}$, არის $\{f_k\}$ სისტემის შეუღლებული სისტემა.

ლიტერატურა

1. П. Л. Ульянов А. Н. Колмогоров и расходящиеся ряд Фурье Успех матю наук. т.38 вып. 4(232) 1983 г.
2. Л. В. Жижиашвили некоторые вопросы теории тригонометрических рядов Фурье и их сопряженных Издательство Тбилисского университета 1993г.

ფსიქოლოგია
—••••• —••••• —•••••

ელგუჯა მამუკელაშვილი

ღრო, სივრცე და უპასუხო კითხვები

კაცობრიობის გონითი სიბრძნე
გამუდმებით სწავლობს ღროის, სივრცისა და
ადამიანის ამოუხსნელ ფენომენს!
ელგუჯა!
10.05.2014წელი

უსასრულოდ მოძრავი ღრო სცვეთავს
ადამიანს!
ელგუჯა! 16.09.2014 წელი

მარადიულ ღროსა და სივრცეში
ხანმოკლედ ცხოვრობს ადამიანი!
ელგუჯა! 26.07.2014წელი

დედამიწისეული სივრცე ზღუდავს
ადამიანს!
ელგუჯა 18.11.2014 წელი

დააკვირდი როგორ გაიარე ცხოვრების
მოკლე გზა!
23.10.2014 წელი

ადრეული ქართველების ღროის ერთეულები:
მზის ამოსვლა
მზის ჩასვლა . . .
დილა, შუა დღე, საღამო . . .
საუზმის, სადილის, ვახშმის ღრო.
მამლის ყივილი (ორჯერ, სამჯერ) . . .
მავნის ჯვრის წერა, . . .
მავნის ნათლობა . . .
პურის გამოცხობის დღე . . . და სხვ.
ცაზე მრავლის ამოსვლა („მრავალი“ - უშორესი ვარსკვლავების ჯგუფი)

ღრო არენს და ღრო კლავს ყოველივეს!

ელგუჯა 31.10.2014

გასულაო ხანი დიდი – ზებედე!
გასულაო ღრო დაუდღელი მდინარებით!
გასულაო წლები შორს!
გასულაო სიცოცხლის ღონე ჩემგან! – ჩიოდა სხვაგინარი!
მოუსვენრობდაო ბრძენი ღვთის მსახური სხვაგინარი.
რა არისო ღრო?! ეძიებდა სხვაგინარი დაეჭვებით!
რა არისო ღრო – უსასრულო მარადიულობა?!
რა არისო ღრო – მარადიული უსასრულობა?!
რა არისო ღრო – კაცთაგან დაცალკევებული?!
რა არისო ღრო – შეუცნობელი დანაწილებით! . . .

წამი . . .
წუთი . . .
საათი . . .
დღე . . .
ღამე . . .
კვირა . . .
თვე . . .
წელიწადი . . .
საუკუნე . . .
უსასრულობა . . .

არისო დრო კაცთაგან ცალკე – ზებედე, მოძღვარო! . . .
არისო დრო მიწაზე კაცთმოღმისათვის სხვა! . . .
არისო დრო ცისკიდეს მიღმა სხვა . . .
არისო დრო საძებარი სიცოცხლისათვის . . .
არისო დრო დღეს, უძველესიდან სამომავლოდ!
ბეჯითობდაო სხვაგვინარი ზებედესთან! . . .
არ პატიობსო დრო არავის, რაფერს!
არ ჩერდებაო დრო არასოდეს,
არ ცოცხლობსო არავინ და არაფერი დროის იქით.
არ კარგავსო დრო დიდს თუ მცირეს.
არ მაღავსო დრო არავის და არაფერს.
ახუნებსო დრო წარსულს.
აფერმკრთალებსო დრო ხსოვნას კაცისა! . . .
მბრძანებლობსო დრო სამყაროზე! – ბუზღუნებდაო სხვაგვინარი!
გაქცეულაო წლები, ზებედე! – ხმაურობდა ხანგადასული.
გაქცეულაო წლები მარადიულობაში, ხმაურით! . . .
გაქცეულაო წლები უსასრულობაში, ტკივილით!
გაქცეულაო წელი ოცზე მეტი საქართველოს თავისუფლებიდან! . . .
გაქცეულაო მოსაგონებლად - სხვაგვინარ! . . . იმეორებდა ზებედე ბრძენი.
გაიარაო გზა ვინ როგორ! . . .
გაიარაო გზა ვინ სად! . . .
გაიარაო გზა ვინ ვისთვის! . . .
გაიარაო გზა ვინ კეთილმსახურად! . . .
გაიარაო გზა ვინ უკეთურ-უგვანოდ!
გაიარაო გზა ვინ მშრომელ-მშენებლად! . . .
გაიარაო გზა ვინ მზაკვარ-მოშურდენ! . . .
გაიარაო გზა ვინ დიდ-ბრძენ-გონიერად! . . .
გაიარაო გზა ვინ მცირედ-უნიჭო-ამპარტავნობით!
დარჩაო ვინ ღვთისა და კაცის მსახურად!
დარჩაო ვინ ერის მოყვარედ! . . .
დარჩაო ვინ ქვეყნის მფარველად! . . .
დარჩაო ვინ მამულის მცველად! . . .
დარჩაო ვინ სოფლის მშენებლად! . . .
დარჩაო ვინ სალოცავ-სადიდებლად! . . .
დარჩაო-ზებედე! დარჩაო !!
არ შეუნდესო კაცთ ქრისტეს ქრისტეობა! . . .
არ შეუნდესო კაცთ ღმერთს ღმერთკაცობა!
არ შეუნდლო კაცთ დრომ, არავის არაფერი!
ხმაურობდა ზებედე, სხვაგვინართან! . . .
არ შეუნდესო სტალინს ხალხის მსახური ქრისტეს მსგავსი . . .
არ შეუნდესო ახლის შენება! . . .
არ შეუნდესო ხალხს თავისუფლება . . .
არ შეუნდესო ნიკიტას აშენებულის ნგრევის დაწყება! . . .
არ შეუნდობენო გორბაჩოვს ქვეყნის გაპარტახებას! . . .
არ შეუნდობსო დრო არავის არაფერს ! . . .
არ შეუნდობსო, არა!!
ტკივილით მიიბარაო უსასრულო დრომ კაცობრიობის XX-ე საუკუნე.
გახდაო მეოცე საუკუნე დროის კუთვნილება!
გახდაო საუკუნის ბოლო წლები საკითხავი! . . .
გახდაო საქართველო აბობოქრებული! . . .
გახდაო ქართველთა პირისპირობა აშკარა! . . .
გახდაო საქართველოს მომავალი საეჭვო! . . .

გახდლო ქვეყნის ტერიტორია დასაცავი! . . .
დაეცნენო ამისთვის ყმაწვილები!
დაეცნენო აფხაზეთში 1991-1993 წლებში. . .
დაეცნენო თბილისის ქუჩებში . . .
დაეცნენო სამოქალაქო ომში თბილისში . . .
დაეცნენო ძმთამკვლელ ომში ახალგაზრდები . . .
დაეცნენო ცხინვალში მომდევნონი. . .
მიიზღაზნებოდლო ტკივილით გასისხლიანებული მეოცე საუკუნე!
მიიზღაზნებოდლო საქართველო ოცდამეერთეში ხმაურით! . . .
მიიბარალო უსასრულო დრომ ადამიანთა სულები! . . .
მიიბარალო უსასრულო დრომ სამარადისოდ ძნელი წლები! . . .
მიიბარალო! ზებედე! . . .
მიიბარალო!
აფიქრებსო ხვალის ხვალეს მოსვლა ქართველებს.
აფიქრებსო შორი გზა! ოკეანეს იქით!
აფიქრებსო ახლო მეზობლობა კავკასიონს მიღმა!
აფიქრებსო – სხვაგინარ!
აფიქრებსო! აფიქრებსო!!
მოდრავ დედამიწაზე ბოლოქრობს ადამიანთა მოღვმის შვიდმილიარდიანი თანამედროვეობა:
შვიდი მილიარდი განსხვავებული ხასიათი,
შვიდი მილიარდი განსხვავებული პიროვნებ.
განსხვავებული ინტერესი,
განსხვავებული გონიერება.
განსხვავებული სულიერება
განსხვავებული მისწრაფება,
განსხვავებული სიმდიდრე,
განსხვავებული სიღატაკე,
მუდმივი სიღატაკე,
მუდმივი დაპირისპირება,
მუდმივი ბრძოლა,
მუდმივი დაუნდობლობა,
მუდმივი მტრობა,
მუდმივი ქიშპობა,
მუდმივი ურთიერთკვლა,
მუდმივი გაბატონება,
მუდმივი სასტიკი ომები.

საუკუნეების იქითა წყვილიადის ლაბირინთებიდან გამოეყვნენ ცხოველთა სამყაროს ადამიანთა წინაპრები - „საზოგადოებრივი ცხოველები“ და იწყეს გონიერი მუდმივი განვითარება, მუდმივი ამაღლება, მუდმივი დაკვირვება გარე ბუნებასა და თავის შინაგან სულიერებაზე, შექმნეს მეცნიერებები, ახალი ტექნოლოგიები, შექმნეს უთვალავი ზღაპარი, ლეგენდა, თქმულება ადამიანის ადამიანურობაზე. ჯერ კიდევ ვერ ახსნეს მათ თავისი წარმოშობის საიდუმლო, ჯერ კიდევ არ იციან საიდან მოსულები, საით მიდიან. ისინი ცდილობენ გაარკვიონ უზოგადესი კანონების ზემოქმედება, ამასთანავე კი არ უფრთხილდებიან სივრცეში დედამიწისეულ სიმდიდრე – სიკეთებს, ანადგურებენ თავის სასიცოცხლო გარემოს, გამუდმებით მიიღტვიან თანამომქმეთა დაჩაგვრისაკენ, გაბატონებისაკენ, სიმდიდრისაკენ და არ იციან საიდან მოვიდნენ აქ, საით მიდიან აქედან, ვინ, როგორ მოაწესრიგებს ადამიანთა განუსაზღვრელ მიზნებს დედამიწაზე.

კაცობრიობამ ჯერ ბეჯითად არ იცის საით მიდის ადამიანური სიცოცხლე და რას უპირებს ადამიანი თავის თავს სამომავლოდ!

ლია ქურხული



ფსიქოლოგიის დოქტორი, პროფესორი
პიროვნული და საქმიანი ურთიერთობების
ფსიქოლოგიური ასპექტები

რამდენიმე წლის წინ მენეჯმენტის ამერიკელმა ექსპერტებმა შეიმუშავეს სისტემა, რომლის მიხედვით ადამიანთა შორის არასასურველ ურთიერთობაზე ჩვენი რეაქცია ყოველთვის მაშინვე არ იჩენს თავს. ხშირად რამდენიმე დღის გავლა, ზოგჯერ, უფრო ხანგრძლივი დროა საჭირო, რათა ადამიანი მიხვდეს, რატომ არ ვიწონებთ მის საქციელს, უფრო მეტიც - რატომ იმსახურებს იგი საყვედურს.

ცნობილია, რომ შექება ქმედითია, როცა ამას შესაბამის მომენტში მივმართავთ. ამიტომაც იგი უნდა ხდებოდეს მანამდე, სანამ ამას აზრი აქვს ანუ შესაძლებელია ეფექტის მიღწევა. თუ შემდგომში არასასურველი საქციელი კვლავაც განმეორდება, დასჯის სიმწვავე და სიმძიმე უნდა გავზარდოთ, მაგრამ თუ უკმაყოფილება პირველივე ცდისას არასაკმარისად გამოვხატეთ, მის განმეორებას აზრი აღარ ექნება. მსგავსი საქციელისას ხშირად წონასწორობას ვკარგავთ, მზად ვართ ადამიანი მცირედი დანაშაულის გამოც კი დავსაჯოთ, მას ყველა ჩადენილი შეცდომა წამოვძახოთ, მძაფრად გამოვხატოთ მისდამი უარყოფითი დამოკიდებულება. ნაცვლად იმისა, რომ ადამიანი ერთი კონკრეტული დანაშაულისათვის დავსაჯოთ, მისგან ყველაფრის გამო მოვითხოვთ პასუხს. უნდა გვახსოვდეს, რომ კონკრეტულ დანაშაულზე რეაგირების მიზანი მხოლოდ კონკრეტული საქციელის კი არა, არამედ პიროვნების მთლიანად შეცვლაა, რაც თვითონ პიროვნების სურვილის განჩენითაა შესაძლებელი. თუ დამნაშავე მიხვდება ამას, იგი მომავალში შეეცდება, მსგავსი რამ აღარ გაიმეოროს. ამავე დროს უნდა გავუფრთხილდეთ ადამიანის ღირსებას. არ შევბღალთ ეს ფაქიზი გრძნობა, რადგან ამას ცუდის მეტი არაფერი მოჰყვება. ჩვენი ქმედების ეფექტიანობა საგრძნობლად გაიზრდება, თუ მხოლოდ კონკრეტულ დანაშაულზე მოვახდენთ ყურადღების კონცენტრირებას და რაც მთავარია - ობიექტურ რეაგირებას.

ჩვენ, ზოგჯერ, ერთი და იგივე დანაშაულისათვის ანუ კონკრეტული საქციელისათვის ერთ კონკრეტულ პიროვნებას ვსჯით და არა ყველას, ვინც ამას იმსახურებს. ჩვენგან ასეთი მიდგომა აიძულებს სხვებს იმარჩიელონ: რატომ ვაპატიეთ ერთს ის, რისთვისაც ისჯება მეორე? ხშირად ვსაყვედურობთ სხვებს ისე, რომ არ ვაცდით გააცნობიერონ, როგორი ქცევაა მისაღები მოცემულ მომენტში, ვმსჯელობთ მხოლოდ იმაზე, რაც არ მოგეწონს და არ ვუთითებთ, როგორი საქციელია სასურველი.

სასურველის მიღწევის ერთ-ერთი უმარტივესი ხერხია ე.წ. „ვალდებულების“ მექანიზმი ანუ მაღლიერების გრძნობის შთაგონება. მეცნიერები მიიჩნევენ, რომ მაღლიერების განცდის უნარმა ისტორიაში ადამიანთა ურთიერთშემაკავშირებლის, ცივილიზებული საზოგადოების შემქმნელისა და განმამტკიცებლის როლი შეასრულა. ფაქტია, რომ არცთუ ისე ძვირფასი ან არცთუ ისე ღირებული საჩუქრის მიღების, ჩვენთვის რაიმე სახის, თუნდაც უმნიშვნელო დახმარების აღმოჩენის შემთხვევაში, ვცდილობთ ვინმეს მიმართ ვალში არ დავრჩეთ. ერთ-ერთი ფსიქოლოგიური ექსპერიმენტის მიხედვით, ორ საექსპერიმენტო პირს ზაფხულის ერთ ცხელ დღეს, ზედიზედ რამდენიმე საათის განმავლობაში თავსატეხი ამოცანები უნდა ამოეხსნათ. ერთი მათგანი იცნობდა ექსპერიმენტის არსს. წინასწარი შეთანხმებით, იგი გამოდიოდა ხოლმე და უკან ბრუნდებოდა ორი ბოთლი ცივი სასმელით ხელში. ერთს ხსნიდა თავისთვის, ხოლო მეორეს სთავაზობდა სიტყვებით: „გაგრილდი, მეგობარო!“ ამასთან, მისგან სამაგიეროდ არაფერს არ ითხოვდა. ექსპერიმენტის დამთავრების შემდეგ მან მიმართა ახალგააცნობილს: „მე ადგილობრივი საქველმოქმედო საზოგადოების ლატარიის ბილეთებს ვავრცელებ, თითოს ერთ დოლარად (ეს თანხა ერთი ქილა ცივი სასმელის ღირებულებაზე ბევრად მეტია). ხომ არ შეიძენდით ორიოდ ბილეთს?“ აღნიშნუ-

ლი ექსპერიმენტი ჩატარდა რამდენიმეჯერ. ბევრი, ალბათ, უარს ეტყობა, მაგრამ რადგან ამ ადამიანს მცირე ხნის წინ პატივი სცევს, მაღლიერების გრძობამ აიძულა პარტნიორი, მაშინვე ჯიბეზე გაეკრა ხელი, თუმცა ამისგან არავითარ მოგებას არ ელოდა. ეს, ასე ვთქვათ, „წაუგებელი“ ხერხი მრავალგზის იქნა გამოყენებული სხვადასხვა ასპექტში. ერთმა ამერიკულმა საქველმოქმედო ორგანიზაციამ ტელეფონით სთხოვა კერძო პირებს, გაეღოთ ფულადი შესაწირი. თხოვნას გამოეხმაურა ადრესატების მხოლოდ 18%, როცა ამგვარ თხოვნას თან დაურთეს მცირე საჩუქარი – ჯიბის კალენდარი, შეწევნის მსურველთა რაოდენობა 2-ჯერ გაიზარდა.

ამერიკაში პოპულარობით სარგებლობს სოციოლოგების სტენლისა და დანკოს წიგნი: „თქვენი მეზობელი მილიონერია“. ცნობილია, რომ მილიონერები აშშ მოსახლეობის 7%-ს შეადგენენ. წიგნისათვის მასალის შეგროვების დროს მათ მილიონერებს სთხოვეს რამდენიმე კითხვაზე გაეცათ პასუხი, მაგრამ წერილების უმრავლესობა უპასუხოდ დარჩა. როცა თითოეულ კონვერტში, თხოვნასთან ერთად, ერთდოლარიანი ჩადეს, შევსებულ კითხვარებთან ერთად ასეულობით პასუხი წამოვიდა. რას წარმოადგენს ერთი დოლარი მილიონერისათვის?! – არაფერს. მაგრამ თუ მას განვიხილავთ, როგორც ზნეობრივ ფაქტს, აღმოვაჩენთ სრულიად საპირისპიროს – მილიონერთა დიდმა ნაწილმა თავისი საქმიანობის ძვირადღირებული დრო ხალისით დაუთმო სრულიად უმნიშვნელო და არაფრისმომცემი ანკეტების შევსებას, და ეს მაშინ, როცა სერიოზულ ბიზნესმენებს უყვართ საუბარი იმაზე, თუ რა ღირს მათი პერსონალური წუთი. რაც უნდა ღირდეს, იგი ერთ დოლარზე ძვირი მაინც იქნება. ხშირად ხდება ისე, რომ „უანგარო“ ძღვენის მომრთმევი ზუსტად აფასებს და კარგად გათვლის ხოლმე ჩვენს უანგარო მისწრაფებას, ვინმეს მიმართ ვალში არ დავრჩეთ.

ყველა, მათ შორის საოცრად მოუწესრიგებელი ადამიანებიც კი, განსაკუთრებით უფროთხილდებიან საკუთარ დამოუკიდებლობას და მთელი სიცოცხლის მანძილზე ანგარიშში უცემლად მიიღვიან მისკენ. ბავშვობაში ყველა ოცნებობს მაღლე გაიზარდოს, რადგან მიამიტურად ფიქრობს, რომ მოზრდილები მხოლოდ იმას აკეთებენ, რაც მათ სურთ. მოზრდილთა დიდ ნაწილს კი სინამდვილეში ძირითადად იმის კეთება უწევთ, რასაც მისგან მოითხოვენ. ჩვენ ვცდილობთ დავიპყროთ დიდი სიმაღლეები, რათა რაც შეიძლება ნაკლებად დავექვემდებაროთ სხვას, ხოლო ჩვენ კი გვქონდეს უფლება სხვებისაგან მოვითხოვოთ. ხშირად შეუმჩნეველი გვრჩება, რომ ადამიანები არცთუ ისე ხალისით თანხმდებიან სხვის დაკრულზე თამაშს, ისინი, თავის მხრივ, თვითონ ოცნებობენ, გახდნენ განმკარგულებელნი.

გამოცდილმა მენეჯერებმა იციან: კაცი ბევრად უფრო ეფექტურად აკეთებს საქმეს, ასრულებს სხვადასხვა დავალებას, თუ მიაჩნია, რომ ხელი მოჰკიდა საქმეს, რომელიც თვითონ აირჩია. საქმის ზედმიწევნითი მოტივაციის შესაქმნელად საუკეთესო ხერხია ნებისმიერ დავალებას წინადადების და არა მოთხოვნის სახე მიეცეს. რა თქმა უნდა, ყოველთვის ვერ ავცდებით მკაცრი დირექტივების გამოყენებას, მაგრამ საკითხი უნდა ეხებოდეს მხოლოდ და მხოლოდ საქმის ყველაზე არსებით ნაწილს. ნებისმიერი მოლაპარაკებისას სიხისტეს, კატეგორიულობას არანაკლები მნიშვნელობა აქვს, ვიდრე სხვადასხვა სახის მანევრირებას, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში ბევრად უფრო ადვილია სასურველი შედეგის მიღწევა, თუ ხელქვეითს ან პარტნიორს თუნდაც თავისუფალი მანევრირების ილუზიას შევუქმნით.

ასე, მაგალითად, დედა ეკითხება თავის სკოლის მოსწავლე შვილს: „გაკვეთილს ახლავე ჩამაბარებ თუ მაღაზიაში პურისა და ბოსტნეულის ყიდვის შემდეგ?“ აქ გაკვეთილების დროულად ჩაბარების აუცილებლობაზე ლაპარაკიც კი არ ყოფილა, სამაგიეროდ, შეთავაზებულ იქნა არჩევანი. საქმიან ურთიერთობათა პროცესში მოქმედებას იწყებს იგივე ხერხი: „ეს საკითხი თქვენს ტერიტორიაზე განვიხილოთ თუ ჩვენსაზე?“ მაშინაც კი, როცა პარტნიორი, ფიქრობს თავი აარიდოს საკითხის განხილვას, იძულებულია უპასუხოს კონკრეტულ შეკითხვაზე, ამასთან, თავისუფალია არჩევანის გაკეთებაში, თუმცა შეკითხვის ფორმულირება უარყოფით პასუხს გამოიწვევს.

გარკვეული ჰიპნოზური თვისებების წყალობით ისინი უშუალოდ შეგნებაზე ახდენენ ზეგავლენას, რითაც კრიტიკული შემეცნების სიფხიზღეს აქვეითებენ.

სანამ ისეთ წინადადებებზე გადავიდოდეთ, რომელნიც საკამათოა, თქვენი თანამოსაუბრე, უმთავრესად რეაქციის წყალობით, თქვენთან თანხმობას განაგრძობს. ადამიანებთან

ურთიერთობისას უაღრესად მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, სიცხადე, გარკვეულობა, რაც თავიდან აგვაცილებს გაურკვეველობას, ხოლო, მეორე მხრივ, კორექტულობა, რაც საშუალებას მოგვცემს თავიდან ავიცილოთ ემოციები, კონფლიქტები. თუმცა ურთიერთობის ეს მნიშვნელოვანი მხარეები არცთუ ადვილი შესასრულებელია. განსაკუთრებით მაშინ, როცა პარტნიორთა ინტერესები ერთმანეთს შორდებიან და ერთის სურვილები მეორის მხარდაჭერას ვერ იწვევს.

თუ ჩვენ პარტნიორთან შეთანხმებული ურთიერთობისათვის არ ვართ მზად, უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ვაპირებთ უარი ვუთხრათ, ამავე დროს დელიკატურობის საფარველს ვიშველიებთ, ასე, რომ, მაგალითად: „ვიფიქრებ ამაზე“. „მოდით, ამ საკითხს დავუბრუნდეთ ერთი კვირის შემდეგ“, „დამირეკეთ ორი-სამი დღის შემდეგ“ და სხვა. თუმცა, ვიცით, რომ სიტუაცია თავიდანვე გასაგებია, რომ საკითხს პოზიტიური შედეგი არ მოჰყვება.

უარის თქმის უნარი უდიდესი ხელოვნებაა, რაც მარტივ წესებს ემორჩილება. პირველ რიგში აუცილებელია გავარკვიოთ ჩვენი უფლება უარის თქმაზე. ხომ არ შეიძლება, მართლაცდა, ყველა წინადადებას, სურვილსა და თხოვნას დავეთანხმოთ?

თავისთავად „უარი“ სრულიად არ შეურაცხყოფს არავის. იგი იმ შემთხვევაში იქნება შეურაცხმყოფელი, თუ მას დაუერთავეთ უხეშ რემარკებს. უარის თქმის საჭიროების შემთხვევაში ყველაფერს თავისი სახელი უნდა დავარქვათ. მასთან, საუბარი უნდა დავიწყოთ პირდაპირ, უარის კონკრეტული ფორმულით: „არა“, „ჩვენთვის ეს მიუღებელია“, „თქვენი თხოვნის დაკმაყოფილება არ შეგვიძლია“. შემდეგ უნდა მივყოლოთ ჩვენი გადაწყვეტილების ლაკონური არგუმენტაცია. ანდა გავითვალისწინოთ, რომ უხვსისტევიანი ახსნა თავისმართლებას დაემსგავსება და თანამოსაუბრეს შთაბეჭდილებას შეუქმნის, თითქოს ჩვენ არ ვართ დარწმუნებულნი საკითხის არსში, ვყოყმანობთ, რაც მას საფუძველს მისცემს, დამატებითი არგუმენტები მოითხოვოს, რაც უეჭველად უშედეგო დისკუსიამდე მიგვიყვანს. ეს კი ჩვენს ინტერესებში არ შედის. დაე, მან თვითონ დაიწყოს ფიქრი საკითხის უფრო მისაღები ფორმით გადაწყვეტაზე. ამისათვის უნდა შევთავაზოთ ჩვენთვის მისაღები ალტერნატივა: „აი, თქვენ რომ გეთხოვათ ის...“ ამით ჩვენ იმის დემონსტრირებას მოვახდენთ, რომ პარტნიორის თავიდან მოცილებას კი არ ვაპირებთ, არამედ ვახდენთ დემონსტრირებას, რომ სხვა პირობების თაობაზე დიალოგი შესაძლებელია.

ურთიერთობის ამ მარტივი ხერხების დაუფლებით და გამოყენებით არათუ თავიდან ავიცილებთ მრავალ უსიამოვნებას, არამედ სერიოზული, პრინციპული და საკუთარი სიტყვის პატრონი და თავისი ფასის მცოდნე კაცის რეპუტაციას მოვიპოვებთ.

გამოყენებული ლიტერატურა

ი. არჩვაძე, ლ. ქურხული, „ეკონომიკური ფსიქოლოგია“ თბ., 2010

**ლია ქურხული
ფსიქოლოგიის დოქტორი, პროფესორი**

**პიროვნული და საქმიანი ურთიერთობების
ფსიქოლოგიური ასპექტები**

(რეზიუმე)

ნებისმიერი, მათ შორის საოცრად მოუწესრიგებელი ადამიანებიც კი, განსაკუთრებით უფროთხილდებიან საკუთარ დამოუკიდებლობას და მთელი სიცოცხლის მანძილზე ანგარიშმიუცემლად მიიღვიან მისკენ. გამოცდილმა მენეჯერებმა იციან: კაცი ბევრად უფრო ეფექტურად აკეთებს საქმეს, ასრულებს სხვადასხვა დავალებას, თუ მიაჩნია, რომ ხელი მოჰკიდა საქმეს, რომელიც თვითონ აირჩია. ნებისმიერი მოლაპარაკებისას სიხისტეს, კატეგორიულობას არანაკლები მნიშვნელობა აქვს, ვიდრე სხვადასხვა სახის მანევრირებას, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში ბევრად უფრო ადვილია სასურველი შედეგის მიღწევა, თუ ხელქვეითს ან პარტნიორს თუნდაც თავისუფალი მანევრირების ილუზიას შევუქმნით.

დალი ზერავია



ბავშვთა მიმართ ძალადობა

ბავშვთა მიმართ ძალადობა, განსაკუთრებულად აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს, როგორც ჩვენი ქვეყნის, ისე მთელი მსოფლიოსთვის. ამ მიმართულებით, სახელმწიფო და სამოქალაქო სექტორი თანამშრომლობს ერთიანი გეგმის თუ სტრატეგიის ჩამოყალიბებისათვის.

ეს პრობლემა გვხვდება ყველგან: ოჯახში, ქუჩაში, სკოლაში და სხვ. ძალადობის განხორციელების ძირითადი ფორმაა ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური, ეკონომიკური და სხვ. ვინაიდან თანამედროვე ბავშვი, ძირითად დროს რდოს ატარებს სკოლაში და ოჯახში(თუმცა არა მხოლოდ აქ), ამიტომაც ძალადობის ძირიდადი შემთხვევები სკოლაში და ოჯახებში უნდა ვეძებოთ.

სამწუხაროა, რომ ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილი ბავშვის აღზრდის ერთ-ერთ მეთოდად დასჯას მიიჩნევს, აგრეთვე ოჯახის შიდა პრობლემად თვლიან და ამით სამართლებრივ პასუხისმგებლობას არიდებენ თავს. ნებისმიერი სახის ძალადობას ახლავს ღირსების შეურაცხყოფელი გამონათქვამები, საჯარო თუ ფარული ფორმით. ხშირად მშობლის, პედაგოგის ცუდი გუნება-განწყობილება აისახება ბავშვთან ურთიერთობაშიც, რა თქმა უნდა ეს არ ამართლებს ასეთ შემთხვევებს. მოძალადე ბევრი შეიძლება იყოს, მაგრამ ძირითადად მშობელია. ხშირად ვერც კი წარმოვიდგენთ, რომ კონკრეტული პიროვნება შეიძლება იყოს თავდამსხმელი, ისინი საზოგადოებაში გაწონასწორებული ადამიანების წარმოდგენას ტოვებენ, „ასეთი წესიერი“ ადამიანები სისტემატურად სცემენ შვილებს, საზოგადოებაში კი გაწონასწორებულები არიან. ხშირია კონფლიქტები, სკოლაში მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის. როგორც წესი, თითქმის ყოველთვის მასწავლებლის „გამარჯვებით“ მთავრდება. მასწავლებელი ყოველთვის „მართალია“ და უფლება არ აქვს ვინმემ საწინააღმდეგო აზრი გამოხატოს მისი, „შეგონების“ წინააღმდეგ. ბავშვის თავდაპირველი დისკომფორტი, რომელსაც „ყოფლის შემძლე“ პედაგოგი უქმნის, იქცევა „მოჩილის“ როლად, რომელიც თანადათანობით შეიძლება „მონის“ როლში გადაიზარდოს. სახეში სილის გაწვნა, წამორტყმა, სხვადასხვა სახის საგნის გამოყენებით თავდასხმაც ძალადობაა. არანაკლებ მყარ კვალს ტოვებს სიტყვიერი შეურაცყოფა, მეტსახელი „მუქარა“, ცილისწამება და სხვ. მაშინ როდესაც მშობელი ხელს იღებს ყოველნაირი პასუხისმგებლობისაგან შვილის მიმართ, ეს არის კვების, საცხოვრებლის, ჰიგიენური თუ სხვა სახის ვალდებულება—ასეთი ტიპის უგულვებელყოფაც ითვლება ძალადობად.

ბავშვთა მიმართ ძალადობის გამოცდილება უხსოვარი დროიდან მომდინარეობს. ისტორიიდან უამრავი ძალადობის მაგალითია ბავშვთა წინააღმდეგ სასტიკი მოპყრობისა. მშობელს ყველანაირი მოპყრობის უფლება ჰქონდა შვილზე. ეს იყო მსხვერპლად შეწირვა, ცემა, გათხოვება, მონად გაყიდვა, იძულებითი შრომა და სხვ. მიუხედავად საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებისა, ბავშვთა მიმართ არაადამიანური მოპყრობა დღესაც გრძელდება, რომელსაც ბევრი ხელშემწყობი მოვლენა განაპირობებ ვს. თანამედროვე კულტურაში, კინო, ტელევიზია, ინტერნეტი, როგორც ჩვეულებრივი ყოველდღიურობა ბევრ შემთხვევაში ძალადობისკენ უბიძგებს, ნერგავს უზნეობას... სახელმწიფოში სათანადოდ ჯერ კიდევ არ მუშაობს ის ინსტიტუტები, რომლებიც სრულად დაიცავს ბავშვს აგრესიისაგან. ბავშვი ვერ იცავს საკუთარ თავს, პირიქით, მაღავენ კიდევ.. უნდა აღინიშნოს, რომ მშობლები მეტწილად ვერ აცნობიერებენ ბავშვთა წინააღმდეგ ძალადობრივ საკითხებს, ანდა არ იციან ვის შეიძლება მიმართონ. შეიძლება ითქვას, რომ არც პრესა, ტელევიზია, სკოლა, სოციალური სამსახურები, თუ სამედიცინო დაწესებულება არ ფლობს და ვერც აგვარებს(შეიძლება თავიდან იცილებენ) არსებულ პრობლემას ბავშვთა მიმართ.

ერთი სიტყვით, ბავშვზე ძალადობის ერთი კონკრეტული მიზეზი არ არსებობს. არსებობს მიზეზთა სისიტემა, რომელიც ძალადობრივ შედეგს აყენებს. ეს არის კულტურის

გაგენა, იჯახის სტრუქტურა, ნარკომანია, ალკოჰოლიზმი, სიღარიბე, ოჯახური კონფლიქტები და სხვ.

ყოველგვარი გაგენა ბავშვზე, შემდგომში მოზარდის ქცევაში აისახება. შედეგები შეიძლება მოკლე, ან გრძელვადიანი იყოს. პირველ რიგში ბავშვი, როგორც პიროვნება მახინჯდება, ჯანმრთელობა ერყევა ფიზიკურ და მენტალურ დონეზე. წარუმატებლობა გარდაუვალია განათლებაში, კარიერაში. ვეღარ ეგუება რეალობას, რომელიც არის მის ირგვლივ და იქცევა პოტენციურ დევიანტად. კვლევები აჩვენებს, რომ დამნაშავეთა 60-70 % ბავშვობაში ძალადობრივ გარემოში იმყოფებოდნენ.

საჭიროა შეიქმნას და ამუშავდეს სპეციალური დაწესებულებები, სადაც ერთდროულად გაერთინებული იქნება, როგორც ფსიქოლოგი, ფსიქიატრი, იურისტი, სამართალდამცავი, სოციალური მუშაკი რათა კომპლექსურად და კვალიფიცირებულად განიხილონ კონკრეტული შემთხვევა, გამოაშკარონ მოძალადე, სრულყოფილი დახმარება გაუწიონ ბავშვებს, რომლებიც ჯერ კიდევ შეიძლება საზოგადოებისკენ შემოვებრუნოთ და აღვზარდოთ.

ამისათვის სახელმწიფომ კიდევ უფრო აქტიურდ უნდა განახორციელოს ბავშვთა მიმართ ძალადობისაგან დაცვის ორგანიზაციების შექმნა და ხელშეწყობა, აგრეთვე საზოგადოების ინფორმირება, საჯარო სემინარების მოწყობა მშობელთა და მასწავლებელთათვის. აღნიშნული ფაქტების ყურის მოკერის ან გაგების შემთხვევაში დაუყოვნებლივ ეცნობოს სათანადო ორგანიზაციებს, რომელიც აუცილებლად შედეგს გამოიღებს. იმ ეკონომიკურ სიდუღჭირეშიც კი, როგორშიც საქართველოს მოსახლეობა ცხოვრობს, მაინცაა შესაძლებელი შეუქმნათ და დავეხმაროთ ბავშვებს, ჩვენს მომავალ თაობას, მომავლის შენებაში.

UNISEF -ის მიერ საქართველოში ჩატარებული ბავშვთა მიმართ ძალადობის გავრცელების ეროვნული კვლევის მიხედვით, საქართველოში ბავშვთა მიმართ ძალადობის გავრცელების მასშტაბები ასეთია: ფიზიკური ძალადობა, ყურის აწევა, თმის მოჭახვა, ხელით ცემა, ხელის ან ფეხის კვრა - 54 პროცენტი. ფსიქოლოგიური ძალადობა, დაყვირება, განზრახ დამცირება, სხვა ბავშვისგან დაჩაგვრა, დათრგუნვა ან შერცხვენა - 59.1 პროცენტი. სექსუალური ძალადობა, სექსუალური საუბარი, პორნოგრაფიის ჩვენება, სექსუალური შეხება, სექსუალური ურთიერთობის მცდელობა - 7.8 პროცენტი. კვლევის მიხედვით სკოლაში ფიზიკური ძალადობა - 47%, ფსიქოლოგიური ძალადობა - 47.5, ხოლო სექსუალური ძალადობა - 5.6%-ია.

გაეროს ბავშვთა ფონდის (UNISEF) 2014 წლის ანგარიშის მიხედვით, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებული კვლევები გვიჩვენებს:

მკვლევლობა: მკვლევლობის მსხვერპლთა ერთი მეხუთედი მთელი მსოფლიოს მასშტაბით არიან ბავშვები და 20 წლამდე ასაკგაზრდები. 2012 წელს დაფიქსირდა დაახლოებით 95,000 სიკვდილის შემთხვევა. მკვლევლობა წარმოადგენს მამაკაცის სიკვდილის წამყვან მიზეზს 10-დან 19 წლის ასაკობრივ ჯგუფში ისეთ ქვეყნებში როგორცაა პანამა, ვენესუელა, ელ სალვადორი, ტრინიდადი და ტობაგო, ბრაზილია, გვატემალა და კოლუმბია. ნიგერიაში ფიქსირდება ბავშვის მკვლევლობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი - 13000. დასავლეთ ევროპის და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნებს შორის ამერიკის შეერთებულ შტატებში მკვლევლობის მაჩვენებელი არის ყველაზე მაღალი.

დაშინება: მთელი მსოფლიოს მასშტაბით ყოველი სამიდან ერთი სტუდენტი 13-დან 15 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში არიან სკოლაში დაშინების რეგულარული მსხვერპლები. სამოაში ეს მაჩვენებელი შეადგენს 3-ს ყოველ 4 სტუდენტში. ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში სტუდენტების დაახლოებით მესამედი 11-დან 15 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში აღიარებენ სხვების დაშინებას, ლატვიასა და რუმინეთში კი ეს მაჩვენებელი შეადგენს 10-დან 6 მოსაწავლეს.

ძალადობრივი დისციპლინა: 58 ქვეყანაში ბავშვების დაახლოებით 17% არის მკაცრი ფიზიკური სასჯელის ობიექტი (თავში, ყურში ან სახეში დარტყმა; მძიმედ და განმეორებით დარტყმა). 2-დან 14 წლამდე ასაკობრივი ჯგუფის ბავშვების 40%-ზე მეტი ყოფილა მკაცრი ფიზიკური დასჯის ობიექტი ჩადში, ეგვიპტესა და იემენში. ზოგადად, 10-დან სამი სრულწლოვანი პირი ფიქრობს, რომ ფიზიკური დასჯა საჭიროა ბავშვის კარგად აღზრდისთვის. სვაზილენდში 82% აღნიშნავს, რომ ფიზიკური დასჯა აუცილებელია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ოჯახური ძალადობა-სახელმძღვანელო მასწავლებელთათვის GCRT არასამთავრობო ორგანიზაცია 2014
2. ბავშვთა აგრესია- ლია ქურხული, „საარი“-გამომცემლობა ,თბილისი 2006.
3. UNICEF Georgia-www.unisef.ge Geo
4. Phf.org.ge
5. WWW.netgazeti.ge

რეზიუმე

ბავშვთა მიმართ ძალადობის პრობლემა მწვავედ დგას ჩვენს ქვეყანაში. მას ვაწყდებით ყველგან, ოჯახში, სკოლაში, ქუჩაში და სხვაგან.


ძალადობა სხვადასხვა ხასიათისაა. სამწუხაროა, რომ ბავშვს არ შეუძლია თავის დაცვა მოძალადისაგან, ამიტომ ხელისუფლების და საზოგადოების როლი ამ პრობლემის მოგვარებაში მნიშვნელოვანია. სტატისტიკური მონაცემები არ გვაძლევს დამამაშვიდებელ რეალობას, მიუხედავად საზოგადოებრივი ცნობიერების დონის ამაღლებისა(სხვა საუკუნეებთან შედარებით) დღესაც ვაწყდებით ბავშვის წინააღმდეგ სასტიკი მოპყრობის ფაქტებს.



ნორჩი ათინათელები



თამაზ ავაქიძე



ინტერვიუ ლაგოდნის „ლიბერთი ბანკის“ მმართველთან ქალბატონ სალომე ლონდაძესთან

1. გამარჯობათ ქალბატონო სალომე! თუ შეიძლება გვითხრათ თუ რამ გადაგაწყვეტინათ ამ პროფესიის არჩევა. რა დადებითი და უარყოფითი მხარეებით გამოიჩინეთ ის.

პროფესიის შერჩევა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია. როცა ამთავრებ სკოლას შეიძლება ბევრი რამ მოგწონდეს, გიტაცებდეს, თუმცა მათავარია სწორი მიმართულება

ბა მისცე შენს სურვილებს და შესაძლებლობებს.

ყველას გვინდა ავირჩიოთ ის პროფესია, რომელიც ბედნიერს გაგვხდის და ბედნიერების და წარმატების მომტანი იქნება. კარიერის არჩევა შეგვიძლია დავიწყოთ იმით, თუ რა უნარჩვევებს ვფლობთ და რა ღირებულებები გვაქვს. უნდა ვიცოდეთ, რომ ამას ნამდვილად შევძლებთ და ჩვენი საქმის პროფესიონალები ვიქნებით.

პროფესიით დიპლომატი ვარ, თუმცა ამ პროფესიაზე არასოდეს მიოცნებია, ვოცნებობობდი როგორც ყველა ბავშვი ცნობადი სახე ვყოფილიყავი და მსახიობობა მიტაცებდა. ვუყურებდი ქართულ და უცხოურ ფილმებს, ვიზუპირებდი მათ მიმიკებს, ტექსტებს. არჩევანი სკოლის დამამთავრებელ კლასში შემეცვალა. სკოლა ფრიადზე დავამთავრე და მეც მშობლებთან ერთად ვფიქრობდი, რომ სერიოზული პროფესია უნდა ამერჩია. ამიტომ 2005 წელს ჩავაბარე დიპლომატიურზე. ვფიქრობ რთული, საინტერესო და მრავლისმომცველი პროფესიაა, რაც ამჟამინდელ საქმიანობაშიც ძალიან მეხმარება.

5 წელია საბანკო სექტორში ვარ და ძალიან დიდი გამოცდილება შემიძინე. კონკურენტუნარიანი სფეროა მუდმივად ტონუსში ხარ და სწრაფად ვითარდები, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. რა თქმა უნდა ყველა პროფესიას აქვს, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. მთავარია გიყვარდეს ის საქმე რასაც აკეთებ და მაქსიმალური პასუხისმგებლობით მოეკიდო.

2. თუ შეიძლება მოგვიყვებით თქვენი ბანკის შესახებ. რა სიახლეები გაქვთ დაგეგმილი?

„ლიბერთი ბანკი“ ერთ-ერთი სწრაფად მზარდი ბანკია საქართველოში, რომელსაც ქვეყნის მასშტაბით ფილიალების და სერვის ცენტრების ყველაზე ფართო ქსელი აქვს. 2009 წლის 27 სექტემბრიდან „ლიბერთი ბანკის“ ახალი მფლობელისა და მმართველი გუნდის მოსვლით და მათ მიერ გატარებულ;ი ფართომასშტაბიანი მოდერნიზაციის შედეგად, ბანკის ზრდის ტემპმა მნიშვნელოვნად გაუსწრო საქართველოს მთლიანი საბანკო სექტორის ზრდას.

ჩვენი ბანკი ემსახურება 1,5 მილიონ ფიზიკურ პირს და 80000-ზე მეტ იურიდიულ პირს.

არის ერთ-ერთი ყველაზე დიდი დამსაქმებელი საქართველოში. ჩვენს ქსელში მუშაობს 5000-მდე თანამშრომელი.

ჩემი კარიერა „ლიბერთი ბანკში“ 2013 წლის ივნისში დაიწყო, მას შემდეგ ლაგოდნის ფილიალის მმართველი გახლავართ. არ შემიძლია არ აღვნიშნო რომ ამ პერიოდში გავიზარდე პროფესიულად.

3. ქალბატონო სალომე გიყვართ თუ არა პოეზია? რომელია თქვენი საყვარელი მწერალი? პოეტი?

რა თქმა უნდა პატივს ვცემ და ვაფასებ როგორც პროზას, ასევე პოეზიას. იმ განძს რაც ჩვენმა წინაპრებმა შემოგვიინახეს და რაზეც დაგას დღეს საქართველო. არ შემიძლია არ აღვნიშნო დიდი ილია, ვაჟა, გალაქტიონი, კონსტანტინე გამსახურდა. ძალიან მიყვარს გოდერძი ჩოხელი, გურამ დოჩანაშვილი, ანა კალანდაძე, ტიციან ტაბიძე. თავისუფალ დროს ვცდილობ ვიკითხო, რაც განტვირთვის კარგი საშალებია.

4. როგორ ფიქრობთ, რამ შეიძლება ხელი შეუწყოს მოსწავლეს ცოდნის მიღებაში?

განათლებას, რომელსაც სკოლა იძლევა, თითოეული მოსწავლესათვის ძალზედ მნიშვნელოვანია ის, რომ ბავშვმა ყველა საგანი გულდასმით უნდა ისწავლოს მიუხედავად იმისა რამდენად საჭიროა მისთვის მომავალი პროფესიისათვის, ეს ძალზედ მნიშვნელოვანია. სკოლაში მიღებული განათლება საფუძველია მომავალი განვითარებისა. ასევე მნიშვნელოვანია მხატვრული ლიტერატურა. მახსოვს ზაფხულის არდადეგებიდან დაბრუნებულები ერთმანეთს ვუზიარებდით თუ ვინ რა წაიკითხა და მოეწონა თუ არა იმ წიგნის გმირი და რატომ. სწორედ ეს ქმნის ზოგად განათლებას და ხელს უწყობს მოსწავლის მსოფლმხედველობის განვითარებას.

5. რას ფიქრობთ ჩვენს თაობაზე? რა რცევებს მოგვცემდით?

მიხარია, რომ საკმაოდ განვითარებული თაობა მოდის. კონკურენცია დიდია და ყველა სამსახურში პროფესიონალიზმია საჭირო. აქედან გამომდინარე მინდა რჩევა მივცე რომ რაც შეიძლება ბევრი ცოდნა მიიღონ, დაძლიონ სიზარმაცე, ასევე იცოდნენ დროის ფასი. რა თქმა უნდა გართობასაც თავისი დრო აქვს. მაგრამ თქვენი კეთილდღეობა, კარგი მომავალი ისევ და ისევ ცოდნაზეა დამყარებული.

6. თუ შეიძლება რა არის თქვენი საყვარელი ჰობი?

ჩემი ჰობია ცეკვა. 15 წელი დავდიოდი ქართულ-ხალხურ ცეკვაზე. ბოლოს ერისიონთან არსებულ ანსამბლ „მომავალში“ ვცეკვავდი. მართლა უამრავი ლამაზი დღე და მოგონებები მაკავშირებს ქორეოგრაფიასთან.

ასევე უზომოდ მიყვარს მოგზაურობა. ვფიქრობ აუცილებლად უნდა გამონახოს ადამიანი დრო ამისათვის და გაეცნოს სხვადასხვა ქვეყნის კულტურას. მიხარია, რომ ბავშვობიდან ამის საშუალება მქონდა. მეხუთე კლასში ვიყავი პირველად, როცა ცეკვიდან გერმანიას ვესტუმრე და ფესტივალზე მივიღეთ მონაწილეობა. მას შემდეგ ყოველ წელს ვმოგზაურობ. თითქოს სენივითაა, თუ დაავადდი, ძნელია უარი თქვა.

7. რას გვეტყვი თქვენი ოჯახის შესახებ?

ექიმების ოჯახში გავიზარდე, ლამაზი და უდარდელი ბავშვობა მქონდა მშობლების დამსახურებაა ისიც, რომ დღეს მე ასეთი ვარ. მყავს მეუღლე გიორგი სირაძე, რომელიც ასევე საბანკო სექტორშია და გოგონა ხუთი წლის ელენე, რომელიც ცალკე ფენომენია ოჯახში.

რა გისურვო? გახარება,
ნეტავ ვისი? - ქართველისა!
ამ ახალ წელს შობის დღესა,
საქართველოს მზეგრძელობა.
რა ვინატრო? - გამრავლება,
დავითის და თამარისა,
რით დაგლოცოთ? ჩემი გულით
და მომავლის იმედითა.

მერვო პატივი თქვენს გვერდით დგომის
და ვიგრძენ სითბო და თანადგომა,
როგორც ბერძუნა, ბევრის მნახველის,
მე კი თქვენს გვერდით ყლორტი პატარა,
მადლობა უფალს, მრავალთ და მრავალთ...
ეს დღე დარჩება ჩემში მარადჟამს.
ყლორტი პატარა, რომელიც იწევს
ბერძუნასავით ზეცისკენ ასვლას.

ტატო ხარატიშვილი

ინტერვიუ შპს „არქიმედეს კლინიკა“
დაგოლუხის დირექტორთან ნუკრი ყარაღაძეიტან



– ლაგოლუხის არქიმედეს კლინიკა მიღებული პაციენტების რაოდენობით და კვალიფიციური მომსახურებით საქართველოში მოწინავეთა რიგებშია, ამიტომ სურვილი გამიჩნდა თქვენგან ინტერვიუს აღების, რათა უფრო კარგად გაგიცნოთ ფართო საზოგადოებამ.

თქვენ ახალგაზრდა ასაკში გახდით ჯერ წნორის, შემდეგ ლაგოლუხის არქიმედეს კლინიკის დირექტორი, მიამბეთ თქვენი განვლილი ცხოვრების შესახებ.

– 2000 წელს დაგამთავრე სტომატოლოგიური ფაკულტეტი, ამის შემდეგ 3 წელი ვმუშაობდი ექიმ სტომატოლოგად, 2006-წ-ს დავინიშნე სიღნაღის რაიონის შპს „ჯანმრთელობის გაერთიანების“ დირექტორის მოადგილედ. 3 თვეში გადამიყვანეს შპს „ჯანმრთელობის“ დირექტორად, სადაც ვიმუშავე წელიწად ნახევარი. შემდეგ გადამიყვანეს სიღნაღის გამგეობაში გამგებლის მოადგილედ ჯანდაცვის საკითხებში. ამ სამსახურიდან წამოვედი ჩემი პირადი განცხადებით და დავეუბრუნდი სტომატოლოგიურ საქმიანობას.

შემდეგ კონკურსის წესით, რაც მაშინ ბევრისთვის წარმოუდგენელი იყო მოვხვდი შპს „არქიმედეს კლინიკაში, ჩავაბარე მრავალი გამოცდა და დავინიშნე სიღნაღის „არქიმედეს კლინიკის“ დირექტორად, რომელიც ტერიტორიულად მდებარეობს წნორში, 5 თვეა რაც გადმოვედი შპს „არქიმედეს კლინიკა“ ლაგოლუხის ხელმძღვანელად.

– გაგვაცანით თქვენი ოჯახი

– მყავს მეუღლე და ორი შვილი, გოგონები.

– საშუალოდ რამდენ პაციენტს ემსახურებით თვეში.

– თვეში საშუალოდ დაახლოებით ამბულატორია ემსახურება 4500-მდე ხოლო სტაციონალი 700-800 პაციენტს.

– თქვენ გყავთ კვალიფიციური ექიმები, რომლებიც დღის და ღამის ნებისმიერ დროს მზად არიან ემსახურონ პაციენტებს, ასევე კლინიკაში დაინერგა მრავალი ახალი გამოკვლევა, რომელიც ადრე არ კეთდებოდა, ამიტომაცაა, რომ თქვენს კლინიკას მომართავენ სხვა რაიონებიდან და მეზობელი აზერბაიჯანიდანაც, თუ არის რაიმე სიახლეები დაგეგმილი პაციენტების მომსახურების გასაუმჯობესებლად, თქვენი სამომავლო გეგმები.

– ნამდვილად, ჩვენი ექიმები თავს არ ზოგავენ, მე ამით ძალიან კმაყოფილი ვარ და მეამაყება კიდევ, რომ ლაგოლუხის რაიონში ასეთი კადრია. თითოეულ პაციენტს შეუძლია თამამად დაეყრდნოს მათ. არქიმედეს კლინიკა გაფართოვდა, ბევრი ახალი კვლავაც დაემატა, მაგრამ ჩვენ კიდევ გვაქვს გეგმაში უფრო გაფართოვება და ახალი ტექნიკის ჩამოტანა, გვინდა კომპიუტერული ტომოგრაფიის ჩამოტანა რაც საშუალებას მისცემს პაციენტებს ჩაიტარონ გამოკვლევა.

– ახალი მთავრობის მიერ პაციენტებისთვის მართლაც ძალიან დიდი შეღავათი გაკეთდა საყოველთაო დაზღვევით, თითქმის აღარ არსებობს პაციენტი, რომლისთვისაც მკურნალობა მიუწვდომელია, ეს ძალიან დასაფასებელია, მაგრამ მე როგორც ვიცი ექიმების ანაზღაურება ძალიან შეუსაბამოა მათ შრომასთან, ამ კუთხით თუ არის რაიმე პერსპექტივაში.

– ნამდვილად საყოველთაო დაზღვევა ძალიან კარგი პროგრამაა, ეს ნამდვილად სამადლობელი და დასაფასებელია, რაც შეეხება შენიშვნას ექიმების ანაზღაურების შესახებ, არასდროს არავინა არის კმაყოფილი თავისი ხელფასით, მათი ხელფასები დამოკიდებულია მათ მიერ მიღებული პაციენტების რაოდენობაზე, ამჟამად მათი ხელფასები ნორმალურია, ჩვენ ვცდილობთ კიდევ უფრო გაფართოვებას, გაძლიერებას უკეთესი სერვისების შექმნას და ვცდილობდი, რომ ექიმების ხელფასებიც გაიზარდოს.

– ექიმობა ძალიან რთული და საბასუნისმგებლო საქმეა. თუ გაქვთ სურვილი თქვენი შვილები გახდნენ ექიმები?

– მე ვფიქრობ მშობლები უნდა შევეშვათ შვილების პროფესიის არჩევას, შენც გირჩევ, რომ შენ თვითონ რაც გინდა ის აკეთო, მე არ ვფიქრობ ჩემი შვილების საქმიანობაში ჩავერიო, შეიძლება რჩევა მივცე და დავეხმარო, გვერდში დაეუდგე თავიანთი სურვილების შესრულებაში, რომ აკეთონ ის საქმე რაც თვითონ ეყვარებათ.

– საერთოდ როგორ მოგწონთ დღევანდელი მომავალი თაობა, როგორ შეაფასებდით და რას უსურვებდით მათ?

– სიმართლე, რომ გითხრა ძალიან მომწონს მომავალი თაობა, ნიჭიერი თაობა მოდის, თუმცა ყველა თაობაში არის ცუდიც და კარგიც, ამიტომ ყველას კარგს ვერ უწოდებ. ზოგადად მიზანდასახული თაობა მოდის, მინდა გისურვოთ ძალიან ბევრი შრომა და სწავლა, რის გარეშეც ვერაფერს მიაღწევთ, ცოდნა ერთადერთია რასაც ვერავინ ვერასდროს ვერ წაგართმევთ, სხვა ყველაფერი შეიძლება წაგართვან.

– ბატონო ნუკრი დიდი მადლობა დრო რომ დაგვითმეთ.



წმინდა ნინო

წმინდა ნინომ განგვამტკიცა, მართლმადიდებელი ერი, დაგვარწმუნა, რომ არსებობს ქვეყნად მხოლოდ ერთი ღმერთი, ერთი ღმერთი, ღმერთი ერთი, ყოველთვის და ყველგან ერთი, ის არსებობს იარსებებს მან შეგვქმნა და ვცოცხლობთ ღმერთით ამ ყველაფერს სათავეში უდგას წმინდა ღვთისმშობელი, ჩვენ ვირწმუნეთ: მამა ღმერთის, ძე ღმერთის და სულიწმიდის, ჩვენ ვარსებობთ შენი რწმენით და ვსაზრდობთ შენი რწმენით, ისტორია არსებობს და იარსებებს მხოლოდ შენით.

10.09.2014.

ზღაპარი

იყო და არა იყო რა,
ერთხელ ზღაპარში შევები,
ვიმოგზაურე და ქვეყნად
არ იყო არსად ფერები.
იყო და არა იყო რა,
არ იყო არსად ფერები,
არ იყო არსად ღმერთები.
მხოლოდ წითელი ფერი მოსჩანდა,

ჰორიზონტს იქით, იქით და ისიც...
თურმე დაჭრილი ადამიანი,
გაქცეულა და მიმალულა იქით.
ხან ვტიროდი და ხან ვიციროდი,
ხან ფიქრის ზღვებსაც გადავლახავდი,
ხან კი ძალიან უშნოდ მოსჩანდა
წითელი ფერი შავ-თეთრ ფერებში.

ეს სიცოცხლე ერთად-ერთია!..

დანა ბასრია ყველაფერს ჭრის, ხანდახან ტყდება,
სულს გამწარებენ, და სიცოცხლის მიღმა, რომ რჩები,
შენ მაინც ცხოვრობ, მათ ებრძვი და დაჭრილი დგები,

ფეხზე, რომ დგები, დაჭრილ სულით, მიწაზე წვეები.
შენ მაინც იბრძვი, არ ნებდები, თვით ვერ ხვდებიან,
გიჯობს პატარა ქოხში მარტოდ-მარტო დარჩენა,
სიცოცხლის მიღმა შენ ნებდები და ვერ ხვდებიან,
რატომ ხარ ქვეყნად, რატომ გიჯობს მარტო დარჩენა.
წუთისოფელი ერთია და ორჯერ ვერ მოხვალ,
ორჯერ ის მოდის ვინც უგულო ერთად-ერთია.
ერთად-ერთია ეს ლექსიც და ყოველი, ყველა,
ადამიანი მართლა ცხოველს დამსგავსებია,
ყოველი თავის სიცოცხლისთვის მუდმივად იბრძვის,
ყოველი თავის სიკვდილის დროს ადგენს და იღწვის,
ყოველი თავის მომავლისთვის ცოცხლობს და ცხოვრობს,
ყოველი ყველა აწმყოში ვართ, ვერ შევცვლით ბოლოს.



მე სულ მჯეროდა

მე სულ მჯეროდა ქვეყნად ტყუილად, რომ არ ვიყავი,
ხან რას ვფიქრობდი, აზრი თავში წამს მიელავდა,
ეს წამი ცვლიდა ყოველ სიტყვას, აზრსად და ფიქრსაც,
ხან სხვას ვფიქრობდი, აზრი თავში კვლავ მიელავდა.
მე დავიჯერე, რომ შემეძლო სხვაგვარი რაღაც,
მე დავიჯერე, რაც შემეძლო სხვა ვერ ხედავდა,
მე დავფრინავდი სამყაროს გარეთ, არ ვიცი სადღაც,
მე დავიჯერე, რაც შემეძლო სხვა ვერ ხედავდა.
თვალს, რომ ვხუჭავდი სამყაროს უფრო ვრცლადაც ვხედავდი,
თვალს, რომ ვხუჭავდი ჩემს აწყმოს და მომავალს ვქმნიდი
თვალს, რომ ვხუჭავდი მე მომავლის მიღმა ვრჩებოდი,
თვალს, რომ ვხუჭავდი ცისარტყელის ფერებს ვხედავდი.
სიცოცხლე არის ერთადერთი რასაც მე ვებრფი,
მე სულ მჯეროდა, რომ ვიყავი მე ერთად-ერთი,
მე მაინც ვსწავლობ სიცოცხლეს და ჯერ ვერა ვხვდები,
მაგრამ მე ვხვდები ერთ რაღაცას, ცხოვრებით ვტკბები.
სიკვდილი არის ერთად-ერთი რასაც მე ვებრძვი,
ვხვდები, რომ მერმე ეს სამყაროც გადაშენდება,
სიკვდილი მივა ყველასთან და ვერაფერს ვეტყვით,
მე სულ მჯეროდა, რომ ვიყავი ამ ქვეყნად ერთი.
10.2014წ.



შემინდე ღმერთო

შემინდე ღმერთო, რაც დავაშავე გთხოვ, რომ შემინდო,
მე შენს წინაშე მუხლომდრეკით მუდმივად ვგალობ,
შემინდე ღმერთო, თუ ღირსი ვარ, თუ ჩემი გესმის,
შენ კარგად გესმის ჩემი ენა, მე ვგრძნობ, რომ გესმის.
და გთხოვ რომ ღმერთო დამსაჯო და არ შემიბრალო,
შემინდე ღმერთო, რაც დავაშავე გთხოვ, რომ შემინდო.
მე შენს წინაშე დაჩოქილი ვგალობ, ვლოცულობ.
ღმერთო მე ვხედავ, ჩემს გულში ხარ და ამით ვხარობ.

მე შენ წაგძლე!

მე შენ წაგძალე, გაგცილდი, მოგშორდი,
 შორს გავიწიე და აღარ მიყვარხარ,
 რა ვქნა, რომ მიყვარდი და აღარ მიყვარხარ,
 რა ვქნა, რომ გიყვარვარ, მე აღარ მიყვარხარ,
 ბევრჯერ გამიგია მოშორდი მაგასო,
 მე არ გშორდებოდი მიყვარდი მაინც,
 მაგრამ მე წაგძალე შევძელი როგორღაც
 და მე ის შევძელი, რაც შენ ვერ შეძელი.
 რამდენჯერ გიწოდე: მზე ხარ და მთვარეო,
 მაგრამ შენ მითხარი უბრალოდ წადიო,
 მეც გამოვბრუნდი და გულიდან წაგძალე,
 წაგძალე საერთოდ, აღარც კი მახსოვხარ.
 მე აფრა დაუშვი „რედენდოვიდესის,“
 მე, რომ დავიჯერე ველარა გნახეო,
 მე, რომ შემოვბრუნდი წაგძალე საერთოდ,
 ახლა კი მე ვამბობ: გასწი და წადიო.
 რამდენჯერ მითქვია, იქნებ ის არ მიყვარს,
 რამდენჯერ მოვსულვარ სახლში და აღმითქვამს,
 რამდენჯერ დაბნეულს გულს შენთან მოვყავდი
 და ცაში აფრენილს, სული ძირს მაგდებდა.
 და მე ამ სტრიქონებს აი აქ ვამთავრებ,
 გულიდან წაგძალე, სულიდან გაგაგდე,
 რადგან შენ ვერ შესძლებ,
 ვერასდროს სიყვარულს.

როლესაც

როცა ქუჩაში დავიარები,
 მთებს გავეურებ და გულში კი ვფიქრობ,
 რომ ამ დალოცვილ დედამიწაზე
 მე დავდივარ და აღვიქვამ თითქოს,
 რომ ჯადოქრობას საზღვარი არ აქვს,
 რომ მთავრეს სული ექნება სადღაც,
 რომ დედამიწა გაქრება აღბათ,
 მაგრამ ამ მომენტს არ ვნახავთ არა.
 როდესაც გული გექცევა ქვად და
 თვითონ ვერ ხვდება ცხოვრება გაქრა,
 როდესაც გული არ ამბობს მართალს,
 როდესაც მარტო დარჩები მასთან.
 ის მომენტები შენს გულში ფეთქავს,
 ის მომენტები ცაში დაფრინავს.

ოდესღაც აღბათ ყველა მოკვდება,
 მაგრამ ახლა ხომ ხმელეთს დავდივართ.
 ეს მომენტები ჩემს გულში გაქრა,
 მოგონებები წავიდა სადღაც,
 ეს სიტყვებია მხოლოდ და მართლა,
 გადავასახლე არ ვიცი სადღაც.
 არ შეიძლება ასე უბრალოდ
 მოგონებები გააქრო აღბათ,
 არ შეიძლება ასე უბრალოდ
 აჩემო და გატეხო დანა,
 მის ხმაურს მოსდევს მომავლის განცდა
 არ შეიძლება უბრალოდ არა.
 22.03.15.





ალექსი ფეიქრიშვილი

თბილისს

მე თბილისი ისე მიყვარს
როგორც დედის ზღაპარი
უთქვენობით მე არ მინდა
გაზაფხული, ზაფხული
მტკვრის ზვირთებში მესმის
იავნანა ლამაზი,
დამიძახებთ? თქვენთან მოვალ
მუხლმოდრეკით, ფიალით...
არასოდეს მიმდერია
ასე გულის ტრფიალით.
თბილისსა და ჩემს დედიკოს
ჩავიხუტებთ უბეში,
მე უთქვენოთ ველარ გაუძლებ
თქვენ ხართ ჩემი ნუგეში.
ლექსს მოგიძღვნი შენ თბილისო,
ჩემებური ალერსით.
მოვალ შენთან, მოვალ შენთან
სვანის ბიჭი ალექსი.

ჩემს ბებოს

შენ შემაყვარე მე საქართველოს
მთა და ველები, ენა, მამული სარწმუნოება
და დედის ნანა.
შენ ჩამინერგე ლექსის და პოეზიის
ეს სიყვარული,
ჩემო საყვარელო ბებო „ნანა“
რომ გავიზრდები მე დავაფასებ
შენს ჯაფასა და ძაღვს.
ჩემი იმედი გქონდეს ყოველთვის
არ დავივიწყებ არა...
მე შენს ოცნებებს ფრთებს შემოვასხავ
ჩემო ძვირფასო „ნანა“
მე შენ მოგიძღვნი ლექსებს და ზღაპრებს
და მოუყვები ქალაქს!





მარი ურიდია

* * *

მესმის ხმა... ფეხების ხმა...
ეს გულის ფეთქებაა ხშირია და
სუნთქვა მეკვრება, სურვილი მკლავს.
ნეტავ ვინ მოდის, რა ხდება, რა?!
ვიღაც ჩნდება, კონტურებს ვხედავ
შავი შარვალი და შავი ზედა
მიახლოვდება, გული კვლავ ფეთქავს,
მაგრამ მივდივარ და მიმაქვს სევდა.

ლამის მინორი

და უკვე დაღამდა,
ცრემლები გათავდა...
ფურცელი გაშავდა
ფანქარი გადატყდა.
სიტყვები აღარ მაქვს
აზრები დამთავრდა...
მუხები მომსდევენ
ძილი არ დამცალდა.

ფიქრების ამინდი

ვარ უდაბნოში სრულიად მარტო,
ეულად დაძრწის ფიტული, თან თოვს,
მზე მწარედ არტყამს ცხოვრების ვაგონს
მიწას და ფიფქრი ილევა, დარდობს.
ქუხილი ისმის, ელვა და ამ დროს
პატარა გოგო სრულიად მარტო.
მშველელი არ ყავს, ყვირის და ნანობს:
აქ რა უნდოდა უცოდველ ბავშვსო?
ცხოვრება მიდის, დრო გადის, ჩქარობს.
გოგონა ისევ ქვიშაზე ხარობს,
მაგრამ ეს ქვიშა პატარას ართობს,
უკვე იქაა, სადაც ის ვარდობს.

* * *

ხესთან ჩამეძინა, გული გამეყინა
ქარმა დაუბერა, სევდა მომეფინა,
მთვარე დავინახე, თვალი ამარიდა,
ვარსკვლავს გაუღიმა, მე კი გამერიდა.
დავრჩი ისევ მარტო სული კვლავაც დარდობს,
დამე აღარ მართობს, მხოლოდ სიზმრებს მანდობს.
აისს ველოდები, ეს დროც სულ არ ჩქარობს
ბინდში ლანდებს ვხედავ, სული შორს ნავარდობს.



ინტერვიუ ქაღაქ ქარელის საჯანმსახურებლო რესურსცენტრის ბ-ნ გიორგი კობახიძესთან

- მე გახლავართ ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიასთან არსებული ჯურნალ „ათინათის“ ნორჩი ათინათელი, ქარელის პირველი საჯარო სკოლის მე-2 კლასის მოსწავლე ელენე გონგლიაშვილი

-რამდენი სკოლა ფუნქციონირებს ქარელის რაიონში?

-ჩვენს რაიონში 35 საჯარო და ერთი კერძო სკოლაა.

-ენის სიწმინდის საკითხთან დაკავშირებით რაიონში ჩატარდა ღონისძიებები, კმაყოპილი ხართ თუ არა შედეგებით?

-ჩვენი რესურსცენტრის ორგანიზებით ჩატარდა სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენცია „რა ენა წახდეს...“, რომელშიც საკმაოდ აქტიურად ჩაერთვნენ ჩვენი სკოლების მოსწავლეები. მათ საკმაოდ საინტერესო ნაშრომები წარმოადგინეს. კომისიის მიერ შეირჩა სამი თემა, რომელთა ავტორებსაც გადაეცათ სიგელები და სამახსოვრო საჩუქრები.

-ჯანმრთელი ცხოვრების წესს იცავენ თუ არა ქარელის რაიონის სკოლები და რა კუთხით?

-სკოლები მეტნაკლებად ცდილობენ ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას. ყოველწლიურად იმართება საფეხბურთო, საკალათბურთო თუ სხვა სახის შეჯიბრებები.

-იცნობდით დიდ მოგზაურს, ბატონ ჯუმბერ ლეჟავას?

-სამწუხაროდ, ბატონ ჯუმბერ ლეჟავას, ამ ნამდვილად პატივსაცემ ადამიანს, პირადად არ ვიცნობდი, თუმცა ყოველთვის თვალყურს ვადევნებდი მის მოღვაწეობას.

-იცნობთ თუ არა ჟურნალ „ათინათს“?

-ჩემთვის ცნობილია ამ ჟურნალის არსებობა.

-გაქვს თუ არა სურვილი, სკოლის ბიბლიოთეკაში შედიოდეს ჟურნალი „ათინათი“?

-ზოგადად, სასურველია სკოლის ბიბლიოთეკა იყოს მრავალფეროვანი. რაც შეეხება ამას თუ იმ კონკრეტული დასახლების ჟურნალის სკოლის ბიბლიოთეკაში არსებობას, ამას წყვეტს თვითონ სკოლის ადმინისტრაცია.

-ბავშვობის ასაკში რომელი დარგით იყავით გატაცებული და დასახულ მიზანს თუ მიაღწიეთ?

-ბავშვობაში დაინტერესებული ვიყავი ბიოლოგიით და გადაწყვეტილი მქონდა ამ მიმართულებით გამეგრძელებინა სწავლა, თუმცა მოგვიანებით ეს აზრი შევიცვალე. ახალგაზრდულ ასაკში გამიტაცა კალათბურთმა. ამ მხრივ დიდი წარმატებისთვის არ მიმიღწევია, თუმცა ამ გატაცების გამო ცხოვრების უნახად წესს მივეჩვიე.

-თქვენი აზრით, კომპიუტერმა, რომელიც დაწყებითი კლასიდან ისწავლება, დადებითი გავლენა მოახდინა აღსაზრდელებზე თუ უარყოფითი?

- კომპიუტერს დიდი სარგებლის მოტანა შეუძლია, თუ მას მიზანმიმართულად და სწორად გამოვიყენებთ. თუმცა მისი გამოყენებისას დიდი სიფრთხილეა საჭირო. კომპიუტერმა არ უნდა მოგვწყვიტოს რეალურ სამყაროს და არ უნდა იქცეს ჩვენს საუკეთესო მეგობრად.

-რა დარგის სპეციალისტი ბრძანდებით?

-ფილოსოფიურ მეცნიერებათა მაგისტრი, გერმანისტიკის, სკანდინავისტიკისა და პედაგოგიკის სპეციალიზაციით.

-სად მიიღეთ უმაღლესი განათლება?

-უმაღლესი განათლება მივიღე გერმანიაში, ერლანგენ-ნიურნბერგის უნივერსიტეტში.

-დაოჯახებული ხართ?

-დიახ, დაოჯახებული ვარ.

-ვინ იყო თქვენი პირველი კლასის მასწავლებელი და როგორ გაისვენებდით მას?



-პირველ კლასში ქალბატონი ლეილა ქობულაშვილი მასწავლიდა - ძალიან სათნო და ლამაზი ქალბატონი.

-როგორი მოსწავლე იყავით?

-სკოლაში ყოველთვის საუკეთესო შეფასებებს ვიღებდი, თუმცა დისციპლინით არ გამოვიჩინე ვერასოდეს ვჯდებოდი ჩარჩოებში.

-რას უსურვებთ მოსწავლე ახალგაზრდობას?

-ახალგაზრდებს, პირველ რიგში, მშვიდობას ვუსურვებ. ვუსურვებ ჰქონდეთ სწავლის და განვითარების ყველა პირობა და მათი შრომა დაფასებულიყვეს. ვუსურვებ ისეც საქართველოში ცხოვრებას, სადაც პატიოსნება, შრომისმოყვარეობა, სიკეთე, ურთიერთთანადგომა, მოყვასის სიყვარული ცხოვრების წესი იქნება.

დიდი მადლობა ინტარვიუსთვის

რაზი მუმლაძე

მე-3 კლასის მოსწავლე

ქ. თბილისის საერო

საგანმანათლებლო სკოლა „მერმისი“



ფუმფულა ციყვი

ზამთარი იყო. ხის პატარა ფუღუროში ცხოვრობდა ერთი ციყვი, რომელიც ძალიან ჭკვიანი და ძალიან ლამაზი იყო. ის შემოდგომაზე გროვებდა ზამთრის საჭმელს. სხვა ციყვებთან განსხვავებით მას ქონდა ძალიან დიდი და ლამაზი ფუმფულა კუდი.

ზამთარში ყველა ცხოველები დარბოდნენ ტყეში რათა საჭმელი ეშოვნათ.

ჭკვიანი ფუმფულა ციყვი კი იჯდა თავის ფუღუროში და მთელი ზამთრის საჭმელი ჰქონდა.

სადამო ხანი იყო ციყვს ფუღუროში ესტუმრა თავის მეგობარი ციყვი და შესჩივლა – ძალიან მშია, საჭმელს ვერ ვშოულობ შეგიძლია დამეხმარო? ფუმფულა ციყვმა დაასაჩუქრა თავის მეგობარი თხილით და კაკლით. წავიდა ციყვი ბედნიერი შუა ტყეში ციყვს შეხვდა მშვიერი მეგელი, მან შარები მოსდო ციყვს და გადასანსლა.

მეორე დღეს გაიგო ეს ამბავი ფუმფულა ციყვმა და გაეშურა ტყისკენ. მოძებნა აბეზარი მეგელი და სთხოვს: – მეგელო, მეგელო, დამიბრუნე ჩემი მეგობარი და მთელ ჩემს საჭმელს შენ მოგცემ.

მგელს მოეწონა ეს აზრი. მუცელზე თათი შემოირტყა და – გადმოდი ციყვო ჩემი მუცლიდან შენი მეგობარი მოვიდა შენს წასაყვანად. ისიც გადმოვიდა მუცლიდან და ფუმფულა ციყვს ჩაეხუტა.

ფუმფულა ციყვი ასე დარჩა მშვიერი მეგობრის გულისთვის. მეგობრობა იმარჯვებს.



ნანა სხირტლაძე



ჩვენ წიგნის ქვეშეობაში ვართ. მკითხველს ვთხოვთ!

ინტერვიუ ხაშურის რაიონის ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორთან, ქატიკონ მკვაძე ...

მე გახლავართ ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიასთან არსებული ჯურნალ „ათინათის“ ნორჩი ათინათელი, ქ. რუსთავის №11-ე საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე, ნანა სხირტლაძე.

ქალბატონო მკვაძე, რა პროფესიის ბრძანდებით და რამდენი ხანია მუშაობთ ბიბლიოთეკაში?

პროფესიით ვარ ინჟინერი, დავამთავრე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. ვმუშაობდი სხვადასხვა თანამდებობებზე: საპარლამენტო წარმომადგენლობაში, ვიყავი სკოლის დირექტორი, ბავშვთა სახლის დირექტორი, შემდეგ დიდი სიხარულით დავიწყე მუშაობა ბიბლიოთეკაში, რადგან კითხვა და ბიბლიოთეკა ბავშვობიდან მიყვარდა, და ჩემი საყვარელი ადგილი იყო ბიბლიოთეკა.3 წელი ვიმუშავე ახალგაზრდული პროგრამების მენეჯერად და შემდეგ, გასული წლის ივნისიდან ვარ ბიბლიოთეკის დირექტორი.

რამდენი ბიბლიოთეკაა ხაშურის მუნიციპალიტეტში?

პასუხი: 2011 წლამდე ხაშურში იყო 26 ბიბლიოთეკა, შემდეგ მოხდა რეორგანიზაცია და დღეს არის სულ 3 ბიბლიოთეკა: ხაშურის ცენტრალური, ხაშურის საბავშვო და სურამის ბიბლიოთეკები.

ყავს თუ არა მკითხველი დღეს ბიბლიოთეკას?

ბიბლიოთეკა ფლობს კულტურის, განათლების, ინფორმაციის და ცოდნის უდიდეს საგანძურს, რომელიც ესაჭიროება ყოველ ჩვენგანს, ჩვენს ქვეყანას და მის ყოველ მოქალაქეს. ეს ცოდნა, ინფორმაცია განსაკუთრებით გვესაჭიროება დღეს - პოლიტიკური, ეკონომიკური და დემოკრატიული გარდაქმნების პერიოდში. ბიბლიოთეკამ დღეს შეითვისა თანამედროვე ფუნქცია - გარდა იმისა, რომ ბიბლიოთეკაში ხდება წიგნით მკითხველის მომსახურება, ასევე მკითხველი აქ პერიოდული პრესით, ინტერნეტით და სხვადასხვა საშუალებით იღებს საჭირო ინფორმაციას. დღეს ბიბლიოთეკას ყავს საკმაოდ ბევრი მკითხველი: მოსწავლეები, სტუდენტები, პენსიონერები, მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ასაკის მაცხოვრებლები. ჩვენთან მათ ხვდებით თანამედროვე გარემო - აღჭურვილი ახალი წიგნებით, პერიოდული გამოცემებით, ტექნიკით, ინტერნეტზე თავისუფალი დაშვებით.



კითხვა: რომელი სფერო უფრო აინტერესებს მკითხველს?

ჩვენთან მოთხოვნა არის ძალიან მრავალფეროვანი. მხატვრული და შემეცნებითი ლიტერატურა არის ძალიან პოპულარული, გასულ წელს მაგალითად ყველაზე მოთხოვნადი წიგნი იყო დათო ტურაშვილის წიგნი "ჯინსების თაობა", წელს კი გიორგი კეკელიძის "გურული დღიურები" - ა ძალიან კითხვადი. სტუდენტებს ჭირდებათ სხვადასხვა დარგობრივი სამეცნიერო, იურიდიული, სპეციფიური ლიტერატურა, რითიც სარგებლობენ კიდევ ჩვენი ფონდებით.

გაქვთ მდიდარი ფონდი?

იცი, ჩვენი ბიბლიოთეკა მოიცავს საკმაოდ მდიდარ წიგნად ფონდებს - ცენტრალურში გვაქვს 46 492 წიგნი, საბავშვო 16 308 და სურამში 25 089.

ახალი ლიტერატურა თუ გაქვთ?

ვცდილობთ შავავსოთ ახალი წიგნებით ჩვენი ფონდები. მკითხველის მოთხოვნა დიდია ახალ წიგნებზეც და თანამედროვე ლიტერატურაზე.

წელს პრეზიდენტის ინიციატივით საქართველოს მასშტაბით განხორციელდა პროექტი: "წიგნი ყველა სოფლის ბიბლიოთეკას". და ჩვენ გადმოგვეცა 500 ლარიანი ვაუჩერი ახალი წიგნების შესაძენად თითოეული ბიბლიოთეკასათვის, ასე, რომ ეს დიდი საჩუქარი იყო ჩვენი მკითხველებისათვის, განსაკუთრებით პატარებმა გაიხარეს ამ საჩუქრით.

რა სიახლეებით სარგებლობენ მკითხველები თქვენთან?

ჩვენთან არსებობს თავისუფალი სივრცე ნებისმიერი მსურველისათვის: ადამიანს შეუძლია თავისუფალ დროს მოვიდეს ბიბლიოთეკაში და ჩაერთოს სხვადასვა პროგრამებში. ჩვენთან მოქმედებს კლუბები: "კითხვის კლუბი", "მეცნიერების მოყვარულთა კლუბი", "პატარა მკითხველთა კლუბი", "ზღაპრის მოყვარულთა კლუბი", "ქალთა კლუბი" და ასევე რამდენიმე მიმდინარე პროექტი ხორციელდება, რაც ძალიან მოწონს მოსახლეობას და ამიტომ ჩვენთან მუდმივად ხალხმრავლობაა.

რაც შეეხება თანამედროვე ტექნოლოგიებს, ჩვენი ბიბლიოთეკა ჩართულია ელექტრონული ბიბლიოთეკის "ოპენბიბლიო" - ს პროგრამაში, რაც საშუალებას აძლევს მკითხველს, სახლიდან გაუსვლელად მოიძიოს და დაჯავშნოს წიგნი. ასევე ჩვენთან ტარდება უფასო ტრენინგები კომპიუტერის და ინგლისური ენის შესასწავლად.

ამჟამად რა პროექტი მიმდინარეობს?

ამ ეტაპზე ტარდება მუნიციპალიტეტის სკოლების მოსწავლეებისათვის ინტელექტუალური პროექტი "რა, სად, როდის?" და ასევე საგნობრივი ტურები 9 საგანში, სადაც გამოვლინდება გამარჯვებული გუნდი და "წლის ინტელექტუალური მოსწავლე".

ვინ სტუმრობენ თქვენს ბიბლიოთეკას?


ბიბლიოთეკაში იმართება წიგნის პრეზენტაციები, გამოფენები, კონფერენციები, საიუბილეო საღამოები, საჯარო ლექციები, პოეზიის საღამოები, კინოჩვენებები და სხვა ტიპის კულტურული და საგანმანათლებლო ღონისძიებები. ჩვენთან ხშირად ჩამოდიან ცნობილი ადამიანები: მწერლები, პოეტები, გამომცემლები. ამ ბოლო პერიოდში გამომცემლობა "დიოგენე" გვეწვია და წიგნის გამოფენა-გაყიდვა მოეწყო. მოსახლეობა ძალიან კმაყოფილი დარჩა, მათ დიდ ფასდაკლებით შეიძინეს სასურველი წიგნები.

ხშირად ვაწყობთ ჩვენს ქალაქში მცხოვრები ავტორების წიგნის პრეზენტაციებს. სულ რამდენიმე დღის წინ მოეწყო ახალგაზრდა პოეტი ქალის, ხათუნა ჩიტაძის წიგნის "ნამზეურების" წარდგინება.

რა გეგმები გაქვთ?

ჩემი დიდი სურვილია სოფლებში აღდგეს ბიბლიოთეკები, და სოფლის მკვიდრს გაუჩინდეს კულტურული ცხოვრებისათვის ელემენტარული პირობა – მივიდეს საზოგადოებრივ ცენტრში, თანამედროვე ბიბლიოთეკაში და მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია: წიგნით, პერიოდული პრესით, ინტერნეტით. იმედია, ახალი ხელისუფლების პირობებში მოგვეცემა ამისი საშუალება და კულტურულ დაწესებულებებს დიდი ყურადღება მიექცევა, რადგან წიგნის გარეშე არ არსებობს განათლება, განათლებული ადამიანის გარეშე, კი თავისუფალი საზოგადოება. ჩვენს ქვეყანას კი დღეს ჭირდება განათლებული, წესიერი, ზნეობრივი ადამიანები.

- წარმატებებს გისურვებთ და ბევრ მკითხველს!



ნორჩი ლიტერატორები



ღელა მესხი

ქ. თბილისის 167-ე საჯარო სკოლის ლიტერატურულ-შემოქმედებითი წრის ხელმძღვანელი




ჩემი ჰაცარა მეგობრები...

ჩვენ გვჯერა, რომ ლიტერატურის სიყვარული მშობლიური მიწიდან ამოზრდილი ნერგია და სამშობლოს ზეციდან დაშვებული ერთ-ერთი ნათელი სხივი...

ჩემი პატარა მეგობრები, ნორჩი ლიტერატორები, ეროვნულ ფესვებს, საიმედო საყრდენს, მერე კი... შეიძლება მუხების შთაგობებით თუ ვერა, პატრიოტიზმითა და ლიტერატურის სიყვარულით გულანთებულნი მაინც ივლიან ქვეყნიერებაზე...

მარიამ ტყეპუჩავა

ქ. თბილისის 167-ე საჯარო სკოლის მე-VF კლასის მოსწავლე



მეუფე თადეოზის ხსოვნას!


სამწუხაროა, რომ დიდი ადამიანი აღარ არის... მეუფისადმი მიძღვნილ საღამოზე წავიკითხე მისი ლექსი „ისევ მოვა გაზაფხული“.

მართლაც, ბევრჯერ მოვა გაზაფხული და მონატრება მოგვებადება ჩვენს უსაყვარლეს მეუფეზე.

ღმერთმა ნათელი დაუმკვიდროს მას!..

ტატო ლაგვილავა

ქ. თბილისის 167-ე საჯარო სკოლის მე-VF კლასის მოსწავლე



მეუფე თადეოზის ხსოვნას!..

მეუფე თადეოზი იყო შესანიშნავი პიროვნება და საინტერესო პოეტი. მასზე ბევრი მსმენია. მეამაყება, რომ ეს ადამიანი ცხოვრობდა ჩვენს შორის...

განსაკუთრებით მიყვარს მისი ორი ლექსი: „ისევ მოვა გაზაფხული“ და „სონეტი ქართულ მიწას“.

ღმერთმა ნათელი დაუმკვიდროს მეუფე თადეოზს!..

გაზაფხული

აი, გვესტუმრა ნანატი გაზაფხული... მზიანი და თბული დღეებია, გული სიხარულით გვევსება, ფრინველები დაბრუნდნენ თბილი ქვეყნებიდან, ია და ენძელაც თავს იწონებს მშვენიერი გაზაფხულით...

ყველას გილოცავთ გაზაფხულის შემობრძანებას!
გისურვებთ ბედნიერებასა და ყოველივე სიკეთეს!..

ეკატერინე ქვარაია

თბილისის №167-ე საჯარო სკოლის
მე-VI კლასის მოსწავლე



გაზაფხული

გაზაფხლი ჩემთვის ყველაზე გამორჩეული წელიწადის დროა. ბუნების ზეიმი იწყება.

მცენარეები ხარობენ, ნათელი დღეებია, ხეები ჟანგბადს გვაწვდიან, ეს ჯანმრთელობისთვის აუცილებელია.

ჩემი აზრით, გაზაფხულის დადგომა ყველას უხარია ... გილოცავთ!... მოდის გაზაფხული ენძელებით და იებით, სიმ-წვანითა და სურნელებით...

მარიამ კეკელია

ქ. თბილისის 167-ე საჯარო სკოლის
მე-VI კლასის მოსწავლე



ღეღებს!...

ყველა დედას ვულოცავ გაზაფხულის დადგომას, მინდა მუდამ გაზაფხულს გავდინე, ამ კეთილ ფერიას...

დედის ბედნიერება ჩვენზეცაა დამოკიდებული, ბედნიერია დედა, რომელსაც კარგი შვილი ჰყავს, ამიტომაც ყველანაირად უნდა შევეცადოთ, რომ დედა ბედნიერი იყოს...

მსოფლიოს დედებო, მრავალ გაზაფხულს დაესწართ!...

ანა ასაბაშვილი

ქ. თბილისის 167-ე საჯარო სკოლის
მე-VI კლასის მოსწავლე



„ათინათი“

ძალიან მომწონს ჟურნალი „ათინათი“. მე ხომ მისი ნორჩი ავტორი ვარ... ჩემთვის ეს დიდი პატივია...

მინდა მადლობა გადაუხადო ჟურნალი „ათინათის“ დამფუძნებელსა და რედაქტორს ქალბატონ გულნაზ ხარაიშვილს...

ჩემი მხრიდან შევეცდები ყველას იმედები გაგამართლო და „ათინათის“ ფურცლებზე იამაყოს ჩემით!

გვანცა ალავერდაშვილი

ქ. თბილისის 167-ე საჯარო სკოლის
მე-VI კლასის მოსწავლე



ღმერთთან სიახლოვე . . .


მე მწამს, რომ არსებობს იესო და ღმერთმა შექმნა სამყარო ... როცა უფალი მიგზავნის განსაცდელს, ვხვდები, რომ ეს იმ დანაშაულის სასჯელია, რომელიც მაქვს ჩადენილი და ვცდილობ, მაშინვე მოვინანიო...

ცოდვების მონანიებაში მესმარება იესოს მსახური მამაო...

მე და ჩემმა კლასელებმა გადავწყვიტეთ გავგვეკეთებინა ხატების კუთხე, რათა კლასში დაგვემყარებინა სიმშვიდე . . . ამან ნამდვილად გაამართლა...

ჩემი ოცნებაა, ერთი კვირით მაინც ვიცხოვრო მონასტერში და დავეხამრო ღვთის მსახურებს...

ესეები



ირაკლი დარსალია

თბილისის 167-ე საჯარო სკოლის
VI კლასის მოსწავლე

*ირაკლი დარსალიას ესეები
გააფორმა ნორჩმა მხატვარმა
ანა სართანიამ*



დაუმსახურებელი წყენა

წყენას განმარტავენ, როგორც უკმაყოფილების განცდას, წერენ, რომ ეს ზედმეტი ბარგია. ის ორგანოა: დამსახურებული და დაუმსახურებელი. მას აქვს დადებითი და უარყოფითი მხარეები.


დადებითია ის, რომ სამართლიანი წყენის დროს

ადამიანი ხვდება თავის საქციელს და ცდილობს მის გამოსწორებას.

უარყოფითია, როცა უსამართლო წყენისას ადამიანი დიდი ხანი ინახავს მას. ვფიქრობ, ეს ჯოჯოხეთური გრძნობაა.

საზღვარგარეთის ლიტერატურიდან, მარკ ტვენის „ტომ სოიერის“, თავგადასავლიდან, ჩვენ ვიცით, რომ ტომი გაანაწყენა სიდიმ, მან დეიდა პოლის გაუმხილა ტომის დანაშაული, საშაქრის გატეხვის თაობაზე, ტომმა ძმას, ჩემი აზრით, დაუმსახურებლად მიაყენა წყენა.

არჩილ სულაკაურის ნაწარმოებში, „ბიჭი და ძაღლი“, ბიჭსა და მის მეტოქეებს შორის წინა-



აღმდეგობაა, ამით, დაპირისპირებულნი, დაუმსახურებლად აყენებენ წყენას გიგას. ჩემი აზრით, ასეთ ქმედებას უარყოფითი შედეგი მოსდევს.

სულხან-საბა ორბელიანის ალეგორიულ იგავ-არაკში „კუ და მორიელი“, მორიელმა მადლიერების ნაცვლად აწყენინა კუს, რომელსაც ის გადაჰყავდა ერთი ნაპირიდან მეორისკენ. ჩემი აზრით, მორიელისგან ეს უსამართლო ქმედებაა, უმადურობის გამოვლენაა.

ამგვარად, წყენა არის ადამიანის უკმაყოფილების განცდა, არა აქვს მნიშვნელობა, ის დადებითი იქნება თუ უარყოფითი. მისი არსებობა სასურველი არაა. დამსახურებულმა წყენამ ადამიანი უნდა გამოასწოროს, დაუმსახურებელმა კი ზიანი არ უნდა მიაყენოს სხვას.

ზნეობა

წერენ, რომ ზნეობა იმ წესებისა და ნორმების ერთობლიობაა, რომლებიც განსაზღვრავენ ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებასა და ყოფაქცევას, ამა თუ იმ საზოგადოებაში. არსებობენ ადამიანები, რომლებიც არიან ზნეობრივები და უზნეობები.



ერთხელ შევნიშნე, რომ ჩემი მეგობრის დედა ქუჩაში მიდიოდა და თავისი შვილი პროდუქტების წამოღებაში დაეხმარა. ასეთ ადამიანს ზნეობრივს უწოდებენ.


შინისაკენ მივდიოდით მე და ჩემი ნაცნობი, შევნიშნეთ, რომ მოსუცს ფული დაუვარდა. მან მითხრა არ მისცეო, მე კი დავუბრუნე. ადამიანს, რომელიც ნაპოვნ ნივთს არ დაუბრუნებს პატრონს, ჩემი აზრით, უზნეოს უწოდებენ.

ზღაპარს ვკითხულობდი, სადაც მოთხრობილია ორ ღარიბ ძმაზე. ერთს გაუჭირდა, მეორე კი დაეხმარა, როდესაც მეორეს გაუჭირდა მან მიატოვა, ჩემი აზრით, პირველი ძმა ზნეობრივია, მეორე კი უზნეო.

ამგვარად, ზნეობა არის ადამიანის კარგი თვისება.

გულგრილობა

გულგრილობა სულის მძიმე ავადმყოფობააო, წამიკითხავს, ის დანაშაულია. არსებობენ ადამიანები, რომლებსაც ერთი თბილი სიტყვა არ უთქვამთ სხვისთვის და მერე უკვირთ, რატომ მეძახიანო გულგრილს.



ჩემი ნაცნობის ძმას ფეხი აუცურდა, ზურვით დაეცა, მე დავეხმარე, მაგრამ მისი ძმა სიცილით კვდებოდა, იგი გულგრილია.

ერთხელ საბანაოდ ვიყავი. პატარა ბავშვი ღრმა ადგილას შევიდა და ვერ გამოდიოდა. ყველა უყურებდა, მაგრამ არავინ შესულა, ისინი გულგრილები არიან.

კინოს ვუყურებდი, სადაც სასტიკად სცემდნენ ერთმანეთს. კაცმა ჩაუარა ამ ჩხუბს ისე, რომ არაფერში ჩაერია. იგი გულგრილია.

ამგვარად, გულგრილობა არის სხვისი გასაჭირის გაუთვალისწინებლობა.

ბუნება



ბუნება არის გარემო, რომელიც შენ გარშემოა. იგი ორგვარია: სუფთა და დაბინძურებული.

ჩემი საცხოვრებელი გარემო არის სუფთა, ჩემი აზრით, იმიტომ, რომ ჩვენ, უბნელები, სისუფთავს ვინარჩუნებთ.

გალში არის ღელე, რომელიც ძალიან ჭუჭყიანია, იქ კარგი და დიდი ჯიშის თევზებია, მინდა, რომ იგი სუფთა იყოს.

საქართველოს ბუნება მშვენიერებით განუმეორებელია. წითელ წიგნშია შეტანილი ზოგიერთი ცხოველი და ხე. საქართველოს ბუნება სუფთაა.

ამგვარად, ბუნება არის სიცოცხლის წყარო და უნდა გავუფრთხილდეთ მას.

ღმერთის მცნებები და ადამიანები

უფლის მცნება არის წესი და კანონი, რომელიც ადამიანებმა უნდა დაიცვან, რათა ცხოვრება დედამიწაზე იყოს უფრო კარგი, მაგრამ ზოგი ადამიანი ამ წესებს არ ემორჩილება.

ერთ-ერთი მცნება მოგვიწოდებს: „არა კაც ჰკლა“, რომელსაც ზოგჯერ, არ ასრულებენ. რომელი რელიგიის აღმსარებელიც არ უნდა იყო, უფლება არ გაქვს, სიცოცხლე მოუსწრაფო სხვას, ის ხომ ღვთის საჩუქარია; უფლის საჩუქრის ხელყოფას არაჰუმანური საქციელი ჰქვია.

ამგვარად, მცნებები არის უფლის კანონები, რომელიც ყველამ უნდა შეასრულოს.



ნიკოლოზ მარჯანიძე

თბილისის 167-ე საჯარო სკოლის
მე-6 კლასის მოსწავლე



დედამიწა

დედამიწა, ალბათ, ერთადერთი პლანეტაა, რომელზედაც სიცოცხლე სუფევს... მისი უდიდესი ნაწილი წყალს უკავია, დანარჩენი ხმელეთს, გარდა დედამიწისა, კიდევ რვა პლანეტაა კოსმოსში, მაგრამ, იქ, ადამიანები, მგონი, არ ცხოვრობენ...

დედამიწა ულამაზესია კოსმოსის გადმოსახედიდან, მას უამრავმა სხეულმა ჩაუარა გვერდით, მაგრამ არ განადგურებულა. მზე ათბობს, მზის სხივი ჩვენთან რომ მოვიდეს, რვა წუთი სჭირდება, ის დედამიწის ირგვლივ შემოვლას 365 დღეს, 5 საათს, 48 წუთსა და 46 წამს ანდომებებს. დედამიწას მილიარდობით მცხოვრები ჰყავს...

დედამიწით ვარსებობთ... ის სიცოცხლეს, მშვენიერებას გვაგრძნობინებს...

მარიამ ტყეშელაშვილი

ქ.თბილისის 167-ე საჯარო
სკოლის მე-5 1 კლასის მოსწავლე



ბუნება

ბუნება სიცოცხლის წყაროა. მას აუცილებლად უნდა გავუფრთხილდეთ!... დანაგვიანებული გარემო ადამიანის ჯამთელობაძე ძალიან ცუდად მოქმედებს. მსოფლიო შემოფოთებულია ამ ფაქტის გამო და შეიქმნა გარემოს დაცვის ორგანიზაცია. კარგი იქნებოდა ყველა ჩვენგანს შეეტანა წვლილი გარემოს დაცვაში...

ეს არ არის დღევანდელი პრობლემა. ძველი დროიდან მოდის, ამიტომაცაა ნათქვამი „ტყე შეუნახე შვილებსა მამა ხარ, შენი ვალია,“ სწორედ ამ დევიზით უნდა ვიცხოვროთ...

დემნა ლომიძე

ქ. თბილისის 167-ე საჯარო
სკოლის VI კლასის მოსწავლე



ოჯახი...

ოჯახი ჩემთვის ბედნიერებაა, მის გარეშე ცხოვრება არ შემოიძლია...

ჩვენ ერთმანეთის სიყვარულით ვცოცხლობთ, ბევრი გასაჭირი გამოიარეს ჩემმა მშობლებმა, სანამ მათ მოვევლინებოდი, მაგრამ სიყვარული აძლიერებთ ადამიანებს და სიძნელეების გადალახვაში ეხმარება...

გიყვარდეთ ერთმანეთი! სიყვარული მტკიცე ოჯახის საწინდარია...

ვალერ ხაზალია

ქ. თბილისის 167-ე საჯარო სკოლის მოსწავლე



ჩემი სკოლა...

მე თბილისის 167-ე საჯარო სკოლის მოსწავლე ვარ, მუდამაყვება ჩემი სასწავლებელი... აქ მეგობრული და გამოცდილი მასწავლებლები მუშაობენ...

ვფიქრობ ჩემი კლასი ერთ-ერთი გამორჩეულია მთელ სკოლაში. დამრიგებელი არამარტო ქართულ ენასა და ლიტერატურას, არამედ ცხოვრებას გვასწავლის... მას სურს ვიყოთ კეთილშობილები, უდმივად მოწესრიგებულები...

მსურს გავამართლო ყველა ჩემი მასწავლებლის იმედები და მომავალში მერქვას ამ სკოლის ღირსეული კურსდამთავრებული...

ალექსანდრე კალანდია

ქ. თბილისის 167-ე საჯარო სკოლის მე - 6 კლასის მოსწავლე



წიგნი

წიგნი ჩემი მეგობარია, მისი საშუალებით ვეცნობი მწერლისა თუ პოეტის შედეგებს. ძალიან მიყვარს ენციკლოპედიების კითხვა...

წიგნი გვაცნობს საინტერესო ინფორმაციებს... გვამოგზაურებს მთელს სამყაროში, მას მოვლა და გაფრთხილება სჭირდება ...

ოცდამეერთე საუკუნე კომპიუტერულმა ტექნიკამ მოიცვა, მაგრამ ჩემთვის წიგნი უპირველესია....

თეკლა კაკაურიძე

ქ. თბილისის 167-ე საჯარო სკოლის მე - V კლასის მოსწავლე



წიგნი

წიგნი ჩემი ცოდნის და განათლების წყაროა... ის ადამიანის ყოველდღიური მეგობარია ...

წიგნი გვაძლევს დიდ ცოდნას. მისი მეშვეობით ვეზიარებით ყოველივე საუკეთესოს. უწიგნური ადამიანი დაჩაგრულია, მწიგნობარი კი ყოველთვის იპოვის საკუთარ ადგილს საზოგადოებაში...

ჩემი სურვილია ყველა ადამიანმა იმეგობროს წიგნთან...

მია მეტრეველი

თბილისის 167-ე საჯარო
სკოლის VIII კლასის მოსწავლე



წიგნი

წიგნი ერთ-ერთი საგანმანათლებლო საშუალებაა. ძალიან მომწონს „ეგვიპტოლოგია“, რომელიც მის ემილი სენდს ეკუთვნის. ავტორის დღიურში აღწერილია ძველი ეგვიპტის ისტორია და მისი სურვილია ისირისის სამარხის პოვნა...

ჩემთვის ეს წიგნი გამორჩეულია, რადგან შევისწავლე ძველი ეგვიპტის ისტორია, მისი იმპერატორების ბიოგრაფია...

წიგნი ცოდნის დედაა, ის ადამიანს უამრავ ცოდნას აძლევს...

ლიზი ლომსაძე

ქ.თბილისის 167-ე
საჯარო სკოლის მოსწავლე.



წიგნი

წიგნი ადამიანის განმავითარებელია... არსებობენ ადამიანები, რომლებსაც ბევრი წიგნი აქვთ წაკითხული და საინტერესო ინფორმაციებს ფლობენ...

ჩემი საყვარელი წიგნია რევაზ ინანიშვილის „შორი, თეთრი მწვერვალი“. თითოეული ნოველა საინტერესოა, ბევრ სიკეთეს ვეზიარე... ჩემი სურვილია ყველა ადამიანს უყვარდეს ის ძვირფასი განძი, რომელსაც წიგნი ჰქვია...

ლადო ზაქარეიშვილი

ქ. თბილისის 167-ე საჯარო
სკოლის მე-5 კლასის მოსწავლე



ს ო ს ხ ა ლ ი ჯ ვ რ ე ბ ი

(რ. ინანიშვილის „ცოცხალი ჯვრები“)

რ. ინანიშვილის ნოველა „ცოცხალი ჯვრები“, რომ წავიკითხე, ძალიან შემეცოდა მოხუცი ცოლ-ქმარი, ისინი იტანჯებიან, სოცოცხლე გაუსაძლისი გამხდარა მათთვის ...

მშობლისთვის შვილის დაკარგვა მარადიულ ტკივილს უკავშირდება. ეს ცოლ-ქმარი ცოცხალ ჯვრებად ქცეულან, ისინი მხოლოდ სუნთქავენ...

ნეტავ, არც ერთი მშობელი არ დაიტანჯოს ამ მარადიული ტკივილისაგან... დაე, ყველა იყოს ბედნიერი!...

საბა გვილაგა

ქ. თბილისის 167-ე საჯარო სკოლის მე-5 კლასის მოსწავლე



ბიბო

(რევაზ ინანიშვილის „ბიბო“)

რევაზ ინანიშვილის კალამს ეკუთვნის ნოველა „ბიბო“. ძალიან მომეწონა პერსონაჟი, რომელიც ჯერ ხუთი წლისაც არ გამხდარა, მაგრამ ნამდვილი ვაჟკაცური თვისებებით გამოირჩევა. ის განსხვავდება თავისი თანატოლებისაგან, ცდილობს იყოს დამოუკიდებელი, ნაკლებად აწუხებს მშობლებს, დარდობს მამაზე, რომელიც მძლოლია და ყიზღარშია წასული, მის მოლოდინშია...

ავტორმა დაგვიხატა პატარა, მაგრამ ძალიან ჭკვიანი, მზურნველი, დაკვირვებული ბიჭუნა.

ჩემი სურვილია, ყველა მოზარდი იყოს ბიბოსნაირი!

ქეთევან ტყეპუჩავა

ქ. თბილისის 167-ე საჯარო სკოლის მე-VI კლასის მოსწავლე



აფხაზეთი ჩვენი ზქივილია...

სამწუხაროა, რომ აფხაზეთი ჩვენი აღარ არის. ის ძალიან ღამაში კუთხეა, გამოირჩევა თავისი ბუნებით და ღირსშესანიშნაობებით.

აფხაზეთზე ბევრი მსმენია ჩემი მშობლებისგან.

წარმოშობით სოხუმლები ვართ. ძალიან მინდა, რომ აფხაზეთი დავიბრუნოთ და ყველამ ერთად ბედნიერად ვიცხოვროთ...

აფხაზეთი ჩვენი ტკივილია, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ მალე დავიბრუნებთ ამ უმშვენიერეს კუთხეს...

ნიკოლოზ პაპულაშვილი

ქ. თბილისის 167-ე საჯარო სკოლის მე-5 კლასის მოსწავლე



რა მიონდა გამოვიღე...

მინდა გამოვიღე მეცნიერი – გამომგონებელი. გამოვიგონო რობოტები, საოცარი და სასარგებლო მოწყობილობები...

გავოცდი, როცა გავიგე, რომ უკანასკნელ პერიოდში მსოფლიოში გამოჩნდა სხვადასხვა სახის „ჭკვიანი“ მოწყობილობა, მაგალითად, ელექტრონული ჭიქა, რომელიც განსაზღვრავს არსებულ კალორიებს, ადგენს თუ რა რაოდენობის შაქარი, ცხიმი და კოფეინია მასში. საჭიროების შემთხვევაში გაფრთხილებას იძლევა. სწორედ ასეთი რამეები მინდა გამოვიგონო.

ყოველივე ეს ძალიან რთულია, მაგრამ მე მაინც შევეცდები, მინდა ჩემი სახელი მსოფლიომ გაიგოს...

გიორგი მიქაცაძე

ქ. თბილისის 167-ე საჯარო
სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე



ჩემი ოცნება

კაცობრიობამ მეცნიერებას ბევრი კეთილშობილი იდეა და გამოგონება უსახსოვრა...

ჩემი სურვილია, რომ გავხდე მეცნიერი, გამოვიგონო ახალი საგნები, მოედლები. მსურს პატარებიც გავახარო საინტერესო ვიდუო თამაშებით.

მინდა ისე ღირსეულად ვიცხოვრო, რომ ჩემი სახელი შთამომავლობამ არ დაივიწყოს...

ეს ჯერჯერობით მხოლოდ ოცნებაა, დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს..

მარიამ გურასპაული

ქ. თბილისის 167-ე საჯარო
სკოლის VI კლასის მოსწავლე



წყენა

სიხარული და წყენა ადამიანთა ცხოვრების თანამგზავრია. ჩვენ ხშირად გვტკენენ გულს, უმიზეზოდ გვდებენ ბრალს...

წყენა ორგვარია: დამსახურებული და დაუმსახურებელი.

საწყენია როდესაც დაუმსახურებლად გვტკენენ გულს, მაგრამ ბოლმა გულში არ უნდა ჩავიდლოთ და, პირიქით, უნდა მივუტევოთ...

როცა დამსახურებულად ვიღებთ წყენას, უნდა მივიდლოთ და ჩვენს შეცდომაზე ვისწავლოთ...

ალექსანდრე ლეთოდინი

167-ე სკოლის მე-6
კლასის მოსწავლე



მეგობრობა

ნათქვამია, მეგობრობის ფასია არაფერიაო... მართლაც, ასეა. ყოველ ჩვენგანს უნდა ჰყავდეს მეგობარი. მას გასაჭირში ყოველთვის უნდა დავეხმაროთ და თუ მოიქცევა უმსგავსოდ, უნდა მივუთითოთ, დავარიგოთ, მივუტევოთ. ასე თუ მოვიქცევით, ეს იქნება სწორი საქციელი. არ უნდა განვასხვავოთ უღამაზოა თუ ღამაზი მეგობარი, ყველა ერთია, მთავარია ზნეობრივად მოწესრიგებული ვიყო.

მსურს მთელი კაცობრიობა მეგობრული იყოს.

დიმიტრი ნაჭყებია

ქ. თბილისის, 167-ე საჯარო სკოლის,
მე-5^ს კლასის მოსწავლე



ჩემი მეგობარი

მეგობარი ძვირფასი ვანძია. მხატვრულმა ლიტერატურამ არაერთი მაგალითი დაგვიხატა მეგობრობისა...

საბა ლაგვილავა ძალიან კეთილი და გულთბილია... ჩვენ საბავშვო ბაღიდან ვმეგობრობთ და სიცოცხლის ბოლომდე ასე, ერთად დავრჩებით...

მეგობრობას დიდი ძალა აქვს, ძლიერი მეგობრის გვერდით შენც ძლიერი ხარ...

მარიამ ცანავა

თბილისის 167-ე საჯარო სკოლის
მე-VI კლასის მოსწავლე



მეგობარი!..

ყველა ადამიანს ჰყავს მეგობარი... რომელიც ჭირშიც და ლხინშიც მის გვერდითაა, მეგობარი ყველაფერია ჩემთვის... ჩემს ცხოვრებას აღამაზებს...

მსურს ვიყოთ მეგობრულები, გაუფრთხილდეთ ერთმანეთს, მგონი, ამით სამყარო უფრო კეთილშობილი გახდება...

გიორგი ხუმარიანი

ქ. თბილისის 167-ე საჯარო სკოლის
6 კლასის მოსწავლე



მუსიკა

მუსიკა ჩემი ცხოვრების ნაწილია, მამშვიდებს, როცა მას ვუსმენ, თითქოს, სხვა სამყაროში ვიწყებ მოგზურობას და მავიწყდება, რომ არსებობს ბოროტება...

რადგან ის ჩემთვის აღმაფრენაა, მის გარეშე ალბათ, წუთსაც ვერ გაგძლებ. ჩემს ფიქრებში მუდამ მისი ბგერები ხმიანობს...

ის ჩემი არსების თანამგზავრია, მუსიკა ჩემთვის ყველაფერია...

ბახსენება



UNESCO-ს კრეატიული ლოკორი ვლადიმერ მალოვიჩკო ჯუმბერ ლეჟავას მარადიული მოგონება



საოპერაციო მაგიდაზე გადაიცივალა მსოფლიოში კარგად ცნობილი ჯუმბერ ლეჟავა, რომელიც ცხოვრების ბოლო წლებში გახლდათ გლობალური „OLD“- იმპიური მოძრაობის ერთ-ერთი დამაარსებელი და ლიდერი და UNESCO – ს (გაეროს ქვეყნების ხანშიშესული ეკტრანების და სპორტის მოყვარულთა ორგანიზაცია) მოძრაობის სათავეო საპატიო პრეზიდენტი.

ამ სიკვდილმა ღრმა მწუხარებაში ჩაგვიძირა ყველა, რასაც მოყვა

უამრავი მოგონებები.

ერთ-ერთი მათგანი UNESCO –ს გენერალური დირექტორის, ბატონი ფედერიკო მაიორის სიტყვაა რომელიც მან პარიზში, 1999 30 იანვარს წარმოსთქვა ჯუმბერისთვის საპატიო წოდების „UNESCO-ს მშვიდობის დესპანის“ მინიჭებისას: „ეს მოგზაურობა არის გამოწვევა მსოფლიო კულტურების დიალოგსა, ურთიერთდაჯერებისა და სწავლისა, როგორ უნდა ვიცხოვროთ ერთად ომების გარეშე. ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ ჯუმბერ ლეჟავა წარმოადგენს საქართველოს, რომელიც ყველასათვის გახდა მაგალითი იმისა, როგორ დაჟინებით და ერთგულოვნათ უნდა ვიბრძოლოთ მშვიდობის იდეალებისათვის“. ეს იყო ჯუმბერის მგზაურობის დაახლოებით პირველი ნახევრის დასასრულს, როცა მან უკვე მოიარა მსოფლიოს 111 ქვეყანა და გავლილი ჰქონდა 171 ათასი კილომეტრი.

ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ სულ ჯუმბერმა გაიარა ველოსიპედით მარტოხელამ - 350 ათასი კილომეტრამდე, რაც ტოლფასია იმისა, რომ ეკვატორით შემოერთყა დედამიწა რვა ნახევარჯერ.

სამწუხაროთ, საქართველოსგან, რომლის სახელი ჯუმბერმა გაიტანა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში, მან მიიღო მინიმალური ფინანსური მხარდაჭერა, რაც იძულებულს ხდიდა გაეკეთებინა არჩევანი საჭმელის ყიდვასა და ღამისთვის შორის. ამიტომ მას ძირითადად უხდებოდა ძილი კარავში, ეკლესიებში, პოლიციეს წინასწარდაკავების საკნებში და ა.შ.

მიუხედავად ამისა, წერს დუდუ დიენი, UNESCO-ს კულტურათაშორისო პროექტების ხელმძღვანელი, იაპონიაში, როცა მას შესთავაზეს 12 მილიონი დოლარის აღება იმისათვის, რომ საქართველოს და UNESCO-ს პატარა დროშებთა ერთად დაემაგრებინა ველოსიპეზე და წაეღო იაპონიის დროშა, მან განუცხადა მოხონელებს, რომ საქართველოს მოგზაურია და UNESCO-ს დესპანი...

ჯუმბერის ასეთი ქცევა რაღაცნაირად მაგონებს დიდი ექვთიმე თაყაიშვილის წარმატებას იმ განსხვავებით, რომ ექვთიმემ უძველეს პირობებში შეაგროვა და შემოიტანა საქართველოს განძი სამშობლოში, ჯუმბერმა კი უძველეს პირობებში აჩვენა საქართველოს განძი მთელ მსოფლიოს.

სერგი ლომაძე

მირანდა ნიქლაურის განსვენება
150-ე საჯარო სკოლაში

ეს იყო ყველაზე სევდიანი, ყველაზე ცრემლიანი შემოქმედებითი სადამო, ან, უბრალოდ, განსვენება პატარა მომღერლისა, რომელსაც ქალაქური სიმღერების პრინციპს ეძახდნენ (მედია ძიძიგურსაც კი აღარებდნენ, უფრო დიდ მომავალსაც უწინასწარმეტყველებდნენ), მაგრამ მისი კარიერა არ შედგა: ჯერ კიდევ სკოლის მოწაფე იყო, ძალიან, ძალიან ახალგაზრდა, ცქრიალა, ლამაზი გოგონა, საოცარი მუსიკალური მონაცემების, სიმღერისა და ცეკვის ტრფიალი, როცა მოულოდნელად შეწყდა მისი ლამაზი სიცოცხლე. ისე წავიდა, ისე გაფრინდა ზეცაში მისი თეთრი სული, რომ თითქმის არაფერი დაუტოვებია აქ, ჩვენთვის, რამდენიმე სიმღერის ჩანაწერი თულა დარჩა, ეს არის და ეს... და მაინც – მან მოასწრო თავისი წილი უკვდავების შექმნა, თავისი ლეგენდის გამოქვეყნება, გამოქანდაკება. პატარა მირანდა წიკლაური თითქოს ფრინველად იქცა, ადამიან-ფრინველად, მერე წავიდა იქ, ზევით, ცას შეეშენა, ცას შეენივთა მისი სული. ახლაც იქ არის, ზეციურ საქართველოში, ხოლო ის – იდეალური საქართველო, ამას, რეალურს, ბევრად სჯობს. იქ წასულნიც ბევრად სჯობიან აქ დარჩენილებს...

მირანდა იყო პატარა, მაგრამ დიდბუნებოვანი ადამიანი, და დიდი საქმეა მისი არდავიწყება.

და შეიქმნა მასზე ფილმი...
და ეწყობა მისი ხსოვნის სადამოები...

ღიახ, ასეც უნდა იყოს, – ვუნდერკინდები დავივწყვებას არ უნდა მიეცნენ, მათი ფენომენი გაუხუნრად უნდა დარჩეს!..

იმ დღეს სწორედ რომ დუღდა 150-ე სკოლა (მირანდა იქ სწავლობდა). დირექტორმა – ბატონმა ირაკლი მექვაბიშვილმა და სასწავლო ნაწილის გამგემ – ქალბატონმა თამილა ჩუბინიძემ დაგვიტომეს სასკოლო დარბაზი, საერთოდაც, ყოველნაირად შეგვიწყვეს ხელი ღონისძიების ჩატარებაში. მოვიდნენ მასწავლებლები, მშობლები, მოწაფეები, მირანდას მეგობრები... სხვანიც... განუხმელი მწუხარება აღბეჭდილიყო მომსვლელთა სახეებზე. ამ მწუხარებამ ნათლად დამანახა, თუ როგორი დიდი სიყვარულით სარგებლობდა მის გარშემო მყოფებში მირანდა.

სადამოს ორგანიზატორები იყვნენ ჩვენი აკადემიის დამაარსებელ-პრეზიდენტი ქალბატონი გუგუნაზ ხარაიშვილი, და პატარა მირანდას ბებია და სეხნია (მოსახელე) – ქალბატონი მირანდა: ღიახ, მათ ერთი სახელი ერქვათ (ბებიის საპატივცემულოდ დაარქვეს ასე ბავშვსაც) და ქალბატონ მირანდას მართლაც რომ განსაკუთრებული სიყვარულით უყვარდა მისი საამაყო შვილიშვილი, რომლის უკვდავებაშიაც მკვეთრად შეიტანა საკუთარი წვლილი, ულამაზესი, თუმცა – სევდიანი სადამოების ორგანიზებით. ღონისძიებას ესწრებოდა პატარა ფენომენის დედა, ასევე – მისი უფროსი დაიკოც.

რიგ მიზეზთა გამო, ღონისძიების დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე გავიგე, რომ წამყვანი, ამ სადამოსი, მე უნდა ვყოფილიყავი, თუმცა როგორც შემდეგ მითხრეს, – ამჯერადაც კარგად გაართვი თავი დაკისრებულ მოვალეობასო.

მოკლედ, წამყვანი მე ვიყავი.
იდგა თებერვლის თვე.

დარბაზი ერთ დიდ ცრემლიან სიზმრად ქცეულიყო. და მიკვირს, თუ როგორ შევძელი ასეთი სევდიანი სადამოს წამყვანობა, თუ როგორ ასწია გულმა ასეთი ძიძიმე და გადამდები სევდა-ნაღვეელი.

აი, გამოდიან მირანდას თანასკოლელები, მეგობრები, მწუხარეი, გაფითრებულნი, ლექსებს უძღვნიან თავიანთ პატარა მეგობარს: ანანო შაუთიძემ, გიორგი ზალიშვილმა, ქეთი კვირიკაშილმა, ნინი ურიდიამ, მარიამ აბაიშვილმა, ღიანა საქულიანმა, ლაშა ლაბაძემ, ნინი ფოფხაძემ, სწორედ ლექსით თქვეს თავიანთი გულის სათქმელი, თუმცა თქვეს (წაიკითხეს) პოეტრი ჩანაწერებიც.

სიტყვა თქვეს პედაგოგებმაც: ირმა მდივანა, ხათუნა ბაგრტიონმა, მანანა უზნაძემ და სხვებმა. მათ, მირანდას გარდა, გაიხსენეს პატარა სანდრო ჩიღლაძეც, – მირანდას თანაკლასელი, რომელიც... უფრო ადრე დაიღუპა!.. მე გაოგნებული ვიყავი ცხოვრების უსამარ-

თლობით, როცა ყოველივე ამას ვუსმენდი. სანდროც საუკეთესო მომღერალი ყოფილა, ან-სამბლ „მართვეს“ ერთ-ერთი სოლისტი, ხოლო მირანდა „ქსოვრელთა“ ახალი თაობის ერთ-ერთი სოლისტი და ერთადერთი გოგონა იყო (იქ სხვანი სულ ბიჭები მღეროდნენ). ისეთი ახალგაზრდები, როგორებიც მირანდა და სანდრო იყვნენ, ისეთი ბავშვები როცა მი-დიან, ჩვენ მწუხარებისაგან გაოგნებადა გვრჩება და აღარ ვიცით რით ვინუგეშოთ თავი... ერთიც არის ფენომენები არა კვდებიან, უკვდავა მშვენიერება მათი, სიდიადე მათი, და ვგებ ნუგეშად, ნაწილობრივ მაინც, ეს გამოგვადგეს...

ახვენებს ფილმი მირანდას შესახებ. ფილმში ჩანს, თუ როგორი იყო იგი სრულიად: პატარა, ლამაზი და თბილი. აი, ლოცულობს ხატების წინ; აი, მღერის საოცრად გულში ჩამწვდომი ხმით „ქსოვრელებთან“ ერთად. ხმა სევდიანია. თითქოს წინასწარ იცის საკუთარი ბედი. ამ კადრების ცქერისას ცრემლად იქცა მთელი დარბაზი.

სადამოს ესწრებოდა ლეგენდარული ელდარ შოშიტაიშვილი – „ქსოვრელთა“ დღევან-დელი ლიდერი, ქალაქური მუსიკის ეტალონი. მას ახლდა ახალი თაობა „ქსოვრელებისა“ – გიორგი შოშიტაიშვილი, ბაჩო ასპანიძე, გიორგი ანდრიაშვილი, დავით ფირცხალავა, ვა-ლერი თოთიაური, ლაშა ჭილაძე, გიორგი რობაქიძე, და აი, ბატონი ელდარის (დიდი ელ-დარის!) მეთაურობით ბიჭებმა ცოცხლად შეასრულეს, იქვე, ის ძველთბილისური მუსიკა, რომელიც ასე უყვარდა პატარა ვარსკვლავ-ლეგენდას, ჩვენს მირანდას. „ქსოვრელებმა“, გა-საოცარი ოსტატობით, სევდის ისეთ ფერად ბადეში გაახვიეს მთელი დარბაზი, რომ მამა-კაცებიც კი ვეღარ იკავებდნენ ცრემლებს, ქალბ ატონებსა და ბავშვებზე რომ აღარაფერი ვთქვათ. ხალხი ტიროდა, ხოლო მუსიკა რჩებოდა, როგორც მარადიული სიცოცხლე გენიო-სი-ბავშვისა, ან, როგორც პოეტი რატი (ტატო) ნინუა იტყოდა – „გმირი-ბავშვისა“...



მირანდა ხოდელიძე, სერგი ლომაძე, გულნაზ ხარაიშვილი, კახა ბაციკაძე, დავით შუბითიძე

ირმა მდივანი, მირანდა ხოდელიძე, სერგი ლომა-ძე, გულნაზ ხარაიშვილი

აი, ხომ არის ჩვენში (და სხვაგანაც) ათასგვარი ოფიცლიარუი და არაოფიციალური აღიარებანი. ამათში თითქმის წაშლილია ზღვარი ოფიციალობა-არაოფიციალობისა და არც იმის გარჩევაა ადვილი, რომელი რომელზე მეტია, თითქოს თავისებური თანაბრობა, ერთმანეთში არევაა დამყარებული, თავისებური „დიფუზია“ არის ამ სფეროში. ხოდა, პა-ტარა მირანდას არცერთი სერიოზული პრემია-ჯილდო-აღიარება არ მიუღია სიცოცხელში, პატარა იყო და დიდ აღიარებათათვის ბრძოლაში ჩაბმა მას არც უცდია, მაგრამ ის უზარ-მაზარი სიყვარული, რომელიც მან დატოვა გარშემომყოფებს შორის, დამიჯერეთ, მეტია ყველასა და ყველაფერზე! იმ დღეს უამრავმა ადამიანმა ისაუბრა ამ პატარა ვარსკვლავის შესახებ. ბატონი დავით შუბითიძე, ეკლესიათა მაშენებელი კაცი, რომელიც მთელი ოჯახი-თურთ ძალისმიერი სპორტის მიმდევარია (ეროვნული და აღმოსავლური საბრძოლო ხე-ლოვნებანი – ჭიდაობა, ძიუდო, კარტე თუ სხვა სახეობანი), პირველად ვნახე თვალცრემ-ლიანი. იგი დეპუტატია საჩხერის რაიონიდან, იმერეთიდან, და ცხოვრებაში უამრავი დაბ-რკოლება რომ ისე გადაიტანა, წარბი არ შუხრია, ცხოვრებისეულ ბრძოლებში გამარჯვე-ბული, ახლა ცრემლებს ვერ იკავებდა ამ პატარა გოგონას ღვთიური ნათლის წინაშე. სევ-დიანი იყო ქალბატონი ლამზირა შეყილაძის სიტყვაც. ლაზირა, შესანიშნავი პეოტი, პოე-ტურ სიტყვით გლოვობდა პატარა ვარსკვლავს. სიტყვით გამოვიდა კახა ბაციკაძეც – ნო-

მერ პირველი პოეტი, და საერთოდ, პირველი ხელოვანი... მოკლედ, მირანდა ყველამ, ყველამ, ყველამ დააფასა, ხოლო ლეგენდარული ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მრავალპროფილიანი აკადემიის პრეზიდენტის – ქალბატონ გუგუნაზ ხარაიშვილის გამოსვა (რომელსაც დღევანდელი ქართული ლიტერატურის, კულტურის, ათ ყველაზე უფრო გავლენიან ადამაინს შორის უყოყმანოდ დავასახელებდი), სადამოს ერთი უმნიშვნელოვანესი ეპიზოდთაგანი იყო...

დასრულდა სადამო;

დარჩა კი ლეგენდა მირანდა წიკლაურისა, ანუ – პატარა ვარსკვლავისა, რომელმაც სულ მცირე დროში აღმოაცენა მარადისობიდან საკუთარი უკვდავდება...

თბილისი. 2015 წელი. მარტი

მირანდა ხოდელიძე

უზომოდ მენატრები

ჩემო პატარა ანგელო, ჩემო მილალუკა, ძალიან, ძალიან უზომოდ მენატრები. შენს გარეშე ჩემს სიცოცხლეს აზრი არ აქვს. მხოლოდ შენი სახელის, შენი პიროვნების სადიდებლად ვსულდგმულობ. სანამ იქნება უფლის ნება იქამდე ვიცოცხლებ მხოლოდ შენთვის და შევეცდები რაც შეიძლება ხშირად მოგიწყო ხსოვნის სადამოები და მოგიძვნა უფრო მეტი ლამაზი ლექსი.

შენი დაბადების დღის აღსანიშნავად 22.02.2015წ. ყველა, როგორც ერთი მხარში მედგა, რომ რაც შეიძლება ლამაზი სადამო მოგეკიდვნა შენთვის. სკოლის დირექტორი ბი ირაკლი მექვეერიშვილი, დირექტორის მოადგილე ქი თამილა ჩუბინიძე, შენი კლასის დამრიგებელი ქი მანანა უხნაძე, შენი საყვარელი ირმა მდივანი, ხათუნა ბაგრატიონი – ეს მისი იდეა და ინიციატივა იყო ამ დიდებული სადამოს მოწყობა შენს საყვარელ 150-ე საჯარო სკოლაში – ვინაიდან მირანდას წელს შეუსრულდებოდა 18 წელი და მე-12 კლასს დაამთავრებდა – აქ ამ სკოლის კედლებში მისი სული ტრიალებს – ამისთვის აქ ამ სკოლაში უნდა მოეწყოს ეს სადამო. ყველამ ერთსულოვნად აიტაცა ეს აზრი და შეუდგნენ სათანადო მზადებას. ყველა შენი პედაგოგი, კლასელი და მეგობარი სითბოთი სიყვარულით გიხსენებდა.

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა და უდიდესმა პოეტმა – გუგუნაზ ხარაიშვილმა კვლავ ახალი ლექსი მოგიძვნა და მოგეფერა ამ სადამოზე. ასევე პოეტმა ლამაზირა შეყილაძემ მოგიძვნა ისევ ერთ ლამაზი ლექსი, სიტყვით გამოვიდა პოეტი და მუსიკოსი, კახა ბაციკაძე, ხოლო ამ უდიდეს და ულამაზეს სადამოს გაუძღვა და წაიყვანა – დიდი პოეტი სერგი ლომაძე.

კიდევ ერთხელ დიდი წუხილით, სიყვარულითა და პატივისცემით გაგიხსენეს შენმა „ქსოვრელებმა“ – ელდარი მასწავლებელმა და შენმა ბიჭებმა – როგორც შენ მიმართავდი ხოლმე.

ეს სადამო კიდევ უფრო გააღამაზა „საპატრიარქოს“ არხმა – „ერთსულოვნებამ“, რომელიც ითავა შენმა თანატოლმა და ახრხის ერთ-ერთი გადაცემის წამყვანმა – ავთო გვასალიამ, მან ასე გულთან ახლოს მიიტანა შენი უბედურება ჩამი უსაზღვრო მწუხარება და გულის ტკივილი. უღრმესი მადლობა მას და ყველა მის თანამშრომელს ასეთი დიდი პატივისცემისა და გულისხმიერებისათვის, რომლებმაც ასე გულთან ახლოს მიიტანეს და შენი და ჩემი უბედურება, “შეეწიოთ მათ უფალი და ფარავდეთ 365 წმინდა გიორგის მადლი”

ამაღლებული შთაბეჭდილებებით დასრულდა შენი დაბადების დღისადმი მიძღვნილი სადამო შენ ხომ 18-წელი შეგისრულდებოდა. კიდევ ერთხელ გადავაკლდე თვალი შენს ფოტოებს, შენს სულიერ სამყაროს და რა ცუდია, რომ ასე ცოტა სურათები, ალბომი და სიმღერები შემოგვრჩა. შენ ჩემო სიცოცხლე, ჩემო ერთადერთო, შენ ხომ ყველასაგან გამოირჩეოდი შენი დახვეწილი ინტელექტით, იყავი უბოროტო, მხოლოდ სიკეთეს თესდი. ძლიერი ნებისყოფით და უზომოდ დიდი სიყვარულით მილამაზებდი ამ ჩემ თანჯულ წუთსოფელს, შენ დატოვე უზარმაზარი სიყვარული, დიდი მართლმადიდებლის სახელი. ნამდვილი ჭეშმარიტი ქართველის სისხლი ჩქეფთდა შენს ძარღვებში.

მსუბუქი იყოს შენტვის შენი სამშობლოს ქარტული მიწა, ღმერთმა მარადიულ სასუფეველში დაამკვიდროს შენი ულამაზესი, ფაქიზი სული.

„ნეტავ იცოდე, თუ როგორ ძლიერ,
დღეს მინდა თქვენთან ერთად ვიღწიო,
დღეს შემისრულდა თვრამეტი წელი,
ვიყო თქვენთან და სუფრა გავშალო.
აქ უფლის სახლში სუფრაც გაშლილა,
თვით მამა ღმერთი თამაღობს სურას,
წმინდა გიორგი მლოცავს მე, რადგან
სული ამყვა ზეცაში სუფთა.“
შენი გამწარებული ბებო



ნათუნა ბაგრატიონი, მირანდა ხოდელიძე, სერგი ლომაძე, გულნაზ ხარაიშვილი, კახა ბაციკაძე

ირაკლი მეჭვეერიშვილი, მირანდა ხოდელიძე, სერგი ლომაძე, გულნაზ ხარაიშვილი





თამაზ მოსიაშვილი

ძმობის სინფინლა

მე იმ ცხოვრების დედა ვატირე
დ აიმ ცხოვრების მე რა ვთქვი მაშინ,
როცა კაცობა აღარად ფასობს,
ყველას ფულისკენ გაუბრბის თვალი.
მე იმ ცხოვრებას რა ვუთხრა მაშინ,
როცა მეგობრად მაშინ გთვლის კაცი,
როცა ფული გაქვს, როცა არ გიჭირს
და როცა გიჭირს არაფრად არ გთვლის.
ამ ძმაკაცობას მე ჩავთვლი მაშინ,
მე იმ კაცობას ვენაცვალე,
არაფერი გაქვს სიწმინდის გარდა,
მაგრამ ერთმანეთს ვუღვავართ მხარში!
09.04.2014წელი
02:38 სთ

ეძღვნება ჩემს პატარა მარიამს!

ამ წუთს ველოდი, დიდხანს ველოდი,
ჩემო ოცნების ხედვა
მე ჩემს ცხოვრებას, მე ჩემს სიცოცხლეს,
ერთ ლამაზ წამში ვხედავ,
ჩემო ძვირფასო, ჩემომ ლამაზო.
ჩემო ცხოვრების ერთავ.
შენთვის ვიცოცხლებ,
შენთვის მოვკვდები,
სიოცხლეს დავთმობ შენთვის,
ჩემო მამიკო, ჩემო სიოცხლე,
ჩემო პატარა მარი!

09.04.2014წელი
01:50 სთ.

ღელას!

დედავ მშობელო,
დედავ ლამაზო,
ჩემო კეთილო დედავ!
შენით ვამაყობ,
და შენს სიკეთეს
ვერ დავივიწყებ ვერა.
ხანდახან გულს გტკენ,
ხან გეფერები, ჩემი გულიდან ჩუმად,
როგორ გამოვთქვა ეს სიყვარული
ჩემო მშობელო დედავ!
ჩემო კეთილო, ჩემო ლამაზო
და ერთადერთო დედავ!

09.04.2014წ.
03:30 სთ.

ღაქსი ეძღვნება ლამაზ სიყვარულს!

ჩემო სიყვარულო, ჩემო სილამაზე,
ჩემო ლამაზო მტრედო,
მე შენთვის ვცოცხლობ, მე შენთვის ვიწვი,
ჩემო ცხოვრების ერთო.
და თუ სიყვარული ჩვენ არ გვიწერია.
ჩვენ არ გვიწერია ერთად.
ეს არის მხოლოდ, ეს არის მხოლოდ
მაღალი უფლის ნება!
და მაინც ერთს გეტყვი
ჩემო სიოცხლე,
ჩემომ ლამაზო სევდა,
მე შენზე ვილოცებ,
მე შენზე ვიფიქრებ,
ჩემს გულში ისევ ვიქნებით ერთად!
ჩემო მონატრებავ, ჩემო სიყვარულო,
ჩემო ოცნების ერთავ!

09.04.2014წ.
01:00 სთ.

ჩემს მეგობარს ნოდარ ბუჯაურს

ახალი წლის საღამოს გარდამეცვალე 60 წლის ასაკში. უაღრესად პატრიოტი თავის სამშობლოსი და თავის ერის. 30 წელი ვმეგობრობდით და დიდი გულის ტკივილით მინდა გაეხსენო ამ ლექსით.

ღმერთო არ შემაჩვენო

ცხელი პური გამიტეხე,
გული მინდა გაჩვენო,
სადღუო ყანწი გადაგივსო
ზედაშისა საჩვენო.
სუფთა ღვინით შეგახურო,
გულში რაც გაქვს მაჩვენო,

ბაბოს პურს და პაპის ღვინოს,
ლექსის რითმა აჩვენო...
ტკბილ ფანდურზე დავამღეროთ,
სადღინო საჩვენო,
შენი ღოცვით ჩამოვთვრები,
ღმერთო, არ შემაჩვენო...

ავტორი *შალვა ილურაძე*



•••

დამესიზმრე, შორს იყავი,
სიყვარულით გულგაშლილო,
აუუ, როგორ მენატრები,
ძმარ, რაულ ბუხრაშვილო!
არწივივით ფრთაგაშლილო,
სული გქონდა ისე წმინდა,
რაც შენწადი, შუქრუთისკენ
გამოხედვაც აღარ მინდა.
არც შენ, აღარც დარეჯანი,
მოწყვეტილხართ აღრე ბუდეს,
თქვენს აკაკის გულისგულში,
უსაშველო დარდი უღევს.
შენს ჭურ-მარანს ვესტუმრები,
მოკრძალებით, მოწიწებით,

სიჩუმეში გაყურსულან
მგლოვიარე კოპიტები.
ეს სიჩუმე ისე მზარავს,
სადაცაა გამაგიჟებს,
შენს ეზოში მოწყენილი,
ცრემლიანი დავაბიჯებ.
ჰაი, გიდი რანი ვიყავო,
დასდგომია სიკვდილს თვალი,
არ წაშლილა ამიერში,
ლომო, შენი ნატერფალი.
ვიცი, შენც რომ მოგენატრეთ,
ძმობისათვის გულგაშლილო,
ყველა მაგ სოფელში მოვალთ,
ჩემო, რაულ ბუხრაშვილო!

ავტორი *ვაჟა მირილაძე*



ყოველი დღის ფიქრო, ღამის სიზმარო, უსაზღვრო მონატრებაგ, გაუსაძლისო ტკივილო, დედის ამოსუნთქვის ცრემლიანო ჰაერო, ზეცის ბინადარო შენი გარდაცვალებიდან დღემდე ძალიან ბევრი შენთვის ნაცნობები ინება უფალმა, რომ თავისთან წაეყვანა.



გელა სხირტლაძე

ჩამოვითვალო? ჰმ! რა გაეწყობა, სხვა რა გზა მაქვს, უნდა გაგესაუბრო:

დიდი მოგზაური, მეცნიერი და ფილოსოფოსი, ჯუმბერ ლეჟავა, რომელსაც ძალიან უყვარდი, გაფასებდა და ბევრჯერ უამაყნია კიდევ შენი ვაჟკაცობით... ყველასათვის საყვარელი მეუფე მირიან იორამაშვილი (პოეტი), რომელიც უწმინდესის კურთხევით სიონის ეკლესიაში დაკრძალეს. დათო მელიქიძე, რუსთავის ღიმილიანი, უსაყვარლესი ბიჭი. ჯერ-ჯერობით დაუდგენელი პიროვნების მანქანის მსხვერპლი გახდა. არ იცნობდი? იცნობდი დედი, ის ღიანა ოსიაშვილის შვილია. არ გახსენდება? თუმცა რა გასაკვირია, ეს პოეტი ქალბატონი შენი გარდაცვალების შემდეგ გავიცანი დურმიშხან კუპატაძის დაკრძალვაზე. დურმიშხანს ხომ იცნობდი, მწერალი რომ იყო, ყოველ გაზაფხულზე ყვავილების თაიგულით რომ მანებიერებდა, თავის ქალიშვილად მთვლი-

და. გავიცანი დათო შვილო და იმეგობრეთ ერთად, ის შენნაირი სამართლიანი და მშრომელი ვაჟკაცია. მურადი ჭოლოკავას ვაჟს, ირაკლის უკვე გაიცნობდი. გთხოვთ ორივეს, ერთად მოატარეთ დათო მელიქიძე ცათა სასუფეველი. დათოს გარდაცვალების სამი დღის შემდეგ პროფესორ სულიკო თავბერიძეს ექიმში შვილი გარდაეცვალა შენნაირი დიაგნოზით – „პროტრომბინით“. გიორგი რობაქიძე, ის ისეთივე თბილ წერილებს წერდა დედამისს, როცა საზღვარგარეთ სწავლობდა, როგორი შინაარსითაც შენ მწერდი ხოლმე, თბილ და ალერსიან სიტყვებს, შვილო. მას ისე ძალიან ეამაყებოდა ქალბატონი სულიკო, როგორც შენ ამაყობდი ჩემით. მისი დანაკლისით ტიროდა თბილისელების ზღვა ხალხი. როცა შენ დამტოვე და ჩემს წინ გამიფრინდი, ისე, როგორც მამაშენი, ჩემი ხელი რომ დაიდო სიყვარულის ნიშნად გულზე და სული ამოუშვა. ამ ტკივილის შემდეგ გადავწყვიტე თქვენი სული რომ მომესვენებინა ზეცაში უფრო კეთილი გავმხდარიყავი და წარმოვიდგენია რამდენ ცრემლს ეხარშავ თვალის ქვაბში. გავიცანი ახალგაზრდა ჯგუფ „ზღვარის“ ბიჭები, სერგო და ვასო ლომაძეები, ამირან ლომაძის შვილები. ამირანს ხომ იცნობ, ის თვითონ გაგიცნობდა ისეთი თავმდაბალი და დიდი კოლორიტი მეცნიერი იყო. ჩვენი აკადემიის აკადემიკოსი. გიორგი ზუხბაია (პოეტი) და კახა ბაციკაძე (შეუღარებელი მუსიკოსი და პოეტი), ოთხ ვაჟკაცს ერთი საერთო სახელი დავარქვი – „ჩემი ბიჭები“. კახას სიდედრი გარდაეცვალა, პედაგოგი ქალბატონი იყო, მას ვაჟი არ ჰყავდა მარტოდ ერთი ულამაზესი ფერია გოგო – ირმა, კახას მეუღლე. ისიც უნდა გაიცნო და დედასავით უნდა მოეფერო.

ბოლოს, ყველაზე ტკბილი ლუკმა, შენი ცოლ-შვილი კარგად არიან, მხოლოდ მონატრების ცრემლი სცვივათ. დათო – შენი ძმა პატრონობს... აბა დედი, მე რაღა შემიძლია შენი დაკარგვის შემდეგ სული რომ მიდგია, ეს უნდა მიკვირდეს. ვახო – ხუთი წლის გახდა. თამუნამ ამერიკის პროექტში გაიმარჯვა და უკვე მეოთხე კურსზეა. თეონა ფსიქოლოგიის განყოფილებაზე სწავლობს ილიას უნივერსიტეტში. ლევანი – შენი საამაყო ძმისშვილი – ჯავახიშვილის უნივერსიტეტში სწავლობს. ნანიკო – მეთერთმეტე კლასშია. ეკას – შენს მეუღლეს, გამძლეობა უნდა ვუსურვოთ ორივემ, შვილო. შენი საყვარელი რძალი – ცირა, ბაღში ფსიქოლოგად გადაიყვანეს. ასე, გენაცვალოს დედა! აღდგომა ორ კვირაში იქნება, გილოცავ, დედი. მომიკითხე ყველა და, განსაკუთრებით, ჩემი ძმები: ლევანი და ბექანი, რამაზი კი ყოველთვის შენს გვერდით იქნება... შენი ბიძაშვილი (გიჟმაჟი ზუპი)...

მენატრებით, შვილო!

გულნაზ ხარაიშვილი

მილოცვა



ჟურნალ „ათინათის“ რედაქცია

ჟულოცავ ჯგუფ „ხლვარის“ კიდევ ერთ დიდ გამარჯვებას

წელს – ორიათასთხუთმეტი წლის მარტის თვეში, მწერალთა კავშირმა, გენიალური ქართველი პოეტის, ქართული პოეზიის დიდი შვიდეულის (შვიდეულისა – რამოდენიმე სხვადასხვა ვერსიით) ერთ-ერთი წევრის – ტერენტი გრანელის სახელობის პრემია გადასცა შემოქმედებით ჯგუფ „ზღვარს“, ქართულ პოეზიაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის. მოგეხსენებათ, რომ გრანელის პრემია ერთი ყველაზე პრესტიჟულთაგანია, და რუსთაველის პრემიის შემდეგ, მეორე ადგილსაც იყოფს, რამოდენიმე სხვა დიდი ავტორიტეტის სახელობის ჯილდო-პრემიებთან ერთად.

დაისგა ასეთი საკითხი: კონკრეტულად რამდენი წევრია დღეს, ზუსტად, „ზღვარში“, და რამდენ ადამიანს ეკუთვნის ეს პრემია. ამაზე ჯგუფის ლიდერები ასე პასუხობენ: „პრემია ეკუთვნის „ზღვარს“ – მთელს შემოქმედებით ჯგუფს, ხოლო მეტის დაკონკრეტება აღარაა საჭირო. თანაც, ეს, მგონი, პირველი შემთხვევაა, როცა ასეთი სოლიდური პრემია ჯგუფს გადაეცა, აქამდე მხოლოდ ცალკეული პიროვნებები ჯილდოვდებოდნენ“, – აი, „ზღვარის“ ლიდერთა – კახა ბაციკაძისა და სერგი ლომაძის პასუხი.

მოკლედ, გულოცავთ შემოქმედებით ჯგუფ „ზღვარს“ კიდევ ერთ ძალიან დიდ წარმატებას...

სიმონ ზაქარაია, გოგი ფაცაცია,
ონერ ძაძუა, ვანო პაპაგა

ნუგზრ ნადარაიას – 70

2015 წლის 27 თებერვალს თბილისის რუსთველის სახელობის თეატრის დიდ დარბაზში შედგა ნუგზარ ოთარის-ძე ნადარაიას დაბადებიდან 70 წლისადმი მიძღვნილი საზეიმო ცერემონიალი, რომელშიც თითქმის მთელი საქართველოს წარმომადგენლობამ მიიღო მონაწილეობა.

70 წლის განმავლობაში, დიდი, რთული, ღამაზი, შინაარსიანი და წარმატებული იყო ბატონ ნუგზრ ნადარაიას მიერ განვლილი გზა. წარმატებულია ბატონი ნუგზარ ნადარაია ფაზისის მეცნიერებათა აკადემიაში. მისი უშაოლო რედაქტორობით ფაზისის აკადემიამ დაბეჭდა ცოტნეიდელის 8 ტომი, რომელიც კოლხეთის ცივილიზაციის წარსულზე ენციკლოპედიური მნიშვნელობის მასალებითაა გაჯერებული.

ბატონ ნუგზარ ნადარაია ეკუთვნის ყველა დროის იმ პიროვნებათა კოჰორტას, რომლის ნაზრევში სიტყვა და საქმე მუდამ ჰარმონიულ ერთიანობაშია, მისი დაუცხრომელი ენერჯია, ნიჭი, განსაკუთრებული შემართების ორგანიზებულობა, მუდამ მიმართული იყო და არის თავისი დედა საქართველოს აღმშენებლობის, ეს მისი გაძლიერების, გამთლიანებისა და დამშვენების იდეალებისაკენ, რაც მან განვლილი 7 ათეული წლის განმავლობაში პრაქტიკულად დაამტკიცა.



ბატონი ნუგზარის განვლილი გზა დაწვებული სტუდენტობის (1962-1967), ასპირანტურის (1967-1970), საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების ინსტრუქტორის თანამდებობის პერიოდიდან დღემდე, მუდამ იყო წარმატებული. ზეიმზე აღინიშნა, რომ ბატონი ნ. ნადარაიას განსაკუთრებული ნიჭი მოღვაწეობისა ფრთებს ისხამს მისი პარტიის ხობის რაიკომის პირველი მდივნის პოსტზე II წლის მოღვაწეობის პერიოდში. ეს ერთ-ერთი ჩამორჩენილ და ღარიბი რაიონი, მან აქცია წარმატებულ რაიონად თითქმის ყველა დარგში, გაშენდა ადმინისტრაციული შენობები, სკოლები, კულტურულ-სპორტული კომპლექსები, გალამაზდა და დამშვენდა რაიონის ცენტრი, გაშენდა და გარემონტდა ქალაქსა და სოფლებს შორის დამაკავშირებელი გზები და ხიდები. რაც მთავარია გამდიდრდა და სული მოითქვა რაიონის მოსახლეობამ. ამის მკაფიო მაგალითი გახლავთ ის ჭეშმარიტი ფაქტი, რომ დღესაც მისი იქ მოღვაწეობის დროიდან 30 წლის გავლის შემდეგ, ბატონ ნ. ნადარაიას გამოჩენა ხობის რაიონის თითქმის ყველა კუთხეში, მოსახლეობაში იწვევს სიხარულს, სიყვარულს და მას ხვდებიან, როგორც ოჯახის უახლოეს და საიმედო ადამიანს.

გამომსვლელებმა აღნიშნეს, რომ ბატონი ნუგზარი ასევე წარმატებული იყო აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის II მდივნის და ფოთის მერის პოსტზე მოღვაწეობისას.

თაყვანს ვცემთ თქვენს მიერ განვლილ გზას გისურვებთ წარმატებებს, მეცნიერებასა და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში მრავალრიცხოვანი მეგობრების სახელით.

შალვა ილურაძე

ნუგზარ ნადარაიას 70 წლისს

XXI საუკუნის საამაყო ქართველი კაცი, რომელსაც დღე და ღამე არ ასვენებს თავის ქვეყნის, ერის-ბერის, ტკივილი და მწუხარება, ღალატი და მოშურნეობა, გაუტანლობა და გულგრილობა, სარწმუნოებისადმი პატივისცემლობა, მომავლის არასწორად აღზრდა!... და საერთოდ ქვეყნის არასწორად მართვის პრობლემები. – აი ამ ორომტრიალში, ამ დიდსულოვანმა კაცმა მოახერხა და შესძლო ამხელა მწვერვალის დაპყრობა, ამდენი ადამიანის დამეგობრება, ამხელა სულისა და სახელის მოტანა ჩვენამდე.

მომავალ თაობებს დაანახვა თუ როგორი უნდა იყოს ქართველი კაცი, თავისი ინტელექტით, თავისი სარწმუნოებით და თავისი სინდის ნამუსით. ასეთმა ადამიანებმა ასეთმა საზოგადო მოღვაწეებმა უნდა მართონ სამშობლო, უნდა გაუძღვნენ ერს წინმავლად, რათა გაიყვანონ სამშვიდობოს თავის ჯიში და ჯილაღვი, თავის ტრადიციები და სარწმუნოება რათა გადარჩეს ქართული სული და ქართველი ერი!

პოლიტიკოსები ქვეყანას ვერ ააშენებენ და ვერც ქართულ სიწმინდეებს დაიცავენ, რადგან ისინი თავის განდიდებისთვის არიან მოსულნი ამ ქვეყანაზე. მხოლოდ და მხოლოდ უფლის და ერის რჩეულმა კაცებმა უნდა უშველონ და გადაარჩინონ სამშობლო, მშობელი შვილით – და შვილიშვილით, ერის ღირსებით და სიწმინდით. სიყვარულით და მიტევებით, ერთმანეთის გვერდში დგომით, და ერთმანეთის გადატანით.

ასეთ კაცს დღეს 27 თებერვალს 70 წელი შეუსრულდა მე მემამაყება რომ დღეს აქ ვდგავარ მის გვერდში და ვიზიარებ მის უსაზღვრო სიყვარულს.

საქართველოს რჩეული შვილები ულოცავენ იუბილეს რუსთაველის დიდი თეატრის სცენიდან, უზომოდ ბედნიერი ვარ ამ ხალხთან ერთად ჩემი ანსამბლი „ლომისით“ ვულოცავ ამ ღვთაებრივი სულის მქონე ადამიანს ამ ღამაზე იუბილეს.

დღეს სიყვარულის, სიხარულის და დიდი ნიჭის ზემოა ამ ტაძარში, ჩვენც ვზეიმობთ თქვენთან ერთად ჩემო ნუგზარ.

გილოცავთ ამ ღამაზე ღირსშესანიშნავ თარიღს, რაც ულის ნებით 120 წლამდე გაგრძელდება ეს დიდი წარმატებები და თქვენი საქმიანობა, იცოცხლე და იღლეგრძელე შენს ღამაზე ჯალაბთან ერთად. ჩახუტებულ და ჩათაფლულ ნუგზარ ნადარაიად.

70 წლის იუბილეს

იცოცხლე ძმაო, იცოცხლე,
შენით ამაყობს ერი,
ღმერთის შვილი ხარ ნუგზარი,
თავს გადგას უფლის ჭკერი.
დიდსა ექვთიმეს მაგონებს,
შენი თვალების ფერი,
გიჭირდეს მკლავი, მარჯვენა,
ღვინით აგვესოს ქვევრი.

ასი წელ შენს ბან-კალოზე,
ხორბალს ლეწავდეს კვერი,
ტკბილ მოუბარი კაცი ხარ,
ენა წყლიანი მჭკვერი.
დაბადების დღეს გილოცავ,
გიმრავლოს ტაძრის მრევლი,
ასი ძმაკაცი ცოტაა,
ერთი მტერია ბევრი.

თამარ ჯაჭვავაძე

მანუჩარ მსხიძე - 66

ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია, ჟურნალ “ათინათის” რედაქცია ულოცავს მანუჩარ მანაიძეს სამოცდამეექვსე დაბადების დღეს. ბატონო მანუჩარ! გადაჯაჭვულია თქვენი ცხოვრების გზა საქართველოს ისტორიასთან, მის წარსულთან, აწმყოსთან და მომავალთან, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, უღვე სიხარულს, ბედნიერებას, მარადიულ გაზაფხულს, სულიერ სიმშვიდეს თქვენს ქვეყანასთან და უღამაზეს ოჯახთან ერთად.



თამარ მანაიძე – მამა, გილოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს! განსაკუთრებულია მარტის თვე ჩემთვის, იმიტომ, რომ ამ თვეში ჩემი უსაყვარლესი პატარა მანუჩარი გაჩნდა. ორივეს ბედნიერებას და წარმატებას გისურვებთ. ძალიან მიყვარხართ!

ნინო მანაიძე – მარტის თვემ დიდი ბედნიერება მომიტანა, რადგან ამ თვეში შემეძინა შვილი - პატარა მანუჩარი. ძალიან მინდოდა შენს დაბადების დღეს დამთხვეოდა, მაგრამ სულ რაღაც 3 დღით ადრე 22 მარტს დაიბადა. მიყვარხართ, გისურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს!

ქეთევან კრავეიშვილი - ბედნიერებას გისურვებთ დიდსა და პატარა მანუჩარს! ჩემი უსაყვარლესი ადამიანები ხართ, დიდხანს იცოცხლეთ, იბედნიერეთ, მიყვარხართ!

დიდხანს იცოცხლეთ, იბედნიერეთ, მიყვარხართ!

66

ასწვევენ ჭიქას და გულთბილად დაილოცება
წლები სამშობლოს სიყვარულში ჩამოღეული.
შეყვითლებულა, შეწვევტილი, მწვანე ოცნება,
შრება პალიტრა, მემამოხე სულის სხეული.
გაუთენდება საქართველოს მზიანი ხვალე
და მტრადყოფილი შემოგფიცავს, ოდესმე, ძმობას,
სული ქართული, მებრძოლი და მარად მღელვარე,
რომ შეაყვარე გაოგნებულ კაცობრიობას.
სამოცდაექვსი საპატიო წრით, დაღლილა გული,
დაინახავენ მაშინ, როცა იქნება გვიან...
გებრძვიან, რადგან საშიშია ამბოხებულნი,

რადგან ფალავანს, დამარცხებულს
ადარ ებრძვიან!
უღვეი სითბო, სიხარული შვილისთვალება,
ჩარჩოებიდან გადმოსული გაზაფხულია...
და არ იქნება სიყვარულის გარდაცვალება...
როს სიძულვილიც ჩვენებური სიყვარულია!
სწორედ ამიტომ გავაწამეთ ერისკაცები
და მივესაჯეთ შფოთიანი დღეთა ბრუნება...
სიძულვილი კი, ბნელი წლებით დანატაცები,
დაუსაბამო სიყვარულად დაგიბრუნდება!



წაცარა განმარტება

ჩემთვის საკმაოდ მოულოდნელად, ჩემს სხვა ქმნილებებებთან ერთად, „ზღვარმანებმა“ გამოარჩიეს „თეთრი მერცხალიც“ – მცირე ლირიკული ნიმუში, და რადგანაც ამ სეველიანი ლექსის რამდენიმე ვარიანტი არსებობს, ამ დღეებში მთხოვეს, რომ შექმნებისდაგვარად დაზუსტებული ვერსია გამოვაქვეყნო. ვასრულებ მათ თხოვნას:

თეთრი მერცხალი

თეთრი მერცხალი, ამ ცისქვეშეთში,
არვის უნახავს მგონი;
თეთრი მერცხალი
მე გუშინ დილით
ჩემს აივანთან ვნახე, –
ლამაზი იყო, როგორც სიკვდილი,
როგორ სპეტაკი თოვლი
– მალე მოკვდები, –
ასე ეტყოდა, ის,
ჩაფიქრებულ მნახველს.
თეთრი მერცხალი, ამ ცისქვეშეთში,

მართლა ანგელოზს ჰგავდა!
მე შემიყვარდა, – აღტაცებულმა
უმაღ ვახუქე გული;
და თუ მოკვდები,
მე არა ვნანობ,
ჰო, არა ვნანობ, რადგან, -
მაინც ხომ ვნახე
ცაში მფრინავი
თეთრი ნატეხი ღრუბლის, –
დიდი, სპეტაკი სული!..

აქვე იმასაც გაენმარტავ, რომ ეს ლექსი წლების წინ დავწერე და ორიათასთერთმეტ წელს გამოცემულ ჯგუფ „ზღვარის“ წიგნში – „ლურჯ ლირიკაში“ დაიბეჭდა პირველად. იქ სულ ცოტათი განსხვავებული ვერსიაა, თუმცა მე ის ვერსიაც არ მენოთირება, პირიქით, მომწონს, თუნდაც თავისი შეფარული გრძნობადი ფილოსოფიურობისა გამო...

თბილისი. 2015 წელი. თებერვალი.

შალვა ილურაძე

ქსნის ხეობაში ასე ლოცავენ უფლის რჩეულ ადამიანებს, სიკეთით სიყვარულით სავსე კაცებს! სამშობლოსა და ერისთვის თავდადებულ ადამიანებს, კულტურისა და ტრადიციების გამსახვილსებულ პიროვნებებს! მწერალთა და ხელოვანთა კორიფეებს! დიდ სულოვან და მოამაგე ქართველებს,

*რწმენისა და რელიგიის მოყვარულ შეილებს.
ასეთი კაცი კი გახლავთ 21-თე საუკუნის ლეგენდა!*

საღვთობა

**რევაზ მიშველაძეს
75 წლის იუბილეზე**

ვერ ვპოულობ სიტყვას, გაზმულს,
ვიპყრობ ფლორას და მის სფეროს.
ჩემს რევაზი მიშველაძის,
ჯიშს და ჯილაგს მოეროს,
მის ნოველებს, პოეზიას,
ჩუქურთმად რომ დაეფეროს...
დაბადების დღეს გილოცავ,
ჯანმრთელობა დაგებედოს.
დღეს სამოცდათხუთმეტს მერე
ასი წელი გაგებედოს,

შენთვის მოძღვნილი სიმღერა,
ზედ ფსალმუნად დამემღეროს...
ქსნელი ვარ და ვამაყობ რომ
ალარა მაქვს ერზე შიში,
შენ უკვდავი ტაძარი ხარ,
მე კი შენი სანთლის ნიში,
ღმერთო!!! რეზო მიშველაძეს,
უღღვრებელე, მოღგმა, ჯიში!

20.01.2015.

სარჩევი

მეუფე თადეოზი (მირიან იორამაშვილი)
 გადავიხედე ცის მთის იქით..... 3
გულნაზ ხარაიშვილი
 ჩემო საქართველო 4

2015 წელი გამოცხადებულია აკაკი წერეთლის დაბადების 175 და გარდაცვალების
 100 წლის აღსანიშნავად..... 5

პოეზია

მეუფე თადეოზი (მირიან იორამაშვილი)
 ერი უამთა ხსოვნაში... 6
 უწმინდესისადმი 6
 * * * (ისევ გაბრწყინდა საღმრთო ქვეყანა...)..... 6
 * * * (ჯვარი ჯვარში — მზის ჩუქურთმა ქართული...) 7
 გაზაფხული..... 7
 * * * (გამითენდა დღე ნათელი...) 7
 ლოცვა შენი 7
 * * * (ერი იწყებს ახალ მატინეს...)..... 7
 * * * (მზიური მეფე მიუწვდომელ სამყაროისა...)..... 7

მდაბალი მამა გაბრიელი (ბეგლარ კულუმბეგაშვილი)
 მეუფე თადეოზს..... 8
 დამილოცნიხართ
 * * * (ვიღაცა შთაგონებას მოუცავს...)..... 8
 სამადლობელი დედაღვთისმშობელს 8
 ავი სიზმარი 9
 ეძღვნება ავღანეთში დაღუპულ გმირებს 9
 * * * (უსიყვარულოდ სიცოხლეს კი ფასს კარგავს მუდამ...) 9

მაყვალა გონაშვილი
 მარჯუეთ მთვარე 10

ჯგუფი „ზღვარის“ ჯოეცები

სერგი ლომაძე
 მილიარდები 13
 პოეტურ გრძნობის სივრცე..... 13
 ჩვენი არაფრობა 13

კახა ბაციკაძე
 ზეცისკენ 14
 მაშ დარჩეს ასე..... 15
 მზერა 15

გიორგი ზუბაია
 ბნედა სილურჯით 15
 ის არასოდეს შეწყვიტავს წერას... 15
 პოეტი-ნაპოლეონი..... 16

ვასო ლომაძე
 თეთრი აფრები 16
 ლურჯი სონატა..... 16
 * * * (რა მანძილი გავიარე დღემდე...) 16

გურამ ლაცაბიძე
 ნავედი..... 17
 მსგავსება 17
 მეტია კაცზე, მეტი პოეტზე 17
 არ მსურს მეფობა 17

ალექსანდრე გოგინაშვილი
 * * * (კაცს უნდა ქონდეს სახელი...) 18
 „ჩემი ქვეყანა“ 18
 „აუხსნელი სიყვარული“ 18
 „ბოშა“ 18
 „გმირებს“ 19
 „ილია“ 19
 „მამულის დასაცავად“ 19
 „მუსხა“ 20
 „კლდენი“ 20

„საგურამო“	20
„მცხეთა“	21
„პტარა სიყვარული“	21
„საქართველო“	21
ვაჟა ეგრისელი	
მინა	22
* * * (არც ოქრო...).....	22
* * * (ცივია ახლა ეს მოგონება...).....	22
დედა, ყოფნა რა იქნებოდა.....	22
და მერე გვიან.....	22
ციხე და ციტადელი	22
ქვევრები.....	23
დედა	23
მიმოზა ცანავა	
სიყვარულის მზის გვირგვინი.....	24
დალი ხაჩიძე-ნოზაძე	
თანადგომა.....	27
დედა-შვილობა.....	27
ლამზირა შეყილაძე	
ნოემბრის სევდა	28
რომ გილალატებს	28
ღმერთის სიტყვის მმოსავი და მცველია	28
ყვავილები დამაყარე	28
შენ დაგბრალებდა	28
* * * (რა უიმედოდ გავყურებ შარას...)	29
* * * (ნუთისოფელი მოდის შორიდან...)	29
ჟამსანუთროში ჩამოღმერთილო	29
„შენ მოხვალ ჩემთან“	29
ცრუ იმედები	29
გაგა გომართელი	
ჩემი საფლავის მომვლელ ქალს	30
გამოზამთრება	30
ფსიქო.....	30
გზა ნინოწმინდისაკენ	31
როცა	31
კახა სამყურაშვილი	
ზეცა მომივლის.....	32
ახლა და შემდეგ	32
რეცეპტი	32
ერთან ერთობა	32
* * * (ვილაცას უნდა სიყვარული მყუდროებისთვის...)	32
* * * (ნარსული დაგვშორდა...).....	33
მიდის.....	33
ფიქრის ფანქარი	33
* * * (რადგან ითქვა, გამოიცეს!..).....	33
უშანგ მოსიაშვილი	
ნუთისოფელი	34
დიდი წინაპრები.....	34
სიტყვა ნაღდი აღარ ფასობს.....	34
დღესაც კოპნია იერთ არის	34
ქართველი აღარ დარჩება	35
იქნებ არა ღირს ჩემი სიცოცხლე?.....	35
ბავშვობა უნდა იყოს ბავშვური.....	35
ნაირა მარშანია	
სულის სიმღერა	36
შეიყვარე უფალი!	36
ვარდი გათელილი	36
მოლალატენო გპატიობთ რადგან.....	36
ჭალარა	36
ბედისწერა	37
მე მოვალ შენთან.....	37
გარდავიცვლები.....	37
ლევან ფანჩვიძე	

მზე გვირილების არის მთოველი	38
მე დამესიზმრა	38
მსოფლიო პოეტებს	38
ფეხშიშველა ქარი	39
რუსთველური სიყვარული	39
იმერული გაზაფხული	39
<i>ოთარ ურუშაძე</i>	
ცისარტყელა.....	40
დეიდა, ორი ნაყინი რა ღირს?.....	40
ჭია მაია.....	40
ქარი.....	41
წარსული	41
დრო	41
<i>პეტრე ჯაჯანიძე</i>	
კაცხის მაცხოვარი.....	42
გრიგოლ აბაშიძეს	42
ციცინათელა.....	43
მრავალძალი.....	43
ჯუხა.....	43
იმერული კაფია.....	44
<i>მაია ტყემალაძე</i>	
ათასწლოვან ტაძარს	46
ბო დ ბ ე.....	46
წითელა ბატონები	47
ყვავილწუნულს- უბადლო მამულს.....	47
<i>მალვა ილურიძე</i>	
უხილავი ცოდვა.....	48
ჩემო სამშობლო	48
უმუხთალო წუთისოფელო	48
თავთხის პური.....	48
როგორ არ მინდა	49
მკვლელი ხარ მკვლელი სიკვდილო.....	49
შვილო სიცოცხლის მტევანო.....	49
<i>ბეჟან ხარაიშვილი</i>	
ზამთრის სურათი.....	50
ხატობაში.....	50
გაზაფხული.....	50
*** (ხორცის ქვეყანაში ხომ არ დავიბადე?!...)	50
შემოდგომით	50
არაგვს.....	50
რომელი ჯობნის	51
*** (სამოცს გადასცდაო...).....	51
*** (მომიახლოვდი, როგორც არასდროს...)	51
*** (ყურძენს მიჩვეულმა ბავშვმა...).....	51
ნატვრა	51
<i>გვანცა ხარაიშვილი</i>	
*** (შენს სხეულზე დავარნიე).....	52
*** (დამარნიე...).....	52
*** (თქვენ ამბობთ...).....	53
*** (მეგობრებს...)	54
<i>ლალი კიკნაძე</i>	
ვერის უბნის ჩანახატი	55
<i>გულნაზი ხარაიშვილი</i>	
ქარმა ღრუბლები ზეცის სახლში მიაგროვა და.....	56
ალარ მიგიღებ	56
სიყვარულის ცრემლი	56
ალარავართ მე და მთვარე უბრები	56
მოლოდინი	56
მადლობა უფალს <i>მაცვალა გონაშვილს</i>	56
შენი გამოსწორება???	57
თუ დამშვიდდები	57
ალარ დამპირდე	57
ვიფიქრე	57

თუ პოეტი ხარ	57
მალხაზი — ბაჩო ბაზაძეს	58
ელგუჯა ნოზაძეს სიკეთე ჰქვია	58
ბებოს სიცოცხლევ (თამარ სხირტლაძეს)	59
*** (თამარის შვილიშვილს)	59
საუკუნის სიმდიდრე (რეზო მიშველაძეს)	59
შვილიშვილებო, გთხოვთ მაპატიოთ	59
სიყვარულის დედოფალო (მაყვალა გონაშვილს)	60
ედემის ბალი ვიხილე შენთან (ელგუჯა ნოზაძეს)	60
გმირობას აღემატება ბატონო რეზოშენი მოქმედება ნაილი ხარაიშვილი	
მხატვარს	61
ბოდლერს	61
ტანგო	62
ავმაღლდებით	63
მზექალა	63
მოხვევის სიყვარული	63
ნუგზარ ხუციშვილი	
9 აპრილი, ცხრა წლის გოგონა	64
9 აპრილი	65
ომი სამაჩაბლოში	65
ჩანაწერი უბის წიგნაკიდან	66
თბილისის ქაოსი	66
დრო გადიოდა	66
გიყვარდეს სამშობლო	67
პასუხი	67
ვალი	67
ნუგეშის ლექსი	67
ღვინის გზა	67
ანა ერისთავი	
*** (ქართლის ზეცაზე...)	68
*** (ფეხშიშველა ხარ...)	68
*** (უფლის ნაკურთხია...)	68
*** (უდაბნო არწყულა...)	68
*** (უფალო, ნათლით ამავესე...)	68
უფლისადმი	69
წმინდა მარიაჲს	69
წინამურთან	69
წმინდა წინოს საგალობელი	69

საბავშვო განყოფილება

ყამარ ტიელიძე-ბლიაძე (ყამარ ბებო)	
ობლის კვერი ცხვაო... (ზლაპარი)	70
კუპრა	73
*** (მაგრამ კუპრას კვლავ დაატყდა...)	74
ლიანა ოსიაშვილი-მელიქიძე	
დათო მელიქიძის საჩუქარი	75
*** (მნარედ დავრწმუნდი...)	75
დათო მელიქიძე (ოცდაექვსი წლის)	75
ლიანა ოსიაშვილი-მელიქიძე	
მაყვალა გონაშვილს	76
ლუარა სორდიას	76
მეუფე თადეოზს	76
მარინე ცხვედიაშვილს	76
ალმარ ლომიძეს	76
რევაზ მიშველაძეს	77
ვაჟა ეგრისელს (დოლბაიას)	77
სიმონ ზაქარაიას	77
გულნაზ ხარაიშვილს	77
ჯემალ კუხალაშვილს	77
ლამზირა შეყილაძეს	77
მიმოზა ცანავას	78

ნუნუკა გულარიას	78
სერგი ლომაძეს	78
კახა ბაციკაძეს	78
გოგიტა მელიქიძეს	78
შალვა ილურიძეს	78
ნანა სხირტლაძეს	79
ნანა პაიაშვილს	79
მანანა დანგაძეს	79
გვანცა ხარაიშვილს	79
სულხან მახათაძეს	79
ნუგზარ მიროტაძეს	79
ნუგზარ ნადარაიას	80
გიორგი ბეუიტაშვილს	80
მაია ტყემალაძეს	80
ლამარა გერგედავას	80
ნაილი ხარაიშვილს	80
გიგა და ნანიკო ღრუბელაშვილებს	80
ვახტან გაჩეჩილაძეს	81
ჯუმბერ ლეყავას	81
ბეჟან ხარაიშვილს	81

პროზა

<i>რევაზ მიშველაძე</i>	
ჯოჯოხეთი	82
ჰუმანიტარული დახმარება	86
<i>კლიმენტ კიკალიშვილი</i>	
„ფესტოსის დისკოს“ ზუგდიდმა უმასპინძლა.....	88
<i>კახა სამყურაშვილი</i>	
მზის სხივები, აკაკი და საიუბილეო წელი.....	92
<i>სერგი ლომაძე</i>	
ელგუჯა ნოზაძე — 75.....	94
ელგუჯანოზაძისოჯახი	97
ქალბატონ მაყვალა გონაშვილის ტრიუმფი	101
ქალბატონ მიმოზა ცანავას ერთი ლექსის შესახებ	104
დიდი იუბილე პროზის რაინდისა	105
<i>თამარ ჯაჭვიაძე</i>	
მცველი	109
<i>შორენა ზაქუტაშვილი</i>	
გადავარჩინოთ ქართული სული!!!	111
<i>ციალა ხაჭალია-ანდრიაძე</i>	
27 სექტემბერი — დაუვინყარი ტკივილი.....	114
<i>ვ. არაქსიანი</i>	
აი, ეს უჩვეულო და ჩვეულებრივი რაფიკ ალაჯანიანი.....	117
<i>ლალი კახიძე</i>	
მტრედები (ზღაპარი)	121
კაკტუსი (ზღაპარი)	122
<i>სიმონ ზაქარაია</i>	
ონერ ძაძუა – 60.....	123
ღვთიური სიყვარულის ძალა, ანუ შორეულ კანადაში ქართველი ემიგრანტების მართლმადიდებლური მრწამსის აღზევება.....	124
გზა მშვიდობისა მოძღვარო!.....	125

წიგნი

<i>ტიტე მოსია</i>	
ბიბლიური პერსონაჟები და ეპიზოდები ჰაგიოგრაფიაში	127
<i>ლუარა სორდია</i>	
აპოკალიფსი და გრიგოლ რობაქიძე.....	134
<i>მანანა კვატაია</i>	
გრიგოლ რობაქიძის ევროპული რეფლექსიებიდან	139
გრიგოლ რობაქიძე	
ევრაზიულობა	140
<i>Ratiani Lali</i>	
STRUKTURELL-SEMANTISCHE MODELLE IM SATZGEFÜGE MIT DEM OBLEKTSATZ	141

ამალია საზანდრიშვილი
 მეტყველების კულტურის ზოგიერთი საკითხი 147
ქეთევან ცაბაძე
 იაპონიის სკოლამდელი და დაწყებითი განათლების სისტემა 152
 ანა ბოდბელი
 იისფერფრთება აპრილის ქარში | VIთ ქა ქა ლა..... 155
ლიანა ოსიაშვილი-მელიქიძე
 ჯადოსნური საჩუქრები 157
თინათინ ხობობაშვილი
 ანთროპოგენური ფაქტორების გავლენა მდ.ილტოს პროდუქტიულობაზე..... 163

ისტორია

ვაჟა შუბითიძე
 გლობალიზაცია და მისი რეფორმირების აუცილებლობა..... 165
მორისონ ქობულაია
 დიალექტიკური სამებისა და ისტორიული პერიოდიზაციის თეორიული და პრაქტიკული
 ღირებულებანი 170
 სამყაროს არსებობის ზოგადი კანონზომიერებანი 172
 მიკრო სამყარო და ელემენტარული ნაწილაკების წყობის ძირითადი პრინციპები 175
 დიალექტიკური სამების ძირითადი პრინციპების გამოვლინება
 ადამიანთა საზოგადოების ისტორიაში 179

ხელოვნება

თორნიკე გოგინაშვილი
 კარდინალი ჯონ ჰენრი ნიუმენი 179
რეზო ადამია მხატვარი-პროზაიკოსი
 ტოლერანტობა — შემწყნარებლობა 180
ნიკო ხერკელაძე
 „ღაღო სადალაქოში“. 2003 წ. 181
 „თამარ მეფის ვარძია“. 2010 წ. 181
სოფიკო ხერკელაძე
 „მშვიდობა მსოფლიოს“. 2013 182
 თეჯაზე შესრულებული ნამუშევრები 193
ჟანა ხვიჩია
 მე ისევ მარტო ვარ... 183

ეკონომიკა

ვალერი მოსიაშვილი
 საერთაშორისოანგარიშსწორებისძირითადი ფორმები 184
ვანო შუშტაკაშვილი
 ოფშორული ცენტრების შექმნის მიზნები და ზოგადი მახასიათებლები 188
სულხან მახათაძე
 კაპიტალის ნაკადების მიმართულებები მსოფლიო მასშტაბით..... 192
ჯუმბერ ხარაიშვილი
 მსოფლიო ეკონომიკურ გარემოში მიმდინარე გლობალური ფინანსური ვლილებები..... 195
ნოდარ ხარაიშვილი
 მსოფლიო ბანკის ჯგუფის სამიანობის ძირითადი მიმართულებები..... 199

მათემატიკა

იოსებ ფოჩხუა
 რამდენიმე თეორემა ფურიეს ტრიგონომეტრიული მწკრივების განშლადობის შესახებ 201

ფსიქოლოგია

ელგუჯა მამუკელაშვილი
 დრო, სივრცე და უპასუხო კითხვები..... 203
 დრო აჩენს და დრო კლავს ყოველივეს! 203
ლია ქურხული
 პიროვნული და საქმიანი ურთიერთობების ფსიქოლოგიური ასპექტები 206
დალი ზერავია
 ბავშვთა მიმართ ძალადობა 209

ნოტიზი ბოინაბელები

თამაზ აფაქიძე
ინტერვიუ ლაგოდეხის „ლიბერთი ბანკის“ მმართველთან ქალბატონ სალომე ღონღაძესთან..... 212
**** (მერგო პატივი თქვენს გვერდით დგომის...)* 213
ტატო ხარატიშვილი
ინტერვიუ შპს „არქიმედეს კლინიკა“ ლაგოდეხის დირექტორთან ნუკრი ყარალაშვილთან 214
წმინდა ნინო 215
ზლაპარი..... 215
ეს სიცოცხლე ერთად-ერთია! 215
მე სულ მჯეროდა..... 216
შემინდებოდა ღმერთო..... 216
მე შენ წაგშლე! 217
როდესაც 217
ალექსი ფეიქრიშვილი
თბილისს..... 218
ჩემს ბებოს 218
მარი ურიდია
** * * (მესმის ხმა... ფეხების ხმა...)* 219
..... 219
ლამის მინორი 219
ფიქრების ამინდი..... 219
** * * (ხესთან ჩამეძინა, გული გამეყინა...).....* 219
ელენე გონგლიაშვილი
ინტერვიუ ქალაქ ქარელის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ბ-ნ გიორგი კობახიძესთან..... 220
რაზი მუმლაძე
ფუმფულა ციყვი..... 221
ნანა სხირტლაძე
ინტერვიუ ხაშურის რაიონის ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორთან, ქალბატონ მაკა 222

ნოტიზი ლიტერატორები

ლელა მესხი
ჩემი პატარა მეგობრები..... 224
მარიამ ტყეშელაშვილი
მეუფე თადეოზის ხსოვნას! 224
ტატო ლავილაშვილი
მეუფე თადეოზის ხსოვნას! 224
გაზაფხული..... 225
ეკატერინე ქვარაია
გაზაფხული..... 225
მარიამ კეკელია
დედებს!... .. 225
ანა ასაბაშვილი
„ათინათი“ 225
გვანცა ალავერდაშვილი
ღმერთთან სიახლოვე .. 225

ესეები

ირაკლი დარსალია
დაუმსახურებელი წყენა 226
ზნეობა 227
გულგრილობა 227
ბუნება..... 228
ღმერთის მცნებები და ადამიანები..... 228
ნიკოლოზ მარჯანიძე
დედამინა 229
მარიამ ტყეშელაშვილი
ბუნება..... 229
დემნა ლომიძე
ოჯახი..... 229
ვალერ ხაზალია
ჩემი სკოლა..... 230
ალექსანდრე კალანდია

ნიგნი	230
<i>თეკლა კაკაურიძე</i>	
ნიგნი	230
<i>მია მეტრეველი</i>	
ნიგნი	231
<i>ლიზი ლომსაძე</i>	
ნიგნი	231
<i>ლადო ზაქარეიშვილი</i>	
ცოცხალი ჯვრები (რ. ინანიშვილის „ცოცხალი ჯვრები“)	231
<i>საბა გვილავა</i>	
ბიბო(რევაზ ინანიშვილის „ბიბო“)	232
<i>ქეთევან ტყეშუჩავა</i>	
აფხაზეთი ჩვენი ტკივილია.....	232
<i>ნიკოლოზ პაპულაშვილი</i>	
რა მიონდა გამოვიდე.....	232
<i>გიორგი მიქაცაძე</i>	
ჩემი ოცნება.....	233
<i>მარიამ გურასპაული</i>	
წყენა	233
<i>ალექსანდრე ლეთოდიანი</i>	
მეგობრობა.....	233
<i>დიმიტრი ნაჭყებია</i>	
ჩემი მეგობარი	234
<i>მარიამ ცანავა</i>	
მეგობარი!	234
<i>გიორგი ხუმარიანი</i>	
მუსიკა.....	234

ბახსენებ

შჩ-ს პრეზიდენტი დოქტორი ვლადიმერ მალოვიჩკო ჯუმბერ ლეჟავას მარადიული მოგონება ...	235
<i>სერგი ლომაძე</i>	
მირანდა ნიკლაურის გახსენება 150-ე საჯარო სკოლაში.....	236
<i>მირანდა ხოდელიძე</i>	
უზომოდ მენატრები.....	238
<i>თამაზ მოსიაშვილი</i>	
ძმობის სინძინდე.....	240
ედღვნება ჩემს პატარა მარიამს!	240
დედას!.....	240
ლექსი ეძღვნება ლამაზ სიყვარულს!	240
ჩემს მეგობარს ნოდარ ბეჭაურს.....	241
ღმერთო არ შემაჩვენო	241
●●● (დამესიზმრე, შორს იყავი...)	241
***	242

მილოცვა

<i>ჟურნალ „ათინათის“ რედაქცია</i>	
ვულოცავ ჯგუფ „ზღვარის“ კიდევ ერთ დიდ გამარჯვებას	243
<i>სიმონ ზაქარაია, გოგი ფაცაცია,</i>	
<i>ონერ ძაძუა, ვანო პაპავა</i>	
ნუგზარ ნადარაია — 70.....	243
<i>შალვა ილურაძე</i>	
ნუგზარ ნადარაია 70 წლისაა	244
70 წლის იუბილეს	245
<i>თამარ ჯაჭვაძე</i>	
მანუჩარ მაჩაიძე - 66	
66.....	245
პატარა განმარტება	246
თეთრი მერცხალი.....	246
<i>შალვა ილურაძე</i>	
სადღევრძლო	246

სიკეთისა და მადლის მთხრობა
(ნუგზარ მიროტაძეს)

- ნ - აზამთრად გულის, რომ მოაფინე მადლის ხალიჩა,
 - უ - ფლის რჩეულო, გაღამაზდი ცრემლიან თვალში...
 - გ - აზაფხულებას მოგილოცავ, ყვავის აღუჩა,
 - ზ - ომაზე მეტად გეფერები, არ დაგჩე ვალში.
 - ა - ვდრები აცდეს, გაგეზარდოს კვლავაც თაობა,
 - ბ - ამდენიც გსურდეს, ღმერთმა იმდენ წელსაც გაცოცხლოს,
 - მ - ადღს აფრქვევ ირგვლივ, ალბად გესმის ლექსის გალობა,
 - ი - ქნებ ქარებიც დაწყნარდეს და აღარ გაცეცხლდეს...
 - რ - ით გაგაკვიროვ, რით გაამო, უკვე არ ვიცი..
 - ო - მახიანო, ნიჭიერო, მამულიშვილო..
 - ტ - ოტს, რომ ფოთოლი მოსცილდება მასაც განვიცდი,
 - ა - სეც კი ვფიქრობ, ეკალ-ბარდიც შვილად ვიშვილო,
 - ძ - ეძვებს გაკაფავ და სულ ვფიქრობ იქნებ გაამო,
 - წ - ნძელებივით გაგიმრავლო სულის სამყარო,
 - ს - აავდრო დღეშიც დაგიღამდეს ტკბილი სადამო,
- სიკეთისა და მადლის მთხრო, ღვთის წილნაყარო.
20.03.2015წ

„თამარი ხარ და“
(თამარ ხარაიშვილს)

თამარი ხარ და თამუნად გეფერებიან
სისხლით სიეშხით, ჩემი ლექსით თბილ სიტყვებს გატყვი.
მჯერა თვით ფიქრიც სათნოების აკვარელია,
ჩემო თამუნა... სიყვარულით იებიც გეტრფის.
22.03.2015



ავტორთა საყურადღებოდ

ჟურნალი „ათინათი“ არ მიიღებს პოლიტიკურ წერილებს და არც სხვათა მისამართით საქილიკო მასალებს, ჟურნალი არის სამეცნიერო შემეცნებითი, მოიცავს ყველა დარგს, თესავს: სიტბოს, სიყვარულს, სიკეთეს... მეტი ყურადღება ეთმობა მეცნიერებასა და საზღვარგარეთთან ურთიერთობების საკითხებს.

შეგიძლიათ მასალები გადმოგზავნოთ იმეილით gulnazi5@bk.ru

შემოწირულობა ჩარიცხეთ შემდეგ ანგარიშზე:

თიბისი ბანკი

საბანკო კოდი – TBCBGR 22

მიმღების დასახელება – შპს „ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მეცნიერებათა მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემია.“

ანგარიშსწორების ნომერი – GE51 TB73 1333 6080 1000 01

ტელ: 593657921;
0341227287.
790657921

გარეკანის პირველ გვერდზე „წმინდა ნინო“. გარეკანის მესამე გვერდზე მთავარანგელოზი მხატვარი ემელიანე (რეზო) ადამია.

**ჟურნალ „ათინათის“ დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი:
გულნაზ ხარაიშვილი**

პასუხისმგებელი მდივანი: ემელიანე (რეზო) ადამია – მხატვარი, პროზაიკოსი

აკადემიის სწავლული მდივანი: გიორგი ბეჟიტაშვილი – პროფესორი

საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების რედაქტორი:
ვანო შუშტაკაშვილი – პროფესორი

სამეცნიერო განყოფილების რედაქტორი:
ტიტე მოსია და ლუარა სორდია – პროფესორები.

ისტორიის განყოფილების რედაქტორი: ელგუჯა მამუკელაშვილი – პროფესორი
მხატვრული განყოფილების რედაქტორები:

ლევან ბაბუნაძია – ჟურნალ „ნატის“ რედაქტორი
ანა ბოდბელი – მეცნიერი

თამარ ჯაჭვამე, აკადემიის წევრი

სერგი ლომაძე, ჯგუფ „ზღვარის“ წევრი

კახა ბაციკაძე, ჯგუფ „ზღვარის“ წევრი

ნათია მოსიძე, ფილოლოგი – აკადემიის წევრი

ფსიქოლოგიის განყოფილების რედაქტორი: დალი ზერაგია.

საბავშვო განყოფილების რედაქტორი:

ლამარა გერგედავა – აკადემიის ნამდვილი წევრი

ზეინაბ ბეჟიტაშვილი – ფილოლოგი, აკადემიის წევრი

ყამარ ბლიაძე – ჟურნალ „ლამპარის“ დამფუძნებელი

ზუსტი და საბუნებისმეტყველო განყოფილების რედაქტორი:

თინათინ ხოხობაშვილი – მეცნიერებათა დოქტორი

ეკონომიკის განყოფილების რედაქტორი ვალერი მოსიაშვილი – პროფესორი.

რედკოლეგიის წევრები:

ბრუნო თრიბურგი (საფრანგეთი) - მოგზაური

იური მამედოვი(აზერბაიჯანი) - მოგზაური

სიმონ ზაქარაია: ტექნიკურ-მეცნიერებათა დოქტორი

მარინე სხირტლაძე-საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის
ეროვნული ბიბლიოთეკის მთავარი სპეციალისტი.

ლიანა ოსიაშვილი-მელიქიძე

ლამზირა შეყილაძე-პოეტი

კომპიუტერული უზრუნველყოფა – ნანა სხირტლაძე

ჟურნალი დაკაბადონდა გამომცემლობა „უნივერსალში“.

რედაქციის მისამართი: თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი, ხელოვნების მეცნიე-
რებათა აკადემია, II სართული, მეთხუთმეტე ოთახი.

ტელეფონი: 593 65 79 21; 0341 22 72 87; 790 65-79-21

შეგიძლიათ მასალები გადმოგზავნოთ იმეილით gulnazi5@bk.ru